ზურაბ თორია

მახარებელი

მოთხრობები
ამონარიდები წიგნიდან
„მიმწუხრის ჟამის მონოლოგები“

მერიდიანი 2014

უაკ (UDC) 821.353.1-32+821.353.1-2
თ-748

რედაქტორი **გულო კობიაშვილი**
მხატვარი **ანო კიკაჩეიშვილი**
კორექტორი **მზია ბარბაქაძე**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **დავით კუტუბიძე**

© ზურაბ თორია
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014

ISBN 978-9941-10-932-4

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილ მოთხრობათა გარკვეული ნაწილი იბეჭდება პირველად, ნაწილი კი, ბოლო ათწლეულში ლიტერატურულ გამოცემებშია გამოქვეყნებული.

„მახარებელი“ წიგნში შემავალი ერთი მოთხრობის სათაურია და ქართულ მიწაზე უახლოეს პერიოდში დატრიალებულ, ტრაგიზმით აღსავსე დღეებს ეხმიანება. მოთხრობის პერსონაჟი, ახალგორიდან დევნილი ბიჭუნა, ომის ქარცეცხლში ფიზიკურად დასახიჩრებულ, სულიერად შეჭირვებულ და გაურკვევლობაში მყოფ ახალგაზრდა მებრძოლებს შემწედ და სალბუნად ევლინება...

სხვა ნაწამოებებში ასახულია დროის ნიშნით აღბეჭდილი, წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენები და ყოფიერების რთული, ფსიქოლოგიური სურათები.

„მიმწუხრის ჟამის მონოლოგების“ ამონარიდები ქართულ პერიოდიკაში სხვადასხვა წლებში იბეჭდებოდა. წინამდებარე წიგნში შესული მონოლოგები პირველად ქვეყნდება. თვით წიგნი მოვლენების შეჯამებისა და დასრულების სტადიაშია.

მახარებელი

მოთხრობა უწმიდესისა და უნეტარესის,
ილია II-ის მონათხრობი სიუჟეტის
შთაგონებით დაიწერა და ეხმიანება
რეალურ მოვლენებს

პალატის ფანჯრიდან მანქანებით ჩახერგილი ეზო მოჩანდა. რკინის მაღალი მესერის გასწვრივ ჩარიგებული დაგვალული ხეები ბუტაფორიას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე წიწვოვან ნარგავებს. ეზოს, დაუპატიჟებელი სტუმრებივით, ოთხსართულიანი, ბათქაშშემოძარცვული ნაცრისფერი კორპუსები მოსდგომოდნენ, მათ უკან სამანქანო გზა მიიზლაზნებოდა, მერე შიშველი გორაკები, უფრო შორს კი ფერდობებს შეფენილი სასაფლაო განმარტოებულიყო.

ფანჯრიდან თვალის საამებელს ისეთს ვერაფერს შეამჩნევდი, თუმცა, ყავარჯნებიანი, ძვალტყავა, ოცდასამიოდე წლის თავგადახოტრილი ახალგაზრდა ამ ერთფეროვანსა და უღიმღამო სურათს ღიმილმოფენილი სახით გაჰყურებდა და ისე ხატოვნად აღწერდა, თვეობით ლოგინს მიჯაჭვული სნეული კი არა, შესაძლოა, ერთი საათის წინ ფანჯარასთან მდგომიც კი შეცდომაში შეეყვანა.

— ნიკა, ი გოგო ხო არ გამოჩენილა? — მოუთმენლად გააწყვეტინა პალატის მარჯვენა კუთხის საწოლში პირაღმა მწოლმა, ფანჯარასთან ატუზულზე ხუთიოდე წლით უფროსმა, წვერ-ულვაშმოშვებულმა, შავტუხა ნუგომ.

— დღეს რაღაც არ ჩანს, მაგრამ სად წაგვივა, აივანზე გასაშრობად გაფენილი სარეცხი მაინც ხომ უნდა...

— იქნებ, სულაც დედამისმა ან სხვა ვინმემ ჩამოხსნას! — შეაწყვეტინა ნუგომ და სახე კედლისკენ მიაბრუნა.

ნიკა ერთხანს გატრუნული იდგა, შემდეგ რაფას იდაყვით დაეყრდნო და საავდროდ მოქუფრულ ცას ახედა. „დახე, წვიმა პირში უჭირავს, ამ შლეგი მარტისგან აბა სხვას რას უნდა ელოდო... კაცი მოწმენდილი ცის ცქერით მაინც დაასვენებდა თვალს!“ — გაიფიქრა სევდიანად.

ხელისგულისხელა მოჭყვიტინე ტრანზისტორიდანაც სახარბიელო არაფერი ისმოდა. დიქტორები ერთიმეორეზე უარეს ამბებს ისეთი თანმიმდევრულობითა და რიხით გადმოსცემდნენ, საშინელ გუნებაზე დაგაყენებდნენ. როგორც კი ამ ინფორმაციებს გადმოაფრქვევდნენ, მხიარულ მელოდიებს მოაყოლებდნენ, თითქოს ქვეყნად არც სადარდებელი და არც რამე სავაგლახო არსებულიყო.

წინა თვეში, გულისგამხეთქი ამბების შემდეგ, ზღვარსგადაცილებულმა კაკაფონიამ ნუგო მოთმინებიდან ისე გამოიყვანა, ტრანზისტორი კედელს მიანარცხა. სეირი ის იყო, ტრანზისტორი დაიშალა, თუმცა ჭყვიტინს მაინც განაგრძობდა. ნიკა სიცილით ლამის ჩაბჟირდა, მაგრამ ნუგო ამ მოჭყვიტინე მოჩვენებას ნირშეუცვლელად დაჰყურებდა. ეგ ზუსტად შენი ჭკუის არისო, გაკენწლა ნიკა, შემდეგ მისი ნაწილების აკრეფა სთხოვა, ტკივილებისდა მიუხედავად, გულმოდგინედ შეაკოწიწა, შეაწება და ტუმბოზე, ხელმისაწვდენ ადგილას დადო, თუმცა იმ დღიდან მხოლოდ ამინდის ცნობებს და სპორტულ მიმოხილვებსღა ჯერდებოდა, დანარჩენ დროს ტრანზისტორი დუმდა, ხოლო ნუგო ერთთავად წიგნებსა და გაზეთებში იყო თავჩარგული ან ჭერს აჰყურებდა.

ნიკამ კარგა ხანს ითმინა, ამას წინათ კი, დერეფანში გავიტან და იქ ჩავრთავო, სთხოვა. სასიკეთოს მაინც ვერაფერს შეიტყობ, გირჩევნია, რამე წაიკითხოო, ურჩია ნუგომ. ასე გამოყრუებულები როდემდე ვიყოთ, იქნება ქვეყანა აშენდა, ჩვენ კიდევ, ბაიბურში არა ვართო, თავი დაიძვრინა ნიკამ. მისმა პასუხმა ლამის გადარია ნუგო, მაგრამ თავს მოერია და ტრანზისტორი უსიტყვოდ გაუწოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნუგოს ყურთასმენას დერეფნიდან აღმოსავლური გაბმული მელოდია და ახალგაზრდების მხიარული ხმები მისწვდა...

აქ ყოველი დილა ერთი და იმავე თანმიმდევრობით იწყება: სავალდებულო პროცედურებს საუზმე მოსდევს, საუზმეს ექიმების შემოვლა და ამ რიტუალის აუცილებელ ატრიბუტად გადაქცეული დამაიმედებელი ფრაზები... და ახლობლების ლოდინი, რომლებსაც ჰოსპიტალში სიარული მობეზრებოდათ ან ხელცარიელი მოსვლის ერიდებოდათ.

ნუგოს თავშესაფარი წიგნები და ფიქრებია. ფიქრები, მისი თქმით, ორთქლის საქვაბეში, ანუ მის გონებაში, გაუთავებლად თუხთუხებენ. როგორც კი მედგრად შემოუტევენ და კრიტიკულ ზღვარს მიაღწევენ, ხუფს ოდნავ მოუშვებს, ანუ სიტყვებს უჩუმრად გასაქანს მისცემს, საქვაბე ორთქლისგან დაიცლება და ნუგოც შვებას იგრძნობს, რაც თითქმის აღსარებასავითაა, იმ განსხვავებით, რომ მიმტევებელი და მაზიარებელი არავინა ჰყავს...

ეს საფიქრალი მისი სამშობლო, ანუ კუთხე, ანუ „შინაა“. ამ „შინში“ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს: წინაპართა ხსოვნას, მშობლებს, მეგობრებს, მტერსაც და მოყვარესაც, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც, აქედან შორს მყოფ ერთ ქალს, რომელსაც სიზმრად თუ ცხადად მისკენ მომავალს ხედავს, მაგრამ ეს გზა არადა არ ილევა. სანამ ამ პალატაში იქნება, გული უგრძნობს, გზას დასასრული არც ექნება, თუმცა იგი ამხნევებს, ხშირად შორიდან ეძახის კიდეც.

„ნუგოო!.. ნუგოო!..“ — ჩაესმა ახლაც.

„აჰ!“ — ხმამაღლა დასცდა, ძილ-ღვიძილს თავი გამოსტაცა და მიმოიხედა.

ის „ეშმაკის ფეხი“ ნიკა ისევ ფანჯარასთან იდგა. ამჯერად ცალი ყავარჯნისთვის ხელი გაეშვა, მთელი ძალით ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ეზოს ჩაჰყურებდა.

— ნიკავ, ფრთხილად, ეგ შენი ძალისძალათი გაპაჩინკებული ფეხი ისევ არ მოიტეხო! — გასძახა ლამის ფანჯარას აკრულს.

— ეგღა მაკლია! — გამოსძახა იმან და გაყუჩდა. რაღაცას იყო მიყურადებული, — გინდა,ფანჯარას შევაღებ და ფაიზაღ რამეს მოგასმენინებ? — ღიმილით ჰკითხა ბოლოს.

— ინდურ სიმღერასაო, არ მითხრა, თორე, რო წამოვხტები! — მარჯვენათი ცრუ მოძრაობა გააკეთა ნუგომ.

— არ წამომხტომის?! — გაეხუმრა ნიკა.

— ბალღო, თავს არ გაგივიდეს, თორე! — ისევ გულს გარეთ დაექადნა ნუგო.

— გეყო, დაშოშმინდი, აჰა, ყური დაუგდე და...

„ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ! როგორა ხართ, რა გი-

ჭირთ, რა გილხინთ, ჭრილობები ხომ არ გაწუხებთ. თქვენს ვაჟკაცობაზე ქვეყანა ლაპარაკობს, და აი, მეც თქვენთან მოვედი, რომ გაგამხნევოთ... აგე, ჩემი ფანდური, კიდევაც დაგიკრავთ და კიდევაც გიმღერებთ. თუ ვინმეს რამე ჭირდება, სიხარულით გავეგზავნები. იცით თუ არა, რომ დღეს ხარებაა, ღმერთმა ხარების მადლი ნუ მოგიშალოთ, უფალს ებარებოდეთ!..“ — ბავშვური, ტაძრის პაწაწინა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმა ნიკას ხრინწში გაძვრა და ნუგოს გულს მიესალბუნა.

— ნეტა ვინაა? იქნება აქაც შემოიხედოს! — ინატრა ნუგომ.

— ბიჭია ერთი... მაგრამ პატარებს აქ რო არ უშვებენ? — იკითხა ნიკამ.

— რატო, რა, ჭირიანები ვართ, რო?

— პირიქით, ვირუსი თუ რაღაც დოზანაა, არ შემოიტანონო.

— ვირუსი არა, ფლავი... ახლავე ჩადი და ამოიყვა. მთავარ ექიმთანაც რომ მოგიხდეს შესვლა, მაინც ამოიყვა, მაგ თვითონ ვირუსიანებს ასე გადაეცი, ნუგომ, არ ამაყენონ და აქაურობა არ ამაყირავებინონ-თქო!

— გეყო, გეყო, ემ საათში ჩავალ და... — აჩქარდა ნიკა და ყავარჯნების ჩლახუნით კარისკენ გაემართა.

დერეფანში ნიკას მორიგე ექთანი შემოეყარა. მთავარი ექიმია შემოვლაზე, ახლავე პალატაში შებრუნდიო, დაუცაცხანა. პასუხად ნუგოს სურვილი და მუქარა გადასცა. მორიგე ექთანმა ხელი უმწეოდ გაასავსავა, მათკენ მომავალი თეთრხალათიანების ჯგუფისკენ გაეშურა და, როგორც ჩანდა, მათ შორის მთავართან ხმადაბალ დიალოგში ჩაება.

— კარგი ბატონო, როგორც კი შემოვლა დამთავრდება, ამოიყვანეთ და, ვისაც სურვილი ექნება, შეახვედრეთ, — იყო იმ „მთავარის“ პასუხი.

ბიჭის გამოჩენას მთელი საათი ელოდნენ. ამასობაში იგი წუთით არ დადუმებულა, ფანჯრებს მომდგარ ავადმყოფებს ამხნევებდა, ფანდურზე უკრავდა და მღეროდა. მისი ბავშვური ხმა მკაფიოდ ისმოდა. ნუგოს უკვირდა, რომ ბიჭის ნამღერი სამარშრუტო ტაქსებსა და ბაზრობე-

ბზე მოსმენილს არ ჰგავდა. ამ სუსხსა და ქარში, — ნიკას თქმით, — ცას აჰყურებდა, ფანდურის სიმებს აწკრიალებდა და პატარა მგალობელი ჩიტივით მსმენელთ ატკბობდა...

ნიკა პალატაში რომ შემოუძღვა, კართან აიტუზა და კუთხეში მწოლ ნუგოს რიდით მიესალმა. ცხრა ან ათი წლის თუ იქნებოდა. ბავშვურად გამწლიკულის ოდნავ მოგრძო, ხორბლისფერ სახეს ჯიღა თვალები უჩვეულო იერს სძენდა.

— აქეთ მოიწიე! — გასძახა ნუგომ.

ბიჭმა ორი ნაბიჯით წაიწია და შედგა.

— რაო, უკმეხიაო, ხომ არ დაგაფეთეს, ჰა?! — ღიმილით ჰკითხა ნუგომ.

ბიჭმა პალატაში საქმიანად მიმოიხედა, ფანჯარასთან მიდგმული სკამისკენ გაემართა, აიღო, შუა პალატაში დადგა, ზედ კოხტად ნათალი მომცრო ფანდური დადო, ჭრელი, კაპიუშონიანი ქურთუკი გაიხადა, სკამზე გადაკიდა, ტანზე შემოტმასნილი ნაცრისფერი სვიტერი დაბლა დაქაჩა, საყელო გულდასმით გაისწორა, გვერდზე გადავარცხნილ ღია წაბლისფერ თმაზე ხელი გადაისვა, ქურთუკის გულისჯიბიდან „ხარების“ მომცრო ფერადი ხატი და რამდენიმე სანთელი ამოაწყო, ნუგოს საწოლთან მდგარ ტუმბოსთან მივიდა, ხატი ჭიკარტით კედელზე მიამაგრა, სამი სანთელი ტუმბოზე დაანთო, დანარჩენი იქვე დააწყო, პირჯვარი გარდაისახა და სკამთან დაბრუნდა.

— არავისაც არ დავუფეთებივარ... მრავალ ხარებას დაგასწროთ, ჯანის სიმტკიცეს და სულის სიმშვიდეს ზიარებოდეთ... ახლა კი, მოდით, ერთად ვილოცოთ. — არაბავშვური სიდარბაისლით წარმოთქვა და სანამ დამხვდურნი რამის თქმას მოისაზრებდნენ, პირჯვარი ხელმეორედ გადაიწერა და საუფლო ლოცვა წამოიწყო.

„ვააჰ, ეგ ვინაა, ტოო... თავი მთლად დიდი კაცივით არ უჭირავს?!“ — გაიოცა ბიჭის სიტყვებითა და საქციელით გაღიზიანებულმა ნუგომ, მაგრამ მორჩილად თავდახრილსა და სახეგაცისკროვნებულს რომ დააკვირდა, მოლბა, თავისდაუნებურად აჰყვა და როცა მის კვალდაკვალ ღვთისმშობლისადმი ლოცვა ჩაადუდუნა და პირჯვარი

სამჯერ გადაიწერა, იგრძნო, რომ მის სულსა და სხეულს საოცარი სიმშვიდე და სიმსუბუქე შესდგომოდა.

— ახლა კი გავეცნოთ ერთმანეთს... მე მათე ვარ, ამ უბნის ღვთისმშობლის ტაძრის სტიქაროსანი. ჩვენი ტაძრის დეკანოზისგან კურთხევა მაქვს ვილოცო თქვენთვის და თუ რამე გჭირდებათ, ვეცდები... — თქვა და ნუგოს და ნიკას მიაჩერდა.

პალატაში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— ბიჭო, შენ ყოველთვის ასე იქცევი, თუ?... — წამოიწყო ნიკამ ოდნავ დაყოვნებით.

— შენ გაზრდას, მითხარი, სადაური ხარ, — შეაწყვეტინა ნუგომ.

ბიჭი შეიშმუშნა, თვალებში სევდა ჩაუდგა.

— ახალგორელი, — ჩაიბუტბუტა მოგვიანებით.

— მერედა, იმის არ იყოს, აქ რა ქარმა გადმოგაგდო...

— ქარმა არა, შარშანდელმა ომმა. აგე, იმ სახლებიდან განაპირას ერთოთახიანში დროებით შეგვასახლეს, — ხელი ბათქაშშემოძარცვული ნაცრისფერი კორპუსებისკენ გაიშვირა, — დედაჩემი, მე და ჩემი პატარა ძმა ჯერ-ჯერობით იქა ვდგავართ.

— მამა?

კითხვამ შეაკრთო, იატაკს დააჩერდა.

— თუ გეუხერხულება, არ გინდა, — დაიხია ნუგომ.

— შარშანდელ ომში დაიკარგა. — დაიჩურჩულა.

— რას ამბობ, კაცო! — გაიოცა ნუგომ, მაგრამ ბიჭის სახის გამომეტყველებამ მაშინვე კილო შეარბილებინა, — იცოდე, უეჭველად გამოჩნდება, ალბათ, ტყვედ ჰყავთ, თორემ ნემსი ხომ არაა რო, ეგრე...

— ჩვენც მაგისი იმედითა ვართ.

— მერედა, რით არსებობთ...

— კეთილ ხალხს რა გამოლევს... ეკლესიაც გვეხმარება... მთლად სხვების შემყურე არც მე ვარ...უბანში ჟურნალ-გაზეთებს ვარიგებ, ცოტას მიხდიან, და ასე...

— სწავლობ?

— მააშ, მეხუთე კლასში. სკოლის შემდეგ გაკვეთილებს მოვამზადებ, მერე ცოტას დედაჩემს მივეხმარები, მერე ფოსტაში შევირბენ, წერილებს და ჟურნალ-გაზეთებს ჩამოვარიგებ, მერე ტაძარში მივდივარ, მერე...

— რა ყოჩაღი ვიღაცა ყოფილხარ! — შეაქო ნუგომ.

— გინდათ, გიმღეროთ?.. — შეაგება პასუხად, ქებისთვის ყურადღება არც მიუქცევია, ფანდურს დასწვდა და საქმიანი გამომეტყველებით სკამზე ჩამოჯდა.

ნუგოს თავიდან ეგონა, რომ იგი ამგვარად ვინმეს რჩევით ან დარიგებით იქცეოდა, მაგრამ მალე მიხვდა, ასეთი იყო: ნაადრევად დაკაცებული პატარა ბიჭი, ოჯახის მარჩენალის მოვალეობები, გამოუვალი მდგომარეობის გამო, თავად რომ ეტვირთა.

ნუგოს მშობლები მეორე მსოფლიო ომის დროს, ალბათ, ამ ბიჭის ტოლები იქნებოდნენ და ბავშვობაში განცდილ შიშსა და უბედურებებზე ხშირად უყვებოდნენ; სადღაც, გადასაკარგავში ჩავლილ ომს ხელშესახებ რეალობასავით უცოცხლებდნენ და თქვენ რა გიჭირთ, ომის სუსხი არ გიგემიათო, თითქოს აყვედრიდნენ კიდეც... მაგრამ თვითონ აგერ, ახლახან ნახა და გამოსცადა ომი მთელი თავისი საშინელებებით. ყველა ომი თავისთავად სიცოცხლის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ მშობლები რომ უყვებოდნენ, იმ ომში საერთო მტრის ზრახვები აშკარად ჩანდა და ყოველგვარ ილუზიას გამორიცხავდა, ეს ომი კი შეფარული იყო: მოყვარედ მიჩნეული დიდმპყრობელის მზაკვრული თავდასხმა, ნგრევა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი...

ვინ იცის, ამ პატარამ რა შიში და ზაფრა გამოიარა, ვიღაცის სისასტიკემ თავის მყუდრო და სიყვარულით გამთბარ მშობლიურ კერას მოსწყვიტა და ამ ჭრელსა და ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ქალაქში გადმოისროლა.

— შენი მოსმენა როგორ არ მსურს, მაგრამ, გინდა თუ არა, იმღერე-თქო, ჩემი მხრიდან რაღაც არ გამოდის... მოდი, ვისაუბროთ, შენ შენს ახალგორზე, მე ჩემს ლალისყურზე... აგე, ნიკა კიდევა, თავის ხაშმზე მოგვიყვება და ასე...

— სიმღერებს შორის რომ ვილაპარაკოთ? — გამოსავალი თვითონ ბიჭმა იპოვა, — ფანდურს დასწვდა, მოიმარჯვა, რამდენიმე მოძრაობით სიმები მომართა, მერე რაღაც არაბავშვური ძალით ჩამოჰკრა და სიმღერა დაიწყო.

სიმღერების ცალკეული სტრიქონები ნუგოს საიდანღაც ახსოვდა, თუმცა ვერაფრით იხსენებდა, საიდან. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, თანდათან თითქოს ყურადღებაც მოუდუნდა, მაგრამ ბოლო სიმღერამ გამოაცოცხლა:

„ხანდისხან ამიფრინდება
ჭალისპირს უცხო ციცარი,
სხვანაირ სითამამით და
ჭრელ საყელოთი ვიცანი.
მიდის და ქარში მიღელავს,
ხან ჩქერებს მისდევს მდინარის,
მოზიდული მაქვს ისარი,
მივდევ ოფლგადამდინარი.
არ ვიცი, ჩემი ბედია,
თუ ზეცისაა ზიარი,
ღმერთო, არ მომაკვლევინო,
ისეთი ლამაზი არი!“

— მოიხედე, ეს ლექსი საიდან?! — ნუგომ ისე მოულოდნელად და აღელვებით იკითხა, ბიჭს ფანდური ლამის ხელიდან გაუვარდა.

— რატო?!. — კითხვითვე მიმართა ბიჭმა და მიაჩერდა.

— ძალიან მომეწონა, — უპასუხა ნუგომ, მაგრამ შეეტყო, რომ აგრერიგად მხოლოდ ლექსს არ აუღელვებია.

— დედაჩემმა მასწავლა, — მოგვიანებით მიუგო ბიჭმა.

— ფანდურზე დაკვრაც?

— არა, პაპამ.

— აჰ... პაპა! — აღმოხდა ნუგოს და თვალწინ ვაზის თალარქვეშ მჯდომი მხცით მოსილი მოხუცი წარმოუდგა.

— პაპაშენს რა ერქვა?

— იორამი.

არა, იმ მოხუცს იობი ერქვა, თანაც ის სოფელი ახალგორიდან შორსაა, თუმცა... მართლაც იობის მოთმინებითა და სიკეთით სავსე პაპა იყო. მისი სახლის წინ ჯარისკაცები რამდენჯერაც ჩაივლიდნენ, მომცრო კალათით მწიფე ატმებსა და თაფლივით სურნელოვან, გემრიელ მსხლებს დაახვედრებდა.

ერთხელაც შინ შეიწვია.

„ყველა ადრე დავკარგე... ცოლმა სულ ახალგაზრდამ დამტოვა, მერე მის კვალს სხვის ომებში ამაოდ დამაშვრალი შვილები გაუყვნენ. შვილიშვილებს აქაურობა არ უნდათ, ბალღობისას წელიწადში ერთხელ ძლივს თუ ჩამოჰყავდათ და ვერ შეიყვარეს. აი, ეს სახლი ამიშენეს და დამიმშვენეს შვილებმა. ნახე, სადღაც, ახლო აღმოსავლეთში, მამლუქებივით ნაბრძოლთა ნაწვალებითაა აშენებული. ვემუდარებოდი, არ მინდა, ჩემი ქოხი მაკმარეთ, იქ ვიყავი ბედნიერი, დედათქვენის სული მანდ ტრიალებს-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. ვითომაო, ასეთი ვაჟკაცების მამას ქოხი როგორ ეკადრებაო, და, აი, ეს სრასახლი წამოჭიმეს, თვითონ კი სულ მალე რიგ-რიგობით მოუსავლეთის გზას დაადგნენ... შემოდი, ნახე, თვეები ისე ჩაივლის, მეორე სართულზე ფეხს არც ავადგამ, ან რა დამრჩენია მანდ რო. აგერ, სამზარეულოში ვტრიალებ, აქვე ვიძილ-ღვიძილებ, დანარჩენ დროს კი ბაღ-ვენახში ვჩირთიფირთობ...“ — გაანდო.

იმ სახლივით მშვენიერი და მოხდენილად გაწყობილი საცხოვრებელი ქალაქშიაც იშვიათად ეგულებოდა ნუგოს. საშენი მასალა საუკეთესო გამოუყენებიათ, პირველ სართულს იატაკი, კიბეები და სააბაზანო სპილოსძვლისფერი ფილებით ჰქონდა მოპირკეთებული, ხოლო მდიდრული ავეჯი და ფარდები გემოვნებით იყო შერჩეული. მოხუცს ეს კეთილდღეობა სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ შვილებს თავიანთი მაინც გაეტანათ.

ნუგოს ყურადღება სახლის მეორე სართულზე, ვეება ზალაში ძველებურმა, შანდლებიანმა შავმა პიანინომ და წიგნის თაროებმა მიიპყრო. მტვრით დაფარულ პიანინოზე ნოტების მთელი დასტა ეწყო, თაროები კი ნარჩევი ქართული და უცხოური ლიტერატურით იყო გამოჭედილი.

„შუათანა ვაჟი და მისი ცოლი უკრავდნენ, წიგნებით კი ნაბოლარა იყო გატაცებული, ყოველ მათ ჩამოსვლაზე სოფლის ახალგაზრდობას ჩვენთან მოუხაროდა, მაგრამ ახლა არც ისინი არიან, ახალგაზრდები კი ამ ჯგლეთასა და გაუტანლობაში ან დაიხოცნენ, ან აქედან სამუდამოდ გადაიკარგნენ. თავისუფალ დროს მოდი ხოლმე, რამდენ

ხანსაც გინდა, დარჩი, თუ გესიამოვნება, პიანინოზე დაუკარი, წიგნები იკითხე და ზოგჯერაც შემეხმიანე“, — გაენდო მოხუცი.

პიანინოსი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ გადარბენებს შორის ორი გასაოცარი წიგნის წაკითხვა მაინც მოასწრო, ერთ-ერთ თაროზე კი შემთხვევით სქელ ბლოკნოტს გადააწყდა. ვიღაცას გაკრული ხელით, როგორც ჩანდა, თავისი საყვარელი პოეტის ლექსები ჩაეწერა. ამ ლექსებს მარტო სათაურები ჰქონდა, ავტორის ვინაობა კი, რატომღაც არსად იყო მინიშნებული. იმის მიხვედრას რა უნდოდა, ლექსების ავტორი ქალი იყო, მაგრამ მისი სითამამე და ნიჭიერება ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა.

პოეტის ფიქრები ერთთავად ქართლის მჭვირვალ ცას და მზით დაფერილ ზურმუხტისფერ ველ-მინდვრებს, მცხეთასა და ჯვარს, ბებერ ქსნის ციხეს და მის ხევ-ხუვებს დასტრიალებდა და ნუგოსთვის ეს სტრიქონები იმდენად მახლობელი აღმოჩნდა, სოფლის შემოგარენში განფენილ პეიზაჟებსა და, თითქოსდა ხელის გაწვდენაზე მოკიანთე, დროდადრო ლეგა ნისლებში გახვეულ კავკასიონის დათოვლილ ქედებს მათ გაგრძელებად მიიჩნევდა...

— იცი, ეს ლექსები ვისია?

— როგორ არა, მანანასი, მაგრამ... — ბიჭი შეყოვნდა, მახსოვრობა დაძაბა და ცოტა ხნის შემდეგ გულდაწყვეტით დაამატა, — აი, გვარი კი... თუმცა, ჩვენები სახელითღა იხსენიებენ, — თავი იმართლა.

— ეგ, ვინ თქვენები?

— დედილოსები... კორინთაში ერთ სკოლაში უვლიათ, ერთ დროს ახალგორშიც უცხოვრია.

— ახლა?

— არ ვიცი, დედილოს ეცოდინება.

— ნანახი თუ გყავს?

— როგორ არა, ორჯერ!

— მაინც, როგორია?

— შავგვრემანია, თუმცა ისეთი ნათელი სახე და დიდი, ლამაზი თვალები აქ, როო!..

— ოჰო, შენსავით?! — აღტაცებით გაიოცა ნუგომ.

— მე ქალი კი არა ვარ! — შედარება იუკადრისა პატარა

ვაჟკაცმა, — ქმარი და მოსწრებული შვილიცა ჰყავს, — ვითომ, სხვათა შორის დაამატა მოგვიანებით.

— მე ეგ როდის გკითხე, რო?! — გაბრაზებით უპასუხა ნუგომ.

— ერთ დროს მაინც მკითხავს-მეთქი, ვიფიქრე, და... — წამოიწყო ბიჭმა ოდნავ დაყოვნებით და ნუგოს გამხდარსა და წვერულვაშგაბარჯღულ, ფერმკრთალ სახეზე აკვესებულ თვალებს მზერა ღიმილით გაუსწორა.

ბიჭის თამამ პასუხსა და შემოხედვაზე ნუგოს სიცილი წასკდა. სიცილი ნიკასაც გადაედო.

— კაი კერკეტი ვიღაცა კი იზრდები! — დაასკვნა გახალისებულმა ნუგომ.

— სხვა გზა მაქვს, რო?! — შეეპასუხა ბიჭი.

მის სიტყვებზე ნუგოს ისევ გაეცინა.

ბიჭი ერთხანად მშვიდი გამომეტყველებით შეჰყურებდა, მერე ფანდურს დახედა და იკითხა.

— კიდე დავუკრა?

— თუ არ დაიქანცე, აუცილებლად, — უპასუხა ნუგომ.

ბიჭმა სიმებს ჩამოჰკრა და ამჯერად პოეტი ქალის სხვა ლექსი დაამღერა.

ნუგოს თვალწინ მოხუცი იობი და მისი სახლ-კარი დაუდგა.

სოფელში შესვლიდან სამ კვირაში ის დიდებული სახლი დაბომბეს. მოხუცი ამ დროს, ეზოდან მოშორებით, ახოში ბალახს თიბავდა. დაუნახავს, სახლი სათამაშოსავით როგორ შემხტარა და ზედ მტვრისა და შავი კვამლის უზარმაზარი სვეტი როგორ აღმართულა.

დაწექიო, უყვიროდა, თურმე, მეზობელი, მაგრამ გამწარებული მოხუცი არც განძრეულა, მერე მუშტი ცისკენ შეუმართავს და მთელი გულისწყრომა მფრინავის მისამართით გადმოუღვრია. ერთხანს მტვრისა და კვამლის სვეტს გაოგნებული მისჩერებოდა, მერე ცელი დაუგდია და იქითკენ დაძრულა. სანამ მტვერი და შავი კვამლი ნისლივით მდგარა, დაბომბილ მონაკვეთს ვერავინ მიჰკარებია, ხოლო როცა გაფანტულა, სახლის ადგილას უზარმაზარი პირდაფჩენილი ხარო და ირგვლივ მიმოფანტული ქვებისა და ახრჩოლებული ხის ნახლეჩების გროვაღა დახვედრიათ.

დიდხანს ცოცხალ-მკვდარი ჩაჰყურებდა თურმე ქვესკნელივით პირდაფჩენილ ხაროს, მერე ქოხისკენ წალასლასებულა, მის შორიახლოს კუნძზე დაშვებულა და დუმილად ქცეულა.

ნუგომ რომ მიაკითხა, სიტყვა არ დაუძრავს. მეზობლებთან კი, დახეთ, ჩემი შვილების წვალებით ნაგები სახლი მტერ-მოყვარემ თვალის დახამხამებაში როგორ დამიქციაო, — გულს ეგღა ამოაყოლა. მოგვიანებით, ცალ მხარეზე გადაზნექილ თავის ქოხისკენ ხელი გაიშვირა და, კაცს ამის მეტი არცრა სჭირდება, იმ ადგილას ჩემი ძველი სახლი რომ მდგარიყო, ასე საგულდაგულოდ მიზანში არავინ ამოიღებდაო, — დაამატა და ისინი თავისი სიმტკიცით გააოცა...

ვაზის თალარქვეშ განმარტოებული, სიკეთით სავსე ბრძენი მოხუცი ხშირად წარმოუდგება. მის მზერაში მოყვასის მიმართ საოცარ სიყვარულსა და სიმხნევეს ჭვრეტს, რაც ხშირად უიმედობამოძალებულს უდიდეს სიმშვიდესა და ძალას ჰმატებს. ნუგოს წარმოდგენაში, ამგვარი შთაგონებული სახე ექნებოდა სამყაროს შემოქმედს, როცა თავის ხატადქმნილს თიხისგან ძერწავდა. რამდენჯერ უფიქრია, კიდევ კარგი, იგი რამე მყარი მასალისგან არ შექმნა, თორემ სიყვარულის ნიჭს ასე უხვად ვერ მიამადლებდაო...

ნუგო ნაღმის ნამსხვრევებით რომ დაიჭრა, ბიჭებმა მოხუცის ეზოთი, მოკლეზე გადაატარეს. მოხუცი გამოუდგა, მოაბრუნებინა, თალარქვეშ, ხის ტახტზე დააწვენინა, გასაოცარი სიფაქიზით მობანა და დოლბანდით შეუხვია ჭრილობები. მერე მანქანაში ჩაუჯდა და გზატკეცილამდე გააცილა. გამომშვიდობებისას, გაამხნევა და ჩამოსართმევად გაწვდილ ხელში გაზეთის ჩამონახევში გახვეული რაღაც ჩაუკუჭა. ჰოსპიტალში ყოფნისას გონისწამღებმა ტკივილებმა რომ გაუარა, ის, გაზეთის ჩამონახევში გახვეული რაღაცა მოიკითხა და როგორ გაოცდა, როცა შიგ გაცრეცილი, წვრილად დაკეცილი ოცლარიანი და ათლარიანი აღმოაჩინა. გაშრა. უბედურებაში მოყოლილ მოხუცს, ვინ იცის, ამის გარდა იქნებ გროში არც ებადა, მაგრამ ჩან-

და, მისთვის რამეთი მაინც ხელის გამართვა უცდია...

მაშინ გულში ამოიჭრა, თუ აქედან საღ-სალამათი გავიდოდა, მოხუცი მოეძებნა და სიკეთე ერთიათად მიეგო. თუმცა აქედან „მშვიდობიანად“ გასვლა კარგა ხნით გადაიდო. თითქმის რვა თვე ხდება, რაც მის დაჩეხილსა და დასახიჩრებულ მუხლებს დოსტაქრებმა ვერაფერი მოუხერხეს და ცარიელი დაპირებებითღა სულდგმულობს...

როცა ბიჭი დაკვრას მორჩა, ქურთუკი ჩაიცვა, ფანდური აიღო, სკამი თავის ადგილზე დააბრუნა და წასასვლელად გაემზადა.

— პატივისცემა რო გეკუთვნის, ნაღდია, მაგრამ... — წამოიწყო ნუგომ.

— მე მოწყალებისთვის კი არა, თქვენს გასამხნევებლად მოვედი! — ისეთი გამომეტყველებით მოუჭრა ბიჭმა, ნუგომ და ნიკამ კინაღამ ირწმუნეს, რომ მათ წინ ათი წლის მოზარდი კი არა, ასაკოვანი კაცი იდგა.

— კი არ გეწყინოს... სხვა დროსაც შემოიხედე, — დატუქსულივით მიუგო ნუგომ.

— ზეგისთვის უეჭველად ვეცდები.

— ისე, შენ კი გაგვეცანი, მაგრამ ჩვენი ვინაობა რომ არ იცი?

— სანამ შემოვიდოდი, თქვენზე ბევრი რამ გავიგე. ასე რომ...

სიტყვა სიცილმა გააწყვეტინა. ბიჭი გაოცებით მიაჩერდა ნუგოს.

— შენ რო გიყურებ, ჩემზე დიდი მგონიხარ.

— მერე ეს ცუდია?

— ვერაფერს გეტყვი.

— ეს სხვებმაც მითხრეს...

— კარგი ახლა, ყურებს კი ნუ ჩამოყრი, მე ისე...

— მივხვდი.

— ახლა წადი, გეტყობა, გეჩქარება... კიდევ თუ მოხვალ, დედაშენს იმ პოეტის გვარი ჰკითხე... მერიდება, მაგრამ იქნება მისი წიგნიცა აქვს და ცოტა ხნით გვათხოვოს...

— სახლიდან უეცრად გამოვიქეცით... მაგრამ ჩვენებიდან ვინმეს ექნება და უეჭველად გიშოვნით, — იყო მისი პასუხი.

— ესე იგი, მოვილაპარაკეთ, — თქვა ნუგომ და მარჯვენა გაუწოდა.

ბიჭმა თანხმობის ნიშნად ხელი ჩამოართვა, მშვიდობა უსურვა და პალატიდან გავიდა.

* * *

...მესამე დღე ჩვეულებრივ უღიმღამოდ დაიწყო: გულის გამაწყალებელი დილის პროცედურების შემდეგ დიეტური, უგემური საუზმე, მოგვიანებით ექიმების შემოვლა, დამაიმედებელი ფრაზები და საკუთარ თავთან განმარტოება.

ცაც მოღრუბლული იყო და ქარიც ცივი ქროდა.

ფანჯარასთან მოყურყუტე ნიკას მთელი დილა და შუადღე სიტყვა არ დასცდენია. ნუგო დროდადრო გახედავდა, მაგრამ ერთხელაც არ შეხმიანებია. სხვა დროს აუცილებლად ჰკითხავდა, აივანზე „ი გოგო“ ხო არ გამოჩენილაო. ნიკა ან დაუდასტურებდა, ან ცივ წყალს გადაასხამდა, მაგრამ თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ „ი გოგო“ არც არსებობდა და ნიკა იმ გამოგონილ გოგოს და საავადმყოფოს შემოგარენსაც მის გასამხნევებლად ამკობდა უბადლო სილამაზით.

ორივენი დაძაბულები იყვნენ. თუმცა, ნიკას დაძაბულობა იმდენად ძნელი ასატანი არ ყოფილა, რამდენადაც ნუგოსი, რადგან სურვილი კლავდა, ჰოსპიტლის შემოგარენი საკუთარი თვალით ენახა.

ეს უამური სიჩუმე, ალბათ, მთელი დღე გასტანდა, ასე, ექვს საათზე ეზოდან ნაცნობი ხმისთვის ყური რომ არ მოეკრათ. რაღაცის ლოდინით დაქანცული ნიკა ამ დროს საწოლზე წამოწოლილიყო და თვლემას ძლივს უმკლავდებოდა, მაგრამ უეცრად გამოცოცხლდა, წამოდგა, ყავარჯნები მოირგო, ფანჯარას მკვირცხლად მიაშურა და შეაღო.

— ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ, როგორა ხართ, მითხარით, რა გიჭირთ, რა გილხინთ, რით გაგახაროთ!.. —

პალატაში სასიცოცხლო სუნთქვასავით შემოიჭრა ბიჭის ომახიანი ხმა.

ნიკა და ნუგო თავს არ უტყდებოდნენ, თორემ, მთელი დღე თურმე, მის მოლოდინში ყოფილან.

ნიკა ფანჯრის რაფაზე გადაიხარა და ჭრელ, კაპიუშონიან ქურთუკსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილი ბიჭი დაინახა. იგი ფანდურითა და იღლიაში ამოჩრილი მომცრო პარკითურთ ეზოში იდგა, საავადმყოფოს ფანჯრებს ასცქეროდა და ვიღაცებს ეხმიანებოდა.

— აი, მახარებელიც მოვიდა! — წამოიძახა ნიკამ და ტაძრის პაწაწინა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმას მიყურადებულ ნუგოს გახედა.

მრავალთაგან ერთი

ბავშვი შუაღამიდან ჭირვეულობდა, დილაუთენიაზე კი ხმამაღალი ტირილი გააბა და დედის დაყვავება-ალერსმა შვება ვერ მოჰგვარა.

პალატში ხის ტახტზე მწოლ მოხუცს ზედა სართულიდან გარკვევით ესმოდა პატარის ტირილი, რძლის ნაზი ნანინა და ვაჟიშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბუხუნი.

მოხუცი ოთახში მოწრიალე რძლის ფეხის ხმას მოთმინებით აყურადებდა. როცა ბავშვი ვერა და ვერ დაშოშმინდა, წამოდგა და ჩითის თხელი ხალათი სწრაფი მოძრაობით ჩაიცვა.

კიბე რომ აათავა, აივნის ბოლოში, მოაჯირზე დახრილი ვაჟიშვილი შენიშნა.

— რა იყო დედა, რა დეემართა ბოვშს?! — შორიდანვე ჰკითხა შეშფოთებულმა მოხუცმა ნახევრადმთვლემარე შვილს.

— ვიცი?.. მთელი ღამე თვალი კი არ მოგვახუჭინა და...

— შენ შენს თავზე ჩივი დედა, თუ ბოვშის გამო! — საყვედური დასცდა მოხუცს.

— თქვენ რო ბოვშს ვერ მოუაროთ, ესეც ჩემი ბრალი გახადეთ!.. საცოდავი თვალებით მოგვჩერებია და, კივა!..

— მერე, ვერ დამიძახეთ? ამ ნეკისხელა ბოვშს რას აწვალებთ, არ ვიცი?!

— ვენახში ტრიალისაგან ფეხზე ჩამოწყდაო და, ერიდებოდა ნატოს...

— ნეტაი მოცლილები არ იყოთ! — ხელი ჩაიქნია მოხუცმა და საძინებლისკენ გაემართა.

ბავშვატატებული რძალი კარებთანვე შეეგება. მოხუცმა მის უძილობისა და განცდებისაგან ფერმიხდილ სახეს თვალი შეავლო და მიუახლოვდა.

— რა იყო ბებიკო, შენ შამოგევლოს ჩემი სიცოცხლე, რას ჩივი ჩემო მარგალიტო, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო პაწია ვაჟკაცო! — მიუალერსა პატარას, დაიხარა და შუბლზე ტუჩით შეეხო.

— უი, დედა, რა ცხელია! — შეიცხადა და საკუჭნაოს მიაშურა. განჯინის უჯრიდან წამლის შუშები და სახვევე-

ბი ამოაწყო, საძინებელში დაბრუნდა, ბავშვი დედას გამოართვა, გააშიშვლა, საწოლზე დააწვინა, უფერული სითხით ფუნჩულა ტანი, ხელისგულები და შუბლი დაუზილა, ჩააცვა და რწევა-რწევითა და გაურკვეველი სიტყვების დუდუნით ოთახში სიარულს მოჰყვა.

რძალი გაშეშებული იდგა და დედამთილს თვალს არ აცილებდა.

ცოტა ხანში ბავშვი მიყუჩდა. მოხუცმა იგი საწოლზე დააწვინა, ზეწარი გადააფარა და სახეზე მადლიერებააღბეჭდილ რძალს მიუბრუნდა.

— რამდენჯელ გითხარი დედა, რო ასეთ დროს რიდი და ლოდინი არ შეიძლება. ამისი ტვინი ხომ ასეთ თაკარას დიდხანს ვერ გოუძლებს...

— რა ქენით? — მოესმა მოხუცს ვაჟიშვილის ხმა.

— ჩვენი წამლით ვუაქიმე, საყმაწვილოსიც შოვულოცე. სიცხე მალე დოუვარდება, ძილში გამოშუშდება, მარა ექიმი მაინც უნდა მევიყვანოთ...

— ექიმს ფული რო უნდა?

— ვინ თქვა, არ უნდაო?

— რაფელ მევიქცე, არ ვიცი, მთელი სოფელი რო შამეირბინო, კაპიკს ვერ იშოვი.. გოგიასთან ხო არ გადევიდე?

— მეც ეგ ვიფიქრე, პენსიის მოტანას თუ ველოდეთ, დაგვაბერებენ კიდეც, მარა, მირჩევნია თითონ წევიდე.

— ვითამ, რატო შენ?

— ყველაფერი გამიშვით და გამოუშვითზე რო მიდგეს, მერე?

დედა-შვილმა უშფოთველად მძინარე პატარას დახედეს და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

— კაი... წადი და იმას უთხარი, რო...

— თითონაც ვიცი, რაც უნდა ვთქვა. ორი თვეა, ჩვენთან ფეხი არ დოუდგია. ნეტა რამე ხომ არ მეიწია, ასე მიდღემჩი არ უქნია. ფული ყოველთვინ დროზე მოქონდა...

— შენი გულკეთილობით სარგებლობს დედა და ეგაა.

— გულკეთილობა გულკეთილობათ, მარა, ჩემს ნაწვავ-ნადაგს ასე მოტყუებით ვერავინ წამცინცლავს. ახლა, ის ფული რომ მქონდეს, ნიკას ექიმსაც მოვუყვანდით და

პაწა სულსაც მევითქვამდით, მასხრობა არი ას ოცდაათი ლარი.?!..

— აპა, ორმოციო?! — გაიოცა შვილმა.

მოხუცმა მას მზერა მოარიდა.

— მაცალეო, მეხვეწებოდა და ვაცლიდი. რავა გგონია, იქიდან თითონ რას გამორჩებოდა, წველაზე ჰა-ჰა, ორმოც-ორმოცდაათ თეთრს, — სიცრუეში გამოჭერილი უწ-ლოვანი გოგონასავით ნაჩქარევად დაამატა მოხუცმა.

— ფული თუ არ მოქონდა, მაინც რაღას ატანდი?!..

— გითხარი, მეხვეწებოდა, მპირდებოდა, ერთბაშად დაგიბრუნეფო.

— რისი დამბრუნებელია, დედა, ეგ გაღლეტილი გოგია?

— მატყუებდა ვითამ?!

— რა გამოდის, აპა?!

— არა მგონია, თლათ მასე წამხდთარიყო. ჩემს სიძეს, შალვას, სულ საამაყოთ ქონდა მისი სულგანათლებული დედ-მამის მოკეთეობა. მაგათ პატიოსნებას ყოველთვინ შეიძლება ენდოო, იჩემებდა.

— როინდელ ამბებს ყვები, დედა თუ იცი?!. თვალი გაახილე, ვერ ხედავ, ორი გროშის გულიზა ოჯახებს რომ იკლეფენ?..

— ვხედავ შვილო, მარა, რაფელ იცხოვრეფ თუ აღარავის ენდვე...

— რა ვიცი... ნდობა კაია, მარა!.

— მაინც საიდან, ასეთი უმადურობა, არ ვიცი. მამაშენის შემდეგ სამეზობლო-სანათესაოს ხელი რო არ მეემართა, თქვენს გზაზე დაყენებას შევიძლებდი?!

— მე იმის თქმა კი არ მინდოდა!...

— კაი, კაი, სათქმელს რო შევყვეთ... ახლავე გევემზადები, თქვენ აქაურობას მიმიხედეთ, — გააწყვეტინა ქალმა და კიბისკენ გაემართა.

ცოტა ხანში გამოკოპწიავებული მოხუცი ჭიშკრისკენ მიდიოდა. ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყო, რომ სახლის მეორე სართულის აივანზე ხუთიოდე წლის ქერათმიანი გოგონა გამოიჭრა.

— ბებია, მეც წამიყვანე, რა! — დაიყვირა, კიბე ჩაირბინა და ტირილით გაეკიდა მოხუცს.

— ნათია, დაბრუნდი, ბებია საქმეზე მიდის! — დაუძახა გოგონას მამამ. ბავშვმა ყურიც არ ათხოვა, ბებიას მიეჭრა და კაბის კალთაზე ჩამოეკონწიალა.

— მეც წამიყვანე, რა! — ისევ შესტირა მოხუცს.

— უი, შენ შამოგევლოს ბებიაშენი! — მიესიყვარულა მოხუცი, თეთრი ნაჭრით თავმოკრული მომცრო მწვანე ვედრო ძირს დადგა, ბავშვი აიტაცა, სახე დაუკოცნა და ჩაიხუტა.

ბავშვის მამა მათკენ გაემართა.

— სად მიდიხარ, ბებია?! — იკითხა გოგონამ.

— მოსკოვში! — დასცდა ბავშვის სიჯიუტით გაღიზიანებულ მამას.

— მეც წამიყვანე, რა, ბებიკო, მოსკოვში!

— ვერა, ბებიკო, დეიღლები, შორია, — ბავშვის დაყოლიებას შეეცადა მოხუცი.

— შენთან ერთად არ დევიღლები, წამიყვანე, რა, ვედრას მე წამევიღებ და სუ ასკინკილით ვივლი! — ჟინიანობდა ბავშვი.

ბავშვის მამა შედგა და ღიმილით მიაჩერდა ორივეს.

— კაი, ახლა, სოფელს ნუ შემიყრი, ბებია!..

— ვედრაში რა გაქ დედა?! — ჰკითხა უეცრად შვილმა მოხუცს.

იგი შეკრთა. ბავშვი ძირს ჩამოსვა, ვედროს ხელი შეავლო და თავისკენ მისწია.

— ცოტა ტკბილისკვერი და ორი წველა ყველია. აპა, ხელცარიელი ხო არ მივადგები იმ გაჭირებულებს...

— ვალის დამბრუნებელი ხარ ახლა შენე? — მოჩვენებითი ბრაზით ჰკითხა შვილმა.

— ვალი ვალათ, ეს ორი წველა ყველი და ტკბილისკვერი კი მის ბოვშებს...

— მისი ბოვშების ჯავრი არ გასვენებს მაინც...

— კაი, დედა, ამ ერთ ფინჩხა ყველს ნუ დაამადლი ახლა!

შვილი კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ დედის სიტყვებმა გზა მოუჭრა, მტირალი გოგონა აიტაცა და ჩაიხუტა.

— შენ ხო ჭკვიანი ბაჭია ხარ. აი, ნახავ, ბებია მალე დაბრუნდება, — დაუყვავა და გოგონა სახლისკენ წაიყვანა.

მოხუცმა შვებით ამოისუნთქა. ვედროს თეთრი ნაჭერი თავზე გულდასმით მოუსწორა, ჭიშკარში გავიდა და გზას დაადგა.

ეზოს კარგა მანძილზე რომ გასცდა, კუდბუთქუნა, ჟღალი ფერის ძაღლი აედევნა.

— ჯეკა, ახლავე დაბრუნდი სახში! — შეუწყრა მოხუცი.

ძაღლი შედგა, ჯერ სახლის გზას გახედა, მერე მობრუნდა, მოხუცს მიუახლოვდა და ლაქუცი დაუწყო.

— შენღა მაკლტი ახლა! — უსაყვედურა მოხუცმა.

ძაღლი საბრალო გამომეტყველებით მიაჩერდა.

— კაი აპა, წამო! — დათმო მოხუცმა.

ძაღლმა ომახიანად შეჰყეფა, კუდი დააბათქუნა, წინ გაიჭრა და მოხედა. მოხუცს გაეღიმა. ძაღლის დამწევი ან გამსწრები სად იყო, მაგრამ ამ სულიერს მასზე ასეთი წარმოდგენა რომ ჰქონდა, ესეც დიდ ნუგეშად მიიჩნია.

— ამ დილაუთენია საით, ბაბილინა? — მოესმა ნაცნობი ხმა.

მარჯვნივ დაფნის მწვანე ტოტებმა გაიშრიალეს. აკაციის სარებს შორის ძონძროხა ქალი დალანდა.

— გაღმა, გოგიასთან. პაწია ბიჭი ავათ გაგვიხდა, სახში გახვრეტილი გროში რა არი, აღარ გვიგდია და, იქნება რაცხა გამეიმეტოს-თქვა.

— რას მეუბნები! ამ არგასაწყვეტ ხბოებს გადავდენი და ბოვშსაც შავხედავ... ისე, გოგიას უთხარი, თამარამ შამოთვალა, ვალს როის დააბრუნეფ, წელიწადი გადის, არ მაღირსე-თქვა. იმ აღმართზე ბღოტიალი სა შემიძლია, გოო. მუხლები თლათ დემეხუთა, გოგია აქეთ არ ჩამოშავდა და ქენი სიკეთე, უთხარი, ასეა მაგის საქმე-თქვა...

— ოუცილებლათ ვეტყვი, — დაიმედა მეზობელი.

— მეტი არ იქნა ჩემი მტერი, რო მაგან ამდენი ვალი ერთბაშათ გეისტუმროს. ამბობენ, ნახევარი სოფლის მაინც მართებსო, ან რით აპირებს ყველას ერთბაშათ გასტუმრებას, არ ვიცი!.. — ესმოდა თავის თავთან ხმამაღლა მოსაუბრე მეზობლის დუდუნი, სანამ შუკაზე გადაუხვევდა.

იქ გზა ორად იყოფოდა: ერთი „ეკლებში“, მოკლეზე გადიოდა, ხოლო უფრო შორი, წყაროსთან. „ეკლებში“

სიარულს წყაროსთან ჩამუხლვა და ცივი წყლის დალევა ერჩია. წინ მიმავალი ძაღლი წარამარა ყურებს ცქვეტდა, ჩირგვებში მოფრთხიალე ჩიტებს ყეფით აფრთხობდა, ჩერდებოდა და მოხუცს კმაყოფილების ნიშნად ამოჰხედავდა ხოლმე.

წყაროსთან შეისვენეს, ცივი წყალიც იგემეს, შემდეგ ბოგირი გადაიარეს და მეზობელი სოფლის აღმართს შეუყვნენ. მოხუცი სვენებ-სვენებით მიაბიჯებდა. საცალფეხო ბილიკი შუკას რომ გადაება, სახელდახელოდ გამართულ ძელსკამზე ჩამოჯდა. ძაღლი მის ირგვლივ მოუსვენრად წრიალებდა, პატრონის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა, მერე გაიქცა და მათკენ მომავალ, ჯოხზე დაყრდნობილ ბერიკაცს ყეფით შეეგება.

— ჯეკა, მოდი ჩემთან! — მიიხმო მოხუცმა და ძაღლის ყეფაზე შემდგარი ბერიკაცი გაამხნევა, — ნუ გეშინიათ, ბატონო, არ იკპინება!

ძაღლი მოხუცისკენ გამოემართა, შორიახლოს შედგა და ბერიკაცს უნდობარი გამომეტყველებით მიაჩერდა. ბერიკაცი ძელსკამს რომ მიუახლოვდა, სახე მოიჩრდილა და მოხუც ქალს დააკვირდა.

— ბაბილინა ხარ, შენე? — დაეჭვებით ჰკითხა.

— გახლავარ, — დაუმოწმა მოხუცმა და შავებში გამოწყობილი, ტანთხელი ბერიკაცი ყურადღებით შეათვალიერა.

— უი, დუხუნა! რავა გიკითხო, შენი ჭირიმე, რამდენი ხანია, რაც შენთვის თვალი არ მომიკრავს... ისე, ძაან კი შეცვლილხარ. თითონ რო არ გამომცნაურებოდი, ქე ვერც გიცნობდი! — შეიცხადა ქალმა, წამოდგა, ბერიკაცს მიეგება და ხელი ჩამოართვა.

— შენ ისევე ისე გამეიყურები, ვითამ წლები არც შეგხებოდეს, — მომღიმარი სახით დაამატა ბერიკაცმა.

— რას შობი, ჩემო დუხუ, რავა გყავს ცოლ-შვილი, — სიტყვა ბანზე აუგდო მოხუცმა ბერიკაცს.

— ვწვალობთ მე და ჩემი დედაბერი! ახალგაზრდებმა გუდანაბადი კაი ხანია აიკრეს. ზოგი საზღვარს იქითაა, ზოგიც ქალაქში. რავარც ახერხებენ, ხმას გვაწვდენენ და

ვართ ასთე... შენ ის მითხარი, თითონ რავა ხარ? შენც ხომ არ მიგატოვეს შვილებმა?!.

— ეჰ, რაღა გითხრა, ჩემო დუხუ, უნცროსი ბიჭიღა შამომრჩა. იმასაც თვალი გაქცევაზე აქ. უმაღლესი სოფლის ტალახის საზელად დამამთავრებიეო? მსაყვედურობს. სამსახურში შეამცირეს, ქალაქში არსებობაც ხო უნდათ?.. სხვებს კიდო, შემოდგომამდე არც ველოდები, აქ დასვენებას არ კადრულობენ. თითქოს აქაური არც ჰაერი იყოს მარგებელი და არც წყალი.

მოხუცი შეყოვნდა და მათ ქვემოთ გადაშლილ, სიმწვანეში ჩაფლულ, მთებით შემოგრაგნილ თვალწარმტაც ველზე გაშლილ სოფელს გახედა.

— მითხარი ერთი, აქაურობის პატრონი სხვაგან უნდა გარბოდეს?..

— შენ ჩვენსას უნდა ნახო, დედაბუდიანათ ისე გეიკრიფენ, გეგონება, აქაური მიწა გაბელწდა და მათ რჩენაზე ხელი ეიღო. ამბობენ, ბევრი უცხოეთში გადეიხვეწა, რაღაც გროშების ფასად საბერძნეთსა და თურქეთში აქ რო არც იკადრებენ, ისეთ სამუშაოზე ყაბულდებიანო. — ეს მიწა მიდღემჩი რამდენ ხალხს ინახავდა. რა მოხდა ნეტა, რატო არ უჩერდებათ აქ გული. რავა, მარტო სხვისი ბედნიერების ცქერაში უნდა ვიყვეთ, სხვისი ნასუფრალით ვარსებობდეთ?.. ამას წინათ საღაციდან ჩამოსულმა მეზობლის ბიჭმა მითხრა, იქაურ არც წყალს, არც პურს და არც ხილს ნაირიანი გემო არა აქო... სასწაულია პირდაპირ, უცხოეთში მოსახვედრათ მაინც რამდენს წვალობენ.

— ეტყობა, გადაგვარდა ჩემო დაია, ქვეყანა, — ხელის ფშვნეტით უპასუხა ბერიკაცმა და დაღონებული სახით გორაკებზე შეფენილ სოფელს გახედა. გახსოვს, ეს გორაკები რავარი ვენახებით იყო დაფარული? იმ კარ-მიდამოებში რახანია სულიერს არ გოუჭაჭანია. ეზოებში თითო-ორ-ოლა საუკუნემოყრილი ცაცხვი თუ მუხაა გაბარჯღული, ეს არი და ეს. მითხარი, დავარდნილი მოხუცების ამარა დარჩენილი სოფელი, სოფელია?!. ნეტა, რას უყურეფს ეს თავრობაი. თუ ასე გაგრძელდა, ამ არემარეს უცხო ხალხი დაეპატრონება. ამას წინებზე შვილიშვილმა მითხრა, სადღაც, ცხრა მთას იქით, გადოუწყვეტიათ, საქართველოში

მოსახლეობა უნდა შეამცირონ და ამიტომაცაა, თავრობამ ყველაფერზე ხელი ეიღოო.

— ღმერთო, ნუ მიწყენ და, იმ დღეს ნუ მოსწრებია ნურც ერთი თავრობაი!

— ამინ. მეც მაგას ვჩივი. მეზობლები ოუხირდენ ბიჭს, რავა ჭორებით გამოგვიჭედე ყურიო, მარა, რო დოუკ-ვირდე, ქე გავს სიმართლეს... ის თავრობა რა თავრობა არი, დაპირებებსა და ქადილს რომ ვერ გაცილდა. ა, ბა-ტონო, თვალი მოავლე ჩვენს სოფელს და თქვი, პატრონის ხელი თუ ატყვია...

— შენ თუ გგონია, ჩვენთან უკეთესობაა...

— ვიცი, ჩემო იმანო... ისე, კაი დროისაა, მარა, აქეთ საით გაგიწევია.

— საქმე მაქ გოგიასთან.

— გოგიასთან? — დაეჭვებით იკითხა ბერიკაცმა, — რა საქმე უნდა გქონდეს მაგ დოყლაპიასთან. ჩვენთან რო შამოივლიდე, კაის იზამდი. აგერ, უშობელი მყავს აქანა სა-ბალახოთ, გამოვდენი და ამ წუთში გეახლები.

— ნამეტანი მეჩქარება, ჩემო დუხუ...

— მინადორას ძაან გაახარებდი.

— სხვა დროს იყოს, მინადორა მომიკითხე. გოგიას ცოტა ვალი აქ დასაბრუნებელი, და...

— რა ვალის დამბრუნებელი არი ეგე, ჩემო დაია!

— ვითამ არ ღირს, დავბრუნდე?

— არა, დაბრუნებას ვინ ჩივა, ერთი ქე უნდა შეაჯან-ჯღარო ის ლენჩი...

— წვრილშვილის პატრონიათქვა და...

— ე, მაგითი დეიხვია თითზე თელი სოფელი...

— რავარც ვხედავ, არ ღირს მარა, სხვა ჩარა რო არა მაქ?

— უსათუოთ მიდი, ამხელა გზა ტყვილა ხო არ გამოგივ-ლია.

— კაი, ჩემო დუხუ, რისი დამბრუნებელია, იმას მაინც შევიტყოფ, — უპასუხა მოხუცმა ქალმა ბერიკაცს, დაემშ-ვიდობა და შუკას აუყვა.

ეკალბარდით გადავლილ ეზოებს თვალს არიდებდა. ამ ეზოებიდან ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა. ადამიანთაგან

დაცლილი სოფელი გამოციებულ სასაფლაოს აგონებდა.

„ნეტაი, შინ დავტეულიყავი, ვითამ ამათი სიდუხჭირის ნახვა მაკლტა, მარა, ჩემი პაწია ბიჭი, ჩემი თვალის ჩინი ავათ რო მყავს? იქნება ამ გოგიამ ორი გროში გემეიმეტოს და ბოვშს ექიმი მაინც მოვუყვანოთ...“ — ფიქრობდა მოხუცი.

გოგიას სახლ-კარი რომ გამოჩნდა, რატომღაც იმედი მიეცა, რომ ამაოდ არ დამშვრალა. ფეხს აუჩქარა. ჭიშკართან მისულმა მისი ეზო-ყურე ყურადღებით მოათვალიერა. წარსულში მამამისის მიერ ლაზათიანად გამართულ აგურის ორსართულინ სახლსა და წინა ეზოს მოვლა-პატრონობა ეტყობოდა, თუმცა ვაზნარი და საყანე სარეველით იყო გადავლილი. ეზოში ფრთაშეკვეცილი ორი ვარია დაკინკილებდა. ჭიშკართან სკვინჩისდარი ჭრელი ლეკვი კუდის ქიცინით მიმორბოდა.

— მაინძელო! — დაიძახა მოხუცმა და სახლის დაგმანულ კარებს მიაჩერდა.

გამეორება არ დასჭირვებია. ლაფაროდან მომცრო ტანის დედიშობილა ბიჭი გამოტანტალდა, ცალი ხელისგული სარცხვინელზე აიფარა, ჭიშკართან მდგომ მოხუც ქალს და ძაღლს თვალი შეავლო, სახლის კარი ჭრიალით შეაღო და გაუჩინარდა. წამში კარმა ისევ გაიჭრიალა და სხვადასხვა ასაკის ოთხმა, თითქმის ტიტლიკანა ბიჭმა გამოიხედა. ერთი ისევ შებრუნდა, ხოლო დარჩენილები ადამიანის უნახავებივით შეჰყურებდნენ ჭიშკართან მდგომ მაღალ, რუხი ფეხის თავსაფრიან, კოპლებიანი კაბით შემოსილ სანდომიან მოხუცს, ხელში ლამაზი მწვანე ვედრო რომ ეჭირა, ხოლო კუდბუთქუნა, ჟღალი ფერის აცეტებული ძაღლი ეზოში მოკინკილე ვარიებზე იწევდა და ჭიშკარს ამაოდ აწყდებოდა.

— ბოვშებო, გოგია სახშია? — ჰკითხა მოხუცმა ბიჭებს.

— კიე! — დაუმოწმა მათ შორის მაღალმა.

— უთხარით, გაღმიდან ბაბილინა მევიდა-თქვა.

— მობძანდით, მამიკო ახლავე გამოვა, — შეიწვია მოხუცი იმავე ბიჭმა.

როგორც კი მოხუცმა ჭიშკარი შეაღო, ძაღლმა იხელთა და ვარიებისკენ გაქანდა.

— ჯეკა, მოდი ჩემთან! — მკაცრად შესძახა სტუმარმა ძაღლს. ისიც შედგა, პატრონს გულდაწყვეტით ახედა, ნაცემივით მიეახლა, ჩაიმუხლა და წკმუტუნით გაერთხა მიწას.

ბიჭები თვალდაჭყეტილები შეჰყურებდნენ ეზოში მდგომ ამ უცნაურ მოხუცს და მის ფეხთით მოწკმუტუნე ძაღლს და, ალბათ, დიდხანს იქნებოდნენ ამგვარად გალურსულები, კარის ჭრიალისთვის ყური რომ არ მოეკრათ.

— იმე, ბაბილინა, ამხელა გზაზე რავა შეწუხებულხარ. შამობძანდი ჩვენს ქოხში, შენი ჭირიმე! — მოისმა კაცის არაბუნებრივად მიკნავებული ხმა, მერე თვითონაც გამოჩნდა: საშუალოზე მაღალი, უზომოდ გაჩხინკული, თავზე თმაშეთხელებული, წვერგაუპარსავი, ერთიანად გარუჯული, მარტო თვალებად ქცეული კაცი, რომელსაც არც ახალგაზრდა ეთქმოდა და არც მთლად ხნიერი. მუხლისთავებზე დაკერებული, რეცხვისაგან გაუფერულებული შარვალი კოჭებამდე უწევდა, ფეხები დამსკდარ ბოტასებში წაეყო, მის შესაბრალის გარეგნობას კი რუხი ფერის შელანძღული პერანგი აგვირგვინებდა.

მოხუცი ქალი დაკვირვებით მიაჩერდა დამხვდურს.

ძაღლს კუდის ქიცინი და წკმუტუნი შეეწყვიტა და კისერმოღრეცილი, გალურსული შეჰყურებდა კარებში მდგომ ამ მოჩვენებას. უეცრად წამოიჭრა და, თითქოს პატრონის ავი სულისაგან დაცვა სურდა, ორჯერ დასჭექა და მუქარით დაიღრინა.

— ხმა ჩეიწყვიტე, ჯეკა! — დაუცაცხანა მოხუცმა.

ძაღლი ჩაცუცქდა, მორჩილად მიწას გაერთხა და გაოცებისმაგვარი გამომეტყველება შეეყინა სახეზე.

კაცი წელში მოიხარა, მიეახლა სტუმარს, ხელი ჩამოართვა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— რატო ვდგავართ აქანა, სახში შამობძანდი, ჩემო ბაბილინა! — შეიპატიჟა.

— ბოვშებო, მოდით აქ! — მიიხმო მოხუცმა კარებთან ატუზული თვალებდაჭყეტილი ტიტლიკანები, — ა, ეს თქვენ, — მიაწოდა ვედრო, — მანდ ცოტა ყველი და ტკბილისკვერებია. ჭიქა წყალი მომიტანეთ, აგერ ჩამოვჟდები და ამევისუნთქავ პატარას, თუარა, ამ აღმართმა...

— ე, მაგას ვჩიოდი, ამ აღმართზე აქოურებსაც ქე გვიჭირს ბობღვა. ისე, ხვალ-ზეგ კი ვაპირებდი თქვენთან, აპა?

მის სიტყვებზე სტუმარს იმედი მიეცა და, ტყუილა როდი მოვსულვარო, თავი გაიმხნევა.

ბავშვებმა ვედროს ხელი დაავლეს და ჟრიამულით გააქანეს სახლისკენ. მერე მობრუნდნენ, ცაცხვის ჩრდილში სკამი დაუდგეს, ჭიქით ცივი წყალიც მოართვეს, მოშორებით დადგნენ და ტკბილისკვერების ჭამაში გართულნი მათ თავზე ასე მოულოდნელად დატეხილი სიხარულის მომტან მოხუცსა და მის ქანდაკივით გატრუნულ ძაღლს თვალს არ აცილებდნენ.

— მე კი დაგასწარი და...

— აპა, ეგა თქვი! ისე, ჩემი ბაღნებიზა რავა შეწუხებულხარ, მადლობა მომიხსენებია, ჩემო ბაბილინა, ღმერთმა ქნას, რომ ეს პატივისცემა ერთიათად გადემეხადოს... — არ ცხრებოდა მასპინძელი.

— ეგ რა სახსენებელია, შე კაი კაცო, შენ ისა თქვი, რავა ხართ, რავა მიგდისთ საქმე... ა, ახლა მოგვიკითხავს, ან ახლაო, თავს ვიიმედებდი, მარა... მეზობლებმაც შამოგითვალეს, იქნება გვნახოსო.

სტუმრის სიტყვებზე ნირწამხდარმა მასპინძელმა თავი ჩაჰკიდა და გაიტრუნა. მერე ქვემოდან ამოხედა.

— ცოტაც დამაცადეთ, სულ ცოტაც და, ყველას ერთბაშად გაგისტუმრებთ! — წამოიძახა უეცრად, მხრებში გაიმართა და სტუმარი შინ შეიწვია.

მოხუცი წამოდგა და რატომღაც ავი წინათგრძნობით შეძრული სახლში შეჰყვა მასპინძელს.

* * *

მოხუცმა ქალმა სახლის კარი გამოიჯახუნა. არავის გამოუცილებია. ჭიშკარში რომ გადიოდა, სახლსა და ეზოს თვალი მწყრალად მოავლო, — დაღუპულები! — წამოიძახა, ხელი ჩაიქნია და მისი ასაკისთვის უჩვეულოდ ჩქარი ნაბიჯით გზას გაუყვა.

არსად შეჩერებულა. არც მიტოვებული ეზოებისკენ

გაუხედავს, მიწას დაჰყურებდა და გულის კვნესას ძლივს უმკლავდებოდა. ყურებჩამოყრილი ძაღლი ძუნძულით მიჰყვებოდა. ზოგჯერ წინ გაუსწრებდა, თუმცა, როგორც კი მის გამეხებულ სახეს თვალს შეავლებდა, ისევ ჩამორჩებოდა და ცდილობდა, საკუთარი არსებობა არც კი შეეხსენებინა.

წყაროსთან ცოტა ხნით შეყოვნდნენ. ცივ წყალსა და წყაროსპირა სიგრილეს მოხუცისთვის ცოტა შვება მაინც უნდა მოეგვარა, მაგრამ, — ეს რა გამიბედა იმ ღვთის გლახამ! — წამოიძახა და ფეხზე წამოიჭრა.

ძაღლმა დანაშაულში მხილებულივით თავი ჩაჰკიდა.

— არა, ასე როგორ მეისპო ეს ქვეყანა, კაცი კაცათ არ ვარგა და ქალი ქალათ! — დაამატა და გაალმასებული, სახლისკენ ამავალ შუკას აუყვა.

გადასახვევთან თავშეყრილი ახალგაზრდები არცკი შეუმჩნევია. მოხუცის უყურადღებობით უკმაყოფილოებმა თვალი გააყოლეს და მისი სახის გამომეტყველებაზე ერთხმად აყაყანდნენ.

— ბაბილინა, რაიო, გოგიამ?! — გააგონა დაფნის ბუჩქებს იქით საქმით გართულმა მეზობლის ძონძროხა დედაკაცმა.

— ჭირი და არგადარჩენა მაგას! — მწყრალად შეეპასუხა მოხუცი და ისე წავიდა, არც კი შემდგარა.

— იმე, დაგვიკარქია ჩვენი ფული და ეგ არი! — დაასკვნა მეზობლის დედაკაცმა. იქვე გაიოცა, ამ დარბაისელი და ტკბილი ქალისაგან ასეთი მწარე სიტყვები მისდღემჩი არ მსმენია, ნეტა რამ უკბინაო, და საქმე ანგარიშმიუცემლად გააგრძელა.

სახლს მიუახლოვდნენ თუ არა, ძაღლი დაწინაურდა, მოხუცს თვალი შეავლო, ფეხს აუჩქარა და მაცნესავით ადგილს მოწყდა.

მოხუცი ჭიშკარს რომ მიადგა, ძაღლი ტალავერის ჩეროში, მისი ვაჟიშვილისა და რძლის შორიახლოს ჩაცუცქულიყო და გატრუნული გზას გაჰყურებდა.

ჭიშკრის ხმაურზე ვაჟიშვილი ფეხზე წამოიჭრა, პატარაატატებული რძალიც წამოდგა, მამას კნაჭა გოგო გამოუდგა.

— ბებიკო, რა ჩამომიტანე მოსკოვიდან?! — შეაგება ბავშვმა ეზოში შემოსულს.

მოხუცს სახე გამეხებოდა. ბავშვის სიტყვებს მის ყურთასმენამდე აღარ მიუღწევია.

— დედა, რა იყო, ვინმემ რამე ხომ არ გაკადრა?! — აიძაგრა ვაჟიშვილი.

— წყალი! — ამოიკვნესა მოხუცმა და იქვე ჩაჯდა.

ვაჟიშვილმა დოქით წყალი მიურბენინა.

— სახეზე შემასხი!

— ცივია! — გააფრთხილა შვილმა.

— კაია, კაი! — დაამშვიდა მოხუცმა.

შვილმა წყალი პეშვზე დაისხა და დედას სახეზე შეასხურა. ქალს გააჟრჟოლა. ზანტი მოძრაობით თავსაფარი მოიძრო, სახეზე ჩამოისვა, ძილბურანიდან გამორკვეულივით, ირგვლივ მიმოიხედა და მის წინ ჩამუხლულ შვილს, რძალსა და შვილიშვილებს თვალი მოავლო.

— დოუწია ბოვშს სიცხემ? — იკითხა.

— თურმე კიჭებს ამოუჭრია, — მიუგო რძალმა.

— რაი, კიჭებიო?! — სახე გაუნათდა

— ბებიკო, ბებიკო, რა მომიტანე მოსკოვიდან? — სულწასულივით წამოიძახა გოგონამ.

— გადამრევს ეს ბოვში, რა მოსკოვი დეიჩემა! — გაწყრა მამამისი.

— შენ თითონ არ უთხარი, მაგან რა იცის აპა, მოსკოვი?! — გაიკვირვა მოხუცმა და პატარა შვილიშვილისკენ ხელი გაიწვდინა.

რძალმა ბავშვი კალთაში ჩაუგორა. გოგონაც მიეტმასნა. მოხუცმა ორივე მკერდზე მიიხუტა.

— დედა, დაქანცული ჩანხარ, შინ შევიდეთ და მეისვენე! — მიმართა მოხუცს შვილმა.

— ამათ შამეევლოთ ჩემი თავი, ესენი კარგათ მყავდენ და რაღა მიჭირს! — უპასუხა შვილს და შვილიშვილები ჩაკოცნა.

— დედა, მაინც რა მოხდა იქ... რაო, გოგიამ, გაგისტუმრებთო? — ფრთხილად ჰკითხა შვილმა.

მოხუცი წამით გაყუჩდა, მერე შვილს მიაჩერდა და წყრომით თვალი დააკვესა.

— კიო...

— მაინც, როდისო?

— ცოტა მაცალეთ, სულ ცოტა... აგერ, ეს ქალი მორჩება, ბოვშს გავყიდით... და ყველას გაგისტუმრებთო...

— რაიო?! — წამოიძახა შვილმა და ფეხზე წამოიჭრა.

— ბოვშს გავყიდითო!.. — გაიმეორა მოხუცმა და შვილიშვილები მკერდზე ისე მაგრად მიიკრა, გეგონებოდა, მათ წართმევას უპირებდნენ.

— ეს რამ ათქმევინა, კიდე კაი, იქ არ ვიყავი, თუარა, ვერ გადამირჩებოდა! — წამოიძახა აღშფოთებულმა შვილმა.

— ნეტა კაცი რატომ არა ვარ-თქვა, ვინატრე.

— დალაგებულად მოყევი, რავა იყო.

— რა არი მოსაყოლი, დედა... გინდა თუ არა, შინ შევიდეთო. რა ფარცაგიც დამხვდებოდა, ქე ვხვდებოდი და ფეხი უკან მრჩებოდა, მარა, უარი ვერ ვაკადრე. მტერს და ავს, რაც მე იქ ნავხე... სახლი ერთიანად გამოუსვარსვალებიათ, თუ რამე ავეჯისნაირი ქონიათ, გოუყიდიათ და ახლა იატაკზე ყრიან... შამეიყვანა ის უბედური დედაკაცი, ფეხზე ძლივს იდგა, თავი ზეით არ ოუწევია, სირცხვილისაგან იწოდა...

— გოგიაი?!.

— არგადარჩენა მაგას! იდგა და კნაოდა, ჩემია და რაშიც მინდა, იმაში გამევიყენეფო... ღმერთო, რამდენს წლობით ენატრება, ხშირათ არც უჩთება შვილი. ამ ღვთის პირიდან გადავარდნილს კიდო ერთმანეთზე უკეთესი, ჯანიანები ახვევია და... გავყიდიო!.. დევემუქრე, ამ ამბავს თელ სოფელს მოვდებ და მერე როგორც იკნავლეფ, იმასაც ნავხავ-თქვა.

— მერე, რაიო!

— მუხლებში ჩამივარდა, არ გამამხილო, ჩვენე სხვა გზა არ გვაქო... იმ უბედურმა ქალმა, არაო! ისე უკივლა, ლამის ჭერი დაგვამხო...

— და შენ ggონია, არ ჩეიდენს ამას?

— მთლად მაგდენს ვერ ვფიქრობ, მარა შეიძლება ქალს ვერ მეერიოს...

— თუ მეერია, მაშინ რას იზამ, მართლა საქვეყნოთ გამოაჭენეფ?

მოხუცი დაიბნა. შვილს თვალი მოარიდა და გაიტრუნა.

— სირცხვილია, დედა! — ამოიგმინა კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— რა არი სირცხვილი, ამის გამხელა, თუ გაკეთება?

— მოგვეჭრება თავი, დედა!..

— მაგისთანებს იმის იმედი აქვთ, რაც არ უნდა ჩეიდინონ, სოფელი გაუჩუმდება.

— იქიდან რო გამევედი, ამაზე ვფიქრობდი. იმაზეც, რა დღეში ჩავცვინდით, ნეტა საითკენ მიექანება ეს ქვეყანა-თქვა... ნეტა ამ უბედურ ადამიანებზე არავინ უნდა იზრუნოს?..

— ბებიკო, ბებიკო, მწვანე ვედრა რა იქნა, მოსკოვში დაგრჩა? — კაბის კალთა ჩამოქაჩა გოგონამ ბებიას.

— უი, სულ არ დამავიწყდა?! — გაიკვირვა მოხუცმა, — იმ ვედროს შენი ჭირი წოუღია, ბებიკო, ქალაქში რო წავალ, ახალს გიყიდი, ჩემო თვალის ჩინო! — დაუყვავა მოხუცმა შვილიშვილს.

ბავშვმა ბებიას დაპირება მათკენ მომავალ დედას მიახარა. ძაღლი ბავშვის ირგვლივ დარბოდა და ელაქუცებოდა.

— რა გვეშველება, დედა? — ჰკითხა მოხუცმა შვილს.— რა ვიცი! სანამ გულშემატკივარი და ნამდვილი პატრონი არ გამოუჩთება ქვეყანას, არაფერი.

— როის მერე, ან გამოუჩდება კი?

— გამოუჩდება, დედა.

— იმ ღვთისგარეგან გოგიას თუ დაადგება საშველი?

— უეჭველათ.

— შენს პირს შაქარი! — უპასუხა გამხნევებულმა მოხუცმა, წამოდგა, პატარა შვილიშვილი მკერდზე მიიხუტა და სახლისკენ გაემართა.

* * *

გზაჯვარედინზე მთვრალი კაცი დაბორიალობდა. ხელში მძიმე ჩანთა ეჭირა და, ცალ მხარეზე გადაზნექილს, ვერ გადაეწყვიტა, რომელ გზას დასდგომოდა.

არემარეს ბინდი ეპარებოდა.

კაცმა, ბოლოს და ბოლოს, ჩანთა გზაჯვარედინის მაჩვენებელთან მიიტანა, ზედ დაჯდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ბოძს მიეყრდნო.

ერთხანს ძილს ჯიუტად უმკლავდებოდა. ქანცგაწყვეტილმა ის იყო, ჩასთვლიმა, რომ გზაჯვარედინს თივით სავსე დანჯღრეული სატვირთო მანქანა მიუახლოვდა, სიჩქარეს უკლო და შეჩერდა.

— გოგია არ ხარ კაცო, შენე?! — გადმოსძახა მძღოლმა მთვლემარეს.

პასუხს რომ ვერ ეღირსა, მძღოლი მანქანიდან გადავიდა და მთვლემარე შეაჯანჯღარა.

— გეიღვიძე ბიჭო, გეიღვიძე-თქვა, თუარა, პირველივე ჩამვლელი გაგატიტვლებს და უყარე მერე კაკალი! — ჩასძახა.

მთვლემარე შეირხა, წამოიჭრა და გაიწია, მაგრამ მძღოლმა მხარზე ხელი ჩაავლო და თავისკენ მოქაჩა.

— გურამია ვარ, ბიჭო, სა დოზანაში მიშავდები, არ ვიცი? მაშინაში ჩაჯე და წევიდეთ, თუარა საცხაა დაგვიღამდება.

მთვრალს უაზრო გამომეტყველება თანდათან დაეწმინდა, თავი გააქანა და მძღოლს დააკვირდა, რომელმაც მისი ჩანთა აიღო და ზურგზე მოიგდო, მერე თვითონაც დაიძრა და ბანცალით უკან მიჰყვა.

მძღოლმა მანქანა დაქოქა და ის იყო, სიჩქარეში ჩააგდო, რომ აფორიაქებული მთვრალი კარს ეცა.

— არ გეყურება შენე? გურამია ვარ და სახში მიმყავხარ! — ჩასძახა მძღოლმა, ხელი ჩაავლო და ადგილს დაუბრუნა.

მთვრალი მისკენ შემოტრიალდა და დააკვირდა.

— შენ ხარ?.. სა იყავი, ბიჭო! — გაოცება ვერ დაფარა.

— თივას ვწიკავ... შენ თითონ საიდან მომსევრდები... ასეთი გაპარსული, გამოპრანჭული და ნაქეიფარი კაი ხანია აღარ მინახივხარ.

მთვრალს მძღოლის სიტყვები არ ეჭაშნიკა, თავი ჩაჰკიდა.

— არ მითხრა ახლა, ბაბუაჩემის დამარხული განძი ნავხე საცხაო!

— გავახერხე რაცხა.

— რაი... კაცო?! — შეუბღვირა მძღოლმა.

— რაი და, იმდენი ვიშოვნე, ვალებსაც გევისტუმრებ, და პაწა მეც სულს მევითქვამ.

— რაფერ?! — იკითხა გაოცებულმა მძღოლმა.

— რაფერ და, მაგას შენ არავინ გკითხავს!

— მეიცა... ახლა გამახსენდა.... გუშინ ვინცხა ამბობდა, ერთად წევიდენო... სა არის თეო, ბიჭო!

მთვრალი დაიბნა.

— სა არი შენი ცოლი, ბიჭო, ქალი თვეში დგას! — ჩაეძია მძღოლი.

— საავანტყოფოში, — გამოტყდა იგი.

— მორჩა უკვე?

მთვრალი დუმდა. ქურთუკის გულისჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, აკანკალებული ხელით მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და გზას მიაჩერდა.

— ბოვში მკვტარი დეიბადა, — როგორც იქნა, ამოღერღა.

— ხო არ მატყუეფ! — ეჭვი ვერ დაფარა მძღოლმა.

მგზავრი ხმას არ იღებდა. სიგარეტი რამდენიმეჯერ მოქაჩა, ნამწვი სარკმელში მოისროლა და თითქმის გამოფხიზლებული სახით მძღოლს მიუტრიალდა.

— ჩემი ბოვში შენე ასე რაში გედარდება?! — ცივად მიახალა.

— გაყიდე, ბიჭო?!

— საიდან იცი?! — ბრიყვულად გაიკვირვა მგზავრმა.

— მერე იმ ფულით გამეიპრანჭე, მუცელიც ამეიყორე და ახლა ასე დატვირთული მიდიხარ სახში?

— რაცხა ნამეტანი გოუტიე! — მუქარა გაისმა მგზავრის ხმაში.

— რამ გაქნევია ესე, ღმერთის მაინც არ გეშინია?!.

— მეიგონე ახლა... ღმერთი კი არა, ის არ გინდა კიდე!.. — ჩაიქირქილა მგზავრმა.

— რაი, რაი თქვი?.. ემწუთას ჩემი მანქანიდან ჩეეთრევი, გეყურება?! — აიყალყა მძღოლი და მუხრუჭებს დააწვა.

თუმცა ამაოდ, მანქანა დაღმართზე მთელი სიჩქარით მიექანებოდა. მძღოლს არნახული ძალის მოხმობა დასჭირდა, რომ თავდაღმართის მოსახვევთან საჭე დაემორჩილებინა და მანქანა სწორზე გაეყვანა.

რამდენიმე ხანს ორივენი დუმდნენ, გზას მისჩერებოდნენ და ერთიანად დაძაბულები თავბრუდამხვევი სიჩქარით მქროლავი მანქანის ბორბლების ღრჭიალსა და ძრავის დგანდგარს მონუსხულებივით აყურადებდნენ.

შორს, გორაკებზე, აქა იქ მბჟუტავმა სოფელმა იელვა. თუ ამ გორაკებამდე მიაღწევდნენ, მძღოლი იმედოვნებდა, რომ მანქანას როგორმე შეაჩერებდა და მის გვერდით გათხლაშულ ამ უწმინდურსაც თავიდან მოიცილებდა, მაგრამ წინ ღრანტეებით შემორკალული ვიწრობი და რამდენიმე მკვეთრი მოსახვევი ედოთ და ვინ იცის, რა ელოდათ.

მძღოლმა ძრავა გათიშა და ამ გზით სიჩქარის შენელებას შეეცადა. მის ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მანქანას ვერა ძალით ვერ იმორჩილებდა, — „დამთარსა ამ შობელძაღლმა!“ — გაუელვა გვერდით მჯდომის მისამართით და გაგულისებულმა გზას თვალი მოსწყვიტა.

მგზავრი სასოწარკვეთილი სახით უკანა სარკმელს მისჩერებოდა.

— რა იყო?! — ჰკითხა სხვათა შორის.

— შენ რა, დამწვრის სუნი არ გცემს? — ჰკითხა იმან.

— ნეტაი რა იწვის?! — გაიკვირვა მძღოლმა.

— თივა.

— რაი?! — დაბნეულად ჩაეკითხა მძღოლი.

— რაი და თივაი, კრუზოვოზე რომ გიყრია, — უპასუხა მგზავრმა.

მძღოლმა საქარე შუშის სარკეს გახედა.

უზარმაზარი, მობობოქრე ჩირაღდანი ასდევნებოდა მანქანას.

— ფუ, ამის! — ესღა აღმოხდა.

იგი მიხვდა, ცეცხლი მგზავრის გადაგდებული სიგარეტის ნამწვმა რომ გააჩინა, მაგრამ ახლა არც საყვედურის დრო იყო და არც სხვა რამის: ორივენი ერთიანად აბრიალებული მანქანის კაბინაში მძევლებივით იყვნენ გამომწყვდეული. ცეცხლი დაგორგლილ, ყოვლისწამლეკავ შლეიფს კუდივით მიიქნევდა და ირგვლივ მირიად ნაპერწკლებს ფანტავდა.

მძღოლი საჭეს მთელი ძალით ჩააფრინდა და გზას მიაჩერდა. გულის კოვზთან გამჭოლმა ტკივილმა დაუარა, მა-

გრამ გამოუვალმა მდგომარეობამ სასიცოცხლო ძალების უკიდურესობამდე დაძაბვა უკარნახა. ტკივილს მოერია, ვიწრობში საოცარი სიზუსტით გაატარა მანქანა და მაშინ გაუელვა, რომ გადახტომის გარდა, გადარჩენის სხვა შანსი არ ჰქონდა.

— გააღე კარი და გადახტი! — შესძახა მან მგზავრს.

მგზავრი კუთხეში მიიყუჟა და შიშისაგან დაელმებული თვალებით მათკენ თავბრუდამხვევი სიჩქარით მქროლავ, შუქფარების ჭავლით განათებულ გზის მონაკვეთს გახედა. მძღოლმა სარკეში ისევ ჩაიხედა და ცეცხლის გორგალს მიაჩერდა, რომელიც ძალას წამისუსწრაფესად იკრებდა და ღვთის რისხვასავით მოსდევდა მანქანას.

— გადახტითქვა, არ გეყურება?! — გაუმეორა მგზავრს.

— რო გადავრჩე... ვითამ ამის ღირსი ვარ?!. — ნაღვლიანად დაიკვნესა მგზავრმა, თავი ჩაჰკიდა, მოიკუნტა და კაბინის იატაკზე ჩაჯდა.

მძღოლმა თავი ძალუმად გააქნია, ბაგე ჯიუტად მოკუმა, საჭე გაასწორა, კარი გააღო, შემდეგ ხელი უშვა საჭეს და გადახტა. გზის პირას ჩარიგებულ ბუჩქებს გადაევლო, ამოტრიალდა, ბალახებზე თითქოს რბილად დაეშვა, მაგრამ მუხლისთავი რაღაც წვეტიანს წამოჰკრა და არაადამიანური ტკივილისაგან გმინვა აღმოხდა. გონება მაინც არ დაუკარგავს. თავი ოდნავ წამოსწია და თვალი მიადევნა, ერთიან კოცონად ქცეული სატვირთო მანქანა როგორ გაიჭრა დამრეც ქანობზე, ორჯერ მსუბუქად როგორ აიყალყა, წრე შემოხაზა, ღარტაფებში გადაეშვა, იქუხა და არემარე ფოიერვერკის ფერებით გაანათა.

გორაკებზე შეფენილ სოფელში, აივნებზე გადმომდგარმა ადამიანებმა თვალი მიადევნეს ამ უჩვეულო ნათების სრბოლას, რასაც აფეთქების ზათქი და ცეცხლოვან ფერთა ციალიც დაერთო. ბევრმა ეს სურათი ციური სხეულის ვარდნასთან დააკავშირა.

ავი წინათგრძნობით შეძრწუნებულებმა მეყსეულად პირჯვარი გარდაისახეს და ღამის ცას სასოებით აღსავსე მზერა მიაპყრეს.

ცის გახსნასავით

საშუალო ტანის, მოხდენილი გარეგნობის ხანდაზმული ქალბატონი რუსთაველის გამზირის კუთხესთან, ჩიხის დასაწყისში იდგა და მოთმინებააღჭურვილი, გამზირის მარცხენა მხარეს იცქირებოდა. შინნაქსოვი ფუმფულა, შავი ქუდი და დრაფის სწორი, ბოლომდე შეკრული ხასხასა სალათისფერი პალტო მის თხელსა და დახვეწილ სახეს მეტად უხდებოდა.

ნამდვილი საახალწლო ამინდი იდგა. ცა მრეში ღრუბლებით მოგრაგნილიყო. ოდნავ ყინავდა. ჰაერი თოვლის სურნელით იყო გაჟღენთილი. ალბათ, ღამით ჩამობარდნიდა და არე-მიდამოს ზღაპრულ იერს მისცემდა.

როგორც კი გამზირის კუთხესთან მდგომმა მისკენ მომავალი, ოდნავ მაღალი, მოყავისფრო ქურქში გახვეული ქალბატონი შენიშნა, თვითონაც დაიძრა.

— შენი გამოსწორება შეუძლებელია, ჩემო ბაბო. მე კიდევ, დამაგვიანდა-მეთქი და კისრისტეხით გამოვქანდი, — სახეზე ღიმილდაფენილმა მკაფიო ხმით შეაგება მოახლოებულს და სანამ იგი რამეს უპასუხებდა, ლოყა მიუშვირა.

— სესილია, ძვირფასო, არ დაგიმალავ და განზრახ დავაგვიანე. მთელი დღეები ხელნაწერებისა და ტელევიზორის გარდა არაფერი რომ არ გახსოვს, ცოტა ხნით ჰაერზე გამოსვლა არ გაწყენდა, — სიცილით მიუგო ასევე ასაკოვანმა, საკმაოდ თავშენახულმა ქალბატონმა საპასუხო ამბორის შემდეგ, მერე უკან დაიხია, თვალი შეავლო და აღტაცებით დააყოლა, — არა, ერთი გამაგებინა და მერე მომკლა, რა ისეთ ჯადოს ფლობ, რომ შენზე არც ასაკი მოქმედებს და არც რამე!

— საპასუხო ქათინაურს თუ ელოდები, უნდა გაგაწბილო. რაღა დროს ჩვენი კეკლუცობაა, შემოგევლე. მოდი, მაგ უადგილო ხოტბის შესხმას თავი ვანებოთ და ისა ვთქვათ, საით გავწიოთ... შევთანხმდეთ, აუცილებლად პრესა უნდა ვნახო, ერთი მეტად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია მაინტერესებს, რაღაც-რაღაცებიც მაქვს საყიდელი...

— აკი, ალექსანდრეს პარკში გავისეირნოთ, მერე კაფ-

ეშიც შევიაროთო... ასე გულმოდგინედ ბაზარში საწანწალოდ კი არ ვიპრანჭებოდი! — გულისწყვეტა არ დაუფარავს ბაბოს.

— პრესას წუთში გადავათვალიერებ, ხვალ დილით ბავშვები რომ მეწვევიან, ტკბილეულობა და მანდარინი მაინც ხომ უნდა დავახვედრო.

— ასე გეთქვა... მაგრამ მაგ პრესის ნახვას სად აპირებ, გამზირზე მეგაზეთეები რომ არ დატოვეს?

— ფილარმონიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელში. მანდარინსაც და ტკბილეულობასაც იქვე, მოედანზე ვიყიდი, მანამდე პარკში გავისეირნოთ, კაფეშიც შევიხედოთ...

— წარმოგიდგენია? გაზეთის ჯიხურები გამზირის ხედს ამახინჯებს და ამის გამო ავკრძალეთო... არც ერთი წიგნის მაღაზიაც რომ არ დატოვეს? აგერ, კერესელიძის დაარსებული მაღაზია დახურეს და ვიღაცას გროშებად მიჰყიდეს, სამაგიეროდ, იქ, ალბათ, პამპერსებით, უნიტაზებითა და სხვა რაგინდარათი ივაჭრებენ...

— მაგას ნუ გამახსენებ!.. ბატონმა ცოტნემ ამ ხელისუფლების გამო იცი, რა ბრძანა?.. ცნობილ ახალგაზრდა პოლიტიკოსს აბსურდული ბრალდებით ციხეში თავი რომ უკრეს, ბევრი ისეთი რამის შეგზავნა, რაც სხვებისთვის ნებადართულია, აუკრძალეს, სიგარეტი რაა და, სიგარეტზეც კი უარი სტკიცეს, ხოლო წიგნებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდება, რადგან ხელისუფალთ წიგნი და, საერთოდ, წიგნიერი ხალხი იმდენად სძულთ, ჰგონიათ, რომ ამ ახალგაზრდას ამით უმძიმესი სატანჯველი მიუსაჯესო...

ხმამაღლა გაეცინათ.

— ვინ იფიქრებდა, ასეთ რამესაც რომ მოვესწრებოდით!..

— შენ ეგა თქვი... ამათ არც გამოცდილი ხალხი სჭირდებათ, არც ავტორიტეტები. ჰგონიათ, ყველაფერი მათით იწყება და მათით მთავრდება... და ამიტომაცაა ასეთი განუკითხაობა, — დაასკვნა სესილიამ.

— იქნება ეს დროის ნიშანიცაა?

— რანაირად?.. ოდესღაც ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, მაგრამ ჩვენი ადგილი ვიცოდით, განათლება და გამოცდილება დაფასებული იყო...

— არ გადამრიო, ნუთუ ძველ დროს მისტირი?..

— სულაც არა... მაგრამ გამოცდილების უგულებელყოფას ქვეყნისთვის სიკეთე როდის მოუტანია... ერთი ცნობილი გერონტოლოგის ნაშრომში დღეგრძელებთან დაკავშირებით ისეთ რამეს წავაწყდი, მას შემდეგ გამუდმებით ვფიქრობ, ნეტა როდის დავივიწყეთ ჩვენი წინაპრების გამოცდილება-მეთქი. მეცნიერი ას თორმეტი წლის დღეგრძელს ეკითხება, რაშია თქვენი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო, კვების რაციონის განსაკუთრებულობაში, ფიზიკურ წრთობაში თუ კიდევ ისეთ რამეში, რაც მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილიო... დღეგრძელი პასუხობს, რომ კვებაში ზომიერია, უპირატესობას რძის ნაწარმსა და ხილბოსტნეულს ანიჭებს, სადილობისას, ორ-სამ ჭიქა შინ დაყენებულ წითელ ღვინოსაც მიირთმევს და ისეთს არაფერს აკეთებს, რაც ვნებას მოუტანს, ანუ ჯანსაღ ცხოვრებას ეწევა: შრომაშიც ზომიერებას იცავს, თავის დროზე ისვენებს, ერთობა... მაგრამ მისი დღეგრძელობის მთავარ იმპულსს, რაც მეცნიერის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში პიროვნების ადგილია, ანუ, როგორც კი ადამიანი იგრძნობს, რომ ოჯახის ან საზოგადოებისთვის ზედმეტია, ნაადრევ კვდომას იწყებსო...

— ესე იგი, შვილიშვილების თაობას სასიკვდილოდ გავუწირივართ!

— ასე გამოდის... ამას წინათ, თურმე, მარი პლეხანოვზე თავისი „ფოლკსვაგენით“ სამოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა. უწვერულ პატრულს გაუჩერებია. მარი აღშფოთებულა, წესრიგი არ დამირღვევია და რატომ შემაჩერეთო. თქვენი პირადობის მოწმობა და მართვის უფლება მიბოძეთო, თავაზიანად მიუმართავს პატრულს. მარის საბუთები თამამად მიუწოდებია, მაგრამ, დახე?.. ამაზე დიდი დანაშაული რა გნებავთ, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაბადებული ქალი მანქანას ისეთი სისწრაფით დააქროლებთ, საზოგადოებას ყოველ ნაბიჯზე საშიშროებას უქმნითო... იმ დღეს დამირეკა და შემომჩივლა, რაც იმ პატრულმა ასაკის გამო „ფსიქოს“ ხელახლა აღება მომთხოვა, საჭესთან ჯდომას ვერ ვბედავო...

„რუსთაველის“ დრამატული თეატრის აფიშებთან და

ფოტოკოლაჟთან შეყოვნდნენ, განსაკუთრებული ინ-ტერესით შეუდგნენ მათ გაცნობას. ბაბოს ყურადღება ერთ-ერთი გახმაურებული სპექტაკლის ეპიზოდების ფოტოებმა მიიპყრო. იქვე ახალგაზრდები ირეოდნენ, რომელთაც თანატოლი დრამატურგის პიესის გმირები უფრო იზიდავდათ, ვიდრე კლასიკოსებისა და მათდამი თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას თამამად გამოხ-ატავდნენ.

სესილია ამ ახალგაზრდებიდან არც ერთს არ იცნობდა, მაგრამ მისი ყოფილი სტუდენტების თანატოლები იყვნენ და მათ გამო გული დასწყდა, რადგან უნიჭო, მყვირალა სახელების ტყვეობაში მყოფთ, ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ეპიგონობის ერთმანეთისაგან გარჩევა უჭირდათ.

პირველკურსელებთან ლექციებს მუდამ კლასიკოსთა შემოქმედების მიმოხილვით იწყებდა. თანამედროვეებსაც დიდ ადგილს უთმობდა, მაგრამ გრძნობდა, ყმაწვილებს მარტივი, სიღრმეს მოკლებული თემები იზიდავდა და თეატრის ისტორიის უკვდავ ნაწარმოებთა წინ წამოწევას ცდილობდა.

იგი თეატრის თეორეტიკოსი იყო, მოწოდებით პედაგო-გი და შემთხვევას არ უშვებდა, ამ მიმართულებით იდეები არ დაეხვავებინა. შვილები ხშირად აფრთხილებდნენ, ზედ-მეტ პრობლემებს ნუ იქმნი, უფროსობას, თავისი უვიცო-ბის ფონზე, შენი იდეების მოძალება არც აწყობსო, მაგრამ თავისას არ იშლიდა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობას-თან უთანხმოებამაც არ დააყოვნა. მასთან კამათი არავის გაუმართავს. როგორც კი დრო იხელთეს, ხანდაზმულობის გამო შემცირებაში მოაყოლეს, და ქალბატონი, ვისაც სტუ-დენტებთან ურთიერთობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარ-მოედგინა, აბსტრაქტულ კონსულტანტობასღა დააჯერეს.

ამიერიდან, რომელიმე ღირსშესანიშნავ თარიღთან და-კავშირებით თუ მიიწვევდნენ. ისიც მაშინ, როცა რაღაცის რჩევა სჭირდებოდათ. არ ტყდებოდნენ, მაგრამ მის რჩევ-ებს იზიარებდნენ, თუმცა, როგორც კი თეატრის ისტო-რიისა და მთელ რიგ საკითხებზე დაწერილ და გამოსაცე-მად გამზადებულ თავის წიგნებს ახსენებდა, ოსტატურად

წაუყრუებდნენ, ან ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრებდნენ.

სახლში კი, რომლის კედლები თეატრის ლეგენდების პორტრეტებითა და მეგობარი მხატვრების ფერწერული ტილოებით იყო მოფენილი, თაროებზე კი საქაღალდეებში თავმოყრილი მისი ხელნაწერები სუფევდნენ, მიჰქონდა დაპირებათა „მთელი თაიგული“, როგორაც საკუთარ თავთან განმარტოებისას გაიფიქრებდა ხოლმე მწუხარე სახით და წუთით უსუსურობის განცდა დაეუფლებოდა, მაგრამ ამ წუთიერ სისუსტეს მაშინვე უკუაგდებდა, რადგან გაახსენდებოდა, რომ მთავარი იყო, საწერ მაგიდასთან მჯდარიყო, თეატრის სისხლსავსე ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები არ გამორჩენოდა და მის მოამაგეთა დიდი თუ მცირე წვლილი პირუთვნელად შეეფასებინა.

და ასეც ირჯებოდა. ალბათ, ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ეყოფოდა თუნდაც მისი უფროსი მეგობრის, ელვარე ნიჭის, განუმეორებელი ტრაგიკოსი ქალბატონის მოღვაწეობისა და ცხოვრების გზის აღწერას, რომელმაც თეატრში მთელი ეპოქა შექმნა, მაგრამ ჩანს, თვითონ ეს იმდენად ღირსეულად შეძლო, ხელოვნების დამფასებლთა გამოხმაურებებს ვერ აუდის, ხშირად ურეკავენ, მასთან შეხვედრას მოითხოვენ. თვითონ ამ გულისამაჩუყებელ შეხვედრათა კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან მიაჩნია, რომ მთავარი სათქმელი უკვე თქვა და აწი თუ რამეს დაამატებს, ახალ წიგნს ჩაუჯდება, ხოლო სხვისი ტალანტის შეფასების გამო ზედმეტი ქება-დიდების მიღებას არ აპირებს. მადლიერების გამოხატვა თუ ასე სურთ, შევიდნენ ტაძარში და იმ გასაოცარ პიროვნებას თითო სანთელი მაინც დაუნთონ...

— დააკვირდი? ამდენ ხალხში არც ერთი ნაცნობი, არც ერთი საინტერესო სახე, სამოსიც როგორ დაუდევრად ეცვათ. ყველაფერი, საუბრის მანერა გინდა თუ ჩაცმულობა, მათ მდარე გემოვნებაზე მეტყველებს... — წამოიწყო ბაბომ.

— გახსოვს? ოცდაათიოდე წლის წინათ ჩვენმა მერიმ მსგავსი რამ ხაზგასმით აღნიშნა... ვიღაც-ვიღაცები აღშ-

ფოთდნენ, მაგას რა უჭირს, მთელი ცხოვრება ფუფუნებაში გაატარა, თავს შეძლებული ქმარ-შვილი დასტრიალებს, ცივ ნიავს არ აკარებენო, და მსგავსი სისულელეები დაახვავეს. ამ აჟიოტაჟში, საზოგადოებას მისი შენიშვნის მთავარი არსი გამორჩა... მერის ამ ქალაქის ყოფისადმი გაუცხოებულ ადამიანთა ერთფეროვანი, ნაცრისფერი სახეები ეცა თვალში და ეს ვეღარ დამალა... ამ გამზირზე ხომ მუდამ ულამაზესი წყვილები დააბიჯებდნენ, ყოველ მათგანში ჩვენი ჯიშის განუმეორებელი კდემა ირეკლებოდა: ქალები კენარობით, ხოლო ვაჟები ამაყი მიმოხვრით თვალს იტაცებდნენ. ახლა?.. მიმოიხედე. ამ შენობათა უმრავლესობის მფლობელები უცხოელები არიან. იცი თუ არა, ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული სასტუმროს მფლობელი ყოვლისშემძლე უცხოური სექტა რომაა, ხოლო მის რესტორანში თუ ვიღაცამ საგანგებოდ არ შეუკვეთა, ქართულ კერძებს არ ამზადებენ. ამას წინათ, ინგლისელ სტუმარს თონეში გამომცხვარი ქართული პური გაუსინჯავს და გაკვირვება გამოუთქვამს, ასეთი სურნელოვანი და გემრიელი პური ამ რესტორანში რატომ არ შემოგაქვთო. ადგილობრივი ნაწარმი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება და იმიტომო, უპასუხიათ...

ეს ყველაფერი ერთმანეთში რა კავშირშიაო, იკითხავს მავანი, მაგრამ უნდა შევახსენო, რომ გემოვნება, საკუთრების ფორმა და შინაგანი თავისუფლება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული... თუ შენი ქალაქის მთავარ გამზირზე თავი უცხოდ იგრძენი, რა კდემამოსილებასა და სიამაყეზეა საუბარი, არ მესმის...

შენთან შეხვედრის წინ მთელი საათი ვიკაზმებოდი. ვიღაცას რომ დაენახა, გაოცდებოდა, ეს მიხრწნილი ქალი ამდენს რას იპრანჭებაო, მაგრამ უნდა გამიგო, საკუთარი პრინციპების ერთგული ვარ და ამას ჩემი შინაგანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ვაკეთებ და არა გარეშე თვალისთვის... რომ იცოდე, ძალიან მომწონს შენი ზრუნვა გარეგნობაზე. რამდენიმეჯერ შევნიშნე, გამვლელები თვალს რა ცნობისმოყვარედ გამოგაყოლებენ ხოლმე. შენს გარეგნობასა და ჩაცმულობაში გადაჭარბებული არაფერია, დიდებულად გამოიყურები...

— წეღან კომპლიმენტის თქმა რომ არ დამანებე?..

— ჩვენ შორის მსგავსი ქათინაურები ზედმეტად მიმაჩნია და იმიტომ...

— მაგრამ ერთმანეთის გამხნევება ხომ აუცილებელია?

სესილიას დანაშაულში მხილებულივით გაეღიმა.

— შენთან საუბარი არცთუ ისე იოლია... — წამოიწყო.

— არც შენთანაა ადვილი! — პასუხი არ დააყოვნა ბაბომ.

ორივეს გულღიად გაეცინა.

გამვლელებმა თვალი გამოაყოლეს.

— ესენი ალბათ, ფიქრობენ, აი, ორი შერეკილი დედაბერი, ქვეყანა ფეხებზე ჰკი... — წამოიწყო ბაბომ.

— რომ იცოდე, ეგ ფრაზა წესიერ ქალს არც უნდა დასცდეს.

— რატომ?! — გაოცებით იკითხა ქალბატონმა ბაბომ.

— რა უხამსობაცაა, რეზომ ამიხსნა.

— ღმერთო ჩემო, მთლად მასეც არ უნდა...

— უნდა, უნდა... არ იცი, ყოველგვარ უხამსს ბრძოლა რომ გამოვუცხადე?

— აბა, შენ იცი!..

ისევ გაეცინათ.

ალექსანდრეს პარკისკენ ჩაუხვიეს. აგურის ნაფხვენებმოყრილ ბილიკს ნელი ნაბიჯით გაუყვნენ და დამშრალ აუზთან, ძელსკამზე ჩამოსხდნენ. გაშიშვლებულმა ხეებმა და გარინდულმა მიდამომ მძიმე განწყობა შეუქმნათ. მალევე წამოდგნენ, თითქოს მოვალეობის მოსახდელად, პარკს ორჯერ შემოუარეს, რუსთაველის გამზირზე დაბრუნდნენ და ოპერის თეატრის წინ შეჩერდნენ.

აფიშები აქაც გულდასმით დაათვალიერეს.

— ნახე, რა თანავარსკვლავედია!.. მაგრამ ამ სპექტაკლზე მოხვედრას ჩვენი ერთი თვის პენსია რომ არ ეყოფა?.. ამიტომაც, ხშირად ვუყურებ ხოლმე „მეცოს“, ვუსმენ არაჩვეულებრივ კონცერტებს, მაგრამ სად ტელევიზორით მოსმენილი და სად ცოცხალი შესრულება!

— წესით, შენი რანგის ხელოვნებათმცოდნეს, ყველა თეატრი მოსაწვევს უნდა უზავნიდეს.

— საქმე არა გაქვს? რამდენი ხანია, დრამატული

თეატრების პრემიერებზეც კი არ მპატიჟებენ და ოპერას რაში გავახსენდები? ჩემი თაკო მსაყვედურობს ხოლმე, ლაპარაკის ზომა არ იცი და იმიტომო... გენაცვალე, მთელი ცხოვრება ფულს ლაპარაკში მიხდიდნენ...

— და ნაწერებშიც, — ჩაურთო ბაბომ.

— მანდა ვარ... შენო, მაგ ამაღლებულ თემებზე დაუსრულებელი საუბრებით ხალხს თავი მოაბეზრე, ღრუბლებში ფრენას, გირჩევნია, დაბლა დაეშვაო... არავითარ შემთხვევაში, მე აქ თავს ისე მშვენივრად ვგრძნობ, გირჩევნიათ, თვითონ ამობრძანდეთ-მეთქი...

გულიანი სიცილით გზას აგრძელებენ.

— რაო, შენი პასუხით კმაყოფილი რჩება?

— როგორ გეკადრება!.. სადმე სიტყვით რომ გამოვდივარ (ბოლო ხანებში მარტოს არსად მაჭაჭანებს), მანიშნებს, შეამოკლეო. ერთ შეხვედრაზე გამოვაცხადე კიდეც, სიტყვის შემოკლებას მანიშნებენ-მეთქი. წინა რიგში მჯდომი ვიღაც ეგზალტირებული ქალბატონი წამოხტა და ამგვარ რამეს ვინ გიბედავთო, მკითხა. არ დავიბენი და, უფროსობა-მეთქი. იმანაც, ბუნებრივია, იმ დაწესებულების ადმინისტრაცია იგულისხმა და მათი სარკასტულად შემკობის შემდეგ ძლივს დაშოშმინდა. მაგრამ თაკოს შემცბარი სახე უნდა გენახა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მომვარდა და რეზო დამაფიცა, — ხომ ნამდვილად მიპირებდი დასახელებას და თავი ძლივს შეიკავეო, — კი-მეთქი, — და მაპატიე, მაპატიეო, — მომაყარა და კოცნა დამიწყო. როცა ოდნავ დამშვიდდა, გამოვუტყდი, — შენს ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი-მეთქი, — გაოცდა. მაშინ პირველად დავფიქრდი, იქნებ, ამ ხალხს მართლა თავს ვაბეზრებ, იქნებ, ამ ჩემს ზედმეტად „ჭკვიანურ“ საუბრებს, თავიანთ წრეში მსუბუქი ლაზღანდარობა ურჩევნიათ-მეთქი...

ჩემ თავს ვატყობ, აუდიტორია მაკლია, მსმენელი მჭირდება, რომ ნაფიქრი და გამოცდილება გავუზიარო... ადრე, როცა ცხოვრების ორომტრიალში აქტიურად ვიყავი ჩართული, ამისი მოთხოვნილება ნაკლებად მქონდა, ანდა გვერდით რეზო მყავდა და ეს საუბრები იმდენად ბუნებრივად წარიმართებოდა-ხოლმე, არამცთუ თავმოსაბეზ-

რებელი, საინტერესოც იყო, რადგან საქმე გვაერთიანებდა; ჩვენი მთავარი და მუდმივი საფიქრალი ხომ თეატრი იყო, მერე ოჯახი... და იგი ყოველ ჩემ წამოწყებას სრული გაგებით ეკიდებოდა...

— ეჰ, რეზო, რეზო!.. — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ბაბომ.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ მაკლია...

— არა მარტო შენ...

— ვიცი... სხვანაირად არ გამიგო და, რეზოსნაირ კაცებს დღეს იშვიათად შეხვდები. ასე მგონია, მისი მსგავსი რაინდები, კარგა ხანია, გადაშენდნენ... მის გვერდით ყოფნა ნამდვილი სასწაული იყო... ეს სასწაული დიდხანს გრძელდებოდა. ჩემზე ვერ იტყვი, რომ როდისმე უსუსური, ან ვიღაცაზე დამოკიდებული ვყოფილიყავი, მაგრამ, გარდაიცვალა თუ არა, ძლიერი მფარველის დანაკლისი აშკარად ვიგრძენი. მაშინ, როცა მწამდა, რომ ავბედითობებს თავად ვუმკლავდებოდი, თურმე, ცხოვრების მთელ რიგ დარტყმებს იგი თავის თავზე ვაჟკაცურად იღებდა და მეხამრიდივით ოსტატურად მარიდებდა...

უცებ დადუმდა, შეჩერდა და თანამოსაუბრეს თვალი გაუსწორა.

— მოდი, საუბრის თემა შევცვალოთ. რაც შევხვდით, არ დავდუმებულვარ, შენ კიდევ, მისმენ და რეპლიკებსღა ჯერდები. აბა, მოყევი, შენები რასა შვრებიან.

— ისეთს არაფერს... იამ და შოთიკომ გუდაურში გაუტიეს, პატარები არ გავაყოლე და უნდა ნახო, რა დღეში მაგდებენ. მგონი, ყველაფერი თავიდან ამომიფრინდა: თეატრიც, კინოც და, რა ვიცი.

— ესე იგი, სასარგებლო საქმიანობას ეწევი... რეზოს ცხონებული მამა ჩვენს საქმიანობას ხუმრობით ფუქსავატურს ეძახდა...

— როგორც ადრე იტყოდნენ, შრომით ფერხულში ვარ ჩაბმული... როცა წამოსვლის წინ ვიკაზმებოდი, უნდა გენახა, ჩემი ონავრები რა დღეში იყვნენ. ტუჩები რომ შევიღებე და ქურქი მოვიხურე, ერთი გნიასი ატეხეს, ჩვენს ბებოს ნაღდად პაემანზე მიეჩქარებაო. ლილის გამოვუტყდი, თუ დღეს სახლიდან არ გავედი, ალბათ, გავგიჟდე-

ბი-მეთქი. ხმა არ ამოუღია. მიხვდა, რომ ერთფეროვნებამ მართლაც დამქანცა და, ალბათ, იფიქრა, წავიდეს, იქნება, ცოტათი განიტვირთოსო...

მობილურმა ტელეფონმა დარეკა. სესილია თანამოსაუბრეს ნირშეუცვლელად მიაჩერდა.

— შენია? — ჰკითხა შემკრთალმა ბაბომ.

— საქმე არა გაქვს?.. ამგვარი ფუფუნებით როდის იყო, რომ ვსარგებლობდი? მიდი, უპასუხე.

ბაბო ერთი პირობა შეჭოჭმანდა, მაგრამ ეტყობა, გულმა არ მოუთმინა, ჩანთა გახსნა, მობილური ამოიღო და დახედა.

— ასეც ვიცოდი, ჩემი დეიდაშვილია. ნეტა, იმ ონავრებმა რამე ხომ არ მოიწიეს! — შეიცხადა და ტელეფონი ყურთან მიიდო, — ჰო, ლილი, აგერ, რუსთაველის მეტროსთან ვართ მე და სესილია და... ვინ და ვინ?... ჰოო?.. სტუმარი ღვთისაა!.. კი, კი, ახლავე დავემშვიდობები და წამოვალ. კარგი, ჩემს მოსვლამდე როგორმე შეიქციე, — უპასუხა, მობილური ჩანთაში ჩააბრუნა და სესილიას დამნაშავესავით მიაჩერდა, — ვწუხვარ, მაგრამ უნდა წავიდე.

— რას იზამ...

— წარმოიდგინე, შოთიკოს სიმამრი და სიდედრი ბავშვების სანახავად მოსულან. წინდაწინ რომ მცოდნოდა, საღამოსაც ხომ სხვაგვარად დავგეგმავდი, — უეცრად დადუმდა და სესილიას მიაჩერდა, — კაფეშიც რომ უნდა შეგვევლო?.. — გულდაწყვეტით დაამატა.

— სხვა დროს იყოს, ახლა წადი და სტუმრებს მიხედე.

— ძალიან ვწუხვარ!..

ტაქსში ჩაჯდომის წინ ერთმანეთი გადაკოცნეს და ბედნიერი ახალი წლის გათენება უსურვეს.

— მოდი, ჩაჯექი, ფილარმონიამდე მიგიყვან, — შესთავაზა ბაბომ სესილიას.

— ხომ არ გადაგავიწყდა, ფეხით მოსიარულეთა კასტას რომ მივეკუთვნები?.. ორიოდე ნაბიჯის გავლა ჩემთვის სასარგებლოც კია, — გამამხნევებელი ღიმილით უპასუხა, კარი მიუხურა, ხელი დაუქნია და მანქანაც დაიძრა.

ქალბატონი სესილია გზას მარტო გაუყვა. თავის ფორიაქა დაქალზე ღიმილით ფიქრობდა.

ეს ერთ დროს გარეგნობითა და ნიჭიერებით გამორჩეული ქალი, ქმარს ახალგაზრდობაშივე დასცილდა. ოჯახმა საყვარელ საქმეს მოწყვიტა. თითქოს ყველაფერზე საბოლოოდ ჰქონდა ხელი ჩაქნეული, მაგრამ არ შეეშვა და თეატრში მისი დაბრუნება, მთელი რიგი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, მაინც მოახერხა.

ბაბოს განსახიერებული როლებიდან, ზოგიერთებს თუ არ ჩათვლიდი, რამდენიმე მართლაც შესანიშნავი იყო, მაგრამ სესილიას აზრით, ბაბომ სწორი არჩევანი გააკეთა, როცა გარკვეულ წარმატებათა შემდგომ, მთელი თავისი გამოცდილება და მონდომება დამწყებ მსახიობთა დაოსტატებას მოახმარა.

ათწლეულების განმავლობაში გვერდში ედგნენ, პენსიაზე იძულებით გაშვების შემდეგაც არ მიუტოვებიათ, ამხნევებდნენ, ცხოვრების ხალისსა და შთაგონებას უღვივებდნენ ერთმანეთს. გასაოცარი ის იყო, ასაკის მიუხედავად, ეს ქალი მომხიბლველობასა და სიცოცხლის ხალისს არ კარგავდა. მისი სახლი ერთთავად მხიარულებით იყო სავსე, სადაც ყველას მიუხაროდა; მისი ენერგიულობა და სიცოცხლისუნარიანობა სესილიასაც გადაედებოდა ხოლმე, მაგრამ წუთიერად. რადგან მაშინ, როცა ბაბოს ხმაურიანი შეხვედრები იზიდავდა, სესილიას მუდმივად განმარტოებისკენ ეჭირა თვალი.

თავისი ძველი, კეთილმოუწყობელი, მაგრამ მყუდრო, წიგნებით, ნახატებით, ხელნაწერებითა და მოგონებებით დაყურსული ორი მომცრო ოთახისა და ჩიხზე გადაკიდებული დახურული აივნის ბადალი კუთხე დედამიწის ზურგზე არ ეგულებოდა, რაც მისმა ხუთიოდე წლის წინ გარდაცვლილმა მეუღლემ და შვილებმა თითქოსდა საჩუქრად უძღვნეს, რომ სიჭარმაგეში თავის სამყაროში განმარტოებულიყო.

ამ მყუდრო სავანეს ქვეყნად არც ერთ ზღაპრულ სასახლეზე არ გაცვლის. თუმცა, სამუშაო მაგიდასთან ხანგრძლივი ჯდომის შემდეგ, გარეთკენ გაუწევს ხოლმე გული. უყვარს ქალაქის ძველი უბნის ქუჩაბანდებსა და რუსთაველის გამზირზე ხეტიალი. აქ ხომ მისთვის ყოველი ქვა და კენჭი საოცრად ძვირფასია. მწარედ განიცდის, როცა ქალაქის ეს უბანი მის თვალწინ განუმეორებელ ხიბლს კარგავს.

წლების წინ მათ უსმენდნენ. როცა ერთმა საკმაოდ ცნობილმა არქიტექტორმა ძველი უბნის სარესტავრაციოდ მთავრობაში პროექტი წარადგინა, რომელიც უფრო „პოტიომკინის ქალაქის“ ასლი გამოდგა, ვიდრე ტრადიციული არქიტექტურისა, გამოცდილ ხალხს უხმეს, რჩევა ჰკითხეს და მათი აზრი გაითვალისწინეს. ეს ერთადერთი შემთხვევა როდი ყოფილა... ახლა ამ ამაგდარი ხალხის არსებობა არც ახსოვთ. რომც ახსოვდეთ, მათ არავინ მიიხმობს, რადგან სიახლის დამმუხრუჭებლებად და ჩამორჩენილებად მიიჩნევენ. ახალუხლებთა შორის გამოცდილებას ნაკლები გასავალი აქვს...

ხშირად, როცა თავისი გამოჩენილი და დაუმსახურებლად უარყოფილი მეგობრების შეცბუნებულ სახეებს წარმოიდგენს, გენიალური შექსპირის სონეტი ახსენდება:

„ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა...“

და, ვინ იცის, მერამდენედ რწმუნდება, რომ სამყაროში არაფერია მუდმივი. იმაშიც დარწმუნებულია, რომ დროთა მდინარებაში ბევრი რამ მეორდება, მაგრამ უვიცები და მედროვენი, საზოგადოების მაღალ ფენებს, სიმჩატის გამოისობით, ქაფად რომ მოედებიან, თვითვე წარიხოცებიან...

თავს ფეხით მოსიარულეთა კასტას შემთხვევით როდი მიაკუთვნებდა. მიუხედავად იმისა, რომ მას და მის მეუღლეს ახალგაზრდობიდანვე საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეჭირათ, საკუთარი მანქანა არასოდეს ჰქონიათ. ქალაქის ცენტრიდან მოშორებულ უბნებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით უკავშირდებოდნენ, ხოლო ცენტრში ფეხით მიმოდიოდნენ.

ჩვევად ჰქონდა, ყოველ დილით პრესის სიახლეებს უნდა გაცნობოდა. გამზირზე გაზეთების ყველა ჯიხურის გამყიდველი იცნობდა. ყოველთვის უნახავდნენ საინტერესო

ჟურნალს თუ გაზეთს და წლების განმავლობაში მათთან ახლობლური ურთიერთობაც კი ჩამოუყალიბდა.

გაზეთების გამყიდველებთან ურთიერთმოკითხვის შემდეგ, უეჭველად თეატრთან გაივლიდა, აფიშებს ყურადღებით დაათვალიერებდა, შეივლიდა თეატრში და მის მესვეურებს თავის მოსაზრებებს მოახსენებდა. დიდი იმედი არც ჰქონდა, რომ მის შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ, მაგრამ რაც თავის მოვალეობად მიაჩნდა, ყურადღების გარეშე ვერ დატოვებდა.

თეატრის შემდეგ, თუ თბილი ამინდი იდგა, ალექსანდრეს პარკში საუკუნოვანი ხეების ჩრდილში რამდენიმე ხანს დაჰყოფდა, პარკიდან სახლისკენ მიემართებოდა, პურს და საჭირო სანოვაგეს გზაში იყიდდა და, თუ საქმიან შეხვედრაზე ან საჯარო ბიბლიოთეკაში არ იყო წასასვლელი, ბინას გულმოდგინედ მიალაგებდა, სამზარეულოში დატრიალდებოდა, მსუბუქად დანაყრდებოდა და საზოგადოების თუ საკუთარი თავის წინაშე ვალმოხდილის გრძნობით აღვსილი, საწერ მაგიდას მიუჯდებოდა.

ასეთი იყო მისი ყოველდღიურობა.

მისი მეუღლე ვაჟკაცური ბუნების კაცი იყო. ნახევარი საუკუნე იცხოვრეს ერთ ჭერქვეშ, ჭირსა და ლხინში ისე უერთგულეს ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ჭრელი საზოგადოების შუაგულში ტრიალებდნენ, მათი ურთიერთობა ერთხელაც არ შებღალულა.

მეუღლის დაკარგვის მერეც ცხოვრების ნირის შეცვლა არ უცდია. მიუხედავად იმისა, რომ ძვირფასი და შეუცვლელი თანამგზავრი დააკლდა, ფარ-ხმალი არ დაუყრია. მის წასვლას, რა თქმა უნდა, ადვილად არ შეჰგუებია, მაგრამ ეს ფაქტი ისე მიიღო, როგორც ნამდვილ ქრისტიანს შეეფერებოდა; მისი ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ანუ მარადისობაში გადასვლა სრულიად ნორმალურად, ყოველგვარი ზედმეტი ვიშვიშისა და მრავალთათვის დამახასიათებელი მოჩვენებითი პოზიორობით არ დაუმძიმებია. თავი არც ვინმესთვის მოუბეზრებია. მხნეობა მოიკრიბა და ფუტკრისთვის დამახასიათებელი უანგარო შრომა გააგრძელა, რაც უკვე დიდი ხანია მისი ცხოვრების მთავარ აზრს შეადგენდა. არასოდეს უფიქრია, უქმად

მჯდარიყო, რადგან უქმად ყოფნა ნაადრევი აღსასრულის მომასწავებლად მიაჩნდა. განუწყვეტელი რუდუნება კი სიცოცხლის ხალისსა და იმედს ჰმატებდა.

ახლაც ამ განწყობით მიაბიჯებდა.

ბაბოსთან დამშვიდობების უმალ გადაწყვიტა, გაზეთების შეძენის შემდეგ, ტაძარში შესულიყო, მეუღლისა და უდროოდ გარდასული ახლობლების სახელზე სანთლები დაენთო, ელოცა, მერე შვილიშვილებისთვის ტკბილეულობა და მანდარინი ეყიდა და თავისი მყუდრო სავანისკენ გაეწია.

იგი ათეისტურ დროში იზრდებოდა. იმ სასტიკ დროში, როცა ნამდვილი რწმენა ცრურწმენად საღდებოდა, როცა ღვთის სახლები თავლებად, საწყობებად და აბანოებად გადააკეთეს, მორწმუნე ადამიანებს დევნიდნენ, სამღვდელოებას აბუჩად იგდებდნენ, ხალხს ბელადთა კერპების თაყვანისცემას აძალებდნენ.

ბოლო წლებში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ მის თვალწინ უამრავი ვინმე, ვინც ეკლესიას ებრძოდა, უეცრად გარდაისახა და ჭეშმარიტი მორწმუნის მანტია მოისხა. მან ეს ვერ შეძლო, ვიღაცის მოსაჩვენებლად ვერც მონასტერში დაეყუდა და ადლიანი კელაპტრით ხელში ვერც გამოსაჩენ ადგილზე დადგა. სწამს შობისა და აღდგომის საიდუმლო, მაგრამ ეკლესიური მაინც ვერ გახდა, რადგან წარსულში, როცა უფლის სახლი დავიწყებული და დამცრობილი იყო და მასებს ღვთისმგმობელობისკენ მოუწოდებდნენ, მის მახსოვრობაში მძაფრად აღბეჭდილი მოგონებები სულიერ მოძღვართან ურთიერთობაში ხელს უშლის.

ამის გამო ხშირად სინანულს განიცდის და იმ წუთს გულის ფანცქალით ელის, როცა ამ ზღვარს გადააბიჯებს და გზასაცდენილი ცხოვარივით ეკლესიის წიაღს დაუბრუნდება...

მიწისქვეშა გადასასვლელის კედელზე მიყუდებულ თაროებთან ბელურებივით სიცივისაგან მობუზული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ორი გამყიდველი გულთბილად შეეგება.

ამათ ადრე სამსახურიც ჰქონდათ და თავი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებადაც ეგულებოდათ, მაგრამ

ერთ უჟმურ დღეს ქუჩაში უბოდიშოდ გამოყარეს და მოხერხებულობა და შრომისმოყვარეობა რომ არა, ქვეყნის მმართველთა იმედით, შიმშილით განადგურება ელოდათ. საკუთარი ძალებით ძლივს ააწყეს საქმე. ქარსა და წვიმაში, ხვატსა და ყინვაში იდგნენ ღია ცის ქვეშ და ოჯახების გადასარჩენად გროშს გროშზე აწებებდნენ, თუმცა, ვიღაცის ხუშტურით, ცენტრალურ გამზირზე მათი საქმიანობა შეუფერებლად მიიჩნიეს და იქიდანაც გააძევეს.

— როგორ გიკითხოთ, ნუთუ არაფერი სასიკეთო არ ხდება თქვენთან? — იკითხა მისალმების შემდეგ ქალბატონმა სესილიამ.

— სასიკეთოსი რა მოგახსენოთ, ვწვალობთ და რაღაც ცვლილებების იმედით ვცოცხლობთ.

— არაფრით შეიძლება, ამ უაზრობამ ასე დიდხანს გასტანოს. ვის რას უშლიდით? პირიქით, სიახლის პირველი მაცნეები ხართ და თქვენს დასაქმებაზე აქამდეც უნდა ეზრუნათ.

— იცით? ახლახან ტელევიზიით „თეთრი სახლის“ შემოგარენს უჩვენებდნენ. ლამის ცენტრალურ მოედანზეც კი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ლამაზად გაფორმებულ თაროებთან კოხტად ჩაცმულ-დახურული გამყიდველები იდგნენ და ვაჭრობაში ხელს არავინ უშლიდა. ნეტა ამ ჩვენებს რა დაეტაკათ, რომ გაზეთისა და წიგნის ხსენება არ უნდათ! — შესჩივლა გაქუცულ ქურთუკში შეფუთულმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა.

იგი გამზირზე მოხერხებულად ჩადგმულ, მომცრო ჯიხურში ვაჭრობდა, მოწესრიგებული, მშვენიერი გარეგნობის ქალი იყო, მაგრამ რაც ქუჩაში მოხვდა, სახის ნაზი ნაკვთები იმდენად შელახვოდა, ქალბატონი სესილია მისი ხშირი კლიენტი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, ვერც ეცნო.

— მართალი ბრძანდებით, პირადად ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ აშკარაა, ასე თავგამოდებით წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს მგონი არსად ებრძვიან.

— წუხელ მეტროსთან დამაკავეს, ჟურნალ-გაზეთებიც წამართვეს და მთელი დღის ნავაჭრიც. მერე პოლიციაში წამიყვანეს და დამაჯარიმეს. ნეტა, რას გვერჩიან?.. ჩვენ ხომ არც კონტრაბანდას ვყიდით და არც აკრძალულ

ლიტერატურას. ისეთ ჩიხებსა და მიხვეულ-მოხვეულებში გვერეკებიან, სადაც გაზეთის მყიდველები არც კი იხედებიან, ცენტრში კი მკითხველები დაგვეძებენ. იქნებ, ვინმემ მთავრობას ხმა მიაწვდინოს, რომ პოლიცია ასე უხეშად გვეპყრობა...

— ალბათ, მალე ხალხს წერა-კითხვასაც აუკრძალავენ, — ჩაერია გაქუცულ ქურთუკიანი, — როგორ მოვიქცეთ, არ ვიცით, გეთაყვა, ოჯახები გვყავს სარჩენი... ჩვენ კიდევა, ამ საქმეში დავბერდით და ამ ასაკში სხვა რა უნდა ვაკეთოთ, ან სადაა სხვა სამსახური, მე შენ გეტყვი და, ერთბაშად რამე წარმოება არ გახსნან და სამუშაოთი არ დაგვაკმაყოფილონ... შეიძლება, ქვეყანა არაფერს ქმნიდეს, მარტო იყიდე-გაყიდეთი და სამათხოვროდ ხელგაშვერილი არსებობდეს? ჩვენი პატრონი არავინაა და, თუ თვითონ არ დავტრიალდით, შიმშილით ამოვიხოცებით და, ეგაა!...

— არც აქ გაყენებენ?

— გვაყენებენ რომელია, ლამისაა, სული ამოგვხადონ. უნდა ნახოთ, როგორ აბუჩად გვიგდებენ, ამათ ხომ თვითონ არავითარი ღირსება არ გააჩნიათ და სხვას როგორ გაუფრთხილდებიან...

— იქნება, თქვენ მაინც გვისაშველოთ რამე, ასეთი დაუცველები როდემდე უნდა ვიყოთ... — წამოიწყო მეორე ქალმა.

— ამ ახალ გადიდკაცებულებთან არავითარი ურთიერთობა რომ არა მაქვს?.. — თავის მართლებაც კი სცადა მათი უნუგეშო მდგომარეობით შეძრულმა სესილიამ.

— შეეშვი, ნეტა, მედროვეობა რაში შეატყვე, არ ვიცი! — შეუტია იმ ქალს გაქუცულქურთუკიანმა.

სესილიამ რამდენიმე გაზეთი იყიდა, იმედი არ დაკარგოთო, გაამხნევა ისინი და დაემშვიდობა, მაგრამ საზოგადოების მიერ მიტოვებულ ამ ადამიანებზე ფიქრი არა და არ ტოვებდა.

ტაძარში ხალვათობა იყო. ღვთისმშობლის ხატისა და ჯვარცმის წინ სანთლები დაანთო, ილოცა და ტაძრის დატოვება დააპირა, მაგრამ სტიქაროსანი ბიჭების გალობამ ერთ ადგილს მიაჯაჭვა. თავმოდრეკით მდგომი უსმენდა

მათ ანგელოსებრივ ხმებს, რომლებმაც თითქოს ყოველ-გვარი პირობითობისაგან გაათავისუფლეს და ცისფერ ოცნებათა სამყაროში წარიტაცეს...

ტაძრიდან რომ გამოვიდა, შეღამებულიყო. ეზოში თავშეყრილ უპოვრებს წვრილი ფული ჩამოურიგა და ნაირფრად გაჩახჩახებული მოედნისაკენ გასწია, სადაც საახალწლო სოფლის ნობათით ვაჭრობდნენ.

რიგში ოცამდე კაცი და ქალი იდგა. კვადრატულსახიანი, ტანბრგე გამყიდველი მანდარინით სავსე, მძიმე ყუთებს ჟონგლიორივით ატრიალებდა და დახლის გასწვრივ მი-ჯრით ჩამწკრივებულ მსუბუქ მანქანათა პატრონებს აუ-წონავად აწვდიდა, თუმცა ფულის დახურდავებაში დრო მაინც ეკარგებოდა და რიგიც ზოზინით მიიწევდა წინ.

უკმაყოფილებას არც არავინ გამოხატავდა. ქალბატონ სესილიას ტაძრიდან გამოყოლილი ამაღლებული განწყ-ობა არ ეთმობოდა და გადაწყვიტა, თავისი რიგს უდრტვ-ინველად დალოდებოდა.

იმ ადგილიდან „მუზას“ ქანდაკება მოჩანდა. მთელი მისი ყურადღება თითქოსდა აღმოსავლური როკვისთვის გამზადებულმა ამ მკლავებგაშლილმა, ბუდუშურათვალე-ბა მდედრმა მიიპყრო.

ის დრო გაახსენდა, როცა ახალაშენებული ფილარმო-ნიის წინ პოსტამენტზე ამ ქანდაკებას დგამდნენ. თავიდან უფუნქციოდ მკლავებგაშლილი იდგა და მნახველთა უკ-მაყოფილებაც კი დაიმსახურა, მაგრამ, როცა გაშლილ მკლავებს შორის „სახიობის“ ნიღბები დაკიდეს, ქანდა-კებამ დასრულებული სახე მიიღო. თუმცა მთელ ქალაქს მაშინვე მოედო იუმორნარევი მითქმა-მოთქმა, ავტორმა „მუზაში“ უპირველესი ხელისუფალის ტურფა თანამეცხ-ედრე გამოსახა, ხოლო მავთულებზე ჩამოკონწიალებული ნიღბები მისი საყვარლების მოჭრილი თავებიაო...

ამ ჭორმა, ჩანს, იმ ხელისუფალის ყურამდეც მიაღწია და ქანდაკების ყოფნა-არყოფნის საკითხი კინაღამ ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ ყვარყვარე ხელისუფალი ხელოვნების ქომაგებმა გადაარწმუნეს და, მიუხედავად იმისა, რომ რო-გორც ყველა ლამაზმანს, მოვლა სჭირდება და ამას საერ-თოდ აკლია, პლასტიკითა და ქვაში გაცოცხლებული კდე-

მით, ყურადღებას კვლავაც იპყრობს...

მისმა ავტორმა, მანამდე და მას შემდეგაც ხელოვნების არაერთი შეუდარებელი ნიმუში შექმნა, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის მაღალოსტატთა ქმნილებებს ტოლს არ უდებენ და შემფასებელთა აღტაცებას კვლავაც დაიმსახურებენ.

„ჩემი არ იყოს, ისიც უკვე ასაკშია და ამგვარ მონუმენტურ ქმნილებებს შესაძლოა, აწი ვერც შეწვდეს... აფსუსი კია... ასეთი ღირსეული კაცები ასწლეულებს უნდა ცოცხლობდნენ და ქვეყანას ამშვენებდნენ... და საერთოდ, ნეტა სად გაქრა ჩვენი ღირსება!..“ — გაიფიქრა და უნებურად, ერთ ადგილზე გაყინულ რიგს გადახედა.

ამ ხალხს სახეზე იმისი ნიშან-წყალიც კი არ ეტყობოდა, რომ გამყიდველისთვის შენიშვნა მიეცა და წესრიგი დაეცვა.

„ნეტა სად გაქრა ვაჟკაცური ჟინი... სად წავიდა ის დრო, როცა კაცი კაცს ჰგავდა და ქალი ქალს... ნორმალური კაცი ხომ ამ დახლიდარს წამში თავის ადგილს მიუჩენდა!“ — ფიქრი გააგრძელა ქალბატონმა სესილიამ და რიგის დატოვება განიზრახა, რათა სხვაგან წასულიყო, აყალმაყალის გარეშე, რასაც ამ რიგში ეტყობა, ვერ ასცდებოდა, შეეძინა დაუყვედრებელი ნობათი და ამ საახალწლოდ შინამდე მშვიდობიანად მიეღწია.

— თუ შეიძლება, ერთი კილოგრამი მანდარინი ამიწონეთ! — ჩაესმა წინა რიგიდან ქალის არტისტულად გაწელილი, აკანკალებული ხმა, რომელიც ნებისმიერ წესიერ ადამიანში თანაგრძნობას აღძრავდა.

სესილიას ამ ხმამ რაღაც შორეული, აწ უკვე მივიწყებული გაახსენა და ძალაუნებურად დახლისკენ გაახედა.

იქ წელში გამოყვანილ, ბოლოსკენ ფართო, შავ, კოჭებამდე დაშვებულ პალტოში, განსაკუთრებული პეწით მხარზე მოხვეულ თეთრ, მაქმანებიან თავშალსა და მუქვუალშემოყოლებულ, ფართოფარფლებიან შავ ქუდში გამოწყობილი, თითქოსდა მეცხრამეტე საუკუნის გრავიურიდან გადმოსული, ნაზი აგებულების არცთუ მაღალი, ხანდაზმული ქალბატონი იდგა.

დახლიდარს მისკენ არც კი გაუხედავს, ენერგიული

მოძრაობით იღებდა ყუთებს, აწვდიდა მძღოლებს და ფულის დახურდავებით იყო გართული.

სახეზე უმწეობააღბეჭდილმა ქალბატონმა დახლიდარის ყურადღების მიპყრობა ერთხელ კიდევ სცადა.

— ღვთის გულისათვის, პატივი დამდეთ და ერთი კილო მანდარინი ამიწონეთ!..

გამყიდველმა უცებ მორიგი მანქანიანისთვის გადასაცემი ყუთი დახლზე დაახეთქა და ხმაურით შემკრთალ ქალბატონს მთელი ძალით უღრიალა:

— შენი ერთი კილო მანდარინის გულისთვის ამ ხალხს ხომ არ მოვაცდენ, რიგი დაიკავე და როცა მოგიწევს, აგიწონი!

— რიგი ამ კეთილშობილმა ადამიანებმა უკვე დამითმეს... მეც ხომ ფულს გიხდით...

— ფული, თორემ!... ყუთიანად იყიდე და ურიგოდ მოგცემ...

— მაგდენი სადღა მაქვს!

— შენისთანების შემყურე ამ ხუთი ტონა მანდარინის გასაღებას მთელი თვე მოვუნდები!

— და რას მიბრძანებთ, ამ ახალი წლის დამდეგს შვილიშვილებთან ხელცარიელი დავბრუნდე? — უმწეო ხმით შესჩივლა ქალბატონმა.

დახლიდარმა თვალი გამგმირავად შეავლო, ზურგი შეაქცია, მანდარინით სავსე ყუთს დასწვდა, მის გასწვრივ მანქანაში მჯდომ მძღოლს სახეზე აღბეჭდილი ქლესური გამომეტყველებით გადააწოდა, ფული გამოართვა და ქაღალდის ყუთში თავი ჩარგო.

უეცრად, სესილიასაგან სამი კაცით უკან, რიგს მაღალი, სპორტული აღნაგობის გრუზათმიანი ახალგაზრდა კაცი გამოეყო, აუჩქარებლად დაიძრა და გამყიდველის წინ შედგა.

გამყიდველმა ფული გადაითვალა, მანქანის მძღოლს გადასცა და მორიგი ყუთის ასაღებად მიტრიალდა, მაგრამ მის წინ მდგომ გრუზათმიანს თვალი რომ შეავლო, ხელი და სახე ერთდროულად გაუშეშდა.

— რაშია საქმე? — იკითხა ნირშეცვლილმა, როცა წუთიერმა გაშეშებამ გაუარა.

— ამ ქალბატონს ახლავე, რამდენიც ნებავს, იმდენ მანდარინს აუწონით, შემდეგ კი რიგში მდგომთ წესიერად მოემსახურებით. გასაგებია?! — ხმააუწევლად, მკაცრად მიმართა, მოტრიალდა და აუჩქარებლად თავის ადგილს დაუბრუნდა.

გამყიდველი ისე გაშეშდა, თითქოს საძრაობის უნარი დაკარგა.

— მოიხედე, ორი ყუთი გადმომაწოდე და ბარემ გამიშვი, ვერ ხედავ, მეჩქარება! — გამოსძახა მას მორიგი მანქანიდან გაყვიზინებულმა მძღოლმა.

— მართლა და მართლა, რიგში მდგომი ხალხი თქვენ მოცლილები ხომ არ გგონიათ?! — ისე უსაყვედურა მძღოლს, თითქოს ყველაფერი მისი ბრალი ყოფილიყო, მერე ხანდაზმულ ქალბატონს მანდარინი აუწონა, თავაზიანად მიაწოდა, მისგან საფასურის აღებასაც არ აპირებდა, მაგრამ მოხუცის მკაცრ სახეს თვალი რომ შეავლო, გამოართვა, ხურდა ფული დაუთვლელად დახლზე დააწყო და მისი აგებულების კაცისთვის შეუფერებელი უღონო ხმით დაიკნავლა, — შემდეგი!

ხანდაზმულმა ქალბატონმა გამყიდველს პარკი რომ გამოართვა, წამოგოგმანდა და სესილიასაგან სამი კაცით უკან მდგომი გრუზათმიანის წინ შედგა.

— ვინა ხართ შვილო, თქვენ?! — სახეგაცისკროვნებულმა ჰკითხა მას.

გრუზათმიანი ახალგაზრდა დუმდა.

— ვინ ხართ ასეთი, თქვენმა სიტყვამ ეს ახირებული კაცი წამში რომ მოათვინიერა!

— დათა ვარ, თუთაშხია, ქალბატონო მე! — მკაფიოდ გაისმა მისი ვაჟკაცური ხმა.

რიგში შეჩოჩქოლდნენ. ყველა მისკენ მიტრიალდა და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა. ხმას არავინ ძრავდა. სესილიამ მათ მზერაში ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ რიდი და პატივისცემა ამოიკითხა. დახლთან მდგომ, მთელი ტანით მიტრიალებულ გამყიდველს ხელში პარკი გაშეშებოდა და რიგის ბოლოსკენ გაოცებული სახით იყურებოდა.

— თქვენმა გამჩენმა გაიხაროს, თქვენ აშენდით და გამრავლდით! — ხმამაღლა მიმართა გრუზათმიანს ხან-

დაზმულმა ქალბატონმა, მერე ხმას დაუწია და მორიდებით ჰკითხა: — შეიძლება, გეამბოროთ?..

გრუზათმიანმა ახალგაზრდამ მისკენ ნაბიჯი წადგა, დაიხარა და ხელზე აკოცა, ხანდაზმულმა ქალბატონმა კი შუბლზე. მერე დალოცა, არტისტული მოძრაობით თავი დაუკრა, მიტრიალდა და ნელ-ნელა ტაძრის მხარეს წაგოგმანდა...

ქალბატონ სესილიას რიგმა რომ მოუწია, მისგან სამი კაცით უკან მდგომი გრუზათმიანი ახალგაზრდისკენ მიიხედა. იგი თავის ადგილზე არ იდგა.

— წავიდა?! — გულდაწყვეტით იკითხა.

— აგერ, იმ მანქანაში ჩაჯდა, — ყვითელ ტაქსიზე მიუთითეს.

სესილიამ დაძრულ მანქანაში მჯდომ გრუზათმიანს ხელი დაუქნია, მაგრამ უეცრად, ტაქსს უზარმაზარი ავტობუსი ჩამოეფარა.

ხელი რომ ჩამოწია, თითებზე სისველე იგრძნო. მაღლა აიხედა და დაინახა, რომ ციდან თოვლის ფანტელები ფარფატით ეშვებოდნენ.

— ღმერთმა ბედნიერი ახალი წელი გაგითენოთ! — ხალისიანად შეეხმიანა რიგში მდგომთ და გამყიდველსაც.

ამ კაცის სახეს გოროზი გამომეტყველება თანდათან შემოეცალა და მისი თვალებიდან ადამიანური, კეთილი ღიმილი ცის გახსნასავით გამოკრთა.

ამსოფლის მგზავრი

„ატირებული ვაკაკუნებ, გამიღეთ კარი... “
გიიომ აპოლინერი

დილის ათ საათზე, თეთრად შეღებილ სამსართულიან სახლთან ტაქსი გაჩერდა. ახალგაზრდა, უზადო გარეგნობის ქალი გადმოვიდა, სახლს მიაშურა, კარი გააღო, ხალიჩებდაფენილ შიდა კიბეს აუყვა და ანტიკვარული ავეჯით გაწყობილ, მზით გაჩახჩახებულ საძინებელში შეაბიჯა. მომცრო ტყავის საფულე საწოლზე დააგდო, წვრილქუსლა ფეხსაცმელი გაიძრო და იქვე დაუდევრად მიყარა. „სეკრეტერის“ წინ ჩამოჯდა, ძვირფასთვლებიანი სამკაულები მოიხსნა და ზარდახშაში ჩააწყო. წამოდგა, მაქმანებით გაწყობილი შაბიამნისფერი კაბა გაიხადა, სავარძელზე გადაფინა, „სეკრეტერის“ უჯრიდან მოზრდილი ბამბის ქულა და გამჭვირვალე ქილა ამოიღო. ქულა ორად გაყო, ერთი ნაწილი დანამა, მაკიაჟი გულდასმით ჩამოიწმინდა, ხოლო მეორეთი მბზინავი კანი შეიმშრალა. სარკეში თაფლისფერი, დიდრონი თვალების ოდნავ შეშუპებულ უპეებსა და რძისფერ, ვარდის ფურცლებივით ნატიფ ღაწვებს ყურადღებით დააკვირდა. წამით მის მზერაში სახის ბუნებრივ ფერთა დაბრუნების სიამოვნებამ იელვა. წამოდგა, განჯინის კარი შეაღო, ქვედა უჯრა გამოსწია, გულმოდგინედ ჩაწყობილი თეთრეულის ქვეშ ხელი მოაფათურა, საგულდაგულოდ მიმალულ პარკს დასწვდა, საწოლთან მივიდა და გადმოაპირქვავა. შავი ხელჩანთა, წვრილჭვინტებიანი, დაბალქუსლა ფეხსაცმელი და ქაღალდის შეკრულა გადმოცვივდა. ფეხსაცმელი ჩაიცვა. ოდნავ უჭერდა. შეკრულა გახსნა, კუნელებდაყრილი ჩალისფერი უსახელო სნორი კაბა გაშალა, სარკესთან მივიდა, ტანზე მიიზომა, საუთოებელზე გადაკიდა და უთო ჩართო. ხელჩანთის შიდა ჯიბეში ჩაკეცილი ოცლარიანები გადათვალა. „სეკრეტერის“ უჯრაში პირადობის მოწმობა და რაღაც საბუთები მოძებნა, ნაჩქარევად გადაათვალიერა, საფულესა და ლარებთან ერთად ხელჩანთაში ჩადო და კაბის დაუთოებას შეუდგა. ჩქარობდა. კაბა გადაიცვა.

მუხლისთავებზე შემომდგარსა და ტანზე შემოტმასნილს სარკეში ორჭოფულად გახედა, თუმცა იქვე ხელი დაუდევრად ჩაიქნია, წაბლისფერი ფაფუკი თმა დაივარცხნა, კეფაზე მოიხვია, ხის სარჭით დაიმაგრა, ხელჩანთას დასწვდა, ოთახს თვალი მოავლო და ისე, თითქოს ვინმე ძვირფას ახლობელს ემშვიდობებოდა, თავი დაუკრა.

კიბეზე რომ ეშვებოდა, შემოსასვლელიდან ზარის წყვეტილი ხმა მოესმა. გაშეშდა. რატომღაც ზემოთ აიხედა, შემდეგ თავი გაიმხნევა, კიბეს ჩაუყვა და კარი შეაღო.

პარმაღზე ტანდაბალი, ლაქუცასახიანი კაცი იდგა. ქალმა მის დანახვაზე შვებით ამოისუნთქა.

— სალამი, კრასავიცა!.. ხაზეინმა უბრძანა, ზამოკი გამოცვალოსო. მეც სახლში არავინ ჩაკეტოსო და... ისე, თქვენზე ხაზეინმა აგარაკზე არისო, რომ უთხრა? — ქლესურად შეაგება და ლამაზმანის კაბაშემოკვალთულ, ასხლეტილ ტანსა და მიმზიდველად ამობურცულ მკერდს ხარბი მზერა შეავლო.

ქალმა მის გამოხედვაზე ყელს მობჯენილი წყრომა ძლივს დათრგუნა.

— თქვენს სახელს რომ ვერ ვიხსენებ? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა.

— ნიკოლაი. ისე, შეუძლია შინაურულად კოლია დაუძახოს... საერთოდ მე ქალების დიდი პაკლონიკი ვარ, თქვენისთანა იარკი კრასავიცასი კი...

— აი, რა ნიკოლაი, მაგ ზღაპრებს შეეშვით და რახან კლიტეს ცვლით, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ.

— ორი იყოს, ქალბატონო! — ძლივს ამოღერღა ქალის ჯიქური შეტევით შეცბუნებულმა.

— ეს გასაღები აწი არ გამომადგება, ხომ ასეა?

— სამა საბოი, ეგ ისეთი ინგლისური ზამოკია, სხვა გასაღები არც...

— ჰოდა, ესეც თქვენ, ხაზეინს კი გადაეცით, რომ მივდივარ...

— მერე აგრე ლეტნად?! — მუხლისთავებზე თითით მიანიშნა ტანდაბალმა.

— თქვენ რა, უფრო მოკლეკაბიანი ქალი არ შეგხვედრიათ?

— შეხვედრით როგორ არა, ჩორტ პაბერი, მაგრამ ხაზეინის კრასავიცას რომ ეგრე...

— სხვა დროს რჩევისთვის აუცილებლად გეახლებით, მაგრამ ახლა ძალიან მეჩქარება, — გაკენწლა, დამშვიდობების ნიშნად თავი დაუკრა და ტანდაბალი კაცი კარის სახელურს შეზრდილივით დატოვა.

ქალმა ქუჩა გადაჭრა, საკანცელარიო მაღაზიაში შევიდა, რამდენიმე ცალი ფორმატის ფურცელი და შავი ფერის ფლომასტერი იყიდა.

ტაქსი რომ გაუშვა, სკოლის წინა ეზოს განაპირა ძელსკამზე ჩამოჯდა, ფურცელი გაშალა და დიდი ასოებით დააწერა: „თბილისი კაზინოების გარეშე!“, „შორს აქედან ყველა სათამაშო სახლი!“, წამოდგა, მთავრობის სახლისკენ გაემართა, კიბეს აუყვა, ბოლო საფეხურზე რამდენიმე ფენად გადაკეცილი ფურცელი დაფინა, ზედ დაჯდა და გაშლილი პლაკატი აღმართა.

წუთსაც არ გაევლო, ორი წარმოსადეგი ახალგაზრდა პოლიციელი თავზე რომ დაადგა.

— ქალბატონო, გთხოვთ, ტერიტორია დატოვოთ! — მიმართა რანგით უფროსმა, თან ცდილობდა დარბაისლური იერი მიეღო, მაგრამ არ გამოსდიოდა, რადგან თვალი ხან ქალის მშვენიერი სახისკენ, ხან კიდევ მისი შიშველი მუხლისთავებისკენ გაურბოდა.

ქალი ისე დუმდა, თითქოს მისი ხმა არც გაეგო.

— ხომ გაიგეთ, აბრძანდით და აქაურობა დატოვეთ! — მკაცრად დაამატა მეორემ.

ქალმა ამოხედა, საკუთარი გაბედულებით გადიდგულებულ მის სახეს დააკვირდა და თავი დახარა.

— რაღა ვქნათ, ნეტა ყრუ-მუნჯი ხომ არაა? — გადაუჩურჩულა რანგით უმცროსმა უფროსს.

— ეგ ჩვენი პრობლემა არაა. როგორც ნაბრძანები გვაქვს, აქაურობას უნდა გავარიდოთ, — უპასუხა უფროსმა.

— ქალბატონო, მოპირდაპირე მხარეს, კინოთეატრისკენ მაინც გადაინაცვლეთ, იქ ტოტალიზატორებია და ეგ პლაკატი ზუსტად იმ ადგილს მოუხდება, — მიმართა ქალს რანგით უმცროსმა.

ქალს სახეზე ნაკვთიც არ შერხევია.

— ეტყობა, მართლა არ ესმის, თორემ ხომ გვიპასუხებდა?.. ერთი წუთით, — ანიშნა რანგით უმცროსმა უფროსს და გაიხმო, — დარწმუნებული ვარ, მაგის პლაკატს ყურადღებით არც არავინ შეხედავს, იძულებული გახდება და თვითონვე ადგება... ისე, რა ლამაზია?!. აფსუსი არაა ეს ანგეშივით ქალი ყრუ-მუნჯი რომ იყოს?! — სინანულით დააყოლა.

— რას მიედ-მოედები, ჩვენთან გამოლაპარაკება არ იკადრა, ეს არის და ეს. ახლავე აქედან თუ არ გავიყვანეთ, მაგრადაც დაგვერხევა!..

— ცოტა ხანს რომ იყოს? ალბათ, მართლაც გაჭირვებულია, თორემ ამ ხვარტში აქ ჯდომა ვის უხარია?

— კაი, ბატონო, იყოს ერთხანს, მაგრამ იცოდე, ყურადღება არ მოადუნო. ეს ოხერი მობილური რაღა ახლა დაჯდა, ავალ და უფროსობას მოვახსენებ.

რანგით უფროსი პოლიციელი რკინის ზღუდის მიღმა გაუჩინარდა, უმცროსი კი მოშორებით დადგა და „ობიექტის“ მწყაზარ სახეს იქიდან აკვირდებოდა.

ქუჩაში გამვლელები ჩერდებონენ, პლაკატს წაიკითხავდნენ, მარტოდ მჯდომ პლაკატმომარჯვებულს შეათვალიერებდნენ და გულგრილი გამომეტყველებით გზას აგრძელებდნენ.

ქალი ტაძრის გუმბათს იყო მიშტერებული და ღმერთს შესთხოვდა, მხარდამჭერი გამოსჩენოდა. ყოველ გამვლელს, ვინც მის იქ ყოფნას საერთოდ ვერ ამჩნევდა, ან განგებ თვალს არიდებდა, თითქოს გულის ნაწილს თან ატანდა.

ლოდინში საათზე მეტმა განვლო.

რანგით უფროს პოლიციელს თან ორი მაღალჩინოსანი პირი მოჰყვა. პლაკატმომარჯვებული ჯერ შორიდან შეათვალიერეს, მერე მიუახლოვდნენ და თავაზიანად მიესალმნენ.

— იცით, თქვენ მეტად მომხიბლველი ხართ!.. — წამოიწყო ერთმა.

— საქმეზე, საქმეზე! — შეაწყვეტინა თანმხლებმა.

იმან უცნაურად შეუბღვირა.

— მაგრამ ეს უფლებას როდი გაძლევთ, წესრიგი დაარღვიოთ! — დაამატა, თანმხლებს ნიშნის მოგებით გადახედა, ესეც შენო, — თქვენი პლაკატი შინაარსით ნამდვილად აქტუალურია. ჩვენ რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ამ ინიციატივას, იმასაც ვითვალისწინებთ, თქვენ აქ შემთხვევით არ მოხვიდოდით, თუმცა აქვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ მოედანზე აქციის გამართვა აკრძალულია...

— რევოლუციის?! — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა.

— უყურე ამას, მე ყრუ-მუნჯი მეგონა, მეცოდებოდა, ეს კიდევ! — გაკვირვება ვერ დაფარა რანგით უმცროსმა პოლიციელმა.

მაღალჩინოსნებს მისი გულუბრყვილო რეპლიკის გამო გაეღიმათ, მაგრამ სახეზე უმალ შეუვალი გამომეტყველება მოირგეს.

— ქალბატონო, კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, იძულებულს ნუ გაგვხდით, ძალა გამოვიყენოთ... — წამოიწყო მეორე მაღალჩინოსანმა.

— მე აქ ჩემი გასაჭირის გამო დავჯექი, წესრიგი არ დამირღვევია. თქვენი მუქარა რომ არა, სიტყვის დაძვრას არც ვაპირებდი! — მშვიდად უპასუხა ქალმა.

მაღალჩინოსნებმა ერთმანეთს შეფიქრიანებულებმა გადახედეს, გვერდზე გადგნენ, რაღაც გადაწყვეტილება მიიღეს, რანგით უმცროს პოლიციელს იქვე დარჩენა უბრძანეს და კიბეს მძიმე ნაბიჯით აუყვნენ.

ის იყო, თვალს მიეფარნენ, რომ ქუჩაში შემთხვევით გამვლელი, შესუქებული, ქერათმიანი შუა ხნის ქალი შედგა, პლაკატს და ქალს თვალი შეავლო და კიბეს აუყვა.

— ღმერთმა თქვენ გიშველოთ და თქვენს გამჩენსაც. ძლივს არ დავინახე, კაზინოების გამო ვიღაცამ ხმა რომ ამოიღო?.. აქ იჯექით, ახლავე გავვარდები და ხალხს მოვიყვან, — მიაყარა და კიბეზე თავქუდმოგლეჯით დაეშვა.

ქალმა შვებით ამოისუნთქა. ერთი მხარდამჭერი მაინც რომ გამომიჩნდეს, აქედან იოლად ვერ დამძრავენო, — გაიფიქრა და ტაძრის გუმბათს ვედრებით მიაპყრო მზერა.

ოც წუთში შესუქებული ქერათმიანი ქალი ისევ გამოჩნდა, რამდენიმე ქალს და კაცს მოუძღოდა.

— ამისმა ბიჭმა კაზინოში ყველაფერი წააგო, ახლა

ოჯახით ნათესავებთანაა შეხიზნული, ამისმა გოგომ თავს უცხოეთში გაქცევით უშველა, მევალეები მოკვლით ემუქრებიან. ჩემმა ქმარმა ნელ-ნელა სახლიც წააგო და მანქანაც, ახლა პროცენტიანი ვალების გადახდას ვერ ავუდივართ. ეს კიდევ შვილმა დაითხოვა, საიდანაც გინდა, იქიდან გააჩინე ფულიო და ეგეც ახლობლებში ხელგაწვდილი დადის, მაგრამ ვინ რას მიაშავებს... — ქაქანებდა ქალი, პლაკატიანის გვერდით მოკალათდა და თავის მოყვანილებსაც ადგილი მიუჩინა.

— ეს რა კარგად მოგიფიქრებიათ, — წამოიწყო ახალშემოერთებული ქალებიდან ერთ-ერთმა, — ჩვენს ისედაც გაუბედურებულ ხალხს ამ კაზინოებმა ხომ ხელი მთლად მოუთავა. ნეტა ვინმემ თუ იცის, ჩვენი ნაწვავ-ნადაგი ვის ჯიბეში მიექანება. ამ ჩვენმა რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ თავი რომ გამოიდო, ქვეყანაში წესრიგს დავამყარებთ, ხალხს წაღლეტილ ნაშრომს დავუბრუნებთო, ამ შარაგზის ყაჩაღებზე რატომ დუმს? შვილები ხელიდან გვეცლება, ესენი კი ამას ისე მშვიდად უყურებენ, რომ...

— ლამარა, ხმა გამოიზოგე, აქ მალე ნახევარი ქალაქი მოზვავდება და შენი სათქმელი იმათ მოახსენე, ჩვენ ხომ ეს ისედაც ვიცით, — შენიშნა მის გვერდით მჯდომმა კაცმა.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ მოვლენ? — დაეჭვდა ერთი ქალი.

— ამ აქციას თუ მხარი არ დაუჭირეს, აქედან ცოცხალი არ ავდგები! — დაიქადნა სხვამ.

— შენი სახელი საყვარელო? — ჰკითხა პლაკატმომარჯვებულს შესუქებულმა ქერათმიანმა.

— ქეთი.

— სასიამოვნოა. მე გულიკო ვარ, ის უკვე იცით, ლამარაა, იმას რეზო ჰქვია, იმას ნანა, იმას მზია... რამ გაიძულათ, რომ ეს ნაბიჯი გადაგედგათ? — რიდით დაამატა, მის მშვენიერ სახეს მონუსხულივით მიაჩერდა, მერე მახვილი მზერა ტანზე შემოტმასნილ კაბას ჩააყოლა, ჩანთიდან ფერადი თავსაფარი ამოაძვრინა და შიშველ მუხლისთავებზე დააფარა.

ყველა ქეთის მისჩერებოდა. მან უხერხულობისაგან თავი ჩახარა.

— უკაცრავად, მაგრამ მთელი ჩემი გულისწყრომა პლაკატზე წერია. ჩემს საქმეებზე საუბარი იმდენად მიჭირს, რომ... — კრძალვით წამოიწყო.

— ღმერთო კი მომკალი, ძალას კი არ გატანთ! — შეწუხდა გულიკო.

ქეთის პასუხმა იქ მყოფთა ცნობისწადილი თითქოს დააკმაყოფილა. მაშინვე იმის განხილვაზე გადავიდნენ, მათ დაშლას თუ ეცდებონენ, რა გზას დადგომოდნენ.

პოსტზე დატოვებული რანგით უმცროსი პოლიციელი მოუსვენრობას შეეპყრო. კიბის საფეხურებზე ხალხის რიცხვი თვალდათვალ მატულობდა, უფროსობა კი არა და არ ჩანდა. ყოველი ახალი შემოერთებული საკუთარ გასაჭირზე ყვებოდა. მათი მონაყოლი თითქმის ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ დამხვდურები გულისყურით უსმენდნენ. ახალგაზრდა პოლიციელი მათ მიმართ თანაგრძნობით განეწყო. ამ ჭრელ მასაში ყველაზე მეტად მაინც „მომაჯადოებელი“ ქალის (ასე მონათლა თავისთვის) მდუმარება და ტაძრის გუმბათს თვალმოუცილებლად მიჩერებული მისი სახე იზიდავდა. ეს ქალი თითქოს გარშემორტყმულ, მოგნიასე ადამიანებს ვერც კი ამჩნევდა და, გეგონებოდა, უხილავ ნიშანს ელოდა, რომ პირველსავე დაძახებისთანავე იქაურობას გაცლოდა.

მოედნისწინა ტროტუარზე სეირის მოყვარულები გროვდებოდნენ. ისინი მოვლენების განვითარებას აკვირდებოდნენ და აინტერესებდათ, ამ არაორგანიზებულად თავშეყრილ მოქალაქეებს რა პასუხს გასცემდა ხელისუფლება, მათთან დიალოგზე წამოვიდოდა, თუ ნიღბოსანთა ძალებით გარეკავდა.

ახალგაზრდა პოლიციელი ოდნავ დამშვიდდა, როცა მათკენ მომავალი მაღალჩინოსნები შენიშნა. ისინი კიბეზე დაღვრემილი გამომეტყველებით ჩამომწკრივდნენ და სასახლის წინ მოფუთფუთე მასას უცნაური განწყობით მიაჩერდნენ.

შუადღისთვის ტელევიზიაც გამოჩნდა. ტელეოპერატორები თავიდან მოედანზე თავშეყრილ ხალხს ფართო ხედით იღებდნენ. შემდეგ ტელეკამერები ქეთისკენ მიმართეს. თმაშეკორტნილმა, ყაჩაღანა ტელეწამყვანმა

ხალხში მუჯლუგუნებით გზა გაიკვლია, ქეთის ვეება მიკროფონი სახეზე ააფარა და გამყინავი, წიკვინა ხმით კითხვები დააყარა.

ქეთი დუმდა.

— უცნაურია, მაგრამ ამ აქციის მთავარი სულისჩამდგმელი ქალბატონი ჩვენს კითხვებს თავს არიდებს. საინტერესოა, ვინ დგას ამ აქციის მომწყობთა უკან (კიბის საფეხურებზე მსხდომებმა ინერციით ზურგსუკან აღმართული მასიური სვეტებისკენ მიიხედეს), რა ზრახვები ამოძრავებთ მათ, ეს სოციალური საკითხი შემდგომში პოლიტიკურ ბატალიებში ხომ არ გადაიზრდება. აი, კითხვები, რომლებიც ჩვენს თანამოქალაქეებს აღელვებთ და, ბუნებრივია, ჩვენც თანავუგრძნობთ იმ ადამიანებს, რომლებმაც სულ ახლახან უარი თქვეს გაუსაძლისსა და გაურკვეველ ყოფაზე და ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის აღმშენებლობას გულდამშვიდებით ელიან. იმის შემდეგ, რაც ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ხალხის საერთო დოვლათის მიმტაცებელთა ალაგმვას წარმატებით შეუდგა...

— გააჩერეთ, გააჩერეთ! — გაისმა აღშფოთებული ხმები.

ტელეწამყვანი წამით შეცბა, მაგრამ გული საგულეში ჩაიბრუნა და ქაქანი გააგრძელა.

უეცრად მის წინ ვიღაც აყლაყუდა წამოიმართა და მიკროფონს ხელი წაავლო. ნირწამხდარმა ტელეწამყვანმა გვერდზე გაიწია. აყლაყუდას მიკროფონისთვის ხელი ისე ჩაევლო, ტელეწამყვანმა ძვრაც ვერ უყო, შემდეგ ტელეოპერატორს მიმიკით რაღაც ანიშნა, რომელმაც ან მისი მინიშნება ვერ შენიშნა, ან სულაც არ დაემორჩილა და ტელეწამყვანის გაფითრებულ და აყლაყუდას თვითდაჯერებულ სახეებს ფართო ხედით იღებდა.

— ახლა კი კითხვებს ჩვენ თვითონ ვსვამთ და მთავრობამ და ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და პასუხი გაგვცეს, — წამოიწყო აყლაყუდამ, — პირველი: იცის თუ არა ჩვენმა მთავრობამ, რამდენი კაზინო და ტოტალიზატორია თბილისში? თუ იცის, მოსვლის დღიდანვე მათი ქალაქიდან გატანის ან გაუქმებისთვის რად არ იზრუნა?

მეორე: ვის ჯიბეებში მიედინება ის ათიათასები, ყოველ ღამით კაზინოებში რომ შედის? წინა ხელისუფლებამ კაზინოების ქალაქიდან გატანა თუ დახურვა განიზრახა, მაგრამ, ხელისუფლებასა და პარლამენტში თავმოყრილი მათი დამცველების თავგამოდებით, ეს საკითხი დაიბლოკა და თანდათან მიჩუმათდა. ამ საკითხზე რატომ ერთხელ მაინც არ დასცდა სიტყვა ამ ეგრეთ წოდებულ ვარდებით მოსულ ხელისუფლებას?

მესამე: როგორც წარამარა ჩაგვჩიჩინებენ, ჩვენი ახლადდანიშნული მინისტრები ევროპასა და ოკეანის მიღმა არიან ნასწავლები. გვიპასუხონ: ამერიკის კონგრესის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების პარლამენტის შენობის წინ, ან ორმოცდაათი ნაბიჯის სიახლოვეს, არის თუ არა კაზინოები და, უკაცრავად, ბორდელები... შეიძლება ვიღაცას გაუკვირდეს, სად კაზინო და სად ბორდელიო, მაგრამ სადაც ერთია, მეორეც იქვე იგულისხმება...

ჩვენი აქცია დაუყოვნებლივ მოითხოვს ამ კითხვებზე რეაგირებას. ამ საკითხისთვის თავის არიდება ნიშნავს იმას, რომ ძველი მთავრობისა და პარლამენტის მრავალი დამნაშავე სუბიექტი ამ ახალ მთავრობასა და პარლამენტშიაც შეგრიალდა და ამ საკითხის მიჩუმათებას შეეცდება, და თუ ეს ასე მოხდება, გპირდებით, ეს აქცია საერთო დაუმორჩილებლობაში გადაიზრდება, რადგან თანამოქალაქეთა უმრავლესობის ქონება და პირადი კეთილდღეობა ამ კაზინოებმა შეიწირა, და ეს მრავალგზის გაძარცვული ხალხი საბოლოო განადგურების წინაშე დგას. ჩვენი შვილები ტოტალიზატორებში ათენ-აღამებენ, სიტყვიერ ნიძლავებში აგებენ თანხებს — თავიდან მცირეს, მაგრამ მოგების აზარტში შესულები, თანდათან ებმებიან კაზინოების მესვეურთა მახეში და, შესაბამისად, ვიღებთ კატასტროფულ სურათს: შვილები ძარცვავენ მშობლებს, მშობლები შვილებს, ძმები ძმებსა და დებს, ნათესავები ნათესავებს, ცოლები ქმრებს, ქმრები ცოლებს, მეგობრები მეგობრებს, ნაცნობები ნაცნობებსა და უცნობებს, და ჩანს, მთელი ქვეყანა მომავალში სათამაშო სახლების მოვალე იქნება... თუ მთავრობამ და ხელისუფლებამ ყველაფერი ეს იცის და დუმს, იგი დამნაშავეა. თუ არა, ვალდებულია

გაერკვეს და გვითხრას სიმართლე, რადგან მათი თქმით, მთავრობისა და ხელისუფლების ჩინოვნიკები ჩვენ მიერ არიან დაქირავებულნი. თუ ეს სიცრუეა, გამოგვიცხადონ და ხალხი თავს თვითონვე მიხედავს. გმადლობთ! — დაამთავრა აყლაყუდამ და მიკროფონს ხელი უშვა.

მის გამოსვლას ტაში, სტვენა და მოწონების შეძახილები მოჰყვა.

საბოლოოდ, დაბნეულმა ტელეწამყვანმა აქციის მონაწილეთა მისამართით რაღაც წამოიკნავლა და კიბიდან გაქრა.

— მოდიან, მოდიან! — ატყდა ჩოჩქოლი წინა რიგებში.

კიბის საფეხურებზე მსხდომთა შორის გზას არაპროპორციულნაკვთებიანი, თმაჭაღარა დაჯღვარკული დედაკაცი მოიკვლევდა, ვიღაცის ხუშტურის გამო ადამიანთა უფლებების თავგამოდებულ დამცველად რომ იყო გასაღებული.

— ხალხის სიტყვები დანამდვილებაში უნდა იკანონებდეს, მაგრამ როგორც ჩვენში სიტუაციები გვიკარნახობს, ამ საკითხების ხელის ერთ დარტყმევებში ვერ მოგვარდება... — დაიწყო მან თავისი ჩიქორთულით.

ხალხი ამ „თავგამოდებული უფლებათა დამცველის“ ირგვლივ ჯგროდ მოგროვდა. მის ზურგს ამოფარებული „ახალი სახეები“ ვითომ მორცხვად თავდახრილნი იდგნენ და „უფლებადამცველის“ ორაზროვანსა და უკუღმართ პასუხებზე სიცილს ძლივს იკავებდნენ და შიგადაშიგ გაკაპასებული ქალების გულის მოგებას ცდილობდნენ. მოედნის ერთ კუთხეში დაცვას შავტუხა, გამჭოლთვალება კაცი მიემწყვდია და მათ მხრებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან ცდილობდა აქციის მონაწილეთათვის პასუხი გაეცა.

— ბატო თენგიზ, ეს ხომ ბუჯეტს დააზარალებს, დაფიქრდით, რა მოთხოვნებს აყენებთ! — იჭაჭებოდა ის, მაგრამ არტახივით შემორტყმული დაცვა ოდნავი განძრევის საშუალებასაც კი არ უტოვებდა. ის ხალხის კითხვებს ოსტატურად თავს არიდებდა და ამოჩემებულ, მომგებიან თემას განგებ წელავდა.

ვიღაცამ, ამას ჩვენ მართლა ბატები ხომ არ ვგონივარ-

თო, გამწარდა, ფეხზე წამოიჭრა და, ეტყობა, ყველაფერი ამისი ბრალიაო, იყვირა.

მთავრობის სახლისწინა მოედანი აბობოქრდა.

ამ მოდგანდგარე მასაში ერთადერთი ქეთიღა ინარჩუნებდა დუმილს. იგი ისევ ტაძრის გუმბათს იყო მიჩერებული. ზოგჯერ მზერას ცის უსაზღვრო სილურჯეს მიაპყრობდა და მის გუმბათქვეშ ლაღად მონავარდე ფრინველთ თვალს ადევნებდა.

კიბის განაპირას მდგომი ახალგაზრდა პოლიციელი ქეთის თვალს არ აცილებდა. უმართავი მდგომარეობის გამო, მისი არსებობა არც არავის ახსოვდა, მაგრამ უფროსების დავალებას ერთგულად ასრულებდა. მათ რომც არ ებრძანებინათ, ამ ქალს ყურადღებას არ მოაკლებდა. რამდენიმეჯერ ფეხზე წამოჭრილ ადამიანებს შორის დაკარგა. საოცარ სიხარულს განიცდიდა, როცა იმავე ადგილზე მჯდომს იპოვნიდა.

შებინდებამდე ხალხმა გამზირზე მოძრაობა ჩაკეტა. საიდანღაც მეგაფონებიც გაჩნდა და გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

— კაზინოებიდან ბიუჯეტში შესულ შემოსავალზე საუბარი, კაზინოების მიერ გაღატაკებული ჩვენი მოქალაქეების აბუჩად აგდებაა...

— პრეზიდენტი, დროა, მიწაზე დაეშვას და ხალხს ყური მიუგდოს...

— ამათ ჩვენ მართლა სოროსლანდიელები ხომ არ ვგონივართ?..

— სოროსის დაგეგმილი პროგრამა სრულდება. ჩვენი ხალხი დროზე გონს თუ არ მოეგო, ქვეყანას ნაწილ-ნაწილ გაასხვისებენ...

აგნიასებულ ხალხში ქეთიმ თავის სახელს მოჰკრა ყური. ალბათ, ვიღაც სხვას ეძახიანო, იფიქრა, მაგრამ კიბის საფეხურებზე ჩახერგილ ადამიანებს შორის მისკენ ხანდაზმული ასაკის მიუხედავად მარჯვედ ამომავალი გოროზი გარეგნობის, თალხი ფერის კაბა-კოსტიუმში გამოწყობილი ქალი რომ შენიშნა, შეკრთა.

— ტელევიზორში გნახე. თვალს არ დავუჯერე. კიდევ კარგი, ჩვენები შინ არ იყვნენ, თორემ გული გაუსკდებო-

დათ. რა დაგკარგვია აქ, ახლავე წამოდექი და გამომყევი! — შეუტია შორიდანვე ხანდაზმულმა.

ქეთი მეტყველებაწართმეული მიაჩერდა, მერე მის უკან ატუზულ ქალსაც დააკვირდა.

— ვინ არიან ესენი, რა უნდათ თქვენგან? — ჰკითხა ლამარამ.

— ეს დედამთილია, — ხანდაზმულზე მიანიშნა ქეთიმ.

მის ირგვლივ მსხდომებმა თავები მიატყუპეს და ჩურჩული გააბეს.

— ნუთუ გგონია, რომ ყველაფრის პატიება შეიძლება?..

— უპატიებელი რა ჩაიდინა, ქალბატონო?! — გააწყვეტინა ლამარამ.

ხანდაზმული წუთით დაიბნა.

— რასაც ვამბობ, კარგად ვიცი, თქვენ კი სხვის საქმეში ნუ ეჩრებით! — გონს მოსვლისთანავე დააცხრა ლამარას, — მერე ქეთის მიუბრუნდა, — ახლავე ადექი და გამომყევი!

ქეთიმ გვერდით მსხდომთ პლაკატი მიაწოდა, მალე დავბრუნდებიო, დაუბარა და ხანდაზმულ ქალს წელმოწყვეტილივით გაჰყვა.

როგორც კი მოედანს გასცდნენ, შეჩერდა.

— ფეხი გამოადგი, აქვე, ჩასახვევში, მანქანა მელოდება, — დაიწყო ისევ ხანდაზმულმა.

— უკაცრავად, რამდენიმე ხანი მარტოდ დაგვტოვეთ, — მიმართა ქეთიმ მის თანმხლებს.

— მაგდა, მანქანაში დაგველოდე, — დაადევნა ხანდაზმულმა თანმხლებს.

როცა ის საკმაო მანძილით დასცილდათ, ქეთიმ ხანდაზმულ ქალს თვალი თამამად გაუსწორა და თავის დაცვა დააპირა, მაგრამ იმან დაასწრო.

— რა ჩაგიცვია, შე ბედნიერო, ლამისაა, ზედ შემოგასკდეს... ან რას ნიშნავს ყოველივე ეს? რომელი რევოლუციონერი შენ მყავდი, რომ... ვიცოდე მაინც, ვინ წაგაქეზა!..

— არავისაც არ წავუქეზებივარ. ის პლაკატი თვითონ დავწერე, მოვედი აქ, დავჯექი და აი...

— შეენ?! — გაოცებისაგან გაშრა ხანდაზმული. მოგვიანებით ენა ძლივს დაძრა, — რატომ, რამ გაიძულა?... ჩემი

ოჯახის პატივისცემას ამგვარად იხდი?.. მაინცდამაინც საქვეყნოდ უნდა გამოგვაჭენო?.. ახია ჩემზე, უნდა მცოდნოდა, ამხელა მდგომარეობასა და წრეს ყველა როდი იმშვენებს! — სარკაზმით დააყოლა.

— ნუთუ დალაპარაკება შეურაცხყოფის გარეშე არ შეიძლება?

— თავიდანვე ასეთი უჯიათი იყავი. სანამ ბაჩო არ გადარიე, არ შეეშვი. მერე, გინდა თუ არა, ცალკე ცხოვრება გვინდაო, მერე უცხო ენების სწავლა აიჩემე, თავისუფლად რომ ყოფილიყავი, შვილიც არ გააჩინე. ახლა ყველაფერი ფეხზე დაიკიდე, და ამ... დუნდგოში ჩაჯექი. რატომ, რა დაგიშავეთ, ახლავე შინ წამოდი!'

— რომელ შინზე მელაპარაკებით? — ჰკითხა ქეთიმ.

— რაიო?!. ხომ არ გაგიჟდი?! — გაიოცა ხანდაზმულმა.

— გუშინ კახამ წყნეთში ამიყვანა და იცით, იქ რა მოხდა?..

— ისეთი რა უნდა მომხდარიყო, არ გადამრიო ახლა! — ირონიული ღიმილით გამოსცრა ხანდაზმულმა.

— მანამდე ბაჩომ დამირეკა, წვეულებაზე მივდივართ, მე რომ მიყვარს, ის სამკაულები გაიკეთე და ბოლო ხანებში ნაყიდი გამოსასვლელი კაბა ჩაიცვიო. მანქანაში მის მაგივრად კახა რომ დამხვდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა არც მიმინიჭებია, ძმებივით თანშეზრდილები არიან-მეთქი და... ჩვენს აგარაკზე ამიყვანა. მანქანა ავტოფარეხში რომ დააყენა, ბაჩო სადღაა, აკი წვეულებაზე უნდა წავსულიყავით-მეთქი. შიგნით შევიდეთ და იქ გაგარკვევ ყველაფერშიო. მეგონა რაღაცას ხუმრობდა. ბაჩოც, ალბათ, სადღაც აქვეა და სიურპრიზს მიმზადებენ-მეთქი. შევედით, შუშაბანდიდან ორისთვის გაშლილი სუფრა ჩანდა. ამან დამაეჭვა და ბაჩო, დროა გვეჩვენო-მეთქი, დავიძახე. კახა შეცბა. შემდეგ გამოტყდა, სუფრა ჩვენ ორისთვისაა გაშლილი, ბაჩო აქ არაა და არც მოვაო... მთავარი სათქმელი რომ ეთქვა, შორიდან დაიწყო... ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ, მაშ, ძმაკაცები რისთვის ვართო და ასე შემდეგ. ვკითხე, რაც ნიშნავს ყველაფერი ეს, ბოლ-ბოლო, იტყვი თუ არა-მეთქი... და ისეთი რამ გამიმხილა, გამეორება მიჭირს...

— თუ დაიწყე, ბარემ დაასრულე კიდეც! — ხმა გაუმკაცრდა ხანაზმულს.

— ეს ყველაფერი იმდენად ამაზრზენია, რომ...

— შენ უბრალო რამის გაზვიადება გახასიათებსხოლმე, — გადაჰკრა ხანდაზმულმა.

— რახან ასე მიგაჩნიათ, რა გაეწყობა! — ყრუდ ამოთქვა ქეთიმ და ძალა მოიკრიბა, — ეს აგარაკი, სახლი, მანქანა და ყველაფერი ბაჩომ კაზინოში წააგო, რამდენიმე ძმაკაცმა ხელი გავუმართეთ და... პირობისამებრ, შენი თავი ერთი წლით მე გადმომაბარაო...

ხანდაზმულმა ტყვიანაკრავივით გულზე ხელი იტაცა და შებარბაცდა.

მათ გვერდით წამისუმალ ახალგაზრდა პოლიციელი გაჩნდა, ხანდაზმულს ხელი შეაშველა, ქეთისთან ერთად ძელსკამთან მიიყვანა, ჩამოსვა და ჭიქა წყალიც მოარბენინა. ქეთის სახეზე არც შეუხედავს, შემთხვევითი გამვლელი ეგონა, მადლობა გადაუხადა და ზურგი შეაქცია. პოლიციელი ერთხანს მათ შორიახლოს ტრიალებდა, მერე მთავრობის სახლისკენ გაემართა, შედგა და ძელსკამზე განმარტოებულთ თვალს იქიდან ადევნებდა.

ძელსკამის საზურგეს მიყრდნობილმა ხანდაზმულმა დაიკვნესა და თავი წამოსწია.

— არა, მითხარი, რას ნიშნავს ეს გადაბარება?.. რა უზნეობაა, საიდან, ვინ მოიგონა?.. ამის შემდეგ ერთმანეთს კიდევ ძმაკაცებად იხსენიებენ?!. ყველაზე ბოლოს ამას მე რატომ ვიგებ?!. — თითქოს თავის თავს ეკითხებოდა.

ქეთი მდუმარედ შეჰყურებდა.

— მერე შენ? — მიუბრუნდა ქეთის მოგვიანებით.

— მე იქ მოვკვდი... მაგრამ მალე მივხვდი, წივილ-კივილი რომ ამეტეხა, არ ივარგებდა.

— შენ რა, ამ საშინელ ამბავს ასე ადვილად შეეგუე?!

— ბაჩოს გამო განვიცდიდი, თორემ კახას სიტყვები ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. წარმოგიდგენიათ?.. მათ თურმე ასე გადაუწყვეტიათ!.. კიდევ რა უნდოდათ?.. მე ნივთი არა ვარ, რომ ასე გამასხვისონ, მაგრამ მათ „საძმაკაცოში“ ასეთი რამ ორჯერ გაუვიდათ და იფიქრეს...

— ბაჩო რომ თამაშობდა, იცოდი?

— თქვენ პირველად გესმით? — ხანდაზმულმა თვალი მოარიდა, — თავიდან მეგონა, რომ გატაცება მალე გაუვლიდა. ბედი მწყალობსო, გაიძახოდა. ღრეობებს ბოლო არ უჩანდა. ბოლო ხანებში ხელი მოეცარა, ერთმანეთის მიყოლებით აგებდა, სახლიდან ყველაფერი გაჰქონდა. ერთადერთხელ ვკითხე, სად მიგაქვს-მეთქი. თავის დაძვრენას ტყუილებით რომ ცდილობდა, შემრცხვა... ყველაფრის მიუხედავად, ასე რომ დაეცემოდა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი...

— კიდევ რა მოხდა იქ? — ხაზგასმით იკითხა ხანდაზმულმა.

— მთავარი უკვე მოვყევი, დანარჩენი არც ისე საინტერესოა.

— მაინც?

— გონზე მოსასვლელად დრო მინდა-მეთქი... ჩემმა გარეგნულმა სიმშვიდემ დააეჭვა კახა. უნდობლად შემომყურებდა. სხვა გზა არ მქონდა, მთელი ჩემი შესაძლებლობები გამოვიყენე... ჩანს, იმდენად დამაჯერებლად გავითამაშე, დროებით შემეშვა და გამოსაძინებლად მანქანაში ჩაჯდა.

— შენ?

— მთელი ღამე ტანგაუხდელად ტახტზე ვიჯექი. თავი გამოვიტირე... ბაჩო რომ არ შემხვედროდა, ვიქნებოდი სოფელში, შესაფერი ვინმე მეც გამომიჩნდებოდა, სხვისი სასაყვედურო და დასამადლებელიც არაფერი მექნებოდა...

— ვის გულისხმობ?

— რა თქმა უნდა, თქვენ... არ იფიქროთ, შურისძიება მალაპარაკებდეს, მაგრამ ამ ერთხელ მაინც ჩემი სათქმელი რომ არ გითხრათ, არ შემიძლია... თქვენს შეუარცხყოფებს რომ ვითმენდი, არ გეგონოთ, პასუხის გაცემა არ შემეძლო. ვცდილობდი მომეთმინა, რაღაც-რაღაცებზე თვალი დამეხუჭა... ისიც იცოდეთ, ცალკე ცხოვრება ბაჩოს უნდოდა, ჩემი სწავლის გაგრძელებაც მან აიჩემა. რაც შეეხება უშვილობას...

— ესეც ბაჩოს ბრალი არ გახადო ახლა!

— ხშირად ვიხსენებდი-ხოლმე სოფელში ბაჩოს პირველ სტუმრობას, მის დაბინდულ, სევდიან გამოხედვას... მამა-ჩემი გაიძახოდა, რა ვქნა, არ მომწონს ეგ ბიჭი, რას უგავს თვალები, წაიყვანონ, გამოაძინონ მაინცო. ღვინოს რომ არ ეკარებოდა, ამან უფრო დააეჭვა. არც მაგათი სრა-სა-სახლეები გინდა შვილო, არც ქალაქში ცხოვრებაო, მეწი-ნააღმდეგებოდა. ვინ დაიჯერა!.. მიწაში ჩემი დარდი ჩაჰყ-ვა... მე კი, გულუბრყვილოდ ბაჩოს სწორ გზაზე დაყენება მინდოდა. ბევრი ვეცადე, სად არ ვდიე. ეს თქვენც იცოდით, მაგრამ თავი ისე გეჭირათ, თითქოს ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო... ჰო, კახა დილით ამოვიდა, საუზმე მივართვი, დავუყვავე და ღიმილ-ღიმილით ჭიშკრამდე მივაცილე. ცოტა ხანში გამოვიქეცი. სახლში მივედი, კაბა და ფეხ-საცმელი გავიხადე, სამკაულებიც ზარდახშაში ჩავაწყე, ბაჩომ რომ ჩამომიყვანა, ის კაბა და ფეხსაცმელი ჩავიცვი. გახსოვთ? თქვენ მაშინ მოგეწონათ. რას ვიფიქრებდი, რომ ასე შედგებოდა, ფეხსაცმელიც მიჭერს. მაგრამ მაინც ეს მირჩევნია, იმიტომ, რომ ვიცი, ნამდვილად ჩემია... აქეთ რომ მოვდიოდი, ხელოსანი კარის კლიტეს ცვლიდა, გას-აღებიც იმას დავუტოვე... ასე რომ, ახლა არც სახლი მაქვს, არც კარი, ჩანთაში ცოტაოდენი დანაზოგი მიდევს და სულ ესაა..

ხანდაზმული ქალი ახალგაზრდას გაოგნებული სახით შეჰყურებდა. უეცრად ცრემლი წასკდა.

— წამოდი ჩვენთან, ის სახლი ხომ შენიცაა?

— რაც აქამდე ჩემი არ ყოფილა, აწი რანაირად გახდე-ბა?

— შენს ცხოვრებაში სხვა ვინმე ხომ არ გამოჩენილა? — ფრთხილად ჰკითხა ხანდაზმულმა.

— არა, და არც მგონია, ასეთი ვინმე გამოჩნდეს, — მშვიდად უპასუხა ქეთიმ.

— შენი გარეგნობის ქალს ისე ვინ დატოვებს...

— ბაჩოს ხელში იმდენ ცდუნებას გავუძელი, რომ...

ხანდაზმულმა თვალი მოარიდა.

— საკუთარი კუთხეც ხომ გინდა?— — ჰკითხა მოგვი-ანებით.

— მექნება. ერთგან დიდი ხანია მელიან... ბაჩოს გამო თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა ამას წინ არაფერი უდგას.

ხანდაზმული ქალი უხმოდ იცრემლებოდა. უკვალოდ გამქრალიყო მისი გარეგნული მედიდურობა, თითქოს თვალსა და ხელს შუა დალეულიყო.

— რისი გაკეთება შემიძლია შენთვის?! — რიდით ჰკითხა ქეთის.

— ილოცეთ, თუ რა თქმა უნდა...

— მაპატიე! — შეევედრა.

— ღმერთი დიდია, მან თუ გაპატიათ, მე ვინა ვარ? — უპასუხა ქეთიმ, თავი დაუკრა, მიტრიალდა და მთავრობის სახლის კიბეებისკენ გაემართა.

— თუ გაგიჭირდა, აუცილებლად შემატყობინე! — მიაძახა ხანდაზმულმა.

ქეთის უკან არ მიუხედავს, ნაბიჯს აუჩქარა და ხალხის ნაკადს შეერია.

ახალგაზრდა პოლიციელიც მის კვალს გაჰყვა.

მთავრობის სახლისწინა მოედანი თავლისმომჭრელად გაენათებინათ. ხალხის ტევა არ იყო. კიბის საფეხურებზე ნემსიც არ ჩავარდებოდა.

ქეთი რამდენიმე ხანს პლაკატს და თავის ადგილს ამაოდ ეძებდა. კიბის საფეხურებზე მსხდომნი საყვედურობდნენ, უთავბოლო ბორიალს თავი ანებეთ და სადმე მოკალათდითო, ურჩევდნენ. ვიღაცამ უბიძგა კიდეც და ორ უცნობ გოგონას შორის ჩაჯდა.

— ამიხსენით, რა ხდება აქ? — ოდნავ რომ დაშოშმინდა, ჰკითხა ხელმარჯვნივ მჯდომს

— თავიდან? — ცოტა ამრეზით ჰკითხა გოგონამ.

— არა, ბოლო ნახევარი საათის ამბები.

— იყო არაფრისმომცემი მოწოდებები, შეხლა-შემოხლაც. ფუნქციადაკარგულმა პოლიტიკურმა პარტიებმა სიტუაციის გამოყენება მოინდომეს, სოციალური საკითხების წამოწევა არ გინდათ, მთავარი მაინც პოლიტიკურია და თქვენც ყურადღება ამაზე გაამახვილეთო.

— მერე როგორ გადაწყდა?

— აქციის ორგანიზატორები ვერ დაითანხმეს. ახლა პრეზიდენტთან გასაგზავნი დელეგაციის სიას ადგენენ. ისე, ხალხი უკმაყოფილოა, როცა თვითონ ჭირდებოდა, ყველგან მიდიოდაო, მაგრამ არ არიან მართლები, პრეზი-

დენტი ყველა მიტინგზე სიარულს რომ მოჰყვეს, ცხრა სიცოცხლე არ ეყოფა...

— თიკო, რანაირად მსჯელობ? ცხრა სიცოცხლე რას მიქვია, ზუგდიდში ვიღაც ბანდიტების გამო ხომ ჩაფრინდა?.. ახლა კანცელარიაშია, კეთილი ინებოს და მობრძანდეს! — შეაწყვეტინა მარცხნივ მჯდომმა გოგონამ.

— პრეზიდენტი ხელის ბიჭი როდია, რომ აქეთ-იქით ირბინოს! — არ შეეპუა მარჯვნივ მჯდომი.

— თიკო, არა ხარ მართალი! — შეეწინააღმდეგა მარცხნივ მჯდომი.

— გამაგებინეთ, პრეზიდენტთან შესახვედრად ვის გზავნიან? — იკითხა ქეთიმ.

— აქციის მოთავე ქალს და, საერთოდ, ვინც მასთან ერთად თავიდან დაჯდა... იცით, რა ქალია?.. ადრე გამოაცხადეს, ლამაზი ვიღაცაა, თვალი ზედ დაგრჩებაო, მაგრამ სიმართლე არ ყოფილა, სილამაზისაგან ცოტა შორსაა, თუმცა, როგორც იტყვიან, შიგნიდან ანათებს, ნამდვილად გენიალური ტიპია! — გაიბადრა მარჯვნივ მჯდომი გოგონა.

— თიკო, ნუ აჭარბებ, ერთ უბრალო დუნკაა! — იხტიბარს არ იტეხდა მარცხნივ მჯდომი გოგონა.

— იტყვი, რაღა, — დაიბნა მარჯვნივ მჯდომი.

ირგვლივ მსხდომთ გაეცინათ.

— მაინც რომელია? — იკითხა ქეთიმ.

ათმა ხელმა მარჯვენა მხარეს, ბუჩქებისკენ მიახედა.

იქ ქეთის ნაცნობი, შუა ხნის, შესუქებული ქერათმიანი ქალი კაცებს შორის იდგა და ხელებს გაცხარებით იქნევდა.

— მაგას გულიკო ჰქვია, გვერდით რომ უდგას ლამარაა, აქეთ რეზო, ცოტა იქით ნანა, მერე მზია...

— რა ბედნიერებაა, თქვენ მას იცნობთ კიდეც?! — გაიოცა მარჯვნივ მჯდომმა გოგონამ.

— რატომაა ბედნიერება? ზედგამოჭრილი დუნკაა და მეტი არაფერი, ეგენი კიდევ... — წამოიწყო მარცხნივ მჯდომმა.

— იმიტომ, რომ მარტოდმარტო მოვიდა აქ, არავის შეეპუა და დახე, რამდენს მოგვიყარა თავი, — გააწყვეტინა მარჯვნივ მჯდომმა.

— მაგ ქალმა?! — იკითხა თავის მხრივ განცვიფრებულმა ქეთიმ.

— მა?! — გაოცებითვე ჩაეკითხა იგივე გოგონა.

ქეთი მიხვდა, ახლა რომ მტკიცება დაეწყო, კიბეზე პირველი მე დავჯექი და არა ის შესუქებული ქერათმიანი ქალიო, სიცილს დააყრიდნენ.

— თქვენ გჯერათ, რომ ის ქალი ბოლომდე გაიტანს? — ისევ იკითხა ქეთიმ.

— მა?! — საოცარი რწმენით წამოიძახა მარჯვნივ მჯდომმა გოგონამ.

— როცა გეკითხებიან, წესიერად უპასუხე! — გაუწყრა ვიღაცა.

— ეგ საკითხი თუ არ მოვაგვარე, თავს არ ვიცოცხლებო, დაიქადნა, — დააზუსტა მან.

— ყოჩაღ! — ხმამაღლა წამოსცდა ქეთის.

— ხომ გეუბნებოდი, გენიალურია-მეთქი, აგერ, დაგიმტკიცეს კიდეც! — თავისებურად შური იძია მარჯვნივ მჯდომმა გოგონამ ქეთისგან მარცხნივ მჯდომზე.

— თიკო, მე კიდევ გიმეორებ, ეგ ქალი მგონი თავს სხვის მაგივრად ასაღებს, — თავისას არ იშლიდა მარცხნივ მჯდომი გოგონა.

— საიდან მოიტანე! — ხმაში განაწყენება შეეტყო მარჯვნივ მჯდომს.

— იქიდან, რომ მას არც ინტელექტი ეტყობა, არც გარეგნობითა და შინაგანი კულტურით ბრწყინავს...

— მგონი, შენ შური უფრო გალაპარაკებს!..

— მორჩით ბაზარს, თორემ, აი! — დასჭექა უკნიდან გადმომდგარმა ჩასხმულმა ტიპმა.

გოგონებმა მის მაღლა შემართულ ტორს და დაფჩენილ პირს რომ შეხედეს, ხმა გაკმინდეს. ვიღაცამ გადაიხარხარა. ეს ხმა უეცრად ფეხზე წამოჭრილი ხალხის დგანდგარში ჩაიკარგა.

ზოგჯერ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, გეგონებოდა, ალალმა ჩამოიქროლაო. ქეთის ირგვლივ მსხდომნი ყოველ გამომსვლელს საოცრად ზუსტ შეფასებას აძლევდნენ. მათ მახვილ მზერას უმცირეს სიყალბესაც ვერ გამოაპარებდი.

„კიდევ კარგი, იმ შესუქებულმა ქერათმიანმა მთელი პასუხისმგებლობა თვითონ რომ იტვირთა. ამ ხალხის ყურადღებას ვერც გამოსვლით მივიპყრობდი და ვერც ვერავის ავიყოლიებდი. ის ქალი კი, როგორც ამ გოგონამ თქვა, სანამ ამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, ვერ მოისვენებს. „ოღონდაც ამ კაზინოებს რამე მოუხერხონ და, რა მნიშვნელობა აქვს სათავეში ვინ იქნება“, — გაიფიქრა ქეთიმ, წამოდგა და ერთმანეთს მიკრულ ადამიანებს შორის გზის გაკვლევას შეუდგა.

ტაქსის გაჩერებასთან მისულს ხალხის გუგუნი ისევ ესმოდა. მის შორიახლოს თვალ-ყურად ქცეული ახალგაზრდა პოლიციელი იდგა. ქალის ტაქსი რომ დაიძრა, იგი მომდევნოში ჩაჯდა და მძღოლს — წინა ტაქსი მხედველობიდან არ დაკარგოო, უკარნახა.

* * *

მონასტრის გალავანთან ტაქსი შეჩერდა, თავსაფარმოხვეული ქალი გადმოვიდა, კარი მიხურა და ტაქსიც დაიძრა. ქალი ალაყაფის კარს მიუახლოვდა და სამჯერ ხმამაღლა დააკაკუნა.

მონასტრის შემოგარენი სიმყუდროვეში ჩანთქმულიყო. ქალი ამ სიმყუდროვეს შინაგანი თრთოლვით ყურს უგდებდა.

გალავანთან მანქანამ დაამუხრუჭა. მძღოლის გვერდით მჯდომმა მგზავრმა მინა ჩასწია და ალაყაფის კარის წინ მდგომს მიაჩერდა.

ქალის ყურთასმენას მონასტრის ეზოს ქვაფენილზე ფეხსაცმლის ფრატუნი მისწვდა. ეს ხმა ნელ-ნელა ახლოვდებოდა, ალაყაფთან შეწყდა და სიჩუმემ დაისადგურა.

— ვინ არის?— ქალის უშფოთველმა ხმამ სიჩუმე გაჰკვეთა .

— ამსოფლის მგზავრი, — მიუგო ალაყაფის წინ მდგომმა გულისმიერი, მღელვარე ხმით.

პასუხად ურდულმა გაიჩხაკუნა, კარმა მძიმედ გაიჭრიალა.

— ქეთევან, შენ ხარ?! — გაიოცა ღია კარში მდგომმა შაოსანმა.

— მშვიდობა, დედაო! — მიესალმა ალაყაფის კარის წინ მდგომი.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს! — უპასუხა შაოსანმა და გულში ჩაიკრა, მერე შორიახლოს მდგომი მანქანისკენ გაიხედა.

— დასარჩენად მოხვედი, თუ გელოდებიან? — იკითხა.

— ვრჩები, დედაო, მარტო ვარ, — უპასუხა სტუმარმა.

ამისი თქმა და, მანქანა უხმოდ დაიძრა, უეცრად წინ გაიჭრა და შესახვევში გაუჩინარდა.

— დიდება შენს სახელს, უფალო, რა იყო ეს?! — გაიკვირვა შაოსანმა, სტუმარს გზა დაუთმო, ალაყაფის მძიმე კარი ჟღრიალით მიხურა და ურდული გაუყარა.

რამდენიმე ხანს ეზოდან მათი ნაბიჯების ჩქამი ისმოდა. ცოტაც და, მონასტრის შემოგარენი სიმყუდროვეში ჩაინთქა.

სასახლე კლეოპატრასთვის

— Милости просим ваше благородие, пожалуйте! — მხნედ შესძახა მაღალმა, თხელნაკვთებიანმა, კინკრიხ-ომდე მელოტმა და ცხვირაპრეხილმა, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა, ჩინ-მედლებითა და ეპოლეტებით დამშვენებულმა წელამდე მოხრილმა გენერალმა. სახეზე მორგებული მაამებლური ღიმილითა და თავის კანტურით სამთავრობო შავი „ჩაიკის“ კარი შეაღო, თვალი შეავლო უკანა სავარძელზე ფუმფულა ბალიშზე დედოფლური იერით განაბულ ანგორას ჯიშის თეთრ კატას, რომელ-მაც დამხვდური ყურადღების ღირსად არც კი ჩააგდო, მის თავაზიან მიწვევაზე გვერდით მჯდომ ფერადკანიან ქალს ამრეზილი გამომეტყველებით გადახედა და ისე პრეტენ-ზიულად დაიკნავლა, მოხუც გენერალს ღიმილი სახეზე შეაშრა.

— Хе, хе, хе... Ваше высочество!.. — იხტიბარი არ გაი-ტეხა გენერალმა, მაგრამ როგორც კი საკუთარი სიტყვების აბსურდულობა, კატის „მისი უმაღლესობის“ ტიტულით მოხსენიება და თავისი მხრიდან ამ ტიტულისთვის შეურა-ცხყოფის მიყენების მცდელობა გააცნობიერა, მანქანის სა-ლონი ყურადღებით მოათვალიერა, — Разве её благородие, всемирная кинозвезда лично приехат не соизволила?!. — იკითხა გაწბილებულმა და ცალკე მღელვარებისაგან და ცალკე პაპანაქებისაგან ოფლით გახვითქული შუბლი და ჩაცვენილი ლოყები უშველებელი ცხვირსახოცით შეიმშ-რალა.

უეცრად, მძღოლის გვერდით უძრავად მჯდომი და მოხ-უცს სფინქსივით მიჩერებული, სპორტული აღნაგობის ქერა ახალგაზრდა კაცი შეირხა, კარი შეაღო, სხარტად გადმოაბიჯა, დამხვდურს რატომღაც ზემდგომის ხაზგას-მული მედიდურობით მიესალმა და მაშინვე საქმეზე გადა-ვიდა.

— Уважаемый Николай Николаевич, к вашему сведению, я переводчик посольства, Григори Петрович, и хочу вам представит самую прелестную, необикновенную и милейшую особу Клеопатру (კატაზე მიუთითა), для кого, как вам уже

известно, и нанимается ваш замок, а леди Лизи сюда приехат в том случае соизволит, эсли Клеопатре приглянется ваш изумительный дворец.

თარჯიმანმა პატივისცემით რომ მოიხსენია და მისი სასახლეც შეაქო, გენერალს საოცრად ეამა, მადლიერების ნიშნად გულკეთილად გაუღიმა და მარჯვენა გაუწოდა, მაგრამ თარჯიმნად ხმობილმა ეზოსა და მისი შემოგარენის განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით დათვალიერების მომიზეზებით, მისი ჟესტი არც შეიმჩნია.

— Прощу ваше благородие... Тоест, ваше высочество, тоест... — ოდნავ შეყოვნდა გენერალი, — хе, хе, хе!.. — უხერხულობის დაფარვას შეეცადა, თუმცა ბალიშზე ნებიერად მოკალათებულ კატას გაწბილებული მზერა ისევ რომ შეავლო, საბოლოოდ დაბნეულმა, ხელი გაფარჩხა.

ამ გაურკვეველი მოძრაობის პასუხად, ფერადკანიანმა ქალმა, რომელიც მოახლე აღმოჩნდა, კატა სახეზე აღბეჭდილი მოწიწებითა და თითქმის თაყვანისცემით მანქანიდან გადმოაბრძანა და მარადმწვანე მცენარეებს შორის ყვითელი სილით დაფარული კლაკნილი ბილიკით მომცრო, ულამაზესი სასახლისკენ ფრთხილი ნაბიჯით გაემართა.

როგორც კი მოახლემ კიბის საფეხურებზე ააბიჯა, ფისომ ბალიშიდან ისკუპა, პარმაღის ფილაქანზე მსუბუქად დაეშვა და რამდენიმე ნახტომით სასახლის ღია კარში გაუჩინარდა.

ვიდრე გენერალი, კატის ორი ფერადკანიანი მოახლე, „ჩაიკის“ მძღოლი და თარჯიმანი, ანუ საელჩოს მიერ ყოველ მათგანზე მიჩენილი საიდუმლო აგენტი (ამერიკულის თუ სსრკ-ის, თავად არ დაუკონკრეტებია და ამის გარკვევა არც გენერალს უცდია, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან აგენტი, ამერიკელი იქნება თუ ჩინელი — აგენტია), რომლის სახის ნაკვთებს ვერაფრით დაიმახსოვრებდით, კლეოპატრას დაეწეოდნენ, აუცილებლად მიგვაჩნია, ამ საუცხოო შენობაში ასეთი პატივით კატის მობრძანების მიზეზები განვმარტოთ:

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ამერიკასა და საბჭოთა კავშირს (გარე სამყაროსთვის რუსეთს) შორის ურთიერთობა დათბა, ანუ ამ

ორმა ზესახელმწიფომ „ცივი ომი“ პირობითად დაასრულა, მათი მთავრობები ორი ქვეყნის დაახლოებაზე ალაპარაკდნენ და ამ ე.წ. დათბობის ერთ-ერთი გამოხატულება ამერიკა-სსრკ-ის კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მოღვაწეთა თანამშრომლობა გახლდათ. ამ პროგრამაში ასევე ერთ-ერთ პუნქტად შედიოდა ერთობლივი ძალებით კინოფილმების გადაღება, რაც მათი აზრით, სახელმწიფოებს შორის შექმნილ უნდობლობას გაარღვევდა და ხალხთა დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

ამ წლებში ამერიკული და, საერთოდ, დასავლური ხელოვნების თითო-ოროლა გამოჩენილი მოღვაწე თუ სწვევია საბჭოთა კავშირს, რადგან ხელისუფლებას არ სურდა დემოკრატიული, ანუ თავისუფალი განწყობები ფართო მასშტაბით შემოჭრილიყო აკრძალვებსა და თავშეკავებას ჩვეულ „საბჭოეთის“ საზოგადოებაში. მსახიობებს მოსკოვისა და ლენინგრადის (ამჟამინდელი პეტერბურგის) გარდა, სხვაგან გადაადგილების უფლება შეზღუდული ჰქონდათ. ჯორჯ ბალანჩინის (თანამედროვე ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის) დასს ვერ აუკრძალეს თბილისში ჩამოსვლა ხელმძღვანელის ქართული წარმოშობის გამო, კიდევ ბენი გუდმენს, დინ რიდსა და ორიოდე უმნიშვნელო რიგით შემსრულებელს, თორემ „ბითლზებს“, „როლინგსტოუნებს“ „ლედ ზეპელინებსა“ და მსოფლიოში სახელგანთქმულ სხვა ჯგუფებს აქაოდა, ახალგაზრდობა არ გარყვნანო, არამცთუ საქართველოში, საბჭოთა კავშირშიც კი არ შემოადგმევინეს ფეხი... ამასობაში, საბჭოთა კავშირის „დიდმა თეატრმა“ ხელსაყრელი გარემოებით ისარგებლა, საქვეყნოდ სახელგანთქმული საოპერო და საბალეტო დასებით, მევიოლინეებით, ვიოლონჩელისტებით თუ პიანისტებით შტატების საკონცერტო დარბაზებს მოედო და მაყურებელთა ფართო ფენები მოაჯადოვა...

ყველაფერი ეს იმ დროს ხდებოდა, როცა „საბჭოეთი“ მსოფლიოს წინაშე თავს იწონებდა, როგორც მშვიდობის გარანტი, უმდიდრესი, განვითარებული და კულტურის მოწინავე ქვეყანა, თუმცა, როგორც შუბი ხალთაში დიდხანს ვერ დაიმალება, ისე, ქვეყანაში (ქვეყნებში, სუვერენიტეტი მხოლოდ ქაღალზე რომ ჰქონდათ მინიჭე-

ბული, სინამდვილეში კი რუსეთის ჩვეულებრივი კოლონიები გახლდნენ „მოძმე“ რესპუბლიკების სტატუსით), რომელიც ამოუწურავ ბუნებრივ რესურსებს ფლობდა, მახინჯი ავტორიტარული სისტემის, მარაზმატ ხელისუფალთა უუნარობისა და ყველა სფეროში ზღვარდაუდებელი კორუფციის გამოისობით, მასებში საშინელი სიდუხჭირე სუფევდა, მაგრამ არავის ჰქონდა უფლება ამაზე ხმამაღლა დაეწუწუნა, რადგან ეს, კაპიტალისტური სამყაროს წინაშე ქედის მოხრის ტოლფასად აღიქმებოდა. მაშინ, როცა „საბჭოთა“ რესპუბლიკების პრესა და საინფორმაციო წყაროები სასურსათო პროგრამების ორასი თუ სამასი პროცენტით შესრულებას დიდი ზარ-ზეიმით იუწყებოდა (რაც აბსურდამდე მიდიოდა და გარესამყაროსთვის გაუგებარი იყო), მოსკოვის, ლენინგრადისა და რამდენიმე დიდი ქალაქის გარდა, სხვა ქალაქებისა და დასახლებათა მაღაზიები გამოფხეკილი გახლდათ, ყვაოდა შავი ბაზარი, დახურული სამთავრობო საწყობებიდან და მაღაზიებიდან ნომენკლატურულ მუშაკებზე სიებით გაიცემოდა ისეთი პროდუქტები, რომელთა გემოც, გამონაკლისის გარდა, ქვეყნის მოქალაქეებს დავიწყებულიც კი ჰქონდა და „საბჭოეთიდან“ საგასტროლოდ გაჭრილმა მუსიკოსებმა ამერიკულ „სუპერმარკეტებში“ პირველად რომ შეაბიჯეს, სხვადასხვა სანოვაგით დახუნძლული დახლების ნახვით გაოცებულებს შავად მბზინავმა ფერადკანიანმა ვირგლა მოლარემ თუ მენეჯერმა „Бири дура, а то скоро не станет!“-ო, შეუძახა, რაზეც დიდი თეატრის საქვეყნოდ სახელგანთქმულ, სახტად დარჩენილ ახალგაზრდა მევიოლინე ქალს მკერდზე მიკრული იტალიელი ოსტატის — გვარნერის ნახელავი უნიკალური საკრავი ლამის გაუვარდა და გონზე მოსულს რუსულენოვანმა გიდმა განუმარტა, რომ ეს ფრაზა ფერადკანიან მოლარეს თუ მენეჯერს თქვენს შეურაცხსაყოფად კი არ დასცდენია, არამედ ეტყობა, სუპერმარკეტებში გასაყიდად გამოფენილი პროდუქტების სიჭარბით გაოცებულ „საბჭოთა“ ტურისტებს იმდენჯერ გაუმეორებიათ, შინაარსის ჩაუწვდომლად დაუზეპირებიაო...

არც ის იყო შემთხვევითი, „საბჭოეთიდან“ ერთხელ ძლივს გაჭრილ ხელოვანთა უმეტესობა, სხვადასხვა მიზეზით, თავშესაფარს რომ ითხოვდა ევროპასა და ამერიკაში, და, იმ დროიდან მოყოლებული, „დიდი თეატრის“ ბევრი სახელგანთქმული სოლისტი დამკვიდრდა დასავლეთის სცენებზე, ყოველი მათი გასტროლი მთავრდებოდა დიდი წარმატებით და — რომელიმე გამოჩენილი სოლისტის იქ დარჩენით...

ამ ფონზე დაიწყო სამზადისი ამერიკა-სსრკ-ის ერთობლივი ფილმის გადასაღებად. გადაწყდა, გამოჩენილი ევროპელი დრამატურგისა და ფილოსოფოსის ზღაპარ-პიესის ეკრანიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ორი ბავშვის მოგზაურობა დროსა და სივრცეში, რაც შეუცნობელის შეცნობის უდიდესი სურვილითა და სიკეთის მარადიული ძიებითაა შთაგონებული.

კინოფილმში მთავარი როლების შემსრულებლებად მიწვეულნი იყვნენ „ჰოლივუდის“ სახელგანთქმული კინოვარსკვლავები და რუსი კინომსახიობები, ხოლო მეორეხარისხოვან ან მასიურ სცენებში „მოძმე“ რესპუბლიკების წამყვანი მსახიობები, რომლებიც ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით არ ჩამორჩებოდნენ ამერიკელ და რუს კინოვარსკვლავებს, თუმცა, ეროვნული კუთვნილების გამო, ვერც ერთი მათგანი მთავარ როლზე ვერ მოხვდა.

ფილმს იღებდა „ლენფილმი“, ანუ ამჟამინდელი პეტერბურგის კინოსტუდია. კინომსახიობები განათავსეს ლენინგრადის (ამჟამინდელი პეტერბურგის) ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში, ნომრებიც მსახიობთა რეგალიების მიხედვით განაწილდა. ყველაზე კეთილმოწყობილი და ძვირადღირებული ნომრები, რა თქმა უნდა, ერგოთ ამერიკელ კინოვარსკვლავებს, შემდეგ რუსებს, ხოლო შედარებით არაპრესტიჟული, ერთი კუდისმოქნევა ნომრები რუსების ე.წ „უმცროს ძმებს“.

მთელ რიგ აჟიოტაჟთან იყო დაკავშირებული ლენინგრადში „ჰოლივუდის“ კინოვარსკვლავთა ჩამოსვლა, მათი გამოჩენა საგანგებო უსაფრთხოების დაცვის კორდონებით შემოკავებულ სასტუმროს მისადგომებთან, რესტორნებთან, კაფე-ბარებთან თუ კინოპავილიონებთან.

ათასობით კინომოყვარული ქუჩაში ღამეებს ათევდა, რომ რომელიმე მათგანისთვის ერთხელ მაინც შეევლო თვალი.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მილიონობით კინომოყვარულთა კერპი, შეუდარებელი, იისფერთვალება ელიზაბეტი, რომელსაც ფილმში სხვა პერსონაჟის გარდა, სიკეთის ფერიაც უნდა განესახიერებინა (ცხოვრებაში ანჩხლსა და თავნებას, განთქმულს მთელი რიგი სკანდალური თავგადასავლებით), და მისი ანგორას ჯიშის თეთრი, ფუმფულა კატა — კლეოპატრა (წლების წინ მის მიერ განსახიერებული ლეგენდარული პერსონაჟის სიყვარულით შერქმეული), რომელსაც დღის სხვადასხვა მონაკვეთში თავს სხვადასხვა მოახლე დასტრიალებდა და, როგორც გაირკვა, კატას ისეთივე აპარტამენტი რგებია, როგორიც პატრონს, რაც განსაკუთრებული ყურადღების საგნად გაუხდია მისი პერსონისთვის შეუფერებელ ნომერში განთავსებულ ერთი-ერთი „მოძმე“ რესბუბლიკის კინოსა და თეატრის საკმაოდ სახელგანთქმულ მსახიობს.

ერთხელ, ნასაუზმევს, როცა მოახლემ ნეილონის ფერადი ბანტებით დამშვენებული თეთრფუმფულაბეწვიანი კატა ის-ის იყო, სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად დერეფანში გამოიყვანა და ლიფტში უნდა შესულიყვნენ, რომ ამ მსახიობმა თავისი ნომრის კარი ოდნავ შეაღო, ხაფი ხმით კლეოპატრას სახელი სამჯერ დაიგრგვინა და მიიმალა.

შენობის მთელ სიგრძეზე გაყოლებულსა და დახურულ დერეფანში ექომ ლამის ჭერი ჩამოიღო.

კატა შიშისაგან ასპიტნაკბენივით შეხტა, უცნაური მალაყებით კედლებს მიაწყდა, წერაატანილივით მოჰყვა დერეფანში წაღმა-უკუღმა წრიალს, შემდეგ „თავისი“ აპარტამენტის კარს ეცა, ფხაჭნა დაუწყო, იატაკზე გაწვა და გულსაკლავი კნავილი გააბა.

ცალკე შემზარავი ხმისა და ცალკე კატის საქციელით ლამის შეშლილმა მოახლემ საშველად სასტუმროს პერსონალს და სხვა მოახლეს უხმო, რომლებიც არამკითხე მოამბეებთან ერთად მოცვივდნენ და უკიდურესობამდე დაბნეული და შეშინებული მოახლისა და გონდაკარგული კატის გარშემო მოიყარეს თავი.

ვერც მოფერებამ და ვერც დაყვავებამ შედეგი ვერ გამოიღო. როგორც კი წამოაყენებდნენ და ლიფტისკენ უბიძგებდნენ, კატა მოახლეებსა და გულშემატკივრებს ხელიდან უსხლტებოდა და ისევ „თავისი“ ნომრის კარისკენ მიიძურწებოდა. მოახლეები ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ, კატა ნომერში დაებრუნებინათ, თუმცა ვერც ვრცელ აპარტამენტში ჰპოვა სიმშვიდე, ერთთავად საწოლებისა და სავარძლების ქვეშ მიძვრებოდა და მისი დევნით გაწამებულ მოახლეებს უცნაური ქცევით საგონებელში აგდებდა.

მეორე დღესაც, ნასაუზმევს, მოვლენები ზუსტად იგივე თანმიმდევრობით განვითარდა. მოახლეები შეეცადნენ დაედგინათ საიდან მოდიოდა ის უცნაური ხმა, თუმცა ვერც სასტუმროს დაცვისაგან და ვერც ადმინისტრაციისაგან ვერაფერი სანუგეშო შეიტყვეს. დამფრთხალი კატა დააბრუნეს ნომერში და თავს ევლებოდნენ, მაგრამ იგი ერთთავად ხელიდან უსხლტდებოდათ, ტახტქვეშ მიძვრებოდა, გაბმით კნაოდა და ცოცხალი თავით არ გამოდიოდა იქიდან, ხოლო ყველაზე სავალალო ის იყო, საკვებს არ ეკარებოდა.

ლენინგრადის კინოპავილიონებისა და ტყე-პარკების შემდეგ, მოსკოვის ძველ უბნებსა და იალტის ზღვისპირეთში მიმდინარე გადაღებებში მთელი გატაცებით ჩართულ ელიზაბეტს, მოახლეები საგულდაგულოდ უმალავდნენ კლეოპატრას ამბავს და გადაღებებისაგან ორიოდე დღით თავისუფალმა თავის აპარტამენტში კატის მიყვანა რომ მოისურვა, ერთხანს ფეხს ითრევდნენ, მაგრამ სირაქლემას პოზაში ყოფნა დიდხანს არ დასცალდათ.

კატის სავალალო გარეგნობამ ელიზაბეტი ლამის დაამუნჯა. ერთხანს გარინდული იჯდა და ტრაგიკული გამომეტყველებით მისჩერებოდა თავის უსაყვარლეს ფისოს, ხოლო როცა ელდამ ოდნავ გაუარა და მისკენ ხელი გაიწვდინა, კატა მოახლეს დაუსხლტა, სავარძელქვეშ შეძვრა და იქიდან ვერც მოფერებით, ვერც ალერსით თუ კატეგორიული მოთხოვნით ვერ გამოიტყუა.

მოსამსახურეთა მკაცრი დაკითხვის შემდეგ ელიზაბეტმა კატის გადამრევი წყაროს დადგენა სცადა, თუმცა

სასტუმროს ადმინისტრაციამ, დიდი მონდომების მიუხედავად, მის პრეტენზიებს ვერ გასცა გარკვეული პასუხი, რადგან იმ უცნაური ხმის პატრონს ვერაფრით მიაკვლიეს, ხოლო ხმის დაკავების ფაქტი, როგორც ცნობილია, დედამიწაზე ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა.

სასოწარკვეთილმა კინოვარსკვლავმა ჯავრი მოახლეებზე იყარა. მთელი საღამო მისი აპარტამენტიდან ფეხების ბაკუნს ხმამაღალი მოთქმა-ტირილი, რაღაცის უარყოფა, ისტერიული კივილი და მოახლეების დათხოვნის მუქარა ენაცვლებოდა.

როგორც კი გული მოიოხა, ელიზაბეტი ტელეფონით დაუკავშირდა კლეოპატრას პირად ვეტერინარს ესპანეთში და ხანგრძლივი კონსულტაციები გამართა ფისოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელიც კატის ნერვიული აშლილობის მთავარ მიზეზად არა მარტო უცხო ხმას, არამედ ლენინგრადის ნესტიან კლიმატსა და არაჯანსაღ კვების რეჟიმს მიაწერდა. შესაბამისად, კატას დაენიშნა გამაჯანსაღებელი მასაჟები და ახალი დიეტა. ასე რომ, ამიერიდან კლეოპატრას ესპანური და ბრაზილიური დელიკატესების მაგივრად, წმინდა ამერიკული, კვალიფიცირებული ექსპერტების მიერ შემოწმებული პროდუქტები უნდა მირთმეოდა, რასაც კვირაში ორჯერ ამერიკული საჰაერო ძალების მეშვეობით მიაწვდიდნენ ელიზაბეტის მომსახურე პერსონალს.

პირველმა კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მეორე კვირიდან საქმე ისევ გართულდა: ფისომ ამერიკიდან საგანგებოდ მისთვის გამოგზავნილი საკვებიც აითვალწუნა. ელიზაბეტმა ესპანელ ვეტერინართან კონსულტაციები განაახლა, რომელმაც ამჯერად დაარწმუნა, რომ კლეოპატრას შფოთვის მიზეზად სასტუმროს უარყოფითი აურა მიაჩნდა და ურჩია, კატისთვის ისეთი საცხოვრებელი ეშოვა, სადაც იდეალურ გარემოს შეუქმნიდნენ. სხვა შემთხვევაში, მსახიობს კინოგადაღებები უნდა შეეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

როგორც კი კინოსტუდიის მესვეურებმა მისი პროტესტი მოისმინეს, საქმეში ჩაერთვნენ რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის სამინისტროები. ხელისუფლებამ

მათ დაავალა დაედგინათ კლეოპატრას ნერვიული აშლილობის წყარო და ლენინგრადში მისთვის სასწრაფოდ გამოეძებნათ მყუდრო აპარტამენტი.

რამდენიმე დღეში ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში აღმოაჩინეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მავრიტანული სტილით ნაგები, მარადმწვანე ნარგავებში ჩაფლული ორსართულიანი, მინიატურული სასახლე, რომელიც რუსეთის არისტოკრატიული გვარის ახალგაზრდობაში დაქვრივებულსა და სამხედრო სამსახურს ლამის შეწირულ, უმემკვიდროდ გადაგებულ შთამომავალს, კადრის გენერალ ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ვესელჩიკოვს ეკუთვნოდა.

შეპირებული სოლიდური ქირის, სასახლეში მსოფლიო ვარსკვლავის შესაძლო წვევისა და მის ჭერქვეშ ამ ვარსკვლავის რჩეული ციცას განთავსების მაცდუნებელმა წინადადებამ, ეს ბებერი პეწენიკა იმდენად მოხიბლა, მღელვარება ვერ დაიოკა და ამ წარმოუდგენელი გამართლების გამო ღმერთს მადლობა შესწირა...

* * *

გენერალი სასახლეში კატის კვალზე მოახლეების, თარჯიმნისა და „ჩაიკის“ მძღოლის მარდად შევარდნამ ისე გააოცა, ფეხი ძლივს მოინაცვლა. ვესტიბიულში რომ შეაბიჯა, თვალი შეასწრო მეორე სართულის კიბეზე ზოზინით ამავალ სამთავრობო „ჩაიკის“ მძღოლს, დანარჩენთა ხმები სასახლის რომელიღაც ოთახიდან თუ სხვენის კიბიდან მოისმოდა.

— კლეოპატრა, კლეო, საყვარელო, სად ხარ! კლეოპატრა, გული ნუ გამიხეთქე, შემეხმიანე! — ტირილნარევი ხმით მოუწოდებდნენ მოახლეები კატას.

ამაო ბორიალით გასავათებულებმა თავი ვესტიბიულში მოიყარეს, ვისაც სად მოუხერხდა, იქ მიჯდა სულის მოსათქმელად, ოდნავ შეისვენეს და მსჯელობა იწყეს იმაზე, თუ რა მეთოდით განეგრძოთ ძებნა, რომ სასახლის პატრონმა, — Вот и его высоче!.. — გახარებულმა წამოი-

წყო და ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ უეცრად ხმას ჩაუწია და გარკვეული პაუზის შემდეგ, — то ест, этот избалованный и несносный кот! — წინადადება ბრაზმორეული ხმით დაასრულა, რადგან როგორც გაირკვა, ეს კატა, თურმე, არაფრით განსხვავდებოდა თავისი თანამოძმეებისაგან, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი წუწკი ცხოველი აღმოჩნდა, რაც კატამ კუდზე ჩამოკონწიალებული, საცოდავად აფართხალებული თაგვის დემონსტრირებით დაადასტურა.

თარჯიმანმა მოახლეთა მხრიდან ამ ფრაზის საპასუხო რეაქცია ელვისებურად შეაფასა და მისი სიტყვები არ თარგმნა. თუმცა, მათ მოხუცის გამოხდომისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ, რადგან კლეოპატრას შესახებ გაზვიადებული წარმოდგენების უეცარი მსხვრევის ტყვეობაში მყოფნი, სახეზე აღბეჭდილი იმედგაცრუებისა და გულისწყრომის ნაზავი გრძნობით შეჰყურებდნენ ამ თავგასულ შინაურ არსებას, რომელსაც წლების განმავლობაში თავს ევლებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

მათი აზრით, კლეოპატრას, ისეთი ბინძური არსებით, როგორიც თაგვია, პირი არ უნდა წაებილწა.

— ისუს მარია! ახლავე დააგდე, მაგ ბინძურმა ცხოველმა არ მოგწამლოს! — მღელვარედ შეუტია ახალგაზრდა, ძონძროხა მოახლემ ფისოს და უსუსურობის განცდით დათრგუნულ და კატის მოქმედებით მონუსხულ, ფლორად წოდებულ ასაკოვან, ავადმყოფურად გამხდარ მოახლეს მუდარით მიმართა:

— მადმუაზელ ფლორა, უბრძანეთ, ამ საძაგელ ცხოველს ახლავე შეეშვას, ვინ იცის, რითაა დაავადებული!

— კლეო, ძვირფასო, ასე სათუთად იმიტომ გივლით და იმიტომ გაჭმევთ დელიკატესებს, რომ ამ ჩაბინძურებული ვილის აბლაბუდებსა და მტვერში იძრომიალო და გადაგვარებულ თაგვებსა და ვირთხებს სდიო?.. ეს რომ მადამ ლიზიმ შეიტყოს, გიფიქრია, რა მოუვა? ახლავე გაუშვი ეს დაწყევლილი თაგვი, თორემ სადაცაა, გული გამიჩერდება! — საწყალობელი ხმით შეევედრა ფლორა კატას (მკითხველს აქ და სხვაგან ინგლისური მონოლოგების მხოლოდ პირდაპირ თარგმანს ვთავაზობთ).

შეისმინა კატამ მისი სიტყვები, თაგვი იატაკზე დასვა და ჩანდა, გაშვებას უპირებდა. ასაკოვანმა მოახლემ გამარჯვებულის იერით გადახედა ირგვლივ მყოფთ, თუმცა შედეგით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა. როგორც კი თაგვი გონს მოეგო და გაქცევა დააპირა, კლეოპატრამ გზა თათით გადაუკეტა. თაგვმა ამჯერად საპირისპირო მხარეს სცადა გაქცევა. კატამ ისევ გადაუკეტა გზა და მისი მოდგმისთვის ათადან-ბაბადან შესისხლხორცებული კატა-თაგვობანა გააგრძელა.

— საიდან, ეს ბოროტი თამაში, მას ხომ თაგვისთვის თვალი არასოდეს მოუკრავს! — აღშფოთებული გამომეტყველებით გაიოცა ხნიერმა მოახლემ.

— Ваше высочество!.. то ест, мадмуазель, хе, хе, хе... не удивляйтесь, у них в отличие от Homo Sapiens-a, особый генетический память, — განმარტა გენერალმა და, როცა მისი სიტყვები თარგმნეს, ფლორად წოდებულმა მოახლემ ასაკთან შედარებით არაბუნებრივად გამოპრანჭულ, მაგრამ მისი აზრით, დაჩაჩანაკებულ გენერალს მკაცრი მზერა შეავლო.

— როგორც ჩანს, ადამიანებისაგან განსხვავებით, კატების ბუნებაში საკმაოდ ერკვევით, მაგრამ კლეოსთვის დაუშვებელია მღრღნელებთან კონტაქტი. ვაითუ, რამე დაავადება გადაედოს, ის ხომ ჯერ კიდევ ძალიან სუსტადაა და ამის გამო, ესპანელმა პირადმა ვეტერინარმა ახლახან განსაკუთრებული დიეტა დაუნუშნა...

— Какой чушь... раз она с мышкой так резвится, то, вполне здорова! — დაასკვნა გენერალმა ხმამაღლა, კატა, მისი მოახლეები, თარჯიმანი და ამ ხალხის მიეთ-მოეთით გაკვირვებისაგან პირდაღებული „ჩაიკის“ მძღოლი წყურვილის მომიზეზებით დატოვა და, როცა ვესტიბიულში დაბრუნდა, თაგვი არსად ჩანდა, კატა ხანდაზმული მოახლის მკლავებში იგრიხებოდა, ხოლო თარჯიმანმა ამცნო, კლეოპატრას თქვენი სასახლე იმდენად მოეწონა და თავი ისე შინაურულად იგრძნო, თანახმა ვართ აქ გადმოვიყვანოთ, ოღონდ, სანამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერდეთ, სასახლე სანიმუშოდ უნდა მოწესრიგდეს, რომ მავნებელმა მწერებმა ან მღრღნელებმა ფისოს ზიანი არ მიაყენონო.

თარჯიმანმა გენერლის სასახლეს მეორე დღესვე დამლაგებელ ქალთა და მამაკაცთა ლამის მთელი არმია შეუსია. სამი დღე ალაგებდნენ და აწკრიალებდნენ იქაურობას. მეოთხე დღეს კი, საღამოხანს, სასახლის კარიბჭეს შავი „ვოლგა“ მოადგა, საიდანაც ქვაბუნაქუდიანი, სახედაღვრემილი ჩინოვნიკები გადმოლაგდნენ, განსაკუთრებული ინტერესით შეამოწმეს სასახლე და ყოველი მისი კუთხეკუნჭული, გენერალს გააცნეს ხელშეკრულება, სადაც ცალკე პუნქტად იყო შეტანილი მისი უფლება-მოვალეობები და ისიც, რომ მეორე სართულზე, კუთვნილი სასახლის ბუდუარში, ეძლეოდა ცხოვრების უფლება. ბოლოს, ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინეს, შეაქეს, მოწყალედ გაუღიმეს და ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს იქაურობა.

მათი წასვლიდან საათსაც არ გაევლო, იმავე ალაყაფის კარიბჭეს ორი სამთავრობო „ჩაიკა“ რომ მიადგა. გაჩერებისთანავე წინა მანქანიდან მძღოლი გადმოხტა, ცქვიტად შემოუარა, კარი გააღო და მუქვუალშემოვლებულ ფეტრის შლაპიან ქალბატონს გაუწოდა ხელი, რომელმაც მანქანიდან ფეხი ნაზად გადმოაბიჯა, შეგებებულ ხელს საიმედოდ დაეყრდნო, გადმოვიდა, გაიმართა (საშუალო ტანის ჩანდა), უკანა მანქანისკენ მიტრიალდა, საიდანაც მის ნიშანზე მოახლეებმა ბალიშზე ნებიერად გაშოტილი კლეოპატრა გადმოაბრძანეს, ბილიკს დაადგნენ და, როგორც კი სასახლის კარში გაუჩინარდნენ, ტანზე ასხმული ვერცხლისფერი კაბის შარიშურით გაემართა სასახლისაკენ, რომლის პარმაღზე გენერალი ისე იდგა, გეგონებოდა, სარდლისთვის პატაკის ჩაბარებას აპირებდა.

ქალბატონმა კიბე გრაციოზულად აიარა, მხედრულად გაჭიმული გენერლის წინ შედგა და ქვემოდან ახედა.

— Ваше блогородие, вас привествует потомственный князь, генерал в отставке Николай Николаевич Весельчиков! — გამობრძმედილი მებრძოლის გზნებით წარმოთქვა გენერალმა და მის წინაშე თავი დახარა.

ელიზაბეტის კვალზე აჩრდილივით მავალმა თარჯიმანმა გენერლის მიმართვა თარგმნა. ქალბატონმა ფეტრის შლაპის ვუალი აკეცა და გენერალს მომხიბლველი

ღიმილით სულში ჩამწვდომი, იისფერი თვალები შეანათა.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს კლეოს ამ ულამაზეს, კოხტა ვილაში ყოფნა შერყეულ ჯანმრთელობას აღუდგენს და სიამოვნებას მიანიჭებს, — მიმართა მტრედის ღუღუნა, სულში ჩამწვდომი ხმით და სპილოს ძვლისფერი, ჩამოქნილი ხელის მტევანი გაუწოდა, რომელსაც ბებერმა ლოველასმა მონუსხულივით დახედა, დაიხარა და სამჯერ ეამბორა.

კინოვარსკვლავმა კლეოპატრასთვის საგანგებოდ გამოყოფილი ოთახები მოინახულა, მომსახურე პერსონალს დაუზუსტა კატის კვების რეჟიმი, მასაჟისა და ჰიგიენის დეტალები, შემდეგ გენერალს პატივისცემის ნიშნად ჭიქა ჩაიზე და ნამცხვარზე დაეწვია, ძველი, ოქროსფერი გრამაფონით ფიოდორ შალიაპინის შესრულებით რუსულ რომანსს მოუსმინა, რაზეც აღტაცება ვერ დაფარა. მისი საყოველთაოდ გახმაურებული კინოროლებით გენერლის აღფრთოვანებულ შეფასებას სიამოვნებით დაუგდო ყური. საბოლოოდ, არც თვითონ დარჩა ვალში, კოპწია სასახლისა და დახვეწილი გემოვნების გამო გენერალი კომპლიმენტებით აავსო, ლამაზმონოგრამიანი ვერცხლის პორტსიგარი უსახსოვრა, თარჯიმნობა შეთავსებულმა საიდუმლო აგენტმა ფოტოსურათიც გადაუღო მასთან ერთად და ისეთი ბედნიერი სახით დაემშვიდობა, გეგონებოდა, მოხუცს „ოსკარის“ მორიგი პრიზით დაეჯილდოებინოს...

იმ საღამოს შემდეგ კინოვარსკვლავისთვის თვალი არც მოუკრავს გენერალს. სამ დღეში ერთხელ, ან როცა მოუხერხდებოდათ, რამდენიმე საათით, პატრონთან სასტუმროში მიჰყავდათ გახალისებული კატა. მოხუცს კინოვარსკვლავთან დაუვიწყარი ურთიერთობის შემდეგ, კლეოპატრაზე წამიერი გულაცრუება არც გახსენებია და ბედნიერებად ისიც ჰყოფნიდა, კინოვარსკვლავის ამ საყვარელი არსების სიახლოვეს, განცხრომით რომ გაჰყავდა საღამოები, რისი წინააღმდეგი არც ფისოს მოახლეები გახლდნენ.

დღისით კატა ეზოს ბუჩქებში, სასახლის სარდაფში, ხანაც სხვენზე დაძვრებოდა და გენერლისაგან ბოძებული

თავისუფლებით ტკბებოდა. მომვლელები საღამოობით ფისოს მტვერსა და აბლაბუდებს რომ აცლიდნენ, მისი მხნეობით ფრთაშესხმულებს, გენერლის მისამართით საყვედურს ვერ დააცდენინებდი.

რაც შეეხება კინოს, მიუხედავად იმისა, რომ გზადაგზა თავს უამრავი წინააღმდეგობა იჩენდა, გადაღებები, როგორც ამბობდნენ, წარმატებით მიმდინარეობდა და ამისი ერთ-ერთი საწინდარი, კლეოპატრას უშფოთველი ყოფა გახლდათ, რის შესახებაც დაწვრილებით ანგარიშს წერდა და, სადაც საჭირო იყო, იქ გზავნიდა ამერიკის თუ სსრკ-ის საელჩოს თარჯიმანი, თუ საიდუმლო აგენტი. ასე რომ, თითქოს ყველა მხარე კმაყოფილი ჩანდა...

მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა კინოგადაღებები ის-ის იყო, უნდა დასრულებულიყო, კლეოპატრას გასაოცრად თეთრმა და ფაფუკმა ბეწვმა ცვენა იწყო და გარეგნულად ისე შეილახა, კინოვარსკვლავმა როგორც კი თვალი მოჰკრა, გულსაკლავი გოდება მორთო.

რამდენიმე ხანში ლენინგრადის ოლქისა და ქალაქის მმართველობის ჩინოვნიკები, ასევე, ამერიკის საკონსულოს თანამშრომლები ეახლნენ და მორჩილი გამომეტყველებით უსმენდნენ მის ტირადებს, რასაც ჭირვეული ბავშვის ფეხის ბაკუნის ფონზე რეფრენად გასდევდა: „ლოს-ანჟელესში, ჩემს ვილაში მინდა!“

— ძვირფასო, ახლავე სათანადო ზომებს მივიღებთ და აი, ნახავთ, თქვენი საყვარელი ფისო მალე გამოკეთდება!.. — უჩიჩინებდა მას ამერიკის საკონსულოს ადამიანთა დაყოლიებაში გამობრძმედილი კულტურის ატაშე.

— ჩემი საცოდავი კლეო, ჩემი ძვირფასი ფისო ბარბაროსებმა სიკვდილის პირამდე მიიყვანეს... ჯერ იყო და, ამ დაწყევლილ სასტუმროში, რომელსაც რატომღაც ფეშენებელურს ეძახიან და პროვინციელი ილუზიონისტის მოთხოვნებსაც კი ვერ დააკმაყოფილებს, ნერვიული აშლილობა დამართეს, ახლა კი იმ გენერლის მშვენიერ ვილაში საშინელმა ძალებმა (გენერლის უარყოფით კონტექსტში ხსენებისაგან თავს იკავებდა) ლამისაა, სიკვდილის პირამდე მიიყვანონ... იცოდეთ, ჩემს კლეოს რამე რომ მოუვიდეს, ვერ გადავიტან და ამაში თქვენ იქნებით დამნა-

შავე!.. სახლში მინდა, იქ ჩემი ერთადერთი საყვარელი არსება, ვიცი, მაშინვე მოკეთდება!.. — გაჰკიოდა და იისფერ, გასაოცრად ლამაზ თვალებს ცრემლში ალტობდა.

იმავე დღესვე „ჰოლივუდისა“ და „ლენფილმის“ მესვეურები საგანგებოდ შეთანხმდნენ: „ვინაიდან კინოვარსკვლავის კატის ჯანმრთელობა თვალდათვალ უარესდება, ლენინგრადის მთავარი ვეტექიმის დასკვნით, ლეტალური შედეგის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მისი სამშობლოში სასწრაფოდ გადაყვანა და სერიოზული სტაცონარული მკურნალობის დანიშვნა. რადგან დრო არ ითმენს, ყველა სამუშაო უნდა გადაიდოს და ელიზაბეტის მონაწილეობით ფილმის ბოლო კადრები პავილიონში თითო ან ორი ცდით იქნას გადაღებული“.

ფორმალური მხარეები სასწრაფოდ მოგვარდა, მაგრამ ჩაიშალა კინოვარსკვლავის წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები მთავრობისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან, ბოლოს კი მისით აღტაცებულ მაყურებელთან.

როგორც კი გადაღებები დაასრულეს, ელიზაბეტი მეორე დილითვე, კლეოპატრასა და მომსახურე პერსონალის თანხლებით, ოკეანის გაღმა, საგანგებო საჰაერო ლაინერით გაფრინდა.

კვირაც არ იყო გასული, რომ გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდას“ ბოლო გვერდზე წერილი დაიბეჭდა შემდეგი სათაურით:

„აი, ვინ არცხვენს საბჭოთა ქვეყანას“

როგორც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ფილმის მთავარი როლის შემსრულებლად მოწვეული იყო „ჰოლივუდის“ კინოვარსკვლავი, ელიზაბეტ ტ., რაც საბჭოთა კინოს გადამღები ჯგუფისთვის ამ კინოვარსკვლავის პოპულარობისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, იმთავითვე უდიდესი წარმატების გარანტად იყო მიჩნეული. კინომსახიობს თან ახლდა არაჩვეულებრივი გარეგნობისა და თვისებების ანგორას ჯიშის კატა, რომელიც ამ კინოვარსკვლავს საკუთარი შვილებივით უყვარს და თავს ევ-

ლება (შვილები მას სხვადასხვა ქორწინებიდან ჰყავდა და არც ერთი მათგანი თვითონ არ გაუზრდია, ზოგიერთთან წლობით არც ჰქონია ურთიერთობა.). მიუხედავად იმისა, რომ იმავე სასტუმროში, სადაც კინოვარსკვლავს აპარტამენტი ეჭირა, კატას და მის მომვლელ პერსონალსაც ერგო ცალკე ნომერი, გაურკვეველი მიზეზით მიყენებული ნერვიული სტრესის გამო, სპეციალისტების რჩევით, კატა დროებით საცხოვრებლად გადაყვანილ იქნა კადრის გენერლის ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ვ.-ს კერძო სასახლეში, რომელიც სოლიდური თანხის ფასად დაიქირავეს, რომ კატას მყუდრო გარემოში ნერვიული აშლილობა გადაელახა, ხოლო „ჰოლივუდის“ კინოვარსკვლავს შემოქმედებით მუშაობაში არ შეშლოდა ხელი. სასახლის პატრონი, მოხუცი გენერალი, ეს წარსულის ავი გადმონაშთი და თავისი კლასის უღირსი შთამომავალი, როგორც გაირკვა, ღალატობდა საბჭოთა ადამიანის ზნეობრივ პრინციპებს. მოიპოვა რა კინოვარსკვლავის მომსახურე პერსონალის კეთილგანწყობა, სისტემატურად ითვისებდა ამერიკიდან კატისთვის საგანგებოდ გამოგზავნილ დელიკატესებს, მათ ნაცვლად კი, მსოფლიო ვარსკვლავის საყვარელ არსებას აცდუნებდა ადგილობრივი, ვადაგასული ხორცის ნარჩენებით, ძეხვეულობითა და, როგორც ვარაუდობენ, ლპობაშეპარული მღრღნელებით, რასაც თავისუფლად შეიძლებოდა მოჰყოლოდა ტრაგიკული შედეგი, მაგრამ „ჰოლივუდისა“ და „ლენფილმის“ ხელმძღვანელობისა და საბჭოთა დიპლომატიური კორპუსის სასახელოდ უნდა ითქვას, მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მსოფლიო კინოვარსკვლავის საყვარელი არსება გადაგვარებული არაკაცის მსხვერპლი არ გამხდარიყო, ხოლო ამ ფაქტით გულგატეხილ კინოვარსკვლავს მცდარი წარმოდგენა არ შექმნოდა ჩვენს დიად სამშობლოზე და, შესაბამისად, უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობაზე.

გენერლის სასახლის სათადარიგო მაცივრიდან მტკიცებულებათა სახით, კატისთვის განკუთვნილი დელიკატესების დიდი რაოდენობაა ამოღებული. შესაბამისად, გენერალს კანონის წინაშე მოუწევს პასუხისგება.

P.S.

ცნობილი არაა, ამ საგაზეთო სტატიამ ამერიკელ კინოვარსკვლავამდე მიაღწია თუ არა. ასევე, მშობლიურმა გარემომ არგო თუა არა კინომსახიობის კატას. არც ის, სინამდვილეში რა მოხდა კლეოპატრასთვის დაქირავებულ სასახლეში, შემდგომში რა ბედი ეწია რუსეთის არისტოკრატიული გვარის, ალბათ, უკანასკნელ შთამომავალ გენერალს. სავსებით შესაძლებელია, გამოუსწორებელი რაღაც მომხდარიყო. რუსული ველიკოდერჟავა ხომ იშვიათად სწყალობდა „თავის“ თავდადებულ გენერლებს. როცა მოეპრიანებოდა, უკანასკნელი ნაძირალებივით იჭერდა, სჯიდა, გულაგებში ასახლებდა და ფიზიკურად ანადგურებდა კიდეც.

ანგელოზები

მატარებელი მეტრო ავლაბრის სადგურიდან არადა არ იძვროდა. ვაგონში დავანებულ სიმყუდროვეს ელექტროფარნების ნელი ზუზუნიღა არღვევდა. ვიღაცამ თქვა, შესაძლოა, მიმოსვლა შეწყდესო. ღამის თორმეტი საათი იწურებოდა და მთელი დღის აღმა-დაღმა წოწიალით ქანცგაწყვეტილი მგზავრები სხეულში გამჯდარ მოთენთილობას ძლივს უმკლავდებოდნენ და ფეხს ითრევდნენ.

ვერავინ გეტყოდათ, ბავშვები ღია კარში როდის გამოჩნდნენ. ბიჭურად შეკრეჭილი ქერათმიანი გოგონა რვა წლის ძლივს იქნებოდა. ალუბლისფერ თხელ კაბაზე მონაცრისფრო ჟაკეტი მოეგდო, რომლის ღილები ბოლომდე ისე ჩაეხსნა, გეგონებოდა, სადაცაა გაიხდიდა და მკლავზე გადაიკიდებდა. ფეხზე რძისფერი წინდები და ტილოს იასამნისფერი ჭვინტგაცვეთილი ჩუსტები ეცვა. სისხლნაკლულ სახეზე სევდაჩაგუბებული, თაფლისფერი თვალები უკრთოდა და ღამის მგზავრებს გაფაციცებით აკვირდებოდა.

მარჯვენა ხელი ორიოდე წლის ქერათმიანი, ღუნღულა ბიჭისთვის ჩაეჭიდა.

ისინი ადრეული შემოდგომის პირობაზე იყვნენ შემოსილნი, მიწის ზემოთ კი ულმობელი, სუსხიანი ზამთარი მბრძანებლობდა და მგზავრებს ვის, როგორ, მაგრამ თბილად ეცვათ.

რამდენიმე მგზავრი მათმა გარეგნობამ და ჩაცმულობამ ძილ-ღვიძილიდან წუთით გამოარკვია.

— იიჰ, დაყრიან და მერე მათი ბედი არც კი ანაღვლებთ! — აღშფოთება ვერ დაფარა ჩათქვირულმა ქალმა, ძვირფასი ქურქი ტანზე ისეთი მონდომებით შემოიტმასნა, გეგონებოდა, წართმევას უპირებდნენ და, მხარდაჭერის იმედით, პირდაპირ მსხდომთ თვალი მოავლო. მათ გამკიცხავ მზერას რომ წააწყდა, თავი ჩაჰკიდა, თუმცა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, — ნეტა ვის ულხინს, რო ამდენი მაწანწალა...

— ამ ანგელოზებს ასე ნუ ახსენებთ! — გააწყვეტინა გვერდით მჯდომმა ხანდაზმულმა კაცმა.

ჩათქვირულმა ბავშვებს მზერა მოავლო და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მათ მხრებზე ფრთების ამაო ძებნას საგონებელში ჩაეგდო.

ბავშვები კი მართლაც ანგელოზებს ჰგავდნენ. განსაკუთრებით ბიჭი, ფუნჩულა ლოყებითა და აბრეშუმივით რბილი, სწორი თმით. დიდრონ, ცისფერ თვალებში ბავშვური მიამიტობა და უდარდელობა ედგა. ალბათ, არც კი ესმოდა, ამ უდროო დროს მეტროში რა დარჩენოდა. სამაგიეროდ, გოგონას სახეზე არა მარტო ნივთიერი შეჭირვება, ამ პატარისადმი დედობრივი პასუხისმგებლობის ტოლფასი მზრუნველობაც აღბეჭდვოდა.

გოგონამ მათ მიმართ ცალკეულ მგზავრთა დამოკიდებულება ელვისებური სისწრაფით შეაფასა, ბიჭს უბიძგა და უხმოდ დაიძრა. ეტყობოდა, იმდენად გაფაქიზებული ალღო ჰქონდა, ძნელად თუ შეცდებოდა. პატარაზე ზრუნვა ყურადღებას კი უფანტავდა, მაგრამ ბიჭის გულუბრყვილოდ მომღიმარი სახე ამ წყვილის მიმართ მგზავრთა დიდ ნაწილს კეთილად განაწყობდა.

გოგონას გამოწვდილ პეშვში თეთრები წკარუნით ცვიოდა. ბიჭი ბაჯბაჯით მიიწევდა წინ და მოსაფერებლად გამოწვდილ ხელებს გაბადრული სახით ეგებებოდა.

მის შემყურე ღამის მგზავრებს ვარდისფერ ზმანებებში მონანავე თავიანთი პატარები ედგათ თვალწინ, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმეს გარდა, ასე გვიან ამ ორი ბავშვის, განსაკუთრებით კი ბიჭუნას მეტროში ყოფნას არც გაუოცებია. თუმცა, შესაძლოა, უკვირდათ კიდეც, ამ გათოშილ ღამეს ეს ორი, ადრეული შემოდგომის პირობაზე შემოსილი პატარა ქუჩისთვის ვინ გაიმეტა. მაგრამ, ეტყობა, ყველას თავისი წილი საფიქრალი აფორიაქებდა და მათ სიდუხჭირეს მეტისმეტად რომ ჩაღრმავებოდა, ვინ იცის, თავს სად ამოჰყოფდა, რისთვისაც, შესაძლოა, ვერაფრით ეშველა. რამდენიმე გროშის შეწევნით კი სინდისის ქენჯნის შემოტევას დროებით მაინც მიაყუჩებდა.

სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მათ ამჯერად შეეძლოთ...

ბავშვები ვაგონის ბოლოში განცალკევებით მჯდომ, საშუალო ასაკს გადაცილებულ, შეჭაღარავებული კაცის წინ რომ შედგნენ, მატარებელი დაიძრა.

მგზავრებმა მხიარული ჩოჩქოლი ატეხეს.

სახემოქუფრულმა შეჭაღარავებულმა პატარა არსებებს დაბინდული მზერა შეავლო. გოგონამ ამ სადად ჩაცმულ, ტანბრგე კაცს კრძალვით ახედა, მარჯვენა ხელი სკამის სახელურს ჩასჭიდა, მარცხენა კი ბიჭს მკლავზე ჩაავლო.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა. ბორბლებს დგანდგარი და ყურის წამღები წუილი გაჰქონდა.

კაცის მოქუფრულ სახეზე, თითქოს შავ ხნულზე აბრდღვიალებული ყაყაჩოები მოებნიოთ, კეთილმა ღიმილმა იელვა. ბიჭი მიუახლოვდა და პაწია თითებით მუხლისთავზე შეეხო.

— ამ შუაღამეს სად იყავით, ბალღებო?! — გაიოცა კაცმა ბოხი, სევდანარევი ხმით და ბიჭს ხელი გაუწოდა.

ბიჭი მხიარულად ტიტინებდა რაღაცას.

— ასე შიშვლები კარში ვინ გამოგყარათ, ჰა?! — ისევ გაიოცა კაცმა.

გოგონა დაბნეული გამომეტყველებით იატაკს დააჩერდა, ცოტა ხანში თავს მოერია და კაცს ისევ ახედა.

— დედიკომ და მამიკომ მიგვატოვეს... ბაბო კი ლოგინათაა და...

— აუუუხ! — მთელი ძალით ამოიქშინა კაცმა და მჯიღი მუხლისთავზე ურისავით დაუშვა.

ბავშვები კარებს მიაწყდნენ. დახანებით ბიჭმა შეჭაღარავებულს შიშჩამდგარი თვალებით გამოხედა.

— აქ მო! — დაუყვავა კაცმა.

გოგონას ძმისთვის ხელი მაგრად ჩაეჭიდა, მაგრამ ბიჭმა გაიწია, დაუსხლტა და შეჭაღარავებულთან მიბაჯბაჯდა.

კაცმა ბავშვი აიტაცა, მიიზიდა, ფუნჩულა ლოყები დაუკოცნა და მუხლზე დაიჯინა.

— რა გქვია? — ჰკითხა.

ბიჭი თავისთვის ენამოჩლექით ჟღურტულებდა და კაცის ქურთუკის ბრჭყვიალა ბალთებს ელაციცებოდა.

— რაო პაწიავ, სახელი არა გაქვს?

— ალე-ქსან-დრე! — ბიჭის მაგივრად დაუმარცვლა კართან მდგომმა გოგონამ.

— ასეთ პაწიას ასეთი დიდი კაცის სახელი?! ხა, ხა, ხა, ხა! — გულიანად გაეცინა კაცს.

— ჩვენ ალეს ვეძახით, — განმარტა შეჭაღარავებულის კეთილგანწყობით გათამამებულმა, უჩუმრად მოახლოებულმა გოგონამ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ალეს ისევ ალექსანდრე ჯობია! — გაიხუმრა კაცმა, ბიჭი ჩამოსვა, ქურთუკის გარეთა ჯიბე მოიჩხრიკა, ბავშვს პეშვი ხურდა ფულით აუვსო და გაშვებას უპირებდა, რომ წამით თვალები გაუბრწყინდა. ბიჭს ხელი სტაცა, გვერდით მოისვა, ქურთუკის უბიდან თეთრქაღალდშემოხვეული შეკრულა ამოიღო, რატომღაც პირდაპირ, კუთხეში მჯდომ ჩია ტანის კაცს მწყრალად გახედა, შეკრულა მაღლა შემართა, რამდენიმეჯერ მის საყურადღებოდ ხელში შეატრიალა, მერე სწრაფი მოძრაობით ბიჭს თხელი ჟაკეტი ჩაუხსნა, შეკრულა უბეში ჩაუდო და ბოლომდე შეუკრა.

— ახლა კი შინ წადით, ასე გვიან არსად იაროთ, თბილად ჩაიცვით! — დაარიგა ბავშვები, ორივეს ლოყაზე აკოცა, დაემშვიდობა, მერე ჩია კაცისკენ მიბრუნდა და სუსხიანი მზერა მიაპყრო.

მატარებელი მორიგ სადგურზე რიხით შევარდა და მოწყვეტით დაამუხრუჭა. კარის გახსნა და ვაგონში უშნოდ აწოწილი ქალისა და სამი ბიჭის ქაქანით შემოჭრა ერთი იყო. მგზავრთა ყურადღება წუთით ამ ხმაურიანმა ჯგუფმა მიიპყრო.

კარები დაიხურა. მატარებელი დაიძრა.

მგზავრებმა ვაგონის ბოლოში ბავშვები ვერ შენიშნეს.

— აგე, ისინი! — წამოიძახა ვიღაცამ.

ფანჯრებიდან მათ მოცინარ სახეებს, დამშვიდობების ნიშნად გოგონას მაღლა შემართულ ხელს მოჰკრეს თვალი და მატარებელმაც გვირაბში შეყვინთა.

მგზავრებმა აწოწილ ქალს და მის თანმხლებთ საყვედურით გახედეს, აქაოდა, როგორ მოგვაცდინესო, მოგვიანებით კი ვაგონის ბოლოში განცალკევებით მჯდომი შეჭაღარავებული მოიკითხეს.

თითქოს მიწას ჩაეყლაპა, არც ის ჩანდა. მგზავრებს უკვირდათ, ნეტა როდის ჩავიდა, სადგურის ბაქანზე ბავშვები

ხომ მარტო იყვნენ, მათ შორიახლოს არავინ შეგვიმჩნევიაო, იკამათეს, იყაყანეს, ვიღაცამ ისიც კი თქვა, ნამდვილად მოჩვენება იქნებოდაო, მაგრამ მგზავრთა უმრავლესობამ ეს მოსაზრება იქვე უარყო, მეტროში მოჩვენებას და თანაც მოლაპარაკეს რა უნდოდაო...

ერთს განსაკუთრებით ის აინტერესებდა, შეჭაღარავებულმა უბეში რა ჩაუდო ბიჭს. ზოგმა ფული იქნებოდაო, ზოგმა შემთხვევით გამვლელი ბავშვებისთვის ამდენს ვინ გიჟი გაიმეტებდაო...

ვაგონის ბოლოში ორიოდე წუთის წინ შეჭაღარავებულის პირდაპირ კუთხეში მიყუჟული ჩია ტანის კაცილა იყო გატრუნული. მას ამ ყაყანში მონაწილეობა არ მიუღია. ვერც მიიღებდა, რადგან ამ საღამოსა და ახლახან განცდილისაგან მეტყველების უნარი ჰქონდა წართმეული.

იგი შეჭაღარავებულს ნაშუადღევიდან უთვალთვალებდა. დაინახა ბანკის სალაროსთან ფული როგორ ჩაუთვალეს. ისიც ნახა, ბანკნოტების დასტა თეთრ ქაღალდში როგორ შეახვია და ქურთუკის გულის ჯიბეში ჩაიდო. ბანკიდან ქუჩას გაუყვა, რესტორანში შევიდა, ცარიელ მაგიდას მიუჯდა, ცხელი კერძი, ნახევარი ბოთლი კონიაკი და ყავა შეუკვეთა. კერძს წუთში მოუთავა ხელი, ყავა დააყოლა, კონიაკს კი უხალისოდ სვამდა და ფანჯრიდან აგნიასებულ ქუჩას დაღვრემილი სახით გასცქეროდა. ბოთლი ბოლომდე რომ დაიყვანა, მიმტანს ანგარიში გაუსწორა და რესტორნიდან გავიდა.

ჩია ტანის კაცი მოშორებით მიჰყვებოდა. შეჭაღარავებული ფიქრებში ისე იყო გართული, ახლოსაც რომ გაჰყოლოდა, ვერც შეამჩნევდა.

შეჭაღარავებულმა ძველ უბანში, ჩუქურთმებიან მაღალ შენობასთან ნაბიჯი შეანელა, ქუჩა გადაჭრა, ბებერი ხეებისკენ გაემართა, შედგა და შენობის ფასადი გულდასმით შეათვალიერა. ერთხანად მოთმინებით იცდიდა, შემდეგ უეცრად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და სახლს მიაშურა.

ნახევარ საათში მისივე ასაკის, სალუქი გარეგნობის მაღალმა კაცმა გამოაცილა. ტყავის ქურქის ჯიბეებში დი-

დრაჯულად ხელებჩაწყობილს თავი მედიდურად ეჭირა. შეჭაღარავებული უხერხულად აწურული იდგა მის წინ.

რამდენიმე ხანს ერთმანეთს მდუმარედ შესცქეროდნენ.

მრავლისმეტყველი დუმილი ბოლოს შეჭაღარავებულმა დაარღვია. სალუქმა მოწყალე ღიმილით რაღაც უპასუხა.

ბებერ ხეს მოფარებულ ჩიას არაფერი ესმოდა. მათთან მიახლოება მოინდომა, მაგრამ, გამოაშკარავების შიშით, იძულებული გახდა, მოსაუბრეთათვის თვალი შორიდან ედევნებინა.

შეჭაღარავებულმა სალუქს რაღაცის მტკიცება დაუწყო, ლაპარაკისას ხელებს გაშმაგებით იქნევდა. სალუქმა რაღაც ჰკითხა. სახეამღვრეული შეჭაღარავებული ენად გაიკრიფა. სალუქი ჯერ გულგრილი გამომეტყველებით უსმენდა, შემდეგ სიტყვა გააწყვეტინა და ისევ რაღაც ჰკითხა. შეჭაღარავებული გაფითრდა. სალუქმა ყალბი სიმშვიდით მოკლე ფრაზა დააგდო, თავი ქედმაღლურად დაუკრა და სადარბაზოსკენ გაიწია.

— ამის შემდეგ ვერც რამეს მომთხოვთ და ფეხებსაც ვერ მომჭამთ, გაიგე?! — დაადევნა შეჭაღარავებულმა.

სალუქი შედგა, გოროზად მოტრიალდა, შეჭაღარავებულს მრისხანებაჩამდგარი მზერა დაასო, — ამასაც ვნახავთ! — დაიღრინა, მიტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯით სადარბაზოში გაუჩინარდა.

შეჭაღარავებული ერთხანს კრიჭაშეკრული იდგა.

— შენი თარსი პატრონის დედაც! — დაადევნა სადარბაზოში გაუჩინარებულს, მიტრიალდა და არეულ-დარეული ნაბიჯით გზას გაუყვა.

ჩიამ არ იცოდა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა ეს კაცი. მცირედი გასამრჯელოს ფასად, დავალებული ჰქონდა გაერკვია, ფულის მიღების შემდეგ სად წავიდოდა, იმ დასტას ვის გადასცემდა და რას მოიმოქმედებდა. ეგ იყო და ეგ. მაგრამ ფულთან დაკავშირებით ვერც მათი ხანმოკლე კამათიდან და ვერც შეჭაღარავებულის სახის გამომეტყველებით ვერაფერი რომ ვერ შეიტყო, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩა.

მის კვალზე გუნებამოშხამული მიაბიჯებდა. ფრთხილობდა. ეს სიფრთხილე თანდათან სრულიად ზედმეტად

მიიჩნია, რადგან წინ მავალი ყურადღებას არავის და არაფერს აქცევდა. ყოველ შემხვედრ ტელეფონის ჯიხურთან ჩერდებოდა, რეკავდა, სასწრაფოდ ვიღაცასთან შეხვედრას მოითხოვდა, შემდეგ მუქარაზეც გადადიოდა: „ჩემი ყიდვა გინდოდათ?! კი, ყველაფერს ვხვდები... ერთბაშად ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ.. არა, მაგ გზით ნაშოვნ ფულს სახლში მაინც ვერ შევიტანთ!.. ყარს, მააშ!.. ასეც მოვიქცევი!.. არა, მაგის იმედი ნუ გექნებათ, არ ვინანებ!.. თქვენი რჩევები თქვენთვის შეინახეთ!.. ავაზაკები ხართ... ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი შეგრჩებათ!..“ ეტყობა, მისი უთავბოლო ჯაჯღანით თავგაბეზრებულები ყურმილს უკიდებდნენ. ის კიდევ თავისას არ იშლიდა და ასე, ჯაჯღან-ჯაჯღანით ნაშუადღევს რომ გამოვიდა, იმ ბანკისკენ მიიწევდა. ბანკის წინ უეცრად შედგა, დაბნეული სახით მიიხედ-მოიხედა, მიტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით რამდენიმე კვარტალი გაიარა, უეცრად ერთ სადარბაზოში დურთა თავი და კვალზე მავალი სახტად დატოვა.

ჩია შენობის საპირისპირო მხარეს გადავიდა, თავშესაფრად საიმედო ადგილის ძებნა დაიწყო. იქვე მყუდრო სადარბაზო აღმოაჩინა, საიდანაც დამშვიდებით შეეძლო თვალთვალი.

დიდხანს მოუწია ყურყუტმა. შეჭაღარავებული უზარმაზარ მოსასხამშემოხვეულმა ქალმა გამოაცილა. მისი სახე წესიერად ვერ გაარჩია. ქალი შეჭაღარავებულს გულდასმით რაღაცას ჩასჩიჩინებდა, ბოლოს დაემშვიდობა და სადარბაზოში შებრუნდა.

შეჭაღარავებულმა რამდენიმეჯერ ტაქსის გაჩერებას სცადა. იმედგაცრუებულმა ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა. აუჩქარებლად, უდარდელი იერით მიაბიჯებდა. ეტყობა, ის ქალი რაღაცას დაჰპირდა, ან საქმე მოუგვარა და ახლა თავს არხეინად გრძნობსო, ფიქრობდა მის კვალზე მავალი.

შეჭაღარავებული მეტროში ჩავიდა. ჩია ტანის კაცი მის შორიახლოს უჩინრად სიარულს იმდენად შეეჩვია, ვაგონშიაც შეჰყვა და მის პირდაპირ, კუთხეში მიჯდა.

შეჭაღარავებული იატაკს ჩაშტერებოდა. ყურადღებას არაფერს აქცევდა, მაგრამ ბავშვების გამოჩენამ ოდნავ გამოაცოცხლა. თავიდან პატარებს კოპებშეკრული შეჰყ-

ურებდა, მერე გაუღიმა და გამოელაპარაკა კიდეც. გოგონას სიტყვებით შეძრულმა მუხლზე მუშტი რომ დაირტყა, დაფეთებული ბავშვები კარებს მიაწყდნენ. მოგვიანებით ბიჭს დაუყვავა, მიიხმო, აიტაცა, ლოყები დაუკოცნა და მუხლზე დაიჯინა. სახელი ჰკითხა. ბიჭი რაღაცას ტიკ-ტიკებდა. გოგონამ უპასუხა. შეჭაღარავებულს ხმამაღლა გაეცინა. ბიჭი დაბლა ჩამოსვა, ჯიბიდან წვრილი ფული ამოიღო, პეშვი აუვსო და გაშვებას უპირებდა, რომ თვალები უცნაურად გაუნათდა. ბავშვს ხელი დაავლო, გვერდით დაისვა, ქურთუკის უბეში ხელი ჩაიყო და ჩიასთვის ნაცნობი ქაღალდშემოხვეული დასტა ამოიღო. „დახე, მაყუთი თან ჰქონია!“ — გაუკვირდა ჩიას და სალუქისა და შეჭაღარავებულის უხმო დიალოგის და ტელეფონზე ჯაჯღანის გახსენება სცადა, მაგრამ მისმა საქციელმა დაზაფრა: მან ფულის დასტა მაღლა შემართა, ხელში რამდენიმეჯერ შეატრიალა, ჩიას დაჟინებით მიაშტერდა, მერე ბიჭს სწრაფი მოძრაობით ჟაკეტის ღილები ჩაუხსნა, დასტა შიგ ჩაუჩურთა და ბოლომდე შეუკრა.

„ამდენი ამ ღლაპს?! — მწარედ გაუელვა ჩიას. შეჭაღარავებულმა ბიჭი დაბლა დასვა, ბავშვებს რაღაც უთხრა, ლოყები დაუკოცნა, დაემშვიდობა, მისკენ მობრუნდა და ამღვრეული მზერა მოაპყრო.

„აკი, ვერცკი მამჩნევდა?!“ — ამისი გაფიქრებაღა მოასწრო ჩიამ და თავი უღონოდ ჩაქინდრა. მზად იყო, უძლურებისა და მოსალოდნელი მეხთატეხისაგან მიწაში ჩამძვრალიყო, ან უკეთ, საერთოდ გამქრალიყო. შეჭაღარავებულის მძიმე მუშტის შესაძლო შეხებისაგან საფეთქელიც კი აეწვა. ამ შემზარავ დარტყმას მონური მორჩილებით ელოდა.

დრო მდორედ, გულის გამაწვრილებლად მიიზლაზნებოდა.

მატარებელი მორიგ სადგურზე შეჩერდა. კარი გაიხსნა. ვაგონში ვიღაცები ხმაურით შემოიჭრნენ. კარი დაიხურა, მატარებელი დაიძრა და მგზავრებმა ყაყანი მორთეს.

ჩიამ თავი გაუბედავად ასწია და მოპირდაპირე მხარეს შიშის ზარით გახედა. მისდა გასაოცრად, შეჭაღარავებული ადგილზე არ იყო. ვაგონის დანარჩენი ნაწილიც გუ-

ლის ფანცქალით მოათვალიერა. ის კაცი არც იქით ჩანდა.

შვებით ამოისუნთქა. შიშმა ნელ-ნელა გაუარა, ფერზე მოვიდა, მხრებში გაიმართა და იწილ-ბიწილოთი გართულ მგზავრებს მოჩვენებითი დაუდევრობით მოავლო თვალი.

გულის სიღრმეში ერთმანეთს სირცხვილისა და სიხარულის უჩვეულო განცდა ენაცვლებოდა. პირველს თანდათან სიხარულმა სძლია. სიხარულის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა: ფათერაკს გადარჩენილი, ვაგონში ყველასგან შეუმჩნევლად იჯდა.

მგზავრებს კი მეტროს სადგურის ბაქანზე მდგომი, გასაოცარ ნათელში გახვეული, სახეგაბადრული ბავშვები ედგათ თვალწინ და ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს მართლაც ცის ანგელოზები ეხილათ.

ლავრენტის და

შაოსან, ოთხად მოკაკულ დედაბერს ცალ ხელში გაქექილი ხელჩანთა ეჭირა, ხოლო მეორეთი შავ ქოლგას ყავარჯენივით დაყრდნობოდა. ლოდინით არაქათგამოცლილი ის იყო, გზიდან გადასვლას აპირებდა, საპირისპირო მხრიდან მომავალი ორი ავტობუსი რომ შენიშნა, ქოლგა შემართა, ჯერ გზის მეორე მხარეზე მავალს „ოჩამჩირე, ოჩამჩირეს!" ძახილით აუქნია, როცა იმან არ გაუჩერა, თავის მხარეზე მომავალს „ზუგდიდი, ზუგდიდი!"-ო, გამოენთო. ამანაც ჩაუქროლა, მტვერსა და ბუღში გაახვია, თუმცა, რამდენიმე მეტრში, მოწყვეტით დაამუხრუჭა, უკუსვლით გამოემართა, მის წინ შედგა და ღია კარში თმაგაჩეჩილი წითურის ეშმაკურად მოცინარმა სახემ იელვა.

— კინაღამ ვერ გიცანი... რა, ერთდროულად ოჩამჩირეშიც აპირებ და ზუგდიდშიაც?! — ხელებით ურთიერთსაპირისპირო მხარეზე მიანიშნა და გადაიხარხარა.

დედაბერი გაიმართა (საშუალო სიმაღლის იქნებოდა), სახე ქოლგით მოიჩრდილა და წითურს თვალმოჭუტული დააკვირდა.

— ახ, სი კუტახანი!..[1] მე ორივეგან მეჩქარებოდა, მარა ეს შოფრები სწორედ რომ ჩემთვის იკლავენ თავს! — მკვახედ შეუწყრა.

წითური დაიბნა, სახეზე სიცილი შეაკვდა.

— თუ ასეა, ფეხს აუჩქარე, აქეთ მაინც არ დაგაგვიანდეს, — ესღა მოისაზრა, შებრუნდა და გაწბილებული გამომეტყველებით საჭეს მიუჯდა.

დედაბერი დაფაცურდა, ქოლგის მოშველიებით საფეხურზე ხვნეშა-ხვნეშით ააბიჯა, მძღოლის გვერდით სათადარიგო სკამზე ჩამოჯდა, გაქექილი ხელჩანთა და ქოლგა გვერდით დაილაგა, მერე თავსაფარი შეიხსნა, შუბლზე ჩამოშლილი ხეშეში ჭაღარა ძვალტყავა თითების სწრაფი მოძრაობით აკრიბა, სარჭებით კინკრიხოზე დაიმაგრა, თავსაფარი მოიხვია, უკან გაიკრა, ხელისგულები ცოცხ-

---

1 დღემოკლე (ხუმრ. მეგრ.)

ალ, კუპრისფერ თვალებს ზემოთ წვრილად შემორკალულ ჭაღარანარევ წარბებზე, თხელ ცხვირსა და ნაოჭებით დასერილ, ჩაცვენილ ლოყებზე ჩამოისვა, კაბა შეისწორა, ხელისგულები გულმკერდზე დაიკრიბა და გაიტრუნა.

— არა, ამ შოფრებს რა დოზანა დაეტაკათ, არ ვიცი?! — გაიოცა მოხუცმა თავისთვის, როცა მანქანა დაიძრა. მერე წითურს მიუბრუნდა, — ყველა შენნაირი გულალალი როდია, ქიგგალე,[2] წახდა ეს ქვეყანა დე ეგაა!.. — ამ ფრაზაში მძღოლის გულის მონადირებაც და წუთისოფლის სამდურავიც იყო ნაგულისხმევი.

— თუ საიდუმლო არაა, საით მიიჩქარი? — ჰკითხა ონავრულად თვალებაციმციმებულმა წითურმა.

— ეეჰ, ქორწილებსა და დღეობებს აკი ორმოცი წლის წინ გამოვემშვიდობე, ქიგგალე!.. ჩემი ნაპოს მამიდაშვილის ნათლულის ქმრის გასვენებაზე.

— არ გადამრიო, ახალგაზრდა იყო?! — მოჩვენებითი თანაგრძნობით შეიცხადა მძღოლმა და მომღიმარი სახით დედაბრის უკან სკამის საზურგეზე ნებიერად მისვენებულ, შესუქებულ ახალგაზრდას გახედა.

— ვისთვის, როგორ და, სამოცდარვა წლის კაცზე მთლად ხნიერიაო ვერ იტყვი.

— გააჩნია, ზოგი ოცისაც ბეხრეკია, — თითქოს თავისთვის დაასკვნა შესუქებულმა, მისი ზომის კაცისთვის შეუფერებელი წვრილი ხმით და მძღოლს მაამებლურად შეჰღიმა.

დედაბერი შესუქებულისკენ მიტრიალდა და თავით ფეხებამდის შეათვალიერა. მის თვალებში წამით რისხვის ნაპერწკალმა იელვა, პასუხის გაცემაც დააპირა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

— ოჩამჩირეშიც, ალბათ, ვინმე ახლობლის სატირლად მიდიხარ, ხომ? — ბაასის გასაგრძელებლად და გასახალისებლად ჰკითხა მძღოლმა.

მოხუცი დუმდა, სარკმელში კუშტი გამომეტყველებით იცქირებოდა. მძღოლს კითხვა არ გაუმეორებია, დედაბრის ამოსვლამდე შესუქებულთან გაწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა.

---

2 შემოგევლე (მეგრ.)

მანქანა მეზობელი რაიონის შემოგარენს რომ მიუახლოვდა, დედაბერი მოუსვენრად აწრიალდა.

— ჩხოუშიას ხიდთან შემიჩერე ქიგგალე, გასვენება აგერ, ყურისძირშია. სანამ შენ ბაზარსა და სახალტუროს მოივლი, აქვე დაგხვდები და იქნება ოჩამჩირეშიც ჩავუსწრო.

— ვერ ჩაუსწრებ და შენი დარდიც ეგ იყოს! — გაეხუმრა მძღოლი.

— ახ სი კუტახანი, ჩემი ნაპო ხომ საფლავში გადაბრუნდა! — დედაბერმა ისე შეიცხადა, მძღოლმა გაიფიქრა, ის კაცი ჩემი მიზეზით საფლავში მართლა არ გადატრიალდესო და მოუბოდიშა.

— არ დამტოვო, ქიგგალე! — შეემუდარა ღია კარში მდგომი მოხუცი.

— როდის იყო, რომ! — იწყინა მძღოლმა.

— კაი ახლა, ისე, სიტყვაზე ვთქვი, თორემ! — მიაძახა, ფრთხილად ჩავიდა და ოთხად მოკაკული გზას გაუდგა.

მძღოლი და მგზავრები ერთხანად სახეზე ღიმილმოფენილები გაჰყურებდნენ მიწას ჩაჩერებულ, კუნკულით მიმავალ დედაბერს.

მძღოლმა მანქანა რომ დაძრა, შესუქებულმა სიცილით იკითხა:

— ნეტა ვინაა?!

— როგორ, არ იცნობ?! — გაიოცა მძღოლმა.

მგზავრმა მხრები აიჩეჩა.

— ლავრენტის და! — ხაზგასმით აღნიშნა მძღოლმა.

შესუქებული დაიბნა.

— ამ დედაბერს ოლიკო ჰქვია, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი ცოტას თუ ახსოვს, ლავრენტის დას ეძახიან. ადრე მისი ძმა დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. ლავრენტი მითაგვარია არ გაგიგია?!

— როგორ არა, მაგის სახელი ვინ არ იცის, მაგრამ, ეს?!.

— კი, მისი დაა, — დაუმოწმა მძღოლმა და თხრობა გააგრძელა, — საერთოდ, მას ბევრი ნასწავლი და დიდი თანამდებობის ნათესავი ჰყავს. მის ქმარსაც ადრე პასუხსაგები ადგილი ეკავა, შვილებიც ნასწავლები, სამი ბიჭი და ერთი გოგო, ბიჭებიდან ორი აქ ცხოვრობს, ერ-

თიც — თბილისში. ქალიშვილი რუსეთშია გათხოვილი. დედაბერს, რაც თავი მახსოვს, სულ შავები აცვია. ბოლო დროს ძაან მოიხარა, თორემ არაფრით შეცვლილა. ამ ჩანთითა და ქოლგით ოცდაოთხი საათი გზაზე დგას. მარტო ჩვენი კი არა, მეზობელი რაიონების ყველა შოფერი ცნობს, მატარებლების პრავადნიკებიც. მისი ძმა დიდ თანამდებობაზე რომ მუშაობდა, რიდის გამო მგზავრობის საფასურს არ ახდევინებდნენ და ამას თანდათან ისე შეეჩვია, ახლა რომც თხოვო, კაპიკსაც ვერ გამოგლეჯ.

ერთხელ ამ ავტობუსზე რუსის შოფერი დანიშნეს. ოლიკოს ფულის გადახდა მოსთხოვა.

— ლავრენტის და! — მიაძახა მან და ჩასვლა დააპირა.

— Погоди, а что она твердит?![3] — იკითხა გაკვირვებულმა რუსმა.

— Она сестра Лаврентья![4] — უთარგმნეს.

— Ну и что?!. — გაოცდა რუსი, — Кстати, а что за шишка этот Лаврентий, едреномат?![5] — გაცეცხლდა მოგვიანებით.

— А ты не ори![6] — პირში ეცა ერთი მგზავრი და საჩვენებელი თითით ზევითკენ მიუთითა. შოფერმა თითს თვალი ააყოლა, ავტობუსის ჭუჭყიან ჭერს გაკვირვებით ახედა და შემკრთალი ხმით იკითხა:

— Что, бог что ли?![7]

— Почти![8] — დაუმოწმა ვიღაცამ.

შოფერი ოლიკოს დააშტერდა, შემდეგ კი შეცბუნებული სახით დააყოლა:

— Гражданка, с богами тягатся не моё дело, но... за проезд всё таки надо платит![9]

---

3 დაიცა, რასაა რომ ეს გაიძახის?

4 ლავრენტის დაა.

5 მერე რა?.. სიტყვამ მოიტანა და, ვინ ტიკიტომარაა ეგ ლავრენტი, მაგის დედაც!..

6 შენ კიდევ ნუ ყვირი!

7 ღმერთია თუ რა?!

8 თითქმის!

9 მოქალაქევ, ღმერთებთან ჯიბრობა ჩემი საქმე არაა, თუმცა... მგზავრობის ფულს გადახდა მაინც უნდა!

ოლიკოს რუსის სიტყვები უთარგმნეს.

— ლავრენტის დამ კიდო? უფრო გაიოცა დედაბერმა.

— А как же![10] — დაუდასტურა რუსმა.

— ვინ ყოფილა ეს პატრონგაციებული, რა ფული დაუჩემებია. რადგან ასეა, მილიონიც რომ მქონდეს, ნაპრინციპ, კაპიკსაც არ მივაშავებ! — შეუტია ოლიკომ და ისე ჩავიდა, შოფერმა პასუხის გაცემაც ვერ მოისაზრა.

ოლიკოს სიტყვები რამდენიმე საათში მთელი რაიონის შოფრებს პირზე ეკერათ და როგორც კი „სახალტუროზე“ დაინახავდნენ, ამ შელაპარაკების გამეორებას თხოვდნენ, განსაკუთრებით ბოლო სიტყვებისას. რა მაგრად შეგიჯორიაო, აქეზებდნენ და ხმამაღლა ხორხოცებდნენ...

* * *

ამბობდნენ, ოლიკოს თოთხმეტი წლის უსაყვარლესი ძმისწულის უეცარი გარდაცვალება იმდენად ტრაგიკულად განუცდია, ორმოცი ღამე ზამთრის სუსხში სიმინდის მარცვლებით მოფენილ შიშველ იატაკზე წვებოდა და ამ თვითგვემისაგან თვითონაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დამდგარაო.

ბევრს ჯერაც ახსოვს მისი ავადმყოფობის გამო ლავრენტის ჩამოსვლა, ორთქლმავალზე გამობმული ვაგონები. პირველი ვაგონი ლავრენტის და მის პირად დაცვას ეკავა, მეორე კი სამხედროებსა და ოლიკოსთვის ჩამოყვანილ პროფესორებსა და ექიმებს. მატარებელს რაიონის რჩეული საზოგადოება ყვავილებითა და სასულე ორკესტრის გრიალით დახვდა. მთელი კვირა ქუჩებს სამხედრო პატრული იცავდა. რაიონის ხელმძღვანელობამ იმ დღეებში დიდი შიში და დავიდარაბა გამოიარა. ლავრენტის ჩამოსვლის წინ მისი უმცროსი ძმა, ისიც ნასწავლი, მაგრამ ერთ მიყრუებულ სოფელში საბჭოს მდივნად რომ ირიცხებოდა და ლოთობისა და ცალუღლად დარჩენილი ქალების დევნის გარდა ბევრი არაფერი უკეთებია, უეცრად რაიონის პირველ პირად გამოჭიმეს და, მიუხე-

10 მაშ, როგორ!

დავად იმისა, რომ ლავრენტის გამგზავრების შემდეგ ქარაქუცობის გამო მალევე ჩამოაქვეითეს, მისი დაწინაურება, ლავრენტის დაცვა, სამხედრო პატრული, ექიმებისა და პროფესორების ლაშქარი, პატარა ქალაქის მკვიდრთა მახსოვრობაში ღრმად აღიბეჭდა და თანდათან ლეგენდის ბურუსში გაეხვია...

პროფესორებმა ოლიკო სიკვდილის კლანჭებს კი გამოსტაცეს, მაგრამ ერთი უცნაური რამ დასჩემდა: ვინც არ უნდა გარდაცვლილიყო, უსათუოდ უნდა დაეტირა. გვირგვინის რამდენიმე ჩონჩხს აივანზე გამოდგმულ განჯინაში მუდმივად ინახავდა, ერთ-ერთს მარადმწვანე ხის ტოტებით შემოსავდა, სამეზობლოში დაკრეფილი ყვავილებით მორთავდა და დამწუხრებულ ოჯახს მარტოდმარტო მოთქმითა და ზარით მიადგებოდა. ჭირისუფლები რამდენჯერ შემცბარან, ეს დედაკაცი ვინაა და საიდან გამოტყვრაო, მაგრამ როგორც კი მის ვინაობას დაადგენდნენ, მიცვალებულს მასთან ერთად გულამოსკვნით დაიტირებდნენ...

და ასე, რაიონის არც ერთ პანაშვიდსა და გასვენებას არ აკლდებოდა, მეზობელ რაიონებშიც განუყრელი ხელჩანთითა და ქოლგით ხშირად ხვდებოდნენ. ქმარშვილი და ახლობლები მის ახირებას თავიდან მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაიქანცნენ, ხელი ჩაიქნიეს და, როცა შინ ვინმე მოისაკლისებდა, ამას რა კითხვა უნდა, გასვენებაშიაო, პასუხიც მზად ჰქონდათ.

ოლიკოს მეორე ახირებაც დასჩემდა. ხელჩანთას მზესუმზირით აავსებდა და დილიდან საღამომდე პირს არ აჩერებდა. ნაცნობ-მეზობლები, როგორც კი ბავშვებს ხელში მზესუმზირას დაუნახავდნენ, გაიწიე იქით, რავა ლავრენტის დასავით იცმუცნებიო, წამოაძახებდნენ.

ყველას აინტერესებდა-ხოლმე, ეს პანაშვიდებსა და გასვენებებს გადაყოლილი ქალი თავის სანდომიანსა და ინტელიგენტ ქმარს როგორ ინარჩუნებდა, ან როგორ უვლიდა ოჯახს. ქალებისგან ხშირად მოისმენდით, შინ, ალბათ, ყველაფერი თავდაყირა ექნებაო, თუმცა, მავანთა გასაოცრად, მასთან წესრიგი მაინც იდგა. ქმარი პატიოსნებით აღსავსე, საოცრად რბილი კაცი იყო, შვილები ნამდვილი ჭკუის კოლოფები ჰყავდა, განსაკუთრებით

უფროსები. მათ მუყაითობითა და ნიჭიერებით ლავრენტის ამსგავსებდნენ და დედას გასაკეთებელს ცოტას თუ უტოვებდნენ, თუმცა ოლიკოს სახლში ყოფნისას გაჩერებულს ვერ ნახავდით. როგორც ამბობდნენ, გემრიელი კერძებიც გამოსდიოდა.

ძმისწულის დაღუპვამდე ოჯახში საქმიანობისას ერთ სიმღერას ღიღინებდა ხოლმე: „ვაი, შური, საყვარელი!..”[11] მისი გულისმიერი, ტკბილი ხმა გამვლელ-გამომვლელებზე იმდენად მომნუსხველად მოქმედებდა, ვერ იჯერებდნენ, რომ ეს ბგერები ამ ცქნაფა ქალს ამოსდიოდა ყელიდან და მისი ბუნებისა და ქცევის ერთმანეთთან შეთავსება ხშირად უჭირდათ.

ძმისწულის გარდაცვალების შემდეგ მისი ღიღინისთვის ყური არავის მოუკრავს. მათი ბინიდან უფრო მოთქმა ესმოდათ.

— ეეჰ, მე რომ მესწავლა, ლავრენტივით მთლად ტვინით გატენილი თუ არა, თანამდებობის ქალი მაინც ხომ ვიქნებოდი!.. — გულდაწყვეტით იტყოდა ხოლმე.

— მერე, ხელის შემშლელი ვინ გყავდა, გესწავლა!.. — გაკენწლავდნენ მეზობლის ქალები.

— მაშინ ლავრენტის ვინ ასწავლიდა?.. იმას შემოევლოს მისი დაია, ყველაზე მეტად იმან გამიმართლა! — ისე იტყოდა, გეგონებოდა, საკუთარ პირმშოს ახსენებდა, — ჩემი ნაპო ახლა კაბინეტში რომ ზის გამოკვანწული, ეგეთი კი არ იყო, ქიგგალე, იმასაც ხომ მე ვასწავლე... ხვითოსავით რომ არ მეტრიალა, ისინი სოფლის შუკას ვერ გასცდებოდნენ...

სწორედაც რომ არ აჭარბებდა. მისი მეცადინეობით ლავრენტი საქვეყნოდ ცნობილი კაცი გახდა. იმან თავის მხრივ გზა ახლო ნათესავებსაც გაუკაფა, მოედვნენ სხვადასხვა ქალაქს. ზოგი მეცნიერი გახდა, ზოგიც საზოგადო მოღვაწე და თანამდებობის პირი. ისინი ოლიკოს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, განსაკუთრებით ლავრენტი, დროთა განმავლობაში ნიჭიერებით, უცნაური ბედითა და უბედობით მათ ოჯახსა და სანათესაოში ცოცხალ ლეგენდად რომ იქცა, თავის გამზრდელ დას ისე ევლებოდა და

11 „ვაი, სულო, საყვარელო!..“

ისეთი საქებარი სიტყვებით იხსენიებდა, გეგონებოდა, ერთი უბრალო ქალი კი არა, დადიანთა გვარის ჩამომავალი იყო. და ისიც, მიუხედავად ღვთისმოშიშობისა, ყოველ სიტყვაზე ძმის სახელს იფიცებდა.

ლავრენტი, იმის გარდა, რომ სხვადასხვა დროს დიდი თანამდებობები ეკავა, რამდენიმე წელი მკაცრ იზოლატორშიაც იჯდა, გადასახლებებიც მოიარა. ორი ღერი რუსულის არმცოდნე ოლიკომ ერთ-ერთ ზესაიდუმლო საკანშიაც შეაღწია, ძმა ანუგეშა და სიცოცხლის რწმენა დაუბრუნა. ვერც ლავრენტიმ და ვერც სხვებმა ვერაფრით დაადგინეს, ოლიკომ შინსახკომის მაღალი თანამდებობის პირებზე რა ჯადო სიტყვით იმოქმედა, როგორ მოთაფლა ისინი და მოახერხა მასთან შეხვედრა. ამ შემთხვევას ლავრენტი სასწაულივით იხსენებდა და დისადმი თაყვანისცემას ერთი ფრაზით: „Она чародейка!“[12] — გამოხატავდა.

— რას ნიშნავს ეს სიტყვა, ქიგგალე?! — გაოცებას ვერ ფარავდა ოლიკო.

ლავრენტი გულიანად იცინოდა და უხსნიდა, რაზეც: „ჩქიმი ჯიმაია, ჩქიმი თოლიშ სინთე, სქან სანთელო, სქან საკმელო, გოლუაფირო, სქანოთ ნდღულაფირი, ჩქიმი ორქო...” — სიყვარულად იღვრებოდა ოლიკო.

ამ, ერთ დროს მილიონობით ადამიანისთვის თავზარდამცემ თანამდებობაზე ნამუშევარ, ამჯერად უწყინარ პროფესიას მიბრუნებულ კაცს ძველი პარტიული ნომენკლატურის ჯერ კიდევ შემორჩენილი თანამდებობის პირები უწევდნენ ანგარიშს. ახლობლებიც დისადმი მის კეთილგანწყობას ხშირად მოხერხებულად იყენებდნენ. მთხოვნელთა წუწუნით შეძრული ოლიკო საქმის ბოლომდე გარკვევას არ უცდიდა.

იცვამდა, ჩანთასა და ქოლგას ხელს დაავლებდა და შეჭირვებულთ ქაქან-ქაქანით მიუძღვებოდა. ვიღაცას დედაქალაქში მატარებლით რომ მიჰყვებოდა, სამგზავრო ბილეთის აღებასაც არ ანებებდა. „ლავრენტის დას ბილეთს არავინ მოთხოვს!“ — ამშვიდებდა თანმხლებთ. იმათ კიდევ აოცებდათ, მისი გამოჩენისთანავე როგორ და-

12 „იგი ჯადოქარია“ (რუს.)

ფაცურდებოდნენ გამცილებლები და სიცილ-ხუმრობით ადგილს როგორ მოუძებნიდნენ. ისიც აოცებდათ, თანამდებობის პირები როგორი ხაზგასმული პატივისცემით ხვდებოდნენ. ყოველ მის სიტყვას როგორი ყურადღებით უსმენდნენ და რაიონში დაბრუნებულები, მეზობლებსა და ახლობლებს ჯადო ფრაზის: „ლავრენტის და!" წარმოთქმის შემდეგ დატრიალებულ, დაუჯერებელ ამბებზე უყვებოდნენ.

ერთხელ, ახალი წლის კვირაძალს, რკინიგზის სადგურის წინ მისი შორეული ნათესავი სამი გოგონა და ერთი ბიჭი ასეთი სცენის მოწმე გახდა:

— ვინ ხარ, ქალო, შენ, ამისთანა რამ პირველად მესმის! — იჭაჭებოდა სახეგაქუცული ყინტორა ტაქსის მძღოლი.

— ლავრენტის და!

— თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, ვინაა ეს ლავრენტი?!. ფოთიდან აქ ჩამოყვანისთვის ოთხმოც მანეთს შემპირდა, ახლა ლავრენტის და ვარ, მაპატიე, ოცი მანეთის მეტი არა მაქვსო, მიმტკიცებს... უკან დასაბრუნებლად ოცი მანეთის ბენზინი არც მეყოფა, კიდევ ცოტა დამიმატე, ქალო, შენ თუ არა გაქვს, ბარემ იმ შენმა ლავრენტიმ მომცეს!

— ვაი, მის დაიას, აქ არაა, თორემ ამდენს ვინ გალაპარაკებდა! — დაიწუწუნა მძღოლის უდიერი საქციელით შემკრთალმა ოლიკომ.

— როგორ?! — გაოცება ვერ დაფარა მძღოლმა, ნაბიჯით უკან დაიხია და იქვე თავშეყრილ ხალხს მიუბრუნდა.

— ნამდვილად რუსეთში ცხოვრობს, ლავრენტი მითაგვარია გაგონილი გექნებათ, — დაუმოწმა ნათესავის ბიჭმა.

— ააა, კი, როგორ არა... მაგრამ ეგ თანამდებობაზე ხომ დენიკინის დროს იყო!.. ან მე რა შუაში ვარ, მითხარით, ფულს ის გადამიხდის თუ ეს!?.

ოლიკოს საჩვენებელი თითი მიაშვირა და დაიძრა მისკენ.

— აბა, აბა, მოხუცებულს წესიერად ელაპარაკე, ხომ ხედავ, მეტი არა აქვს! — გამოესარჩლა ბიჭი დედაბერს.

მძღოლი წამით შედრკა, მაგრამ ფულს დახედა და, —

ფოთიდან აქამდე ასე ცოტა?! — დაიღრიალა.

— რამდენია მაინც? — იკითხა ვიღაც ახალშემოსწრებულმა, ბრგე ტანის კაცმა.

— ოცი! — იყო მძღოლის პასუხი.

— ის ოციც რომ ჰქონია, მადლობა თქვი. ახლა მანქანაში ჩაჯექი და აქედან მოუსვი, გაიგე?! — ხმას აუწია ახალშემოსწრებულმა.

მძღოლს ფერი ეცვალა, შეკრებილ ხალხს თვალი ბეცად მოავლო და მანქანაში ხმის ამოუღებლად ჩაჯდა.

— ნეტა ეგ წუთით კაცად აქცია და მე ვიცი, რასაც ვუზამდი! — დაიღრიალა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

ხალხმა სიცილი და სტვენა დაადევნა.

— ფოთში რა დაგკარგვია, ბიცოლა, დრო არ არის, სახლში დაეტიო და დაისვენო?! — თავისდაუნებურად უსაყვედურა ახალშემოსწრებულმა დედაბერს.

— ეეჰ, სახლში საჯდომად სად მცალია, ქიგგალე! ორი თვეა თბილისელი რძალი საავადმყოფოში მიწევს, ამ დილით იქ ვიყავი.

— სად? — დაბნეულად იკითხა ახალშემოსწრებულმა.

— თბილისში, — უპასუხა და ისე გააგრძელა, ახალშემოსწრებულის დაბნევა არც შეიმჩნია, — ჩემმა რეზიკომ გაზეთიდან ნაპოს ფრონტავიკის სიკვდილი შეიტყო, რეზიკო არ მიშვებდა, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთი მაინც ავაღებინე, ფოთში გადავფრინდი და ის უბედურ დღეს გაჩენილი დავიტირე, — უეცრად შეყოვნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — არა, რომ არ დამეტირა, ნაპო ხომ საფლავში გადატრიალდებოდა! — მერე ისევ გააგრძელა: — გასვენების შემდეგ აქეთ გამოვწიე, ახლა ისევ თბილისში ვაპირებ.

— კი, მაგრამ, ფოთიდან აქეთ რომ მოდიოდი, გზა იქითკენ ვერ გააგრძელე, ეს დავიდარაბა ხომ აგცდებოდა?! — გაიოცა კაცმა.

— სახლს თვალი შევავლე, რახან ფანჯრებში სინათლე დავლანდე, ესე იგი, ცოცხლები ყოფილან-მეთქი და სადგურისკენ გამოვეშურე.

— ეზოშიაც არ შესულხარ?! — ისევ გაიოცა კაცმა.

— რომ არ გამოვეშვით?.. მათთან ჯაჯგურის თავი სად მაქვს, ქიგგალე?!

ახალგაზრდები დედაბერს მომღიმარი სახეებით მისჩერებოდნენ.

— თქვენც თბილისისკენ აპირებთ, ხომ? — მიუბრუნდა მათ.

— კი. მაგრამ ბილეთები არაა და როგორ მოვიქცეთ, არ ვიცით, — უპასუხა ბიჭმა.

— თქვენც ადექით და სახალხოთი იმგზავრეთ!

— სახალხო რომელია, საერთაშორისო? — იმედიანად იკითხა ბიჭმა.

— სახალხო — სახალხოა. ვერ ვიტან, როცა გზიდან ბრუნდებიან. აბა, მომყევით! — ისე მტკიცედ თქვა, ახალგაზრდებს სხვა გზა არ დაუტოვა.

მგზავრებით გადაჭედილ, გაბრდღვიალებულ დარბაზში დედაბერი ახალგაზრდებს რომ შეუძღვა, სალაროსთან აგნიასებულ რიგში ვიღაცამ ლავრენტის და ახსენა. წუთით რიგი შეტორტმანდა და მხრებში მოკაკულ დედაბერს სალაროს სარკმლისკენ გზა გაუთავისუფლეს.

— ვინ წითელი კვერცხია ისეთი, რომ ფოთნოზით ბილეთი მივართვათ, რიგში ჩადგეს წესისამებრ! — შენიშნა განმარტოებით მდგომმა ჩიყვიანმა ქალმა.

— ლავრენტის და! — მოკლედ მოუჭრეს.

ჩიყვიანმა ოლიკოს დაკვირვებით ახედ-დახედა და, როცა მას ზებუნებრივი ისეთი ვერაფერი შეატყო, — „მერე რა, რომ ვიღაც ლავრენტის დაა, მაგაზე ნაკლები რითა ვარ, პადუმაეშ, ლავრენტის და!“ — არ ცხრებოდა ჩიყვიანი.

— მაგას რომ უყურებ, სახლში შვიდი პრაფესორი და ცხრა მინისტრი ჰყავს და ბილეთს არავინ დაუჭერს! — განუმარტეს.

ჩიყვიანმა მოხუცს ერთხელ კიდევ ყურადღებით ახედ-დახედა და თითქმის სრული მორჩილებით ჩაილაპარაკა:

— მერე ბილეთი თვითონ ვერ აუღეს?!

— ჰო, ახლა ცეკასა და კრემლს ზუსტად მაგის გამო შეაწრიალებდა! — დაუტატანეს.

დაზაფრულმა ქალმა ხმა გაკმინდა.

— მე, ხომ იცი, „პერსონალნი” მაქვს და მგზავრობის ფულს არ მახდევინებენ, მაგრამ ნათესავი ბავშვებისთვის სამი ბილეთი უნდა გამიხერხო, ქიგგალე! — თითქოს მი-

ახარა ოლიკომ მის დანახვაზე ღიმილადქცეულ, უზარმაზარი სათვალედან ბუსავით მოჩერებულ მოლარეს.

— რომ არა გვაქვს, ბიცოლა?! — უფრო გაიბადრა მოლარე.

— თქვენ ყოველთვის ასე იძახით, მაგრამ ბოლოს მატარებელში ანტლარია[13] აღმოჩნდება ხოლმე! — მსუბუქად გაკენწლა იგი ოლიკომ.

— კარგი, კარგი, ახლავე დისპეჩერს დავუკავშირდები და...

— დისპეჩერი მაგას რათ უნდა, ქიგგალე, ბარემ ამოიღე უჯრიდან და მომეცი! ჯიქურად მიაგება დედაბერმა.

— რომელი უჯრიდან?! — დაიბნა მოლარე. გონი რომ მოიკრიბა, უეცრად დაამატა: — შვილებს გეფიცები, მართლა ერთი კუპეინის მეტი არა მაქვს...

— ასე... რა დისპეჩერი, რის დისპეჩერი!.. მაგრამ ჩვენს გაჭირვებას ერთი რომ ვერაფერს უშველის?.. მოდი, ის კუპეინი, აქ ბევრს რომ ტარტარებდა, იმ ქალს მიეცი, — თქვა და მოულოდნელობისაგან შემხტარ ჩიყვიანზე მიუთითა, — ამას, ეტყობა იმდენად გაუჭირდა, რომ უფროს-უმცროსი დავიწყებია და იმიტომ! — მკაცრად შენიშნა, ჩიყვიანი თავით ფეხებამდე გამკილავი მზერით შეათვალიერა, ზურგი შეაქცია და მოლარეს ჰკითხა: — არც სახალხო გაქვს?

მოლარე ისევ დაიბნა.

— სახალხოვო?!. აჰ... კი... მაგრამ ამაღამ იმდენი მგზავრია, ალბათ, ფეხზე დგომა მოგიწევთ.

— რა გაეწყობა, ადგილს როგორმე თვითონ ვიშოვით, — უპასუხა, რიგიდან უკმაყოფილო სახით გამოვიდა და გონებაში ბილეთების მომგონს ჯოჯოხეთის გზაზე ათოხარიკებდა. მერე გოგონებს გამოეცნაურა.

— თქვენი სახე ნამეტანი მეცნობა, რომლის ხართ, ქიგგალე?!

— ამბაკოს შვილიშვილები ვართ, ვერ გვიცანი, ოლიკო ბებია?!

— უი, თქვან საკმელო, რა ნაცნობი სახე აქვთ-მეთქი, მერედა, მაშინვე რატომ არ მითხარით?!. ნეტა ასეთი დახატულები ვის გავხართ? — იკითხა და ყურადღებით

---

13 უამრავი, ჯარი.

დააკვირდა, — კი, მაშოს, ნამდვილად მაშოს! — დაასკვნა და სამივე გადაკოცნა.

ამასობაში ბიჭიც მიუახლოვდათ.

— თქვენი ძმაა?

— ბოჩია ბიძიასია.

— რას ამბობ! არ მიკვირდა, ვის მაგონებს-მეთქი, კოპია დედამისია, კი, ცხვირ-პირზე დაყრილი კურკანტელასხელა ჭორფლითა და ჯღარი[14] თვალებით აგვართაში[15] გამოიცნობ!

გოგონებმა სახე მუჭში ჩამალეს და ჩაკუჭკუჭდნენ. ბიჭი დედაბრის სიტყვებზე წამოჭარხლდა.

— ახ სი კვაიჭარე![16] კარგი ახლა, საწყენად კი ნუ მიიღებ, გამოტვინებულ დედაბერს ყურს ნუ უგდებ! — თქვა და უცებ: — მე თქვენ ახლა ისეთ რამეს გაჭმევთ! — წამოიძახა, გაქექილი ხელჩანთა გახსნა და სკამზე გადმოაპირქვავა.

მზესუმზირის ჩენჩო, თმის სარჭები, სხვადასხვა ზომისა და ფერის რამდენიმე სავარცხელი, პუდრის კოლოფი, ნეილონის ცალ-ცალი ხელთათმანი, გაყვითლებული ქაღალდის ნაგლეჯები, დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი და, კიდევ ვინ იცის, რა არ იყო ერთმანეთში არეული. ამ გროვაში ხელი მოაფათურა, რამდენიმე ცალი მწიფე კარალიოკი ამოაძვრინა, ახალგაზრდებს თითო-თითოდ დაურიგა, ერთიც თავად დაიტოვა, საჩვენებელი თითი შემართა და „ახლა მე რომ გიყურებთ, ისე შეჭამეთ!“ — ბრძანა.

ყმაწვილებმა ერთმანეთს დაბნეული მზერა მოავლეს, მერე ჩანთაში სხვადასხვა დანიშნულების საგნებთან ნაგორავებ კარალიოკს გულის რევის შეგრძნებით დახედეს.

— დიდი მადლობა, მაგრამ იცით, ზუსტად წამოსვლის წინ იმდენი მივირთვით, რომ... — წამოიწყო ბიჭმა.

— რა, უსუფთაო გგონიათ? აგერ, ნახევარი საათის წინ ლუარამ თავისი ხელით გარეცხა და ჩამიწყო, — თქვა, ოღონდ ლუარა ვინ იყო, არ დაუზუსტებია.

---

14 ჭროღა

15 ბევრი, ჯარში

16 აბა, შე საცოდავო! (ხუმრ.)

ამ დროს დედაბერს ვიღაც თავგადახოტრილი კაცი გამოეცნაურა. ყმაწვილებმა დრო იხელთეს, კარალიოკებს ერთ-ერთ ჩანთაში თავი უკრეს და ფიქრი იმაზე დაიწყეს, მოხუცის მზრუნველობისთვის თავი როგორ დაეღწიათ. ბოლოს, შინ დავბრუნდეთ და ხვალ საღამოს გავემგზავროთო, მოილაპარაკეს.

— გემრიელი იყო? — იკითხა თავგადახოტრილთან საუბრის შემდეგ დედაბერმა.

— ძალიან! — გაბადრული სახით დაუდასტურეს ყმაწვილებმა.

დედაბერმა მათ უნდობლად შეავლო თვალი.

— მოდით, დავსხდეთ, თორემ, ლამისაა, ფეხზე ჩამოვწყდე, — ესღა თქვა და სკამზე დაეშვა.

— ჩვენ წამოსვლა გადავიფიქრეთ, — წამოიწყო ბიჭმა.

— რატომ, სახალხოში ადგილები ყოველთვისაა.

— ბილეთი თუ ვერ იშოვეთ, დაბრუნდითო, დაგვაბარეს, — ჩაურთო ერთმა გოგონამ.

— სახალხოთი მშვენივრად ვიმგზავრებდით! — იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, მაგრამ როცა შეატყო, რომ ისინი თავისას არ დაიშლიდნენ, თავი დაანება.

ამ დროს დარბაზში ხალხი შეჩოჩქოლდა.

— ე, მატარებელიც, რა გაეწყობა! — გულდაწყვეტით წამოიძახა, წამოდგა, დამშვიდობების ნიშნად ქოლგა დაიქნია და გასასვლელისკენ წაკუნკულდა.

მატარებელი ჩამოდგა. ყმაწვილებს გულმა ბაქანისკენ გაუწიათ.

უბილეთო მგზავრები ვაგონების გასწვრივ მიმორბოდნენ და გამცილებლებს შიგ შეშვებას ემუდარებოდნენ.

ყმაწვილები მათ წინ მოწრიალე ხალხს ჩამორჩენილი მგზავრების გულგრილი გამომეტყველებით თვალს ადევნებდნენ.

მატარებელი დაძვრას აპირებდა, როცა ახალგაზრდა, ცხვირპაჭუა გამცილებელმა ქალმა ერთ ადგილზე გაშეშებულ ახალგაზრდებს ძალაუნებურად თვალს რომ ადევნებდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— თქვენ რა, წამოსვლას არ აპირებთ?

— ბილეთები რომ არა გვაქვს? — ნაღვლიანად შეეპასუხა ბიჭი.

— მერე რა, ამოდით!

მათ იმედიანად გადახედეს ერთმანეთს.

ვაგონში ფეხის შედგმა ძლივს მოასწრეს და მატარებელიც დაიძრა. ერთხანს გაოგნებულები იდგნენ. გასასვლელში იმდენი ხალხი ირეოდა, ერთმანეთს გვერდს ძლივს უვლიდნენ.

— გაინძერით, თორემ უადგილოდ დარჩებით! — შეუტია უმოქმედოდ მდგომ ყმაწვილებს გამცილებელმა.

— თქვენთან რომ დავრჩეთ? — ჰკითხა ბიჭმა.

— რომელიმე წინა ვაგონში ადგილს აუცილებლად იპოვით, — იყო მისი პასუხი.

და ისინიც დაიძრნენ, ვაგონიდან ვაგონში გადადიოდნენ. ყველა წინა ვაგონზე უთითებდა, ადგილები იქ ნამდვილად ექნებათო.

მართლაც, დიდი დავიდარაბის შემდეგ, საერთო ვაგონში დასაჯდომი ადგილები იშოვეს, ტვირთი დააბინავეს, ჩამოსხდნენ და, ის იყო, შვებით ამოისუნთქეს.

— უყურე ამათ შენ! — მოესმათ უეცრად.

ყმაწვილებმა თვალს არ დაუჯერეს, როცა ზუსტად მათ ზემოთ, მერხზე წამომჯდარი ოლიკო დაინახეს.

— აკი შინ ვბრუნდებითო?!. ჩემი მოტყუება კარალიოკის გაქრობა ხომ არ გგონიათ თქვენ?!. იცოდე, ყველაფერს ვეტყვი დედაშენს! — დაემუქრა ბიჭს.

დარცხვენილი ყმაწვილი ბუტბუტით თავის მართლებას მოჰყვა. მერე, მისი გულის მოსანადირებლად, გოგონებმა სახლიდან წამომძღვარებული საგზალი ამოალაგეს. დედაბერი გამოტყდა, რომ შუადღიდან ხემსი არ ჩასვლოდა, განსაკუთრებული თავპატიჟის გარეშე დაეწვია, რამდენიმე წუთში წყენაც დაივიწყა და თითქოს მთელი ცხოვრებისეული ტვირთი სადგურის ბაქანზე დაეტოვებინოს, ახალგაზრდებთან გაუთავებელ მასლაათს მოჰყვა.

ყოველ მეორე სიტყვაზე ლავრენტის ახსენებდა და მასთან დაკავშირებით საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებათა სახელებსა და გვარებს წარამარა ატრიალებდა, მათთან შეხვედრისა და ურთიერთობის შესახებ ისეთ ამბებს ყვებოდა, მათ ირგვლივ ნახევრადმძინარე მგზავრებმა თავი წამოჰყვეს.

— ეს ბებრუხანა ტყუილების კაკანს ნეტა როდის მორჩება?! — წყრომა ვერ დაფარა გვერდითა ღია კუპეში წამომჯდარმა ახალგაზრდამ და ზანტად დაამთქნარა.

— რასაც ეგ ყვება, სრული სიმართლეა, — შეეპასუხა მის პირდაპირ მერხზე წამოწოლილი, შუა ხანს მიტანებული კაცი და ხმის დაწევა ანიშნა.

— საიდან იცით?! — გაოცებით გადახედა მას საბოლოოდ ძილგატეხილმა მგზავრმა.

— ერთ სახლში ვცხოვრობდით, ჩვენს ოჯახებს კედლებიღა ჰყოფდა. მისი ბავშვები და ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, მერე მათ სახლი აიშენეს და...

— ამისი გაზრდილები რა იქნებიან! — ახალგაზრდამ სახე ათვალწუნებით დამანჭა.

— მაგის შვილებთან ზოგ-ზოგი ახლოსაც ვერ მივა! — შეეპასუხა კაცი.

ახალგაზრდამ მას მზერა დაეჭვებით შეავლო, მერე წამოიწია და გვერდითა ღია კუპეში სმენადქცეულ მგზავრებს შორის არხეინად მჯდომ, მოქაქანე დედაბერს გახედა.

— დაუჯერებელია! — თავისებური სიჯიუტით დაასკვნა და წამოწვა, — ასეთი შვილების პატრონი საერთო ვაგონით, და ისიც უბილეთოდ, რატომ მგზავრობს?! — დაეჭვებულმა იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ეგ მისი პირადი საქმეა, — გაღიზიანების გარეშე უპასუხა შუა ხანს მიტანებულმა კაცმა და დედაბერს ყური მიუგდო.

ის დრო გაახსენდა, როცა ოლიკოს ოჯახი ქვის ძეკვენებზე შემდგარი დაბალი კომუნალური შენობის ორ მომცრო ოთახში იდგა. თვით ოლიკო ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალი იყო, შავები ჯერ კიდევ არ ეცვა. „ვაი შური, საყვარელიი!”[17] — გაისმოდა მთელი დღე მისი აივნიდან, საღამოობით კი რეზიკოს, სამი წლის ხუჭუჭთმიან, მტირალა ბიჭს, „ნაპო, ბორო, დუდხოკორო, ჭითა უშქური ვაგოკონო?”-თი[18] აძინებდა.

---

17 „ვაი სულო, საყვარელო...” (მეგრ. ხალხური სიმღერა).

18 „ნაპო შტერო, თავხოტორა, წითელი ვაშლი არ გინდა?“

თვითონ კედლის მეორე მხარეს იწვა და ოლიკოს მოთმინებით აღსავსე ხმას გატრუნული უსმენდა. მეზობელი „ნაპო, ბორო, უტვინე, ნაპოს ოსური უნტინე!”-ს[19] ღიღინით ოთახში დააბიჯებდა, გამოსასვლელ კრეპდეშინის მარმაშებიან კაბას იცვამდა, ურჩ თმას სარჭებით იმაგრებდა და სახეს ფერუმარილით ილამაზებდა, რომ კინოს ბოლო სეანსისთვის მიესწრო. ლავრენტის დაურიგებია, კინო და თეატრი ადამიანს განათლებასა და კულტურას ჰმატებსო. მისთვის ლავრენტის სიტყვა კანონი იყო.

მაშინ ქალაქში თეატრის დასი არ მოქმედებდა, სამაგიეროდ, არც ერთ ფილმს უნახავს არ ტოვებდა. როგორც კი ოჯახის საქმეებს მოილევდა, სამზადისს შეუდგებოდა, მაგრამ რეზიკო ჭირვეულობას სწორედ იმ ჟამისთვის იწყებდა. ვიღაცას ურჩევია, ბავშვიც წაეყვანა. ერთი-ორჯერ სინჯა კიდეც, მაგრამ რეზიკო, როგორც კი კინოეკრანზე მატარებელს, მანქანას ან სხვა რამე მოძრავს თვალს მოჰკრავდა, — დე, ჩვენსკენ მოექანება, დე, დაგვსრისავსო! — ატეხდა წიოკს. — ვისია ეგ უდღეური, გაიყვანეთ აქედან, მაგის დედას მეტი ტვინი არა აქვსო?! — აგნიასდებოდა დარბაზი. ოლიკო ბიჭს პირზე ხელს ააფარებდა და სიბნელეში გასასვლელისკენ გზას მიიკვლევდა. მასთან არც დაყვავება და არც მოფერება ჭრიდა. მის მოთვინიერებას ვერც მამა და უფროსი ძმები ახერხებდნენ.

ერთ საღამოს ოლიკომ „ნაპო, ბორო, დუდი ხოკოროს...” ღიღინით რეზიკო დააძინა, მერე გამოეწყო, მზესუმზირით დატენილი განუყრელი ხელჩანთა აიღო, კარში ფეხის წვერებზე გაიარა და, ის იყო, კიბე ჩაათავა, რომ ბიჭმა ტირილი გააბა. ოლიკო გაყუჩდა, ერთხანს ყურს უგდებდა მტირალს. მერე სახლს ქვემოთ შეძვრა და ტურის თუ რომელიღაც მხეცის მიმსგავსებით ყმუილს მოჰყვა. ბავშვმა შიშისაგან ხმა გაკმინდა და, როგორც ჩანდა, ჩაეძინა. ქალმა ყმუილის მიტოვება ვერ მოისაზრა თუ რა იყო, ქუჩაში გავიდა და გაბმული უაა-უა-თი კინოთეატრისკენ გაეშურა.

რამდენიმე ხანში, ქუჩის ბოლოს, ღამის სიჩუმე მეზობლის ქოფაკის ცოფნაკრავმა ყეფამ და ქალის გულის-

19 „ნაპო შტერო, უტვინო, ნაპოს ცოლი გავუქციე“.

შემძვრელმა კივილმა გაჰკვეთა და მთელი ქუჩა ფეხზე წამოაგდო. ცოტაც და, მეზობლებმა დაკბენილი, ტანსაცმელშემოგლეჯილი და შიშისგან გონდაკარგული ოლიკო ციმციმ შინ მოაბრუნეს...

კომუნალური სახლის წინ აგურით ნაშენი დაბალი აბანოს შენობა იდგა. ყოველ კვირა დღეს ოლიკო ქმარ-შვილს დილიდანვე იქითკენ გაირეკავდა და სათითაოდ აბანავებდა, შემდეგ ცხელი, ქაფქაფა ნაკადის ქვეშ საღამომდე თეთრეულს რეცხავდა.

აბანოს გამგე მთელი დღე ნომრის უფასოდ დაკავების გამო ლავრენტის შიშით ხმას ვერ იღებდა, მაგრამ აბანოს დამლაგებელ, ქალკაცა, ლოთბაზარა რუსის დედაკაც პოლინას მიუგზავნიდა, ვისაც ლავრენტიც და მთელი დუნიაც ფეხზე ეკიდა (კაცების საერთო განყოფილებაში ისე არხეინად დაალაჯებდა, ტიტლიკანა კაცები თავიანთ სასირცხოსა თუ საამაყოზე წარამარა ხელს იფარებდნენ), ოლიკოს იატაკის საწმენდი ჯოხის ქნევით ნომრიდან გამოაგდებდა.

— პალინა, ჯუა, პალინა, ჯუა![20] — სარეცხის სიმძიმით ორად მოკაკული ოლიკო ძლივს იგერიებდა რუსის დედაკაცს.

— ოლიკო, ხანგა, ოლიკო, ხანგა![21] — არ ეპუებოდა პოლინა და ქუჩაში გამოაძევებდა.

ამ დროს აბანოს გამგე და მოლარე ცეცხლფარეშთან იმალებოდნენ და ოლიკოს მუქარას ძრწოლით უსმენდნენ, მაგრამ მის ქოთქოთს არასოდეს ზედმეტი გართულება არ მოჰყოლია...

ყოველთვის უკვირდა, ამ წერა-კითხვის ძლივს მცოდნე ქალს განათლებულ ადამიანთა მიმართ ასეთი ღრმა კრძალვა საიდან ჰქონდა.

მაშინ, როცა მეზობლების ბავშვები ეზოში თავქუდმოგლეჯით ბურთს დასდევდნენ და არემარეს წივილ-კივილით იკლებდნენ, მისი შვილები ერთ მომცრო მაგიდას უსხდნენ და გულმოდგინედ მეცადინეობდნენ. ოლიკო (თუ შინ იმყოფებოდა) მათ შორიახლოს ტრიალებდა და თვალ-

20 პალინა, ბოზო, პალინა, ბოზო.

21 ოლიკო, გიჟო, ოლიკო, გიჟო.

ყურს ადევნებდა. ეს პანაშვიდებსა და გასვენებებს გადაყოლილი ქალი შვილების საქმიანობის მიმართ თითქოს დიდი მომთხოვნიც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თვითონ მრავალჯერ შესწრებია, როგორი ტაქტით, სიყვარულით გამთბარი სიმტკიცით ეპყრობოდა მათ. თავს არაფრით მოაბეზრებდა, თუმცა, როგორც კი საქმისადმი უსულგულობას შეატყობდა, ხმაში სიმკაცრეს გაურევდა. შვილებს დედის უფრო ერიდებოდათ, ვიდრე თავიანთი ნასწავლი და მრავალთათვის თითით საჩვენებელი მამის.

მისი ქალიშვილი სინაზის განსახიერება იყო. მადლიანი სახე ჰქონდა. დედა მას ხან ბელურას, ხან კიდევ მწყერს ადარებდა. ათასი სასიყვარულო სახელით მოიხსენიებდა, თავს ევლებოდა.

ქალიშვილი სკოლის შემდეგ ინსტიტუტში რომ მოეწყო, ოლიკო ჯორკიდებულივით ყოველ შაბათ-კვირას შორეულ გზას ადგა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქალიშვილი უფრო დამშვენებული დაუბრუნდა. ხელის მთხოვნელებისგან მოსვენება არ ჰქონდა. დედა არ აჩქარებდა, მაგრამ როცა შვილში ქალურმა ბუნებამ იძალა და ღირსეულ ახალგაზრდას გადაეყარა, ერთი ხელის დაკვრით გაეკიდა.

ოლიკო ახლა სიძეს და ქალიშვილს ევლებოდა თავს. შორეულ ქალაქში გათხოვილ შვილთან მიემგზავრებოდა, ან ვიღაცის ხელით მოსაკითხებს გზავნიდა. მათი სახელი ერთთავად პირზე ეკერა, მაგრამ ქალიშვილს მეორე შვილი რომ გაუჩნდა, თითქოს დაშოშმინდა. შემდგომში მისი ძალისხმევა ხან ერთი, ხან მეორე ვაჟიშვილისკენ იყო მიმართული, ნაბოლარას კი, ლამის იყო, გადაჰყვა. იგი სტუდენტობის დროს სმას მიეძალა და სრულიად ახალგაზრდამ ჯანმრთელობა გაინადგურა. ქმრის უეცარი გარდაცვალება მის ავადმყოფობას დაემთხვა და ოლიკოს თქმით, ეს მოსიყვარულე, ჩუმი კაცი წესიერად ვერც იგლოვა... ხან ამ ნაბოლარასა და მის ცოლ-შვილს გადაეფოფრებოდა, ხან უფროს ვაჟებს, ხანაც ქალიშვილს, ლავრენტისაც ხმას აწვდენდა და, საზრუნავის მომატებისდა მიუხედავად, გასვენებებსა და პანაშვიდებს თავისი განუყრელი ქოლგითა და გაქექილი ხელჩანთით მაინც არ აკლდებოდა. ეს იყო, გვირგვინები უკვე აღარ დაჰქონდა, მორყეული კბილების

გამო მზესუმზირის კნატუნსაც შეეშვა. ხან მატარებლით მგზავრობდა, ხან ავტობუსით, იშვიათად მსუბუქი მანქანით. დამქანცველი, შორი გზების მოვლა ქვეითადაც უხდებოდა. ვერავინ გეტყოდათ, ეს ნამლევა დედაბერი, რევმატიულ დაავადებათა გამო თავი მიწამდე რომ ჰქონდა ჩახრილი და მხრებში გამართვა მტანჯველ ტკივილს აყენებდა, მიუხედავად უამინდობისა, განწყობილებისა თუ მოუცლელობისა, სადღაც ვიღაცის მწუხარების გასაზიარებლად, სადღაც ვიღაცის დასახმარებლად რომ გარბოდა, ამხელა ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას საიდან იღებდა. მისმა ვარსკვლავების დევნით ამაოდ დამაშვრალმა ძმამ, სატუსაღოებისა და გულაგების მოვლის შემდეგ მშვიდობიან პროფესიას რომ დაუბრუნდა, და წარსულში იმპერიის სამსახურში რომ არ ჩამდგარიყო, ხელს ცნობილი მეცნიერის სახელსაც გამოჰკრავდა, ერთხელ ფილოსოფიურად შენიშნა: „Она настоящая чародейка, а для чародеек между возможным и невозможным границ не существует“[22].

* * *

რუსებმა და კონფედერატებმა სოხუმი რომ აიღეს, მათი ქუჩა ერთ დღეში დაცარიელდა. ოლიკოს ვაჟიშვილები ცოლშვილითურთ განსაცდელს გაერიდნენ. წამოდიო, დიდხანს ემუდარნენ. მისი სიჯიუტე ვერაფრით გატეხეს.

და მოხდა სასწაული: ამ ერთთავად პანაშვიდებსა და გასვენებებს გადამკვდარმა ქალმა შინ დაიბუდა.

ქალაქის აღების მეშვიდე თუ მერვე დღეს „ბოევიკებს” ჭიშკართან დაუხვდა.

— Эта старушка наша родственница, видели бы, как она моего отца и дядю оплакивала![23] — ამ სიტყვებით შეაჩერა ჭიშკართან ერთერთმა „ბოევიკმა” იარაღში ჩამსხდარი უკან მდგომნი.

---

22 „იგი ნამდვილი ჯადოქარია, ხოლო ჯადოქრებისთვის შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის ზღვარი არ არსებობს!“

23 — ეს დედაბერი ჩვენი ნათესავია, ერთი გენახათ, მამაჩემსა და ბიძაჩემს როგორ დასტიროდა!

— Я тоже помню, как она на поминках слёзи лила![24] — დაუმოწმა მეორე „ბოევიკმა”.

— Выходит, она вас заранее переплакала![25] — ცინიკურად შენიშნა ერთმა, წინ მდგომნი ჯიქურ მისწი-მოსწია და ჭიშკრის გაღება სცადა.

— Не смей, назад![26] — დაუყვირა წინ მდგომმა და იარაღი მოუღერა.

— Да ну, вас всех к чёрту, с ума посходили что ли![27] — დაიღრინა მოძალადემ, ხელი ჩაიქნია და უკუდგა.

— მარტო ხარ, დადი?![28] — ჰკითხა წინ მდგომმა „ბოევიკმა”, — არ შეგეშინდეს, ესენი ვერაფერს დაგიშავებენ, — დაამშვიდა მოგვიანებით.

— რა მაბადია და რისი უნდა მეშინოდეს, ქიგგალე, ჩემი არც ტყავი გამოადგებათ და არც ხორცი! — აუღელვებლად უპასუხა მოხუცმა.

„ბოევიკებს“ გაეღიმათ.

დედაბერი წინ მდგომს გულისყურით დააკვირდა.

— შენ ჯვებესი არ ხარ, ქიგგალე?! — გაიკვირვა.

— იახ.[29] — მოკლედ მოჭრა „ბოევიკმა”.

— ჯვებე და ნაპო ხომ ძმებივით იყვნენ... შემოდით, — თქვა მოხუცმა და ჭიშკარი ფართოდ შეაღო.

— სხვა დროს, — იუარა, „ბოევიკმა”.

— როგორც გერჩიოს, ქიგგალე, — არ მისძალებია.

„ბოევიკი” მოხუცს დაემშვიდობა, მიტრიალდა და ქუჩას გაუყვა. სხვები მიმავალს გაოცებით მისჩერებოდნენ. „ბოევიკი“ უეცრად შედგა და ჭიშკართან ატუზულთ გამოხედა.

— Чего уставилис?![30] — მკაცრად იკითხა.

ისინი შეირხნენ და უხალისოდ, ზოზინით დაიძრნენ.

---

24 — მეც მახსოვს, ის ჩვენთან გასვენებებზე ცრემლებს როგორ ღვრიდა!

25 — გამოდის, მას თქვენ წინასწარ გამოუტირიხართ!

26 — არ გაბედო, დაიხიე!

27 — ეშმაკსაც წაულიღართ, ხომ არ გაგიჟდით!

28 ბებია

29 დიახ.

30 რას უდგახართ?

მომდევნო დღეს ოლიკოს ეზოს სხვები მიადგნენ. იმ ჯგუფიდანაც ვიღაცამ იცნო და თანმხლებთ ეზოში შესვლა დაუშალა. მას დიდი წინააღმდეგობის გაწევა მოუხდა.

— Она моя родственница, не тронте её, а то я за себя не ручаюс![31] — გაჰყვიროდა და მოხუცს მთელი ტანით იფარავდა.

— Ах, эсли так, к этой калитке прикрепи записку, что кней никто не посмел![32] — გამოსცრა მასთან ამაოდ მოჯაჯგურე „ბოევიკმა“.

— Так и поступлю![33] — დაიქადნა მოხუცის ქომაგმა, საიდანღაც ფიცრის ნამტვრევი გამოძებნა და ზედ წააწერა: „Дом и старушку не трогать, она моя родственница. Беслан!”,[34] და ჭიშკარზე მიამაგრა.

იმ დღიდან მის ჭიშკარს მომხდურთაგან ვინც არ უნდა მისდგომოდა, როგორც კი წარწერას თვალს მოჰკრავდა, თავს ჩაღუნავდა და გზას აგრძელებდა.

ოლიკოს უკვირდა, მის სახლს უცხო ხალხი ასე რომ ერიდებოდა. ერთხელ მეზობელს ჰკითხა, ამ ფიცარზე ისეთი რა წერიაო. როცა უთარგმნეს, უფრო გაოცდა, ნეტა ეს ბესლანი ვინაა, ყველას ასეთი რიდი რომ აქვსო, მაგრამ რამდენიც არ იძია, სიმართლის მთქმელს ვერავის შეხვდა და ბოლოს ამ უშედეგო გამოკითხვას თავი ანება.

ქალაქში უმართავ მდგომარეობას დასასრული არ უჩანდა. დღე არ გავიდოდა, რაღაც უბედურება არ დატრიალებულიყო. ოლიკოს სახლი დასატოვებლად წუთითაც არ ემეტებოდა. როგორც კი ვინმეს მკვლელობას ყურს მოჰკრავდა, ძველებურად ვერ მოთქვამდა, საამისოდ არც ხმა ჰყოფნიდა და არც ძალა, მაგრამ ხმადაბლა, „ვაი, სქან

---

31 — ჩემი ნათესავია, ხელი არ ახლოთ, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ!

32 — თუ ასეა, ამ ჭიშკარზე წარწერა მიამაგრე, რომ მასთან შესვლა ვერავინ გაბედოს!

33 — ასეც მივიქცევი!

34 „სახლსა და მოხუცს ხელი არ ახლოთ, ის ჩემი ნათესავია. ბესლანი!“

ცოდა, ნანა, ვაი, სქან ცოდა, სქუა!”-ო[35] წაუტირებდა.

ირგვლივ ყველას იმდენად უჭირდა, სხვის ზრუნვაზე საუბარი ზედმეტიც კი იყო, მაგრამ ოლიკოს ახლობლები უყურადღებოდ მაინც არ ტოვებდნენ.

ხიფათის მიუხედავად, ერთი ორჯერ უმცროსმა ვაჟიშვილმა მოაკითხა და წაყვანა მოუნდომა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ენატრებოდა, განსაკუთრებით ქალიშვილი და ლავრენტი, ვერაფრით დაითანხმა. ბოლო ხანებში ერთთავად მათ ხსენებაში იყო. მათგან ქაღალდის ნაგლეჯზე წაწერილ ბარათს ან რამე მოსაკითხს რომ მიიღებდა, კოცნიდა, ეფერებოდა და ისინი ამ განსაცდელისგან შორს რომ ეგულებოდა, თავს ბედნიერად მიიჩნევდა...

ნაპოს სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა. საათობით იჯდა და იქ დავანებულ მყუდროებას ყურს უგდებდა. საღამოობით სახლის წინ, ვეება კაკლის ხის ძირას დაფათურობდა, მერე უკაცრიელ სახლში შედიოდა და წვებოდა. უძილო, გრძელი ღამეები მოგონებებსა და ლოცვებში გაჰყავდა.

ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აფსუათა შიშით განუწყვეტლივ მოძრაობაში იყო. აიყრებოდნენ და სადღაც გადაიხვეწებოდნენ, მცირე ხანში ბრუნდებოდნენ, მერე უეცრად ისევ დაადგებოდნენ გზას.

რამდენჯერ, ჩვენთან ერთად წამოდიო, მასაც შეუჩნდნენ. ვერ დაითანხმეს. ვერც დაიყოლიებდნენ. სახლი რომ მიეტოვებინა, ასე ეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა და ჯიუტად ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მე აქ სიკვდილს ველოდები, ქიგგალე, ღმერთმა ქნას, მალე მომაკითხოს!..” — და მორჩა, სიტყვას ვერ დააცდენინებდი.

ერთხელ მეზობლის ახალგაზრდა რძალი მისმა სიჯიუტემ გააბრაზა.

— ეს სიტყვები ისე დაგიჩემებია, თითქოს საკუთარ შვილებსა და ძმებს ელოდებოდე! — უსაყვედურა.

— იმათ ენაცვალოთ ჩემი თავი... მაგათ როგორ არ ვე-

35 „ვაი, შენი ცოდვა დედა, ვაი, შენი ცოდვა, შვილო!“

ლოდები, მაგრამ... სიკვდილი ჩემი მოგონილი როდია, ქიგ-გალე, ქვეყნის გამჩენმა და მიქანგარიომ[36] ყველაზე უკეთ იციან, ვის რა მოელის! — მშვიდად უპასუხა და აზრით სავსე თვალები მიანათა.

მისმა სიტყვებმა და მზერამ მეზობლის რძალი გააოცა. გულისყურით დააცქერდა ცხოვრებისაგან თაფლის სანთელივით უალოდ ჩამომდნარ, ნაკვთებჩამოხვეწილ, ახლობელთა თუ შორებელთა გამო გამუდმებით მოწუხარ, საუკუნის ზღვარს მიტანებულ მოხუცს, სიკვდილს ყველაზე ძვირფასი ახლობელივით რომ ახსენებდა და მის მიმართ ღრმა თანაგრძნობით განეწყო. ნუგეშის სიტყვები არ დაიშურა. მოხუცი ყურს უგდებდა, მაგრამ ჩანდა, ყველაფერს — ავსაც და კარგსაც, კარგა ხანია შეჰგუებოდა და თავის წილ მიწის ნაჭერს საკუთარი სხეულიდან ნელ-ნელა გამდინარე ენერგიით ათბობდა.

კარგა ხანს იგი ეზოშიც არ ჩანდა.

და, როგორ, გაოცდნენ, როცა ერთ დილას განუყრელი ქოლგითურთ აცაბაცად მიმავალს თვალი ჰკიდეს გზაზე.

ქალაქის მეორე ბოლოში, შორეული ნათესავის გასვენებაზე მიემართებოდა. ვერავინ გეტყოდათ, ეს ამბავი საიდან შეეტყო და ამ უსაშველოდ მომქანცველი გზის დასაძლევად ძალ-ღონე როგორ მოეკრიბა.

ვრცელ ეზოში უხმოდ შეაბიჯა და ფანჩატურქვეშ თავშეყრილი ჭირისუფლებისკენ გაემართა. ორი შაოსანი ქალი შეეგება.

— რატომ შეწუხდი, ჩემო ოლიკო, გულმა მაინც არ მოგითმინა, ხომ?.. ნახე, როგორ დაგვღუპა ჩვენმა უბედურმა დაიამ!.. — შესტირა ერთმა და სკამამდე მიაცილა.

ოლიკომ პასუხად რაღაც წაიპუტუნა, დაჯდა და მზერაგაქვავებული მიწას დააჩერდა.

— ნეტა ამ დღეს არ მოსწრებოდი, ნეტა ეს უბედურება არ დაგტყდომოდა ჩემო ოლიკოო!.. — ვიღაც აწოწილი, ჩამომხმარი დედაკაცი მოთქმით გზას მიიკვლევდა მისკენ.

ოლიკო ისევ მიწას ჩასჩერებოდა.

---

36 მიქელგაბრიელი.

— ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს, რაღა ერთიმეორეზე გამორჩეული ხალხი გვეცლება ხელიდაან!.. — არ ცხრებოდა მოახლოებული დედაკაცი.

ოლიკომ თავი ასწია და მის წინ მდგომს კუშტად ახედა.

— რას მეუბნები, რომ ვერ გავიგე, ქიგგალე?! — ჰკითხა ჯიქურად.

დედაკაცი დაიბნა.

— რის თქმას აპირებდი, ბარემ თქვი! — შეუტია დედაკაცს.

იმან შეჩოჩქოლებულ ქალებს გახედა და სინანულით თავი გადააქნია.

— მე მეგონა, რომ...

— რა გეგონა, ჩქარა, თორემ გავთავდი და ეგაა! — შეუძახა მისი უცნაური გამოცოცხლებით თავგზააბნეულ დედაკაცს.

— რომ გაგებული გქონდა ლავრენტის სიკვდილი, — ძლივს ამოღერღა დედაკაცმა.

— რომელი ლავრენტის! — შეიცხადა მოხუცმა და ფეხზე წამოიჭრა.

დედაკაცს ცრემლები წამოსცვივდა.

— ჩემი ძმის?! — ჩაეკითხა.

დედაკაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჩემ მეფის ტოლ ლავრენტისთან სიკვდილს რა ხელი ჰქონდა! — გაიოცა ოლიკომ.

მან არ იცოდა, რომ მის სათაყვანებელ ძმას სიბერის გარდა თითქოს სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მაგრამ უეცრად გათავდა და უახლოესმა ნათესავებმა მის დაკრძალვას ძლივს ჩაუსწრეს.

— ვაი, შენს უბედურ და ადრედასამიწებელ დაიას! — დაიწივლა მოხუცმა და გაძვალტყავებული თითებით ლოყები ჩამოიხოკა.

— დიდუუ! სამი თვის ამბავი რომ არ ეცოდინებოდა, რას ვიფიქრებდი?! — შემოჯარული ქალების საყვედურებს ძლივს იგერიებდა დედაკაცი.

— სამი თვისო?! — შეიცხადა ოლიკომ, მხრებში გასწორდა, ქალები მისწი-მოსწია და გასასვლელისკენ აიღო გეზი.

— იმ გადაყრუებული ბერიკაცის გამო რა დღეშია ეს!.. — გაკვირვებით წამოიწყო შაოსან ქალებს შორის მდგომმა, ფერად სამოსში გამოწყობილმა გოგონამ. მისი სიტყვები როგორღაც მოხუცის სმენას მისწვდა. უცებ შეჩერდა, მთელი ტანით მიბრუნდა და წყრომით აღსავსე მზერა დაადგა. გოგონას სიტყვა გაუწყდა, თავი ჩაჰკიდა და შაოსან ქალებში მიიმალა.

მოხუცი მიტრიალდა და გზას გაუდგა.

რამდენიმე ქალი და ერთი კაცი გაჰყვა.

მთელი გზა მოხუცმა მდუმარედ გაიარა. სახლს რომ მიუახლოვდა, ერთი-ორჯერ უღონოდ დაიკივლა.

— ვაი, შენს ცას გამოკერებულ, მიწის კერძ დაიას, შენს უბედურ დღეს გაჩენილ, სამიწე დაიას, ვაი, შენს არგადასარჩენ დაიას!.. რატომ შენზე ადრე არ წამიყვანა ღმერთმა!.. — ამ სიტყვებსღა იმეორებდა დაუსრულებლად და ჩამომჭკნარ ლოყებს ძვალტყავა თითებით იხოკავდა. მეზობლის ქალები ამშვიდებდნენ. ერთი შეუწყრა კიდეც, ამდენი შვილისა და შვილიშვილის პატრონისთვის ასეთი ვაი-უშველებელის ატეხვა არ ეგებისო.

— ეეჰ, რა დროს ეგაა... ყველაფერი გათავდა, ყველაფერი გაშავდა! — ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია, სახლის წინ დაჯდა და დადუმდა.

კვირის თავზე ვაჟიშვილებმა რომ ჩააკითხეს, იგი ჩაწოლილი დახვდათ. როგორ არ უარეს, რა არ სცადეს, მაგრამ სიტყვა ვერ დააცდენინეს.

ასე, პირშისიტყვაჩაგუბებული შეეგება ლავრენტის და მის მიერ მრავალგზის ნალოლიავებსა და მისი არსებობის ახალ გაგრძელებას — სიკვდილს.

ВЫСАДИТЬ В ГАЛИ!

მეორე მსოფლიო ომი ხუთი წლის დამთავრებული იქნებოდა, გაზაფხულის ერთ მზიან დილას აფხაზეთში, გალის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, სატვირთო მატარებლის ბოლო ვაგონიდან ნაცრისფერ „ტელეგრეიკაში“, ნაცრისფერსავე დათბილულ ქუდში, ტილოს შარვალსა და ტალახშემხმარ ჩექმებში გამოწყობილი საშუალო ტანის, მეტად გამხდარი ჩოფურა კაცი რომ გადმოსვეს მკერდზე მიკრული წარწერით: „Высадить в Гали“, რომელსაც ხელში მუყაოს მომცრო, ვინ იცის, რა და რა გზებზე ტარებისგან ფორმადაკარგული და ფერგაცლილი ჩემოდანი ეჭირა და გაოგნებული სახით იცქირებოდა ირგვლივ. გამვლელ-გამომვლელები თვალს რომ შეავლებდნენ, სიცილს ვერ იკავებდნენ და მის გარშემო იყრიდნენ თავს.

— ამ ბოლო ხანებში მათხოვრებმა ძალიან კი მოუხშირეს, ვითომცდა მატარებლის ჩამორჩენას, ჩვენს ისედაც გაღლეტილ ქალაქს ესენიღა აკლდნენ! — მკაცრად შენიშნა ტანმაღალმა, სამხედრო ყაიდაზე ჩაცმულმა კაცმა, მკერდზე წარწერამიკრულს მიუახლოვდა, ყურადღებით შეათვალიერა და, როცა დარწმუნდა, რომ საქმე მაწანწალასთან არ ჰქონდა, მხედრულად მისალმების შემდეგ ჰკითხა:

— Скажите, по какой причине вас из поезда высадили?!

მკერდზე წარწერამიკრულმა თვალი კი შეავლო ტანმაღალს, მაგრამ ძარღვიც არ შესტოკებია სახეზე.

— ხედავთ, ვერ მიხვდა, ნამდვილად გერმანელი ტყვე იქნება, — შენიშნა ჩოფურას ირგვლივ თავშეყრილთაგან ერთ-ერთმა.

— გერმანელი კი არა, ის არ გინდათ, ახლა, აგერ, დიხაზურგიდან ვარ, — ხმა ამოიღო ჩოფურამ.

— ეს რა წარწერა მიგიმაგრებიათ, ხალხის ასე დაბნევა არ გეკადრებათ! — უსაყვედურა ტანმაღალმა, ზურგი შეაქცია და წასვლა დააპირა.

— მე კი არ მიქნია ეს, კალიმას კოლონიაში, რუსული რომ არ ვიცი, იმის გამო შემაბეს, — ჩაესმა მისი ხმა.

— კალიმას კოლონიაში?!. — გაიკვირვა ტანმაღალმა,

მიტრიალდა და დააკვირდა, — რის გამო მოხვდით იქ?.. თუმცა ჩვენთან ამისგან არავინაა დაზღვეული, — დაამატა საჩქაროდ და თავისივე ნათქვამით შეცბუნებულმა ჩოფურას მიჩერებულ ხალხს თვალი მოავლო.

— სიმართლე რომ გითხრათ, დღემდე ჩემთვისაც გაუგებარია...

— მოღალატე იყავი, ალბათ, და იმიტომ! — ულმობლად შეაგება გარშემორტყმულებიდან შავებში გამოწყობილმა, სახეგაკერპებულმა ახალგაზრდა ქალმა.

მკერდზე წარწერამიკრულმა ამის მთქმელი თვალით მოძებნა და სევდიანი ხმით მიუგო:

— ტყუილს ნუ მწამებთ დაია, ქვეყნის ღალატი გულში არასოდეს გამივლია... პოლონეთთან ტყვედ ჩავვარდი, ნახევარ წელიწადში ბანაკიდან გავიქეცი, თავიდან პოლონელ პარტიზანებს შევეკედლე, მოგვიანებით იტალიელებთან მოვხვდი, ბრძოლით კინაღამ ნახევარი დედამიწა შემოვიარე, მაგრამ, როგორც კი საბჭოთა კავშირის საზღვარს მოვადექი, დამიჭირეს და გადასახლება მომისაჯეს...

— რამდენი წლით? — ჰკითხა ისევ იმ ქალმა.

— ჩვიდმეტით, ხუთ წელიწად-ნახევარში ამნისტია შემეხო...

— ხუთ წელიწად-ნახევარში კალიმას კოლონიაში ორი ღერი რუსული როგორ ვერ დაისწავლე, რომ ეს ყოვლად სამარცხვინო წარწერა მკერდზე არ მიეკრათ! — უსაყვედურა ჩოფურას ახლოს მდგომმა კაცმა.

მკერდზე წარწერამიკრული ამჯერად მას მიუბრუნდა, დააკვირდა და შემწყნარებლურად გაუღიმა.

— რუსულის არც ფრონტზე წასვლამდე გამეგებოდა რამე და არც ახლა... Стоять! Смирно! Разговорчики! Руки верх! Шагом марш! Заткнись! Вот жри едреномат!.. და ამისთანებიღა ვიცი, იტალიური ცოტა მეტი მესმის... სხვა ქვეყნებშიც ვიბრძოდი, მაგრამ მათ ენებს ვერაფერი გავუგე... რა, ეს დანაშაულია?..

— არა, მაგრამ შენი ქვეყნის მთავარი ენა მაინც უნდა გესწავლა, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყავი, — ლმობიერად შენიშნა ტანმაღალმა კაცმა.

— ჩემი ქვეყანა საქართველოა, ამხანაგო, და მე ქართულის ცოდნა სავსებით მაკმაყოფილებს...

— ზუსტად მოღალატესავით ლაპარაკობს, მაინც არ მჯერა, რომ მაგან რუსული არ იცის, აშკარად იტყუება! — დაასკვნა გარშემორტყმულთა შორის მდგომმა ფართოსახიანმა ხნიერმა ქალმა.

— ეს რა ხალხი ხართ, ამ კაცს სამშობლოში სული ძლივს ჩამოჰყოლია და რას გაუწყალეთ გული, არ ვიცი?! — თავი გამოიდო ვიღაც ჩაფსკვნილმა ახალგაზრდამ, ჩოფურას მიეჭრა და დიდი ხნის უნახავი ახლობელივით გულში ჩაიკრა.

ჩოფურას მისი სახე ეუცხოვა.

— რაღაც არ მეცნობით!.. — წამოიწყო.

— არც მე, მაგრამ ჩვენებურ ნაფრონტალ და ნატანჯ კაცს ასე რომ ხვდებიან...

— თქვენ რა, არ გახსოვთ, სულ ახლახან გერმანელმა ფაშისტებმა რა დღეში ჩაგვყარეს? ეტყობა, ბელადის სიტყვებიც, მტერთან ფხიზლად იყავითო, მთლად დაგვიწყებიათ. რა გარანტია გაქვთ, რომ ეს კაცი გერმანელების აგენტი არ იქნება! — დაატყდა მათ ლოთის ტიპის შუა ხნის კაცი, — როცა სამშობლოს განსაცდელი ჯერ ისევ ემუქრება, ყველაფერი გულდასმით უნდა შემოწმდეს. აბა, ამხანაგო, დაგვემორჩილე და კომენდატურაში წამოგვყევი, იქ გაარკვევენ, მტერი ხარ თუ მოყვარე!

კომენდატურის ხსენებაზე ჩოფურას ირგვლივ თავშეყრილი ადამიანები დაფრთხნენ და წამისუმალ დაიფანტნენ, თვით ლოთის ტიპიც კი სასწაულად გაქრა უკვალოდ და ჩოფურა და ჩაფსკვნილი ახალგაზრდაღა დარჩნენ ბაქანზე.

— არ გავეცნოთ ერთმანეთს? — ჰკითხა ჩოფურას ჩაფსკვნილმა.

— გერა ვარ, აბსანძე.

— მე იროდი ჯანჯღავა, — უპასუხა, ყურადღებით დააკვირდა და ხელი გაუწოდა გერას, — კეთილი და პატიოსანი! მოდი, პირველ რიგში ეს წარწერა მოიხსენი და გადააგდე, თორემ, ხომ ხედავ, ყველა ეჭვის თვალით გიყურებს, ამ დროს, ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი გაქვს გამოვლილი.

— მოხსნით კი მოვიხსნი, მაგრამ ვერ გადავაგდებ! — უპასუხა გერამ, მკერდზე მიმაგრებული წარწერა მოიძრო, გულდასმით ოთხად დაკეცა და ჩემოდანში შეინახა.

— რატომ?! — გაიკვირვა იროდიმ.

— მჭირდება. — მოკლედ მოჭრა გერამ.

ჩაფსკვნილმა ჩაძიება განიზრახა, მაგრამ ჩოფურას სახის შეუვალმა გამომეტყველებამ გადააფიქრებინა.

— „Колыма, Колыма, Колыма, дивная планета, десять месяцев зима, а всё остальное лето…“ — ჩაიღიღინასავით იროდიმ, შემდეგ კი ჰკითხა, — მითხარი, ნამდვილად ასეა, თუ უფრო მკაცრად გვიხატავენ იქაურობას?

— ჯერ შინაარსი მითარგმნე.

— ნამდვილად სულ არ გესმის რუსული?! – გაიოცა იროდიმ.

— ხო ვთქვი.

— რანაირად?..

— სიმღერა მითარგმნე-მეთქი! – პასუხს თავი აარიდა გერამ.

იროდი სახეზე დააკვირდა ისევ და მიხვდა, რომ მისი სიჯიუტის დაძლევა არც თუ ისეთი იოლი იქნებოდა და დათმო.

— კალიმა, კალიმა, კალიმა, საოცარი პლანეტა, ათი თვე ზამთარია, ყველა დანარჩენი კი ზაფხულიო...

— ნაღდია... ის ორი თვეც ისეთია, მთლად ზაფხულსაც ვერ დაარქმევ... ის ყინულის ჯოჯოხეთი ნეტა ისე ვის მოენატრა, რომ სიმღერაც კი გამოუთქვამს! — გაიოცა მოგვიანებით გერამ.

— უყურე შენ, მართლა საშინელება არ ყოფილა? — თავისთვის დაასკვნა იროდიმ.

ეგონა, რომ ჩოფურა აჰყვებოდა და რამეს მოუყვებოდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, იგი საუბარს არ აგრძელებდა.

— აწი რა უნდა ქნა? — თავი შეახსენა იროდიმ ფიქრებში წასულ გერას.

— კომენდატურაში გამოვცხადდები და იქ მეტყვიან, რა როგორ იქნება.

იროდიმ გერა კომენდატურამდე მიაცილა, მერე საქმე

მოიმიზეზა, შინ მშვიდობით ჩასვლა და ჯანის სიმრთელე უსურვა და დაემშვიდობა.

კომენდატურაში სამი საათის ყურყუტის შემდეგ გერა გზაჯვარედინზე იდგა და სოფლისკენ მიმავალ მანქანას ელოდებოდა. ამაო ლოდინით თავგაბეზრებული გზას ფეხით დაადგა. სოფლამდე საღამოხანსღა ჩააღწია, სოფლის დასაწყისში ცოტა ხნით შეისვენა, ძალა მოიკრიბა და შებინდებამდე თავის კარ-მიდამოს მიადგა.

არემარე გადასხვაფერებული იყო. ოდა ყავარით ახალი გადახურული ჩანდა, სახლის წინ მოხასხასე კოინდარი და შუა მინდორში მდგარი საადრეო მსხლის ხე მოისაკლისა. ეზო გაეფართოებინათ, გადაეხნათ და იმ ადგილას, როგორც ჩანდა, სიმინდის დათესვას აპირებდნენ. ჭიშკართან, ახალგათხრილი ჭის გვიმის თავზე ნიავი ოწინარზე ჩამოკონწიალებულ, გვერდებჩაჭყლეტილ ვედროს ჭრიალით არწევდა.

კარ-მიდამოს უკაცობა რომ არ დასტყობოდა, გაუხარდა, მაგრამ იქვე ეჭვმა გაჰკრა, ათი წლის განმავლობაში ოჯახმა ჩემი ასავალ-დასავალი რომ არ იცოდა, ვინმე ხომ არ ჩამეზიარაო. რამდენიმე ხანს ორჭოფობდა. მერე ის იყო, ოდის აივანზე ყმაწვილი შენიშნა, რომელმაც, როგორც კი ჭიშკართან ატუზულს თვალი მოჰკრა, კიბეზე დაეშვა და მისკენ გამოემართა.

— ვინ გნებავთ ბიძია? — ჰკითხა შორიდან.

— სახლის პატრონი, — უპასუხა გერამ.

ყმაწვილი ჭიშკარს მიუახლოვდა, გერას ყურადღებით დააკვირდა, შემდეგ რატომღაც უკან მიიხედა და სახლს თვალი შეავლო.

— ამ სახლის პატრონი მე ვარ, ბიძია, შემობრძანდით! — ადგილ-მამულის ნამდვილი ბატონ-პატრონის რიხით მიუგო მოგვიანებით და ჭიშკარი შეაღო.

გერა არ გატოკებულა, მაღალ, კეთილაღნაგ, ხორბლისფერთმიან ყმაწვილს თვალ-ყურადქცეული მიაჩერდა და მასში გალეულსახიანი ექვსი წლის ბიჭუნას ამოცნობას ლამობდა.

— რა გქვია? — ჰკითხა ბოლოს იმედგაცრუებულის ხმით.

— ბასა.

გერას სიხარულმა სუნთქვა შეუკრა, შებარბაცდა და ჭიშკარს მიეყრდნო.

ყმაწვილი კაცი თვალს ვერ აცილებდა უცნაურ სტუმარს, წამით გაუელვა, ეტყობა, ჩვეულებრივი მშიერი მათხოვარია, სახლში შევირბენ, მჭადის ნატეხსა და ცოტა ყველს გამოვუტან, წყალსაც მივაწვდიო, მაგრამ, მისდა გასაკვირად, სტუმარი არც არაფერს ითხოვდა და დუმდა.

— ბიძია, თუ რამე გნებავთ, დროზე მითხარით, თორემ ხარ-კამეჩი მყავს მისახედი...

— კარგი ბიჭი გაზრდილხარ! — აღტაცება ვერ დაფარა ჭიშკართან მდგომმა.

— თქვენ რა, ჩემი ბავშვობა გახსოვთ?! — ირონია გაკრთა ყმაწვილის ხმაში.

— მამა ვარ შენი და აბა, რა იქნება! — მიუგო ჭიშკართან მდგომმა.

ყმაწვილი გახევდა. ყურადღებით დააკვირდა უცხოს და მისი სახე ზალაში, კედელზე დაკიდებულ მამის ფოტოსურათს და მახსოვრობაში ჩარჩენილ მის გარეგნობას შეადარა, მაგრამ სიცოცხლით სავსე, ტანბრგე ვაჟკაცს ვერაფრით მიამსგავსა ეს დალეული ჩოფურა.

— თუ მართლა მამაჩემი ხარ, მითხარი, რა გქვია! — ჰკითხა დაბნეულმა ბიჭმა.

— გერა ვარ, შვილო!

უეცრად ბიჭი სახლისკენ მიტრიალდა და განწირულის ხმით დაიყვირა:

— დედაააა!

მის ძახილზე სახლიდან ტანსრული, თავზე თალხთავსაფარწაკრული ქალი გამოიჭრა და ჭიშკრისკენ გამოეშურა.

— რა იყო, რამე ხომ არ მოიწიე! — შეიცხადა სირბილით მომავალმა ქალმა, ხოლო, როცა მიუახლოვდა და უვნებელი დაინახა, — შენ არ მოისპე მაინცდამაინც, ტყუილუბრალოდ გულს რას მიხეთქავ, არ ვიცი?! — უკივლა.

ყმაწვილმა პასუხად ჭიშკართან ატუზულზე მიანიშნა. ქალმა მის ხელს თვალი გააყოლა, ჭიშკარს იქით მდგომს გახედა და გაირინდა.

— ვინ არის, ან რას მომშტერებია?! — მოურიდებლად იკითხა ცოტა ხანში.

— რა ვიცი, მამაშენი ვარო და!..

ქალი ჭიშკარს იქით მდგომს დაჟინებით დააკვირდა. უცებ მოიღვენთა და მკერდზე ხელი იტაცა.

— ნათო, მართლა ისე შევიცვალე, რომ?!. — გაიკვირვა ჩოფურამ.

— უი, გერა! — შეიცხადა ქალმა. ჯერ შორიდან შეჰყურებდა, მერე მიეჭრა, — ეს რა გატანჯული სახე გაქვს, შემოგევლე, ისეთი რა გიყვეს იმ გადასაშენებლებმა, რომ ძლივს გიცანი... რას გერჩოდნენ, ჯარდაგში ხომ არ გაგატარეს იმ ამოსაწყვეტებმა!.. — გაიძახოდა და გაოგნებულ, საძრაობადაკარგულ გერას ხელებსა და სახეს უკოცნიდა, — მაგრამ, რახან ცოცხალმა ჩამოაღწიე, წმინდა გიორგის მადლმა, არაფერს ვჩივი!.. — თავს იმშვიდებდა.

იქვე მდგომი ყმაწვილკაცი უნდობლად მისჩერებოდა მის წარმოდგენაში ვაჟკაცური შესახედაობის, ზღაპრული დევგმირების სადარი მამის (დედა ასე უხასიათებდა შვილებს) ნამუსრევს და ვერაფრით ეგუებოდა ამ გალეული, სახიჩარი გარეგნობის უცხო კაცს დედამისი გარს რომ უვლიდა და წარამარა სახესა და ხელებს უკოცნიდა.

— ბასა, რა უცხოსავით მოგვშტერებიხარ, ფეხი გამოადგი! — გაუწყრა შვილს ელდანარევი სიხარულით გაოგნებული ქალი.

ერთიანად წამოჭარხლებული ყმაწვილი ძლივს დაიძრა ადგილიდან და უხერხულობის განცდა არ ტოვებდა, ამ მისთვის უცხო, მამად წოდებულმა კაცმა მკლავები რომ მოჰხვია და გულში ჩაიკრა.

იდგნენ ასე ჩახვეულები ერთხანს. როცა ყმაწვილმა ლოყაზე თბილი ცრემლი იგრძნო, თავი გაითავისუფლა, ოდნავ დაიხია, თავით ფეხამდე თვალი შეავლო მის წინ გაშეშებულ კაცს და მასში იერშეცვლილი, მაგრამ ათასგზის ნაოცნებარი მშობლის სახის ნაკვთები და აღნაგობა შეიცნო.

— წამო, შენს დიდი ხნის მონატრებულ სახლში შევიდეთ, — დაუყვავა ქალმა გერას, ჭიშკართან მიგდებულ ჩემოდანს დასწვდა, ბასას მიაწოდა და ქმარს წინ წაუძღვა.

— ნია სადღაა? — იკითხა გერამ და შუა ეზოში შედგა.

— ენაცვალოს დედა, თბილისში სწავლობს, შევუთვლი

და გახარებული მაშინვე აქეთ გამოქანდება...

— რა მითხარი?! — გაიოცა გერამ.

— გერმანულის მასწავლებელი გახდება მალე.

— გერმანულის?!. — ისევ გაიოცა გერამ.

— ჰო, ახლა გერმანულს დიდი ფასი დაედოო, და მანაც ასე გადაწყვიტა.

— სწორად მოქცეულა... თურმე, მტრის ენა კარგად უნდა იცოდე, — მიუგო და ეზოში ყურადღებით მიმოიხედა, — კარ-მიდამოსთვის ზრუნვა არ დაგიკლიათ, თუმცა ჩემი დარგული საადრეო მსხალი მოგიჭრიათ და მინდორი გადაგიხნიათ...

— მდინარის გაღმა საყანეს სიშორისა და მოუცლელობის გამო შქერმა და ეკალ-ბარდმა ისე გადაუარა, ვერ მოვერიეთ და სიმინდის დათესვა აქ გადავწყვიტეთ, საადრეო მსხალი კი შვიდი წლის წინ გახმა. დედაშენმა დაიჩემა, გული მიგრძნობს, გერას ნამდვილად რაღაც ხიფათი შეემთხვა და, ალბათ, ამის ნიშანიაო, მერე ივიშვიშა, ჭამა აიკრძალა, ჩაწვა და შენზე დარდით დაილია...

გერა შეკრთა, ერთხანს თავდახრილი იდგა.

— როდის იყო ეს? —იკითხა მოგვიანებით.

— ადრე გაზაფხულზე, — მიუგო ქალმა.

— სწორედ მაგ დროს იტალიის ალპებში სიკვდილი დამტრიალებდა, — დაიჩურჩულა.

— იტალიის რაში?! — გაიოცა ქალმა.

— მთებში... მერე სხვაგანაც ვიბრძოდი... ახლა ისეთი დაქანცული ვარ, არც ლაპარაკის თავი მაქვს და არც არაფრის... წინ მთელი ცხოვრებაა და თანდათან ყველაფერს მოგიყვებით...

ქალი და ყმაწვილი სახლში შეუძღვნენ, დატრიალდნენ, სამზადში შუაცეცხლი დაანთეს, სამფეხაზე კარდალა შემოდგეს, წყალი გააცხელეს, აბანავეს, დაანაყრეს და საძინებელში, გახამებული თეთრეულით გაწყობილ საწოლზე დააწვინეს.

— რა კარგია შინ... ასეთ სუფთა ლოგინში წოლა ათი წელია არ მღირსებია! — ესღა თქვა, თვალი მილულა და ძილიც მოერია.

უთენიაზე ქალმა გააღვიძა, ალერსითა და კოცნით

აავსო და როცა დიდი ხნის განუცდელი ლაციცით გული იჯერეს, თავს გადახდენილი ამბების მოყოლა სთხოვა.

გერამ პარტიზანებთან ყოფნის მონაკვეთიდან ორიოდე ეპიზოდი გაიხსენა, ტყვეობისა და გადასახლების აღწერა უმძიმდა და ამ ამბებზე გაკვრით ილაპარაკა, ხოლო მატარებლიდან საგანგებო დაცვამ როგორ ჩამოსვა, მშობლიურ მიწაზე ფეხის პირველად დადგმისას რა განიცადა და პირველივე შემხვედრნი როგორ მოეპყრნენ, დაწვრილებით მოუთხრო, მერე კი დაამატა, კომენდატურაში სამი საათი მკითხავდნენ, შემდეგ კი მკაცრად გამაფრთხილეს, ემანდ, ტყვედყოფნის, გადასახლებისა და, საერთოდ, ომთან დაკავშირებულ მოვლენათა ირგვლივ ზედმეტი რამ არ დაგცდეს, თორემო!..

— რატომ?! — გაუკვირდა ქალს.

— რა ვიცი... ალყაში მარტო მე კი არა, მთელი შენაერთი მოყვა და იძულებით ჩაბარდა. ნახევარ წელიწადში რამდენიმე ტყვე ბანაკიდან გავიქეცით და დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ჯერ პოლონელ პარტიზანებთან მოვხვდით, შემდეგ კი იტალიის წინააღმდეგობის მებრძოლებს შევეკედლეთ. იქ ვიბრძოდი, სხვაგანაც. ხუთჯერ დავიჭერი, მძიმე კანტუზია გადავიტანე, ზურგი და ბეჭები დაზიანებული მქონდა, მარჯვენა მკლავი და ფეხი დამსხვრეული... თანამებრძოლებმა მომიარეს, მაგრამ ახლაც წესიერად ვერ ვიმართები... თურმე, ჩემი დანაშაული ის ყოფილა, რომ ცოცხალი გადავრჩი... ტყვედ რას ბარდებოდი, მაშინვე თავი უნდა მოგეკლაო, მიბრძანეს დაკითხვაზე. რატომ, ტყვედ მარტო მე ხომ არ ჩავვარდნილვარ-მეთქი. ომი რომ იყოს, ამის კითხვას არავინ დაგაცლიდა, საველე სასამართლო აქვე გამოგიტანდა განაჩენს და დაგხვრეტდნენ, აფსუსია, საბჭოთა კანონი შენისთანებს ასე ლოიალურად რომ ეპყრობაო... ამის შემდეგ იმათ სიტყვის შებრუნებას როგორ შევბედავდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი, ნეტა ამის ფასი რა დავაშავე-მეთქი... სიცოცხლე არ დამიზოგია... რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიბრძოდი, ფაშიზმი ნახევარ დედამიწას განადგურებით ემუქრებოდა და სადაც უნდა ვყოფილიყავი, ასე მგონია, ჩემს ქვეყანას და ოჯახს ვიცავდი...

— შენი ნაამბობიდან ბევრი რამ ვერ გავიგე, შემოგევლე... მაგრამ იმას კი ვხვდები, რახან ასე გაგაფრთხილეს, იქნება ეს ამბები ბასასაც არ გაუმხილო...

— როგორ, სიმართლე შვილსაც დავუმალო?! — აღშფოთება ვერ დაფარა გერამ.

— სიმაღლეს რა ჭკუა აქვს, ჯერ კიდევ ბავშვია და თანატოლებთან რომ წამოსცდეს?.. ამბობენ, კომენდატურას თავისი ხალხი სოფელშიც ჰყავსო...

— ეგ უეჭველია... კარგი... ვეცდები, ჩემი არსებობით არავინ შევაწუხო...

— მე ეგ არ მითქვამს... ჩემი თავი ჯანდაბას, უბრალოდ, საკუთარ თავს და შვილებს გაუფრთხილდი, — მიუგო ცოლმა და ამ საკითხზე მათ შორის საუბარი ამით დასრულდა.

მზე რომ ამოიწვერა, გერა აივანზე იდგა და სიმწვანეში ჩაფლულ, სამოთხისდარ არე-მიდამოს თვალს ვერ სწყვეტდა. სოფლის სიმყუდროვით მოჯადოებული, სიჩუმეს აყურადებდა და გამუდმებით ცაში იცქირებოდა.

იმავე საღამოს მისი დაბრუნების აღსანიშნავად ეზოში გაშლილ ხალხმრავალ სუფრასთან მეზობლებსა და ნათესავებს ბრძოლის უმნიშვნელო ეპიზოდებს უყვებოდა. ვიღაცამ ხუმრობით ჰკითხა, ამ ცაში წარამარა რას იცქირებიო. ბომბდამშენების გამოჩენას ვუთვალთვალებ, რომ სოფელი გავაფრთხილო და გადავარჩინოო, უპასუხა ალალად. მეზობლებმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და ამის შემდეგ მის ნაამბობს ყასიდად უსმენდნენ.

ომგამოვლილთა უმრავლესობა ხშირად რეალობას იყო მოწყვეტილი, ერთმანეთში ურევდა ტყუილსა და მართალს და მსმენელებს უჭირდათ-ხოლმე ჭეშმარიტების დადგენა, თუმცა მათ გამტყუნებას თავგამოდებით არც არავინ ცდილა. ამ ჯოჯოხეთგამოვლილ ხალხს ამგვარ რამეს დიდსულოვნად მიუტევებდნენ, რადგან მათი შინ ცოცხლად დაბრუნება მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უფლის უდიდეს წყალობად მიაჩნდათ.

სოფლის სიმყუდროვითა და ახლობლებთან ურთიერ-

თობით კარგა ხანს ტკბებოდა გერა. შესამჩნევადაც მოიკეთა. მხოლოდ ეს იყო, ღამღამობით ბორგვა დასჩემდა. სიმწრის ოფლით გახვითქული გაუგებარ ენაზე ვიღაცებს რაღაცებს მოუწოდებდა, წამოვარდებოდა და ეზოში გაჭრას ლამობდა. საგონებელში ჩავარდნილი ნათო ღამეებს თეთრად ათენებდა და მის სახელზე ჩუმ-ჩუმად ლოცულობდა.

ამასობაში ქალიშვილიც ჩამოუვიდათ, რამდენიმე დღე დაჰყო სოფელში და მამის უცნაურობებით შეშფოთებული ისევ გაუდგა თავის გზას.

გერამ ერთ დღეს შენიშნა, რომ მნახველები და ცნობისმოყვარე ხალხი შემოჰფანტვოდა და მაშინ მიხვდა, ოჯახსა და სოფელში ყველას თავისი საქმე ჰქონდა და მის სალოლიავოდ და დროის უქმად დასაკარგად არავის სცხელოდა. ერთხანს იხტიბარს არ იტეხდა, ვითომ ვერ ამჩნევდა ამას, მაგრამ ნათომ იმარჯვა, ბალახგადავლილ ეზოსა და გასამარგლ ყანაზე ჩამოუგდო სხვათა შორის სიტყვა.

გერა თავიდან გონებაგაფანტულად უსმენდა, მაგრამ როცა ქალმა უძილო ღამეები, მისი ბორგვები და გარეთ გაჭრის მცდელობები უხსენა, შეშფოთდა, ყოველდღიური ჯაფისგან ფორმადაკარგულ, მოუხეშავ ხელებზე დახედა, გარუჯულ მკლავებს ააყოლა თვალი და ერთ დროს ნაზსა და უმშვენიერეს, ამჯერად კი ადრინდელ მომხიბლველობას მოკლებულ სახეზე შეაჩერა მზერა. ნათქვამის გამო დამორცხვებულ ნათოს თავი ჩაეხარა. როგორც კი ქმრის მზერა იგრძნო, თავი ასწია და თვალი გაუსწორა.

გერა მიხვდა, ქალი ქმრისგან ოჯახის უფროსის მოვალეობის აღსრულებას მოთმინებააღჭურვილი ელოდა, მაგრამ მოთმინებასაც ჰქონია საზღვარი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ბრძოლების, ტყვეობისა და გადასახლების მოგონებებით გართულს, ერთხელაც არ მოსვლია აზრად ოჯახს, მეზობლების თქმისამებრ, „ბრტყელ-ბრტყელი ზღაპრები და ცაში ცქერა“ რომ ვერ შეინახავდა.

ხმა არ გაუღია. წამოდგა, საძინებელს მიაშურა, გადასახლებიდან ჩამოყოლილი ჩემოდანი ჩამოიღო განჯინიდან, სამუშაო ტანსაცმელი ამოალაგა, შიგ ჩარჩენი-

ლი რაღაც ქაღალდები და ოთხად გადაკეცილი წარწერა გაზეთში შეახვია, ისევ ჩააწყო, ჩემოდანი დაკეტა, საძინებლის კუთხეში მიდგმული სკივრიდან ჭაბუკობისდროინდელი შავი პალტო, გულისპირზე წვრილღილებასხმული შავი პერანგი, მონაცრისფრო პიჯაკი, გალიფე შარვალი, ტყავის ქამარი, აზიურები და სხვა სამოსი ამოაწყო, ტანზე მოისინჯა, დარწმუნდა, ვერც ერთ მათგანს მომავალში ვერ გამოიყენებდა, მაგრამ ცოლს მათ შესანახად ზრუნვა რომ არ დაუკლია, მადლიერებით აივსო, ჩემოდანი სკივრის ძირას ჩადო, გულდასმით დაკეცილი სამოსი ზემოდან დააწყო, სკივრს ბოქლომი დაადო, სუფთა ტანსაცმელი გაიხადა, გადასახლებიდან ჩამოყოლილი ხამი ტილოს სამუშაო ხალათი და შარვალი ჩაიცვა და ეახლა ნათოს.

იმ დღიდან თოხი, ბარი, წალდი და სახრე ხელიდან არ გაუგდია. თავდაუზოგავად შრომობდა, საქონელს დასდევდა, მდინარის გაღმა საყანე ფართობში შქერი და ეკალ-ბარდები ძირფესვიანად ამოძირკვა, დახნა, დათესა, საბძელი განაახლა, სამზადი დაარღვია, ახალი დადგა და კაშკაშა ფერად შეღება, ოდა სახლიც უცხო ყაიდაზე გადააკეთა, თუნუქით გადახურა და თეთრად შეღება, ფუტკარი მოაშენა, ეზოს უკან ლუფი და თხილი დათესა, სახლის წინ, ნაყანევზე, საჩრდილობლად მაგნოლია დარგო, ბასას საიდანღაც პალმის, ყვავილებისა და ბზის ნერგები ჩამოატანინა. როცა წინა ეზოში ჩარიგებული ბზა წამოიზარდა და ლამაზად გაკრიჭა, ხოლო ვარდები და ტიტები აყვავდნენ, მისი ეზო-მიდამო ედემის ბაღს დაემსგავსა.

გამვლელ-გამომვლელები ცნობისმოყვარედ ჩერდებოდნენ და გაოცებას ვერ ფარავდნენ, წინა ეზოში უცხო ჯიშის ყვავილებისა და ნარგავების სიმრავლის გამო. მათი აზრით, ამ ნაირფერი და არაფრის მაქნისი, უნაყოფო მცენარეებით ეზოს გადატვირთვა გერას არაპრაქტიკულობაზე მეტყველებდა, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავდნენ.

გასაოცარი ის იყო, როცა კოლმეურნეობაში ყოველი ოჯახიდან დღიური სამუშაოს შესასრულებლად თითო ან ორი ზრდასრული წევრის გასვლა სავალდებულო იყო და დაუმორჩილებელთ სოფლის თავკაცები სახნავ-სათესის

ჩამორთმევითა და მთელი რიგი აღმკვეთი ღონისძიებებით ემუქრებოდნენ, იგი ერთხელაც არ შეუწუხებიათ. როცა ერთხელ ამის მიზეზით დაინტერესდა, უპასუხეს, ზემოდან ნაბრძანები გვაქვს, შენი წარსულის კაცი შინ იჯდეს, რომ მეზობლებმა, განსაკუთრებით კი მოზარდებმა არაფერში მოგბაძონო. ვერაფრით გაარკვია, რატომ იყო მისი წარსული იმდენად საშიში, ან სამარცხვინო, რომ არავინ არ უნდა გაჰკარებოდა. ამიერიდან ამ საკითხზე არავის შეუწუხებია, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რაღაც გროშების ფასად ეწერსა თუ ჭონჭყოში უმძიმეს სამუშაოზე არ ამწესებდნენ და მადლიერი ყოფილიყო, ვიღაცის უსაფუძვლო ეჭვებისა და შრომის უფლების წართმევის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდა სოფელთან კეთილი ურთიერთობა შეენარჩუნებინა, ჭირსა თუ ლხინში გვერდით დასდგომოდა, მეზობლებისთვის ხელი გაემართა, თუმცა, მისი მცდელობები ცალმხრივი აღმოჩნდა. მასთან ურთიერთობას აშკარად გაურბოდნენ. თანდათან ყველას ჩამოსცილდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მისი სახლ-კარი ციხე-სიმაგრე ყოფილიყო და შინაპატიმრობამისჯილს გარე სამყაროზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი.

რაც დრო გადიოდა, სოფელს ეს აზრი უმტკიცდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ მის ამგვარად ჩამოყალიბებაში თავად დიდი წვლილი მიუძღვოდათ, უკარებლობის ნიშნად „ნემეცი“ შეარქვეს და თავი მართალი ეგონათ, რადგან სოფელი ასეთ განდგომას არ იყო ჩვეული. მიზეზებს ვერ უღრმავდებოდნენ და არც ჰქონიათ ამის გარკვევის სურვილი, რამეთუ ყოველდღიურ გაწამაწიაში მყოფნი უფრო ზედაპირულად აფასებდნენ მოვლენებს და არც ის დასიზმრებიათ, რომ, თუმცა უკმაყოფილების შესახებ არასოდეს სიტყვა არ დასცდენია, გერაც არ იყო მათთან მტყუანი. ან როგორ დასცდებოდა, თქვენთვის ის ვერ მიპატიებია, საბრძოლო ეპიზოდების მოყოლას არ მაცლიდით და ლამის მასხრად მიგდებდით, ხოლო როცა ჩემს სანდოობაზე მიდგა საქმე, არც ერთ თქვენგანს ჩემს დასაცავად ხმა არ ამოგიღიათო...

ასე რომ, სოფელიც და გერაც თავ-თავიანთთვის იყვნენ, თუმცა უფრო გერა იყო თავისთვის, თორემ სოფელმა ყოველი მისი ნაბიჯი მთლად ზუსტად თუ არ იცოდა, მის შესახებ რაღაცის დადგენას ცდილობდა მაინც.

წელიწადში რამდენიმეჯერ საგანგებოდ გამოწყობილი გერა ორი ან სამი დღით სოფლიდან მიემგზავრებოდა. მეზობლები ნათოს სად წავიდაო რომ ჰკითხავდნენ, იგი მოკლედ, საქმეზეო, პასუხობდა, რასაც ერთი სჯა-ბაასი მოჰყვებოდა, ნახეთ, „ნემეცმა“ ეს გულღია ქალიც „გაანემცაო“, თუმცა ცდებოდნენ. გერა არასოდეს იბარებდა, სად მიემგზავრებოდა. უკან დაბრუნებული ცოლს კი უყვებოდა ყველაფერს, მაგრამ ქალი თავს ვალდებულად არ მიიჩნევდა, ვინმესთვის ანგარიში ჩაებარებინა. ეს იყო და ეს.

ამასობაში ბასა დაქორწინდა, ნია ქალაქში გათხოვდა, შვილიშვილებმა ხალისი შემატეს ოჯახს და ცხოვრება თითქოს წესითა და რიგით მიედინებოდა. მაგრამ მეზობლები ხშირად ხედავდნენ გერას ყანასა და ეზოში თოხის ტარზე დაყრდნობილს, ან მკერდზე მკლავებდაკრებილსა და საათობით გარინდულს და მის ზურგს უკან ოხუნჯობდნენ, ამას ომის დამთავრება ჯერ კიდევ ვერ შეუტყვიაო. გერას ზუსტად ახსოვდა ომის დამთავრების დღე, საათი და წუთიც კი, ოღონდ ეს იყო, საბრძოლო მოქმედებების, დაჭრილთა კვნესის, მეთაურთა მოწოდებებისა თუ გამარჯვებულთა ყიჟინისა და ქვემეხების გრუხუნის ექო მუდმივად ედგა ყურში, ამ მოვლენათა კადრები მთელი სიცხადით უტრიალებდა თვალწინ და სინამდვილეს ჩრდილავდა.

მეზობლების ოხუნჯობები ბასას ყურს მისწვდა და დედას რამდენიმეჯერ მიანიშნა გერას გულჩათხრობილობისა და განმარტოების შესახებ, მაგრამ ნათო ვაჟიშვილს მამის საქმეში ჩარევას უშლიდა.

გერამ საბრძოლო წარსულთან დაკავშირებით მხოლოდ ერთადერთხელ, და ისიც იძულებით, დაარღვია დუმილი. მაშინაც რძლის თხოვნით პირველკლასელი შვილიშვილი უნდა წამოეყვანა სკოლიდან. გაკვეთილების დამთავრებამდე დაადგა სკოლის გზას და ეზოს განაპირას, კუნძზე ლანდივით მჯომი ელოდებოდა გაკვეთილების

დამთავრების მაუწყებელ ზარს. სანამ ბავშვები ეზოში გამოეფინებოდნენ, ორი კაცი შეკამათდა, ერთი ადგილობრივი იყო, ხოლო მეორე სკოლის დარაჯი, ეროვნებით რუსი, ვიღაც წყალწაღებული კაცი და ყურადღების მისაქცევადაც არ ღირდა, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა თანდათან დაიძაბა.

— Когда русские за родину кровь проливали, вы напролёт кутили и наживались, а Сталин вас прикривал и за это всех вас подряд надо расстрелывать!.. — ხმას აუწია დარაჯმა.

გერამ იქვე მყოფთ ჰკითხა, რას დიდგულობს ეს კაციო. როცა უთარგმნეს, ადგილიდან წამოიჭრა.

— ვინ მოგახსენა, ამ ომში ყოველი მესამე ქართველი მონაწილეობდა და მათი ნახევარი შინ არ დაბრუნებულა! — შეეპასუხა.

— ეს სულ სტალინის შტუკები იკო... ერტი დამისახელე დიხაზურგელი ვინ იბრდზოდა! — პირზე დაადგა დარაჯი.

— ბევრი. მე თვითონ ნახევარი დედამიწა ბრძოლით შემოვიარე!..

— Да ну, не смеши, შენზე ტკვეს, დეზერტირობისტვის კალიმა ახეხინესო!

— ტყვეობის გამო, — შეუსწორა გერამ.

— Тем более! პლენად ჩავარდნას, გიჯობდა ტავი მოგეკლა და საბჩოტა სალდატის სახელი არ შეგერცხვინა!

— თავის მოკვლა გამოსავალი არაა, ბანაკიდან გავიქეცი და პარტიზანებს შევუერთდი, იტალიის განთავისუფლებისთვის ვიბრძოდი...

— მერე სადაა შენი ნაგრადები?! — ნიშნისმოგებით შეუბღვირა დარაჯმა.

გერა დაიბნა, მაგრამ გონს მალე მოეგო.

— რომელი კომისარი შენ მყავხარ, რომ... ეგღა მაკლია, ახლა ორდენები წარმოგიდგინო! — მიუგო გაცეცხლებულმა.

— რაც არ გაკვს, რა უნდა მიჩვენო? მკვეხარა და მატხუარა სუკა ხარ და მეტი არაფერი! — შემოუტია დარაჯმა.

— ვინაა მკვეხარა და მატყუარა... შე უჯიშო, შენა! — დაიბრდღვინა გერამ, ვეფხვის ნახტომით მოცელა და მუშტები დაუშინა დარაჯს.

სკოლის ეზოში თავშეყრილი ხალხი აიშალა და მიესია გერას, დარაჯის მოსახვედრი მუშტი მრავლად მოხვდათ თვითონაც, ზოგს სახე ჰქონდა დალილავებული, ზოგს თავი გახეთქილი, მაგრამ ცდა არ დაუკლიათ და ცოცხალ-მკვდარი დარაჯი ძლივს გააგდებინეს ხელიდან.

მთელ სოფელს მაშინვე მოედო ხმა ჩხუბის შესახებ და ადამიანები ერთ აზრამდე მივიდნენ, დარაჯი უჩივლებს და, ნახავთ, ციხეში თუ არ ამოაყოფინა თავიო. მათდა გასაკვირად, დარაჯს არამცთუ არ უჩივლია, იმ დღიდან უგზო-უკვლოდ გადაიკარგა და სოფელმაც მისი არსებობა თანდათან დაივიწყა, გერას ელვისებური ნახტომი და მუშტების ტრიალი კი მწარედ დაამახსოვრდათ და ვინაც მასზე უსაფუძვლოდ ოხუნჯობდა-ხოლმე, ამიერიდან ცდილობდა თავი შეეკავებინა და მორიდებოდა...

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გერამ ოცდაათი წელი იცოცხლა. ზაფხულის პაპანაქება დღეს, თავისივე დარგული მაგნოლიის ჩრდილში, სახეზე ღიმილშეყინული იპოვა შვილიშვილმა.

დაკრძალვაზე მხოლოდ კარის მეზობლებმა და ნათესავებმა მოიყარეს თავი, ქელეხის სუფრა სანახევროდ ძლივს შეივსო.

წლისთავი არც იყო გასული, რომ ერთ საღამოს, გერას სახლ-კარს „პობედა“ მიადგა. მძღოლი და რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილე ჭიშკარში ხანდაზმულ უცხოელ ქალბატონსა და ორ ახალგაზრდას შემოუძღვნენ. ერთი ახალგაზრდა თარჯიმანი აღმოჩნდა, მეორე კი იტალიის პატარა ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

კომისრის მოადგილემ გერას ქვრივს გააცნო უცხოელი ქალბატონი. იგი მეორე მსოფლიო ომში იტალიის წინააღმდეგობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, წლების მანძილზე თანამებრძოლები ეძებდნენ გერას და მათი ანდერძის აღსრულება ამ ქალბატონს მოუწიაო, განუმარტა.

უცხოელმა ქალბატონმა, როგორც კი ზალაში ფეხი შედგა და კედელზე გერას სურათი დაინახა, თვალები ცრემლით აევსო და იტალიურად მოჰყვა გაბმულ ლაპარაკს თუ მოთქმას.

— კი, ნამდვილად გერაა, რა ლამაზი ახალგაზრდა იყო,

როგორი თავდადებული მებრძოლი, რამდენი წელია ვეძებთ, მისმა ოჯახმა და ხალხმა უნდა იცოდეს, როგორი გმირი იყო, ჩვენ ვამაყობთ მისით... — თარგმნიდა მისი მხლებელი.

მოხუცი ქალბატონი გერაზე საუბრობდა დაუსრულებლად. გერას ოჯახის წევრები და უცხოელთა გამოჩენის გამო თავშეყრილი მეზობლები კი მდუმარედ მისჩერებოდნენ ამ ენად გაკრეფილ იტალიელს, რომელმაც ბოლოს რაღაცა იკითხა და დადუმდა.

— სინიორას აინტერესებს, სად არის სიგელი, სადაც ჩამოთვლილია ბატონი გერას დამსახურებები იტალიელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, — თარგმნა ქალბატონის მხლებელმა.

— ასეთი სიგელის არსებობის შესახებ პირველად მესმის! — გაიკვირვა გერას ქვრივმა.

— ნუთუ დაკარგა! — თარგმნა იტალიელი ქალბატონის შეცხადება თარჯიმანმა.

გერას ქვრივი ზალიდან გავიდა, რამდენიმე ხანში გაცრეცილი მუყაოს მომცრო ჩემოდანი შემოიტანა, გახსნა, ქაღალდში გამოკრული გახუნებული ფურცლები ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო.

იტალიელი ქალბატონი ქაღალდების ფურცვლას მოჰყვა, საბუთების ამ გროვიდან ოთხად გადაკეცილი ყავისფერი ფურცელი ამოაძვრინა და გაშალა. ერთხანს გაოგნებული სახით დაჰყურებდა ფურცელს, მერე თარჯიმანს რაღაცა გადაულაპარაკა, რომელმაც ხმამაღლა წაიკითხა ფრაზა „Высадить в Гали!“, მხრები აიჩეჩა და გერას ოჯახის წევრებს გახედა, მაგრამ იმათ თვალი მოარიდეს.

იტალიელ ქალბატონს მუყაოს ქაღალდზე დაწერილი ფრაზა რომ უთარგმნეს, ხელების მკვეთრი მოძრაობითა და ტრაგიკული ხმით რაღაცის მტკიცებას მოჰყვა.

— ის ამბობს, სწორედ ამნაირ ქაღალდზე იყო სიგელი შედგენილი და მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი არ ემთხვევა, დარწმუნებულია, ქაღალდი იგივეა.

ზალაში მყოფნი იტალიელი ქალბატონის აკანკალებულ ხელებსა და მაგიდაზე გაშლილ ქაღალდზე დაჩერებულ ნაოჭებით დასერილ, ცრემლიან სახეს თანაგრძნობით შეჰყურებდნენ და დუმდნენ.

მათი დუმილი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგიდას გერას ათიოდე წლის შვილიშვილი, ქერათმიანი, თვალგამჭრიახი ბიჭუნა რომ არ მიახლოვებოდა. მან ქალაღლდის ზედაპირი ჯერ ყურადღებით დაათვალიერა, მერე ნათურის შუქზე გახედა, ნაკეცზე თხელი ნაწიბური იპოვა, შარვლის ჯიბიდან პაწია ჯაყვა ამოიღო, მისი წვერი ნაწიბურს ფრთხილად დაუსვა, ფურცელი გაშალა და ქალბატონს მიაწოდა.

— Oddio, eccolo, fantastiko! (ღმერთო, აი, ისიც, ფანტასტიკურია! (იტალ.) — სიხარულით შესძახა, ბიჭი გულში ჩაიკრა, თვალები ამოუკოცნა, — Viva l'Italia, Georgia, Gera! — (გაუმარჯოს იტალიას, საქართველოს, გერას!) აღტაცებით დაამატა და ფურცელი შემართა, რომელზეც მაღლა უცხო ქვეყნის გერბი იყო გამოსახული, ოდნავ ქვემოთ კი ლათინური ასოებით შედგენილი ტექსტი და ხელრთვები ჩანდა.

სახეგაბრწყინებული ქალბატონი რაღაცას უხსნიდა მთარგმნელს.

— ეს სწორედ ის, იტალიური წინააღმდეგობის მეთაურთა მიერ შედგენილი და ხელმოწერილი საბუთია, ზედ ამ ქალბატონის ხელმოწერაცაა, — ზალაში მყოფთ ამცნო მთარგმნელმა.

იტალიელი ქალბატონი ხმამაღლა შეუდგა ტექსტის კითხვას.

ოთახში მყოფნი თარჯიმანს გაფაციცებით უსმენდნენ. როგორც კი ტექსტის თარგმნა ჩაათავა, ზოგს სიხარულის ყიჟინა აღმოხდა, ზოგმაც ტაში შემოჰკრა..

ნათოს არც ხმა გაუღია და არც ტაში დაუკრავს. ხმაურით ისარგებლა, ოთახიდან გავიდა, სამზადის წინ ჯირკზე დაჯდა, თმა გაიშალა და თითქოს ქმრის გარდაცვალება იმწუთას შეეტყო, შეიცხადა და ხმამაღალი მოთქმით დაიტირა.

მეორე დღეს დიხაზურგელების გარდა რაიონის ცენტრიდან ზღვა ხალხი მიაწყდა სოფლის სასაფლაოს. ყვავილებით მოფინეს გერას საფლავი, სასულე ორკესტრი საბრძოლო მარშებს უკრავდა, მოსწავლეებმა წაიკითხეს ბრძოლებში დაღუპულ მეომართათვის მიძღვნილი ლე-

ქსები, იმღერეს კიდეც, გამომსვლელები იხსენებდნენ გერას და გასაოცარ თვისებებს მიაწერდნენ. ცერემონიის ბოლოს კი სამხედროების ათეულმა, გერას ხსოვნის პატივსაცემად, ცეცხლსასროლი იარაღის ჯერით ცა და მიწა შეაზანზარა.

სასაფლაოზე მყოფთაგან ცოტა დარჩა ისეთი, ვისაც აზრი არ გამოეხატა გერას გმირული წარსულის შესახებ.

გერას ქვრივიღა იდგა უცხოსავით ამ აღტყინებული ხალხის მასაში, გაორებული გრძნობით უსმენდა სიტყვაუხვ გამომსვლელებს და ვერაფრით უმკლავდებოდა დარდს სოფლისა და ქვეყნის მიერ დაუმსახურებლად უარყოფილი და წლების განმავლობაში განდეგილივით მდუმარებაში დანთქმული ქმრის გამო. ზოგჯერ ვერც იჯერებდა, რომ ყველაფერი, რაც წინა საღამოს და იმ დღეს მოისმინა და განიცადა, სინამდვილე იყო, მაგრამ როგორც კი შორიახლოს მდგომ იტალიელ ქალბატონს, საფლავის ქვაზე გაშლილ მუყაოს ქაღალდს, მასზე გამოყვანილ უცხო ტექსტს და ორ ორდენს (იტალიელი ქალბატონის ჩამოტანილს) თვალს შეავლებდა, ეჭვი უქარწყლდებოდა. თუმცა, რატომღაც, გალის რკინიგზის სადგურის ბაქანზე მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმის მწველი განცდისგან გაოგნებული გერა ედგა გამუდმებით თვალწინ, რომელსაც მკერდზე წარწერა ჰქონდა მიკრული: „Высадить в Гали!“.

არა შურისძიებისათვის ჩემდა

კვირა ხდებოდა, რაც ქალაქის ცენტრალურ პარკში საველე კარვებს შეფარებული დევნილები ამინდის გამოკეთებას და გზის გახსნას ელოდნენ. გადაუღებელი წვიმების შემდეგ, მერვე დღეს, ერთბაშად გადაიკარა და მზემ ისე დააცხუნა, სულის შემხუთავი ოხშივარი ჩამოწვა. კარვებში ჩამომდგარი ხვატით დაოსებული დევნილები პარკის ხეთა ჩრდილს აფარებდნენ თავს და მათ ირგვლივ დატრიალებული, გონმიუწვდენელი უბედურებებისა და ბუნდოვანი მომავლის გამო დაუსრულებლად ბჭობდნენ და ვიშვიშებდნენ.

ამ ადამიანებმა, სოხუმის დაცემის შემდეგ, ნაადრევად დათოვლილი ჯოჯოხეთური გზებით სვანეთის მთები გადმოლახეს (რომელსაც შემდეგ ვიღაცამ სამართლიანად გოლგოთის გზა უწოდა). მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მმართველობამ მათი ნაწილი შეძლებისდაგვარად დააბინავა, როგორც კი ინათებდა, ახალი ამბების შესატყობად პარკისკენ მიეშურებოდნენ.

პარკის განაპირას კალთებაკეცილ მომცრო კარავს თავშეფარებულ, თავსხმა წვიმაში უგრძნობელივით მოხეტიალე მაღალ, ერთ დროს ალბათ, საკმაოდ შესუქებულ, მაგრამ ახლა ლამის ჩონჩხად ქცეულ ბერიკაცს ხვდებოდნენ, რომელიც ისე გულსაკლავად გამოიყურებოდა, ნეტა სული როგორ უდგასო, გაუელვებდათ და ძალაუნებურად თვალს არიდებდნენ.

ბერიკაცს ღაბაბი კისერზე ხორცმეტებივით ნაკეცნაკეცად ეკიდა. წელზე შემოჭერილ ქამარზე მოჩვარული სხეული უსიცოცხლოდ გადმოფენოდა. გახუნებული, გრძელსახელოებიანი ტილოს შავი ხალათი, ამ ხალათის გულისპირზე დაკერებული სხვადასხვა ასაკის ადამიანის რვა ფოტოსურათი, ფორმდაკარგული ნაცრისფერი შარვალი და ყელგადაჭრილი რეზინის ჩექმები, ნაოჭებასხმული, სისხლნაკლული სახე, აბურდული ჭაღარა და ემოციებისგან დაცლილი მზერა მის მიმართ ნებისმიერს სიბრალულით განაწყობდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღეები ზღვა ხალხში დააბიჯებდა, თანა-

გრძნობის გაზიარების შესაძლებლობას არავის აძლევდა.

საშუალო ტანის ცქვიტმა, შავგვრემანმა ახალგაზრდა კაცმა, ქალაქის პარკში თავშეყრილ, ნასხვისარით შემოსილ, სასოწარკვეთილ ადამიანებს შორის ერთთავად ვიღაცას რომ დაეძებდა, იგი პირველსავე დღეს გამოარჩია, რადგან დევნილების საუბრებს ყურს რომ უგდებდა, ყველა თითქმის მსგავს ისტორიებს ჰყვებოდა, ეს იყო, ერთმანეთისგან ხმის ინტონაციით, სახის გამომეტყველებითა და ჟესტებითღა განსხვავდებოდნენ. ბერიკაცი კი, როგორც გარეგნობით, ჩაცმულობით, ხალათის გულისპირზე დაკერებული სურათებით, ისე მრავლისმეტყველი დუმილით და მიუკარებლობითაც იზიდავდა.

როგორც კი ბერიკაცი ერთად თავშეყრილ დევნილებს მიუახლოვდებოდა, ისინი ხმას დაუწევდნენ და რიდით უთმობდნენ გზას. სივრცეში გონებაგაფანტულად მაცქერალი უბრად ჩაუვლიდათ, პარკის ბოლოსკენ წალასლასდებოდა, განმარტოებით მდგარ კარავში შეაბიჯებდა, ძელსკამზე დაეშვებოდა, ხვნეშას გულს ამოაყოლებდა და გაიტრუნებოდა.

დევნილები თავიდან გაცილებით მეტნი იყვნენ, მაგრამ მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდებოდა. ისე ჩანდა, მათი უმეტესობა ამ ქალაქში ან მის ახლომახლო იპოვნიდა თავშესაფარს და დედაქალაქისკენ გზის გაგრძელება არც დასჭირდებოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ბერიკაცს გულშემატკივარი არავინ გამოუჩნდა.

ავდარმა რომ დაიხია, ბერიკაცმა უაზრო ბორიალს თავი ანება, ადამიანთა ხან ერთ ჯგუფთან შედგებოდა, ხან მეორესთან, ვინმეს ამოიჩემებდა და მიაჩერდებოდა, თუმცა, მწუხარებაში ჩაფლული დევნილები მის იქ ყოფნას თითქოს ვერც ამჩნევდნენ, ან საგანგებოდ არიდებდნენ თვალს. ისიც მიტრიალდებოდა, ლასლასით გაუყვებოდა პარკის ხვინჭით დაფარულ ბილიკს და კარავში განმარტოვდებოდა.

ერთ დილას შავგვრემანმა ახალგაზრდამ მოისაკლისა, ნაშუადღევამდე მის გამოჩენას ელოდა, შემდეგ მთელი პარკი გადაატრიალა, მაგრამ ვერსად მიაგნო. პარკს თავშეფარებულებს შორის ამაო გამოკითხვის შემ-

დეგ, მისი გაუჩინარების ამბავი ქალაქის მმართველობას შეატყობინა. მათ სადღაც დარეკეს, მითითება მიიღეს და შეუდგნენ ძებნას. მეორე საღამოს ქალაქის განაპირა სასაფლაოზე ახალგათხრილ საფლავებს შორის მუხლმორთხმული და ხმადაბლა მგოდებელი იპოვეს. მძებნელთა მიახლოება არც გაუგია. როცა ერთი მათგანი ხელით შეეხო, ირგვლივ დაბნეულად მიმოიხედა, ხმის ამოუღებლად წამოიმართა და მორჩილად დაჰყვა მის ნებას.

— მოიხედე, შენს გამო ქვეყანა შეაწრიალეს, ლამის გამოგიტირეთ. მიპასუხე, ამ უცხო ქალაქის სასაფლაოზე რა დაგკარგვია, სხვის მიცვალებულებს რომ დასტიროდი, შენი არ გყოფნიდა, თუ რა იყო! — უსაყვედურა ნაცნობმა ხანდაზმულმა დევნილმა პარკში დაბრუნებულს.

— ჩემი და სხვისი რამ გაყო, ყველა უდროოდ წასულს ვგლოვობდი! — ამოიოხრა ბერიკაცმა.

მისი მწუხარე იერისა და გულისმომკვლელი სიტყვების საპასუხოდ დევნილმა ხმა ვერ ამოიღო, საყვედური როგორ ვაკადრეო, სინანულმა შეიპყრო. ერთხანს გაქვავებული სახით შესცქეროდა, მერე უმისამართოდ შეიკურთხა და გაერიდა.

შავგვრემანი ახალგაზრდა შორიახლოს იდგა და თვალს ადევნებდა მათ. ბერიკაცი მარტო დარჩა თუ არა, მიუახლოვდა და მიესალმა. ბერიკაცმა თავი დაუქნია, მაგრამ მასთან ურთიერთობის გაბმის სურვილი არაფრით გამოუხატავს.

— უკაცრავად, მყუდროებას რომ გირღვევთ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ვისი სურათები გიკეთიათ, ვინ არიან ესენი, — რიდით მიმართა ახალგაზრდამ მიწას დაჩერებულს და ხალათის გულისპირზე მიმაგრებულ სურათებზე მიუთითა, — ყოველმა ჩვენგანმა აფხაზეთში ახლობელი თუ არა, ნაცნობი მაინც დაკარგა, თქვენს გასაჭირს ჩვენზე უკეთ ვინ გაიგებს. მწუხარება რომ გამიზიაროთ, იქნება ცოტა გულზე მოგეშვათ, დაგროვილი უთქმელი დარდი გულს კი არა, ქვასაც გახეთქს.

ბერიკაცმა ახალგაზრდას დაბნეული მზერა შეავლო.

— ნეტა, ეს გული ადრევე გამსკდომოდა! — დაიბუხუ-

ნა, წამოდგა, შავგვრემანს ზურგი აქცია, ლასლასით დაადგა ბილიკს, კარავში შეაბიჯა და ძელსკამზე დაეშვა.

გაუსაძლისი ხვატის მიუხედავად, მთელი ღამე გაუნძრევლად იჯდა და ძილ-ფხიზლობდა. მეორე დილით ბილიკებზე ბორიალს მოჰყვა. ხშირად ჩერდებოდა და უდარდელად აჟრიამულებულ ბავშვებს აკვირდებოდა, ხოლო პარკში მიმოფანტულ, ახლო ხანებში გადატანილით დათრგუნულ მათ მშობლებს, სხვათა შორის შეავლებდა თვალს და აგრძელებდა გზას.

ჩანდა, ვიღაცას ეძებდა. საღამომდე უთავბოლოდ იბორიალა. ის იყო, ძელსკამზე ხვნეშით დაეშვა, რომ მოშორებით მდგომი შავგვრემანი ახალგაზრდა შენიშნა.

— აქეთ მოიწიეთ, — შეეხმიანა, მიახლოებულს ხელი გაუწოდა და თავის გვერდით ადგილი მიუთითა.

მდუმარედ ისხდნენ. ბერიკაცი ერთხანს პარკში ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილ და მოყაყანე ხალხს ადევნებდა თვალს, შემდეგ ახალგაზრდას მიუბრუნდა.

— სახელი მიბრძანეთ თუ შეიძლება, — მიმართა მწუხარე ხმით.

— უჩა.

— მე კიდევ, დიმიტრი.

მოხუცი უჩას გამომცდელად აკვირდებოდა.

— გუშინ ჩემების სურათებზე მკითხეთ, — დაარღვია დუმილი, — ხალათზე ამდენი სურათი რომ მიკეთია, ალბათ, უკვირთ. ვიცი, აინტერესებთ, ვინ არიან ესენი. რამდენჯერ ვიფიქრე, მოვიხსნი და შევინახავ-მეთქი, მაგრამ ჩემმა სულგანათლებულმა მეუღლემ დამიკერა და... აფხაზეთში წესია ასეთი, ახლობლების სურათს ორმოცის გასვლამდე ატარებენ-ხოლმე.

— აქაც ასე იციან, — მიუგო უჩამ.

— რამდენიმე წლის წინათ ვიღაცას რომ ეთქვა, ყველაფერი ის, რაც გადამხდა, თვითონ შემემთხვეოდა, გიჟად მივიჩნევდი... გასაოცარია, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა, ცოცხლები აღარ არიან. რაც კი რამ ღირებული გამაჩნდა, ყველაფერი დავკარგე. მთელი ჩემი მონაგარიდან მხოლოდ ეს ხალათი და ზედ დაკერებული სურათებიღა შემომრჩა. ამ რიგს სვანეთის მთებში, გათოშილ მიწას ნაჩქარევად მიბარებული ჩემი მეუღლის სურათიღა აკლია...

— მაპატიეთ!..

— ვინმესთვის ჩემი სატკივარის თავს მოხვევა არ მინდოდა, მაგრამ როგორადაც არ ვეცადე, არ გამომივიდა... ამ სურათების შესახებ ზოგიერთმა დევნილმა იცის, ხოლო უცნობებიდან თქვენ თუ არა, სხვა ვიღაც მაინც მკითხავდა. ასე რომ... ვხედავდი, მთელი კვირა შორიდან თვალს მადევნებდით და ვგრძნობდი, გერიდებოდათ. ვხვდები, ეს უბრალოდ ცნობისმოყვარეობა როდია. თქვენ ან გაზეთის კაცი ხართ, ან შთაბეჭდილებათა შემგროვებელი, — ასე ვეძახი მწერლებს, — დააზუსტა მან. ახალგაზრდამ უარის ნიშნად თავი გააქნია, — ჩემთვის ახლა ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას იფიქრებს... მთავარი უკვე ითქვა: აფხაზებსა და ქართველებს შორის გავარდნილმა ტყვიამ სათქმელს წერტილი დაუსვა. ტყვია უბედურების მოციქულია, შვილო... ეს უნდა სცოდნოდათ იმათ, ვინაც იმ ცოდვის კალოს დატრიალებას შეგნებულად თუ უნებურად ხელი შეუწყო. ახლა ამ ჭრილობების მოშუშებას, ალბათ, თაობები დასჭირდება... იქნებ გაგიგიათ, საუკუნის წინ აფხაზეთში ორი გვარი წაეკიდა და ლამის მუსრი გაავლო ერთმანეთს. მათ შორის მტრობა მგონი ჯერაც არ განელებულა და, როგორ გინდა, ადამიანთა ამხელა მსხვერპლი ორივე მხარეს ერთბაშად გადაავიწყო...

— მაგრამ ეს ომი ხომ აფხაზებისა და ქართველების ომი არც ყოფილა.

— მართალი ბრძანდებით, რუსები აფხაზეთის მიერთებაზე ორასი წელი ოცნებობდნენ, სამწუხაროდ, ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს და თავისას მიაღწიეს. ორივე მხარეს გონიერება უნდა გამოგვეჩინა და მსგავსი რამ არ უნდა დაგვეშვა. აფხაზებს თუ ჰგონიათ, რომ ამით რამე მოიგეს, ძალიან ცდებიან... ოდითგან ასე იყო: ბრძოლის ველი ხშირად მესამე ძალას რჩებოდა, გამარჯვებული კი, მოგეხსენებათ, ჯერ-ჯერობით არავის გაუსამართლებია.

დადუმდა. რამდენიმე ხანს სივრცეს გარინდული გასცქეროდა.

— რა საოცრებაა ადამიანი! — გააგრძელა, — აი, ესენი, — სურათებზე მიუთითა, — ჩემი ქალიშვილი, ძმისშვილები, დისშვილი, უმცროსი და-ძმა ერთმანეთის მი-

ყოლებით დავკარგე, ჩემი მეუღლის საფლავისთვის მიწის მიყრა ძლივს მოვასწარი და აქეთკენ გამოვეშურე... რა მომარბენინებდა?.. რას ველოდი?.. მე ხომ, რაც კი სანუკვარი რამ გამაჩნდა, იქ დავტოვე... რას წარმოვადგენ ახლა?.. ცოცხალ-მკვდარს... თქვენ რა გგონიათ, ვერ ვხვდები, ადამიანები თვალს მარტო ამ სურათების გამო რომ არ მარიდებენ?.. ისინი მცნობენ და, ალბათ, განიცდიან ადრინდელის ლანდს რომ დავემსგავსე, — ჯერ მუხლებზე, შემდეგ მკლავებზე დაიხედა და სახეზე უცნაური გამომეტყველება გამოეხატა, — ნაპატივები სხეულისგან ცარიელი ძვალი და ტყავიღა დამრჩა და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ამას დიდის ამბით ვესათუთებოდი... ასწილ მერჩივნა, ამ უბედურებებს არ მოვსწრებოდი!..

— ჩვენი ყოფნა-არყოფნა ჩვენზე როდია დამოკიდებული...

— ვიცი, მაგრამ რა ისეთი სასჯელია, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთს გადავურჩი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები კი იქ ისე ჩაიხოცნენ, რამდენს მიწის მიყრაც არ ეღირსა... გამუდმებით ვფიქრობ ამაზე... პასუხის გამცემი არავინ ჩანს და არც ის ვიცი, რა ვიფიქრო.

— თქვენზე თქვეს, წარსულში დიდ თანამდებობები ეკავაო.

— ვინ გითხრათ, ან რა დროს ეგეებია?! — გაოცება ვერ დაფარა ბერიკაცმა.

— დევნილები ამბობენ. სხვათა შორის, ძალიან კეთილად გიხსენიებენ.

ბერიკაცმა უჩას ბოლო სიტყვებს წაუყრუა.

— წლების წინ მართლაც რამდენიმე მნიშვნელოვანი პოსტი მეკავა... მაგრამ... ხომ არ ფიქრობთ, რაც გადამხდა, წარსულის გამო მომეგო?..

— როგორ გეკადრებათ, მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია!.. ერთი საკითხი მაინტერესებს და წინასწარ პატიება უნდა გთხოვოთ...

უჩა ყურადღებით აკვირდებოდა და როცა დაასკვნა, რომ ბერიკაცი დიალოგისთვის მზად იყო, თხელი ქურთუკის ჯიბიდან დიქტოფონი ამოიღო და ჩართო. ბერიკაცმა დიქტოფონს ათვალწუნებით დახედა. უეცრად წამოიმარ-

თა, ჩქარი ნაბიჯით გასწია, მაგრამ უეცრადვე შედგა, მოტრიალდა და ძელსკამზე გახევებულ უჩას გამოხედა.

— მომიახლოვდით! — უბრძანა.

უჩამ წელი ძლივს აითრია და გაუბედავად მიეახლა. ბერიკაცი მკაცრი გამომეტყველებით დაჰყურებდა ზემოდან.

— მაშინვე მივხვდი, ვინც იყავით, — უჩამ რაღაცის უარყოფა სცადა, მაგრამ ბერიკაცმა არ დააცადა, — კარგად მესმის, თქვენი პროფესიის ხალხი ხშირად ამა თუ იმ საკითხს თუ მოვლენას უმთავრესად შემკვეთის კარნახით უდგება... იმედია, ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერებას გამოიჩენთ და ჩემს მონაყოლს ისე არ დაამახინჯებთ, რომ ხმის ამოღება სანანებელად გამიხდეს.

— აი, ნახეთ, — პირადობის მოწმობა გაუწოდა უჩამ, — მემატიანე გახლავართ, ჩემი მოვალეობა უტყუარი ფაქტების აღნუსხვაა და არა მოვლენათა თვითნებური ანალიზი.

ბერიკაცმა მოწმობას თვალი აარიდა.

— არაა საჭირო. მოდით, სადმე, უფრო მყუდრო ადგილას ჩამოვსხდეთ, — ხმა ლმობიერი გაუხდა, — ოღონდ ეს, — დიქტოფონზე მიუთითა, — შეინახეთ და ისე ვისაუბროთ.

პარკის სიღრმისკენ გაემართნენ.

მოხუცისთვის მეუღლეზე და შვილზე საუბარი იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, სიტყვების მოძებნა უჭირდა, მათი სახელების კრძალვით ხსენებისას, მწუხარების მწველი განცდისგან ხმა წარამარა უწყდებოდა.

— იქნება აფხაზეთის მაღალი თანამდებობის პირებთან ურთიერთობები გაიხსენოთ, — მისი ყურადღების სხვა მოვლენებზე გადატანა და ამის შემდეგ საქმეზე გადასვლა სცადა უჩამ.

— ბევრთან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა, ზოგიერთთან ნათესაურიც. თუმცა იმის მერე, რაც მოვლენები გართულდა, თავს მარიდებდნენ. თვით არძინბასთან რამდენჯერ მიკამათია. არასოდეს არ დამითმია პოზიცია, მაგრამ ისინი რუსებისგან იმართებოდნენ და თანხმობა არ აწყობდათ...

— ჩემი შეკითხვიდან და თქვენი პასუხიდან გამომდინარე, თუ შეიძლება, კიდევ ერთ რამეს გკითხავთ.

— გისმენთ, ბატონო.

— ოღონდ გთხოვთ, ნუ აღელდებით, ამით არც თქვენი უბედურებების დამცირება და არც შეურაცხყოფა მწადია... უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, ამდენი ახლობლის დაკარგვის შემდეგ, ნუთუ ერთხელ მაინც არ მოგსვლიათ აზრად, არძინბასთვის ანგარიში გაგესწორებინათ... ერთი ტყვია რა იყო, ერთი ტყვიაც კმაროდა.

მოხუცი შეცბა. ერთხანს კრიჭაშეკრული გასცქეროდა სივრცეს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მსგავს რამეზე არასოდეს მიფიქრია! — დაიბუხუნა მოგვიანებით და გაირინდა.

— მაშინ რა გამოდის, იმათ ყველაფერი უნდა შერჩეთ?

— ერთი მაგალითი დამისახელეთ, შურისძიების გზით როდისმე სამართლიანობა აღდგენილიყო. პირიქით, არძინბას სხვა მარიონეტი შეცვლის, იმას კიდევ სხვა და ასე, დაუსრულებლად, უდანაშაულოთა მსხვერპლი კი თანდათან გაორმაგდება და გასამმაგდებდა.

— მსხვერპლში ვის გულისხმობთ?

— ქართველებსაც და აფხაზებსაც.

— რაც დაგვმართეს, ყველაფრის მიტევებას ხომ არ აპირებთ?

— ამის კითხვას როგორ მიბედავთ?! — მოხუცს ხმაში მრისხანება ჩაუდგა.

— მე იმის თქმა მინდოდა... — წამოიწყო უჩამ.

— თავის მართლებას ნურც ეცდებით, სწორედ რომ ზუსტად მიგიხვდით... ჯერ ერთი, უაზრო შურისძიებას რომ არ ვამართლებ, ეს როდი ნიშნავს, ვინმეს ახლობლების დახოცვა ვაპატიო; მეორეც: ბრძოლასა და შურისძიებას შორის დიდი სხვაობაა. ჩვენი ხალხი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, ოდითგან მებრძოლი იყო და არა შურისმაძიებელი. მებრძოლ კაცს გამარჯვების იმედი ყოველთვის აქვს, შურისმაძიებლობა კი ხშირად თავგანწირულთა გაუაზრებელი მცდელობაა და ამ აქტებს უმეტესწილად უდან-

აშაულო ადამიანები ეწირებიან. — გაჩუმდა, უჩას მიაჩერდა, — ვიდრე შურისძიების გზას დაადგებოდეთ, იფიქრეთ ამაზე! — დაამატა, წამოდგა, მოსაუბრეს თავი მსუბუქად დაუკრა და დაიძრა.

— თქვენი აზრით, რა გზა უნდა ავირჩიოთ? — დაადევნა უჩამ.

ბერიკაცი შედგა და მისკენ მთელი ტანით მოტრიალდა.

ახალგაზრდა ძალაუნებურად ფეხზე წამოიჭრა.

— ერთმანეთთან მისასვლელი და არა დამღუპველი!

— მიტევება რომ არ შეგიძლიათ?

— ღმერთმა დაგვიფაროს, ეს ქვეყანა ჩემით იწყებოდეს, ან ჩემით მთავრდებოდეს... ჩვენ შორის ბევრი ისეთი გამოჩნდება, ვინც სხვანაირად ფიქრობს და მოვლენებსა და ფაქტებს განსხვავებულად მიუდგება...

— და თუ ეს მხოლოდ მორიგი ილუზია აღმოჩნდა?

— რა გაქვთ მხედველობაში?

— არ გიფიქრიათ, თქვენი ნახსენები მესამე ძალა შინ დაბრუნებას და ქართველებსა და აფხაზებს შორის საერთო ენის გამონახვის ჩაშლას რომ შეეცდება?

— რაღაც ეტაპზე თავისას გაიტანს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეძლებს. ისევე, როგორც ადრეულ საუკუნეებში ბევრი დამპყრობელი, გადამწყვეტ მომენტში კისერს სწორედ აქ, ჩვენთან წაიტეხს! — დაიბუხუნა მოხუცმა.

— რა გაძლევთ ამის რწმენას?

— ყველა ნიშანი... ისიც კარგად ვიცი, სისხლმოწყურებულნი თავიანთ სისხლშივე ჩაიხრჩობიან. ამას მე თუ არა, თქვენ უეჭველად მოესწრებით.

ბერიკაცი ერთხანს თვალს არ აცილებდა უჩას, მერე მიტრიალდა და გზა გააგრძელა.

უჩას მოეჩვენა, ან ნამდვილად ასე იყო: სანამ მიტრიალდებოდა, ბერიკაცმა ისე შემწყნარებლურად გაუღიმა, როგორც ჭარმაგნი გამოუცდელ ყმაწვილებს ჭკუის დარიგებისას.

უჩა მიმავალს გაჰყურებდა და გაოცებას ვერ ფარავდა: მანამდე პარკსა და მის შემოგარენში ძლივს მოლას-

ლასე, ისე მარჯვედ მიაბიჯებდა, გეგონებოდა, ასაკიც და გადატანილი უბედურებებიც ერთბაშად ჩამოხსნოდა.

არსად შეყოვნებულა, პარკი გადაჭრა და თანდათან მიეფარა თვალს.

მომდევნო დღეებში უჩამ ომის ირგვლივ ინფორმაციების შესავსებად ისევ განიზრახა შეხვედრა ბერიკაცთან.

თავიდან პარკში, შემდეგ კი მთელ ქალაქში დაეძებდა.

მის ასავალ-დასავალს ვერაფრით მიაგნო.

ქალაქს ეძინა

დღისით ქალაქი უღიმღამო გაწამაწიაშია და გამუდმებით რაღაც ავბედითის მოლოდინითაა გათანგული. თუმცა, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცხოვრება ისევ ძველ ყოფას დაბრუნებოდეს. ამ ილუზიას ცარიელ ქუჩებში ნებაზე მიშვებული ბავშვების არხეინი გადაძახილ-გადმოძახილი და ჟრიამულიც იწვევს.

ღამღამობით სხვადასხვა უბანში ცეცხლსასროლი იარაღის გაბმული კაკანი გაისმის. ამბობენ, აფხაზური კლანები გავლენის სფეროებს ინაწილებენ და სისხლიან ანგარიშსწორებებს ეწევიანო...

სიძე და და დღეში რამდენიმეჯერ ურეკავენ თომას. ისინი პარალელურ ქუჩაზე აგურით ნაგებ „ბელეტაჟში“ ცხოვრობენ. მასთან შედარებით ახალგაზრდები არიან, მაგრამ განცდილი საშინელებებისაგან თვალდათვალ დაჩაჩანაკდნენ. და გამუდმებით ჭაპანწყვეტაშია, ხიფათის მიუხედავად კვირაში ორჯერ, ქალაქის მეორე ბოლოში ფეხით მიდის, სამყოფ პურსა და სანოვაგეს შოულობს და მასაც უწილადებს. სიძე დილიდან დაღამებამდე ამოჩემებულ სარკმელთან ზის და ქუჩას გაჰყურებს, რომელიც უბნის საძარცვავად მოდებული გაურკვეველი ჯურის მაწანწალებით ივსება-ხოლმე. ათასში ერთხელ, ქალს საოჯახო საქმეში თუ შეაშველებს ხელს. ამისთვისაც მთელი სასიცოცხლო ძალების მოკრება უხდება.

ქუჩაში გასვლა სახიფათოა. თავისუფლად შეიძლება, ვინმე თავზეხელაღებულს გადაეყარონ და საქმე ცუდად წაუვიდეთ. ერთმანეთს უმეტესად ტელეფონით უკავშირდებიან.

მათი საუბარი დღენიადაგ ერთსა და იმავეს დასტრიალებს: რა იქნება ხვალ, რა ისმის დედაქალაქიდან ან რუსეთიდან და, საერთოდ, რა ცვლილებებია მომავალში მოსალოდნელი. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ამ თემაზე საუბარი საბოლოოდ ამოწურეს, მაგრამ, როგორც კი რამე ხელჩასაჭიდს მიაგნებენ, მთელი რიგი მოვლენები ახლებურად წარმოუდგებათ და ამ „სიახლეებზე“ დაუსრულებლად მსჯელობენ.

ამას წინათ საუბარში ვიღაცა ჩაერთოთ და მანამდე არ შეეშვა, სანამ მათი ლანძღვა-გინებით გული არ იჯერა. გულისწყრომის მიუხედავად, ხმა არ გაუღიათ. აინტერესებდათ, რა ბრალდებებს უყენებდა მათ ეს არამკითხე და რა მოსაზრებაზე დაყრდნობით აცხადებდა თავს ამ კუთხის პატრონად.

ამაზე მწარე ცინიზმი რა უნდა ყოფილიყო: ამ მიწის ორ მკვიდრს, ერთმა ორმოცი წელი სკოლას რომ შეალია, მეორე კი ქალაქის შენებაში ლამის დაბერდა, ქართველობის გამო სიკვდილით ემუქრებოდა ვიღაც მოყურადე...

თავისუფალ დროს თომა სახლის აივანზე ზის, საიდანაც მწვანეში ჩაფლული ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. მის მიერ აგებულ შენობათა ნაწილი ომმა შეიწირა, მაგრამ, რაც გადარჩა, მისი ამაგის დასაფასებლად სავსებით საკმარისია.

აფხაზთა შორის ჰყავდა სიყრმის მეგობრები, რომლებმაც კაცური სიტყვის ფასი იცოდნენ. მის სახლს მრავლად ახსოვს ხალხმრავალი სტუმრობები. სუფრა უსაგნო ქეიფის მიზეზი იშვიათად ყოფილა. ქვეყნის სასიკეთო საქმეებზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ. საქმე უკიდურეს დაძაბულობამდე არასოდეს მიუყვანიათ და თუ საგანგაშო მდგომარეობა მომწიფდებოდა, აწონილი სიტყვითა და ნათესაური კავშირების მოხმობით მოუგვარებიათ. მტრულ ძალებს ბევრჯერ უცდიათ წყლის ამღვრევა, მაგრამ თომა და მისი ძმადნაფიცები გართულებულ ურთიერთობებს ჩვეული სიდინჯით მართავდნენ. ოდითგანვე ასე იყო: ეს კუთხე დარბაისელი და სიკეთით სავსე ხალხის ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, ვის გონიერებასა და მშვიდობის მოყვარეობაზეც არაერთ მაგალითს მოგითხრობდნენ, მაგრამ ეტყობა, როცა ყველაფერი აიმღვრა, მათ შეგნებულად უგანეს, რადგან ამ განუკითხაობაში ზომიერებასა და სიფრთხილეს ერთგვარ დამამუხრუჭებლადაც კი მიიჩნევდნენ...

საქვეყნო საქმეთ ძალაუნებურად ჩამოცილებული, მთელ დროს წიგნებს, მოგონებათა ჩანაწერებსა და ტერასებზე გაშენებულ ბაღჩას უთმობდა. შვილები საყვედურობდნენ, ქვეყანა ინგრევა, შენ კი ამ აბსურდული

მოგონებებისა და ბაღჩისთვის თავი ვერ დაგინებებიაო. საყვედური საყვედურად, მაგრამ ეს ჩუმი ღვაწლი უფრო საშურად უჩნდა, ვიდრე ურთიერთდამთრგუნველი, გამაღიზიანებელი მოწოდებებითა და სიძულვილის მთესველი პლაკატებით ქუჩა-ქუჩა ტანტალი.

ბევრი, ვისიც სწამდა და ვისი სიყვარულიც ასულდგმულებდა, ომის სისასტიკემ სადღაც გადახვეწა. შვილებიც დევნილთა ტალღამ გაიტაცა. ცოლთან განშორება სიკვდილად მიაჩნდა, მაგრამ შვილებს თვითონ გააყოლა... და დარჩა მარტოდმარტო, აურაცხელი უსარგებლო ნივთებით გადატვირთულ უზარმაზარ სახლში...

მისი ეზოს მიღმა, როგორც ესმოდა, აუწერელი საცოდაობა ტრიალებდა. ერთ დროს უერთგულესი მეზობლები თუ მოკეთენი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დევნიდნენ ერთმანეთს. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც ადამიანური სახე ჯერ კიდევ არ დაეკარგა, უმწეო ყოფაში ჩავარდნილთ დახმარების ხელს უწვდიდა, მაგრამ მათაც დაერივნენ, აქაოდა, მტრებს ინდობენო და ქალაქში ჩარჩენილ ქართველთა დიდი ნაწილი მოძალადეთა მსხვერპლი გახდა.

ყოველდღე ელოდა, ადრე თუ გვიან, მის სახლსაც მოადგებოდნენ. უკვირდა კიდეც, აქამდე ძარცვის ჟინით შეპყრობილთ რომ გადაურჩა, თუმცა გრძნობდა, ვიღაცა ხელს აფარებდა, ოღონდ თავის არსებობას ჯერ-ჯერობით არ ამჟღავნებდა...

გუმანმა არ უმტყუნა. დამთრგუნველი, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ტელეფონით ქალაქის გამგებლის, სტიოპა ლაკბას რეზიდენციაში გამოცხადება უბრძანეს. აფხაზური მკვეთრი კილოთი დაუმარცვლეს — რე-ზი-დენცი-აში!

სასაცილო ის იყო, დისწულის ბავშვობის ძმაკაცს რეზიდენცია რომ ჰქონია და თომას, ბაბუამისზე ასაკმოყრილსა და ღვაწლმოსილ პიროვნებას, იქით იბარებდა. ეს ცალ ლოყაზე ტყირპმოდებული, ყმაწვილობაში უზომოდ მორცხვი ბიჭი მშობლიურ ენასთან მწყრალად გახლდათ. სტუდენტობის შემდგომ, ყველასგან მოულოდნელად, ისე აიწყვიტა, აფხაზთა წამყვანი იდეოლოგი გახდა და ადრიდანვე კაცთმოძულეობითა და სისასტიკით ცნობილ ზო-

გიერთ თავის მოძმე ლიდერსაც გადაამეტა. მთელი მისი იდეოლოგია ნატყუარ ფაქტებსა და სიძულვილზე იყო დაფუძნებული და ისეთი გავლენით სარგებლობდა, თანამოქალაქეთა ყოფნა-არყოფნა მის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული...

თვეების შემდეგ, მოვლენათა წყალობით შინაპატიმრობამისჯილი მოხუცი პირველად მიაბიჯებდა უმოკლესი გზით ქალაქის ცენტრისკენ და ჭურვებით დათხრილ, პირდაფჩენილ ხაროებს გვერდს ძლივს უვლიდა.

ირგვლივ სიბინძურე, ნგრევა და ქაოსი იდგა.

სტიოპა ლაკბას აპარტამენტის ვრცელ მისაღებში ხალხის ტევა არ იყო. მიუხედავად ამისა, მოხუცი ურიგოდ გაატარეს დარბაზში, სადაც ხაზგასმული წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. ტყირპიანი წითელი ხით მოპირკეთებულ, აშკარად ნაძარცვი ხალიჩებითა და ავეჯით გამოტენილი დარბაზის ბოლოში უზარმაზარ მაგიდას უჯდა. მის დანახვაზე საქმიანი სახით ქაღალდების ქექვას თავი ანება, წამოიჭრა და შეგებება განიზრახა, მაგრამ მოხუცის მკაცრ სახეს თვალი რომ ჰკიდა, ადგილზე დარჩა, მორიდებით მიესალმა და დაჯდომა შესთავაზა.

— მტრები რომ გვაბრალებენ, მართლა ისეთი უმადურები როდი ვართ, დამსახურებულ პიროვნებებს, ეროვნების მიუხედავად, ღვაწლს არ ვუკარგავთ. ჩვენი ხელისუფლება ითვალისწინებს თქვენს ხანგრძლივ, ნაყოფიერ მოღვაწეობასა და დამსახურებას ქალაქისა და საერთოდ ქვეყნის წინაშე და განსაკუთრებული ხელშეუხებლობის გარანტიებს გპირდებათ. შეგიძლიათ აქ უშიშრად იცხოვროთ და იშრომოთ, შეგიძლიათ, ოჯახის წევრებიც ჩამოიყვანოთ და თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად მიიჩნიოთ... — ვიღაცის ნაკარნახევ სიტყვებს ბუტბუტებდა მოხუცის სახის დაღვრემილი გამომეტყველებით ნირწამხდარი ლაკბა.

თომამ თავი უკიდურესად შეურაცხყოფილად იგრძნო. შეპასუხება განიზრახა, მაგრამ კრიჭა შეკვროდა და ლაკბას სისხლჩაქცეულ, აფორაჯებულ ლოყას მონუსხულივით თვალს ვერ აცილებდა.

უსაფრთხოების გარანტიის ფურცლის გამოსართმევად

მისკენ მარჯვენა რომ გაიწვდინა, ტყირპიანმა არ დააყოვნა და უსიამოდ გაოფლილი ხელი შეაგება. თომა თითქოს ასპიტს შეხებოდა, შეკრთა და ხელი უმალ გამოსწია. ტყირპიანს სახეზე იქედნურმა ღიმილმა გადაურბინა. თომამ თავი ცივად დაუკრა, ზურგი შეაქცია და კარისკენ დინჯი ნაბიჯით გაემართა. დერეფანში მისი ოფლით შებილწული მარჯვენა ცხვირსახოცით შეიწმინდა და ზიზღით ურნაში მოისროლა.

ქუჩაში წელზევით შიშველი, ვინ იცის, რამდენი ხნის დაუბანელ-დაუვარცხნელი, გაზინთულმაისურიანი „ბოევიკები“ ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ. მისი ახოვანება, თხემით ტერფამდე დახვეწილი, კეთილშობილური გარეგნობა, თხლად ნაქანდაკარი სახე, მხრებზე გადმოფენილი ფაფუკი ჭაღარა, მოკლედ შეკრეჭილი წვერ-ულვაში, თეთრ პერანგზე კოხტად მორგებული ნაცრისფერი პიჯაკი, მათ აშკარა გაოცებას იწვევდა. თვალდაჭყეტილები გულმოდგინედ აათვალ-ჩაათვალიერებდნენ, მერე მოხუცის მიერ გაწვდილ ქაღალდის ფურცელზე ჩამოთვლილ დამსახურებებს ამრეზით ჩაიკითხავდნენ, მაგრამ როგორც კი მრგვალი ბეჭდის გასწვრივ ტყირპიანის გვარს შენიშნავდნენ, სახე უმკაცრდებოდათ და საქმიანი იერით გზას უთმობდნენ, თუმცა მოხუცს მათი ქვეწარმავლური, მწველი მზერა კარგა ხანს ზურგს უშანთავდა.

სამშვიდობოს რომ გამოაღწია და თავისი ქუჩის აღმართს შეუყვა, ჯიბეში „უსაფრთხოების გარანტიის“ ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი მოსინჯა. რამდენიმე ხანს თავს ებრძოდა ნაკუწებად არ ექცია, მაგრამ ეს რომ ჩაედინა, სახლსაც და ქალაქსაც უნდა გამომშვიდობებოდა, ამას კი ვერასდიდებით ვერ შეურიგდებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამ კურთხეულ მიწაზე განგების ნებით მიენიჭა დაბადებისა და ცხოვრების უფლება და ერთი სურვილიღა ასულდგმულებდა: როცა ჟამი მოუწევდა, მისი დაქანცული „ცას გამოკერებული“ სხეული ქალაქის განაპირას, ახლობელთა საფლავების სიახლოვეს მიაბარებინათ და, აფხაზეთის ათიათასობით მკვიდრის კვალობაზე, უცხო მხარეში წანწალი არ დასჭირვებოდა. იგი უფლებას იტოვებდა აქ მომკვდარიყო, და თუ ვინმე ამ სურვილს ცოდვად ჩაუთვლიდა, რა გაეწყობოდა...

მომდევნო კვირას კიდევ ორჯერ უხმეს და დანგრეული ქალაქის აღდგენასთან დაკავშირებით რჩევები ჰკითხეს, თუმცა აშკარად ჩანდა, მისი აზრი იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც ვიღაცებისთვის უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ აქ ჩარჩენილ, მათი ხელისუფლების მიმართ „ლოიალურად“ განწყობილ ქართველთა მოსაზრებებს გარკვეულ ანგარიშს როგორ უწევდნენ.

ქალაქის აღდგენაზე ჰაიჰარად მოლაყბე, სამხედრო ყაიდაზე ჩაცმულ უმწიფარ ბიჭ-ბუჭებს შორის თავს ზედმეტად გრძნობდა. ენის წვერზე ერთთავად ერთი წლის წინ ამავე ქალაქის დასანგრევად და მიწასთან გასასწორებლად არაფერს რომ იშურებდნენ, ასე მხოლოდ ბარბაროსები ან ის ხალხი იქცევა, ვისაც აქაურობასთან საერთო არაფერი აკავშირებს, თორემ საკუთარი ხელით ნაგებ შენობებს არც ერთი ჭკუათმყოფელი ჭურვებს არ დაუშენდაო, უტრიალებდა თავში და, მთელი ნებისყოფის მოხმობა დასჭირდა, რომ ეს მწარე სიმართლე მათთვის პირში არ მიეხალა...

ამის შემდეგ მისი არსებობა თითქოს დაივიწყეს, მაგრამ თავი ერთხელ მაინც შეახსენეს, რაც მათივე განცხადებით, მიზნად მხოლოდ „ფორმალობის“ დაცვას ისახავდა და ჩატარებული ჩხრეკისას, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთი სახის ცეცხლსასროლ იარაღს რომ ვერ მიაკვლიეს, ხელს მისი ცოლ-შვილის პირადი ნივთები და რადიოტრანზისტორი გააყოლეს. ამ წვრილმანი ქურდობის გამო დიდად არც იდარდებდა, მაგრამ ტრანზისტორი ნამდვილად დააკლდა (ტელევიზორი ომის დროს გაფუჭდა), მის მდუმარებაში დანთქმულ სახლში ამიერიდან უცხო ხმები და მშობლიური მელოდიები არ შემოიჭრებოდა... ამასთან, მას უფრო სხვა რამ აშფოთებდა: მკვლელებისთვის კანონის დამცველთა უფლებები მიენიჭებინათ, ხოლო მსხვერპლთ წინააღმდეგობის გაწევა ეკრძალებოდათ, და კიდევ: გაურკვეველი ჯურის, გარუჯული ვირგლა ბიჭები მის კარ-მიდამოს ირგვლივ მშიერი მგლებივით უვლიდნენ: А жаль, что нелзя его отсюда вышвернут! зачем одинокому старику такой огромный дом и двор!.. — გაიძახოდნენ მის გასაგონად, იყაყანებდნენ, იქაურობას ღრიანცელით აიკლებდნენ და დაეშვებოდნენ დაღმართზე.

მათ დაბრუნებას ერთიანად დაძაბული ელოდა. ელოდა, რომ მაღალ კიბეს ველური ღრიანცელით ამოირბენდნენ, შეანგრევდნენ სახლის კარს და მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ წამებით ამოხდიდნენ სულს... სხვანაირად იმ ბინძურ, ჭყეტელა ქურთუკებსა და ნაძარცვ სამოსელში გამოჯგიმულ, იარაღით გათავხედებულ, უწარსულო სალახანებს აქაურობას არაფრით დაუთმობდა.

იმ გველის წიწილებს (ასე მოიხსენიებდა მათ), წარმოდგენა არ ჰქონდათ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა ჯერ ეზოს კიბის ამოყვანას, ტომრებითა და ვედროებით ფერდობზე გაჭრილ ტერასაზე სახლის სამშენებლო მასალის ამოზიდვას, ბოლოს ბაღჩის, ყვავილნარისა და ვაზის ტალავერის გაშენებას. ვინც იცოდა, მის მიმართ აღტაცებასა და ქებას არ იშურებდა, ხოლო ვინც არა, შურსა და ღვარძლს ვერ ფარავდა. „Везёт же таким!“ — რამდენჯერ გაუგია ზურგს უკან, მაგრამ იქამდე არ დაშვებულა, რომ ამ ყაიდის ხალხისთვის რამე ემტკიცებინა. ან რა ჰქონდა სამტკიცებელი, როცა არა მარტო ეს სახლი, ქალაქში ქუჩა არ იყო, სადაც მისი ნაგები შენობა არ მდგარიყო და ყოველი მათგანისთვის თავისი სულის ნაწილი არ ეწილადა.

მარტოობამ სიტყვაძუნწი გახადა. ქალაქის სხვადასხვა უბანში ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ მისი ძველი ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ ირგვლივ გამეფებული ქაოსის გამო ტელეფონის ორიოდ ზარს თუ არ ჩათვლიდა, მათთან ურთიერთობა ვერ დაამყარა და მისი ეზო-კარი მდუმარებაში ჩაფლულ წალკოტს დაემსგავსა .

საღამოობით აივნიდან თალხ ფერებში ჩაძირულ ქალაქს გაჰყურებდა. ისე მალე ღამდებოდა და ირგვლივ ისეთი ურუმი ისადგურებდა, თვალთან თითის მიტანა ჭირდა. სიძემ ერთხელ შენიშნა, საოცარია, მთვარესავსე, ჟიკჟიკა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა რამდენი ხანია არ შემინიშნავსო. მართლაც, იშვიათი იყო მთვარიანი ღამეები. ომმა და შემდგომ ყოველღამ იარაღის დაუზოგავმა ქუხებამ თითქოს ცის მნათობები დააფრთხო. ერთ დღეს კი აღმოჩნდა, რომ ჩიტები და ძაღლები ქალაქიდან გადახვეწილიყვნენ. ეს ამბავი პირველად ბავშვებმა შენიშნეს, ძახილითა და ხმამაღალი ტირილით არე-მარეს მოედვნენ,

მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნეს. იქიდან მოყოლებული, ჩიტებისა და ძაღლების ხმები არ აცოცხლებს არე-მიდამოს...

ამ ყიამეთში მაინც ჭვრეტდა ზღვას, გულდასმით უგდებდა ყურს მის შორეულ ზვირთთა ზათქს.

...სილის ხრაშა-ხრუშით გამოჰყვებოდა ყველაზე მივარდნილ პლაჟს, ამოივლიდა ზღვაში ჩანთქმული რესტორნის ნანგრევებთან, ცარიელი სანაპიროს გამოვლით მიადგებოდა გადამწვარ მრგვალ სასტუმროს, ცოტა ხნით ნავსაყუდელთან შეყოვნდებოდა და გეზს გაუდაბურებული ბოტანიკური ბაღისკენ აიღებდა, იქიდან კი მისი სახლი ხელისგაწვდენაზე იყო... ყოველ ღამეს ამ გრძელსა და სიცოცხლის გამახანგრძლივებელ გზას გადიოდა. მოადგებოდა ეზოს, ჭიშკართან შეჩერდებოდა, ნება-ნება ამოჰყვებოდა კიბის საფეხურებს... და ეს წარმოსახული სეირნობა მარტოობის სიმძაფრეს უქარვებდა.

რამდენიმე თვის წინ ცოლმა და ვაჟიშვილებმა ხმა მოაწვდინეს. შეშფოთებული ქალი კითხულობდა, მანდ რას უზიხარ, ნუთუ არ გენატრებითო. ბიჭებიც საყვედურობდნენ, შვილიშვილებისთვის მაინც დაგეხედაო, და ზღაპრულ ფერებში აღუწერდნენ სასტუმროს პაწაწკინტელა ნომრების მომხიბლველობასა და მათ უპირატესობას ფერდობზე გადმომდგარ, სიმწვანეში ჩაფლულ სახლთან შედარებით... რა დიდი მენცარობა უნდოდა იმის მიხვედრას, შვილები მის დაყოლიებას ცდილობდნენ და სახლის მიტოვება რომ გაადვილებოდა, ფანტაზიას არ იშურებდნენ, მაგრამ ყველას იმედი გადაუწურა: „ამ სახლსა და ეზო-კარს თქვენთვის ვუფრთხილდები. როცა იქნება, ხომ უნდა დაბრუნდეთ, ყველაფრის თავიდან დაწყება კი გაგიძნელდებათ. რა თქმა უნდა, ძალიან მენატრებით, უთქვენოდ იმდენად მიჭირს, ლამისაა, დავმუნჯდე, მაგრამ ეცადეთ, ჩემს წმინდა გრძნობებს ნუ შებღალავთო...“ — დაახლოებით ასე შეუთვალა.

ცოლ-შვილს მსგავსი შინაარსის ბარათი მეტად არ მოუწერია, და საერთოდ, სახლის მიტოვებაზე სიტყვას ვეღარ უბედავდნენ, რაც ერთგვარი გამარჯვებაც იყო.

მას თავი ამ სახლის და მთელი უბნის მცველად მიაჩნდა.

რამდენჯერ მეზობლების მიტოვებული კარ-მიდამო ხანძრისა და აოხრებისაგან დაიცვა. როგორც კი რაღაც საშიშროებას იგუმანებდა, ლაკბას უწყებაში რეკავდა. იქიდან გაღიზიანებული, აფხაზური მკვეთრი კილოთი დახმარებას აღუთქვამდნენ და დანაპირებს ასრულებდნენ, მაგრამ ბოლო ხანებში ლაკბა მის ზარს უგულისყუროდ ეკიდებოდა. ვერ გაერკვა, წყალი შეუყენეს, თუ გული აუცრუვდა მის მოძმეთა მიერ მტრად მიჩნეულ „ურჩ“ ქართველზე, რომელიც მათ სასარგებლოდ არაფერს ქმნიდა და თავის სასწაულებრივად გადარჩენილ სახლ-კარს გასაოცარი ერთგულებით დაჰფოფინებდა.

ორი კვირის წინ გაბმულმა ზარმა სავარძლიდან წამოაგდო. ტელეფონს ავი წინათგრძნობით გულდამძიმებული მიუახლოვდა. ყურმილში კაცის ხრინწიანი ბარიტონი ისმოდა. ვერავის ხმას ვერ მიამსგავსა. ვიღაცას რაღაც შეეშალაო, გაიფიქრა და ყურმილის დადება დააპირა, რომ ამ ხმამ სახელით მიმართა და ჯიქურ მოაყოლა, თქვენზე ამბობენ, სახლს ყიდის და მართალია თუ არაო. თომა გაოცდა. ვინ ბრძანდები, ან ეს ამბავი ვინ მოგახსენაო, ჩასძახა ყურმილში, წყვეტილი ზარი გაისმა პასუხად.

იმ ღამეს ძილი არ გაჰკარებია. იჯდა აივანზე და იყურებოდა ჩალუსკუმებულ სივრცეში.

მეორე საღამოს ყურმილში იგივე ხმა გაისმა, ოღონდ ამჯერად კი არ იკითხა, პირდაპირ მიახალა, ნუ ყოყმანობ, მომყიდე სახლიო. ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრიაო, უპასუხა უცნობს. მაშ, მთელი ღამე აივანზე რომ ზიხარ და სიბნელეში თვალებს ჭოტივით კუსავ, რაზე ფიქრობო. სად ვზივარ, საით ვიცქირები და რაზე ვფიქრობ, სხვას არ ეხებაო, უკმეხ კითხვას უკმეხადვე უპასუხა, რაზეც უცნობს ირონიულად გაეცინა. თომას ლამის სისხლი გაუჩერდა ძარღვებში.

— და შენ ამაში ნამდვილად დარწმუნებული ხარ? — ოდნავ დახანებით გაისმა ყურმილში.

— მაინც რაში? — ძლივს ამოღერღა თომამ.

— ამ სისულელეებს თავი ანებე, სანამ კარგ გუნებაზე ვარ, მომყიდე, თორემ იცოდე, ყველაფერს დაკარგავ! — დაემუქრა ხმა.

— კი, მაგრამ ვისი სახელით მელაპარაკებით?! — ჰკითხა აღშფოთებულმა თომამ.

— აფხაზების! — დაიღრინა იმან.

მესამე საღამოს ყურმილში სხვა ხმა გაისმა. ისიც მისალმების შემდეგ უცერემონიოდ ვაჭრობაზე გადავიდა და ფულის მიღების გარანტია ქალაქიდან ამოწერის შემდეგ აღუთქვა. თომა გულდასმით უმტკიცებდა, სახლის გაყიდვა არასოდეს მიფიქრიაო, მაგრამ იგი მის დაყოლიებას ჯიუტად ცდილობდა, გიჯობს, ეს სარფიანი გარიგება ხელიდან არ გაუშვაო, არწმუნებდა.

ძილი საბოლოოდ გაუტყდა. ამ ორ კაცს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა, ორივეს საქმის გაჩარხვა სათავისოდ სურდა და მის მოსაზრებებს არაფრად აგდებდა.

— ადრე თუ გვიან, ამ სახლს მაინც დაგატოვებინებენ, მანდ ყოფნის არავითარი უფლება არა გაქვს, — არ დაინდო ერთ-ერთმა ცხარე კამათის შემდეგ.

— მაშ ვისა აქვს? ქალაქის სასაფლაოზე ჩემი ოცდათორმეტი წინაპარი მარხია, იქნებ არც იმათ უცხოვრიათ ამ მიწაზე, იქნებ არც ეს სახლია ჩემი ხელით აშენებული?!.

— იმ ოცდათორმეტივე მკვდრის ძვლებს ზურგზე აგკიდებთ და ქართის გზას გაგიყენებთ, საითკენაც გაისტუმრე შენი ლეკვები! — ცინიკურად შეაგება იმან და ყურმილი დაუკიდა.

იჯდა სასტუმრო ოთახში, ლაკბას მიერ გაცემულ „უსაფრთხოების გარანტიის“ ფურცელს გონებაგაფანტულად დაჰყურებდა და ყოყმანობდა, დაერეკა თუ არა მასთან.

სიძეს უცხო ხალხთან ტელეფონით დიალოგის შინაარსი რომ მოუყვა, მისი ბიჭის ძველ ძმაკაცთან დარეკვა არ ურჩია, ჯობია, დროებით ჩვენთან გადმოხვიდე ან ტელეფონი გათიშოო, დაამატა, მაგრამ თომას გადაწყვეტილი ჰქონდა, სახლიდან ნაბიჯი არ მოეცვალა.

თანდათან წონასწორობა აღიდგინა. დილიდან საღამომდე ბაღჩაში ტრიალებდა, საღამოობით ხელნაწერებს ფურცლავდა, ცოლ-შვილის ფოტოსურათებს ათვალიერებდა და, საერთოდ, ისე იქცეოდა, თითქოს ამ ახლო ხანებში შემაშფოთებელი არაფერი მომხდარიყოს.

ერთ საღამოს, ბაღჩაში მომქანცველი საქმიანობის შემ-

დეგ, ძელსკამზე იჯდა და სასიამოვნოდ მქროლი ნიავით სახეს იგრილებდა. მის ყურთასმენას კიბეზე ამომავალი უცხო სტუმრის ხვნეშა მისწვდა.

ბიძაშვილის ქარაქუცობით სახელგანთქმული აფხაზი სიძე, ხუტა აღმოჩნდა. ახალგაზრდობაში ერთი-ორჯერ მასაც დაუპირა გაცურება, მისი სახელით შემკვეთებთან ყალბი საბუთები წარადგინა, მაგრამ დროზე გაუგო, ჩანაფიქრი ჩაუშალა და მასთან ურთიერთობის სურვილი გაუქრო. წლების განმავლობაში არსად შეხვედრია, ცოცხალი თუ იყო, არც ახსოვდა და მისი გამოჩენის გამო გაკვირვება ვერ დაფარა.

ურთიერთმოკითხვა მაინცდამაინც გულითადი ვერ გამოუვიდათ. ამ ტიპის ხალხთან ურთიერთობა ყოველთვის უჭირდა და, ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა. მისი შინ შეწვევა არცკი უცდია, ეგღა მაკლია, ამას დავუჯდე და ველოლიავოო, გაიფიქრა. სტუმარ-მასპინძლობის ძვალრბილში გამჯდარ წესს მაინც ვერ უღალატა, რამდენიმე მტევანი ყურძენი ჩამოკრიფა, სინზე დააწყო და წინ დაუდგა. სტუმარი ყურძენს ან გაჰკარებია. წვრილ, ჭროღა თვალებს მის სახლს მალულად შეავლებდა და დაჭმუჭნილი ცხვირსახოცით ოფლიან სახეს იმშრალებდა.

— შენი ხნის კაცს ამ კიბეზე სიარული არ გიჭირს? — ჰკითხა უეცრად და ცბიერებაჩამდგარი სახით მიაჩერდა.

— ჯერ-ჯერობით ჯანს არ ვუჩივი! — ჯიქურ მოუჭრა თომამ და ყურძნის მტევანს დასწვდა.

სტუმარს თითქოს მწარე ლუკმა გადაცდაო, ხველა აუტყდა, ჩაბჟირდა და სულის მოსათქმელად ყინტორა კისერს მაღლა-მაღლა სწევდა.

— უხერხული კია, მაგრამ შენ მთლად უმიზეზოდ არ ამოხვიდოდი, რაზე გარჯილხარ? — მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა თომამ, როცა სტუმარს ხველა ჩაუცხრა.

— თავისუფალ სახლს ვეძებ, — მოურიდებლად შეაგება იმანაც, მაგრამ მასპინძლის მკაცრ მზერას ვერ გაუძლო, ეზოს გაღმა სახურავჩაქცეულ და ჩამოფხავებულ სახლს გახედა.

— აკი სოფელში მშვენიერი ოდა გიდგას?!

— სამივე ბიჭს თითო სახლი მაინც ხომ უნდა დავუტოვო?

— შენი ნაწვალები, კი...

— ნაწვალები!.. თორემ, თუ გგონია, ამ სასახლეს დიდხანს შეგარჩენენ?!

მისმა სიტყვებმა თომა მოთმინებიდან გამოიყვანა. ფეხზე წამოიჭრა.

— ამის სათქმელად მოხვედი?!

— არა, გასაფრთხილებლად.

— მაინც?..

— აქ რომ ამოვდიოდი, იცი რა მითხრეს?

— რაო?

— ვის ელოლიავები, ერთი ტყვია გაგიწყდა? სახლის პატრონს დაახალე და წამში პატრონიც გახდები და ბატონიცო...

— და შენც?! — ძლივს ამოიგმინა მოხუცმა.

— ღმერთმა დამიფაროს!.. მე შენს გასაფრთხილებლად ამოვედი. რაც უნდა იყოს, ნათესავად მერგები... ისე, იცოდე, ეს სახლი ბევრს აბრმავებს და სანამ ხელში არ ჩაიგდებენ, არ მოგეშვებიან.

— და რას მირჩევ... ხონჩით მივართვა?!

— პირიქით, სასწრაფოდ ისეთი ვინმე უნდა მოძებნო, ვინც დაგიცავს...

თომას მახსოვრობიდან უეცრად 40-იანი წლები ამოტივტივდა...

ქალაქის თავმა დაიბარა. თავიდან თეატრის მშენებლობით დაინტერესდა, შემდეგ კი უეცრად, შენი ოჯახით იმ უბადრუკ სოროში რომ იჭყლიტები, თქვენგან ორ ნაბიჯზე შორეულში გადასახლებული ბერძნების ორსართულიან სახლში შეგიძლია გადახვიდე, ორდერს ხვალვე გამოგიწერთო, მიახარა.

მზრუნველობისთვის მადლობა მოახსენა და წამოდგა.

— შენ რა, გაგიჟდი?! — გაოცება ვერ დაფარა ქალაქის თავმა.

— ჩემი ოჯახი იმ სახლში ვერ გაიხარებს, — მშვიდად უპასუხა თომამ.

— მაგ სახლის ხელში ჩაგდება იცი, რამდენს უნდა?! — იხტიბარი არ გაიტეხა ქალაქის თავმა.

— ვიცი, მაგრამ სხვის სრა-სასახლეს ისევ ჩემი სორო მირჩევნია...

— კი, ბატონო, დაძალების უფლება ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ მგონია, სანანებელი გაგიხდეს.

— შვილები ჩემი ხელით აშენებულ სახლში მინდა დავზარდო, ასე რომ...

— შენ თუ არა, იქ ვინმე მაინც შევა, — არ მოეშვა ბრაზმორეული ქალაქის თავი.

— განა არ ვიცი! — უპასუხა, დაემშვიდობა და გასასვლელისკენ გაემართა.

...ის სახლი მისმა არცთუ ისე შორეულმა ნათესავმა დაიკავა. თხუთმეტი წლის შემდეგ რეაბილიტირებული ბერძნები კარზე მიადგნენ და სახლის დაცლა მოსთხოვეს. და ის კაცი საბოლოოდ სასამართლოებში წანწალმა და გაუთავებელმა დავამ იმსხვერპლა...

ხუტას ამ ამბავს მოვუყვები და ერთს მაგრადაც შევჯორავო, გაიფიქრა, თუმცა იქვე ისიც განსაჯა, რომ ტყუილუბრალოდ დაშვრებოდა.

— რჩევისათვის დიდი მადლობა... მაგრამ ეს ყველაფერი საიდან იცი?! — ამისი თქმაღა მოახერხა.

— ახლა ეს როდია მთავარი, — ჩაიდუდუნა სტუმარმა და მზერა მოარიდა.

თომა ყურადღებით დააკვირდა. „იქნებ მართლა გულისტკივილმა ამოიყვანა?“ — გაიფიქრა ერთი პირობა, მაგრამ მის სიტყვებს ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა.

ჩვეულმა სიდარბაისლემ თავისი გაიტანა და, მიუხედავად იმისა, რომ შიგნით ყველაფერი უდუღდა, გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა და უმნიშვნელო მოვლენებზე გაუბა საუბარი, თან ერთი სული ჰქონდა, მარტო დარჩენილიყო და ყველაფერი დინჯად აეწონა.

„სულწაწყმედილი“ კიბეზე რომ ჩააცილა, გადაწყვიტა, ლაკბასთვის დაერეკა.

სახლის წინკარში ტელეფონის გაბმული ზარი შეეგება.

— კიდევ ვერ გადაწყვიტე? იქნება ჯობდეს, მშვიდობიანად მოვრიგდეთ? — გაისმა ყურმილში გათამამებული კაცის ხმა.

— ლოდინი კარგა ხნით მოგიწევთ! — ბრაზი ვერ დაიოკა თომამ.

— გგონიათ, ფერებას დაგიწყებთ?! — მუქარაზე გადავიდა მოძალადე.

— მაგ ასაკს კარგა ხანია გავცდი! — მკვახედ მოუჭრა და ყურმილი დაუკიდა.

რამდენიმე ხანს გაშეშებული იდგა. მერე ლაკბასთან დარეკა.

— ლაკბას მისაღები გისმენთ! — პასუხი არ დააყოვნეს.

მოხუცი გაშრა. ახლახან სწორედ ეს ხმა ემუქრებოდა.

— გაიმეორეთ! — ჩაეკითხა შეძრწუნებული.

ყურმილში ერთხანად ხშირი სუნთქვა ისმოდა, შემდეგ კავშირი გაწყდა.

უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. გაბმულმა ზარმა გარინდებიდან გამოიყვანა. ტყვიანაკრავივით მოსცილდა ტელეფონს და ტახტზე ჩამოჯდა.

„ესეც შენი დისწულის ძმაკაცი!.. რას ელოდი, როგორ იფიქრე, რომ ის რომელიმე მათგანზე უკეთესი იქნებოდა?!. არა, რაღაცა უნდა ვიღონო, ვიღაცას უნდა მივმართო, თორემ... თუმცა, ვის?!.“ — უღონოდ გაასავსავა ხელი, წამოდგა, საძინებელი ოთახისკენ გაეშურა, საწოლზე მიმოფანტული ტანსაცმელი მოაგროვა, ჩანთაში ჩატენა, სახლის კარი საგულდაგულოდ გამოკეტა და კიბეზე დაეშვა.

ჭიშკრამდე არმისული, თითქოს ცივი წყალი გადაესხათ, შედგა და ჩაბნელებულ სახლს ღალატში გამოჭერილის მზერით ახედა.

„სად გარბიხარ, იმ ცვედანმა აგრერიგად როგორ დაგზაფრა; თუ ასეთი გლახაკი იყავი, რაღას რჩებოდი!“ — თავს შეუწყრა და კიბეს აუყვა.

ჩანთა შესასვლელში მიაგდო, სასტუმრო ოთახისკენ გაემართა და ტახტზე მიწვა.

ოთახის კუთხეში მოწყობილი სახატე თითქოს თავისკენ უხმობდა.

ლოცვანი ადგილზე არ დახვდა. დაიჩოქა, პირჯვარი გადაისახა და ღმერთს ცოდვათა მიტევება და ახლობელთა კარგად ყოფნა შესთხოვა.

ლოცვამ შვება მოჰგვარა.

ოთახში გული არ დაუდგა, აივანზე გავიდა და, ჰოი, საოცრებავ!.. მის ეზოს ვინ იცის, რამდენი ხნის უჩინარი, ნანატრი სავსე მთვარე დაჰნათოდა და შემოგარენს ვერცხლისფრად ავარაყებდა.

მთვარის შუქით დაფერილ ზღვასა და შენობათა კონტურებს მონუსხულივით თვალს ვერ აცილებდა. ამ სურათმა იმდენად მოაჯადოვა, მოეჩვენა, რომ ქალაქს მრავალგზის ნანატრი მშვიდობა დაჰბრუნებოდა და უბედურებებით ჩამწარებული დღეები და ღამეები წარსულს ჩაჰბარებოდა...

ფიქრებიდან მეზობლის მიტოვებულ სახლში მძიმე საგნის დავარდნის ხმამ გამოიყვანა. მიაყურადა. ხმაური მეტად არ გამეორებულა. ოცნებებსა თუ ცხადად მრავალგზის ნანატრსა და ნაფერებ ქალაქს ღრმა სინანულით ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და კარისკენ დაიძრა.

ზურგს უკან მის სმენას სუსტი ჩხაკუნის ხმა მისწვდა. მარჯვენა მკლავზე რაღაცამ ჯიქურ ბასრი კლანჭი გაჰკრა და მწარედ აეწვა. შედგა. ეზოსკენ მიბრუნდა.

მეზობლის მიტოვებული სახლის კარის ღიობში ადამიანის ლანდი გაკრთა. იგი რატომღაც საღამოს სტუმარს მიამსგავსა.

— ხუტა, რაღა ჩუმად მეპარები, გამოდი და მესროლე! — შესძახა, თუმცა დარწმუნებული იყო, ქურდულად მოსულს ამისი გამბედაობა არაფრით ეყოფოდა.

კარის ღიობში კაცის ლანდმა ისევ გაიელვა.

— ვინ იცის, იქნებ ის სულწაწყმედილი არცაა, — გაიფიქრა ხმამაღლა.

ამ დროს იარაღმა ბავშვის სათამაშოსავით ხელახლა გაიჩხაკუნა.

მკერდზე ხელი იტაცა. შებარბაცდა.

— ახავაი, თომა, ვისი ხელით! — განწირულის ხმით დაიკვნესა, წინ გადაქანდა და მთელი ძალით სავარძლის სახელურს წაეპოტინა. მუხლმა უმტყუნა, ნელ-ნელა ჩაცურდა და იატაკზე გაიშოტა.

მთვარის შუქით დაფერილი ქალაქი მდუმარებას მოეცვა.

არც იარაღის გაბმული კაკანი ისმოდა და აღარც განწირულთა გოდება.

ქალაქს ეძინა.

კლასიკური გაკვეთილი

საშუალო ასაკს გადაცილებულმა ტანთხელმა, შავგრემანმა ქალმა სკოლის დირექტორის მისაღებში რომ შეაბიჯა, მაგიდაზე თავდახრილი ქერათმიანი, ტანკენარი მდივანი გოგონა ცხრილს თუ სასკოლო განრიგს დაჰყურებდა, მარჯვენა ხელით ჭილის მარაო მოემარჯვებინა და დუნე მოძრაობით სახეს ინიავებდა. ფეხის ჩქამზე თავი წამოწია, შემოსულის გულისპირზე თეთრი ბაბთით გაწყობილ თალხ კაბას თვალი ააყოლა, წამით გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ გამჭოლ მზერას წააწყდა თუ არა თავი ისევ დახარა.

— დირექტორი კაბინეტშია? — იკითხა ახალმოსულმა და გოგონას არცთუ უზადო სახის ნაკვთებს, ზედ განფენილ სომნაბულურ გამომეტყველებას, „ბრეტელებზე“ ჩამოკონწიალებულ იასამნისფერ კოფთას, მაგიდაზე ნებიერად დაწყობილ სავსე მკლავებს და ნარნარად მოლივლივე მარაოს თვალი ამრეზით შეავლო.

— ნაბრძანები მაქვს, ნუ შემაწუხებთო, მაგრამ თქვენ... — მთვლემარესავით წამოიწყო მდივანმა, არ დაასრულა და ქალს ელამივით გამოხედა.

ახალმოსულმა მას ზურგი შეაქცია, შავ დერმატინგადაკრულ კარს მიადგა, დააკაკუნა, პასუხის დაულოდებლად შეაღო და მოპირდაპირე მხარეს, ერთმანეთზე მიტყუპებული მაგიდების ბოლოში მჯდომ, ქაღალდებში ჩაფლულ, ღია ფერის პიჯაკსა და თეთრ პერანგში გამოწყობილ კაცს მიაჩერდა.

— რას უდგახარ, შემოდი, — სასიამოვნო ბარიტონით გამოსძახა დამხვდურმა, სხარტად წამოიმართა და ქალის შესახვედრად გაეშურა.

მაღალი, სახეღაჟღაჟა დირექტორი ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თუმცა ამ ეფექტს გვერდიდან ნასესხები და შუბლზე საგულდაგულოდ დაწყობილი, ჭაღარაშერთული თმის ვარცხნილობა ოდნავ აქარწყლებდა.

იგი შემოსულს მხნე ნაბიჯით მიეახლა, ხელი ჩამოართვა და მის დახვეწილ, ჯერ კიდევ ეშხიან სახეს ყურადღებით დააცქერდა.

— რაღაცით შეშფოთებული ჩანხარ. მოდი, დავსხდეთ და ყველაფერი მომიყევი. ჩვენ ხომ ასე იშვიათად გვიწევს...

— რომ აღარ მცალია?.. ახლავე კლასში უნდა გამომყვე, — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა.

— დაუყოვნებლივ? — ნახევრადირონიულად ჩაეკითხა დირექტორი.

— სხვა დროს უკვე აზრი არ ექნება...

— რა ისეთი ცეცხლისკიდებაა, რომ...

— სასწავლო წელი სადაცაა მიიწურება, პაპავას კი ნიშანს ვერა და ვერ ვუწერ, — მხრები აიწურა ქალმა.

— ისევ პაპავა... გამაგებინე, რა ხდება?

— თვითონ უნდა ნახო, მერე, თუ გინდა, გამამტყუნე.

— კი, ბატონო, ვნახავ და იმ ბღარტს საკუთარ ტყავში ერთხელ და სამუდამოდ ჩავაბრუნებ! — გაცეცხლდა დირექტორი და მაგიდას გახედა, — მინისტრთან მოხსენება მაქვს წარსადგენი, მაგრამ, რა გაეწყობა! — გულდაწყვეტით დაამატა და ქალს გასასვლელისკენ ფეხაჩქარებით წაუძღვა.

— იმ დღეს უნივერსიტეტის ეზოში დაგინახე, ვარსკვლავივით გოგონა გახლდა. მის ასაკში შენც არანაკლებ თვალწარმტაცი იყავი, — წამოიწყო დირექტორმა, როცა დერეფანში გავიდნენ.

— ძმისწული იყო, პირველ კურსზე სწავლობს, — მიუგო ქალმა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ბოლო ფრაზისთვის ყური არც მოეკრა.

— დახე, რამდენი დრო გასულა... შენი გამკვირვებია... ჯერ ძმას ჰყვებოდი თან, ახლა კი, როგორც ჩანს, მის შვილს. გეგონებოდა, ფაიფურის ნივთი გჭეროდა და, არიქა, ხელიდან არ გამივარდეს და არ დამემსხვრესო, ისე ესათუთებოდი... არ გერჩივნა, საკუთარი გყოლოდა. მაგის ნახევარი შრომა შენს შვილზე რო გაგეწია...

— ისე ამბობ, თითქოს კალთებს მაგლეჯდით, უკაცოდ შვილის გაჩენა კი რანაირად ხდება, არ მესმის, — მოუჭრა ქალმა და ამ თემაზე საუბარი ამით ამოწურა.

კაცი მის გვერდით უილაჯოდ მიაბიჯებდა. ერთი პიროობა, ბოდიშის მოხდაც დააპირა, მაგრამ თავი მეტად შეურაცხყოფილად არ იგრძნოსო და პაპავას ამბავს მიუბრუნდა:

— მაინც რა უნდა იმ ბიჭს, არ იტყვი?

— აგერ, მივალთ, ყველაფერს თვითონ ნახავ და მოისმენ, — მიუგო ქალმა.

დირექტორი მისმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო. ამ ისედაც გართულებულ, თვითმმართველობითა და ახალ-ახალი მოთხოვნებით გადატვირთულ მოვლენებს პაპავას ხუშტურებიღა აკლდა, საქმე იმგვარად ვითარდება, მალე პედაგოგებს მოსწავლეთა ნება-სურვილს დაუმორჩილებენ და იმის გარჩევაც გაჭირდება, ვინ ვინ არისო, ფიქრობდა.

კარი რომ შეაღეს, მოსწავლეები ფეხზე წამოიჭრნენ და ომახიანად მიესალმნენ. ტანაშოლტილები, გარეგნობით ერთიმეორეზე საუკეთესონი („აი, აქსელერაციის ბუმის შედეგიც!“ — გაიფიქრა თავისთვის დირექტორმა), მოზარდების პირობაზე გემოვნებით ჩაცმულ-დახურულნი, ახალგაზრდული სითამამით მიაჩერდნენ ასაკშეპარულ მასწავლებელსა და დირექტორს. ამჯერად უფრო უკანასკნელს, რადგან მასწავლებლის გარეგნობას დაწვრილებით იცნობდნენ, აი, დირექტორი კი იშვიათად სტუმრობდათ და შენობის განაპირას, უზარმაზარ კაბინეტში განმარტოებული, საიდუმლოებით მოცული სამყაროდან მოვლენილის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა თვალმიშტერებული ცქერისაც მოერიდათ და, როცა დუმილი, ანუ თვით დირექტორის მხრიდან ცალკეული მათგანის სახის დამახსოვრება საკმაო ხანს გაგრძელდა და ორივე მხარემ ერთმანეთის ღირსებები საფუძვლიანად შეაფასა, დირექტორმა ხელის მკვეთრი მოძრაობით დასხდომა ანიშნა, რაზეც მოსწავლეებს მხიარული, წყვეტილი ბგერები აღმოხდათ, დასხდნენ და გაისუსნენ.

დირექტორი ფანჯრის მხარეს ჩარიგებული მერხებისკენ გაემართა და მესამე რიგში განმარტოებით მჯდომი ყმაწვილის გვერდით დაეშვა, რომელსაც შავი, უხეში ქოჩორი თავზე აბურდული ზვინივით ადგა, ურჩი, ურუმი თვალები შეანათა, შემწყნარებლურად გაუღიმა, რაღაც გრაგნილს დასწვდა და წამოიმართა.

— ნუ წუხდებით, იჯექით, — შენიშნა დირექტორმა.

— ეგაა პაპავა, თუ შეიძლება გამოატარეთ, — გაისმა მასწავლებლის ხმა.

დირექტორმა გაკვირვებით გახედა მასწავლებელს, რომელსაც ხელში წვერწამახული ჯოხი ეჭირა და უცნაურად იღიმებოდა. დირექტორი მიტრიალდა, ყმაწვილის მაღალ ტანს თვალი ააყოლა და სახეზე დააკვირდა. ძლივს იცნო. წინა სემესტრში პარალელური კლასის დამრიგებელს რაღაც ბალღური ცუღლუტობის გამო ჰყავდა მასთან მიყვანილი. გაახსენდა, დატუქსა კიდეც, თუმცა მაშინ გაცილებით დაბალი და გამხდარი, თითქმის ბავშვი იყო. ტანი აეყარა, ოდნავ ჩაფსკვნილი და ნაადრევად შეღერებული ეჩვენა.

— მართლა? — იკითხა დაბნეულმა, წამოდგა და ყმაწვილს გზა უტია.

ყმაწვილი ენერგიული ნაბიჯით დაფისკენ გაემართა, რომელზეც ევრაზიის კონტინენტის რუკა ეკიდა. შედგა, გრაგნილი გაშალა, რომელიც მცირე რუკა აღმოჩნდა, ქინძისთავებით ევრაზიის რუკაზე დაამაგრა, კლასისკენ მოტრიალდა, ჯერ დირექტორს გამოხედა, მერე კი კლასელებს განდობილის გამომეტყველებით თვალი მოავლო.

— საჩვენებელ ჯოხს არ ინებებ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მასწავლებელმა.

ყმაწვილი შეცბა, მაგრამ წონასწორობა უმალვე აღიდგინა. მასწავლებელს ჯოხი გამოართვა, დაფას მიუბრუნდა, ოდნავ ჩახველებით ხმა დაიბოხა, თავის მიერ გაკრული მცირე რუკა შემოხაზა და დაიწყო: „თქვენს წინაშეა აფხაზეთის ფიზიკური გეოგრაფიის რუკა...“

დინჯად მიმოიხილა აფხაზეთის ბუნებრივი საზღვრები და პირობები, მოსახლეობის რაოდენობა ომამდე და მის შემდგომ, ყოველი მტკაველი ენგურიდან ვიდრე ფსოუმდე, რესურსები... მოიყვანა მაგალითები ანტიკური ხანის მოგზაურთა ჩანაწერებით დაწყებული, თანამედროვე მეცნიერთა თვალსაზრისით დამთავრებული; ბოლოს კი ეს თავისი უჩვეულო ექსკურსი გალაკტიონის ლექსით: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი,“ დაასრულა და ბრიალა, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით დირექტორს მიაჩერდა, რომელიც ამ უჩვეულო გაკვეთილის, მოხსენების, თუ რა დაერქმია თვითონაც არ იცოდა, გამო, მეტყველებაწართ-

მეული იჯდა და თავს იმაზეღა იმტვრევდა, გეოგრაფიის მასწავლებელს ყმაწვილის ამ მეტად საინტერესო პასუხიდან რა არ აკმაყოფილებდა. ფიქრი გაკვეთილის დასრულების მაუწყებელმა ზარმა გააწყვეტინა. შეიშმუშნა. მისკენ მიპყრობილი ათეულობით მზერა რომ შენიშნა, წამოდგა და ყმაწვილისკენ გაემართა. ის იყო, მიუახლოვდა და ქების შესხმა დააპირა, რომ კითხვის ნიშნად გარინდული მასწავლებლის სახე შემოეფეთა.

— მაინც არ მესმის, რა გაქვთ პაპავას საწინააღმდეგო! — აღმოხდა დირექტორს.

— თითქოსდა, არც არაფერი, გაკვეთილი ევრაზიის კონტინენტს რომ არ ეხებოდეს... უნდა შეგახსენოთ, ჩვენ ახლა საზღვარგარეთის გეოგრაფიის გაკვეთილზე ვიმყოფებით და არა საქართველოს გეოგრაფიისა, — დააკონკრეტა მასწავლებელმა.

— რას ამბობთ! — ხმამაღლა წამოსცდა დირექტორს.

მიტრიალდა და დაფას დააკვირდა. ევრაზიის უშველებელ რუკაზე ყმანვილის ხელით დამაგრებული აფხაზეთის ერთი მტკაველი რუკა სხვადასხვა ქვეყნისა და მსოფლიო ოკეანეთა უკიდეგანო სივრცეში უგზო-უკვლოდ ჩაკარგული ბარათი-ვით ჩანდა.

— ევრაზიაზე სიტყვა რომ არ დაუძრავს? — ისევ გაიოცა დირექტორმა.

— სწორედ მაგაშია საქმე, — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა მასწავლებელმა და დაფასთან ნირშეუცვლელად მდგომ ყმაწვილს მიაჩერდა.

მოსწავლეები თავიანთი მხრიდან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს დირექტორს, რომელმაც განიზრახა ყმაწვილის მოქმედება მთელი კლასის მსჯელობის საგნად ექცია, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, ისეთი რამ თქმულიყო, მოსწავ-ლეთა წინაშე ჩრდილი მისდგომოდა მასწავლებელს, თვითონ მას ან თუნდაც ყმაწვილს და წამისუმალ გადაწყვიტა, ეს საკითხი მათთან განმარტოებულს განეხილა.

— ორივენი ჩემთან! — მიმართა მასწავლებელს და მოსწავლეს, კლასს დაემშვიდობა და გასასვლელისკენ აფორიაქებული დაიძრა.

* * *

— ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა, რაშია საქმე? — აღშფოთებით ჰკითხა თავის ოთახში, მაგიდასთან მჯდომ, დამნაშავესავით თავჩახრილ მასწავლებელს დირექტორმა, — ეს რა სიურპრიზი მომიწყვეთ?

მასწავლებელმა თავი ასწია და დირექტორს თვალი გაუსწორა.

— წესით, ეგ თვითონ უნდა გკითხო: როცა პაპავას საბუთებს იღებდი, დაინტერესდი თუ არა, ჩვენამდე სამი სკოლიდან რატომ იყო დათხოვილი?

— როგორ არა, მაგრამ ჩემთვის მისი აკადემიური მოსწრება იყო მთავარი და არა ის ბავშვური ცელქობები, რაზეც პირად საქმეში აღნიშნავდნენ...

— რა სახის იყო ეს ცელქობები, თუ გახსოვს?

— ხომ გითხარი, ჩემთვის მთავარი ნიჭიერებაა, ყველა ნიჭიერი ადამიანი კი თავისებურია...

— კი მაგრამ, მე რა დავაშავე!.. რამდენი თვეა კვირაში სამჯერ, სხვადასხვა ვარიანტით, აფხაზეთის გეოგრაფიასა და ისტორიას ვისმენ... ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ გაუგებარია, რაღა საზღვარგარეთის გეოგრაფიის ხარჯზე... იმის მაგივრად, რომ ინდოეთზე, ავსტრალიაზე ან ნებისმიერ კონტინენტზე ან ქვეყანაზე ყვებოდეს, ჯიუტად აფხაზეთზე იწყებს საუბარს. კლასი ისე სულგანაბული უსმენს, ბუზის გაფრენას გაიგებ. მის შემდეგ ერთი, იშვიათ შემთხვევაში, ორი ბავშვის გამოძახებასა და ახალი მასალის ახსნას ძლივს ვასწრებ...

— მაინც რატომ იქცევა ასე?

— ამის შესახებ დუმს. ყოველი გამოძახებისას ვაფრთხილებ: თუ მიმდინარე გაკვეთილს არ ჩამაბარებ, დადებით შეფასებას ვეღარ ეღირსები-მეთქი. ყურადღებით მომისმენს, დადგება დაფასთან და, როცა ველოდები, რომ გაკვეთილს მოჰყვება, ამ თავის გრაგნილს დააძრობს, დაფაზე მიამაგრებს და აფხაზეთზე ჩამოარაკრაკებს. მე კიდევ იარაღაყრილივით ვდგავარ და ყურს ვუგდებ...

— რატომ არ აწყვეტინებ?

— საინტერესოდ კი ყვება! — წამოსცდა მასწავლებელს.

— ესე იგი, ასე რომ იქცევა, შენი ბრალიცაა, ანუ თავს გასვლია და ეგაა!

— ერთი-ორჯერ ვცადე, შემეწყვეტინებინა, მაგრამ, კლასი ამიჯანყდა, თქვენ თუ არ გაინტერესებთ, ნუ უსმენთო... წარმოიდგინე, მათ ხელში, ლამისაა, სათამაშოდ ვიქცე, — გამოტყდა მასწავლებელი, წამოწითლდა და თავი დახარა, — ეტყობა, მის თავნებობას ვერ უძლებდნენ იმ სკოლებში, სხვა პარალელურებშიც და ამიტომ თავიდან იცილებდნენ, მაგრამ მთავარ მიზეზს არ ასახელებდენენ. ან აფხაზეთზე ყვება და სკოლიდან ამის გამო ვაგდებთო, პირად საქმეში რანაირად ჩაუწერდნენ... მისი დათხოვნის გადაწყვეტილებამდე მეც მივედი, მაგრამ უკვე დაგვიანებულია: სასწავლო წელი იწურება, აწი არც ერთი სკოლა არ მიიღებს... და, ადვილი შესაძლებელია, ქუჩის წერა გახდეს.

— თავიდანვე უნდა გეთქვა, მშობლებს დავიბარებდი, რაღაც ზომებს მივიღებდი...

— ისინი აფხაზეთში ჰყოლია. უფროსი ძმა მოიყვანა, უნივერსიტეტის მაგისტრანტი, განათლებული, ზრდილი ახალგაზრდა აღმოჩნდა. ბოდიში მომიხადა, მოველაპარაკებიო, შემპირდა, მაგრამ ჩანს, არაფერი გაუვიდა.

— მაინც რა აქვს ამდენი სალაპარაკო, რით ვერ დაასრულა?..

— მეც ეგ არ მიკვირს?!. თავიდან ვიფიქრე, არა უშავს, ერთ ორ გაკვეთილში თემას ამოწურავს, მერე კი საზღვარგარეთის გეოგრაფიაზე გადავა-მეთქი, და ამან შემაცდინა. ყვება კონფლიქტისდროინდელ ამბებს, მერე მოაყოლებს მანამდელ, მშვიდობისდროინდელს, და ასე, გაუთავებლად...

— სხვა მასწავლებლებისაგან მის შესახებ მსგავსი საჩივარი რომ არ მსმენია?

— ჩემი გაკვეთილი ამოიჩემა, თორემ ყველა მასწავლებელი კმაყოფილი ჰყავს.

— მისი ქება ბევრისგან მსმენია, — დაუდასტურა დირექტორმა.

— ამ საზღვარგარეთის გეოგრაფიამ რა დაუშავა, არ ვიცი?!. განსაკუთრებული უნარის მქონე რომ არ იყოს, შევეშვებოდი, — თქვა დაღონებულმა მასწავლებელმა და

დირექტორს მიაჩერდა.

— იქნება, ეს ყველაფერი უბრალო აკვიატებაა, ან ნერვიული აშლილობის ნიადაგზე...

— სათითაოდ ყველა მასწავლებელს ვკითხე და მსგავსი მიდრეკილებები უნდა გამოირიცხოს...

— დავიჯერო, საზღვარგარეთის გეოგრაფიაში იმდენად სუსტია, რომ თავს განგებ არიდებს?..

— რა ვიფიქრო, არ ვიცი... რას მირჩევ?

— ადექი, „ფრიადი“ დაუწერე და ამით მორჩი. იძულებული გახდება, შენც მოგისმინოს და კლასელებსაც, — თითქოს გამოსავალი იპოვა დირექტორმა.

მასწავლებელი შეცბა, დირექტორს თვალი მოარიდა.

— ორი რამის გამო ვერც „ფრიადს“ და ვერც „დამაკმაყოფილებელს“ დავუწერ, — ამოღერღა დახანებით.

— რა მიზეზით?! — გაიოცა დირექტორმა.

— ეს ამბავი უკვე სკოლის კედლებს გასცდა... კლასში ერთი ზუთხია გოგო მიზის, „ფრიადს“ კი არა, „საშუალოს“ ძლივს იმსახურებს. ამას წინათ დედამისი გამომეცხადა და „ფრიადს“ თუ არ გამოაყოლებ, იმ ბიჭისთვის, ყოველ გაკვეთილზე საზღვარგარეთის გეოგრაფიის მაგივრად აფხაზეთზე რომ ჭიკჭიკებს, თუნდაც სამიანი დაგიწერია, იცოდე, მარტო შენ კი არა, მთელ სკოლას სასამართლოში ვუჩივლებო...

— აუჰ, მაგრად გავუჭედივართ! — წამოიძახა დირექტორმა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და ზედ დახვავებული საგნები ყირაზე დააყენა.

— ჩემი გულის გახეთქვას ეგ ბრახუნიღა აკლდა! — დაიჩივლა შემკრთალმა მასწავლებელმა და ხელი მკერდზე იტაცა.

დირექტორს მისი წუხილი არც გაუგონია. ელექტროზარის ღილაკს თითს მანამდე აჭერდა, სანამ კარებში მდივანი გოგონას დაფეთებულმა სახემ არ იელვა.

— პაპავა შემოვიდეს! – შეაგება დირექტორმა.

— ბატონო ლევან, აქ პაპავას კლასელებიც არიან და შემოსვლას ითხოვენ, ბუღალტერს კი ხელფასებთან დაკავშირებით...

— რა დროს ხელფასებია, თავზე ჭერი გვენგრევა, პაპა-

ვა შემოუშვი და კარი მაგრად გაიხურე! — ცეცხლი შეუნთო დირექტორმა მდივან გოგონას, რომელიც ყმაწვილს ოთახში სახეგაფითრებული რომ შემოუძღვა, საგანგებოდ შეყოვნდა, დირექტორის კაბინეტის ჭერს თვალი ყურადღებით მოავლო და ნგრევის კვალი რომ ვერ შენიშნა, სიხარულისაგან აცეტებულმა, კარი ისე ძლიერ გაიჯახუნა, დირექტორის უკან უცნაურად მომღიმარი ახალგაზრდა პოლიტიკოსის იაფფასიან, ოქროსფრად მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული სურათი კედელს მოწყდა, იატაკს დაასკდა და მინა ნამსხვრევებად იქცა.

მასწავლებლის ხელმეორედ შეცხადებაც არაფრად ჩაუგდია დირექტორს. მთელი მისი ყურადღება კართან მდგომი ყმაწვილისკენ იყო მიპყრობილი, რომელმაც სახეწამოჭარხლებულ დირექტორს და მკერდზე ხელმიყრდნობილ, შემკრთალ გეოგრაფიის მასწავლებელს თვალი რომ ჰკიდა, მეხთატეხის მოლოდინში თავი ჩაქინდრა.

ოთახში ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა.

— იქნება ცოტა აქეთ მოიწიოთ! — გაისმა დირექტორის წყრომით აღსავსე ხმა.

ყმაწვილი რამდენიმე ნაბიჯით მორჩილად მიუახლოვდა.

მისმა უდრტვინველობამ დირექტორს წყრომა დაუცხრო. დაძაბულობა თითქოს ხელის ერთი მოსმით, უკვალოდ გაუქრა.

— შენი სახელი შემახსენე, გეთაყვა? — თვითონაც გაუკვირდა, იმდენად მშვიდად მიმართა ყმაწვილს.

— გულბაათი.

— დიდებული სახელი გრქმევია... ერთი მიბრძანე, მეგრულად თუ საუბრობ?

ყმაწვილს სახეზე გაოცება გამოეხატა. თავს ძალა დაატანა, რომ დადებითად ეპასუხა.

— მაშინ ისიც მიბრძანე, ამ დიალექტზე რას ნიშნავს — პაპავა?

— ადრე საუკუნეებში, სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტაძრებში ბერძნები წირავდნენ, ბერძნულად მღვდელს პაპა რქმევია, ჩემი გვარის წარმომადგენლები, თურმე, სამღვდელოებას ეკუთვნოდნენ, მოგვიანებით წოდე-

ბა გვარად ებოძათ და პაპავებად, პაპასქუებად, პაპაშვილებად, პაპასკირებადაც იწერებიან, რაც მღვდლიაშვილს ნიშნავს.

— რას მეუბნები!.. გვარიც დიდებული გქონია... მიპასუხე, ასეთი ქრისტიანული გვარ-სახელის პატრონი, ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, რას გვერჩი. ვერ ხედავ, აგერ, გეოგრაფიის მასწავლებელი, ვინ იცის, რამდენი თაობის აღმზრდელი, შენი ხუშტურების გამო, ლამის აღსასრულამდეა მისული?.. მოდი, მადლი მოისხი და აგვიხსენი, რა გინდა. თუ თამაშია, ბარემ თამაშის წესებიც გაგვიმხილე და თუ მისაღებია, აგყვებით. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ სკოლასაც უნდა დაემშვიდობო, რაც ქალბატონ დოდოს არ სურს, მით უმეტეს, არც მე... გვაინტერესებს, რას მივაწეროთ ამ საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიის ასე ხელაღებით უგულებელყოფა... გაგვეცი პასუხი, შენი თავიც გადაირჩინე და ჩვენც გადაგვარჩინე, — დაუყვავა ყმაწვილს დირექტორმა.

ყმაწვილი ერთხანს იატაკს იყო დაჩერებული, თავი რომ ასწია, სევდიანი მზერა თავიდან დირექტორს, შემდეგ კი ჯერ ისევ მკერდზე ხელმიყრდნობილ გეოგრაფიის მასწავლებელს მიაპყრო.

— ჩემი საქციელი ჩანს, ყოველგვარ ზღვარს გასცდა... მაგრამ მე ასე მჯეროდა და ამას ჩემი კუთხის გამო ვაკეთებდი... ახლაღა მივხვდი, ჩემ გეგმებთან დაკავშირებით წინასწარ უნდა შეგთანხმებოდით, — დამნაშავის ხმით წარმოთქვა.

დირექტორი და მასწავლებელი თვალყურად ქცეულენი მისჩერებოდნენ.

— ლტოლვილი რომ ხარ, არც ესაა ჩემთვის ახალი, თუმცა... — წამოიწყო დირექტორმა მოგვიანებით.

— ლტოლვილი კი არა, ადგილნაცვალი. მაპატიეთ, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საკუთარ სამშობლოში ლტოლვილს რომ დაგიძახებენ, ამაზე მწარე შეურაცხყოფა, არა მგონია, არსებობდეს! — უეცრად გაჯიუტდა ყმაწვილი.

— მე იმისი თქმა მინდოდა... — დაიბნა დირექტორი.

— ხალხს ჩვენს სტატუსზე წარმოდგენა არა აქვს... —

წამოიწყო ყმაწვილმა, მაგრამ დირექტორმა შეაწყვეტინა.

— მოდი, ამ საკითხზე მსჯელობა სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი მოგვიყევი, რამ გიბიძგა აქეთკენ, მიზეზი ყველაფერს აქვს და რაღა ეს იქნება უსაფუძვლო.

— შარშან ერთ სკოლაში საქართველოს გეოგრაფიას გავდიოდით. მთელ პროგრამაში აფხაზეთს ორი საათიღა ეთმობოდა და უცხო ქვეყნების გეოგრაფიის მიმართ პროტესტის გრძნობა მაშინ გამიჩნდა...

— შენ რა, სკოლაში საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიის სწავლების წინააღმდეგი ხარ?

— ამ ფორმით, კი.

— რას ნიშნავს ფორმა?.. ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს სხვა ქვეყნების გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლას...

— გეთანხმებით, მაგრამ ჯერ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალს უნდა მივხედოთ, ისინი უჩვენოდაც თავს მშვენივრად მოუვლიან, მით უმეტეს, აფხაზეთი უცხო ძალების მიერაა მიტაცებული... სწორედ ამიტომ ჩავეჭიდე აფხაზეთის გეოგრაფიასა და ისტორიას...

— ჩვენ მას, ასე თუ ისე, ვიცნობთ...

— ნუ მიწყენთ და, თქვენი ხნის ხალხი, მართლაც, ასე თუ ისე... მაგრამ ახალგაზრდები?.. ჩემ ტოლებს აფხაზეთზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. კლასელები ასე გულისყურით ამიტომაც მისმენენ... სხვა სკოლაში რომ გადავალ, აფხაზეთზე საუბრებს იქაც გავაგრძელებ...

— ჩვენი სკოლიდან თუ არ გიშვებთ? — ჩაურთო დირექტორმა.

ყმაწვილს სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაურბინა.

— მადლობელი ვარ, მაგრამ მე მაინც გადავალ, რომ აფხაზეთით სხვა სკოლის ბავშვებიც დავაინტერესო...

— ჯერ აქ საზღვარგარეთის გეოგრაფიაში დადებითი შეფასება მაინც უნდა დაიმსახურო, — თავი შეახსენა მასწავლებელმა.

— მომავალ გაკვეთილზე უსათუოდ ვეცდები... ახლა კი ყველაფრის გამო ბოდიშს გიხდით, და ასევე უდიდეს მადლობასაც, — თქვა ყმაწვილმა, ორივეს თავი მოკრძალებით დაუკრა, მიტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა.

სკოლის დირექტორი და მასწავლებელი გაუნძრევლად ისხდნენ და კარისკენ მიმავალს დაბნეულები გაჰყურებდნენ.

მხოლოდ მაშინ, როცა ყმაწვილმა კარი შეაღო და მთელი კლასი ჟრიამულით შეეგება, დირექტორი შეირხა.

„დახე, რა კლასიკური გაკვეთილი ჩაგვიტარა!.. იმ ზუთხიას დედას კი თვითონ მოვუვლი... რაღაცა ჩვენც უნდა ვიღონოთ, რომ აფხაზეთის ისტორიასა და გეოგაფიას სკოლებში მეტი ყურადღება მიექცეს", — ხმამაღლა გაიფიქრა, წამოდგა და კარისკენ გაემართა, რომ მისაღებში მოჟრიამულე ახალგაზრდებს შეერთებოდა.

კოლოკვიუმი

ცარიელი აუდიტორიის კარი ორმა ტანსრულმა, ქერ-ათმიანმა ქალიშვილმა შემოაღო. ისინი შუა მერხებისკენ გაემართნენ, დასხდნენ, ჩანთებიდან რვეულები ამოალ-აგეს, გადაფურცლეს და, ის იყო, კითხვას შეუდგნენ, რომ ოთახში ათლეტური აგებულების ახალგაზრდა შემოიჭრა.

„პრივეტ!“ — ხელი აიქნია მან და გეზი უკანა რიგისკენ აიღო. ქალიშვილებმა რვეულებს თვალი მოწყვიტეს და იგი მერხამდე ლამის დედობრივი, მზრუნველი მზერით მიაც-ილეს.

— ჩვენთან არ დაჯდები? — ჰკითხა ერთმა.

— ნწუ.

— რა, ისე მაგრად მოემზადე, რომ?! — გაიოცა მანვე.

— ნწუ.

— ეს რა ნწუ, ნწუ აიტეხე, უკან ვისი ან რისი იმედით ჯდები?!

— სეკრეტ ფირმი! — მოკლედ მოჭრა მან, ქურთუკის გულის ჯიბიდან გაზეთი დააძრო, გადაშალა და კითხვას ისეთი სახით შეუდგა, თითქოს ქალიშვილების გაოცებულ გამომეტყველებას ვერც ამჩნევდა.

გოგოებს ამ „სეკრეტ ფირმის” ჩაძიება არ დასცალდათ. აუდიტორიაში ერთმანეთის მიყოლებით შემოდიოდნენ ახალგაზრდები. ზოგი მოწყენილი ჩანდა, ზოგი აღელვე-ბული. ყველა ამ ორი ტანმაღალი გოგოს სიახლოვეს ცდი-ლობდა მოხვედრას და, როცა მათთვის „განკუთვნილი“ ადგილი დაკავებული აღმოჩნდებოდა, ყელის გამოწევით ხვეწნას იწყებდნენ:

— გადაჯექი, რა!

— ნურც იოცნებებ!

— სხვაგან ჯდომა ცუდადა მაქვს დაცდილი, გეხვეწები, ჩაიჩოჩე მაინც!

— ისეთი რა ხდება?!

— ვითომ არ იცი, კოლოკვიუმს ვწერთ.

— ვახ, ჩემი, პირველად მესმის!

— თუ ასეა, ამ ადგილზე შენს ყოფნას რა აზრი აქვს, გადაჯექი.

— პასტას თუ მათხოვებ, კი.

— გათხოვებ, მაგრამ რა უნდა წერო?

— ეგ უკვე შენ არ გეხება!..

— გოგოებო, რვეულს ან ზედმეტ ფურცლებს ხომ ვერ გამოიმეტებთ? — კითხულობს ახალშემოსული სტუდენტი ბიჭი და მერხებს შორის წრიალებს.

— მაგეებს ვერა, მაგრამ თოხსა და ბარს ახლავე მოგართმევ! — ანგლობს ვიღაცა.

მერხებს სიცილმა გადაურბინა.

— ათთეთრიან პასტაში ხვალვე „ფირმენნის" დაადება ვის უნდა?! — გაისმა ვიღაცის ომახიანი ხმა.

— აჰა, ერთი არ მოგიტანია! — პასუხმაც არ დააყოვნა.

ამ ჟრიამულში სადად ჩაცმულმა, სანდომიანი გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა კარი შემოაღო, მაგიდისკენ გაემართა, მის გამოჩენაზე დადუმებულ და ფეხზე წამოჭრილ სტუდენტებს თვალი მოავლო და მტკნარი სახით სალამი დააგდო. ზოგმა ხალისით, ზოგმა კიდევ უგუნებოდ, თავის დაქნევით უპასუხა, მერე დასხდნენ და გაფაციცებით მიაჩერდნენ.

— იმედია, მოემზადებოდით, — წამოიწყო ლექტორმა მინაზებული ხმით.

გოგოებმა ცოცხლად — „დიახ!" ბიჭებიდან ზოგიერთმა, სხვათა შორის, რაღაც წაიდუდღუნა.

— მაშ, მოდით, საქმეს შევუდგეთ. დღეისთვის „წარმოების ხარჯები" შევარჩიე.

ვიღაცამ მოწონების ნიშნად ტაში შემოჰკრა. სტუდენტები წუთით შეჩოჩქოლდნენ, მაგრამ ლექტორის მკაცრმა გამომეტყველებამ აღვირი ამოსდოთ.

— თქვენი რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს თემა კარგად დაგიმუშავებიათ. ალბათ, ისიც იცით, ამ შეფასებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული... კითხვები თუ გაქვთ? — იკითხა და აუდიტორიას თვალი მოავლო.

სტუდენტები დუმდნენ.

— რახან ასეა, ნუ აჩქარდებით, დრო საკმარისია, — დაასრულა, თითქოს უმძიმესი ვალი მოიხადა, შვებით ამოისუნთქა, სკამზე დაჯდა, ჩანთიდან ფერადყდიანი ჟურნალი ამოიღო, გადაშალა და ფურცვლას შეუდგა.

შუა რიგებიდან ერთხანს გადაჩურჩულ-გადმოჩურ-ჩულება ისმოდა. უკანა მერხებზე მსხდომნი ღელავდნენ, ერთმანეთს რაღაცას მიანიშნებდნენ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მიყუჩდნენ.

ლექტორმა აუდიტორიას რამდენიმეჯერ მოავლო თვალი და, სტუდენტების გულმოდგინებით კმაყოფილი, ჟურნალს ჩაუღრმავდა. აუდიტორიაში კარგა ხანს სრული სიჩუმე იდგა, მაგრამ უეცრად, ლექტორის ყურთასმენას შუა რიგებიდან ჩურჩული ისევ მისწვდა. წამოდგა. ხმაური მაშინვე ჩაცხრა. იქითკენ ნელი ნაბიჯით მაინც გაემართა. გოგოები გაისუსნენ, უწყინარი სახეები მიიღეს. ბიჭებს თავის აწევა არც უცდიათ. წუთით ათლეტური აგებულების ბიჭის შორიახლოს შეყოვნდა. მან წერა შეწყვიტა და შემკრთალმა გამოხედა. ლექტორმა მისი გაკრული ხელით გადაჭრელებულ ფურცელს თვალი შეავლო, ეტყობა, ხელს ვუშლიო, გაიფიქრა, მაგიდისკენ გაემართა და სკამზე ჩამოჯდა.

ლექტორს სიამოვნების განცდა დაეუფლა, როცა ბოლო სტუდენტმა ნაწერი ზარის დარეკვამდე ათი წუთით ადრე ჩააბარა. მორიგ ლექციამდე მთელი საათნნახევარი თავისუფალი ჰქონდა და ზოგი ნაშრომის აქვე გასწორებასაც მოასწრებდა.

საუკეთესო სტუდენტების ნაწერები ცალკე გადააწყო, შემდეგ მოსწრებისდა მიხედვით, და ის იყო, საქმეს უნდა შესდგომოდა, რომ მისი ყურადღება გამორჩეული გულმოდგინებით შევსებულმა ფურცელმა მიიპყრო. ნამდვილად ახსოვდა, ჯგუფში ასეთი ხელწერა არავის ჰქონდა. ნეტა ვისიაო, გაიფიქრა და ნაშრომის კითხვას შეუდგა. პირდაპირ სახელმძღვანელოდან, მის მიერ მონიშნული შესწორებებით იყო გადაწერილი. კითხვა შეწყვიტა და ამ „მონდომებული“ ავტორის ვინაობით დაინტერესდა. მეოთხე გვერდზე ათლეტური აგებულების სტუდენტის ლამაზად ჩახუჭუჭებული ხელრთვა იწონებდა თავს. მაშინვე მისი გაკრული ხელით ნაწერი ფურცელი და შემკრთალი სახე დაუდგა თვალწინ. დაუჯერებლად ეჩვენა, მაგრამ აშკარა იყო, შინიდან მოტანილი ნაწერი შემოეტყუებინა. ნეტა, აქ ნაწერ ფურცლებს რაღა უყო, ეგ იმდენად არხეი-

ნი ტიპი ჩანს, ადვილად შესაძლებელია, გადამალვა არც კი უცდიაო, გაიფიქრა და აუდიტორიის ბოლოსაკენ გაემართა. მერხის უჯრა ცარიელი იყო. ფურცლები ვერც მომიჯნავე მერხებქვეშ იპოვა. ამაო ძებნით გაწბილებული, ის იყო, უნდა გამოტრიალებულიყო, რომ ფანჯრისკენ გაიხედა. უსწორმასწოროდ ჩამოკონწიალებული ფარდის ბოლოს, რაფაზე მიყრილი, დაჭმუჭნილი ფურცლები შენიშნა. იმედი არ ჰქონდა, რომ ეს ის ფურცლები იქნებოდა, მაგრამ მაინც მივიდა, დასწვდა და კიდეები გაუსწორა.

ფურცლები ნაცნობი ხელით იყო გადაჭრელებული. მაგიდისკენ გაემართა, დაჯდა და კითხვას შეუდგა.

„მე, ნუგო თეთრაული დავიბადე 1983 წელს თბილისში, მესამე სამშობიაროში. ვცხოვრობ ზემო ვერაზე, გვაქვს სამსართულიანი ეზოიანი კერძო სახლი. მამაჩემი გოდერძი გეოლოგია, მაგრამ „პერესტროიკის“ შემდგომ უმუშევარი დარჩა, რუსეთშია და იქ ჩალიჩობს. დედაჩემი მიმოზა ორ უმაღლესდიპლომიანია, თუმცა ეს დიპლომები არასოდეს გამოუყენებია და დაუსრულებლად გვაყვედრის, თქვენს გამო, ეს ტვინით გამოტენილი ქალი ვცდებიო. მყავს ერთი ძმა, ბუკა, ნაღდი ჯიგარი. მედინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ სახლმმართველად მუშაობს. მყავს ბევრი ძმაკაცი, შეყვარებული ჯერ-ჯერობით არ ვყოფილვარ. თავიდან მეოთხე საბავშვო ბაღში დავდიოდი, მერე მეცამეტე სკოლაში, საბოლოოდ სპორტული სასწავლებელი დავამთავრე. ამის შემდეგ, დედაჩემის დაჟინებით, ეკონომიკურზე ჩავაბარე, ვზივარ ახლა ამ აუდიტორიაში, მესამე კურსელად ვითვლები და, ვცდილობ, ბუღალტერიის ლექტორს შინ გადაწერილი თემა შევაჩეჩო... დედაჩემს რომ არ დაეჩემებინა, ახლა რომელიმე საფეხბურთო გუნდის თავდამსხმელი ვიქნებოდი. ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე მაბოდებს. ეს ბუღალტერია საერთოდ არ მევასება, მაგრამ, რომ მივატოვო, მიმოზა ჩვენი სახლის სახურავიდან გადმოხტომით და ქვაფენილზე ტვინის დანთხევით მემუქრება. აი, ასეთი მეტიჩარაა! სანამ სკოლაში დავდიოდი, ნაცნობ-მეგობრებში ჩემი სკოლის დღიურებს დაარბენინებდა, ვითომ, ნახეთ, რა გენიოსი ბიჭი მეზრდებაო. არა, ეს რა გამიკეთა კაცო?!

სულ ფეხბურთი მელანდება, ის კიდევ გაუთავებლად ჩამ-ჩიჩინებს, გინდა თუ არა, ეკონომისტი უნდა გახდეო. ერთ-თავად კუდში დამდევს, არიქა, არ გაოფლიანდე, არიქა, არ გაცივდეო. ფეხბურთის თამაში კი გაუნძრევლად და გაუოფლიანებლად ვის გაუგია?! ჩემი მწვრთნელი ეუბნე-ბა თურმე, ყურადღებით დაკვირდით, ნაღდი ფეხბურთე-ლის მონაცემები აქვს, ხელს რად უშლითო. ეგაო, ძალიან ნიჭიერია, განსაკუთრებით, მათემატიკაშიო, პასუხობს მიმოზა. მერე მათემატიკა სად გაექცევა, ფეხბურთი ხელს არანაირად არ შეუშლისო, აიმედებს მწვრთნელი. რა და, ორმოცი მეტრიდან ვიღაც სახედარი ბურთს რომ მთელი ძალით დაარტყამს და ეგ ჩემი ბედოვლათი თა-ვით მოიგერიებს, შიგ რომელი მათემატიკა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია გაუჩერდებაო, უმტკიცებს მიმოზა. ჩემი მწვრთნელი ლამის დაიცენტრა. ეგეთი რამ ჩემთვის ჯერ არავის მშობელს არ უთქვამსო, იმეორებს და კვდება სიცილით. მოკლედ, მწვრთნელს მაგრად მოაკეტინა, რა. მამაჩემი ღირსეული ტიპია და კარგადაც უბერავს. მიმოზა მე აქ სისხლს რომ მიშრობს, ურჩევნია, იმას მიხედოს, არც ნაშებს იკლებს და არც სხვა რამეებს. ისე, მიმოზასა და მისნაირ ქალებზე ახია. აბა, რა ჰგონიათ, ქმრებს მაყუთის საკეთებლად სადღაც რომ გადაკარგავენ და წლობით ვერ ხედავენ, ისინი თავს ხომ არ დაიკოდავენ?

ერთი, რაც ნაღდად ვიცი, ამდენ ბაზარს მამაჩემი მი-მოზას არაფრით მოუთმენს და რუსეთში საჩალიჩოდ გამ-აქანებს. ხოშიანადაც მოიქცევა!.. არადა, როგორ მწყდება გული, ჩემგან მართლა არაუშავს ფეხბურთელი გამოვი-დოდა. მიმოზას დაუჩემებია, ძალიან გინდა, თხასავით მიგაყიდონო? მაგას ფეხბურთის და საკლუბო სისტემის რა გაეგება. თუმცა, არც მე მევასება, ჩვენი ბიჭები, რო-გორც კი ორიოდე ფინტს აითვისებენ, უცხოეთში რომ გარბიან. რაც უნდა დიდი ფეხბურთელი იყო და რამდენი გოლიც უნდა გაიტანო, იქ თამაშის მიტოვების დღიდან არავის ემახსოვრები, შენს ქვეყანაში კი მისდღეში არ და-გივიწყებენ. პირადად არც მიშკა მესხს მოვსწრებივარ და არც სლავა მეტრეველს, მათი თამაში ტელევიზორში თუ

მინახავს, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, მათზე საუკეთესო წარმოდგენა შემქმნოდა.

არა, ეს რა დღეში ჩამაგდო ამ ქალმა?! ეგღა მაკლია, მთელი ცხოვრება ვიჯდე და ვიღაცების მილიონები ვითვალო! მე უფრო მოქმედების ტიპი ვარ, ჰაერზე ყოფნა და მოძრაობა ყველაფერს მირჩევნია. ისიც ვიცი, ჩემ ლექტორებს უტვინო და გამოუსწორებელი ხულიგანი ვგონივარ, არადა, რომ მოვინდომო, ამ ზუთხია გოგოებს ჯიბეში ჩავისვამ. ამათი საცოდაობის ყურებამ ხომ მთლად მომსპო: დასხდებიან და წინასწარ დაზუთხულს ლამაზად გადაათეთრებენ, ან მთელ წიგნებს დაიზეპირებენ და მიერეკებიან; რომ შეაჩერო, ვერ გააგრძელებენ, და ამათ მატრიკულები ხუთებითა აქვთ გამოტენილი. თუმცა, იმისი თქმაც როდი მინდა, რომ ყველა ერთნაირი ცალტვინაა. აგერ, შუა მერხზე მსხდომი ორი ქერათმიანი იმდენად მაგრები არიან, შეგარყევენ, მაგრამ რად გინდა, სწავლის მეტი არაფერი ახსოვთ. მისაბაძ მაგალითად ეს ჩვენი ლექტორი მიაჩნიათ. ისე, ეგ მართლაც რომ მონაპოვარია, ცარიელი ტვინია, გარეგნულადაც არა უშავს. თავს რომ ოდნავ მაინც უვლიდეს და ცოტა უკეთ ჩააცვა და დაახურო, ბევრს თვალს დაუყენებს, მაგრამ, ეტყობა, ამაზე არ უფიქრია, იქნება არც შესაძლებლობა აქვს... არა, წესიერ სალამს მაინც რა უნდა? შემოვა და ისე მოგვესალმება, თითქოს აქ ჩვენ კი არა, ცარიელი მერხები ეწყოს. არ მახსოვს, ერთხელ მაინც ღიმილით, სხვანაირად შემოეხედოს, გავემხნევებინეთ, ჩვენში კაცი დაენახოს. პირადად მასში პოტენციურ ქალს ვხედავ. ვინ იცის, ამისი მიჩქმალვა რა ძალისხმევად უჯდება. ნეტა იცოდეს, რომ პირველ რიგში ქალი უნდა იყოს, მერე ლექტორი და რაც უნდა ის. ნეტა მისი ხელოვნურად მორგებული გულგრილი გამომეტყველება ვის ევასება? ნუთუ ამისი მთქმელი არავინა ჰყავს? გარეგნულად რომ ჩანს, ისეთი მკაცრი და უკარება არც უნდა იყოს, მგონია, უფრო პოზა უჭირავს. ნუთუ ეს პოზიორობა არ ბეზრდება?..

ამ ეთერას რას გადავეკიდე, არ ვიცი?!. ალბათ, დედაჩემზე გაბრაზებული რომ ვარ, იმიტომ, თორემ პირადად ჩემთვის არც არაფერი დაუშავებია. მაგის ხნის რომ

ვიყო, საქმეს ისე გავუჩალიჩებდი, მე თუ არა, სხვას მაინც გაეკიდებოდა... არა, ამ ეთერას რას შევუჩნდი, არ ვიცი?!. ახლა ამას რომ ვწერ და სახლში გაშანშალებული ნაწერის შეცურებას ვუპირებ, ტეხავს. რომ მიხვდეს, ალბათ, გადაირევა, დეკანატში გაიქცევა და ჩემი გარიცხვის საკითხს დააყენებს. იქნება, არც მოიქცეს ასე. თუმცა, ამათსას რას გაიგებ?.. ვინმეს მოტყუება და წყენინება სულაც არ მინდა, მაგრამ ამ ბუღალტერიას გულს რომ ვერ ვუდებ, რა ვქნა? არც ის მინდა, დედაჩემი სახლის სახურავიდან გადმოხტეს და ქვაფენილზე სისხლის გუბე დააყენოს. ისე, მაგარი სანახავი კი იქნებოდა: იაპონურ კიმონოში გამოპრანჭული, წინ გაშვერილი, ბრილიანტისთვლიანი ბეჭდებით დახუნძლული თითებით!.. (ეს რა სისულელეები მომდის თავში!) ასე ჩემს შესაშინებლად იმუქრება, თორემ იმ იაპონურ კიმონოს თავის სისხლსა და ტვინში ამოვლებას კი არა, ოდნავ გასვრასაც ვერ აიტანს, მაგრამ ჩემს ჯინაზე მაინც რომ გადმოხტეს, სად მიდიხარ მაშინ?!.

ვახ, ბიჭო, წამოდგა, მგონი, ჩემკენ მოდის! რომ ჩამავლოს, მიმოზას სახურავიდან ფრენა მაშინ ნახე!.. ჩემს ახლოს შეჩერდა. ნეტა რამე ხომ არ მოტვინა?! იქნებ, ის უფრო აინტერესებს, ასე გადარეულივით რასა ვწერ, იქნებ, მართლაც დაიჯერა, რომ ამ ბუღალტერიას თავი დავაკალი და ახლა იმას ვაწიკწიკებ. რა სირცხვილია!.. მაგრამ, ამან ახლა ნიშანი რომ არ მაღირსოს, ბასტა, გამოცდაზე არ დამიშვებენ, მერე გამრიცხავენ კიდეც. მაშინ ნახე სახურავიდან კიმონოიანი, თითებჩაბრილიანტებული მიმოზას ფრენა... რაც იქნება, იქნება, მიმოზას ეს ფრენა მაინც უნდა ჩავუშალო!

წავიდა!.. დაჯდა და იმ რაღაც ფერად ჟურნალს ჩააჩერდა. კიდევ კარგი, რომ ჩემი ნაწერით არ დაინტერესდა. ახლა მისი გადარევა ნაღდად არ მაწყობს.

დრო, მგონი, კიდევ დარჩა, თორემ ამ გოგოებს ამდენ ხანს რა დააბამდა.

ვახ, ბიჭო! ახლა გამახსენდა. ამ დილით ბანკში ვიყავი, მამაჩემის გამოგზავნილი მაყუთი უნდა ამეღო. ხვალ ან ზეგ მოგვაკითხეთო, ისე მითხრეს, გეგონება, ჯიბეები დოლარებით მქონოდა დატენილი. მანქანაში წვეთი საწ-

ვავი არ მისხია, შინ რა ჩემი ფეხით დავბრუნდე? ამათ რომ ვესესხო?.. არ ექნებათ. ზოგი რუსთავში ცხოვრობს, ზოგიც მცხეთაში და, რა ვიცი, კიდევ სად და იმდენად უჭირთ, კვირაში ორჯერ ძლივს მოდიან. ერთი კია ფულიანი, მაგრამ ჟოშკაა. ამ ეთერას რომ ვთხოვო?.. არა, როგორმე ჩემით უნდა გამოვძვრე...

ნეტა რა მომივიდა, ვერ ვაგრძელებ. მოდი, გადავიკითხავ, ეთერას ეგონოს, რომ ნაწერს ვასწორებ, შემდეგ, როგორც კი ბიჭები ფურცლების ჩაბარებას დაიწყებენ, ჩემსას მაგათში შევურევ, საქმეც გაიჩარხება და მეც გადავრჩები!"

ნაწერი აქ წყდებოდა.

ლექტორი გაკრული ხელით გადაჭრელებულ ფურცლებს ერთხანს გარინდული დაჰყურებდა. უეცრად სიცილი წასკდა. სიცილით გული რომ იჯერა და თვალებიდან ცრემლი ამოიმშრალა, ისევ გაირინდა.

მოგვიანებით შეირხა, აუდიტორიაში მიიხედ-მოიხედა, წამოდგა და გასასვლელთან დაკიდებული სარკისკენ გაემართა, მოშორებით შედგა და თავის ორეულს კრიტიკული გამომეტყველებით თვალი შეავლო. მერე მიტრიალდა, მაგიდასთან მივიდა, ჩანთიდან სავარცხელი, მრგვალი ვერცხლისფერი კოლოფი, რაღაც წვრილი საგნები ამოიღო და სარკის წინ, თაროზე დააწყო. კეფაზე მოხვეული ღია წაბლისფერი თმა მხრებზე ჩამოიშალა, გულდასმით დაივარცხნა, შუაზე გაიყო, პაწია ფუნჯით წამწამები აიპრიხა, თვალებს შტრიხი შემოავლო, ვერცხლისფერი კოლოფი გახსნა, ტონალური კრემ-პუდრით ღაწვები და ყვრიმალები გამოიკვეთა, ტუჩებზე ალუბლისფერი პომადა წაიცხო, თმა ოდნავ აიფუშფუშა, მარგალიტის ყელსაბამი გაიკეთა, მარჯვენა ხელის არათითზე ოქროს ძვირფასთვლიანი ბეჭედი წამოიცვა, მარცხენაზე ოქროსავე სადა რგოლი, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და საკუთარ გამოსახულებას გულისყურით მიაჩერდა.

კარმა გაიჭრიალა.

— ეთერი წავიდა? — იკითხა ახალგაზრდა ქალმა, ცარიელ აუდიტორიას თვალი მოავლო, სარკის წინ მდგომს სხვათა შორის გახედა, პასუხის დაულოდებლად მიბრუნ-

და და კარის მიხურვა განიზრახა, რომ უცებ მოტრიალდა.

—შეენ?! — წამოიძახა და თვალებგაფართოებული მიაჩერდა სარკის წინ უძრავად მდგომს.

— არ მიხდება? — ღიმილით ჰკითხა მან.

— ძალიან!.. შემთხვევით, წვეულებაზე ხომ არ აპირებ?

— არა, გადავწყვიტე, ამიერიდან ცოტ-ცოტა თავსაც მივხედო, — უპასუხა, თაროდან სავარცხელი, ვერცხლისფერი კოლოფი და წვრილი საგნები აკრიფა, მაგიდისკენ გაემართა, ჩანთაში ჩააწყო, შემდეგ სტუდენტების ნაწერებიდან ერთ-ერთი გადაკეცა, ჩანთაში ჩადო, დანარჩენი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა, შებრუნდა, სარკეში თავის სილუეტს თვალი კმაყოფილებით შეავლო და დაამატა:

— ერთი კარგი, მყუდრო კაფე მეგულება, გპატიჟებ.

— ლექციები?!

— მოდი, ამ ერთხელ ნავსი გავტეხოთ, — არხეინად უპასუხა, კარებში გაჩხერილ, დაბნეულ ქალს გონზე მოსვლა არ აცალა, ხელი ჩაჰკიდა, კარი გაიხურა და დერეფანს ქალური ღირსებით აღვსილი გაუყვა.

ისევ ძნელია გზა სოხუმამდე

ლუკას აფხაზეთში ღამის მატარებლით ხშირად უწევდა მგზავრობა. თბილისიდან წასვლა იოლი იყო: ბილეთს აიღებდა, რბილ კუპეში ადგილს დაიკავებდა, დაძინებამდე ჟურნალ-გაზეთების კითხვითა და თანამგზავრებთან მასლაათით დროს გაიყვანდა, ხოლო მეორე დილით დასვენებული და მხნეობით სავსე, რაღაც წუთებში თავის სახლს მიადგებოდა. შინიდან გამომგზავრება კი ხშირად მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ბილეთები უმთავრესად სოხუმის რკინიგზის სადგურში ნაწილდებოდა, აფხაზეთის განაპირა მის პატარა ქალაქს რამდენიმე ადგილსღა არგუნებდნენ და განსაკუთრებულ ვინმეს თუ არ წარმოადგენდი, მთელი ღამე საერთო ვაგონში ან სულაც ტამბურში ზეზეურად უნდა გეყურყუტა.

და მაინც, ლუკასთვის წარუშლელი გახლდათ იმ შორეულ მშვიდობიან წელთა გახსენება. თბილისისკენ მიმავალი ახალგაზრდები და მათი გამცილებლები სადგურზე იყრიდნენ თავს. იდგა ერთი ჟრიამული, წლობით უნახავ კლასელებთან თუ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრის სიხარული, მატარებლის ჩამოდგომის წინ ახლობლებთან დამშვიდობების სევდიანი წუთები, მაგრამ არასოდეს არც ერთ მგზავრობას ისეთი მძიმე მოგონება არ დაუტოვებია, როგორც ბოლო მგზავრობას სოხუმამდე...

რუსების მიერ აფხაზეთის დაპყრობამდე, ლუკა სამი თვით ადრე შინ გახლდათ ჩასული. მის მშობლიურ ქალაქში სიცოცხლე ჩამკვდარიყო. დიდი და პატარა რაღაც საშინელებას მოელოდა. ღამის საათებში ქვემეხების შორეული გრუხუნი არღვევდა ავად ჩამოწოლილ სიჩუმეს. შეშფოთებული ადამიანები გაირინდებოდნენ და ყურს უგდებდნენ საბრძოლო შეტევების ექოს. ეზოებსა და აივნებზე დიდხანს იდგნენ, დასავლეთის მეწამულ ცას გაჰყურებდნენ და მწუხარე ხმით ბჭობდნენ ზღვისპირა ქალაქსა და იქ მცხოვრებ უდანაშაულო ადამიანთა ბედის გამო, ყოვლად დაუნდობელ დაბომბვებს რომ უძლებდნენ.

იქ, ცოტა ხნის წინ სიმწვანეში ჩაფლული, დედამიწის ზურგზე, ალბათ, ყველაზე მშვიდობიანი მყუდრო ქალაქი,

ოჩამჩირე იწვოდა. საბრძოლო მოქმედებები ძირითადად სოფელ ლაბრას მიმართულებით მიმდინარეობდა და, მიუხედავად იმისა, რომ ოჩამჩირესა და ლაბრას საკმაო მანძილი აშორებდა, ზღვის აკვატორიიდან მოშორებით განლაგებული რუსული საბრძოლო ხომალდებიდან განხორციელებული დარტყმების უმეტესობა თითქოს საგანგებოდ მასზე მოდიოდა...

ომის დასაწყისშივე ლუკა, ჯანმრთელობის გამო, სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარად ჩათვალეს და თავისი კუთხის დაცვის შესაძლებლობა არ მიეცა, მაგრამ თავს მოვალედ მიიჩნევდა, სოხუმში, სიჭაბუკის რამდენიმე უბედნიერესი წელი რომ გაეტარებინა, ამჯერად თვეების მანძილზე ალყაში რომ იყო მოქცეული და დღე-ღამეში რამდენიმეჯერ საზენიტო არტილერიის ჭურვებით იბომბებოდა, ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებთან ჩასულიყო, მათი სატკივარი გაეთავისებინა, გაემხნევებინა და რამეთი წაშველებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამგზავრების წინ თავი მთელმა რიგმა ხელის შემშლელმა პირობამ იჩინა, წინააღმდეგობები გადალახა და მოსაკითხებით დატვირთული დაადგა გზას სოხუმისაკენ.

ომის თანმხლები უწესრიგობა და ანარქია ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. ფანჯრებჩალეწილი და ჩაბინძურებული ელმავალი კი სოფლის ავტობუსივით მგზავრების მოთხოვნით წარამარა რომ ჩერდებოდა, ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ.

საერთო ღია ვაგონი უმთავრესად სხვადასხვა ასაკის ქალებითა და ხანდაზმული კაცებით იყო გადავსებული. ჩახერგილ გასასვლელში კი მგზავრები ტომრებსა და ჭრელი ნაჭრებით თავმოკრულ ვედროებზე მოკალათებულიყვნენ და ერთმანეთს შორის სხვადასხვა ენასა და დიალექტზე საუბრობდნენ. მათ ხმებსა და ლანდებად ქცეულ სახეებზე შინაგანი შფოთი და განგაში იკითხებოდა. თვითონ კი განრიდებოდნენ ომს, იძულებით უსაფრთხო ადგილებისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ სახლ-კარსა და ახლობლებზე დარდს, მათთვის საარსებო პურის მიწვდენისა და გამხნევების გადაულახავ სურვილს არ დაეყ-

ენებინა და ხიფათით აღსავსე გზას დადგომოდნდენ. გზას, რომელიც, ვინ იცის, რა განსაცდელს უქადდათ.

იშვიათად ვიღაცის გაცინებას მოჰკრავდი ყურს. ნეტა ამ ბედოვლათს რა აცინებსო, მიტრიალდებოდნენ მხიარულებას გადაჩვეული მგზავრები და, როგორც კი ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებდნენ, გაწყვეტილ საუბარს ან საფიქრალს უბრუნდებოდნენ, თუმცა ვიღაც შუა ხნის სახეანთებული, ლამის ქადაგად დავარდნილი ქალი მოსვენებას არ აძლევდათ. ვითომ ამხნევებდა ირგვლივ მყოფთ, აიმედებდა, მოწინააღმდეგე (სიტყვა მტერს არ ახსენებდა, რადგან მათ შორისაც ეგულებოდა ახლობელი და ხშირად სისხლით ნათესავიც), დაუნდობელი კია, მაგრამ იმდენად სისხლისმსმელი როდია, ხალხით გადატენილი ელმავალი დაბომბოსო, მაგრამ უნებლიეთ მზერა უმინო ფანჯრებისკენ გაექცეოდა-ხოლმე, რომლებიც ვიღაც ავარების მიერ კი არ ყოფილა ჩამსხვრეული, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, ვაგონების სასწრაფოდ დასატოვებლად და, ჩანდა, უხვსიტყვაობით, გულში ღრმად ჩაბუდებულ შიშს უფრო ებრძოდა...

ლუკას შორიახლოს ახალგაზრდა, გარეგნულად საკმაოდ მომხიბლველი, მაგრამ არტისტულად გადაპრანჭული ქალი, სახეს წარამარა ზიზილ-პიპილებით გაწყობილი მარაოთი ინიავებდა და აშკარად ეტყობოდა, ყურადღების მისაპყრობად, ტრაგიკული გამომეტყველებით, გულის შემაღონებლად წუწუნებდა, რა მოსდის ამ ელმავალს, რა კუსავით მიხოხავს, ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი შეყვარებული მელოდება და, ვაითუ, ვეღარც ჩავუსწროო. მას უხსნიდნენ, აფხაზურმა ფორმირებებმა კინდღსა და ოჩამჩირეს შორის სამანქანო გზა ჩახერგეს, მაგრამ რომელიღაც მოლაპარაკების ძალით ელმავალი მაინც მიმოდის, აფხაზეთის მოსახლეობა რკინიგზითღა უკავშირდება დანარჩენ სამყაროს და მგზავრებს საჭიროებისდა მიხედვით უჩერებენ. ნუ ღელავთ, მშვიდობით ჩავალთ, შეყვარებულიც კარგად დაგხვდებათო, ამხნევებდნენ. გვერდით მჯდომმა ხანდაზმულმა კაცმა, დაბომბვის რეალური საფრთხე ნამდვილად არსებობს, ღია ფანჯარასთან ჯდომას მოერიდეთო, ისე დაუწყო ლუკას ჩიჩინი, თითქოს

ვაგონში თავისუფალი ადგილები თავზესაყრელად ყოფილიყო და, როგორც კი საშიშროებას ვიგრძნობ, რამეს მოვიფიქრებო, ძლივს დააწყნარა.

ლუკას პირდაპირ ხანდაზმული შაოსანი ქალი და წვერმოშვებული, სახედაღვრემილი შუა ხნის კაცი ისხდნენ. თითქოს არც ირგვლივ მსხდომთა ყაყანი, მთავრობის ლანძღვა და ომის გამჩაღებელთა მისამართით ქოქოლის დაყრა ესმოდათ, სახეგაქვავებულები, მუმიებივით იცქირებოდნენ ფანჯარაში.

მატარებლის ფანჯრის იქით კი ივლისის ბრდღვიალა მზე დაჰნათოდა სიმინდის ყანებს, ბაღჩებში გაელვებულ ჩალისქუდიან კაცებსა და თავსაფრიან ქალებს, რკინიგზის პირას აშოლტილ ხეებს, რომლებიც, ლამისაა, ვაგონში შემოჭრილიყვნენ და ლორთქო, ნედლი ფოთლების სურნელი შემოჰქონდათ თან. ლუკას რომ არ სცოდნოდა, ოცდახუთიოდე კილომეტრში ომი მძვინვარებდა, რომელსაც საინფორმაციო წყაროები, რატომღაც უბრალოდ კონფლიქტად მოიხსენიებდნენ, ეს სიმწვანეში ჩაფლული მიდამო, გორაკებზე მიმოფანტული ფართოაივნიანი სახლებითა და საგულდაგულოდ მოვლილი ეზოებით, ტრიალ მინდორში ტაატით მოძრავი საქონლის ჯოგით, მას ადევნებული მეჯოგითა და ჭრელი ძაღლით, ხელის გაწვდენაზე უცნაურად გარინდული კავკასიონის დათოვლილი მთაგრეხილებითა და უღრუბლო ცით, ირწმუნებდა, რომ მშვიდობიან დროს უხდებოდა მგზავრობა.

— დიდუუ, ა, შეხედეთ, ისევ ის ყაჩაღები! — ლუკას ზურგს უკან ფანჯარასთან მჯდომი ქალის სასოწარმკვეთი შეცხადება გაისმა უეცრად.

ატყდა ერთი გნიასი და ვაი-უშველებელი.

— ვინ ყაჩაღები, ვინ ჩვენი ცოდვით სავსეები არიან და რა უნდათ ჩვენგან! — წიოდა გასასვლელში ჩახერგილთაგან სახეშეშლილი, ლოყებღაჟღაჟა ქალი.

— მილიციელები ახლახან აქ იყვნენ ატუზული და სად ჯანდაბაში და დოზანაში გადაიკარგნენ! — გაჰკიოდა ვაგონის ბოლოში თავსაფრიანი დედაბერი.

ქალების დაბნეული ნაწილი ჩოჩქოლებდა, ნაწილმაც შექმნილი მდგომარეობა ელვის უსწრაფესად შეაფასა

და დაფაცურდა. ზოგი სად იჩურთავდა და ზოგიც სად, საფულეს, ან ცხვირსახოცსა და ქაღალდში გამოკრულ გროშებს. ვიღაცები უმისამართოდ იწყევლებოდნენ და იმუქრებოდნენ. ლუკასგან მოშორებით მჯდომმა ხანდაზმულმა კაცმა ის იყო, ბაქი-ბუქი წამოიწყო, რომ ჩამოგლეჯილ-ჩამოკონკილი, სახეებგამურული, გადაჭრილი სანადირო თოფებითა და ხანჯლებით შეიარაღებული, ალბათ, ორმოცზე მეტი სხვადასხვა ასაკის ბიჭი ველური ღრიანცელით შემოიჭრა ვაგონში და მგზავრებს თავზარი დასცა.

ბიჭების ერთმა ნაწილმა მხედრული წესრიგისამებრ დაიკავა ვაგონის შემოსასვლელი, მეორე ნაწილმა გასასვლელში საოცარი სისხარტით გაიკვლია გზა და ვაგონის მეორე კართან დადგა, მესამე ნაწილი კი გადაჭრილი თოფებისა და ხანჯლების ქნევით მგზავრებს შეესია.

ერთმანეთში აირია ქალების ხვეწნა-მუდარა და ბიჭების მუქარა რუსულ-ქართულ-აფხაზურ-სომხურ-ბერძნულად: „განი დენგი!“, „ჩქარა ფული!“, „აფარა!“ „ქომ ფარა!“, „ფოხ ტუ!“, „ლეფტ!“... შიშის მიუხედავად, ქალები თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდნენ, ვინც ფულს ვერ ელეოდა, ყელიდან და მკერდიდან გლეჯდნენ იაფფასიან, ბრჭყვიალა ყელსაბამებსა და სამკაულებს, ჯიბეებში უფათურებდნენ ხელებს. არტისტულად გადაპრანჭულ მოწუწუნე ქალს თითისხელა ბიჭმა ჭრელა-ჭრელა მარაო აართვა, შუაში გადაფხრიწა და ფეხებთან მიუგდო.

— ხულიგან, ხულიგან! — ისტერიული კივილი მორთო იმან, მაგრამ როგორც კი ბიჭმა ხანჯალი მოუღერა, ხმა გაკმინდა.

გასასვლელში, გოდორზე კრუხივით გადაფოფრილ უზარმაზარ ქალს, მათ შემოჭრამდე საფულე საჯდომქვეშ რომ ამოედო და უწყინარი სახით თვალს ადევნებდა, როგორ ძარცვავდნენ სხვებს, მუგუზალივით ჩაშავებული ბიჭები მიეჭრნენ.

— საფულე, თორემ! — დაემუქრა ერთი.

— გროში არ მაბადია და საფულეს რა თავში ვიხლი, დედა! — თავი მოისაწყლა ქალმა.

იმავე ბიჭმა ქინძისთავი დააძრო და ფუმფულა საჯ-

დომზე აძგერა. ტკივილისგან დაზაფრულმა ქალმა დაიწივლა და შეხტა, სხვა ბიჭმა თვალის დახამხამებაში საფულე ქვემოდან გამოაცალა და თვალწინ დაუტრიალა...

ამ თავზეხელაღებულთა საქციელით აღშფოთებული ლუკა წინააღმდეგობის გაწევას და, როგორმე მათ შეჩერებაზე გამალებით ფიქრობდა. ცხადი იყო, ვაგონში მყოფი რამდენიმე ხანდაზმული კაცის იმედი არ უნდა ჰქონოდა, არც მოპირდაპირე მხარეზე მჯდომი ჯეელის, რადგან მას თავი ისე ეჭირა, თითქოს ირგვლივ არაფერი ხდებოდა, ქალებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ერთი პირობა, დაყვავების გზით ბიჭების გონზე მოყვანა დააპირა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ძარცვის ჟინით აღტყინებულებს ვერაფერს შეასმენდა, წამოდგა, ხელისგაწვდენაზე მდგომ სახედაჭორფლილსა და გაწლიკულ წითურს, ყურადღების მოსადუნებლად, რა ხდება იქითო, ჰკითხა და გასასვლელისკენ მიუთითა. როგორც კი ბიჭმა თავი მიაბრუნა, სწვდა და გადაჭრილი თოფი აართვა.

— ახლავე ყველას შეეშვით! — დასჭექა და თოფი მუქარით აიქნია.

ბიჭები მისკენ შემოტრიალდნენ, წუთით თვალი შეავლეს და ძარცვა განაგრძეს.

წითურმა თოფის დაბრუნება სცადა, მაგრამ ლუკამ მსუბუქი ბიძგით თავიდან მოიცილა.

— უკანასკნელად გაფრთხილებთ, შეეშვით-მეთქი! — ისევ შეუძახა ლუკამ.

ამჯერად ბიჭებს მისკენ აღარც მოუხედავთ, აზარტში შესულები განაგრძობდნენ ქალების დაწიოკებას.

ლუკამ იარაღი ჭერისკენ შემართა და სასხლეტს გამოჰკრა.

თოფმა გამაყრუებლად იქუხა. დიდი თუ პატარა ვაგონის იატაკსა თუ მერხებზე დაემხო და მეხთატეხის მოლოდინში გაირინდა. თუმცა რამდენიმე ბიჭი გონს მალე მოეგო, წამოიმართა, ხანჯლებმოღერებული მიეჭრა ლუკას და კუთხეში მიიმწყვდია. ერთ-ერთმა, მათ შორის ასაკით უფროსმა ან მეთაურმა, ტანაყრილმა ქერათმიანმა ბიჭმა თოფით მიზანში ამოიღო.

— ახლავე იარაღი დაუშვი და პატრონს დაუბრუნე, თორემ! — დაემუქრა.

— რომ მერე ქალების ძარცვა ისევ განაგრძოთ? — ჰკითხა ლუკამ.

— ბიძია, შემთხვევით, სიკვდილს ხომ არ მონატრებიხარ?! — ცინიკურად შეეპასუხა ბიჭი.

— ჩემთვის ეგ უცხო სულაც არაა, მაგრამ ჯერ სიცოცხლე რომ არ მეთმობა? — გასაოცარი სიმშვიდით უპასუხა ლუკამ.

როგორც ჩანდა, ბიჭი მისგან არც ასეთ დახვედრას და არც ამგვარ პასუხს ელოდა და კრიჭაშეკრული თვალს არ აცილებდა.

— თუ ასეა, ხელს ნუ უშლი ადამიანებს! — მოგვიანებით ძლივს ამოღერღა.

— თქვენ თავს გულისხმობთ?

— არ ვგავართ?

— ნამდვილი სახე, ჩანს, სადღაც დაგიკარგავთ!

ბიჭი გაირინდა.

— მერედა, შენი აზრით, ვისი ბრალია ეს? — იკითხა პაუზის შემდეგ.

— ალბათ, მშობლების...

— თუ დაგვიხოცეს და მათი საფლავები უგზო-უკვლოდაა დაკარგული?

ბიჭის სიტყვებმა ლუკა დათრგუნა. მის მიმართ ღრმა სიბრალულით შეძრულმა კილოს შერბილება დააპირა, მაგრამ იქვე გაუელვა, რომ შესაძლოა, ბიჭს ლმობიერება დათმობად ან სისუსტედ მიეჩნია და, ვინ იცის, ამას რა მოჰყვებოდა.

— ძალიან ვწუხვარ... მაგრამ... იცით თუ არა, რომ ადამიანური სახის შენარჩუნებას სწორედ მათი ხსოვნა გავალდებულებთ?!

ბიჭი მოიღვენთა. ერთხანს უძრავად იდგა და ლუკას თვალს არ აცილებდა, მერე უეცრად მიტრიალდა, გახევებულ დოსტებს თვალი მოავლო და შეუძახა:

— Завязываем!

მის ნიშანზე ელმავალი თითქოს რამეს შესკდომოდა, ძლიერ შექანდა, რელსებზე ერთხანად მძიმედ მიჭრიალებ-

და, უცნაურად აძიგძიგდა და მოწყვეტით შედგა. პატარა ყაჩაღები ჩამსხვრეული ფანჯრებიდან და კარებიდან ქარიშხლისებურად გაიჭრნენ და ქალების ვაი-ვიში და წყევლა-კრულვა გაიყოლეს თან.

* * *

ათი წლის შემდეგ, ზამთრის ერთ საღამოს, ლუკა მეტროთი მგზავრობდა. ბოლოს წინა გაჩერებაზე მატარებლიდან გადავიდა და, ის იყო, ესკალატორისკენ აიღო გეზი, რომ ქერათმიანმა, წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცმა გზა მოუჭრა. ალბათ, ვიღაცაში შევეშალეო, გაიფიქრა, გვერდზე გაიწია და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ახალგაზრდა ისევ გადაუდგა.

— რა ხდება?! — მკაცრად ჰკითხა ლუკამ.

— მატარებელში თქვენს პირდაპირ ვიჯექი და გიცანით. გაჭაღარავებულხართ, თორემ გარეგნულად სულაც არ შეცვლილხართ.

— იქნება, უფრო გასაგებად...

— გაიხსენეთ სენაკი-სოხუმის ელმავალი, პატარა ბიჭების ჯგუფი და ძარცვა, — მიაყარა ახალგაზრდამ.

— სენაკი-სოხუმის ელმავალი?!. — გაიოცა ლუკამ, — დავუშვათ და გავიხსენე! — კატეგორიული ტონით უპასუხა მოგვიანებით და წინ მდგომს თვალი შეავლო, — თქვენ იმ ძარცვასთან რა საერთო უნდა გქონდეთ?!

— იმ ბიჭების ყოფილი მეთაური ვარ, — მორიდებით უპასუხა ახალგაზრდამ.

ლუკა ახლაღა დააკვირდა ყურადღებით. მის ტანზე კოხტად მომდგარ, დაუდევრად ღილებჩახსნილ შავ ნახევარპალტოს, რძისფერ ყელიან სვიტერსა და პეწიან ჯინსის შარვალს იმ შემოგლეჯილტანსაცმლიანი, გამურული ბიჭის ჩაცმულობასთან ვერაფრით აკავშირებდა. ამას ნათელი, დახვეწილი სახე და მშვიდი გამოხედვა აქვს, იმას კიდევ ველურის ნაკვთები და სიავით სავსე მზერა ჰქონდა.

— ერთადერთ თმის ფერს თუ არ ჩავთვლი, ვერაფრით გამსგავსებთ! — შენიშნა.

— მაშინ თოთხმეტიოდე წლის თუ ვიქნებოდი...

— გარდამავალ ასაკში ყმაწვილები ძალიან იცვლებიან-ხოლმე... მოდით, ელმავლის ინციდენტს დავუბრუნდეთ... რომ იცოდეთ, იმ დღეს... თუმცა, რაღა იმ დღეს, ის თავ-დასხმა ხომ რაღაც წუთებში გათამაშდა... იმ წუთებს ყოვ-ელთვის უმძიმესი გულისტკივილით ვიხსენებ... ცოცხლე-ბი თუ არიან, ნეტა რა გზას ეწივნენ-მეთქი.

— ჩვენც ვფიქრობდით თქვენზე...

— არ მითხრათ, რომ გენატრებოდით.

— უბრალოდ, გვაინტერესებდა, ვინ იყავით, გვინდოდა გაგცნობოდით.

— ლუკა მქვია, წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ, დიდი ხანია აქ ვცხოვრობ, ერთ-ერთ სასწავლებელში მათემატი-კას ვასწავლი, მყავს ცოლი, სამი შვილი და ოთხი შვილიშ-ვილი... კიდევ რა გაინტერესებთ?.. ჩემი პასუხი გაკმაყო-ფილებთ?.. — ნიშნის მოგებით მიუგო ლუკამ, — თქვენს გასაცნობად კი ის ინციდენტიც იკმარებდა! — მკაცრად დაამატა ბოლოს.

ახალგაზრდა შეცბა, თუმცა საბოლოოდ მაინც არ დაბ-ნეულა.

— რა თქმა უნდა, თქვენ გაქვთ საყვედურის უფლება, მაგრამ ჩვენი იმდროინდელი მდგომარეობაც უნდა გაით-ვალისწინოთ... ვინ იცის, სიკვდილს თვალებში რამდენჯერ ჩავხედეთ... იმ დროს უპატრონოდ დარჩენილებისთვის არავის სცხელოდა და უსამართლობის გრძნობამ გაგ-ვაერთიანა...

— ადამიანები საერთოდ სიკეთის ნიშნით ერთიანდები-ან... თქვენ უფრო შურისმაძიებლებს ჰგავდით, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანთა ძარცვას ხომ გამარ-თლება არცა აქვს.

— ყველაფერს მოგვიანებით მივხვდით... თანაც თქვენი წყალობით.

— რანაირად?

— ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ იმ ვაგონში წინააღმ-დეგობის გაწევა მხოლოდ თქვენ სცადეთ, — თქვა, ოდნავ შეყოვნდა და ლუკას თვალი გაუსწორა, — ის თუ იცით,

ჩვენი ჯგუფიდან ერთადერთი დატენილი თოფი მაინცდამაინც თქვენს ხელში რომ მოხვდა?..

ლუკა ახალგაზრდას უნდობლად მიაჩერდა.

— არ მითხრათ, დანარჩენებს ცარიელი თოფები გვეჭირაო.

— ასეც იყო. გახურებული ბრძოლების დროს ტყვიებს ჩვენთვის ვინ გიჟი გამოიმეტებდა, იარაღს თავდაცვისთვისღა ვიყენებდით.

— ვისგან იცავდით თავს, ან ცარიელი თოფებით რა უნდა გექნათ.

— უცნაურად მოგეჩვენებათ... მაგრამ იცით, რამდენჯერ სცადეს ჩვენი დაჩაგვრა?.. როგორც კი იარაღს შევმართავდით და დავჭყივლებდით, თავს გვანებებდნენ. ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და, იარაღის გასინჯვას ვინ გაგვიბედავდა. ჩვენი მთავარი პრინციპი იყო, არავინ გაგვეწირა...

— ერთი თოფი მაინც ხომ იყო დატენილი... ამას რითღა ამართლებთ?

— ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, გვეგონა, თავზე ჭერი ჩამოგვენგრა. არადა, რა არხეინად ვიყავით... თავცეცხლა (ასე ვეძახოდით იმ ბიჭს), დავკითხეთ. შიგ ვაზნა რომ ყოფილა ჩაჭედილი, არ დასცდენია, ჩვენ კიდევ მისი თოფის შემოწმება აზრადაც არ მოგვსვლია... ვიღაც ჭკვიანი კაცის ნათქვამია, დატენილი თოფი შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ გავარდესო... ამ შემთხვევამ თვალი აგვიხილა და მივხვდით, მოვლენათა წყალობით, ადვილი შესაძლებელი იყო, მკვლელები გავმხდარიყავით...

— ელმავალში სხვა სიტყვები მესმოდა.

ახალგაზრდა კაცი აიწურა.

— ბავშვების ამბავი მოგეხსენებათ... უცხოურ კინოფილმებს ვბაძავდით... და საერთოდ, მატარებლის ძარცვა ჩვენი ასაკის ბიჭებისთვის რაღაცნაირი, გაუაზრებელი რომანტიკითაც კი იყო შეფერილი... მაგრამ ადამიანური სახის დაკარგვაზე რომ მიგვანიშნეთ, ცხრიანში მოარტყით, რადგან ბევრ ჩვენგანს მსგავსი რამ მართლაც ემუქრებოდა... ტყვიის ის გასროლა კი ჩვენი შემობრუნებისთვის გადამწყვეტი ბიძგი აღმოჩნდა...

— ეტყობა, ძლიერ დაგაფეთეთ, — ხმის მკაცრი კილო შეურბილდა ლუკას.

— თავისთავად... მაგრამ მთავარი მაინც თქვენი გამბედაობა იყო და ამან პირადად ჩემზე და საერთოდ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა...

— მალე დაიშალეთ? — სიტყვა ბანზე აუგდო ლუკამ.

— სოხუმის დაცემის შემდეგ.

— რას მეუბნებით!.. კავშირი თუ გაქვთ იმათთან?

— ზოგიერთებთან კი, რამდენიმე აფხაზეთშია, შვიდი აქაა, თორმეტი რუსეთსა და სხვა ქვეყანაში, ორიც ეშერასთან ნაღმზე აფეთქდა... დანარჩენების ასავალ-დასავალს ვერ მივაკვლიეთ.

მის ხმაში ღრმად ჩალექილმა, გაუნელებელმა სევდამ გაიჟღერა, მაგრამ სახეზე განწყობა გარეგნულად არ დასტყობია.

— ესე იგი, ეძებთ ერთმანეთს.

— თქვენც გეძებდით... პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და იმ დღეს ჩვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალეთ.

— ამიხსენით, ამ ცვლილებაში მაინც რას გულისხმობთ.

— ძარცვას შევეშვით და საერთოდ...

— საინტერესოა!..

— არ გჯერათ?

— რატომ მეკითხებით?

— ისეთი ხმა გქონდათ, რომ...

— ერთი ხელის დაკვრით ადამიანების, მით უმეტეს, ამდენი ბავშვის ასე ერთბაშად შეცვლა წარმოუდგენლად მეჩვენება.

— მართალი ბრძანდებით... ნაჩვევ ცხოვრებაზე ხელის აღება თავიდან ბევრს გაუჭირდა. რაღაცით მაინც ხომ უნდა ვიარსებოთო, თავს იმართლებდნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ერთმანეთს შევფიცეთ და სანამ ერთად ვიყავით, ფიცი არ დაგვირღვევია.

ლუკა მის წინ მდგომს თვალს არ აცილებდა.

— შემდეგ რა გზას ეწიეთ? — ჰკითხა მოგვიანებით.

— ჩვენს თავზე დამტყდარი უბედურებებისა და მოუშუშებელი ტკივილების შემდეგ ცხოვრებაში ყველამ საკუთარი ადგილი ვიპოვეთო რომ ვამტკიცო, ტყუილი იქნე-

ბა... ზოგს გზა-კვალი საერთოდ აერია, ზოგს პატრონი გამოუჩნდა და გადარჩა, ზოგმა თავს თვითონვე უშველა, ზოგი სწავლობს, ზოგიც ახლობლებისთვის თავს არ ზოგავს, თვითონ სამი წლის წინ კოლეჯი დავამთავრე, საქმეს მოვეკიდე და ოჯახის შექმნაზეც ვფიქრობ.

— ის დღეები ისევ ხომ არ გენატრებათ?

ახალგაზრდა შეცბა, მაგრამ თავს მალე მოერია.

— ბოლო სამი თვე ხშირად. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელ ნაბიჯებზე ვფიქრობთ.

— ოჰო, თქვენი მოსაზრებები საყურადღებო იქნება.

— ჩვენ შორის, როგორც მაშინ ნახეთ, სხვადასხვა ეროვნების მცირეწლოვანი, წერა-კითხვის ძლივს მცოდნე, ნაადრევად დაობლებული და გაუბედურებული ბავშვები იყვნენ, მაგრამ ვიმეორებ, ელმავლის შემთხვევის შემდეგ გასაოცარ თანხმობას მივაღწიეთ. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი ხასიათისა და წარსულის ბავშვებიც გვერია, შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევა იშვიათად გვქონია... ამ ლამის ხელიდან წასულ ბიჭებს აღმოაჩნდათ იდეისთვის გაერთიანების შესაშური სურვილი და უნარი. მათი ენერგია ვინმეს კეთილ კალაპოტში რომ მიეშვა, ასე მგონია, ყოველ მათგანს სიკეთის მოტანა შეეძლო... მათგან განსხვავებით, აგერ, ათი წელია ვაკვირდებით ხელისუფალთა ნაბიჯებს და, რაც დრო გადის, ვრწმუნდებით, რომ ვერც საკუთარ შეცდომებზე, ვერც სხვების მაგალითებზე ვერაფერი ისწავლეს... და იცით, რატომ?.. მათ, როგორც ჩანს, ქვეყნის სიყვარული და ვინმეს თანადგომის სურვილი აკლიათ, პირად კეთილდღეობაზე ზრუნვის გარდა, არაფერი ამოძრავებთ...

— თქვენი სახელი?

— თარაშ.

— შემთხვევით ემხვარი ხომ არა? — გაეხუმრა ლუკა.

— Совсем наоборот! — ხუმრობითვე უპასუხა ახალგაზრდამ.

ორივეს გაეღიმა.

— ბევრი რამ გადმოცემით ვიცი, მაგრამ ჭორ-მართალი

სინამდვილეს იშვიათად ემთხვევა. მითხარით, რა ხდება სოხუმში?

— ისეთი არაფერი. იქ დრო თითქოს ერთ ადგილასაა გაყინული. ყველა რაღაც სასიკეთოს მოლოდინშია, ეგაა და ეგ... სამი წელია, რაც შინ დავბრუნდი და ხელისუფლების მიერ გადადგმული ერთი სასიკეთო ნაბიჯი არ მინახავს, თუმცა, მარიონეტებისგან სხვას რას უნდა ელოდო... წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც გამოვიჭრები, მივივლ-მოვივლი აქაურობას, თითქოს ხელახლა ავივსები, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო დაღონებული ვბრუნდები.

— რის გამო?

— ადრე ვიღაცას აფხაზეთზე გული მაინც შესტკიოდა. ახლა რკინიგზის ხიდებზე ქარ-წვიმისგან გადარეცხილი წარწერის: „გახსოვდეთ აფხაზეთის“ ნაუცბათევად წამკითველთა და დევნილების გარდა, ალბათ, არც არავის ახსოვს.

— არა, რატომ...

— მით უმეტეს, ხელისუფლებას...

ლუკას მისი სიტყვების გასაბათილებელი არგუმენტის მოხმობა გაუჭირდა.

— როგორია გზა სოხუმამდე? — ამისი კითხვაღა მოახერხა.

— თქვენ რა, აფხაზეთში ომის შემდეგ ნამყოფი არ ხართ?

— ერთადერთხელ. მაშინაც გარდაცვლილი ძმა შევასვენე და მშობლების გვერდით დავკრძალე. აქეთობისას, ვიღაც ურჯულო მესაზღვრე ამიხირდა, აქაურობა ორი დღით ადრე უნდა დაგეტოვებინა, პირობა რატომ დაარღვიეო. სასაცილოა, საკუთარ სახლში ყოფნის ვადას ვიღაცა რომ მიდგენს-მეთქი, შევეკამათე. იმასაც ნახავ, მეორეჯერ ფეხს როგორ შემოადგამო, დამემუქრა, პასპორტი გამომიწოდა, ხელი ენგურის ხიდისკენ გაიშვირა და დამიღრიალა: — Анука, живо марш в свою проклятую Грузию!.. უსუსურობის განცდამ ლამის გამსრისა. კბილებამდე შეიარაღებული ოცი მკვლელით ვიყავი გარშემორ-

ტყმული და რას გავხდებოდი... იმის შემდეგ რამდენჯერაც ვცადე, არ მიშვებენ.

უცებ გაჩუმდა და თარაშს მიაჩერდა.

— კითხვაზე, როგორია გზა სოხუმამდე-მეთქი, არ მიპასუხეთ.

— ძალიან ძნელი...

— მაინც?

— სანამ ენგურის ხიდამდე მოაღწევდე, აფხაზები მანქანას რამდენიმე პოსტზე აჩერებენ, საფუძვლიანად გამოწმებენ. რამე საეჭვო რომ შეგატყონ, გადმოგსვამენ და უკან გაგაბრუნებენ. როცა ენგურის ხიდზე გადმოდიხარ, აფხაზები ეჭვის თვალით გიყურებენ, ქართველები კი ეჭვთან ერთად — გაუცხოებულებივით. რამდენჯერ ლამის გავბრუნებულვარ, მაგრამ ახლობლებთან შეხვედრისა და აქ ყოფნის უდიდესი სურვილი ამ ყველაფერს გადამალახინებს-ხოლმე. უკან რომ ვბრუნდები, ახლა აფხაზები გიყურებენ უცხოებივით, ალბათ, უკვირთ, რატომ მოდისო... თავს ვებრძვი, მაგრამ ფეხები, თითქოს ჩემგან დამოუკიდებლად, შინისკენ მეწევიან... სოხუმთან ახლოს, მამაჩემის სახლი და მომცრო ეზო გადავარჩინე და ძალიან მინდა იქ დამკვიდრება.

— როგორ მოახერხე?

— ჩვენი ბიჭების წყალობით.

„მას აქვს მიზანი, კარგად იცის, რა უნდა, და მადლობა უფალს, რომ იმ მამლაყინწა, ტრაგიკულ მოვლენათა გამო გზასაცდენილი ბიჭისგან კაცი დამდგარა... მისი სიტყვები და თავდაჭერა ღრმა ნდობასა და პატივისცემას აღძრავს,“ — გაიფიქრა ლუკამ, ხმამაღლა კი თარაშს ასე მიმართა:

— ამ ხმაურსა და ჯგლეთაში როდემდე ვიდგეთ, ავიდეთ ზევით, დავსხდეთ სადმე და დანარჩენზე იქ ვისაუბროთ...

— დრო რომ არ ითმენს?.. დასავლეთის მატარებელზე მაგვიანდება... სამ ან ოთხ თვეში ჩამოსვლას ვაპირებ და მაშინ...

— რა გაეწყობა! — გულდაწყვეტა ვერ დაფარა ლუკამ, — პალტოს გულის ჯიბიდან კალამი და უბის წიგნაკი ამოიღო, თავისი მისამართი ჩანიშნა, ფურცელი ამოხია

და ახალგაზრდას გადასცა, — როგორც კი ჩამოხვალთ, აუცილებლად დამიკავშირდით.

— უეჭველად, — უპასუხა თარაშმა, ნაწერი გამოართვა, ხელი გაუწოდა, მის სახეს გულისყურით დააკვირდა, მერე თავი დაუკრა და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალი მატარებლისკენ დაიძრა.

ლუკა იდგა და უყურებდა, როგორ შეაბიჯა თარაშმა მატარებელში, როგორ ჩაიკარგა ადამიანთა ჯგროში, შემდეგ მატარებლის კარი დაიკეტა, დაიძრა და გაუჩინარდა გვირაბში.

„დახე, ისევ ძნელია გზა სოხუმამდე!“ — ღრმა სინანულით დაასკვნა გულდამძიმებულმა ლუკამ, მეტროს ცარიელ ბაქანს თვალი მოავლო, მიტრიალდა და ესკალატორისკენ გაემართა.

სალომე

სალომე თორმეტი წლით იყო თავის დაზე, ლოლაზე უფროსი. მაღალსა და აწოწილს, ყმაწვილქალობიდან შავები ეცვა. ამან დროთა განმავლობაში მის სახეს წარუშლელი დაღი დაასვა: ზოგჯერ სახლში ღია ფერის კაბას რომ გადაიცვამდა, მაშინაც სევდის განსახიერება იყო.

ლოლა ტანსრული, ფერ-ხორცით სავსე, საოცრად მიმნდობი და ლაღი ბუნების გოგო, ისე დაფეთებული დარბოდა ზღვისპირა პატარა ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში, თითქოს ფათერაკს დაეძებდა, რამაც არ დააყოვნა და გადაეყარა კიდეც.

თუმცა ეს ამბავი სალომეს არც დასიზმრებია და, ალბათ, კარგა ხანს ბაიბურში არ იქნებოდა, შემოდგომის ერთ თბილ საღამოს მათ სახლს ვიღაც გაწლიკული დედაკაცი რომ არ მისდგომოდა და გარეთ არ გაეხმო.

— რას გიკიდია ეს ძაძები, — სახლის აივანზე გაკრულ შავ ნაჭერზე მიუთითა, სალომეს ძმის დაღუპვას რომ იუწყებოდა, — ჩემი კაცი ლოლას მიწაზე შიშველს რომ აგორავებს, გაატანე ხოლმე, დასაგებად გამოადგება! — მიახალა.

— ხმა ჩაიწყვიტე! — უყვირა თავზარდაცემულმა სალომემ გაწლიკულ დედაკაცს, თმაში სწვდა, ერთი ჩამოქაჩა და გაქცეულს ქუჩის ბოლომდე მისდია.

ქუჩაში თავშეყრილი ხალხი ცნობისწადილით ადევნებდა თვალს სახლისკენ ლასლასით მიმავალ სალომეს და იმ გაწლიკულ დედაკაცს, რომელიც, როგორც კი განსაცდელს თავი დააღწია, ლოლას ლანძღვას მოჰყვა.

სალომეს ბოლო ხანებში და თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული. მხოლოდ მის ოცნებაჩამდგარ თვალებს ამჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ მასაც შავები ეცვა, ყოვლისწამლეკავ მხიარულებას ვერ მალავდა: იცინოდა, უადგილოდ ხუმრობდა და საერთოდ თავი გამომწვევად ეჭირა. წესიერად მოიქეციო, აფრთხილებდა სალომე, თუმცა თავს იმის უფლებას ვერ მისცემდა, სიცილი აეკრძალა. ხანდახან სიამოვნებდა კიდეც მათ უზარმაზარ, ჩამყუდროებულ სახლს დის ხმა რომ აცოცხლებდა. ვერც ეტყოდა, არ იმხ-

იარულო, ჩემსავით ძაძით წაიკარი შუბლიო. ეს ნიშნავდა, მისთვის სიცოცხლე აეკრძალა, სახლი ისე დაეგმანა, შიგ დღის შუქსაც ვერ შემოეღწია.

გოგოს თავისდაუნებურად სიმღერაც წამოსცდებოდა, მაგრამ მაშინვე გამოერკვეოდა და დაფეთებული აქეთ-იქით იყურებოდა.

ძმის დაღუპვამდე გულახდილ საუბარში გამოუტყდა სალომეს, ჩემ ირგვლივ მუდმივი დღესასწაული უნდა იყოსო. ცხოვრება დიდ ზეიმად წარმოუდგებოდა და უფროსი დაც არ ცდილა მისთვის ცივი წყლის გადასხმას. გამოცდილებით იცოდა, ისედაც მალე მიხვდებოდა ყველაფერს და სანამ ასაკი ხელს უწყობს, დაე, ასე ეგონოსო, ფიქრობდა.

ლოლას შინ ხშირად აკითხავდნენ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც მიცვალებულთა სურათებით მოფენილ ოთახებში მოხვდებოდნენ თუ არა, დინჯდებოდნენ, ყოველ სიტყვას წონიდნენ, სურათებს თვალს არიდებდნენ, ლოლას ხმამაღალ სიცილსა და ხუმრობაზე უხერხულად იშმუშნებოდნენ.

ეს გოგო მათგან თითქოს არაფრით გამოირჩეოდა, ბავშვური იყო, მაგრამ როგორც კი ასაკით გაცილებით დიდებთან მოხვდებოდა, ენაკვიმატობას იწყებდა და, ვინც არ იცნობდა, მისი „მახვილგონიერებით“ მოხიბლული რჩებოდა. სალომე ასეთ სითამამეს უშლიდა, თუმცა ყოველი მისი ცდა ამაო იყო, რადგან ლოლას სწორედ ეს აკრძალული თამაში იზიდავდა.

გოგო უყურადღებოდ მიმრჩა და, ვინ იცის, იქნება შეცდა კიდეცო, გაუელვა სალომეს. რაც თავი ახსოვდა, ჩასჩიჩინებდა, უცხო კაცებთან ენამახვილობას მოერიდე, აბეზრულად ნუ ირჯები, არ გეგონოს, ყველა ერთნაირად დაგინდობსო.

ვაითუ, უადგილო სითამამემ წაატეხინა ფეხიო, გაიფიქრა. ამ აზრს იქვე შეებრძოლა. ღვიძლ დაში ეჭვი როგორ შემეპარა, ეს ამბავი უფრო მონაჭორსა ჰგავს, ვერ დავიჯერებო.

ქუჩაში თავშეყრილი მეზობლები წუხდნენ, ამათ უბედურებას ეგღა აკლდაო, მაგრამ მათ წუხილში აშკარა გა-

კიცხვა იგრძნობოდა: ესეც შენ, სააღდგომო კვერცხივით თავს რომ იწონებდი, იმ გომბიომ ალიყური ხომ გაგაწნაო.

თავი არ აუწევია. იცოდა, ნახევარი ქალაქი ძაღლის ყბას გამოიბამდა, მათი სახლი თითით საჩვენებელი გახდებოდა, თუ უკვე არ გამხდარა. ადარდებდა, რას იფიქრებდნენ ოჯახის ახლობლები. არ იტყვიან, იმ უცხვირპირო, ცხვირმოუხოცავმა გოგომ ახლახან დაღუპული ძმის საფლავი ლაფში ამოსვარა, ალბათ, მისი შიში აკავებდა, თორემ ადრეც აიწყვეტდაო... მაგრამ სალომეს უფრო ლოლას ბედი ადარდებდა, ბედი დაოჯახებული მამაკაცის საყვარლისა და, თუ იმ გაწლიკულს დაეჯერება, საყვარლის ცოლიანობას, ალბათ, შეგუებულიცაა და მხოლოდ ნაპარავი ალერსით უნდა დაკმაყოფილდეს. როგორც ხშირად ხდება, საყვარელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიატოვოს და მაშინ, როცა მამაკაცის ალერსს გემოს გაუგებს, მარტო აღმოჩნდება, მერე სხვებს მიიზიდავს, ხელიდან-ხელში გადავა, ყველა ეცდება საკუთარი ნაჭდევი დააჩნიოს მის სულს და როგორმე აღიბეჭდოს მის მეხსიერებაში...

„არა, ეს რა აზრები მოგდის შე უბედურო, რაღა ყოველგვარი სიავე შენ უნდა მოიგონო! “ — ფიქრებში საკუთარ თავს შეუწყრა სალომე და სახლის კიბეს აუყვა.

— არა! — ამჯერად ხმამაღლა შეეწინაღმდეგა თითქოს თავის თავს, კარი შეაღო, ხმაურით გაიხურა და ლოლას ოთახისკენ გაემართა, მაგრამ დერეფნის ბოლოს რომ მიაღწია, ტანი დაუმძიმდა.

— ლოლა! — უხმო დას.

სახლში სულისშემძვრელი დუმილი იდგა.

— ლოლა, გამოდი და მეჩვენე! — უღონოდ დაიჩურჩულა.

სახლმა ისევ დუმილით უპასუხა.

— ლოლა! — წამოიძახა სიჩუმით თავზარდაცემულმა, კარს ხელი ჰკრა, ფართოდ შეაღო და ოთახი ცარიელი რომ დახვდა, გახევდა.

გონს რომ მოეგო, კარადას მივარდა. ლოლას ტანსაცმელი ხელუხლებლად ეკიდა. მერე ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას და საწოლს ეცა, იქნებ რამე ნაწერი მაინც დატოვაო. ამისდამაგვარი ვერაფერი იპოვა.

ოთახში დის სხეულის სურნელი კვლავ ტრიალებდა და, იმედი ჰქონდა, საცაა, შემოვიდოდა. ამ მოლოდინით უძრავად იდგა რამდენიმე ხანს. სახლში სრული მდუმარეობა სუფევდა. ამ მდუმარებამ ისე შეაძრწუნა, ოთახიდან გამოვარდა, მთელი სახლის კუთხე-კუნჭული შემოირბინა, ხმამაღალი მოთქმითა და ტირილით გავიდა ეზოში, ქუჩას დაუყვა, რკინიგზის სადგურისკენ გაეშურა და შევარდა მოსაცდელ დარბაზში. მისი გარეგნობით დაფეთებული მგზავრები ერთმანეთს ეკვროდნენ და შვებით ამოისუნთქეს, როცა დარბაზი დატოვა. იქიდან ხმამაღალი მოთქმითა და ლოლას სახელის ძახილით სანაპიროსკენ გაეშურა. ხალხი გზას უთმობდა. ზოგი თანაუგრძნობდა, ზოგიც, შეშლილი იქნებაო, დასცინოდა. სანაპიროს ძელსკამზე მამაკაცის მკლავებს მინებებული ვიღაც გოგო ერთი წუთით მოუტრიალდა, ახედ-დახედა, თვალი ცისკენ ააპყრო და, ღმერთო, ავთვალი ქალებისგან დაგვიფარეო, მიაძახა ირონიულად.

ქუჩაში ხალხს აჩერებდა, ასეთი და ასეთი გარეგნობის გოგოსთვის თვალი ხომ არ მოგიკრავთო. ისინი მხრებს იჩეჩდნენ, გოგოს მეტი რა შეგვხვედრია, მიმოიხედეთ, მაგის მსგავსი აგერ, რამდენი მიმოდისო...

უშედეგო ძებნის შემდეგ სირბილით გაემართა შინისკენ. სახლს მიახლოებულს განათებულმა ფანჯრებმა იმედი ჩაუსახა. სულმოუთქმელად შევარდა ეზოში, კიბე აირბინა, მძიმე კარი შეაღო და... არავინ დახვდა.

* * *

საღამო ჟამს ჭიშკარი ტანადმა, ჭრელკაბიანმა ქალმა შემოაღო. აივანზე მჯდომი შაოსანი ქალი ყურადღებით დააკვირდა სტუმარს, მის უკან მომავალ მამაკაცს და შვიდიოდე წლის ბიჭს.

ვერც ერთი ვერ იცნო. წამოიწია, კაბა შეისწორა და სტუმრების შემოპატიჟება დააპირა, მაგრამ ჭრელკაბიანი უკვე კიბეზე ამოდიოდა. ბიჭი და კაცი ჩამორჩნენ და ეზოს თვალიერებას მოჰყვნენ.

აივანზე მყოფს ეცნაურა სტუმრის სახე და მის შესაგებებლად დაიძრა. ორი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ შედგა, მოაჯირს დაეყრდნო და დაიკვნესა: ლოლა!

სტუმარი შეყოვნდა, ყოყმანით მიაჩერდა შავკაბინს, მერე დაიძრა, რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, ხელი გაშალა და მოეხვია.

კაცი და ბიჭი კიბესთან იდგნენ. ზემოთკენ რიდით იცქირებოდნენ, სადაც ორი ქალი, ერთი ახალგაზრდა, მომხიბლველი გარეგნობისა, მეორე კი ჩაჟამული და ასაკოვანი ერთმანეთს ჩაკვროდა და დუმდა.

მერე შავკაბიანმა უკან დაიხია და ჭრელკაბიანი თავით ფეხებამდე შეათვალიერა. ჭრელკაბიანი შავკაბიანის წინ უხერხულად გაშეშებულიყო, მაგრამ სანამ მის ბაგეზე მოწონების თუ რაღაცასთან შერიგების ღიმილმა არ იელვა, არ შერხეულა. შეიშმუშნა, უკან მიიხედა და კაცსა და ბიჭს ხელი დაუქნია.

— ეგენი ვინ არიან? — გაბზარული ხმით იკითხა შავკაბიანმა.

— ჩემი ქმარი და ბიჭი, — უპასუხა ჭრელკაბიანმა.

შავკაბიანი ერთ ადგილას გახევებულიყო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ვერ დასძრა. ამასობაში კაცი მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა, სახელიც უთხრა, თუმცა ვერ გაიგო. ბიჭმა დაიპყრო მთელი მისი არსება. ბიჭი კაცს არაფრით ჰგავდა. ამას დედამისივით ნათელი თვალები, ვნებიანი ტუჩები და ლამაზი ცხვირი ჰქონდა. კოჭებზევე ეტყობოდა, ტანმაღალი გაიზრდებოდა.

შავკაბიანმა ბიჭი მიიხმო. იგი მიბრუნდა და დედას გახედა.

— მიდი, სალომე დეიდაა, მიდი! — შეაგულიანა ჭრელკაბიანმა.

ბიჭმა ხელი გაუწოდა, — ჩინო, — თქვა და უკუდგომა დააპირა, მაგრამ ქალი დაიხარა, მიიზიდა და თვალები ამოუკოცნა.

შვებით ამოისუნთქეს. ბავშვმაც იგრძნო ამ შეხვედრის დაძაბულობა. როგორც კი სალომეს ხელებს თავი დააღწია, დედას მიეტმასნა, გაკვირვებით შეათვალიერა მაღალი, უზომოდ გამხდარი, სახედანაოჭებულ ქალი, მერე დე-

დას ახედა და დაბნეულად გაუღიმა.

— შინ შევიდეთ, — მიმართა სალომემ მათ.

ძველი სახლის მძიმე კარი ძლივს დაიძრა ადგილიდან, ზრიალით მიიხურა ახალმოსულთა უკან და ისინი დერეფნის გავლით გამოხუნებული ფარდაგებითა და გაცრეცილი სურათებით მოფენილი დარბაზის შესასვლელთან მოხვდნენ.

ლოლა დარბაზის კართან შედგა, შეტრიალდა და დერეფანს გაუყვა.

სალომემ დარბაზი საზეიმოდ გააჩახჩახა, კაცი და ბავშვი ძველებურ მრგვალ მაგიდასთან დასვა და თვითონაც გავიდა.

რამდენიმე ხანში სახეალეწილმა ლოლამ დარბაზში შემოაბიჯა, ბიჭი კალთაში ჩაისვა და გაიტრუნა.

— ვინაა ის კაცი? — ჩარჩოში ჩასმულ ერთ-ერთ გადიდებულ ფოტოსურათზე მიანიშნა ბიჭმა.

— ძია ჩინო, — უპასუხა ლოლამ.

— აკი შენ გგავსო?! — გაიოცა ბიჭმა.

კაცი დარბაზის კედლებზე დაკიდებულ სურათებს, კარადებსა და თაროებზე დახვავებულ ნივთებს ყურადღებით აკვირდებოდა.

ყველაფერს სიძველისა და სევდის იერი ედო.

— გგავს, ოღონდ დიდი რომ გახდები, არ ვიცი, ემგვანები თუ არა, — პაუზის შემდეგ უპასუხა კაცმა.

— მინდა, რომ დავემგვანო! — წამოიძახა ბიჭმა.

ამ დროს დარბაზში ხილით სავსე სინით ხელში სალომემ შემოაბიჯა.

— ვახშამიც მალე იქნება, — თქვა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

ისხდნენ და უხმოდ შეექცეოდნენ ხილს. ბიჭმა რამდენიმეჯერ რაღაცა იკითხა. ლოლა უგულისყუროდ პასუხობდა. კაცმა სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

— დარჩენას რამდენი ხნით აპირებთ? — სიჩუმე დაარღვია სალომემ.

— თუ არ შეგაწუხებთ, თვის ბოლომდე, — უპასუხა ლოლამ.

— რა ლაპარაკია, სახლი ორივეს ერთნაირად გვეკუთვ-

ნის. გინდათ, საერთოდ ნუ წახვალთ, დარჩით აქ.

— არა, ჩვენ იქაც მშვენივრად ვართ, — ორივეს მაგივრად უპასუხა კაცმა უსიამო, ჟღრიალა ხმით და სალომემ მას ახლაღა მიაქცია ყურადღება.

წვრილი, წყლისფერი თვალები საგნიდან საგანზე მოუსვენრად დაწრიალებდნენ. თხელმა ტუჩებმა, ვიწრო შუბლმა და, საერთოდ, უღიმღამო ნაკვთებმა, სალომე მის მიმართ ნდობით ვერ განაწყო, მაგრამ შეეცადა, სახეზე უკმაყოფილება არ დასტყობოდა.

— ამას რა ჯობია, მაგრამ სახლის ნახევარი ლოლას ეკუთვნის, გავყიდი, რამეს მაინც შეიძენთ, თუნდაც, მანქანას. ამხელა ეზოს და შენობას ხომ პატრონობა უნდა...

— რას ამბობ, სახლის გაყიდვა რამ გაფიქრებინა! — აღელდა ლოლა.

— არ შემიძლია. აგერ, ამ დარბაზში, რამდენი ხანია ფეხი არ შემომიდგამს. მომბეზრდა ყველაფერი, თანაც, აქედან შენც ხომ გეკუთვნის რაღაც?

— არაფერი გვჭირდება, ჩვენ სახლიცა გვაქვს და კარიც...

— ფული არასოდეს არაა ზედმეტი.

— ამაზე ლაპარაკს მოვრჩეთ. ჯობია, ლერის ჭიშკრის გასაღები მისცე, ეზოში მანქანას შემოიყვანს.

სალომემ კაბის ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო და წამოდგომა დააპირა, მაგრამ კაცმა მისი შეწუხება არ ინდომა. ჩინოც ადგა და გაეკიდა.

ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ დები. სალომე მისი გაქცევის დღიდან ამ შეხვედრას ნატრობდა, წარმოიდგენდა-ხოლმე, რა საყვედურებით აიკლებდა დას, თავის ადგილს როგორ მიუჩენდა... მაგრამ ახლა კრიჭა შეჰკროდა. მდუმარედ შეჰყურებდა დის სანდომიან სახეს, რომელსაც წლების ულმობელი კვალი აშკარად დასტყობოდა. მიხვდა, მისი გარეგნული უზრუნველობის მიღმა მძიმე სევდა იმალებოდა და დაასკვნა, უბედური თუ არა, ბედით უკმაყოფილო მაინც იქნებაო და პირველი კითხვა ეს იყო. ლოლა შეცბა. თვალები ცრემლით აევსო.

— კინკლაობთ?

— ზოგჯერ, ეჭვიანობს.

— ასეთ გულამოღეღილ კაბებს თუ ხშირად იცვამ და მკერდს გამომწვევად მაგიდაზე აწყობ, იეჭვიანებს, აბა, რა!

ლოლას გაეღიმა.

— შენ ისევ ისეთი ხარ, — უთხრა და ხელი შეახო.

— უარესი, ანჩხლი და უკარება. სამსახურში ზურგსუკან ყვავს მეძახიან...

— რა უფლებით, რატომ?!.. — აღშფოთდა ლოლა.

— მოგცლია ერთი, მეძახონ, რამდენიც უნდათ, — ხელი აუქნია სალომემ.

— და შენ ამას ასე ადვილად ეგუები?!

— ჩინოს სიკვდილისა და შენი გაქცევის შემდეგ ჩემთვის ბევრმა რამემ მნიშვნელობა დაკარგა.

ლოლა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დის სიტყვებზე ხმა ვერ დასძრა. სალომე გამჭოლავად შეჰყურებდა. ლოლამ მის მზერას ვერ გაუძლო და თავი ჩაჰკიდა.

— რატომ გაიქეცი მაშინ?! — გაისმა სალომეს მთრთოლვარე ხმა.

ლოლა დუმდა. მერე თავი ასწია და დას თვალი გაუსწორა.

— შემეშინდა, ვიცოდი, არ მაპატიებდი...

— გიყვარდა?

— ძალიან,

— ეს კაცია?

— არა. იმან რამდენიმე თვეში მიმატოვა... მეორეჯერ გავთხოვდი... იმანაც მიმატოვა... მერე ლერის გადავეყარე.

სალომე დუმდა, დას თვალს არ აცილებდა.

— თუ ამანაც... მაშინ რას შვრები?

— არა, მაგას, პირიქით, თვითონ ეშინია...

— და შენ?

— არ გაგიჟდე! გარეგნობით არ ბრწყინავს, მაგრამ კარგი კაცია. ესაა, სიმთვრალეში ჩემს ადრინდელ ქმრებს იხსენებს. იძიებს, რომლისგან მყავს ჩინო. სიმართლე არ დამიმალავს, მაინც არ სჯერა.

— ბავშვი თუ უყვარს.

— მგონი, კი.

— მგონი, თუ?

— ნამდვილად ვერ გეტყვი, ზოგჯერ დასანახად ვერ იტანს.

— ესე იგი, არ უყვარს. უბრალოდ, შენს გამო ითმენს!

— ნუ ხარ ასეთი ულმობელი.

— თავი სანამ უნდა იტყუო? ბავშვი, ალბათ, ყოველი თქვენი კინკლაობის მოწმეა.

— ზოგჯერ.

— მერე, რას ამბობს?

— რომ გავიზრდები, მუცელს გამოვფატრავო, დაიმუქრა ერთხელ.

— ხედავ? დამნაშავეს ზრდი!

— მე რა შუაში ვარ?

— როცა ასეთი რაღაცები დაგიწყო, უნდა გასცილებოდი.

— სად წავსულიყავი?

— შინ.

— მომიშვებდი?

— რას ლაპარაკობ, რამდენს გეძებდი... სად მირბოდი, ვის მისდევდი!

— ეს ძველი ამბავია.

— გეგონოს!

— წარსულს არაფერი ეშველება.

— ვიცი, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რატომ გაიქეცი მაშინ.

— ფეხმძიმედ ვიყავი...

— მართლა?!. — ნაღველჩამდგარ თვალებს ვერ აცილებდა დას, — ნეტა ხმა მოგეწვდინა... გელოდი, ახლა მოვა ან რამეს შემატყობინებს-მეთქი და...

— ორჯერ ვიყავი, პირველად სახლის წინ, მოფარებულში დიდხანს გელოდი. როგორც იქნა, საგარეოდ ჩაცმული გამოჩნდი, სახლი დაკეტე და ქუჩას გაუყევი. უკან მოგყვებოდი, მაგრამ მოსვლა ვერ გავბედე.

— ეს როდის იყო?

— ხუთი წლის წინ, მეორედ სამი წლის წინათ. ორივეჯერ გაზაფხულზე, აპრილის თვეში, სასაფლაოზეც ვიყავი.

სალომე დაფიქრდა, შემდეგ სახე გაუნათდა.

— ჩინოს გეფიცები, ეს მე ვიგრძენი. იმ ხანებში შინა-

განი ფორიაქისგან ადგილს ვერ ვპოულობდი, საფლავებზე კი ბევრი ყვავილი და სანთელი ეწყო... მიპასუხე, ასეა ხომ?

ლოლამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— რატომ დამემალე, მე ხომ მთელი გულით გელოდი!

ლოლამ თავი დახარა. დიდხანს დუმდნენ. მერე აივნიდან ბიჭის ხმა შემოესმათ. ლოლა შეირხა, სკამზე გადაკიდებულ ხელჩანთას დასწვდა, სარკე ამოიღო, ჩაიხედა, რას დავმსგავსებივარო, შეიცხადა, ცხვირსახოცით თვალები ამოიწმინდა და შეეცადა, უდარდელი სახე მიეღო. სალომეს დის ფერისცვალება არაფრად ეჭაშნიკა. თვალს არ აცილებდა მის ნაპატივებ სახეს და მიხვდა, რომ ქმრის წინაშე მსახიობობდა. მისი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, ვინ იცის, რა ღონეს არ მიმართავსო, გაიფიქრა.

— მაგ უზრუნველ გამომეტყველებას ტყუილად იღებ. ეგ შენი ქმარი რეგვენი იქნება, თუ ვერ მიხვდება, ამდენი ხნის განშორების შემდეგ ცოტას მაინც თუ წავუტირებდით! — მკაცრი გამომეტყველებით შენიშნა და წამოდგა.

* * *

ლოლა და მისი ქმარი სახლიდან დილიდანვე გადიოდნენ. მათი უზარმაზარი, ჭყეტელა მანქანა ჭიშკარში გასვლისას ქუჩას ხმაურით იკლებდა. ლერი დღის უმეტესობას მანქანის ქვეშ ატარებდა. მთელი სახლი ბენზინის სუნით გაიჟღინთა. ლოლა ვერ ამჩნევდა, რომ ლერის უცნაური ჩვევები აღიზიანებდა სალომეს, რადგან ერთი წუთით მოცლა არ ჰქონდა, საქმიანობდა, სტუმრების მიღებითა და გაცილებით იყო დაკავებული..

ბიჭი და სალომე კი ყოველივე ამისგან განზე იდგნენ. სალომე გადაჩვეული იყო ხალხში ტრიალს, ბიჭს უფროსებთან ყოფნა არ მოსწონდა, სახლის რომელიმე კუთხეში მყუდრო ადგილს გამონახავდა და თავისთვის ერთობოდა.

ბიჭმა თავიდან სალომე ახლოს არ გაიკარა. ათვალწუნებით უყურებდა, ცოტათი ეშინოდა კიდეც. სალომე ცდილობდა შეეჩვია. აკვირდებოდა და, რაც დრო გადიოდა,

საოცარი შეგრძნება უჩნდებოდა, თითქოს ის პატარა ჩინო იდგა მის წინ. ხვდებოდა, რომ მისი გარეგნობა აფრთხობდა ბიჭს, მაგრამ ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ ყურადღება მიეპყრო. ძმის ნივთები უკლებლივ გადმოუწყო, ამ სახლში ყველაფერი შენ გეკუთვნისო, ჩასჩიჩინებდა. უყვებოდა ზღაპრებს, ეფერებოდა, მფარველობას უწევდა.

მისმა ზრუნვამ ბიჭი მოხიბლა, მალე ნაბიჯითაც არ სცილდებოდა.

ლოლა მთელი არსებით ეძლეოდა მხიარულებას. მისმა ხმამ სახლის ყოველი კუნჭული აავსო. მოდიოდნენ სტუმრები, იშლებოდა სუფრა, ისმებოდა სადღეგრძელოები, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ამ დროს ბიჭი და სალომე დიდი ჩინოს ოთახში ისხდნენ და მორიგ გასართობს იგონებდნენ. ბიჭი შავკაბიან ქალს ნელ-ნელა ისე შეეთვისა, დაწოლის წინ თუ გაახსენდებოდა დედა. ისიც ერთი წუთით შემოირბენდა, სახეგაბადრულ შვილს ჩაკოცნიდა, მშვიდ ძილს უსურვებდა და სტუმრებისკენ მიიჩქაროდა.

სალომე მთელ ღამეებს ბიჭის საწოლთან ატარებდა. ჩინომ შფოთიანი ძილი იცოდა, საბანს არ იჩერებდა და მისი გაციების შიშით, ფხიზლობდა. გამოიღვიძებდა თუ არა, ჩინოს ხმით, ბავშვური ტიტინითა და დაუსრულებელი კითხვებით ვერ ძღებოდა და უხაროდა, რომ დგებოდა ახალი დღე, ლერი და ლოლა თავიანთ გზას გაუდგებოდნენ, თვითონ კი ისევ მარტო დარჩებოდნენ. ისაუზმებდნენ, დიდი ჩინოს წიგნებს, ჭადრაკს, საათს, სახაზავს, ფანქრებს და სურათებს გადმოაწყობდნენ, დაათვალიერებდნენ, ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენდნენ, მერე სალომე ბიჭს საქანელაზე დასვამდა და აქანავებდა...

დრო ულმობლად მიჰქროდა. მალე დას და სიძეს შვებულება დაუმთავრდებოდა, ბიჭსაც წაიყვანდნენ და სალომე იმ დღეზე ფიქრობდა, როცა სახლი ისევ დაცარიელდებოდა, ბიჭის უდარდელი სიცილი სახლსა და ეზოს აღარ გააცოცხლებდა...

იმ დღეს კი, როცა გამგზავრება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მოილაპარაკეს, რომ ლოლა და ლერი ნაცნობებს დაემშვიდობებოდნენ, სალომე და ჩინო კი სასეირნოდ წავიდოდნენ.

მართლაც, ისაუზმეს თუ არა, ლოლა და ლერი მანქანაში ჩასხდნენ და თავიანთი გზით გასწიეს. სალომეს და ჩინოსაც არ დაუხანებიათ, ზღვის სანაპიროსკენ გაემართნენ.

იმის შეგნება, რომ ბიჭს მთელი წელიწადი, ან ვინ იცის, უფრო დიდი ხნითაც ვერ ნახავდა, თავ-გზას უბნევდა სალომეს. მის კითხვებს სევდიანი ღიმილით პასუხობდა. ფერადი კენჭები შეაგროვეს, სურათები გადაიღეს, ისეირნეს, მთელი სანაპირო მოიარეს და დაღლილ-დაქანცულები სახლის გზას დაადგნენ.

სახლს უახლოვდებოდნენ, მაგრამ სალომეს ფეხი უკან რჩებოდა. ფიქრობდა, აი, ახლა მივალთ, ბარგი მანქანის საბარგულში ჩატვირთული ექნებათ კიდეც, ლოლა საყვედურებით ამიკლებს, ასე რად შეგაგვიანდათო. ან იქნებ, სულაც არაფერი თქვას, ბიჭს მანქანაში ჩასვამენ, გამოემშვიდობებიან და გაემგზავრებიან, მაგრამ დას პირობა უნდა ჩამოართვას, რომ მომავალ ზაფხულს ისევ ჩამოვლენ... ან, სულაც, იქით ინახულებს... ჩინოს ვეღარავის დაუთმობს! მერე რა, იყოს ლოლა მისი დედა. მასაც რაღაც მცირე უფლება გააჩნია ამ ბავშვზე. იმ კაცს არ მისცემს იმის უფლებას, უყვიროდეს ან დასანახად ვერ იტანდეს.

ამ ფიქრებში მიუახლოვდნენ სახლს, გაუსწორდნენ ჭიშკარს. ჭყეტელა მანქანა ჭიშკართან რომ არ დაუხვდათ, სალომემ შვებით ამოისუნთქა, მათაც დაუგვიანიათ, კიდევ კარგი, დის საყვედურები რომ ამცდაო. ოდნავ გუნებაგამოკეთებულმა აიარა კიბე, შეაღო მძიმე კარი და დერეფანში შეაბიჯა.

სახლში დავანებულმა უცნაურმა მდუმარებამ მაშინვე მიიქცია მისი ყურადღება.

პირველად სასტუმრო დარბაზი მოათვალიერა, შემდეგ ლოლას ოთახისკენ გაემართა, ბოლოს, სულმოუთქმელად შევარდა ჩინოს ოთახში და, ლამის იყვირა.

წინა დღეს ოთახში მიმოყრილი ბარგი არსად ჩანდა. მაგიდაზე ბიჭის ჩანთა იდო, ზედ ბარათი მოჩანდა.

„მივემგზავრებით. ჩინოს შენთან ვტოვებთ. მიხარია, რომ ძალზე შეგეთვისა. დარწმუნებული ვარ, არაფერს მოაკლებ. მაპატიე, რომ ასე ქურდულად მივდივარ, სხვა-

ნაირად არ შემიძლია, გამიძნელდებოდა მასთან განშორება. ჩემზე ნუ იდარდებ.

მაშინ მკითხე, ლერის მიტოვებას ხომ არ აპირებო. გპასუხობ, არ ვაპირებ.

ჰო, იმ მკვლელობის შესახებ... როგორც შეგატყვე, ჩინოს უდანაშაულობაში დღესაც მტკიცედ ხარ დარწმუნებული, მკვლელი ირაკლი გგონია. საქმე კი, აი, როგორ იყო: მკვლელობის დღეს ჩინოს მეგობრები ბირჟაზე მდგარან. ჩინო ვიღაც კაცთან ერთად გამოცხადებიათ. ბიჭებს უფიქრიათ, შერიგება უნდაო და მისალმებიან. ჩინოს არავისთვის ხმა არ გაუცია, ირაკლი გაუხმია და რაღაცის მტკიცებას მოჰყოლია. ბიჭებს უეცრად ჩინოს ხელში დანა დაუნახავთ. ირაკლი გაქცეულა. ჩინო გამოჰკიდებია. უკან ბიჭები და უცხო ხალხი მისდევდა, არ დაარტყა, არ დაარტყაო, მისძახოდნენ თურმე. ბოლოს, არაქათგამოცლილი ირაკლი შემდგარა. დამარტყიო, უყვირია და, დაიმედებულს, მოსაკლავად არ გამიმეტებსო, მკერდი მიუშვერია. ჩინოს მთელი ძალით მოუქნევია დანა. ალბათ, სასიკვდილოდ დაჭრიდა კიდეც, უკანასკნელ წამს ირაკლი გვერდზე რომ არ გამხტარიყო. წაქცეული ჩინო საკუთარ დანაზე წამოგებულა...

აი, ასე იყო. გჯეროდეს, რასაც ვწერ, სრული სიმართლეა.

შენ ჩემთვის არ გიკითხავს, რად მიყვარდა ჩემი ბიჭის მამა. ისე, უნდა გეკითხა, მაგრამ არ ვიცი, ვერ გაბედე, თუ ეს კითხვა საერთოდ არ დაგბადებია. ახლა გპასუხობ: ჩინოს მეგობრებს არაფრით რომ არ ჰგავდა, იმიტომ.

ჩინოს მეგობრები, კარგად მოგეხსენება, რანიც იყვნენ. ხოლო ყველა ის ნაკლი, რაც ჩინოს მათში არ მოსწონდა, თვითონვე სჭირდა...

მაპატიე, ასეთი შეუბრალებელი რომ ვარ. შენ ყველაფერი იყავი ჩვენთვის. საკუთარი თავი არასოდეს გახსოვდა. ბედმა, ეტყობა, სხვებზე ზრუნვა დაგაკისრა, მაგრამ ამ ზრუნვაში ამჯერადაც ისე ნუ გადააჭარბებ, რომ ბოლოს თავში საცემი გაგიხდეს.

ნახვამდის, გკოცნით თქვენი ლოლა“.

სალომეს მუხლებში ძალა გამოელია. ჩინოს საწერ მაგიდასთან მიჯდა, დის ხელგაკრულ ნაწერს უაზრო გამომეტყველებით დააჩერდა და გაირინდა.

— დედა სადაა? — იკითხა ბიჭმა.

სალომეს არაფერი ესმოდა. ბიჭი მიუახლოვდა და ხელი შეახო. შეკრთა, დაბნეული სახით მიაჩერდა ბიჭს.

მან კითხვა გაუმეორა.

— წავიდა, — უპასუხა მოგვიანებით.

— მალე დაბრუნდება?

— ზუსტად არ ვიცი, შესაძლოა, გაისად.

ბიჭი გაირინდა.

— რა, მიმატოვა?! — ძლივს ამოთქვა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— არა. ეგლა ვიცი, ლერის რომ ვერ ეგუები, გადაწყვიტა, ჯერ-ჯერობით ასე ვიყოთ, თანაც, აქ ყველაფერი შენია, ამ სახლსაც და მეც პატრონობა გვჭირდება, ლოლაც დაბრუნდება და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ.

— მერე, ეს როდის იქნება?! — სულმოუთქმელად იკითხა ბიჭმა.

— არცთუ ისე მალე, მაგრამ ამისთვის აქედანვე უნდა ვემზადოთ...

— რა გაეწყობა! — ბიჭმა ზრდასრულივით უპასუხა და „დიდი“ ჩინოს ყოფილი საწერი მაგიდის მილაგებას შეუდგა.

დაუდეგარი

ჩვენი მეგობრობა ქალაქის განაპირას, კოშკის ნანგრევებთან დაიწყო. ამელი ერთი ურჯუკი ვინმე იყო, ნამდვილი ბოშას გარეგნობა ჰქონდა და კოშკის ნანგრევებთან მცხოვრებ ხანდაზმულ ცოლ-ქმარს, ალბათ, ამიტომ დაუგდეს ხმა, ბოშებისაგან უშვილებიათო.

მათი მაღალი ქვითკირის სახლი ძველებური კოშკის ნანგრევებს ეკვროდა და სახლი კოშკის გაგრძელება გეგონებოდა. კოშკი ისედაც მათ ოჯახს ჰქონდა დასაკუთრებული. ანანიას (ამელის გამზრდელს) კოშკის თავზე სათვალთვალო მოედანი ჰქონდა მოწყობილი და მწევრებით გარშემორტყმული, აქედან უჭვრეტდა ხოლმე, როგორც თვითონ იტყოდა „თავბრუდამხვევად ნაირფერ სოფელს“. ამ კაცს მთელი თავისი ახალგაზრდობის წლები ნადირობასა და რომელიღაც „აწ დავიწყებული“ ბრძოლებისთვის შეულევია და ახლა „დამსახურებული პატივით“ სარგებლობდა.

დანამდვილებით ვერავინ გეტყოდათ, მოხუცი რას ან ვის უთვალთვალებდა, მაგრამ კოშკის თავზე დილიდან შებინდებამდე ფხიზლად მჯდომი, გამვლელ-გამომვლელთ, განსაკუთრებით, ბავშვებს იზიდავდა.

სვენებ-სვენებით იცოდა საუბარი. პაპიროსის ბოლში გახვეული თამბაქოსგან გაყვითლებულ გრძელ ულვაშს გულდასმით გადაიგრეხდა, „ჰოდა, ბატონო ჩემოს“ წაუმძღვარებდა და დაუჯერებელ ამბებს ყვებოდა, ზოგს საკუთარ ნადირობაზე, ზოგსაც „აწ მივიწყებულ“ ბრძოლებზე.

ანანიას მეუღლე, ელენე, მოუსვენარი ქალი იყო. შუა ზაფხულში, ღია ფერის კაბაში გამოწყობილი, ჩინური თუ იაპონური ქოლგითა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკუნით კოშკისპირა აღმართს რომ აივლიდა, რა მსუბუქად დააბიჯებსო, შურით სკდებოდნენ მისი ასაკის ქალები.

ანანია ყოველდღე (ავდრის გარდა) „სათვალთვალოზე“ იჯდა. ელენე ოჯახის საქმეებს უძღვებოდა. დღეში ორჯერ „ჩამოდი კაცოს!“ ასძახებდა საუბარში გართულ, ან მწევრებთან განმარტოებულ მეუღლეს და განუყრელი ქოლგით კოშკისპირა დაღმართზე დაეშვებოდა. მეუღლ-

ის მსგავსად, მასლაათი მასაც უყვარდა, ოღონდ ანანია უფრო წარსულის გახსენებით იყო გართული, ელენე კი — უახლესი ამბებით.

ვიღაცა თხოვდება: ვისზე? ვიღაცა შეყვარებულია: ვისზე? ვიღაცას წვეულება აქვს: ეთქვათ, ტორტს მე გამოვუცხობდი. ვიღაცა მომკვდარა: ლობიოს შეკმაზვა ჩემზე იყოს. ამელის მეზობლის ბავშვი უცემია: აჰ, ერთი სახლში ავიდე!

— ამელი, სად ხარ, შე არგასაზრდელო?! — იძახის და გულამოვარდნილი, ქოლგის ქნევით აღმართზე ამორბის. „სათვალთვალოზე“ მჯდომი ანანია თვალს იჩრდილავს და გაკაპასებულ ქალს ზემოდან დასცქერის.

— რა მოხდა, ომი ხომ არ დაწყებულა?!

— ომი არა, ჭირი და დოზანა თქვენ! ამელის ევდოკიას ბიჭი უცემია, ზემოთ თუ არის, ერთი აქ ჩამობრძანდეს!

— კარგი, ერთი, მაგაზე ნერვების მოშლა არც ღირს. ბავშვები ზოგჯერ იჩხუბებენ. აბა, როგორ გინდა? მერე დაზავდებიან კიდეც. ასე არ იყო, ლაზმა წათემ იმ თავგასულ იანიჩარს კბილები რომ ჩაუმსხვრია...

ელენე ანანიას თავის ლაზთან და თურქთან ტოვებს.

ჩვენ კი ამ დროს კოშკის უკან, ბალახებში ვკოტრიალობთ, „იერიშზე“ გადავდივართ ან ზღვის ნაპირზე დავხტივართ. ელენე ძლივძლივობით გვაგნებს და იქაურობას წივილ-კივილით იკლებს.

ურჯუკი ბიჭი იყო ამელი. ბავშვების წვალება იცოდა. ზოგს ხელს გადაუგრეხდა, ზოგსაც თავში უთაქებდა. თუ ვინმეს ახალ სათამაშოს უპოვნიდა, უეჭველად დაისაკუთრებდა. შავი, ბრიალა თვალები ამ დროს ონავრულად უელავდა. მშიშრებს ვერ იტანდა, რასაც პირველსავე შეხვედრაზე ამოწმებდა. ვინც მასთან გაცნობისათვის წინასწარ იყო შემზადებული, ასე თუ ისე, უძლებდა გამოცდას და მის მეურვეობას იმსახურებდა, მაგრამ დაშინებულთ მოთმინების დაკარგვამდე აწვალებდა. მათ შეეძლოთ გაქცეულიყვნენ, ვინმე უფროსთაგანი მოეყვანათ, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. ვერც გეტყოდნენ, რატომ იზიდავდათ ეს ბიჭი და, გარკვეული ხნის შემდეგ, თითქოს გამოსაცდელი ვადა გაევლოთ, მისი უერთგულესი მეგობრები ხდებოდნენ. ამიერიდან ამელი მათ უბატონოდ ხმას

არ სცემდა. თუმცა, ზოგჯერ „ოფოფებს“ აუშვებდა და დაერეოდა, მაგრამ ესეც მალე ეძლეოდა დავიწყებას.

მაინც, რა გვიზიდავდა მასში? ამისი თქმა დღესაც მიჭირს. პატარაობისას შეუხედავი იყო, ანანიასავით ამბების მოყოლა მან არ იცოდა და არც ისეთი რამე, რომ ამით მაინც მოვეხიბლეთ. უფრო, მგონი, მისი სახლი და ამ სახლის კოშკის ნანგრევებთან სიახლოვე იყო თავი და თავი.

როგორც კი ბალი დამწიფდებოდა, მთელი უბნის ბავშვები მათ ეზოში იყრიდნენ თავს. ვისხედით ბლის ტოტებზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბალზე ასვლის უფლება ყველას როდი ჰქონდა. რამდენიმე რჩეული, ამელის განსაკუთრებული კეთილგანწყობით რომ სარგებლობდა, კრეფდა, თვითონ მიირთმევდა და ქვემოთ მდგომ პირდაფჩენილთ ცოტაოდენსღა უწილადებდა.

ერთი ოტროველა, რომელსაც ამელი იდაყვამდე ძლივს სწვდებოდა და ტოლებს შორის ყოჩად ითვლებოდა, ისე ჰყავდა დაჯაბნილი, ემანდ დადექიო, რომ დაუწესებდა, მთელი დღე ერთ ადგილზე იყო გაშეშებული (ბიჭი ჩუმ-ჩუმად იქადნებოდა, დამაცადოს, ყველაფერს ვანანებო. თურმე, მისი ჯიბრით მოკრივე გამხდარა, მაგრამ ის კი არ ვიცი, ამელიზე ჯავრი იყარა თუ არა).

— ამელი, ამოვალ, რა! — შესთხოვდა ქვემოდან ეს ბიჭი.

— მანდედან ფეხი არ მოიცვალო!

— რატომ, რა დაგიშავე?

— ასეა საჭირო! — პასუხობდა ამელი.

ბიჭი კი თავისთვის რაღაცას დუდღუნებდა.

— რატომ იგინები?

— არაფერსაც არ ვიგინები!

— აბა, რას ლუღლუღებ?

— ისე, ჩემთვის...

— ტყუიხარ!

— დედას გეფიცები, არ შემიგინია!

— როგორ არა!

— საიდან იცი? — იბნეოდა ბიჭი.

— ვიცი და ამიტომაც არ ამოგიშვი. გაბრაზდები თუ არა, გულში მაგინებ, თან დედას ტყუილად იფიცებ!

— საიდან მიხვდი?

— სახეზე გეტყობა, შე შტერო!

ბიჭი თავს ჩაქინდრავდა და ეზოს ტოვებდა, ხოლო ამელი, ხომ გავაგდე, ხომ დავჯაბნეო, გაიძახოდა. ბევრს არ მოსწონდა, ბიჭს უდიერად რომ ეპყრობოდა, მაგრამ თავადაც მისი ბედი რომ არ სწეოდა, გაყუჩებული ბალს კურკებიანად ყლაპავდა...

ამელის სახლში საიდუმლოებით მოცული უამრავი ნივთი ჰქონდათ. სარდაფი სავსე იყო ჟანგმოკიდებული, ძველებური საბრძოლო იარაღებით. ამელიმ ერთხელ ქვემეხის ჭურვიც კი გვანახა. მოხუცები არასოდეს გვიწყრებოდნენ, თუ ამ ნივთებს ხელს შევავლებდით, შევიარაღდებოდით და „ომებს“ გავაჩაღებდით. ანანიას მოსწონდა ბავშვების „ომობანას“ თამაში, გვაგულიანებდა და წესებს გვიხსნიდა. ელენე ომის ხსენებას ვერ იტანდა, მაგრამ ამელი შინ თუ ეგულებოდა, სახლიც რომ გადაეწვა, სიტყვა არ დასცდებოდა.

მოხუცებს ბიჭი თავისებურად უყვარდათ. ისინი, ანანიას თქმით, მის „გაწრთვნას“ ცდილობდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ ბევრი არაფერი გამოუვიდოდათ, შეეშვნენ და დანარჩენი ცხოვრებას მიანდეს.

ცხოვრება კი ამელის მართლაც ანებივრებდა. საკუთარი კოშკით, გასაოცარი ნივთებითა და თავისუფლებით. ზღაპრებით თავგამოტენილი მისი გამზრდელი ანანია ცდილობდა, ბიჭი გამძლე, ვაჟკაცი და ბრძოლისუნარიანი გამოსულიყო. ელენე კი ჩააგონებდა, სხვა არ დაეჩაგრა, ეპატრონა სუსტისთვის. ეს იყო და ეს, მათი აღზრდა ამით შემოიფარგლა.

ამელი უნარიანი ბიჭი იყო, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი ადვილად გამოსდიოდა. ეს იყო, ერთ რამეს გულს ხანგრძლივად ვერ უდებდა, ყოველთვის ახალ-ახალი რამ უნდა ეკეთებინა.

იგი დაუდგრომლობით მართლაც ბოშას ჰგავდა. ლოგინში წოლას კოშკის ნანგრევებზე თივაში კოტრიალი ერჩივნა. თამაშის დროს, როცა ყველა ბავშვი თავდავიწყებამდე ერთობოდა, იგი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

მეზობლები შვილებს მასთან ურთიერთობას უკრძალავდნენ. სკოლაში მისი მისამართით ყოველდღე საყვედურები გაისმოდა: ამელიმ ვიღაც სცემა, ამელიმ შუშები ჩაამტვრია, ამელიმ სკოლის კედლები უწმაწური სიტყვებით ააჭრელაო.

მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს მაინც უყვარდათ. ბავშვებს ხომ სკოლის არსებობა უიმისოდ ვერც წარმოედგინათ. რამდენიმეჯერ დაუპირეს გარიცხვა. დირექციას არაფერი გამოუვიდა. ყოფაქცევა კი არა, მთავარი ნიჭიაო, თავგამოდებით იცავდნენ მასწავლებლები. ბავშვები, ყოველგვარი აკრძალვის მიუხედავად, ჯგროდ დასდევდნენ.

ასე იყო თუ ისე, ყველა ანანიას აწუხებდა. სკოლის უფროსობა ცალკე, მეზობლები ცალკე მის დასჯას მოითხოვდნენ, მაგრამ მოხუცს ბიჭი ამისთვის არასოდეს ემეტებოდა. საჩივრით მოსულთ დარბაისლურად შეეგებებოდა, დაუწყებდა დამშვიდებას, ხან ასე იტყოდა, ხან ისე, ბოლოს კი მაინც თავის ზღაპრებს თუ სიმართლეს გადმოალაგებდა.

„ჰოდა, ბატონო ჩემო, იმ ზამთარს დათვზე სანადიროდ გახლდით. მუხლამდე იდო თოვლი. სიმართლე რომ მოგახსენოთ, მთლად ჯანზეც ვერ ვიყავი. მთელი დღე უშედეგოდ ვიწრიალე. კურდღელი და მელია, რამდენიც გინდა შემეფეთა, მარა, რად გინდა, „ჟაკანის“ თოფისწამლით მაქვს პატრონები დატენილი და ამათზე ხომ არ დავხარჯავ, არადა, შინ ხელცარიელი დაბრუნებაც რა ვაჟკაცობაა... საღამოს, ასე, მზის ჩასვლის წინ, ჩემმა „დუგლასმა“ დათვის ნაკვალევს მიაგნო. მთელი ღამე ჩასაფრებული ვიყავით. „დუგლასს“ ნადირი რომ არ დაეფრთხო, პირი ავუკარი, მეორე დილით კი, ინათა თუ არა, მივუშვი. ნაშუადღევამდე ვსდიე. დათვი კვალის არევას ცდილობდა. ბოლოს, ეტყობა, სულის მოსათქმელად, ერთ ბექობზე შეყოვნდა ან იქნებ სულაც ჩამისაფრდა. „დუგლასი“ ჯერ შორიდან უყეფდა. ვაგულიანებდი. ნელ-ნელა მიუახლოვდა. ნადირი იგერიებდა. ბოლოს, ეტყობა, ძაღლის წკავ-წკავმა შეაწუხა თუ რა ვიცი, საფარი დატოვა, „დუგლასს“ გამოუდგა, დაეწია და უნდა დასცხრომოდა, მაგრამ ვესროლე. ასცდა. ისევ ვესროლე და მოვახვედრე. ტკივილებისგან გამწარებული ძაღლს შეეშვა, ყალყზე შედგა ბრდღვინვით ჩემკენ გამოეშურა. გაგონილი გექნებათ, დაჭრილი დათვი ალმოდებული დენთივითაა. თოფის ისევ დატენას ვერ ვასწრებ. გადავაგდე და ხანჯალი ვიშიშვლე. დათვი შედრკა, შეტრიალდა და გაიქცა. მირბის, არც მე ვრჩები უკან. ვატრიალებ

ხანჯალს, ვყვირი და ასე ყვირილ-ყვირილით შევვარდი სიმინდის ყანაში. ის დასამალ ადგილს ვერ პოულობს, დაშლიგინებს აღმა-დაღმა, მეც არ ვეშვები. მთელი ყანა ფეხქვეშ გავთელეთ...“

დგება უხერხული სიჩუმე. ვიღაცა კითხულობს: „კი, მაგრამ, „დუგლასი“ რა იქნა?“, კიდევ ვიღაცა: „კი, მაგრამ, თუ ზამთარი იყო და მუხლამდე თოვლი იდო, სიმინდის ყანა საიდან გაჩნდა?“ მოხუცი იხტიბარს არ იტეხს. ეს სულ სხვა ამბავი არისო, იტყვის, დათვისა და მონადირის თავგადასავალს სხვანაირი დაბოლოებით დაასრულებს და მსმენელებიც მხიარულ გუნებაზე დგებიან...

მეექვსე კლასში ვიქნებოდით, ქალაქის თეატრში ცეკვის წრე რომ ჩამოყალიბდა. დაგვალული ტანის ამელი გამზრდელებმა ვიღაცის რჩევით ცეკვის წრეზე მიიყვანეს. წრის ხელმძღვანელმა ბიჭი დაბალი ტანის გამო დაიწუნა, მაგრამ ყოველი რეპეტიციის დროს დარბაზის შესასვლელში მდგომის ვედრებით მიჩერებულ თვალებს ვერ გაუძლო, რაც იქნება — იქნებაო, გაიფიქრა, მიიხმო და მოცეკვავეთა შორის ჩააყენა.

ამელი ამიერიდან მთელ თავისუფალ დროს საცეკვაო დარბაზში ატარებდა. თვალებში შესცინინებდა თავის საქმეზე შეყვარებულ წრის ხელმძღვანელს, რომელიც სრულიად უმნიშვნელო დეტალის დამუშავებას ზოგჯერ მთელ საღამოს უთმობდა და თუ ამ დაუსრულებელ ტრიალს სხვები ვერ უძლებდნენ და ილაჯგანყვეტილები ძლივს დალასლასებდნენ, ამელის დაღლას ვერ შეატყობდი, ყოველ ახალ ილეთს ხალისით ასრულებდა, თანდათან ხვეწდა მოძრაობებს, რაზეც წრის ხელმძღვანელი აღტაცებას ვერ ფარავდა და ამელის გვერდით მდგომ, მისავათებულ ბავშვებს, — შეხედეთ და დაიმახსოვრეთ, ცეკვა როგორ უნდაო, უთითებდა. ქება ძალას მატებდა ამელის. სახლში მისულს არც ჭამა ახსოვდა და არც დასვენება: ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი საათობით იდგა სარკის წინ, გულდასმით ამუშავებდა ილეთებს, ხოლო შემდეგ ისეთი გამომეტყველებით ჩამოუვლიდა, გეგონებოდა, მაყურებლებით გაჭედილ დარბაზში ცეკვავდა.

წლის ბოლოს ქალაქის თეატრში წრის საჩვენებელი კონცერტი გაიმართა. საღამომ ჩინებულად ჩაიარა. ამელი

თავიდან შავ ჩოხა-ახალუხში და შავ ფაფახში გამოწყობილი „მთიულურს“ ცეკვავდა, მერე წითელ ქულაჯაში გამოწყობილი — „აჭარულს“. ბიჭმა ელვისებური მოძრაობებით, თავბრუდამხვევი ტრიალით, ომახიანი შეძახილებითა და გაცისკროვნებული სახით ერთბაშად მიიქცია ყურადღება.

აქედან მოყოლებული, ამელიმ მოცეკვავის სახელი დაიმკვიდრა. სკოლაში მოცეკვავედ მოიხსენიებდნენ და, რაც მთავარია, ონავრობას შეეშვა.

მშობლები ერთმანეთს ურჩევდნენ, თავიანთი მოუსვენარი ბიჭები ცეკვაზე ეტარებინათ და, მართლაც, მის კვალობაზე ბევრმა ჩვენმა თანატოლმა მიაკითხა ცეკვის წრეს.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას ცეკვის არც ნიჭი აღმოაჩნდა და არც სურვილი, მშობლები არა და არ ეშვებოდნენ. როგორ, იმ ხელიდან წასულმა ამელიმ თუ შეძლო, თქვენ რა გემართებათ, აბა, ჭკუით იყავით, უარი არ გამაგონოთო, ახელებდნენ შვილებს.

არდადეგების ჟამს ამელი რეპეტიციებს ერთი წუთითაც არ მოწყვეტია. კოშკის ნანგრევებთან ბავშვების ჭაჭანება არ იყო. ანანია თავის „სათვალთვალო პუნქტზე“ ულაშქრო მხედარმთავარივით მარტო იჯდა. რეპეტიციაზე წასვლის წინ ამელი ეზოში ჩაიყვანდა და ცაცხვების ჩრდილში ტოვებდა.

როგორც ეტყობა, ამელიმ ცეკვა ცხოვრების მიზნად დაისახა. მთელი გულისყურით ადევნებდა თვალს წრის ხელმძღვანელის ყოველ მოძრაობას, ცდილობდა, ცეკვის საიდუმლოს ძირისძირობამდე ჩასწვდომოდა. რამდენიმეჯერ მეზობელ ქალაქებში გასტროლებზე მყოფ სახელგანთქმულ მოცეკვავეთა საყურებლად წავიდა. სხარტად ითვისებდა ილეთებს და თვით წრის ხელმძღვანელს საგონებელში აგდებდა, რადგან მალე მისთვის არაფერი დარჩებოდა სასწავლი.

იმ ზაფხულს ამელიმ კოშკის ნანგრევებზე თავისი ოსტატობა გვიჩვენა. საღამოზე მის გარდა ორი გოგო და სამი ბიჭი მონაწილეობდა. სცენად ნანგრევების მოშიშვლებული მოედანი ჰქონდათ, განათება ქუჩიდან გაიყვანეს. ჩვენ,

თითქმის მთელი უბანი, დაბლა, ვისაც სად შეხვდებოდა, მოვეწყვეთ.

უბნელებიდან ზოგიერთები კოშკის ნანგრევებთან სხვათა შორის იყვნენ ასული. ამელის მოცეკვავეობის დიდად არ სჯეროდათ და მზესუმზირის კნატუნსა და ლაყბობაში გაჰყავდათ დრო.

საღამო გახსნა ამელიმ. უბნელები ლაყბობას განაგრძობდნენ და კოშკის თავზე მდგომს არც აქცევდნენ ყურადღებას.

ამელიმ მკლავები გაშალა, მოედანს ცერებით შემოუარა, შედგა, წინ გაიჭრა, რაღაც შესძახა, ახტა, საოცარი სიმსუბუქით ჰაერში დაბზრიალდა, მუხლებზე დაეშვა, მთელი მოედანი ჩოქბჯენით გადასერა, წამოხტა, ერთი წუთით გაირინდა, მკლავები გაშალა და მოედნის კიდეზე მდგომი თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგოსკენ დაიძრა.

მოლაყბენი მიყუჩდნენ. იგრძნეს, რომ მოედანზე უჩვეულო რაღაცა ხდებოდა.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ჩემს მახსოვრობაში არ წაშლილა ის საღამო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ჯადოქარივით მობზრიალე შავტუხა ბიჭი, მის წინ ღამის ფარვანასავით მოფარფატე გოგონა... ეს იყო დაუჯერებელი რამ. ბიჭი, რომელმაც, სულ რაღაც, რამდენიმე თვის წინ დაიწყო ცეკვა, ჩვენს თვალწინ სასწაულებს ახდენდა.

ამ ცეკვებს არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული. ზოგიერთი ილეთი იქვე, ჩვენს თვალწინ იბადებოდა და, ვინ იცის, იმავე სახით მეორეჯერ შესრულება არც ეწერა, რადგან ჩვენ შორის არავინ იყო ცეკვის ისეთი მცოდნე, რომ ის მოძრაობები სათითაოდ დაემახსოვრებინა, შემდეგში აღედგინა და სხვისთვის გადაეცა. ხოლო თვითონ ამელი ისე თავდავიწყებით ცეკვავდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, იქიდან რამე გახსენებოდა.

უბნელები გაოცებით შეჰყურებდნენ მათ თვალწინ გარდაქმნილ ბიჭს. იგი თითქოს დოლს თვითონ კარნახობდა რიტმს. მუშტივით შეკრული, მაღლა აიჭრებოდა, შესჭყივლებდა და მუხლებზე დაშვებული რომ არ გვეგონა, წამოხტებოდა, რაღაც ილეთს გამონასკვავდა, გაიქროლებდა, ცერებით გადასერავდა მოედანს, მუხლებზე

დაეშვებოდა, წამოიჭრებოდა, დაბზრიალდებოდა, მერე ერთბაშად გაირინდებოდა, თავს დაგვიკრავდა, გაცისკროვნებულ სახეს შემოგვანათებდა და მოედნიდან უჩინარდებოდა...

იმ საღამოს ამბავი მთელმა ქალაქმა შეიტყო. ყველას სურდა საკუთარი თვალით ენახა ამელის ცეკვა, მაგრამ ბიჭს არავისი გაგონება არ სურდა. არც წრის ხელმძღვანელის თხოვნამ გაჭრა. ჩვეულებრივად დადიოდა რეპეტიციებზე და თავის გამოჩენას არაფრით ცდილობდა.

სკოლის დამთავრების წინა წელს ამელიმ ერთბაშად აიყარა ტანი. კლასში ყველას გაუსწრო სიმაღლეში და თუ ადრე ეს დაგვალული ბიჭი მოგრძო, შავგვრემანი სახით, ერთთავად გაჩეჩილი ხუჭუჭა თმითა და კუნაპეტი თვალებით ველურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ახლა ტანადობითა და ნებიერი მიმოხვრით იპყრობდა ყურადღებას. მისმა სახის კანმა თანდათან ფოლადისფერი გადაიკრა. თითქოს თვალების ფერი და ფორმაც შეეცვალა. თმა შეიმოკლა, გახამებულ, თეთრ პერანგებსა და საგულდაგულოდ დაუთოებულ შარვლებს იცვამდა. წარსული წლების უხეში გარეგნობის სანაცვლოდ, შინაგანი გაფაქიზების ჟამი დასდგომოდა და ეს სიფაქიზე მის საქციელშიც იჩენდა თავს. ლაპარაკობდა ხმააუწევლად, ოდნავ ბოხი ხმით. კრძალვით ეპყრობოდა ყველას. მის მიმოხვრასა და ხმაში ათასში ერთხელ თუ გაკრთებოდა ის ველური აღტყინება, რაც ბევრს აღიზიანებდა ადრე. თითქოს საბოლოოდ ჩაცხრა მასში „ბოშური“ სიშმაგე.

თვეღა გვაკლდა სკოლის დამთავრებამდე. ერთ საღამოს ამელის სახლიდან ელენეს შეშფოთებული ხმა შემოგვესმა. „რატომ თავიდან არ მითხარით, რად დამიმალეთ!“ — შეეპასუხა მას ამელი. მერე რაღაცის მსხვრევის ხმა გაისმა, ვიღაცა კარს აჯახუნებდა. „ვინ გითხრა, ვინ ჩვენი ცოდვით სავსემ?!“ „ჩემმა ძმამ მომაგნო, ყველაფერი გამიმხილა!“ „რომელი ძმა, სადა გყავს შენ ძმა?!“ „აქვე, სამი წუთის სავალზე მელოდება, გინდა, ამოვიყვან?!“ „მაგის ფეხი არ ვნახო აქ!“ „ასეა? ამიტომ ჩურჩულებდნენ თურმე ჩემს ზურგსუკან ბავშვები, მათ ყველაფერი სცოდნიათ!“ „მერე რა, ჩვენ გაგზარდეთ, შენთვის არაფერს ვიშურებდით!“ „რატომ დამიმალეთ,

თავიდან გეთქვათ, ამ ამბავს ხომ უფრო ადვილად შევეგუებოდი. ახლა რა ვქნა, მითხარით, რა გზას დავადგე!“ „ამელი!“ „ამელი!“ — ისმოდა სიბნელეში სასოწარკვეთილი ქალის ხმა.

ერთი კვირა დაკარგული იყო. კვირის თავზე გამოჩნდა. ჩამოგლეჯილი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი სხეულს ძლივს უფარავდა. სახე ერთიანად დალილავებული ჰქონდა. ქუჩის გასაყართან მდგომ ბიჭებს მოწყენილი სახით მოგვესალმა და ჩაგვიარა, მერე შეჩერდა, ზურგზე წამოკიდებული ჩანთა მიწაზე დაუშვა და მიმიხმო

— ჩემები როგორ არიან?! — მკითხა და გამომცდელად შემომხედა.

არ დამიმალავს, რომ მისი წასვლის შემდეგ ისინი უბანში არც გამოჩენილან. მეზობლები ადიოდნენ და ამშვიდებდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

— ვაითუ, არ მაპატიონ! — ნაღვლიანად თქვა, დაიხარა, ჩანთა აიღო და დაიძრა.

რას არ აპატიებდნენ. მის დაბრუნებას რომ გაიგებდნენ, სიხარულით ცას ეწეოდნენ.

— სულ დაბრუნდი?

— აბა, რა!

— შენი მშობლები?

— აწი კიდევ ვინმემ რომ გამიბედოს, ესენი შენი გამზრდელებიღა არიანო, ნამდვილად შემომაკვდება! — თქვა და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

არავინ იცის, რა მოხდა იქ, სადაც ამელი იყო. ამის შესახებ თვითონ ხმა არ დაუძრავს, კითხვა კი ვერავინ გაუბედა.

მალე სკოლაც დავამთავრეთ. ამელიმ გამოსაშვებ საღამოზე თავისი ცეკვით კიდევ ერთხელ გაგვაოცა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს აღმა-დაღმა უსაქმოდ იხეტიალა. მერე ჯარში გაიწვიეს. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ვიღაცას მისთვის ქორწილში ცეკვა შეუთავაზებია. ქორწილიდან ქორწილში დადიოდა. მექორწილენი საკმაო თანხას უხდიდნენ, მაგრამ დამკვრელებთან ვერ მორიგდა და საბოლოოდ ჩამოშორდა მათ. გამზრდელების დაჟინებული თხოვნით, თევზმჭერებთან დაიწყო მუშაობა. ერთი სეზონი ძლივს გაძლო კატარღაზე და ისევ სანაპიროს დაუბრუნდა.

იმხანად „ბითლზების“ სიმღერებმა ჩვენს ზღვისპირა ქალაქშიც შემოაღწია და მრავალი ახალგაზრდის, მათ შორის, ამელის გულიც დაიპყრო. სადღაც გიტარაზე დაკვრა ისწავლა და ზედ ინგლისურ სიმღერებს ამღერებდა. მხრებამდე თმამოშვებული, გასლექილი ჯინსითა და შავი ჯემპერით, რომელსაც შუა ზაფხულშიც არ იცილებდა, ხშირად მოჰკრავდით თვალს სანაპიროზე თავშეყრილ ახალგაზრდებს შორის. მალე უბანში ხმა დაირხა, ამელის რუსეთში მანქანის შესაძენად წაღებული, გამზრდელების მიერ წლობით ნაგროვები ფული უცხოურ ფირსაკრავსა და ფირფიტებზე დაუხარჯიაო. თავიდან ეს ხმა ყველას დაუჯერებელი ეჩვენა, მაგრამ მასთან სტუმრად მისულებს სინანულით გვიჩვენა იმ მომღერალთა გრძელი სია, ვისი ფირფიტების შეძენასაც მანქანის ფული ვერ გასწვდომოდა.

მისი გამზრდელები წუხდნენ. ხან ვის ეხვეწებოდნენ და ხან ვის, ურჩიეთ რამე, თავისი მუსიკით, ლამისაა, გაგვაყრუოს, დღე და ღამე მოსვენებას არ გვაძლევს, იმდენს იზამს, სახლიდან გაგვაქცევსო. თითქოს ამის პასუხად, ამელიმ ერთ დღეს ფეხი დაჰკრა და თვითონ წავიდა.

სამი წელი იხეტიალა. გამზრდელებს ღია ბარათებს უგზავნიდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან, თავს კარგად ვგრძნობ, არ იდარდოთო. მეოთხე წლის დასაწყისში ერთი დაბალი, ცხვირპაჭუა, უსახური ქალი ჩამოიყვანა. გამზრდელებს ცოლად გააცნო. რამდენიმე დღე დაბრუნებისა და დაოჯახების მილოცვებით იყო გართული, შემდეგ ქალაქში გავიდა, სანაპიროზე უმიზნო ყიალს მოჰყვა. სახლიდან ფეხი ამოიკვეთა. გული მოიყირჭა ქეიფით და ჩამოსვლიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ აიკრა გუდა-ნაბადი.

ქალი ერთხანს მოთმინებით ელოდა. ამელის გამზრდელებთან უჯიათი ხასიათის გამო უბრად იყო, მაგრამ მათ ნაშრომს დიდებულად ირგებდა. თვალში გამოიხედა, ჩაიცვა, დაიხურა, თითქოს სიმაღლეშიც მოიმატა და მოყვანიდან ოთხი თვის შემდეგ ჩვენს ქუჩაზე რომ ჩაიარა, უბნის ნახევარი ბიჭობა აეტორღიალა, მაგრამ მალე იცნეს და შეეშვნენ. ამიერიდან, ყოველ საღამოს მორთულ-მოკაზმული ჩამოივლიდა უბანში, სანაპიროზე ამოჰყოფდა

თავს, იქიდან კაფეში შეიხედავდა, ნამცხვრებით ჩაიტკბარუნებდა პირს, ზედ ფინჯან ყავას დააყოლებდა და თეატრის უკან მოწყობილი ღია საცეკვაო ესტრადისკენ გასწევდა. იქ ყოველთვის ხვდებოდა რამდენიმე ისეთი ცეკვის მოყვარული, ვისთვისაც მნიშვნელობა არ ჰქონდა წლის დროს, ამინდს და განწყობილებას, ხუთკაპიკიანი ფირსაკრავის მელოდიებზე შეეძლო მთელი საღამოები დაუსრულებლად ეტრიალა.

ამელის ცოლხმობილი დაუღალავი ენერგიის პატრონი აღმოჩნდა. მოედნის მეთვალყურე რომ არა, შეეძლო მთელი ღამე ეცეკვა, დღეც გადაება, მეორე ღამესაც ეცეკვა და ასე დაუსრულებლად...

უბანში ხუმრობას მოჰყვნენ, მართალია, ამელისგან მოცეკვავე ვერ დადგა, მაგრამ ცოლი ცეკვის ნამდვილი გიჟი შეურთავსო. მაგის რა მოგახსენოთ და, ქალი საცეკვაო მოედანზე თავისი ჭკუის ხალხს მალე დაუახლოვდა და თითქოს სახლში ჯდომით დაკარგულ დროს ინაზღაურებდა, დროსტარებაში თავდავიწყებით გადაეშვა. რამდენიმეჯერ შინ უგონოდ მთვრალი დაბრუნდა. ვიღაცვიღაცებმა სადღაც, ქელეხში თუ ქორწილში მოჰკრეს თვალი. მეზობლები წუხდნენ, მაგრამ ფეხს ითრევდნენ, სხვის საქმეში ჩარევა რა საკადრისიაო, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ ქალი სახლიდან სიძველეების გატანას შეუდგა და ზოგი მათგანი პირველსავე შემხვედრს ჩალის ფასად მიჰყიდა, გადაწყვიტეს, მოხუცებს გვერდში დასდგომოდნენ.

ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ქალმა მეზობლებს დაასწრო, ერთ ღამეს ოჯახში რაც კი რამ ფასეული მოიძევებოდა (მათ შორის ამელის ფირსაკრავი და ფირფიტებიც), მოხვეტა და გაიპარა.

მეზობლები ჩივილს აპირებდნენ. მოხუცებმა დაუშალეს. ნეტა უკან არ მოიხედავდეს და ჩვენი ჭირიც წაუღიაო.

ამ ამბიდან დიდ ხანს არ გაევლო, რომ ამელი ისევ გამოჩნდა. ანანია უკანასკნელ დღეში იყო და მალე მიიცვალა. ამელი გამზრდელის სიკვდილმა თითქოს ჩააფიქრა. გულმოდგინედ დასტრიალებდა ეზო-კარს. საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ელენე დიდად ემადლიერებოდა, მეზობლებში დადიოდა და მის ქებაში იყო. ამელი

თითქოს ბედით კმაყოფილი ჩანდა. ყოველ საღამოს კოხტად ჩაცმულ-დახურული ჩამოივლიდა სანაპიროზე, კაფეში შეიხედავდა, ფინჯან ყავაზე დაპატიჟებდა ვინმეს, ილაპარაკებდა, იოცნებებდა და ზღვის ნაპირზე ხეტიალის შემდეგ სახლისკენ წავიდოდა.

ამ დროიდან ჩვენი გზები გაიყარა. მისი ამბები კანტიკუნტად მომდიოდა. ეს ამბები ზოგი დაუჯერებელი იყო, ზოგიც სინამდვილეს შეეფერებოდა.

ერთხანს სწავლა მოუნდომებია. ვერც ამისთვის დაუდვია გული. შემდეგ ისევ მოჰყოლია ხეტიალს. ბოლოს ცოლშვილიანად დაბრუნებულა და დამკვიდრებულა ოჯახში. ეს იყო, ზოგჯერ ხეტიალის სურვილი ძველებურად წამოუვლიდა თურმე, რამდენიმე ხნით სადმე გაუტევდა და ისევ მობრუნდებოდა. ცოლი სამ ბიჭს უზრდიდა და ერთგულად ელოდებოდა...

წლების შემდეგ, მშობლიურ ქალაქში ორიოდე დღით ჩასულმა, მოულოდნელად სანაპიროზე მოვკარი თვალი. იდგა, იცინოდა და წინ მდგომ ბიჭს რაღაცას უყვებოდა. მერე უეცრად დაემშვიდობა და ჩემკენ გამოემართა. ისე ლაღად მოაბიჯებდა, გეგონებოდა, ქვეყნად არაფერი ადარდებდა.

თვალი შემავლო და ჩამიარა.

— ამელი! — დავუძახე.

შედგა. სხარტად მოტრიალდა და თვალი შემავლო. ვერ მიცნო. მომეყურაო, იფიქრა, ალბათ, მიტრიალდა და დაიძრა.

— ამელი! — დავუძახე ისევ.

შეჩერდა, მობრუნდა და პირქუშად შემათვალიერა. მერე თანდათან სითბო ჩაეღვარა თვალებში, „უყურე ამას!“ — წამოიძახა, მკლავები გაშალა და ჩემკენ გამოემართა.

ზღვისპირა კაფეში ვისხედით. ახლოდან ხნიერი ჩანდა. საფეთქლებთან თმა შევერცხლოდა, თვალთა უპეებს ირგვლივ ნაოჭები შემოსჯაროდა, ნაკვთები დახვეწოდა. დროთა განმავლობაში უფრო სანდომიანი გახდება, ასაკი, ალბათ, მეტ სიდარბაისლეს შესძენს და მისი მნახველი ვერაფრით იფიქრებს, რომ ერთ დროს თავზე ხელაღებული ბიჭი იყო-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის.

ყველაფერი აინტერესებდა: როგორ ვცხოვრობდი,

რას მივაღწიე, როგორი ცოლი და ბავშვები მყავდა. ძუნწ პასუხზე ხუმრობას მოჰყვა. წლები მომატებოდა, თორემ შინაგანად არაფერი შეცვლილიყო მასში. ვინც კი კაფეში შემოიხედა, ყველას ეპატიჟებოდა. მალე მთელი კაფე მარტო ჩვენ გვეჭირა. ვიხსენებდით ბავშვობას, ვიცინოდით, ხოლო, როცა მაგიდის ქვეშ შემალულმა დაცარიელებულმა ბოთლებმა თავისი გაიტანა და ხალხს რიდი დაავიწყა, გამოუმშვიდობებლად წამოვედით და სანაპიროს დავუყევით.

შემოდგომის თბილი ღამე იყო. სანაპიროზე თითო-ოროლა შეგვიანებულ მოსეირნეს თუ მოჰკრავდი თვალს. ზღვის ტალღები ნება-ნება ლოკავდნენ ნაპირს. ამელი თვალს ვერ აცილებდა მთვარის შუქით განათებული ზღვის ზედაპირს. შორს მბჟუტავი წერტილები ტივტივებდნენ. ისინი ხან უახლოვდებოდნენ და ხან სცილდებოდნენ ერთმანეთს. რამდენიმეჯერ ზღვის ზედაპირი თვალისმომჭრელმა შუქის ჭავლმა გაანათა. მბჟუტავი წერტილები ერთბაშად გაქრა და ზღვა თავის თავთან განმარტოებულ მარტოსულს დაემსგავსა...

საუბარი ვერა და ვერ აეწყო. ამელი დუმდა. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, სულის მოსათქმელად ძელსკამზე ჩამოვსხედით. ამელი ერთხანად თვალს ვერ აცილებდა სიბნელეში რიტმულად მფეთქავ ზღვას. მერე მომიბრუნდა.

— ხომ არ მოიწყინე, ბიჭო?! — მკითხა, მხარზე ხელი შემახო და ყურადღებით დამაკვირდა.

— შენ?

— გადამრევს ეს კაცი, მე და მოწყენა?!

— რა ვიცი, რაც კაფედან გამოვედით, ცხვირ-პირი ჩამოგტირის და...

— ვფიქრობ, ჩემო ძმაო, ვფიქრობ. მგონი დროა, ცხოვრებაზე ერთხელ მაინც დავფიქრდე და რაღაც დასკვნები გავაკეთო. საამისოდ არც სამუშაოზე მაქვს მოცლა და არც ოჯახში.

— ჰო, მართლა, სად მუშაობ?

— გარაჟში. საღამოობით ცეკვას ვასწავლი.

— აკი, ცეკვა საბოლოოდ მიატოვაო?

— ვასწავლი, თვითონ კი არ ვცეკვავ.

— რამე გამოგდის?

— ორი ისეთი ბიჭი მყავს, მგონია, რაღაცას მიაღწევენ. ერთი ცოტა დაუდევარია, მაგრამ ნიჭიერი. ილეთის გამეორება არ უნდა. მეორე ნაკლებად ნიჭიერია, თუმცა შრომისმოყვარე. ორივე პატრონიანია, ზრუნვაც არ აკლიათ. აფსუს, მეც რომ თავის დროზე ვინმე გამომჩენოდა!

— შენ რა, ცხოვრებით უკმაყოფილო ხარ?

— რომ დაგეთანხმო, არც ისე უიმედოდ მაქვს საქმე, არ დაგეთანხმო და, ყველაფერი თვალნათლივ ჩანს. იცი? — თქვა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და მომიბრუნდა, — მე ხომ რაღაც მნიშვნელოვანის გაკეთება შემეძლო. ამჯერად ცეკვა როდი მაქვს მხედველობაში. თავის ქებად არ ჩამომართვა და, გამომგონებლური უნარიც აღმომაჩნდა. ინსტიტუტში კათედრის გამგეს ბევრჯერ უთქვამს, შენგან კარგი ინჟინერ-კონსტრუქტორი გამოვაო. ინსტიტუტი მივატოვე და საბალეტო სასწავლებელში მოვეწყვე. იქაც კარგ მომავალს მიქადდნენ. სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ ერთ-ერთ წამყვან თეატრში მიმიწვიეს. ზუსტად წელიწადი ვიცეკვე, მაგრამ საბოლოოდ გული ამიცრუვდა. შემძულდა ერთი და იმავე გაპუდრული სიფათების ყურება, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ილეთების გამეორება. თავს შებოჭილად ვგრძნობდი. — წუთით დადუმდა, თვალები აენთო, — აი, ქართული ცეკვა კი ცეცხლოვანია და ამოუწურავი, სადაც შეგიძლია შენი ნამდვილი შესაძლებლობების გამოვლენა. მე ბალეტის წინააღმდეგი როდი ვარ, უბრალოდ, იგი ჩემთვის უცხო გამოდგა...

— შენც ქართულ ცეკვას მიბრუნებოდი.

— ამას რომ მივხვდი, ცეკვისთვის უკვე საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი... ხელი ყველაფერზე ჩავიქნიე, ოჯახური ცხოვრებაც ვერ აეწყო...

— აკი მითხრეს, მშვენიერი ცოლ-შვილი ჰყავსო?

— ახლა, კი, მაგრამ ორჯერ არ გამიმართლა. თუმცა, რა გაუმართლებლობაზეა საუბარი, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო! — გაჩუმდა, ჩამქრალი სიგარეტი მიწაზე დააგდო, ფეხით გასრისა და ისევ მომიბრუნდა. — არა, რომელიმე საქმეს მაინც რად ვერ დავუდე გული? მე ხომ იმდენი უნარი აღმომაჩნდა, რად ვერ მივსდიე ერთ-ერთს? ეს კითხ-

ვები ყოველთვის მაწვალებს... მაშინ, თუ გახსოვს, სკოლის დამთავრების წინ, ერთი ბიჭი მომადგა, ძმები ვართ, წამოდი, ჩვენები ნახეო. სახით მართლაც ჩამომგავდა. წავყევი. უფრო მეტად, იცი, რატომ? მართალია, კი მინდოდა ერთხელ მაინც შემევლო თვალი ჩემი ნამდვილი მშობლებისთვის, შემეტყო, რად გამიმეტეს სხვისთვის, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მაინტერესებდა, ნამდვილად ბოშების ჯიშის თუ ვიყავი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი იმაში, რაც ბავშვობიდან ზურგსუკან მესმოდა. „ეგ ისეთი დაწყევლილი ჯილაგისაა, ნახავ, ერთ დღეს ეს ოჯახი ძირფესვიანად თუ არ ამოაგდოო“, — ჩამესმა ერთხელ მეზობელი ქალის სისინი, სხვა დროსაც არაერთხელ გავუკილივარ მათ. თავიდან ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მერე და მერე მაღიზიანებდა. თუმცა, რა იყო გასაღიზიანებელი, ყველანი ღვთის შვილები ვართ, მაგრამ ადამიანს მაინც აინტერესებს, ვისი ჩამომავალია. ჩემი მშობლები ქართველები აღმოჩნდნენ. დედა თეთრი, წაბლისფერთმიანი ქალი იყო. მამას ვმგვანებივარ. ჩემს გარდა ცხრა შვილი ჰყოლიათ. მომეალერსნენ, დამიყვავეს. დარჩიო, მეხვეწებოდნენ, მაგრამ მშობლიური სითბო მაინც ვერ ვიგრძენი. მამამ შვილების სახელები რომ ჩამოთვალა, ჩემი სახელი გამორჩა. შეახსენეს. თავიდან შეუდგა ჩამოთვლას. ჩემს გამო თანმიმდევრობა აერია. ეს იყო და ეს. გულმა არ მიიღო. დავრწმუნდი, რომ ქართველი ვიყავი, რომ ჩემი ხეტიალისადმი და ფათერაკებისადმი სწრაფვა ბოშური სისხლის ბრალი არ იყო. მაგრამ რად გინდა, თავს ვერაფერს ვუხერხებდი. აგერ, ორმოც წელს გადავაბიჯე, ერთი რომ ვინმემ დამისტვინოს, ცხრა მთას გადავევლები.

წამოდგა, ძელსკამის წინ ბოლთის ცემას მოჰყვა, უეცრად შედგა და მომიბრუნდა:

— რატომ გეცინება, რა, არ გჯერა?

— დედაშენმა პლაჟზე ტანსაცმელი რომ მოგპარა და მთელ ქალაქში ტრუსის ამარა იტანტალე, გამახსენდა.

გაეღიმა.

— ნელი მომწონდა მაშინ. თუ გახსოვს, ბიჭები მაბრაზებდნენ: ნელი, ნელი, დაბალი და სქელიო. ის ნელი ახლა თანამდებობის პირია, ქმარი პროფესორი ჰყავს. აქ იყო შარშან. ვერ მიცნო. ორი საათი იჯდა რესტორანში ჩემს

წინ. არც შემოუხედავს. მერე ვიფიქრე, შეიძლება მიცნო, მაგრამ უბრალოდ, ძველი ამბების გახსენება არ ინდომა ან სულაც ეჭვიანი ქმარი ჰყავს-მეთქი. თუმცა, რას გაუგებ ქალებს...

— ამდენი ხნის შემდეგ, მართლაც ვერ გიცნობდა. ჩვენი შეხვედრა გაიხსენე!

— ეგეც მართალია! — წამოიძახა და გაეცინა. — აქ რას ვუზივართ? ავიდეთ ჩვენთან, ცოლს გაგაცნობ, ბავშვებსაც ნახავ. დედაჩემი დაუძლურდა, სახლიდან გამოსვლა უჭირს. ჯანზე ვერაა, თორემ ლაპარაკში ათ ადვოკატს მოუჯოკრავს.

— ამ დღეებში გინახულებთ.

— კარგი იქნება თუ ამოხვალ. ისეთ რაღაცას გიჩვენებ, მოგეწონება!

— რა არის ასეთი?

— დელტაპლანი.

— ბავშვებს უკეთებ?

— რატომ ბავშვებს? ახლა მთელი მსოფლიო დელტაპლანითაა გატაცებული. ჩვენი კოშკის ტერასიდან ვეშვები-ხოლმე.

— გადამრევს ეს კაცი! თვითმფრინავით ფრენა არ გირჩევნია? იყიდი ბილეთს, შენს ადგილზე მოეწყობი და...

— ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ არ იცი, რა გრძნობაა დელტაპლანით ცაში ლივლივი. ვისაც თვითონ არ უსინჯია, ყველა ასე ამბობს, — თქვა, ღრუბლებიდან გამომკრთალ სავსე მთვარეს ანთებული მზერა შეავლო, მკლავები გაშალა, ზღვისკენ დაიძრა და წამოიძახა:

— ეს არის ნამდვილი ოცნება!

ნულოვანი აუქციონი

ცენტრალური ტელევიზიის არხზე მთელი თვის განმავლობაში, დღეში რამდენიმეჯერ ერთსა და იმავე რეკლამას ატრიალებდნენ: „მიიღეთ მონაწილეობა „ნულოვან აუქციონში“, მისი ნებისმიერი მონაწილე, შესაძლოა, ერთ ლარად სოლიდური უძრავი ქონების მფლობელი გახდეს, სახელმწიფო მოქალაქეთა საკეთილდღეოდ დგამს ამ ნაბიჯს...“ და ამ აუქციონის საიმედოობის გასამყარებლად რუსეთის მოქალაქის გვარსა და სახელს აცხადებდნენ, ვისაც თითქოს მსგავს აუქციონზე რუსულ ორას რუბლად „ტრანსციმბირული“ გაზსადენის მოგება რგებოდეს და, ამ ფაქტის გასამყარებლად, ტელეეკრანზე წარამარა გაზის მილზე შემომჯდარ, გადაღძუებული თეთრთავსაფრიანი დედაბრის ფოტოსურათს უჩვენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამავე ტელევიზიის სარეკლამო გადაცემების წყალობით წლების წინ გეგა მოჩქარიძემ, თბილისის გამწვანების დეპარტამენტის ყოფილმა დეკორატორმა და უკვე პენსიონერმა, თავისი ოჯახის კუთვნილი „ვაუჩერები“ მერიის შენობაში დაბუდებული „კაპიტალინვესტის“ ე.წ. ამერიკულ-ქართულ კომპანიაში განათავსა, ხოლო ეს კომპანია „ვაუჩერების“ აკრეფის შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა, აუქციონში მონაწილეობის მიღება მაინც გადაწყვიტა და თავისი მწირი შემოსავლიდან ხუთი ლარი გაიმეტა.

ეს ის დროა, როცა საქართველოში კაპიტალიზმი ველური გახელებით შემოიჭრა, გაქნილმა საქმოსნებმა სხვადასხვა აკრძალული ხერხით გააკოტრეს, უსახლკაროდ დატოვეს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი და, როგორც ჩანდა, დედამიწის ზურგზე ამ დანაშაულთა გამო პასუხისმგებლობის აღებას არავინ აპირებდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის გაკოტრებაში ლომის წილი ხელისუფლების მესვეურებს ედოთ. თავიდან მოქალაქეთა საბანკო ანგარიშები გაყინეს, ბანკები ხელოვნურად გააკოტრეს, შემდგომ ეტაპზე მოახდინეს ბანკების ლიკვიდაცია და ხელისუფლების მესვეურებთან დაახლოებულმა პირებმა, რომელთაც მნიშვნელოვანი საკვანძო თანამდე-

ბობები ეკავათ და, ხელსაყრელ მომენტში, ხელსაყრელ ადგილზე, მძორზე დაგეშილი სვავებივით პირველები გაჩნდებოდნენ-ხოლმე, ხელთ იგდეს დაუცველ მეანაბრეთა დანაზოგები და, სრულიად მოულოდნელად, ქვეყანას ახალი ტიპის ბანკირებად და ბიზნესმენებად მოევლინნენ, ხოლო პირში ჩალაგამოვლებული მოსახლეობა სამი თითის კომბინაციას დააჯერეს...

ნათქვამია, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება, ხოლო რწმენით მთების გადაადგილებაა შესაძლებელიო. ამ აუქციონის მიმართ გეგას, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, დიდი იმედი მაინცდამაინც არ ჰქონია. რაც შეეხება რწმენას, წმინდა ფასეულობებთან მერკანტილურ ზრახვათა აღრევა დაუშვებლად მიაჩნდა, მაგრამ ის, რომ, აუქციონი სასწაულებრივად იზიდავდა და, ინტერესში შესულს, ამ შანსის გამოყენებაზე უარის თქმა არ შეეძლო, უკვე მის აზარტულ ნატურაზე მიუთითებდა.

ზაფხულის სულისშემხუთველი დღე თენდებოდა. გეგა დილიდანვე შეუდგა ბანკში წასასვლელ სამზადისს. პირი გაიპარსა, ცივი შხაპი გადაივლო, საკმაოდ გაცრეცილი, მაგრამ გაულდასმით დაუთოებული ჩალისფერი შარვლითა და ფართოჯიბეებიანი ნაცრისფერი ხალათით შეიმოსა, პირადობის მოწმობა და ხუთლარიანი შარვლის ჯიბეში ჩაიდო, წვრილი თეთრებისგან შემდგარი ლარი ხალათის გარეთა ჯიბეში ჩაიყარა, ბინის კარი საიმედოდ ჩაკეტა, ქუჩაში გავიდა, ერთხანს ფეხით იარა, სამარშრუტო ტაქსში ჩაჯდა და უკვე თორმეტი საათისთვის ბანკის წინ, უცნობ სამყაროსთან ზიარების მოლოდინით აღტყინებული, რამდენიმე ხანს ნერვიულად ბოლთას სცემდა, შემდეგ მუხის მძიმე, მოჩუქურთმებული კარი შეაღო და ბანკის ვესტიბიულში შეაბიჯა, სადაც ახალგაზრდობის მეგობარს, პროფესიით ეკონომისტს გადაეყარა.

ბანკში ეკონომისტთან შეხვედრა გეგამ ბუნებრივად აღიქვა, მაგრამ ეკონომისტმა მისი იქ ყოფნა იუცხოვა და მანამდე არ მოეშვა, სანამ მოსვლის მიზეზი არ გამოტყუა.

— რომ დაგიშალო, რა უფლება მაქვს, მაგრამ გირჩევნია, ეგ ფული შენს ცოლ-შვილს მოახმარო ან რესტორანში დახარჯო, — წამოიწყო მან.

— არ გადამრიო, ხუთი ლარი რომელ ცოლ-შვილს ან ქეიფს გასწვდება, ხელი თუ რამეს გამოვკარი, ხომ კარგი, არადა, შენი ჭირიც წაუღია, — გააწყვეტინა გეგამ.

— თუ ასეა, მიდი, მაგრამ მე მაინც არ გირჩევდი! — გულდაწყვეტით დაადევნა ძველმა მეგობარმა მეორე სართულის კიბეზე მტკიცე გადაწყვეტილებით ამავალ გეგას.

ქუჩის აუტანელი გნიასისა და ხვატის შემდეგ ბანკის გრილ, კეთილმოწყობილსა და მყუდრო დარბაზში მოხვედრილს, ასე ეგონა, პირდაპირ სამოთხეში შეაბიჯა, იმ განსხვავებით, რომ ვრცელი დარბაზის ცალ მხარეს ჩამწკრივებულ მქრქალი მინის ვიწრო კაბინებთან მოქალაქეები იტკეპნებოდნენ და როგორც ჩანდა, აქ გამეფებულ საქმიანი განწყობის თანმდევ სიჩუმეს მღელვარების მიუხედავად, მორჩილად იცავდნენ.

გეგამ დარბაზში დასადგურებული ვითარება თვალის ერთი შევლებით შეაფასა, ყველაზე მოკლე, ჩვიდმეტკაციანი რიგის ბოლოში ჩადგა და მისთვის სრულიად ახალი სამყაროს გაცნობას შეუდგა.

დარბაზის კედლები ღია ოქროსფრად იყო შეღებილი, მძლავრი კონდიციონერები გრილ ჰაერს უხმაუროდ აფრქვევდნენ; იატაკიც ოქროსფრად დაწინწკლული, თითქოსდა გამჭვირვალე ფილებით მოეპირკეთებინათ, ოქროსფრადვე დაფერილი ბროლის ჭაღები დღის ნათურებით იყო გაკაშკაშებული. სიმდიდრისა და კეთილდღეობის ამ სურათს იატაკი სარკესავით ირეკლავდა და, ჩანდა, მთელი ეს ოქროკაზმულობა კლიენტთა მოსაზიდად იყო გათვლილი.

გეგას მზერას არც კაბინებში მსხდომი ახალგაზრდა თანამშრომელი კაცები და ქალები გამორჩენია. მათი ვარცხნილობა, ქათქათა პერანგები, კომპიუტერის მონიტორს მიჩერებული დაკვირვებული მზერა და თავაზიანად მომღიმარი სახეები იმაზე მეტყველებდა, რომ კლიენტებს წარმატებულსა და სრული გარანტიით აღჭურვილ დაწესებულებასთან ჰქონდათ საქმე და ამ ნდობას ვერანაირი ქაოსი თუ რუტინა ვერაფერს დააკლებდა.

შემდგომ მისი ყურადღება რიგში მდგომთა რაღაცით დატენილმა ჩანთებმა, ცელოფანისა და ქაღალდის მოზ-

რდილმა პარკებმა მიიპყრო. ერთი პირობა იმის გარკვევას შეეცადა, რიგში მდგომთ რა ჰქონდათ ამ ჩანთებსა და პარკებში, მაგრამ აფორიაქებული თანარიგელების შეწუხება ვერ გარისკა, აუქციონის ბოლო დღეა და, ეტყობა, დროის დასაზოგად ნავაჭრითურთ ბაზრიდან პირდაპირ ბანკში გამოუვლიათო, დაასკვნა.

ამით დარბაზის მოხილვას მორჩა, მის წინ მდგომ, ქაღალდის პარკჩახუტებულ, თეთრებში გამოწყობილ, ზორბა აღნაგობის შეჭაღარავებული კაცის ზურგს მიაჩერდა და გაყუჩდა.

რიგი დუნედ მიიწევდა. ერთ ადგილზე დგომითა და დუმილით თავგაბეზრებულმა ერთი-ორჯერ თეთრებში გამოწყობილი ზორბას ყურადღების მიპყრობა სცადა, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის საფიქრალში იმდენად იყო ჩაფლული, მისი იქ ყოფნა არც შეუმჩნევია.

გეგა მოუსვენრობამ შეიპყრო, უაზროდ აწრიალდა. ამ წრიალისას შენიშნა, რომ რიგში მდგომნი ჩანთებსა და პარკებს გადაადგილებისდა მიხედვით თან მიაჩოჩებდნენ. არხეინად გაიფიქრა, რა ბედნიერებაა, ამ მძიმე ჩანთების ზიდვა მაინც არ მიწევს, ნეტა, რა რჯით, ამ ტვირთს ასე მონდომებით რომ მიათრევენო, მაგრამ როგორც კი რიგში დაწინაურებული ძვალტყავა კაცი სალაროს მიადგა, ხელების კანკალით ჩანთა ძლივს გახსნა და მოლარის წინ ასლარიანი დასტების გადმოლაგებას შეუდგა, გეგას გაოცებისგან ლამის ყბა ჩამოუვარდა.

— ამის დათვლას რა აუვა?! — შეიცხადა მოლარემ და რიგში მდგომთ გამოხედა, — თქვე კაი ხალხო, აქამდე სად იყავით, რაღა ბოლო დღეს მოაწყდით. გახედეთ, რამდენი კლიენტი მოქუჩებულა!

გეგამ უკან მიიხედა. ჩანთებიანი და პარკებიანი ხალხი ისე მოზღვავებულიყო, დარბაზის ბოლოში რიგს უკვე ბანკის დაცვა აწესრიგებდა.

— ამ ფულს ეს უდღეური გოგო როდისღა დაითვლის?.. ნაღდად ვიცი, აუქციონს სამ საათზე დახურავენ, ახლა რაღა ვქნა?! — აფორიაქდა თეთრებში გამოწყობილი ზორბა, მოტრიალდა და გეგას მაღალ შუბლზე თხლად გადმოფენილ ჭაღარაშერთულ ჩალისფერ თმას,

თხელნაკვთება სახისთვის შეუსაბამო, მასიურ, შუაში ჩაჭყლეტილ ნიკაპსა და დაფანჩულ წარბებს შეფარებულ უფერულ თვალებს ათვალწუნებული მზერა მიაპყრო.

— მე თუ მეკითხებით, აქაური წესების არაფერი გამეგება! — მორიდებით უპასუხა გეგამ.

— ეგ ისედაც გეტყობა...

— ვითომ, რაში? — დადარაჯდა გეგა.

— ჯიბეებში ხელები ისე ჩაგიწყვია, სეირის მაყურებელს უფრო ჰგავხარ და ადგილსაც ტყუილად აცდენ...

— რა იცით, რომ?..

— ეგერ, იმათ გახედე, ფულით დატენილი ჩანთებითა და ტომრებით არიან მოსული, შენ კიდევ ჩანს, გაფხეკილი ჯიბეებით.

— მგონი, ამას არსებითი ნიშვნელობა არცა აქვს.

— გარწმუნებ, აქვს... თუმცა, რა ჩემი საქმეა, იდექი და უყურე, სხვების ათასებს როგორ ითვლიან.

— დამშვიდდით. თქვენგან განსხვავებით, ამ ყველაფერს ტრაგიკულად სულაც არ განვიცდი. მე აქ სულ სხვა მიზნით მოვედი და დარწმუნებული იყავით, კონკურენციას არ გაგიწევთ.

— ეგღა მაკლია! — გამოსცრა ზორბამ, პარკი გულზე მიიკრა, მიტრიალდა და გეგასკენ მეტად არც გამოუხედავს.

გეგამ სალაროს სარკმლამდე რომ მიაღწია, კომპიუტერის მონიტორს მიჩერებულ სათვალიან გოგონას თავაზიანად მიესალმა. მას თავი არც შეუწუხებია, კლავიატურაზე რაღაც ტექსტს ელვისებური სიჩქარით კრეფდა, თან ვიღაცას ტელეფონზე ხმადაბლა ეჭორავებოდა. როცა მოლარემ ენის ქავილი და კლავიატურაზე ფათური არ დაასრულა, გეგამ ადგილზე ყოფნა ჩახველებით ანიშნა. მოლარემ მონიტორს წამით მზერა მოსწყვიტა და სათვალის ზემოდან ამრეზით გადმოხედა.

— რატომ ზოზინობთ, თანხა ამოალაგეთ და დასტებად დააწყვეთ! — დაიწიკვინა და თვალებით ისევ მონიტორს მიაცივდა.

— დასტებად დასაწყობი თუ არა მაქ? — ჰკითხა გეგამ.

მოლარე წამით გაშეშდა, მერე მისკენ ისეთი მკვეთრი

მოძრაობით შემოტრიალდა, კეხიანი ცხვირიდან სათვალე გადმოუფრინდა, მაგრამ მარჯვენა ხელით მარდად დაიჭირა და ისევ მოირგო.

— აბა, აქ ჰაერის ჩასაყლაპად ხომ არ მოსულხართ?!. — ხმას აუწია.

— ჰაერის არა, ის კიდევ... მცირე თანხის შემოტანას ვაპირებ...

— მაინც რამდენის?

— ხუთი ლარის.

— რა ბრძანეთ, ვერ გავიგე?! — დამცინავად შეიცხადა მოლარემ.

— კი მაგრამ, რა არის აქ გაუგებარი, ხუთი ლარისმეთქი, — მშვიდად უპასუხა გეგამ.

რიგში მდგომნი შეჩოჩქოლდნენ და გეგას ირგვლივ მოიყარეს თავი.

— თქვენ შემთხვევით მოცლილი ხომ არა ხართ?! — დამცინავად ჰკითხა ისევ მოლარემ.

— სრულებითაც არა, — სიმშვიდეს არც ახლა უღალატია გეგასთვის.

— ვერ ხედავთ, ხალხი რა დღეშია, ეს ძვირფასი დრო თქვენი გროშისთვის უნდა გავფლანგოთ?!

— ხუთი ლარი გროში სულაც არ გახლავთ, კეთილი ინებეთ და საბუთი დროზე გამიფორმეთ.

— ზუსტად მაგ ჭკუაზე ვარ, ამ თქვენი ხუთლარიანის გამო მთელი რიგი ოპერაციები ჩავატარო და ეს ხალხი აქ ტყუილუბრალოდ ვაყურყუტო!

— რაც თქვენ იყბედეთ, მგონი ამის მეოთხედი დრო ჩემი საბუთის გაფორმებას არც დასჭირდებოდა! — გაცხარდა გეგა.

მოლარე მისმა კატეგორიულმა ტონმა და განსაკუთრებით სიტყვა — ყბედობამ, წონასწორობიდან გამოიყვანა. წამოიჭრა, სადღაც გაქანდა და თან კვადრატულსახიანი ოტროველა მოაჯირითა.

— მანდ რომ დაყუდებულხარ და ქალს შეურაცხყოფას აყენებ, კეთილი ინებე და მიპასუხე, რა პრეტენზიები გაქვს! — ორატორის ხმით წამოიწყო კვადრატულსახიანმა.

— ამ ბატონს აუქციონში უნდა მონაწილეობის მიღება,

მაგრამ ეს გოგონა აუხირდა, გინდა თუ არა, ხუთი ლარის გამო საბუთს ვერ გავაფორმებო, — დაასწრო გეგას რიგში მდგომმა, სანდომიანი გარეგნობის უცნობმა ქალბატონმა.

— ნეტა, მაგისი გოგონა ვინაა! — აღშფოთდა მოლარე.

— თქვენ ამ ბატონის რა ბრძანდებით ან თქვენი დაცვა მას რაში ჭირდება! — უცნობ ქალბატონს ირონიულად ისე ჰკითხა კვადრატულსახიანმა, თითქოს მოლარის სიტყვებისთვის ყური არც მოეკრა.

— მეც რიგში ვდგავარ და როცა ამ ბატონს მხარს ვუჭერ, ჩემი ინტერესების დაცვასაც ვცდილობ, რადგან, ჩემდათავად, ათი ლარის ჩარიცხვას ვაპირებ...

— აი, მეორე მოცლილიც! — შურისძიების მომენტი ხელიდან არ გაუშვა კვადრატულსახიანი ოტროველას გამოსარჩლებით გულმოცემულმა მოლარემ.

— წესიერად ილაპარაკეთ, თორემ მოცლილს გიჩვენებთ! — გაკაპასდა სანდომიანი ქალბატონი, — მთელი თვე ყური გამოგვიჭედეს, ერთი ლარით შეიძლება დიდი ქონების მფლობელი გახდეთო და ამის დასტურად მილზე შემომჯდარ ვიღაც კუდიან დედაბერს წარამარა გვჩრიდნენ, ორასი რუბლით მაგისტრალის მფლობელი გახდაო... გვიპასუხეთ, თქვენი დაკვეთით გვატყუებდნენ?!

— იცით, თქვენ რეკლამა სწორად ვერ გაგიგიათ... — წამოიწყო კვადრატულსახიანმა ოტროველამ.

— იქნებ, უვიცებად და ყრუებადაც გამოგვიყვანოთ! — იფეთქა გეგამ.

— კარგი, კარგი... მოვლენების დაძაბვას თავი ანებე და მუშაობის საშუალება მოგვეცი, — ხმას დაუწია საქციელწამხდარმა ოტროველამ.

— ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო! — მიაყარა გეგამ და, ის იყო, რიგიდან გასვლა დააპირა, რომ ვიღაც ახმახი მკლავში მთელი ძალით სწვდა და მიატრიალა.

— მე თქვენ კარგა ხანია თვალს გადევნებთ და დავრწმუნდი, აქ პროვოკაციული მიზნით ბრძანდებით და არა აუქციონისთვის მოსული! — შეაგება და თავის ირგვლივ ადგილი გაითავისუფლა, რომ იქ მყოფთ ეგრძნოთ მისი დამთრგუნველი ძალა და ლიდერობის დემონსტრირება დააპირა.

გეგამ მკლავზე ხელი გააშვებინა, ნაბიჯით უკან დაიხია

და ახმახს ახედ-დახედა. ეს კაცი საიდანღაც ეცნაურა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, ვინ იყო.

— ძალიან მინდა ამიხსნათ, რას ნიშნავს „პროვოკაციული მიზნით“ შემოსვლა... აქ რა, კრემლია და „ცეერუს“ აგენტი გგონივართ?.. მე ისეთივე უფლებები მაქვს, როგორიც თქვენ და დანარჩენ აქ მყოფ მოქალაქეს...

— მხოლოდ ერთი განსხვავებით.

— მაინც?

— როგორც მომესმა, თქვენ ხუთლარიანის გარდა გროში არ გაბადიათ, ამათ კი, ნახეთ!.. — თქვა და რიგში მდგომთა ჩანთებისკენ და პარკებისკენ ხელი გაიშვირა.

გეგამ მის ხელის მოძრაობას თვალი გააყოლა. რიგში მდგომთაგან ზოგი მისმა მზერამ შეაშფოთა და თვალი მოარიდა, ზოგიც უტიფრად მიაჩერდა.

— დარწმუნებული ვარ, ამათ რაც აქ მოუზიდავთ, ათი იმდენი გადამალული ექნებათ და კიდევ რაღაცის ხელში ჩაგდებას ლამობენ. როგორც ჩანს, მქონებელთ ყველა სიკეთე ხონჩით მიერთმევათ, ჩემისთანებს კი — ვირის თავ-ფეხი! — გეგას ხმაში გულის დაწყვეტა გაჟღერდა.

— აბა, ხუთი ლარის პატრონი, კიდევ რას უნდა მოელოდეთ, იმასაც კი ვერა გრძნობთ, ამდენი დრო რომ დაგვაკარგვინე!.. — ახმახი საყვედურებს განაგრძობდა. გეგას არაფერი ესმოდა. რატომღაც დარწმუნებული იყო, ეს კაცი სადღაც არაერთხელ ჰყავდა ნანახი და ცდილობდა, გაეხსენებინა, — კაცს იმდენი შეგნება კი უნდა ჰქონდეს, რომ... — ისევ ჩაესმა მისი ხმა და უეცრად გონება გაუნათდა: ახმახი წინა მთავრობის მიერ პატივაყრილი მილიციის ვიცე პოლკოვნიკი თუ პოლკოვნიკი, „ეროვნულ მოძრაობას“ ადევნებული „მოხალისე“ იყო. საპარლამენტო არჩევნების წინ გეგას უბანს ღატაკთა პარტიის თავმჯდომარედ მოევლინა, მიტინგებსა და შეხვედრებს დიდი ზარ-ზეიმით მართავდა და ხალხს კეთილდღეობასა და ბარაქით ავსებას ჰპირდებოდა. ვინ რა სიკეთით აავსო, უცნობია, მაგრამ არჩევნების ჩამთავრების შემდეგ თვალი არსად მოუკრავს.

— ძლივს არ გიცანით? — ღიმილით შეაგება გეგამ.

— საიდან?! — სახეზე გაოცებანარევი უკადრისობა გამოესახა ახმახს.

— თქვენ ხომ ღატაკთა პარტიის თავმჯდომარე ხართ...

ახმახი წუთით შეცბა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— ადრე ვიყავი... მერე რა! — ვითომ უდარდელად წამოიძახა.

— ის რომ, ახლა თქვენ გახედეთ იმ ადგილს, სადაც იდექით.

ახმახმა გეგას ხელის მოძრაობას მონუსხულივით თვალი გააყოლა და რიგში უპატრონოდ მიტოვებულ ორ ჩანთასა და ცელოფანის დაბურულ პარკზე შეაჩერა მზერა.

— დავუშვათ და გავიხედე, ვითომ ამით რისი მინიშნება გინდათ?! — მუქარამ გაიჟღერა მის ხმაში.

— ნამდვილად თქვენია?

— მაშ?! — სიამაყე გაჟღერდა მის ხმაში.

— ისეთი არაფრის... ღატაკების სახელით ქვეყანა მაგრად კი გიფცქვნიათ!

რიგში მდგომებიდან რამდენიმეს სიცილი წასკდა, დანარჩენებმა კი, ყრუ-მუნჯებივით სხვადასხვა მხარეს გაიხედეს.

ახმახი მოულოდნელობისგან გაშრა, სახეზე მიტკლისფერი დაედო.

— უჰ, შე... თქვენი!.. — დაისისინა და გეგასკენ მუშტშემართულმა გაიწია, მაგრამ უეცრად შეყოვნდა, მიმოიხედა, ირგვლივ შემოკრებილთა ცნობისმოყვარე სახეებს თვალი მოავლო, მუშტი დაუშვა და ეს მთასავით კაცი თვალდათვალ ისე მოიღვენთა, ლამის, ქონდრისკაცად იქცა, ადგილს მოსწყდა, თავისი ჩანთებისა და ცელოფანის პარკისკენ გაიქცა, ვიღაც მასზე გაცილებით დაბალ, მსუქან კაცს ამოეფარა და ცოტა ხანში საფარიდან ხაფანგში გაბმული ტურასავით გამოხედა გეგას.

— ბოლო-ბოლო, იმ თქვენი ხუთლარიანის შემოტანას აპირებთ თუ არა?! — გეგას სმენას მისწვდა მოლარის გაღიზიანებული ხმა.

სალაროსკენ რომ მიტრიალდა, ახალგაზრდა ქალის ცივად მოჩერებულ თვალებს და აფორაჯებულ სახეს გადააწყდა.

— ემ საათში! — შეაგება გეგამ, რატომღაც ხალათის

გარეთა ჯიბეებში მოჰყვა ხელების ფათურს, შემდეგ მარ-ჯვენა ჯიბიდან მომცრო შეკვრა ამოაძვრინა, გაოცებ-ულმა ახლომხედველივით სახესთან მიიტანა, დახედა, ეს რაღა�აო, გაიფიქრა და გახსნა დაუპირა, რომ მისი ზოზინით გულმილეულმა მოლარემ თვალის დახამხამებაში ხელი-დან აართვა, სანამ გეგა ხმის ამოღებას მოასწრებდა, შეკ-რულას ქაღალდი შემოახია და ასლარიანები ბანქოს ქა-ღალდივით გაშალა. გაოცებისგან თვალები აუყვავილდა, სახე კი სიამოვნების ღიმილმა დაუფარა.

— რა ხართ, მაინც, ეს კაცები, აყალმაყალსა და და-ვიდარაბაზე სული მიგდით. ხომ შეგეძლოთ, ეს ფული, ყოველგვარი გართულების გარეშე, მაშინვე მოგეწოდები-ნათ და ადამიანურად მოქცეულიყავით!.. — უსაყვედურა, — პირადობის მოწმობაც მოაყოლეთ, — ხმა დაუტკბა ბო-ლოსკენ.

გეგა მოლარის ხელში აშრიალებულ ასლარიანებს თვალს ვერ აცილებდა. მექანიკური მოძრაობით ამოიღო და გაუწოდა პირადობის მოწმობა. მოლარემ ფული თვა-ლის დახამხამებაში გადათვალა, ორი ბლანკი გადმოაწო-და, ობიექტი აირჩიეთ და მის გასწვრივ სახელი და გვარი მოაწერეთო, უკარნახა, სინამდვილეში კი, წინასწარ მო-ნიშნულ გრაფაზე ხელი მოაწერინა, ბეჭდები ჭახაჭუხით დაუსვა, ბლანკები ხელში მიაჩეჩა და მეზობელი სარკმ-ლისკენ მიუთითა.

გეგა სარგადაყლაპულივით იდგა, ციფრებითა და სი-ტყვიერად შევსებული ათას ორასი ლარისა და აუქციონის ობიექტის გრაფის გასწვრივ საკუთარი ხელით დამოწმე-ბულ თავის სახელსა და გვარს და ბეჭედდასმულ ბლანკებს მონუსხულივით დასჩერებოდა ისევ.

— გაიარეთ, თქვენს გამო ისედაც დიდი დრო დაიკარ-გა! — მოუთმენლად გაუწყრა მოლარე და ისევ მეზობელ სარკმელზე მიუთითა.

— ეგ ფული ჩემი არ არის, არ ვიცი, ხალათის ჯიბე-ში როგორ აღმომაჩნდა, თუ გნებავთ, იმ ხუთლარიანს გიჩვენებთ, რომელზეც მანამდე გეუბნებოდით, — დაბ-ნეულად წამოილუღლუღა.

მოლარემ მის სახეს წამით გაოცებული მზერა ესროლა, შემდეგ კი უეცრად, თავშეუკავებელი სიცილი წასკდა. მის ხმამაღალ სიცილზე კვადრატულსახიანი ოტროველა გულამოვარდნილი მოვარდა, სიცილისგან ჩაბჟირებულ ქალს დაბნეულად შეხედა, მერე სარკმელთან გაშეშებულ გეგას მიაჩერდა.

— ამ კაცმა დღეს ლამისაა გადამრიოს, ჰა, ჰა, ჰა, — სიცილს ვერ იოკებდა მოლარე, — ხომ იცი, თავიდან ხუთლარიანის მეტი არა მაქვსო, მერე გაირკვა, ათას ორასი ლარი ჰქონია, ახლა ეს ფული ჩემი არ არის და თუ გინდა, იმ ხუთლარიანს გიჩვენებო, — ჰა, ჰა, ჰა... — ვერა და ვერ იოკებდა სიცილს, — ისე მითხრა, თითქოს იმ ფულზე ბანკის პრეზიდენტი კი არა, თვითონ აწერდეს ხელს, ჰა, ჰა, ჰა...

კვადრატულსახიან ოტროველას ხარხარი აუტყდა. წამში მისი ხარხარი რიგში მდგომთ სახადივით გადაედო.

— ეტყობა, მაგრად უფშვიტინებს! — ჩაილაპარაკა და შუბლზე საჩვენებელი თითი მიიკაკუნა გულისგამაწვრილებელი ლოდინის შემდეგ ერთბაშად გამხიარულებულმა ვიღაც ხნიერმა კაცმა და გვერდით მდგომ ქალს ახლა უკვე მეორე სალაროსთან ატუზულ გეგაზე მიუთითა.

გეგას მეორე სალაროსთან სხვა საბუთებზეც მოაწერინეს ხელი და აქაც ჭახაჭუხით დაუსვეს ბეჭდები.

იგი გაუთავებლად რაღაცას ლუღლუღებდა, მაგრამ მისთვის არავის სცხელოდა, რადგან ხმა დაირხა, აუქციონი ზუსტად სამ საათზე დაიხურებაო და ატყდა განგაში, შეხლა-შემოხლა და ამ არეულობაში, რიგიდან კინწისკვრით გამოაგდეს, რის შემდეგაც დათრგუნული სახით გეზი გასასვლელისკენ აიღო, მაგრამ როცა მილიციის ყოფილ მაღალჩინოსან ახმახს ჩაუარა, შედგა.

— რას მომაჩერდი... აკი, ხუთი ლარის მეტი არა მაქვსო?! — შეუბღვირა ახმახმა.

— ადამიანობას გეფიცებით, ის ათას ორასი ლარი საიდან გაჩნდა, ნამდვილად არ ვიცი! — ამოიგმინა გეგამ.

— შაყირს მოუკვდა პატრონი! ყველანი ასეთი ჩუმჩუ-

მელები ბრძანდებით, ოღონდაც ვინმეს თვალში ნაცარი შეაყაროთ და, მზად ხართ, მათხოვრობაც დაიბრალოთ.

— ვინ ყველანი, ვისზე ლაპარაკობთ, ვერ გავიგე... რატომ არ გჯერათ? ამის მეტი მართლა არ მქონდა! — განწირულივით წამოიძახა გეგამ, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხუთლარიანი ამოიღო და ცხვირწინ აუფრიალა..

— გაწიე იქით, ჩვეულებრივი ხუთლარიანია!

— ამის და ხურდის მეტი არაფერი მებადა და ის ასლარიანები საიდან გაჩნდა, არ ვიცი.

— თუ ასეა, შეგიძლია ამ თანხაზე უარი თქვა, — უცებ კილო შეარბილა მისი დაბნეული სახის შემყურე ახმახმა.

— მართლა?! — სიხარულით აღმოხდა გეგას.

— როგორც ხედავ, დღეს შენთვის აქ არავის ეცლება, ხვალ შემოიარე... მაგრამ ჩემი აზრით, სისულელეს ჩაიდენ. ჯერ ერთი, ბანკში ჩარიცხული თანხის ანულირება არც ისე მარტივია. მეორე კიდევ, აუქციონში მონაწილის შევსებული ბლანკები ხელში გიჭირავს... ცხოვრებას რატომ ირთულებ, არ ვიცი?.. გირჩევნია, ეგ საბუთები ჯიბეში ჩაიდო და გზას ბარაქა დააყარო...

გეგა მდუმარედ შეჰყურებდა რიხით მოლაპარაკე ახმახს და თითქოს დაბინდული გონება გაუნათდა, გაეღიმა.

— რას იღიმები! — გაბრაზდა ახმახი.

— მივხვდი, ჯიბეში ის შეკრულა ნაღდად თქვენ ჩამიცურეთ...

— ჩაგიცურე, არა!.. შენ რა, ალტრუისტი ხომ არ გგონივარ?! — შეუბღვირა ახმახმა.

— როგორ გეკადრებათ, თქვენთვის შეურაცხყოფის მიყენება სულაც არ მიფიქრია!

— ისე ამბობ, თითქოს ახლახან საქვეყნოდ არ გამოგეჭენებინე!..

— ბოდიშს გიხდით.

— ეგ ბოდიში ცხვირსახოცში მაგრად გამოიკარი და ბებიაშენს მიუტანე... ახლა კი გირჩევნია, წახვიდე და აქ გადამხდარზე ცოტა დაფიქრდე! — გოროზი სახით გააფრთხილა ახმახმა, ზურგი შეაქცია და გვერდით მდგომ ახალგაზრდას საუბარი გაუბა.

გეგა ერთხანს ადგილს ტკეპნიდა, შემდეგ დაიძრა, მოგ-

ნიასე ხალხში გზა გაიკვლია და დარბაზის გასასვლელისკენ გაემართა.

კიბეზე ჩასვლისას, ვესტიბიულში მდგომ ახალგაზრდობის მეგობარს ისევ მოჰკრა თვალი. მან ვიღაცებთან ხელების ქნევით საუბარს თავი ანება და შეეგება.

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის... თუ ძმა ხარ, ახლა იმ შენს ხუთლარიანს ნუ გადაყვები, ხალხს ასიათასები მოუზიდია, მაგრამ ამ ბანდიტმა ბანკირებმა უკან შეიტენეთო, მასხრად აიგდეს... იქ თურმე, სია უდევთ და, ვინც ამ სიაშია, ბუნებრივია, აუქციონშიც ის გაიმარჯვებს, ანუ ძვირფას ობიექტებს მათ შეახვედრებენ, ხოლო ორ შაურად ღირებულ კონას — არიფებს, გასაგებია? — ქაქანით აუწყა.

გეგას ხალათის ჯიბეში ნაპოვნი ათას ორასი ლარის შესახებ უნდოდა შეეჩივლა, მაგრამ, როცა მან აუქციონი და მისი მომწყობები ასე აგდებულად მოიხსენია, გაჩუმება არჩია.

— მათ არაკეთილსინდისიერებაში თვითონაც დავრწმუნდი, — ესღა წაიბუტბუტა.

— მააშ, რა გეგონა, ეს რეკლამები სატყუარაა და მეტი არაფერი!

— ესე იგი, კიდევ ერთხელ გაგვაცურეს?

— თუ წაუწვები, რას არ გიზამენ!

— ნაძირლები! — გამოსცრა გეგამ, ბანკის ბლანკებს ათვალწუნებით დახედა, ოთხად გადაკეცა, დახია, ნაკუწნაკუწად აქცია და ჭერში ისროლა.

ქაღალდის ნაკუწები ფარფატით დაეშვნენ კიბის საფეხურებზე.

— თქვენ, ეი, ბანკის შენობას რატომ ანაგვიანებთ?! — გაისმა კარისკაცის მუქარით აღსავსე ხმა.

— თქვენი ბანკისაც და თქვენი მომგონის დედაც! — თავისთვის, გამწარებით შეიკურთხა გეგამ, მისი საქციელით ნირწამხდარი ძველი მეგობარი დაუმშვიდობებლად მიატოვა და კიბეზე დაეშვა.

ბანკის შენობიდან როცა გავიდა, ტროტუარის ფილაქანზე ფეხი მყარად დააბიჯა და მცხუნვარე მზით გაკაშკაშებულ, მანქანებით აგნიასებულ მოედანს გახედა, ბანკში

გადამხდარი შემთხვევა სიზმრად მიიჩნია, მაგრამ მაშინვე ჯიბეში ხელი ჩაიყო, ბანკში ყოფნის დამადასტურებელი ნივთმტკიცება, ხუთლარიანი ამოიღო, დახედა, ორად დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და „ნეტა ეს ალტრუისტი რა დოზანაა?.. ვინმეს გავაჩერებ და ვკითხავ“, გაუელვა — მაგრამ იქვე გადაიფიქრა და თაკარა მზით გავარვარებულ ტროტუარს ნელი ნაბიჯით გაუყვა.

მდუმარე სახლთან

ბერიკაცი დილაობით ბუზღუნ-ბუზღუნით გადაიძრობდა საბანს, მჭლე, უცნაურად გაჩაჩხულ ფეხებს გულდაწყვეტით დახედავდა, „რა დაგეტაკათ თქვე მუდრეგებოო!“ — შეუკურთხებდა, რის ვაი-ვაგლახით წამოიმართებოდა, რამდენიმეჯერ ფრთხილად ჩაბუქნავდა და პირსაბანისკენ წალასლასდებოდა.

რამდენიმე ხანში პირდაბანილი, თმადავარცხნილი და ჩაცმული სამზარეულოს მაგიდას უჯდა და ქაფქაფა ჩაის თხელ პურის ნაჭრებს აყოლებდა. დანაყრებისთანავე მაგიდას ხელის ერთი მოსმით მიალაგებდა, კედლის საათს დაქოქავდა, ლურსმანზე დაკიდებულ შავ, აწ უკვე პეწდაკარგულ, მაგრამ თბილ ქურთუკს ჩამოხსნიდა, მოიხურავდა და ეზოში გავიდოდა.

მისი მომცრო, კრამიტის სახურავიანი ქვითკირის დაბალი სახლი ხეხილით დაყურსულ ეზოში იდგა. ბაღჩა მაღალსართულიან კორპუსებს შორის სოლივით შეჭრილიყო და მათ გარემოცვაში შემთხვევით შემოხეტებულ და გაოცებისაგან გარინდულ უცხო მგზავრს ჰგავდა.

ბერიკაცის სიჯიუტე რომ არა, სახლს და ხეხილის ბაღს აქ არაფრით დააყენებდნენ. კორპუსების მობინადრენი სამი წელი მაინც ჩიოდნენ, მანქანების სადგომი გვჭირდება და ეს ქოხი აქაურობას მოაცილეთო, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. ორიოდე დღის სიცოცხლეღა დამრჩენია, მადროვეთ, მერე კი, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო, — იყო მისი პასუხი. ეს ორიოდე დღე თითქოს მათ ჯიბრზე, აგერ ათი წელია გრძელდება.

ეტყობა, კორპუსის მობინადრენიც დაიქანცნენ, თითქოს შეეგუვნენ ბერიკაცის ბაღჩისა და პატარა სახლის მათ სიახლოვეს არსებობას, თანდათან ნავსიც გატეხეს, დაუახლოვდნენ და აღმოაჩინეს, რომ კაცი, ვისაც წლების განმავლობაში უჩიოდნენ და ბაღჩის გასაჩანაგებლად თავიანთ ონავრებს უსევდნენ, ვინიცობაა, გული აიცრუოს და სხვაგან გადასახლებაზე იფიქროსო, ურიგო მოხუცი როდი ყოფილა და მის მიმართ პატივისცემით განეწყვნენ.

ეს უშვილძირო კაცი მეზობლებისთვის გაჭირვების

ტალკვესი აღმოჩნდა: ხან დაბრეცილ კარ-ფანჯრებს შეაკეთებდა, ხან მორყეულ ავეჯს განაახლებდა, მოგვიანებით კი აღმოაჩინეს, რომ ყოველ მეორე ოჯახს მაინც ედგა მისი ნახელავი სარწეველა, საკიდარი თუ სხვა ნივთი. იგი საქმეში ნელი იყო, მაგრამ ხელობა სანაქებო ჰქონდა, არც მეძვირე ეთქმოდა. შრომაში დაუზარელი და გულღია მოსაუბრე გახლდათ. ათას რამეს ჰყვებოდა, თვითონაც ათას რამეს ისმენდა. დღიური სამუშაოს შემდეგ დასვენებას ეშურებოდა. ღვინოს ისე ვერ ეწყობოდა, როგორც ლუდს, თუმცა ამასაც ნება-ნება, დაგემოვნებით წრუპავდა და ასაკისთვის შეუფერებლად არასოდეს თვრებოდა.

როცა ვინმე ცოლ-შვილს უხსენებდა, გაირინდებოდა. „ეეჰ, ერთდროულად ამომიწყდნენ!..” — ამოიკვნესებდა დახანებით. როგორც კი შენიშნავდნენ, რომ ეს კითხვა გულს უკლავდა, ამ „ამოწყდომის“ დეტალების დაზუსტებას არ თხოვდნენ და, თავის ფიქრებთან ტოვებდნენ.

სანამ ბერიკაცის სახლის ირგვლივ კორპუსებს აღმართავდნენ, ეს მიდამო მოზრდილ დასახლებას ეჭირა. უბანში ამ ოჯახის ავბედითი თავგადასავალი დაწვრილებით იცოდნენ, მაგრამ მისი ტოლებიდან ზოგი გარდაიცვალა, ზოგიც უგზო-უკვლოდ გადაიხვეწა, ახალგაზრდები მასთან იშვიათად სტუმრობდნენ და თუ ვინმე ნავსს გატეხდა, მისთვის ძველი ნაიარევის განახლებას თავს არიდებდა.

ყოველ უქმეს უბნის ტაძარში, ღვთისმშობლის ხატთან, ცოლ-შვილის სახელზე სამ კელაპტარს ანთებდა. შინ მათი კუთხე სათუთად ჰქონდა მოვლილი. ახალგაზრდა, მომხიბლველი ქერათმიანი ქალისა და თხელნაკვთებიანი, დედის ალიკვალი გოგო-ბიჭის ფოტოსურათების წინ, ტაბლაზე მდგარ ოქროცურვილ, მომცრო ლარნაკში ცოცხალი ყვავილები მუდმივად ეწყო.

სურათები თავიანთი უტყვი არსებობით თითქოს სახლში დავანებულ მყუდროებას ავსებდნენ და მის დარღვევას ბერიკაცი არასოდეს ცდილა.

მისი ხელობის კაცს მითაჟამინდელი, გამოხუნებული შპალერისა და ფარდების გამოცვლა, ფეხმორყეული სკამებისა და მაგიდების თუ ყავლგასული რკინის საწოლების გადაყრა და ავეჯის განახლება არც გაუჭირდებოდა, მა-

გრამ ერთადერთი, ძვირფასი განჯინის დამზადების შემდეგ, მალევე, მისი სამი უდიდესი სიხარული და თვალისჩინი წილად სამარემ რომ ირგუნა, თავის გასახარად ისეთი არაფერი გაუკეთებია, უდროოდ გარდასულთათვის მინიჭებული აღტაცება და სიხარული დაეჩრდილა.

* * *

მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი თმაჭაღარა ბერიკაცი აყვავებულ ბაღჩაში იდგა. წინა დღით გაპარსულ მოგრძო სახეზე წელთა სიმრავლეს თუ ბედის ჩარხის ტრიალს ღრმა კვალი გაევლო, მაგრამ ხშირი წარბებიდან გამომზირალ ცოცხალ თვალებს ბედთან შერიგების ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.

გარსშემოჯარული კორპუსებიდან გზას მუსიკის ჰანგები და ბავშვების ჟივილ-ხივილი მოიკვლევდა.

ამ შენობებში მცხოვრებმა ადამიანებმა აუტანელი, ცივი თვეები ძლივს გადააგორეს. ასეთ სუსხიან და მშიერ ზამთარს ქალაქი დიდი ხანია არ მოსწრებია. შუქი წარამარა ქრებოდა. ბინებს ელექტროქურებით ათბობდნენ და, როგორც კი დენი წავიდოდა, ითოშებოდნენ. გარეთაც ყინავდა, მაგრამ ქუჩა უფრო ასატანი ეჩვენებოდათ, ვიდრე სიცივეგამჯდარ სახლებში ყურყუტი. მამაკაცები და ბავშვები ეზოში ირეოდნენ, ახრჩოლებულ ფიჩხებთან ხელ-ფეხს ითბობდნენ, ქალები და მთლად პაწაწინა ბალღები კი ფანჯრებს მიადგებოდნენ და ეზოში თავშეყრილ მოყაყანეთ გასცქეროდნენ...

ასეთ ყოფას დიდხანს ვერ გაუძლეს. კაცები დაფაცურდნენ, სადღაც თუნუქის ღუმელები იშოვეს, მოედვნენ არემარეს და, სადამდეც კი ხელი მიუწვდათ, ხეებს მუსრი გაავლეს. რამდენიმეჯერ შორიდან მოსულებმა იერიშის მიტანა ბერიკაცის ბაღჩაზეც სცადეს, მაგრამ მისმა კეთილისმყოფელებმა კუდით ქვა ასროლინეს.

„ეეჰ, ეგ დალოცვილი, ზამთარს კი გამოვარიდე, მაგრამ ამ პიტალოებს შორის ასე ბაიარაღივით აფრიალებულს როდემდე იგუებენ?!” — გულისტკივილით გაიფიქრა

ბერიკაცმა და თეთრად გადაპენტილ ხეებს გახედა.

მთელი ზამთარი კორპუსებს იქით შიშით არ გაუხედავს. სახლს სულ ცოტა ხნით ტოვებდა. პურის რიგში მდგომი ილაჯგაწყვეტილი, სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანები დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ. დღე არ გავიდოდა, ვიღაცა არ გაეძარცვათ, ვიღაცას თავს არ დასხმოდნენ, ღამ-ღამობით ხომ იარაღის ქუხებისაგან ყურთასმენა არ იყო. ხალხი უღიმღამო არსებობისათვის განწირულს ჰგავდა. მთავრობის უსუსურობა და გულგრილობა საგონებელში აგდებდათ. დაბეჩავებულთ და გათითოკაცებულთ ხმის ამოღების თავიც არ ჰქონდათ.

გაგონილით შეძრწუნებული, ფეხაჩქარებით ბრუნდებოდა შინ. სახლში გამამხნევებელი სიმყუდროვე ხვდებოდა. ნავთქურაზე ორ-ორი ცალი აგური ჰქონდა-ხოლმე შემოწყობილი და ოთახში სითბო ტრიალებდა. კუთხეში მიდგმულ რკინის ჭრიალა საწოლზე ჩამოჯდებოდა, სულს მოითქვამდა და ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ, დასამთავრებელ ხის ნაკეთობებს ხელს შეავლებდა, შემდეგ რამე კერძს სახელდახელოდ მოიმზადებდა, ან წინა დღით მონარჩენს შეათბობდა და ისადილებდა. დაღამებამდე ბაღჩაში რამდენიმეჯერ გავიდოდა, განძარცვულ ხეებს სევდიანი სახით თვალს მოავლებდა. ხმის გამცემი არავინ რომ არ ჰყავდა, მათ ებაასებოდა. დაღამდებოდა თუ არა, ჩაის დალევდა, ნავთქურას ჩააქრობდა და წვებოდა.

აუტანელი იყო ჩალუსკუმებული, გრძელი ღამეები. ახლომდებარე კორპუსების სადარბაზოებიდან შეშის ჩეხვის ხმა მკაფიოდ აღწევდა. ნედლი ხე იმ გათოშილ სადგომებში დიდ სითბოს ვერ დაატრიალებდა, მაგრამ ქალები დილიდანვე რაიმე კერძის მომზადებას თავს რომ მოაბამდნენ, ესეც სიკეთე იყო.

ბერიკაცს ზოგიერთთა სიმხნევე აოცებდა. მიუხედავად სიდუხჭირისა, მაინც ქაქანებდნენ, იცინოდნენ, მიჰქონდ-მოჰქონდათ რაღაცა. მთავრობამ ხელი დაიბანა, თქვენს თავს, როგორც გინდათ, ისე მიხედეთო და ვისაც რისი შნო და უნარი აღმოაჩნდა, იმის მიხედვით დატრიალდა.

თავიდან კორპუსების პირველ სართულზე განლაგებულ მაღაზიებსა და სახელოსნოებს შეესივნენ, ლამაზად

გაფორმებული ვიტრინები ჩალეწეს, თვალის დახამხამებაში გააქრეს საქონელი, დახლები, ბოლოს კარებიც კი მიაყოლეს და, ამ ახლახან კეთილმოწყობილ, ადამიანებით სავსე დაწესებულებებში ცივ ქარს დარჩა სანავარდოდ ასპარეზი.

ვინ იყო გამკითხავი, აღარც კანონი, აღარც რამის შიში! ყველა თავისი შეხედულებისამებრ ან წამხედურობით მოქმედებდა. ზოგს ტყავიც მთელი ჰქონდა და კანიც, მაგრამ ტაციაობასა და ძალადობაზე ისე დაიგეშა, ახლობლებსაც არ ინდობდა.

ამ ხალხში ბევრს არ ძალუძდა ის, რის ჩადენასაც ზოგიერთები არც ერიდებოდნენ. ამათ ცხოვრების გზა პატიოსნად ჰქონდათ გავლილი და ირგვლივ ატეხილი გაუტანლობისა და დაუნდობლობის გამო გაოცებას ვერ ფარავდნენ. ჩუმად, თავჩახრილნი შრომობდნენ, ამხნევებდნენ ირგვლივ მყოფთ, რისკის ფასად ვიღაცის აბუჩად აგდებას თუ ძალადობას ეწინააღმდეგებოდნენ და მათი შემხედვარე ბერიკაციც თავს ძალას ატანდა, არ ჩაწოლილიყო, რამე მაინც ეკეთებინა, ვინმესთვის თუნდაც კეთილი სიტყვა შეეწია.

ბოლო ხანებში მხოლოდ ხის კოვზებისა და ფიალების გათლასღა ახერხებდა, მეტროსთან, ჯიხურში აბარებდა, უყიდდნენ და სანამ ახალ წყვილებს დაამზადებდა, თავი იმ გროშებით გაჰქონდა. ახლა მასალა არა აქვს. რომც ჰქონდეს, დიდი ზომის ნაკეთობებს ვერც მოერევა. ძალღონე ისე დაეშრიტა, საჭრეთელს ძლივს იმარჯვებს და არშიებს გამოკვეთილ ფორმას წვალებით აძლევს. საკუთარი ნახელავი თვითონ თუ არ მოეწონება, საცოდავად ნაჩორკნი ნივთი ვის დააინტერესებს...

ოდნავ რომ დათბა, კორპუსებს გაღმა გაემართა, იქნებ ხეებს დაცვენილი ნაფოტები მაინც ვიპოვო და რამეში გამოვიყენოო.

როგორც კი გადაშიშვლებულ, გაუდაბურებულ გორაკებს თვალი მოავლო, ცრემლი ვერ შეიკავა.

იმ დღიდან იქითკენ არც გაუხედავს. როგორც კი მოშრიალე კაკლების ადგილზე მოშიშვლებულ მიდამოს წარმოიდგენს, ტყვიანაკრავივით შეკრთება.

* * *

მისი სახლის წინ აღმართული შენობის მეორე სართულის აივნიდან შუახნის, შეჭაღარავებული კაცი გადმოჰყურებს.

მიესალმა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ნიკო! — მოიკითხა.

— ბრძანება სადღაა, შენი ჭირიმე, ძლივას მიდგას სული! — უპასუხა, ჭიშკარი გულდასმით ჩაკეტა და ქუჩას გაუყვა.

პურის მაღაზიაში რიგი დაიჭირა. ყურადღება არავის მიუქცევია. ახალგაზრდა გამყიდველმა ქალმა თავი ნაჩქარევად დაუქნია, ხურდა გამოართვა და პური გამოუწოდა.

მაღაზიიდან მეტრომდე გზა დამქანცველი გამოდგა. ადრიანი დილის მიუხედავად, სავაჭროდ გამოფენილი ხალხის ტევა არ იყო. ზოგს საკუთარი ნივთი გამოეტანა და უხერხულად იშმუშნებოდა, ზოგსაც ზედვე ეტყობოდა, ვაჭრობა ხელობად გაეხადა. ადრე ამას სპეკულაციას ეძახდნენ და კრძალავდნენ, ახლა ბიზნესს უწოდებენ. ესენი ერთ ადგილას შეძენილ საქონელს ას ნაბიჯზე ორმაგ ფასად ჰყიდიან, ლამისაა, მეტროსა და დაწესებულებებში შეიჭრან.

ირგვლივ სიბინძურე და უწესრიგობაა. ერთი ქალი ნაგავსაყრელთან ჩაცუცქულა და ყველსა და მაწონს ყიდის. ოღონდაც თვითონ იხეირონ და, ვისაც გინდა, გააცურებენ. არც იმაზე იდარდებენ, მათი საქონელი ვინმეს სახადს შეჰყრის თუ უბედურებას...

„უნამუსობის დოღია, მააშ! — გაიფიქრა ბერიკაცმა და ზიზილ-პიპილებით დახუნძლული დედაკაცების გრძელ რიგს გახედა, — ამ ჭყეტელა ნივთებით ადრე ჩაჩნის ქალები ვაჭრობდნენ. ახლა ჩვენები დაემსგავსნენ ჩაჩნებს. ზოგიერთებმა ისინი უტიფრობითაც უკან მოიტოვეს. გაჭირვებული თავმდაბალია, ერთი სული აქვს, ხელი დაიცალოს და სახლს მიაშუროს, ეს გაციგნებული დედაკაცები კი უშნოდ შეხანხლულ დახლებს უსხედან, ხორხოცებენ, აქვე ჭამენ, აქვე სვამენ ჩაის და ყავას, ოჯახის ამბებზე დაურიდებლად, ხმამაღლა ჭარტალებენ. მოკლედ, ქუჩა

სახლად ქცევიათ... ამაზე დიდი უბედურება რაღა გინდა!“ — მწარედ დაასკვნა თავისთვის.

— ძია კაცო, ცოტა იქით გაიწიე! — შემოესმა ფიქრებში გართულს ვიღაცის გაღიზიანებული ხმა.

ბერიკაცმა დაბნეულად მიმოიხედა. ხელში შუა ხნის დედაკაცი შერჩა, ქვაფენილზე მიმოფანტულ კარტოფილს თავს მარდად უყრიდა.

— მაპატიეთ! — შეწუხდა მოხუცი.

— პატიება შენთვის შეინახე, თვალებში თუ ვერ იხედები, შინ მაინც დაეტიე! — როყიოდ შემოუტია იმან.

ბერიკაცმა თვალი შეავლო მის უცნაურად გადიდებულ გრემა თვალებს, ღინღლით დაფარულ საულვაშესა და ფართოდ დაღებულ პირს, უსიამო გრძნობით ძლეულმა, პასუხის ღირსად არ ჩააგდო, უგანა, ქუჩა გადაჭრა და ერთიმეორეზე მიჯრილი ჯიხურებისკენ გაემართა.

— მადლობა ღმერთს! — სარკმლიდან შეეხმიანა წვერმოშვებული, შესუქებული ჯეელი, — სად დაიკარგე, კაცო, კვირაზე მეტია ფიალები გაგიყიდე, სწორედ დღეს ვაპირებდი შენთან ამოსვლას.

ბერიკაცმა ჯიხურს შემოუარა, შიგ შევიდა, დამხვდურს ხელი ჩამოართვა და მერხზე დაეშვა. დაქანცულიყო. სული ოდნავ რომ მოითქვა, შეფუთული საგნებით გამოტენილ ჯიხურს დაბინდული მზერა მოავლო.

— აღარ იტყვი, როგორა ხარ? — ჰკითხა დამხვდურმა.

— ვუძლებ, რა, — მოკლედ უპასუხა ბერიკაცმა.

— მიხოს დედა, ანიჩკა რომ მომკვდარა, გაიგე?

ბერიკაცი შეკრთა.

დამხვდური ყურადღებით დააკვირდა.

— რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილები ვაართ! — სიტყვის მასალად მოაყოლა მოგვიანებით.

ბერიკაცი დუმდა. ჯიხურის სარკმლიდან აყაყანებულ ქუჩას გასცქეროდა.

— ის უბედური გუშინღამ გათავებულა!.. ჰოდა, ამ დილაუთენია მიხო მომადგა, ნიკოსთან მიმყე, სხვა საშველი არა მაქ, დედაჩემს კუბო იმან უნდა გაუმართოსო... დახე, რა დრო დაგვიდგა, კაცს გამზრდელი დედა ქრისტიანულად ვერ დაუმარხია. არადა, რა ქნას, ან ვალები უნდა დაი-

დოს, ან სირცხვილით ქუჩაში თავი ვეღარ გამოყოს...

ბერიკაცს სახე გაქვავებოდა. წყენით მართლაც ეწყინა მიხოს დედის გარდაცვალება. „საწყალი ანიჩკა!“ — გულდაწყვეტით გაიფიქრა თავისთვის. ცოლის დაქალი იყო. ახალგაზრდობაში მისებრ კისკას გოგოს უბანში ვერ შეხვდებოდი. მის დანახვაზე უბნელ ბიჭებს ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. თავისდა ჭირად, მიხოს მამას, ერთ უდღეურ ტიპს გადაეყარა, იმან ცხოვრება მოუწამლა და დაანელა, მერე ცალკე ამ მიხომ ისე გატანჯა, სიკვდილი მისთვის სწორედ რომ მისწრება იქნებოდა.

— მომრიგებელი რიღასთვის ჭირდებოდა, თვითონ ვერ მობედა?! — ბერიკაცს წყენა შეეტყო.

— მაგასთან პირშავადა ვაარ და იქნება მიმეგზავნოო. ალბათ, შენგან იარაღები რომ ითხოვა და დაკარგა...

— კი არ დაკარგა... ახლა ეგეები რა დროისაა, თორემ ორი საათით ინათხოვრა და ბოთლ არაყში გაცვალა... ისე, ის იარაღები მოგვიანებით უკლებლივ დავიბრუნე.

დამხვდური ერთხანად ყოყმანით შეჰყურებდა, მერე ჯიბიდან შუაში გაკეცილი რამდენიმე ბანკნოტი ამოიღო, გადათვალა და გაუწოდა. ბერიკაცმა ფული ხელში ტლანქად მოჭმუჭნა და ჩაიდო ჯიბეში.

— მაშ, არ დაეხმარები? — რიდით ჰკითხა დამხვდურმა.

— საწყალ ანიჩკას რამეს როგორ დავამადლი... მიხოსგან კაცი რომ ვეღარ გამოდნა და მამამისის ასლია, რა ანიჩკას ბრალია!.. ან იმ წყენის გახსენება ახლა რა მოსატანია, მაგრამ... მე ხომ მეკუბოვე არა ვარ, მასალაც არა მაქვს, დაზგასაც უდენოდ ვერ დასძრავ, ეს დენი ისე წარამარა მიდი-მოდის, რო... მაგის გარდა, ხომ დაინახე, მაგ ფიალებსაც ძლივს ვჩორკნი. გაოცებასა ვარ პირდაპირ, სად გაქრა ეს ჯანი! — თქვა და თითქოს ამის დასამოწმებლად მუხლებზე დაწყობილ თავის დიდ, მოუხეშავ ხელებს დააჩერდა.

— ესე იგი, ვერ გაუკეთებ?..

— დაკრძალვა როდისღაა?

— ხუთშაბათს.

ბერიკაცმა თითები დამარცვლა და ჩაფიქრდა.

— გამოდის, სამ დღეში. თუ საშველი არაა, სხვარიგად

როგორ მოვიქცე, ჰა?.. კეთილი, გადაეცი, მასალა იშოვოს და საღამოს გადმოვიდეს. ისიც გადაეცი, თუ ვინმე არ დამახმარა, მარტოკა ვერაფერს გავხდები.

— შენ კი გაიხარე ნიკო, ასეც ვიცოდი, გული არ მოგითმენდა!..

— ეეეჰ! — ამოიოხრა ბერიკაცმა და ხელი ჩაიქნია, ოღონდ ვერ გაიგებდი, ქების, თუ თავისი დამყოლი ხასიათის გამო, წამოდგა და ჯიხურიდან გავიდა.

* * *

საღამო ჟამს ჭიშკარი შუა ხნის კაცმა მორიდებით შეაღო, ეზო დუნე ნაბიჯით გადაჭრა, სახლის აივანზე მჯდომი ბერიკაცის წინ შედგა და რიდით მიესალმა. სტუმარს შესაბრალისი გარეგნობა ჰქონდა. უდროოდ მობერებულსა და ავადმყოფურად გამხდარს სამოსი ტანზე ნასხვისარივით ადგა. მოხუცმა ივარაუდა კიდეც, შესაძლოა ნაჩუქარი ან ნათხოვარიაო. ამას კიდევ არა უშავდა, უფრო დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი ის იყო, თვალებში ღრმა სევდა და უიმედობა ჩაჰგუბებოდა.

ეს კაცი მისი შვილის თანატოლი იყო. თეთრ პერანგსა და ზოლებიან მოკლე შარვალში გამოწყობილს მოიყვანდა ხოლმე მათთან ანა... ანიჩკა, როგორც მას უბანში ეძახდნენ. ბიჭი ფერ-ხორცით დედას ჰგავდა, მაგრამ მამის სიზანტე გამოჰყოლოდა.

ბავშვები ლაღად ერთობოდნენ, ხეებზე დაძვრებოდნენ, ზოგჯერ წაიკინკლავებდნენ კიდეც. ანა და ნიკოს მეუღლე იქვე თუთის ჩეროში ისხდნენ, ბაასობდნენ, ეხმიანებოდნენ ბავშვებს. მერე ისინი მიდიოდნენ და ნიკოს შვილებს ერთთავად პირზე მიხოს სახელი ეკერათ.

„ნუთუ, ეს ის ბიჭია, თითქმის მოხუცი და დაჩაჩანაკებული... ჩანს, დიდი უბედურება დატრიალებულა მის თავს. გასაგებია, ახლა ირგვლივ არავის ულხინს, სიდუხჭირემ ბევრი დაჩაგრა, მაგრამ ეტყობა, ამ კაცის სული სხვა რამეს შეუწრიალებია... ალბათ, ამას იქით უფსკრულია!.. — გაიფიქრა ბერიკაცმა და ამ უფსკრულის წარმოსახვამ

მასზე შემზარავად იმოქმედა. სადღაც მის წიაღში ნელ-ნელა დაიძრა სითბოსმაგვარი, თითქოს ბლანტი მასა, თან-დათან მთელ სხეულს მოედო, სული აუწრიალა და ფეხზე წამოაგდო.

— დედაშენისთანა ქალი ამ კუთხეში მეორე არ იყო. სამწუხაროა, რომ ასე წავიდა... — ესმოდა ბერიკაცს საკუ-თარი მთრთოლვარე ხმა და დაბეჩავებულ, თავმოდრეკილ სტუმარს სიბრალულით დასცქეროდა.

— მე თქვენთან მოსასვლელი პირი არ მქონდა, — გაუბედავად, ხიხინით დაიწყო სტუმარმა, ჩაახველა, ხმა დაიწმინდა და თითქოს მხნეობაც მოიკრიბა, — მაგრამ იმან ასე ისურვა და... — ერთი წუთით აიხედა, ბერიკაცის სახეს დაკვირვებით შეავლო თვალი და დაამატა, — ვიცი, ნიკო უარს არ მეტყვის, მე და მისი მაიკო ხომ განუყრელი დობილები ვიყავითო...

ამ სიტყვებმა ბერიკაცზე მეტად დამთრგუნველად იმოქმედა. ქალს მიცვალებამდე თავის მუდმივ ბინაზეც წინდაწინ უზრუნია. „მაინცდამაინც რაღა მე ამირჩია!“ — გაუელვა, — „მაგრამ ჰქონდათ კი არჩევანის ფუფუნება?.. ალბათ, ესეც ჩემი ბედია“, — გაიფიქრა აფორიაქებულმა. ხელი გაუწოდა წინ მდგომს, დაჯდომა შესთავაზა, „ემ საა-თში!“ თითქოს თითის აწევით თხოვა, სახლში შევიდა, ონკ-ანი მოუშვა, ტოლჩა წყლით აავსო და სულმოუთქმელად დაცალა.

აივანზე რომ დაბრუნდა, მშვიდი იერი ჰქონდა. სტუმარ-საც სითამამე შეჰმატებოდა, ერთიანად ყურადღებადქ-ცეული შეჰყურებდა.

— რაკი ასეა, რამენაირად ვეცდები... ფიცრები არა მაქვს-თქო, შემოგითვალე, მის შოვნაზე თუ იზრუნე?

— მეზობლებმა შემიგროვეს.

— გასაგებია... ერთი დამხმარეც თუ მეყოლება, მთლად უკეთესი.

— ოღონდ მაგ საქმიდან რამე გამოვიდეს და ორსაც მოვიყვან... ისე, მთლად მუქთადაც არ მინდა...

— შენ მაგეებს შეეშვი! — უკმეხად წამოსცდა ბერი-კაცს. შეცბა, მერე კილო შეარბილა, — ყველაფერი ფუ-ლით კი არ იზომება! — დაამატა, — გამოსაკრავი ნაჭერიც

საჭირო რომ არის?

— ვიშოვი, — მორჩილად უპასუხა სტუმარმა.

— მაშ, ხვალ დილითვე მოზიდე, მე კიდევ ჩემი მხრიდან ვეცდები.

მიხო წამოდგა, მადლობის დუდღუნს მოჰყვა, მერე დაემშვიდობა და დუნე ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა.

მოხუცმა თავს უკმაყოფილება შეატყო. ეს რა სისულელეაო, გაიფიქრა მაშინვე. იცოდა, ეს საქმე მისთვის ძნელი იქნებოდა, იმდენად ძნელი, რომ ერთი პირობა ნანობდა კიდეც, უარი რომ არ უთხრა, მაგრამ ანასა და მაიკოს მეგობრობის ხსოვნამ მაინც ყოველივე გადაწონა.

კუბო ადრეც ჰქონდა ნიკოს გაკეთებული, ისიც ერთდროულად სამი, სამივე თავისი ოჯახის წევრებისთვის. მათ გაკეთებას კი მთელი თავისი სასიცოცხლო ძალა მოანდომა მაშინ და, გასაკვირი არცაა, მეუღლის ერთადერთმა უახლოესმა მეგობარმა სამუდამო ბინის გამართვა სწორედ მისი ხელით რომ ისურვა, მაგრამ იმ დროს ახალგაზრდაც იყო და ჯანიც ერჩოდა. ახლა?.. იარაღების მოწესრიგება რომ დაამთავრა, ისე გასავათდა, ფეხზე ძლივს იდგა. ივახშმა და ადრევე დაწვა, რომ მეორე დილისთვის მხნედ ყოფილიყო.

ის ღამე ჟრჟოლვისმომგვრელი სიზმრებით იყო აღსავსე. თეთრებში გამოწყობილი ბავშვები და ორი ახალგაზრდა ქალი დააბიჯებდნენ ყვავილებით აფერადებულ ბაღჩაში და მათი ციური, უზრუნველი ხმები დილაუთენია გამოღვიძებულს ჯერ კიდევ ყურში ედგა.

უჩვეულო განწყობილებით გადაიძრო საბანი. ბოლო ხანებში მის სხეულს დაუფლებულ მხუთავს თითქოს უკან დაეხია. რამდენიმეჯერ მუხლისთავებს შეეხო. გაოცების გამოხატვაც კი ვერ მოასწრო, რომ კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

— რომელი ხარ? — გასძახა დილის სტუმარს.

— ჩვენ, ძია ნიკო! — მოესმა გაუბედავი ხმა.

— ემ საათში! — გაეხმიანა, წამოჯდა და ფეხები იატაკზე ჩამოაწყო.

წამოდგომისას დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია. ასევე ძალდაუტანებლად ჩაიცვა შარვალი, ფლოსტებში

გაუყარა ფეხები და კარისკენ გაემართა.

აივანზე მიხო, ერთი გაწლიკული ბიჭი და ვიღაც ცხვირგატეხილი კაცი იდგა.

— მოვზიდეთ, ძია ნიკო, — თქვა მიხომ მისალმების შემდეგ.

— ბარემ შემოდით, მე ემ საათში...

— აგერ დაგელოდებით, — მორიდებით უპასუხა სტუმარმა.

ბერიკაცს თავპატიჟი არ გამოუდია. ხელსაბანისკენ გაემართა, ხელ-პირი დაიბანა, თბილად ჩაიცვა და გავიდა აივანზე.

გაწლიკული ბიჭი მიხოს ვაჟი აღმოჩნდა, ცხვირგატეხილი და უსიამოდ თვალებდაქაჩული კაცი კი მათი მეზობელი. ბიჭმა რატი მქვიაო, თქვა და რაღაცით დატვირთული ჩანთა ჩამოდო ფანჯრის რაფაზე.

კიბის საფეხურებთან სხვადასხვა ზომის ფიცრები ეწყო. ბერიკაცი ჩავიდა, დაიხარა, ერთ-ერთ ფიცარს დასწვდა, გვერდზე გადადო, შემდეგ სათითაოდ ყოველი ნაჭერი გულდასმით გადაარჩია.

— ესენი არ გამოგვადგება, — თითი მარჯვნივ, გადაწყობილ ფიცრებს მიაშვირა, წაბლი ფიჭვს ზედმეტად ააჭრელებს. ახლა აიღეთ და გამომყევით, — თქვა და სახლზე მიდგმული ხის ფარდულისკენ გაემართა.

— როგორც კი დენი ჩაირთვება, სახელურებსა და კიდეებს დავამუშავებ, დანარჩენ სამუშაოს ხელით შევასრულებ. ჩემთან რომელი დარჩება?

— ორივე, — იყო პასუხი.

— ბიჭი დარჩეს, ასე მგონია, ეს უფრო გამომადგება.

— კი, ბატონო! — მორჩილად დაეთანხმა მიხო.

ბერიკაცმა კუბოს შიგნით გამოსაკრავი ნაჭერიც გაშალა, გაზომა, შემდეგ, ყველაფერი წესრიგშიაო, თქვა და მიხო და მისი მხლებელი დაემშვიდობნენ.

* * *

ბერიკაცი დღის პირველ ნახევარს ფიცრების დახერხვას და გარანდვას მოუნდა. ბიჭი მის შორიახლოს იდგა

და თვალს არ აცილებდა. დენი არა და არ მოდიოდა, რომ ჩაერთოთ, საქმეს მალე მორჩებოდნენ.

მოხუცი თავიდან მხნედ მუშაობდა, მაგრამ თანდათან დაღლილობა მოერია და ფიცრებს თითქოს ჯიბრით უძალიანდებოდა. დაქანცულს ერთი-ორჯერ ბიჭი შეენაცვლა. მოხუცი მის თამამ მოძრაობას გულისყურით ადევნებდა თვალს. ჩანდა, მის მიერ მითითებული ზღვრის გადალახვის გამო ფრთხილობდა, თორემ რომ მიეშვა, ამ ფიცრებისგან არაფერი დარჩებოდა.

მოხუცი რამდენიმეჯერ გამოელაპარაკა. ბიჭი ძუნწად პასუხობდა. გონიერი ჩანდა, ასაკისთვის შეუფერებელ სიდინჯესა და დაკვირვებულობას იჩენდა, თუმცა, ეს შესაძლოა, მწუხარებითა და მათზე მინდობილი საქმიანობითაც იყო ნაკარნახევი.

მასთან საუბრისას მოხუცი სიტყვებს ისე არჩევდა, თითქოს მათ შორის რაღაც საგანგებო ურთიერთობა ყოფილიყო. ბიჭი მოხუცს საგონებელში აგდებდა და საუბრის გაგრძელების სურვილს უკარგავდა.

სადილობის ჟამმა რომ მოაწია, სახლში გადავიდნენ. მოხუცმა მაგიდაზე თეფშები და ჭიქები დააწყო. ბიჭმა ჩანთიდან რამდენიმე შოთი პური, ფხალი, ყველი, ქორფა მწვანილი და სამი ბოთლი ღვინო ამოალაგა.

— ამისი თავი სადღა გქონდათ?! — უსაყვედურა მოხუცმა.

— ასეთია წესი და ამ წესს ხომ ვერ გადავალთ? ბრძენკაცის კილოზე მიუგო ბიჭმა, ჭიქა ღვინით აავსო და მიაწოდა მოხუცს.

— რახან წესი ახსენე, შენც დაისხი, — უთხრა მოხუცმა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გაღიმებოდა და, — „ჩემს შვილებს რომ ეცოცხლათ, მისი ტოლი ბიჭი ან გოგო მათაც ეყოლებოდათ“, — უნებურად გაიფიქრა თავისთვის.

ბიჭმაც დაისხა, პურის ნატეხი შიგ ჩააწო, მოკბიჩა, ჭიქა ასწია და მზერა ჭერს მიაპყრო.

— ღმერთმა აცხონოს შენი ბაბო, შვილო. ჩვენ იმას სიყვარულით ანიჩკას ვეძახდით, კოპწია ქალი იყო, აფსუსი კია, ასეთი ალალი და ნამუსიანი ქალი წუთისოფელმა აგრერიგად რომ არ დაინდო... ჩემთვის ამ საქმეზე მძიმე

ქვეყნად არაფერია, მაგრამ ასე ისურვაო, და...

— მამაშენმა რომ ვერ მიბედოს, შენ თხოვე, ვიცი, ამ უკანასკნელი სურვილის გამო უარს არ გეტყვისო, — ძლივს თქვა ბიჭმა და თავი დახარა.

მოხუცს ჭიქა ხელში შეაცივდა. ბიჭი ძალზე მიამსგავსა ბებიას ახალგაზრდობას შუბლზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმით, ირიბად აცქეტილი თვალების ჭრილით, ჯიუტად მოკუმული ტუჩებითა და მკვეთრად მოხაზული ნიკაპით.

„ისინიც ამასავით თავიანთ ბებიას ან მე დამემსგავსებოდნენ“, — ისევ გაიფიქრა მოხუცმა.

თითქოს ამისი უარყოფა სურდა, ბიჭმა თავი ასწია და მოხუცს ქუშად ამოჰხედა. „არა, ახლა საერთოდ არ ჰგავს ბებიას. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას“, — გაუელვა ბერიკაცს და ჭიქა გამოცალა.

— გაანათლოს, — ხმადაბლა წარმოთქვა ბიჭმა და ოდნავ მოსვა ღვინო.

მისი ენაძუნწობით დაღონებულმა ბერიკაცმა, მოვალეობის მოხდის მიზნით, კიდევ ერთხელ ასწია ჭიქა, რამდენიმე ლუკმა ძლივს გაღეჭა და პირში წყალჩაგუბებულ ბიჭს ფარდულისკენ წასვლა ანიშნა.

ერთი სული ჰქონდა, სიტყვა მამამისზე, ან სულაც თავის ბაღჩაზე, ბავშვობაში აქ მოთამაშე გოგო-ბიჭებზე ჩამოეგდო, მაგრამ უხერხულობა ბოჭავდა. დიდხანს ითრია ფეხი, დიდხანს ებრძოდა თავს. ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა. ბიჭის საქმიანობით დაინტერესდა. ის ის იყო, სკოლას ამთავრებდა თურმე. საქმეს არა უშავს, ისე მიმდისო. მომავლის გეგმებზეც გამოჰკითხა. სწავლის გაგრძელებას ვაპირებო... ყოველ სიტყვას თითქოს მაჯაგანით აძრობდა. მერე ოჯახზეც ჩამოუგდო სიტყვა. მამაზე აუგი არ დასცდენია, ავად არისო, თქვა სხვათა შორის. დედა ამ ბიჭს არ ახსოვდა, დედობას ბებია უწევდა. ამიტომაც უმძიმდა მისი წარსულში მოხსენიება.

გამზრდელის გარდაცვალება გამოუცდელი ბიჭის სულს მძიმე ნაჭდევად დასჩენოდა. სიკვდილთან პირისპირ შეხვედრას ერთიანად შეეწრიალებინა. ჯერ ისევ ყურში ედგა სულთმობრძავის ხროტინი, ბოლო წუთამდე არ

მოსცილებია. გარეთ ვინ გაიყვანა, არ ახსოვს. ვიღაცის სისხლის გამყინავი წამოკივლების შემდეგ ოთახში რომ შეიჭრა, ბებია გულზეხელებდაკრეფილი, ნათელმოსილი სახით ესვენა ტახტზე.

მასთან მიახლოება გაუჭირდა. მამამ, რა მოგდისო, უსაყვედურა. ბიჭის თავს ძნელად ასახსნელი რამ ხდებოდა. ცრემლი გაუშრა. ვერაფრით ხვდებოდა, აგრერიგად რამ გაუქვავა გული. ეზოში იდგა და გარდაცვლილის ოთახში შესვლას ვერ ბედავდა. რამდენიმეჯერ სცადა, თავს მორეოდა, მაგრამ ძრწოლა იპყრობდა...

ყოველივე ამას რომ ყვებოდა, სირცხვილი ტანჯავდა.

მოხუცმა დაამშვიდა. აუხსნა, ეს მხოლოდ გამოუცდელობისა და სასოწარკვეთის შედეგია, არაფერ შუაშია გულგრილობა, თავს ნუ იდანაშაულებ, ასეთი რამ ბევრს ემართება, ზოგჯერ ძნელი გადასალახია, მაგრამ დროთა განმავლობაში ურვას როგორმე გაუმკლავდებიო...

ბიჭს თავისებურმა აღსარებამ და მოხუცის სიტყვებმა სიმხნევე შემატა, გული თითქოს საგულეში ჩაუდგა. თანდათან კუშტი ნაკვთები დაურბილდა, სახეზე ნათელი მოეფინა, ხოლო მოკუმული, სილურჯეშეპარული ტუჩები ბროწეულისფრად აუღვივდა.

საღამოს, როცა კუბო შეკრეს, მთავარი საქმე მოილიეს და რაღაც წვრილმანები დილისთვის გადადეს, მოხუცმა წვერი გაიპარსა, სამოსი გამოიცვალა, ბაღჩაში ყვითელი ვარდები დაკრიფა და ბიჭის სახლის გზას დაადგნენ.

მიცვალებულის ოთახში ფეხი რომ შედგეს, მოხუცს ყელში ცრემლის გორგალი მოაწვა. ანას უმცროსი და მოთქმა-გოდებით დახვდათ. ბერიკაცმა გვერდით მდგომ ყმაწვილს ოდნავ უბიძგა. იგი ბავშვურად ასლუკუნდა, მერე ხმამაღალ ქვითინს მოჰყვა და მიცვალებულს ზედ დაემხო.

ჭირისუფალი ქალი დისწულის შვილს თავს ევლებოდა, საალერსო სიტყვებს არ იშურებდა და ყოველ ფრაზას, „ავაჰმე, ჩემი დაიას თვალისჩინოო“, აყოლებდა. მერე ნიკოს მიუბრუნდა, ანასა და მისი ცოლის მეგობრობა და ყმაწვილქალობა გაიხსენა, მიცვალებულის ანდერძის ხსენებაც არ დავიწყებია...

ბერიკაცი ეზოში თავშეყრილ ძველ ნაცნობებსა და მეზობლებს შეხვდა. მათთან საუბარსა და ურთიერთმოკითხვაში გართულს ბიჭი გვერდიდან არ მოსცილებია. მამამისმა ორჯერ მიიხმო. ორივეჯერ უმალვე დაბრუნდა. მოხუცმა შინ წასვლა რომ დააპირა, ბიჭმა სახლიდან ქაღალდში გახვეული ქილა გამოიტანა.

— ჩემთან მოდიხარ? — ჰკითხა მისი ყურადღებით ნასიამოვნებმა ბერიკაცმა

— შინამდე მიგაცილებთ. აგერ, ლაქიც მოუტანიათ, — მიუთითა ქილაზე.

— მაშინ გზას დავადგეთ, — ბიჭს მკლავში ხელი გამოსდო და ჭიშკრისკენ დაიძრა.

ქუჩაში რომ გავიდნენ, მოხუცმა მიხოს სახლს გახედა. ამ ოჯახის ენით აუწერელმა სილატაკემ და სახლის გვერდზე გადაბრეცილმა სახურავმა ერთიანად შეძრა.

ნანახისა და განცდილისაგან მოხუცს კრიჭა შეჰკვროდა. თვალწინ ედგა მიხოს ეზოში თავშეყრილი გატანჯულსახიანი ადამიანები. როგორ ბრძანდებითო, რომ ჰკითხავდა, ვარსებობთ, რაღაო, პასუხობდნენ, და მართლაც, მათი იერი მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე მეტყველებდა.

* * *

ბერიკაცის ეზოს წინ კაცები შეყრილიყვნენ და რაღაცაზე გაცხარებით ბჭობდნენ. მათ დანახვაზე ერთბაშად მიჩუმდნენ. ერთი მათგანი შეეგება.

— ნახევარი საათის წინ თქვენთან ორნი იყვნენ, გიკითხეს, მერე, გვეჩქარება, ამ დღეებში უეჭველად მოვაკითხავთო, დაიბარეს.

— ნეტა რა საქმე ჰქონდათ? — იკითხა გაოცებულმა მოხუცმა.

— გალაქვა რომ ვერ მოუსწრია, არა უშავს, ისედაც წავაო, და...

— რაზე მელაპარაკები?! — გააწყვეტინა მოხუცმა.

— კუბოზე. ეზოში „ზაპოროჟეცი“ ეყენათ, სახურავზე ისე მოხერხებულად შედგეს, გავოცდით.

ბერიკაცს გულმა რეჩხი უყო. ბიჭს გადახედა.

— თქვენები იქნებოდნენ?.. ნეტა ასეთი სასწრაფო რა იყო?!

— არა მგონია, აკი ახლახან იქ დავტოვეთ! — უპასუხა გაგონილით დათრგუნულმა ყმაწვილმა.

— როგორ გამოიყურებოდნენ? — იკითხა ბერიკაცმა.

მეზობელმა ორივე კაცის გარეგნობა და ჩაცმულობა დაწვრილებით აღუწერა. ბერიკაცმა ისინი ვერც ერთ ნაცნობს ვერ მიამსგავსა. მეზობლის მონაყოლი მაინც დაუჯერებელი ეჩვენა. ჭიშკარი შეაღო, ფარდულისკენ გაეშურა და ოდნავ შეღებული კარის წინ ყოყმანით შედგა. მერე ძალა მოიკრიბა, კარს ხელი ჰკრა, ბოლომდე გააღო, ელექტროგამომრთველი ხელის ფათურით მოძებნა და გაანათა. კუბო ადგილზე არ იყო, არც დაზგა და იარაღები ჩანდა.

— ნაძირალები! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა მოხუცმა და მუხლი მოეკვეთა.

გონს რომ მოეგო, თავზე ბიჭი და მეზობლები ადგნენ. ფრთხილად წამოაყენეს და ტახტზე წამოაწვინეს. შეშფოთებულები დასჩერებოდნენ, დუმილის დარღვევას ერიდებოდნენ.

— არა, ეს რა უბედურებაა, ჰა, სხვისი კუბო რაში დასჭირდათ?! — წამოიძახა მოხუცმა, მეზობლებს სათითაოდ დააკვირდა, მერე მის თავთით მდგომ ბიჭს ახედა და მარჯვენა გაუწვდინა. ბიჭმა ხელი შეაგება. მოხუცმა ტახტზე ჩამოჯდომა ანიშნა.

— ახლა რაღა ვქნათ, ბაბუ?! — სასოწარკვეთილი ხმით ჰკითხა ბიჭს.

დაღონებულმა ბიჭმა მზერა მოარიდა.

მოხუცი ერთხანს გაქვავებულივით იყო, შემდეგ, ეტყობა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და წამოიწია.

— ექიმის მოსვლამდე არ უნდა გაინძრეთ, თქვენ ხომ იცით... — წამოიწყო მეზობელმა.

— კუბოს ექიმი გამართავს, თუ ქრისტიანი ადამიანი მიწაში თათარივით ნაჭერში გახვეული ჩავმარხოთ?! — გააწყვეტინა მეზობელს.

— ცუდად რომ ხართ?

— აგრე ცუდად მართლაც იშვიათად ვყოფილვარ, მაგრამ რამე უნდა ვიღონო, ადამიანს დაუმარხავს ხომ ვერ დავტოვებ! — მტკიცედ თქვა, ფრთხილად წამოჯდა, ფეხზე დადგა და ქანაობა-ქანაობით დაიძრა. ბიჭმა ხელი შეაშველა. მოხუცმა მარჯვენა მკლავი მხარზე მოჰხვია და მთელი ძალით დაეყრნო.

სახლის კიბე რომ აიარეს, ბიჭმა აივანზე მისი შეყოვნება განიზრახა, მაგრამ ბერიკაცი მიხურული კარისკენ ჯიუტად იწევდა. კარი ხელის ოდნავი შეხებით გააღო. შესასვლელი არეულ-დარეული იყო. ბერიკაცი წუთით გაშეშდა, მერე იმედგაცრუების ნიშნად ხელი ჩაიქნია და, როცა ბიჭს ეგონა, რომ იგი ისევ გონებას დაკარგავდა, თითქოს ნანახმა ძალა შეჰმატა, ჯიქურ წაიწია, ერთმანეთში ალუფხულ ნივთებს გადააბიჯა, სასტუმრო ოთახს გვერდი უქცია, საძინებელში შეაბიჯა, იატაკზე მიმოფანტულ სამოსს გულგრილად დახედა და მზერა კედელში დატანებულ განჯინაზე შეაჩერა.

— ეგ ულურსმნოდაა შეკრული, დასაშლელადაც ადვილია, არც გაშალაშინება ჭირდება და არც რამე. ყველაფერი ბირდაბირით, ჩაქუჩითა და ლურსმნით მოგვარდება. მგონი სხვა იარაღი არც შემარჩინეს იმ ოხრებმა.

ბიჭი ნატიფად მოჩუქურთმებულ, საუცხოო განჯინას თვალს ვერ აცილებდა. უფროსებისაგან ბერიკაცის ხელობის ქება ბევრჯერ სმენია და დარწმუნდა, რომ ოქროსხელებას ტყუილად როდი ეძახდნენ.

— არა, ამას ნუ!.. — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ბიჭმა.

— აკი თვითონ ნახე, ფიცარი მეტი არც მაბადია, იმ არამზადებმა უდაზგოდ და უიარაღოდ დამტოვეს, ხვალ საღამომდე ჭიჭინაზეც რომ გავსკდეთ, ვერაფერს მოვასწრებთ. მიდი, იმათ დაუძახე, ამის დაშლასა და ფარდულამდე მიტანაში მოგვეხმარონ.

ბერიკაცი საწოლზე ჩამოჯდა. ბიჭი მისი მეზობლებისკენ გაემართა. აივანზე მდუმარედ მდგომთ სახლში შესვლის ერიდებოდათ. ბიჭმა ბერიკაცის დანაბარები რომ გადასცა, ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, შემდეგ

დერეფანში თითო-თითოდ შელაგდნენ. არეულ-დარეული დერეფნისა და სასტუმრო ოთახის დანახვაზე აღშფოთება ვერ დაფარეს. საძინებელში შესულთ, უნდოდათ ძარცვის გამო თავიანთი გულისწყრომა გამოეხატათ, მაგრამ ბერიკაცის დამშვიდებულ სახეს თვალი რომ ჰკიდეს, ხმა ვერ დაძრეს.

— თქვენთან ერთი სათხოვარი მექნება, — წამოიწყო ბერიკაცმა და მეზობლებს მზერა სათითაოდ მოავლო, — ეს ამბავი მგონი მხოლოდ ჩვენ ვიცით... და თქვენი კაცობის იმედი მაქვს, ჩვენ შორის მოკვდება... რატის მამას სიტყვა მივეცი და ეს სიტყვა როგორმე შემასრულებინეთ!

მეზობლებს ხმა არ გაულიათ, განჯინა მორჩილად დაშალეს, ფარდულში გადაზიდეს და უკვე გვიანი ღამე იყო, როცა მოფუსფუსე, სასწაულად ჯანზე მოსული ბერიკაცი და მის სიახლოვეს გატრუნული, თვალ-ყურად ქცეული ბიჭი მარტო დატოვეს, ქუჩაში გავიდნენ, ერთხანს მძარცველებზე, ირგვლივ გამეფებულ გაუტანლობაზე, ბერიკაცის ერთი შეხედვით უცნაურ, მათთვის აუხსნელ სიჯიუტეზე და ძალების მოჭარბებაზე ისაუბრეს და დაიშალნენ.

* * *

მიხო კუბოს წასაღებად რომ მივიდა, თავიდან იფიქრა, ბერიკაცს რაღაცა შეშლოდა, მაგრამ შვილმა, ბებიასიაო, რომ დაუმოწმა, გაკვირვება ვერ დაფარა. ირგვლივ უვლიდა კაკლის ხის კუბოს, „ეს რა უცნაური რამ გაუკეთებია, კაცოო!“ — ჩურჩულებდა თავისთვის. ჩუქურთმები კუბოს არც შეეფერებოდა. ერთმანეთს ჩახვეული ვაზის რტოებით ჰქონდა გვერდები დამშვენებული, ხოლო სახურავზე თმაგაშლილი ქალის ფიგურა განოლილიყო. ასეთ კუბოს მიხო პირველად ხედავდა. კინაღამ წამოცდა, ეგ ქალი რაღა საჭირო იყოო, მაგრამ ამდენი რამის გამოკვეთა როდის მოასწარით, ამ ზომაზე თქვენი შეწუხება როდი მინდოდაო, ამისი თქმაღა მოახერხა.

ბერიკაცმა მიხოს კუბო ფარდულიდან ისე გაატანინა და მანქანის ძარაზე ისე შეადგმევინა, გონზე მოსვლა არ აცალა.

გამომშვიდობებისას, ბიჭს შუბლზე აკოცა, მადლობის თქმაც არ აცალა, თავზე ხელი გადაუსვა, ხმადაბლა, მრავლისმეტყველად — „აბა, შენ იციო!“ — გაამხნევა და უბიძგა.

ბიჭი მანქანის ძარაზე ავიდა და თავდახურული კუბოს გვერდით ჩამოჯდა. მანქანამ ქუჩის ბოლომდე ისე მიაღწია, ბერიკაცისთვის თვალი არ მოუცილებია.

ბერიკაცი ღია ჭიშკართან იდგა და მიმავალთ კვალში გაჰყურებდა.

„ეგ ბიჭი ჩემი რომ ყოფილიყო, ორ წვეთ ცრემლს ხომ ჩემთვისაც გამოიმეტებდა!“ — გულდაწყვეტით გაიფიქრა რატომღაც.

მანქანა თვალს რომ მიეფარა, ჭიშკარი ჩაკეტა, სახლისკენ ძლივძლივობით დაიძრა, აივანზე ავიდა, თეთრად აფეთქებულ ხეხილის ბაღს თვალი მოავლო, „რა ლამაზია!“ — ნეტარებით გაიფიქრა და, ის იყო, სახლში შესვლა დააპირა, რომ უეცრად ყოვლისგამსრესი სიმძიმე მხრებზე ზვავივით დაატყდა. წაფორხილდა. აივნის მოაჯირს ხელები ჩაავლო. ეზოს გაღმა მდგარი კორპუსები თითქოს შექანდნენ. ბერიკაცი აივნის მოაჯირს მკერდით დაეყრდნო და რამდენიმე ხანს გაყუჩდა, შემდეგ ძალა მოიკრიბა, მიტრიალდა, სახლის კარი შეაღო, დერეფანში ერთმანეთში არეულ ნივთებს გადააბიჯა, სამზარეულოში შევიდა, ონკანი მოუშვა, წყლის ცივ ჭავლს სახე შეუშვირა, მოსვა, ოდნავ მოსულიერდა და გეზი საძინებლისკენ აიღო. ის იყო, სასტუმრო ოთახის კართან უნდა გაევლო, რომ შედგა. მისი ახალგაზრდა ცოლი და შვილები მოპირდაპირე კედელზე დაკიდებული ფოტოსურათებიდან მეტყველი თვალებით შემოსცქეროდნენ. ცოტაც და, კედლიდან უხმოდ ჩამოსრიალდნენ, მხრებში შეუდგნენ, სხეულის სიმძიმე შეუმსუბუქეს, სასტუმრო ოთახის ბოლოსკენ წარუძღვნენ, ძალადაშრეტილი, ტახტზე რბილად დასვეს, თავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ და ნაზი, სიყვარულით გამთბარი მზერით მოაჩერდნენ.

რამდენიმე ხანს ნეტარებისაგან გარინდული იჯდა და ცოლ-შვილის ალერსიან სახეებს მზერას ვერ აცილებდა. მთელ სხეულში სიამის მომგვრელი სითბო და სიმსუბუქე

უვლიდა. მერე მარჯვენა ხელი ტახტის თავისკენ გაიწვდინა, მთელი ძალით მოეჭიდა, წამოდგომა და სურათებთან მიახლოება დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო და იქვე მიწვა.

მის სმენას შემოსასვლელი კარის ბრახუნი მისწვდა.

„რატი ხომ არ დაბრუნდა?!“ — გაიფიქრა იმედით აღვსილმა ბერიკაცმა.

კარზე ბრახუნი არ წყდებოდა.

— შემოდი! — დაიძახა, მაგრამ მისი ხმა სასტუმრო ოთახს არ გასცდენია.

შემოსასვლელი კარი გაიღო და ვიღაცის მძიმე ნაბიჯის ქვეშ იატაკი აჭრაჭუნდა, სასტუმრო ოთახისკენ გამოემართა და კარში გამოჩნდა.

ახალგაზრდა პოლიციელი აღმოჩნდა. ტახტზე მიწოლილ ბერიკაცს თვალი რომ მოჰკრა, შედგა და საფეთქელთან ხელის მიტანით მიესალმა.

ბერიკაცი უმეტყველო სახით მიაჩერდა.

— სახლ-კარის პატრონი, ალბათ, თქვენა ხართ, — თქვა შემოსულმა.

ბერიკაცს მისი ხმა ძლივს ესმოდა, სახესაც ბუნდოვნად ხედავდა. მარჯვენა ხელით, თითქოს მზე აჭყეტდაო, თვალი მოიჩრდილა. ბინდ-ბუნდში ფორმიანი კაცის ფიგურა გამოიკვეთა.

— აქამდე, ჰო, — უღონოდ უპასუხა ბერიკაცმა.

პოლიციელს მისი ორჭოფული პასუხისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ამ დილით ორი მძარცველი დავაკავეთ და აღიარეს, რომ თქვენთვის სამუშაო ინვენტარი და მიცვალებულის სასახლე მოუპარავთ, წამობრძანდით და თქვენი კუთვნილება ჩაიბარეთ! — ხმამაღლა მოახსენა პოლიციელმა.

— არაფერი რომ არ დამიკარგავს? — დახანებით უპასუხა ბერიკაცმა.

— როგორ, ისინი ამტკიცებენ, რომ თქვენი სახლიდან წაიღეს, და...

— შეშლიათ.

— ვის რა შეეშალა, არ ვიცი, მაგრამ მათ აღიარეს, რომ თქვენ მოგპარეს. ეგერ, ყველაფერი მოვატანინეთ, ის ორი მძარცველიც იქაა და თქვენი საკუთრება უნდა ჩაიბაროთ.

— ვერა!..

— ისინი ამტკიცებენ, რომ სასახლე თქვენი გაკეთებულია და სხვა რამეებზე თუ არა, ამაზე მაინც უარს როგორ ამბობთ.

— ჩემი არაა და...

— თქვენ ისე დამაბნიეთ, როგორ მოვიქცე, არ ვიცი! — წამოიძახა საგონებელში ჩავარდნილმა პოლიციელმა.

— ეს არც მიფიქრია...

— ფარდულისა და სახლის დათვალიერებისას აშკარად დავრწმუნდით, რომ იმათ ნამდვილად გაგძარცვეს. ყველაფერს მოწმეების თანდასწრებით დაგიტოვებთ და თუ ახლა არ გცალიათ, საქმის დეტალურად გასარკვევად სხვა დროს მოგაკითხავთ.

— ვერ დავიტოვებ!

— მაინც, რატომ?! — გაოცდა პოლიციელი.

— იმათ დაუბრუნეთ და შემეშვით!

— გეტყობათ, კარგად ვერა ხართ... — წამოიწყო პოლიციელმა.

— ვკვდები! — დამარცვლა ბერიკაცმა.

— მით უმეტეს, ეს სასახლე ძალიან გამოგადგებათ, თქვენს ჭირისუფალს ამაზე სირბილი მაინც არ დასჭირდება, — უკბილოდ გაიხუმრა ფორმიანმა.

ბერიკაცს სახეზე სიმწრის ღიმილმა გადაურბინა.

— წადით, სიკვდილი მაცალეთ!

მისი ბოლო სიტყვები ქვესკნელში ჩასულის მუდარად გაისმა.

ახალგაზრდა პოლიციელი ამ უცნაურ ბერიკაცს გულისყურით მხოლოდ ახლა დააკვირდა და მისმა თითქმის უსიცოცხლო სახემ საგონებელში ჩააგდო. მიტრიალდა და, თითქოს ბერიკაცის მყუდროების დარღვევის შიში ჰქონოდა, დერეფანი ფეხის წვერებზე გაიარა, კარი უხმოდ გააღო, გავიდა, უხმოდვე გაიხურა და ჭიშკრისკენაც ფეხის წვერებზე გაემართა.

— რავა მთვარეულივით მოაბიჯებ, შე შობელძაღლო! — შეუკურთხა ქუჩაში დანჯღრეულ წითელ „ზაპოროჟეცთან“ მოწრიალე შუა ხნის პოლიციელმა.

— უფროსო, იმ მოხუცმა თქვა, ვკვდებიო! — ქუდთან

ხელის მიტანით ამცნო და დაბნეული სახით სახლისკენ მიუთითა ახალგაზრდამ.

— რას მიერეკები, ხომ არ დაუსტვინე?! — გაუწყრა დამხვდური.

— არა, უფროსო, წადი, სიკვდილი მაცალეო... მე კიდე მომაკვდავს იძულებით ვალაპარაკებდი...

— მაშ, ამას რა ვუყოთ, არ დავუტოვოთ? — კუბოზე მიუთითა დამხვდურმა.

— ეგ ჩემი არაა, წაიღეთო! — დაბნეულად ჩაილუღლუღა ახალგაზრდა პოლიციელმა.

— აი, ხათაბალაც, ეს რა ნერაზბერიხაში გამხვიეს ამ ბომჟებმა, ამათი!.. შეიკურთხა უფროსმა და „ზაპოროჟეცში“ მჯდომ ორ წვერგაუპარსავ და სახედალილავებულ კაცს თვალი დაუბრიალა, შემდეგ კი ჭიშკრის წინ წრიალს მოჰყვა. მანქანაში მსხდომებმა კანონის დამცველის რისხვის მოლოდინში თავები ჩაქინდრეს.

დამხვდურმა პოლიციელმა უცებ უაზრო წრიალს თავი ანება.

— კარგი, მე ამათ მივაბრძანებ, შენ კი აქ დარჩი და „სასწრაფოს“ დაელოდე, — მიიღო გადაწყვეტილება, მანქანაში ჩაჯდა და ადგილიდან მთელი სისწრაფით დაძრა.

ახალგაზრდა პოლიციელი ბრძანებას დაემორჩილა. ჭიშკართან იდგა და ბაღჩის სიღრმეში მდგომ მომცრო სახლს სიავის მოლოდინში თვალს არ აცილებდა. რამდენიმეჯერ სახლში შებრუნება განიზრახა, მაგრამ მომაკვდავის სურვილის წინააღმდეგ წასვლა მაინც ვერ გაბედა და გაურკვევლობაში ჩავარდნილი, „სასწრაფოს“ გამოჩენის იმედს ებღაუჭებოდა.

იმ სახლში კი ბერიკაცი კვდებოდა.

ცოლი და შვილები კედლიდან ისევ ჩამოვიდნენ და თავისკენ უხმობდნენ. ბერიკაცი მათთვის ხელით შეხებას ამაოდ ცდილობდა. მომიახლოვდითო, ემუდარებდა. ისინი უჩინარი ძალის მიერ დადგენილ სამანს არადა არ გადადიოდნენ. ის იყო, წამოიწია, ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ღონემ უმტყუნა, უკან გადაქანდა, გულის ამოყოლებით დაიხავლა, ტახტზე გულაღმა დაეცა და ღია თვალებით ჭერს მიაცივდა.

ახალგაზრდა, მომხიბლველი გარეგნობის ქალი და ქერ-ათმიანი გოგო-ბიჭი კედელს დაუბრუნდნენ და ტახტზე პირაღმა მწოლ ბერიკაცს უმეტყველო სახით დააჩერდნენ.

გარეთ თეთრად აფეთქებულ ბაღჩას გაზაფხულის კაშ-კაშა მზე დაჰნათოდა. ეზოს ჭიშკართან უცნაურად გაშეშე-ბული პოლიციელი იდგა და მდუმარე სახლს გასცქეროდა.

ახლომდებარე შენობებიდან გზას მუსიკის ჰანგები და ბავშვების მხიარული ჟივილ-ხივილი მოიკვლევდა.

ინტერნეტრაინდეები

ქალაქის პარკში, ასწლოვანი ხის ძირას, ერთიანად გაჭაღარავებული სამი მოხუცი ზამთრის პირზე გადაფრენადაგვიანებული ჩიტებივით ძელსკამზე მიყუჟულიყო და მეოთხე მეგობრის გამოჩენას მოთმინებააღჭურვილი ელოდა.

სამივეს მოხდენილად ეცვა, პირიც სუფთად ჰყონდა გაპარსული. ხელის მტევნები დაღალული მტრედის ფრთებივით მუხლისთავებზე დაელაგებინა და, შორიახლოს, აუზის ცენტრში აღმართული „ამურის“ ფიგურიდან მოწანწკარე წყლის ჭავლს მისჩერებოდა.

ხეთა ჭკნობაშეპარული ფოთლები აგურის ნაფხვენებმოყრილ ბილიკებსა და ბალახშეფორაჯებულ გაზონებზე ფარფატით ეშვებოდნენ. მანქანების შორეული გნიასი აქამდეც აღწევდა, თუმცა პარკის მყუდროებას ვერაფერს აკლებდა.

მოხუცები სიყრმის მეგობრები იყვნენ. დროთა ქარტეხილებში გამოეტარებინათ ურღვევი ურთიერთობა და ამჟამინდელი მათი ერთად ყოფნის სურვილიც ამისი გამოძახილი იყო.

— კაცო, ამ გოგიამ დროის ყადრი სიბერეშიაც კი ვერა და ვერ ისწავლა, — ბოხი, თითქმის მწუხარე ხმით სიჩუმე დაარღვია შუაში მჯდომმა მოხუცმა, მუხლზე დაფენილი მტრედის ფრთის მიმგვანი ხელის მტევანი უღონოდ აამოძრავა და წამოდგა.

მაღალისა და მხრებგანიერის მოგრძო, ჩამოქნილ სახის ნაკვთებს სიფერმკრთალე ასკეტურ იერს ანიჭებდა.

ხელები შავი მაუდის პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო, ძელსკამზე მსხდომთა წინ რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა, შედგა და პარკის გასასვლელს გახედა.

— დროის ყადრი არაფერ შუაშია, ჩემო ანდრო. თავის დროზე ცოტა მეტი ზრუნვა რომ გამოგვეჩინა, აქვე გვეყოლებოდა. ახლა, ალბათ, იმ გადასაკარგავიდან მეტროთი მოიჩქარის და ეგაა, — მიუგო მარჯვნივ მჯდომმა პირმრგვალმა, სახეღაჟღაჟა მოხუცმა.

— შეეძლო, ცოტა ადრე გამოსულიყო, — თავი უკმაყო-

ფილოდ გააქნია ფეხზე მდგომმა და პირმრგვალი მოხუცი უპასუხოდ დატოვა.

— ნუ ღელავთ, სადაცაა გამოჩნდება, — მათი დამშვიდება სცადა ერთიანად სახედანაოჭებულმა, სათნო სახიანმა მოხუცმა და ფეხზე მდგომს მიაჩერდა.

— ვითომ, რატომ წამიყრუე?.. ხელისუფლებაში ყოფნისას შენი გავლენა რომ გამოგეყენებინა, ამდენ წანწალს ხომ გადაურჩებოდა?.. მაგრამ თავის შეწუხება არ ინდომე...

— რამდენჯერ გაგიმეორო, გარეუბანში გადასვლა თვითონ აიჩემა. იმდენი ვეჩიჩინე და ვეთათბირე... ამ ჩახავსებულსა და ჩაყრუებულ სახლში ლამისაა სული გამძვრეს, ახალ უბანში ნათელი ბინა მინდაო. ვერ ატყობთ, კმაყოფილია. მთელ დღეებს სეირნობს, ვარჯიშობს და, სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ გამოიყურება.

— თავის მართლებაში ყოჩაღი ხარ... ისე, ეს ამბავი მარტო შენი ბრალი როდია, არც ერთმა არ მოვინდომეთ, თორემ...

— იქნებ ამიხსნა, რანაირად შევწინააღმდეგებოდი? — იკითხა ფეხზე მდგომმა.

— ჩვენი იმედი რომ ჰქონოდა, აქედან არ გადაიკარგებოდა, — შეეპასუხა პირმრგვალი მოხუცი.

— ამ უაზრო კამათს თავი ანებეთ, აი, მოდის, ჰკითხეთ და თვითონ გიპასუხებთ, — შენიშნა სათნო სახიანმა მოხუცმა.

მზერა პარკის შემოსასვლელს მიაპყრეს.

ტანმაღალი, ჩაფსკვნილი თმაჭაღარა მოხუცი მათკენ ნელი ნაბიჯით მოემართებოდა. ხის ძირას თავშეყრილთ შორიდანვე მიესალმა, ხოლო როცა მიუახლოვდა, ხელი სათითაოდ ჩამოართვა.

— საათზე მეტია გელოდებით, — შეაგება ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— შენ ასე არასოდეს დაგიგვიანია, სად შეყოვნდი? — ჰკითხა პირმრგვალმა მოხუცმა.

— ექსკურსიაზე, — მოჩვენებითი სიმშვიდით მიუგო ჩაფსკვნილმა.

— ოჰო, ჩვენ აქ ლოდინით ლამის დავწყდეთ, ამან კიდევ

რაღაც ექსკურსია არ მოიგონა?! — ჩაიბუზღუნა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— დრო გამოგინახია, რაღა! — უკმაყოფილება ვერც პირმრგვალმა მოხუცმა დაფარა.

— ამოასუნთქეთ, ვერა ხედავთ, ფეხზე ძლივს დგას. მოდი, ჩამოჯექი, — დაუყვავა ჩაფსკვნილს სათნო სახიანმა მოხუცმა, ჩაიწია და ადგილი გაუთავისუფლა.

ჩაფსკვნილი დაჯდა და მძიმედ ამოიხვნეშა. დამხვდურნი მის მზით გარუჯულ, აფორიაქებულ სახეს ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ.

— ბოლოს და ბოლოს, გვაღირსებ თუ არა შენს შთაბეჭდილებებს?! — ოდნავ დახანებით ჰკითხა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— მალე მივალ-მეთქი და, ჩემდა ჭირად, „მარშრუტკაში“ ჩავჯექი. ჩემ წინ მჯდომმა ვიღაც პირაღია ყმაწვილმა ტვინი წაიღო, აგე, რამხელა მშენებლობებია გახურებული, ნახეთ, ჩვენი ხელისუფლება რა მაგარიაო... ატყდა კამათი. მართალი გითხრათ, მათ აყოლას არც ვაპირებდი, მაგრამ ერთს მეტად შეუტიეს და მისი დაცვა მომიხდა. მოგვდგნენ, მაგრამ რას მოგვდგნენ. უკანასკნელი სიტყვებით გვთათხეს. არაფრის შემჩნევა არ გინდათ, მთავრობა ჩვენზე ზრუნვით დღე და ღამეს ასწორებს, თქვენ კიდევ მის ლანძღვა-გინებაში სული ამოგდითო... მიწისძვრისა და უპატრონობისგან დახლეჩილ-დანგრეულ შენობათა ფასადების ჭყეტელა ფერებით გადაღებვას რა აზრი აქვს, ვიღაცის საჩვენებლად როდემდე უნდა ვიქაფებოდეთ, ჩვენი მეზობლები „გიჟ-ვრაცუებს“ შემთხვევით როდი გვეძახიანო, — შეუტია იმან. არც ისინი ცხრებოდნენ. მარშრუტკიდან ჩავედი. ის კაციც უკან მომაყოლეს... და იცით, ვინ აღმოჩნდა?..

— მაინც? — ჩაეკითხა ფეხზე მდგომი მოხუცი.

— ქალაქის ყოფილი არქიტექტორი.

— რომელი?

—ამირანი.

— ყოფილი როის შემდეგ გახდა?!

— შენობების გადაღებვის წინააღმდეგი რომ წასულა.

— რას ამბობ! — აღმოხდა ფეხზე მდგომ მოხუცს.

— კახეთის გზატკეცილზე, სადაც ამერიკის პრეზიდენტი უნდა ჩაატარონ, შიგნიდან გამონგრეული, უკარ-ფანჯრებო შენობა ცისფრად მოუთხუპნიათ, ხოლო ფანჯრებზე მწვანე ბადეები აუფარებიათ. ამირანმა მგზავრებს სწორედ მაგ შენობაზე მიუთითა, ვისი მოტყუება უნდათ, არ ჯობია, ქალაქი ყოველგვარი გადაღებვა-გადმოღებვის გარეშე უჩვენონ, ამას ხომ დღეს არც ერთი ნორმალური ქვეყანა არ სჩადისო... ნუ სწუხხართ, ეს ქვეყნის ბიუჯეტზე არანაირად არ აისახებაო, დაიცვეს მღებავი მთავრობა...

— სულ ეს იყო?.. აკი ექსკურსიაო?..

— მე და ამირანი სხვა სამარშრუტო ტაქსში ჩავსხედით. ნეტა, ფეხით წამოვსულიყავით. გზები ჩახერგილი აღმოჩნდა. თავი სადღაც ზეითკენ გვიკრეს. ერთ უბანს წისქვილის ცხენებივით ბარემ ცხრაჯერ შემოვუარეთ... ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული, ჩამოფხავებული, გადათხრილ-აყრილია... და იქვე, ბუში რომ უნდა ჩაატარონ, მხოლოდ იმ ქუჩას აკოპწიავებენ...

— საკმარისია! — მკაცრად შენიშნა პირმრგვალმა მოხუცმა.

— არ გჯერა?

— ყველაფერი ეს შენზე ნაკლებად როდი ვიცით... ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, ესენი კი ქალაქს ღარიბი პატარძალივით რთავენ, ფერუმარილით უთხიპნიან სახეს, რომ მერე ვიღაცას სარფიანად მიასაღონ...

— რამე გამოსავალს თუ ხედავთ? — იკითხა ჩაფსკვნილმა.

— მთავრობიდან ვინმეს უნდა შევხვდეთ, ამის გადადება არაფრით არ შეიძლება, — უპასუხა ფეხზე მდგომმა.

— ჩვენთან შეხვედრას და საუბარს თუ ისურვებენ, კი ბატონო. ვერ ხედავთ, ყოველგვარ გამოცდილებაზე უარი რომ თქვეს?.. ორმოცი წლის ჯეელი უმუშევარი თუ დარჩა, სამსახურს არ აღირსებენ, ვითომ უნარს მოკლებულიაო, ჩვენ კი ორჯერ ორმოცს საცაა მივუკაკუნებთ და ვეჭვობ, ყური დაგვიგდონ, — შენიშნა პირმრგვალმა მოხუცმა.

— როგორ მაინტერესებს, ვის უსმენენ! — იკითხა სათნო სახიანმა მოხუცმა.

— პრესაში გაჟონა... პირველი მხოლოდ ერთ თავის ნა-

თესავს უჯერებს, ორი წელია, ლანდივით არ სცილდება, საზოგადოებაში გამოჩენას ერიდება, არც ინტერვიუზე თანხმდება და არც არაფერს, ისე ირჯება, თითქოს აქ არც იყოს, — წამოიწყო ჩაფსკვნილმა.

— რას იტყვით, აზრი აქვს მასთან შეხვედრას? — იკითხა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

დუმილი ჩამოვარდა.

— უნდა ვცადოთ. აბა, ასე გულხელდაკრეფილები როდემდე ვიყვეთ, — სიჩუმე დაარღვია ჩაფსკვნილმა.

— მაგ კაცთან რამდენიმეჯერ საქმიანი შეხვედრა მქონდა, მაღალი რანგის პროფესიონალია... — წამოიწყო ფეხზე მდგომმა.

— თუმცა, მამლუქი, — შეაგება პირმრგვალმა მოხუცმა.

— ვერ დაგეთანხმები. უცხოეთში სამსახური მამლუქობას სულაც არ ნიშნავს, — მისი სიტყვები გააპროტესტა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— რიგითი მოქალაქე რომ იყოს, დავიჯერებდი, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ეგაა, თანამდებობებს ლამაზი თვალების გამო არ არიგებენ, — შენიშნა სათნო სახიანმა მოხუცმა.

— ასეთი გაორებული ტიპი ნეტა, რაში გამოგვადგება. ჩვენ თავზე რამდენი რამ დატრიალდა და ერთხელ მაინც თუ გამოხატა თავისი პოზიცია ან გააკეთა რამე განცხადება? ნაღდი მამლუქია. თავისი მბრძანებლის დიდებისთვის, ალბათ, არაფერს დაიშურებს, სამშობლოს კეთილდღეობისთვის კი, როგორც ჩანს, თითსაც არ გაანძრევს, — არ ცხრებოდა პირმრგვალი მოხუცი.

— საიდან იცი?! — ჰკითხა შეცბუნებულმა ფეხზე მდგომმა .

— ამას რა ცოდნა უნდა... როცა ქვეყანა უდიდესი არჩევანის წინაშე იდგა, აქ სამსახური შესთავაზეს. უარი განაცხადა. ესე იგი, პასუხისმგებლობას მოერიდა, ალბათ, კარიერის გაფუჭებასაც. ესეცაა, ისეთი რანგის პოლიტიკოსია, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ნება არა აქვს. უფრო კარნახით მოქმედებს, ანუ მარიონეტია. ასე ზრდიდნენ თავიდან. როგორც კი დამოუკიდე-

ბელი მართვის უნარს შეატყობენ, ჩამოიცილებენ... ბოლო წლებში ამისი არაერთი მაგალითი გვქონდა. ამ მარიონეტთა ხელით მართული ქვეყანა უფსკრულის პირას აღმოჩნდა. განდის სიტყვებს შეგახსენებთ: ინდოეთისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება თუნდაც იმისთვის ღირდა, ადგილობრივ ჩინოვნიკთა კორუმპირებულობის მასშტაბები გამოვლენილიყო, რომლის შემდგომაც მათგან გათავისუფლებასა და ქვეყნის აღორძინებას უნდა შევუდგეთო...

— კი, ბატონო, გავთავისუფლდით, კორუფციის მასშტაბებიც ისე გამოაშკარავდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი შოკირებულია, მაგრამ ამ შოკიდან გამოყვანის გზების ძიებისა და გაჯანსაღების სურვილი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არავის რომ არ ეტყობა? — იკითხა ჩაფსკვნილმა მოხუცმა.

— რანაირად შეეტყობათ, როცა ისინი უცხო ქვეყნების საგანგებო ინსტრუქციებს ასრულებენ. ეკონომიკის მინისტრი რომ იტყვის, ჩვენი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია და მარტო სერვისის ქვეყნობას უნდა დავჯერდეთო, ცხადია, ვიღაცის შეკვეთას ახმოვანებს. ასე რომ არ იყოს, ამის თქმას ვერც გაბედავდა, სათბურში გამოყვანილ უმწიფარ ბღარტებს ამხელა ამბიციები იშვიათად აქვთ, — თქვა პირმრგვალმა.

— პირადად, ამათგან დიდ სიკეთეს არც ველოდები, მაგრამ ვალდებული ვარ, ვიცოდე, რა ელის ქვეყანას, რას გვიპირებს ხელისუფლება. ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, სადღაცაა დაგეგმილი, თუ?.. — წამოიწყო ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— და შენ გგონია, ის კაცი ყველაფერზე პასუხს გაგცემს? — იკითხა ჩაფსკვნილმა.

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ იმედს ვიტოვებ, თავისი ქვეყნისადმი იმდენად გულგრილიც ვერ იქნება, მის მომავალზე არ ეფიქროს. მაშინ რა უნდა აქ, რატომ დასტრიალებს თავის ნათესავს, სამშობლო რაც შეიძლება სარფიანად რომ გააყიდინოს?.. რაღაც არა მჯერა. რა თქმა უნდა, კონკრეტული, მზა რეცეპტები არ ექნება, თუმცა გამოსავალზე ნაფიქრი რომ არ ჰქონდეს, არაფრით არ შეიძლება...

— დაუკავშირდი ვახტანგს, იქნება შეგვახვედროს, — შესთავაზა ჩაფსკვნილმა.

ფეხზე მდგომმა მოხუცმა ძელსკამზე მსხდომთ თვალი მოავლო. როგორც კი თანხმობის ნიშნად თავი დაუკრეს, პალტოს ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიფა. მისალმების შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— კვირის წინ რომ მოვილაპარაკეთ, იმ საქმის გამო გაწუხებ, და აგერ...

ჩანდა, ფეხზე მდგომს მოპასუხემ სიტყვა გააწყვეტინა. იგი ერთხანად გატრუნული უგდებდა ყურს, მერე მოპასუხეს მშვიდობა უსურვა, მობილური გათიშა, ჯიბეში ჩაიდო და რამდენიმე ხანს სივრცეს მდუმარედ გასცქეროდა.

— თურმე საქმე ჩვენ რომ წარმოგვედგინა, იმაზე რთულად ყოფილა, — მწუხარე ხმით დაიწყო, ძელსკამზე მსხდომთ თვალი მოავლო და გააგრძელა, — ის კაცი გუშინ უეცრად გამგზავრებულა და არავინ იცის, დაბრუნდება თუ არა...

— მიზეზი ხომ არ დაუსახელებია? — ჰკითხა ჩაფსკვნილმა.

— სტატისტის როლს, ეტყობა, გაცლა არჩია, — უპასუხა ფეხზე მდგომმა.

— იმ კაცის გავლენა პირველზე, როგორც ვხედავთ, არც ისე შთამბეჭდავი ყოფილა, თორემ იქნებ მოვლენები სხვაგვარად წარმართულიყო...

— ანდა, პირიქით, სწორედ ასე უნდა წარმართულიყო და არა იმგვარად, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ვინ იცის, რა მისია აკისრია.

— ყოველ შემთხვევაში, იმ სისულელეებს, რასაც პირველი ყოველ ნაბიჯზე სჩადის, ეგ ნათესავი ვერ ურჩევდა. ან როგორი ასატანია, საკუთარი პოზიციის არმქონე ქვეყნის მეთაური... სულ ერთია, ნათესავი წავიდოდა თუ დარჩებოდა, იგი მაინც მართულია, ადვილად შესაძლებელია, ამ კაცმა დიდ უბედურებას გადაგვკიდოს...

— გადაგვკიდა და ეგაა. ბევრი რამ, კერძოდ კი ბუშის ჩამოსვლის წინ ქალაქის შენობათა ფასადების ეს ნაუცბათევი გადაღებვა ერთ რამეს მაგონებს... რუსი მწერალი

კოროლენკო თუ გახსოვთ? — იკითხა ჩაფსკვნილმა მოხუცმა.

— ბუნდოვნად, — უპასუხა ფეხზე მდგომმა.

— ამ მწერლის ერთი მოთხრობის სიუჟეტი ყირიმში თუ სადღაც, ზღვისპირა პატარა ქალაქში განვითარდა, მგონი პირველ მსოფლიო ომსა და რევოლუციის წლებს შორის... ქალაქის თავმა დეპეშა მიიღო, ზღვისპირა ქალაქისკენ მძიმე ტექნიკით აღჭურვილი ფლოტილია მოემართებაო. ქალაქს არანაირი თავდასაცავი საშუალება არ გააჩნდა, თუმცაღა, ჰყავდა საზრიანი ქალაქის თავი და ნიჭიერი მხატვარი. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქალაქის თავმა მხატვარს სანაპიროს გასწვრივ ტილოს გადაჭიმვა, ზედ არტილერიისა და პოზიციაზე განლაგებული ჯარის დახატვა შეუკვეთა. მხატვარმა შეკვეთა ისე ოსტატურად შეასრულა, რამდენიმე დღის შემდეგ ფლოტილია ზღვისპირა ქალაქს რომ მიუახლოვდა, ტილოზე გამოსახული ბატალია რეალობად მიიჩნია და მოსალოდნელ საფრთხეს თავი მოარიდა.

ქალაქი გადარჩენას ზეიმობდა. ღამის ქალაქის ცა მაშხალებმა გაანათა.

იმ ღამეს უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და ზღვამ ფლოტილია სანაპიროს უკან მოაყარა... შტორმი რომ ჩაწყნარდა, გემბანზე გამოსულ მეზღვაურებს სანაპიროზე არტილერიისა და შეიარაღებული ჯარის ნაცვლად, ქალაქის გასწვრივ გადაჭიმული, დაფხრეწილი, წვიმისაგან გადარეცხილ-გადღაბნილი ტილო შერჩა... და ფლოტილიამ ქალაქი ნაააღმდეგობის გარეშე, ელვისებურად დაიპყრო...

ჩაფსკვნილის მონაყოლმა მოხუცებზე დამთრგუნველად იმოქმედა. დაბნეული გამომეტყველებით სხვადასხვა წერტილს მისჩერებოდნენ.

დუმილი ფეხზე მდგომმა დაარღვია.

— საქმე ისაა, ამ ჭრელ მასაში, რომელსაც მთავრობას და ხელისუფლებას ეძახიან, ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი ცოტა ჩანს, რამდენიმე კაცის იმედით ვერაფერს გავაწყობთ, საჭიროა ძლიერი გუნდი...

— მერედა, სად ხედავ ამ ძლიერ გუნდს, ან ვინაა მისი

თავმომყრელი?.. სანამ ეს გუნდი შეიკრიბება, ქვეყანა კიდევაც დაიქცევა, — გააწყვეტინა მას ჩაფსკვნილმა მოხუცმა, — ამიტომ იდეას გთავაზობთ, — თქვა და თვალებში ჭინკები აუთამაშდა.

— ეს იდეა იმ „ექსკურსიის“ დროს მოგივიდა, თუ?.. — გაჰკენწლა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— ჩემმა შვილიშვილმა, გიომ, ამას წინათ იცით, რა მისაყვედურა? — ნირშეუცვლელად გააგრძელა ჩაფსკვნილმა, — ყველაფერი, რაც კი დატრიალდა, თქვენი პასიურობის ბრალიაო... ესე იგი, ჩვენ ვყავართ მხედველობაში...

— ეგღა გვაკლდა! — აღშფოთება ვერ დაფარა ფეხზე მდგომმა.

— ჯერ ბოლომდე მათქმევინე და მერე გაბრაზდი... ჰაერს წამლავთ, მეტი არაფერიო...

— ეს უკვე მეტისმეტია! — ხმა აიმაღლა ფეხზე მდგომმა.

ძელსკამზე მსხდომთ გაეღიმათ.

— თქვენ რომ თავის დროზე ტვინი გაგენძრიათ, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდითო და მეტად ყურადსაღები ორი იდეა შემომთავაზა...

— აბა, ჰე! — ირონია გაისმა ფეხზე მდგომის ხმაში.

— ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს გახდეს ამერიკის სატელიტი და „ნატოს“ წარამარა „ნათელი“ კომუნიზმივით ცხვირწინ გვიფრიალებს. არც კი მალავენ, მალე სწავლა-განათლებისა და ყოფის ამერიკულ წესზე გადაყვანას რომ გვიპირებენ, ქვეყნის მოწყობაც სულ მალე ამერიკული გვექნება და... ასე ნელ- ნელა გაგვაამერიკელებენ კიდეც. არადა, რა გვჭირს მათი მისაბაძი, ამერიკაზე ხნიერი სოფელში ცხრა მუხა გვიდგასო... და ასე რომ არ მოხდეს, იცით, რა ნაბიჯი უნდა გადავდგათო?!

— ამოშაქრე! — მოუთმენლად დასცდა ფეხზე მდგომს.

— დავასწროთ, და... ამერიკა საქართველოს კოლონიად გამოვაცხადოთო!..

ძელსკამზე მსხდომთ სიცილი წასკდათ. ფეხზე მდგომიღა ინარჩუნებდა პირქუშ გამომეტყველებას.

— აი, რას ნიშნავს გარეუბანში, სუფთა ჰაერზე ყოფნა.

ასეთი იდეა ხომ ქალაქის ცენტრში მცხოვრებ ყმაწვილს არასოდეს მოუვიდოდა!.. — ისევ გაკენწლა ფეხზე მდგომმა ჩაფსკვნილი მოხუცი.

— მერე, მერე? იდეის არსი ბოლომდე გაგვაცანი! — ცნობისმოყვარეობა ვერ დაფარა პირმრგვალმა.

— აქო, მოულოდნელობის ეფექტიაო მთავარი. აი, სპილო რომ ფინია ძაღლის უეცარ დაყეფებაზე შეცბება, ამისი მსგავსიო. ამ მოულოდნელობის ეფექტით უნდა ვისარგებლოთ და სანამ საგონებელში ჩავარდნილი ამერიკელები (ნეტა, რა უნდათ ამ ქართველებს ჩვენგან, რას გვერჩიანო!), აზრს მოიკრებენ, ეს იდეა მთელ მსოფლიოს მოვფინოთ და, დარწმუნებული იყავით, ხვეწნას დაგვიწყებენ, ამ საცოდავ, ერაყს გადამკიდე ამერიკას დაეხსენითო... ხოლო ამერიკის მოწინააღმდეგე ქვეყნების კოალიციას სათავეში თუ ჩავუდგებით, ბუნებრივია, წარმატება გარანტირებული გვექნებაო...

— თქვენ იმდენს იზამთ, ერთ საკონტინენტთაშორისო რაკეტას გაშანსავთ, და... არა მგონია, ჩვენს მოსაძებნად თავი ვინმემ შეიწუხოს, — შენიშნა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— გიომ ესეც გაითვალისწინა და ატომის მფლობელ სახელმწიფოებთან კონსულტაციებსაც გეგმავს.

— მაგ შენს გიოს ნიჭიერებას ვერ წაართმევ! — ქება არ დააყოვნა პირმრგვალმა მოხუცმა.

— ხუმრობას შეეშვი და მეორე იდეაზე გადადი, — თუ ეგეც საპნის ბუშტივით სიცოცხლისუნარიანია, არ გინდა, იღლიებზე თვითონ მოვიღუტუნებ და თავსაც მშვენივრად გავიმხიარულებ.

— შენ ის მითხარი, ამ ამბავს მთელ ქვეყნიერებას ასე უეცრად როგორ შეატყობინებს? — ისე იკითხა პირმრგვალმა, ფეხზე მდგომის ანგლობისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია.

— ინტერნეტით, რამდენიმე წუთში ამერიკა ხელში გვეყოლება.

— უყურე შენ! — აღტაცებით შესძახა პირმრგვალმა.

— ყველაფერი იმდენად ელვისებურად უნდა განვითარდეს, რომ...

— აქედან ცხადია, რა ჩიტსაც დავიჭერთ, გითხარი, მეორეზე გადავიდეთ-თქვა! — დაიღრინა ფეხზე მდგომმა მოხუცმა.

— რატომ, თუ ყველაფერს გულდასმით ავწონ-დავწონით და გავაანალიზებთ, არცთუ ისე ხელწამოსაკრავი...

— ერთმა ჩვენმა დეპუტატმა წლების წინ პარლამენტში რუსეთს ომი გამოვუცხადოთო რომ დაახეთქა, კარგად გახსოვთ, რა ჩიტიც დაიჭირა... თქვე კაი დედმამიშვილებო, მთლად გამოტვინდით, თუ როგორაა თქვენი საქმე! იქნება იმ ბავშვმა იშაყირა, თქვენ კიდევ, ეს დროული ხალხი ხბოებივით აკუნტრუშდით...

— შაყირობ შენ და არა ჩემი გიო...

— პირად შეურაცხყოფად კი ნუ მიიღებ... მოდი, ის მეორე იდეაც გაგვიმხილე, იქნება, ის უფრო მისაღები აღმოჩნდეს...

— ჯერ ამ იდეის ირგვლივ ვიმსჯელოთ ბატონებო და მერე...

— აკი ვთქვი, ამ თქვენს „მოულოდნელ ეფექტს“, შესაძლოა, ისეთი უკურეაქცია მოჰყვეს, ამ ქვეყნიდან ამბის გამტანის მოძებნა გაჭირდეს... ამიტომ, მოდი, მეორე იდეაც მოვისმინოთ და...

— კეთილი! — მორჩილად დაიწყო ჩაფსკვნილმა, — რაღაც ეტაპზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელმოწერებს ვაგროვებთ და ინტერნეტის საშუალებით, შემდეგ სტრატეგიაზე გადავდივართ: იმ დონორ ქვეყნებს, რომლებიც გრანტებს, ტრანშებსა და მთელ რიგ დახმარებებს გამოყოფენ, ვუგზავნით ამ ხელმოწერებს და ვარწმუნებთ, რომ მათი დახმარებები იმდენად ეფექტურად გამოვიყენეთ (ჩვენი მთავრობა მათ უჩვენოდაც მშვენივრად ატყუებს!), რომ ქვეყანამ არნახულ აყვავებას მიაღწია და დამატებით დახმარებებზე უარს ვაცხადებთ...

— აი, ეს მესმის! — სახე გაუბრწყინდა ფეხზე მდგომ მოხუცს, — ასე გეთქვა თავიდან, — რაღა კოლონიალიზმითა და ანექსიით იმუქრებოდი. ბოდიშს გიხდი, შენი გიოს ნიჭიერებაში ეჭვი რომ შევიტანე... არადა, მართლაც ასეთი გონიერი ახალგაზრდები...

— ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში რომ ჩავარდეს,

ისევ რომ დაიწყოს კრიზისი, დაიმშეს ხალხი? — წამოიწყო სათნო სახიანმა მოხუცმა.

— კარგად დაიმახსოვრე: ამაზე უარეს დღეში ჩავარდნას არც ვისურვებდი. ჩვენ ჩვენივე ძალებით უნდა დავდგეთ ფეხზე და არა ნამათხოვრალით. ჯერ ერთი, ის მილიარდები, ქვეყანას დახმარების სახით რომ ეგზავნებოდა, მხოლოდ ერთი კლანის გამდიდრებას მოხმარდა და არა ხალხს. ნაუცბათევად შენობების ფასადებს იმიტომაც ღებავენ და ალამაზებენ, ვინიცობაა, ახალ დახმარებებს ხელი კიდევ გამოჰკრან... ქვეყანა როდისმე მაინც ხომ უნდა დაემსგავსოს რაღაცას... ახლა ჩემთან მივდივართ, შემოვიკრებთ თანამზრახველებს და შეტევაზეც გადავალთ. აბა! — მხედარმთავარივით შეუძახა ფეხზე მდგომმა ძელსკამზე მსხდომთ და ადგილიდან დაიძრა.

ძელსკამზე მსხდომნი შეირხნენ, ერთმანეთის დახმარებით ძლივძლივობით წამოიმართნენ და პარკის გასასვლელისკენ მიმავალ მეწინავეს ტუსტუსით გაჰყვნენ.

თვითმკვლელი

სახლი ძველი იყო, ეზოსკენ გამავალი ღია აივნებით, მაღალჭერიანი, სასტუმროს ნომრებივით ჩამწკრივებული, ადრე თითო ოთახიანი, საერთო სამზარეულოებიანი ბინებით, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუერთიანებიათ და ერთმანეთში გამავალ შიდა, ფუნქციადაკარგულ ვიწრო დერეფნებს თუ არ ჩათვლიდი, მობინადრენი საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობას არ უჩიოდნენ.

ამ სამსართულიან, ორსადარბაზოიან შენობაში თავიდან სამხედრო ყაზარმა ყოფილა განთავსებული და მიუხედავად აივნებისა და ფასადის თვითნებურად გადაკეთებ-გადმოკეთებისა, პირვანდელი იერი მაინც შერჩენოდა. ეზო დიდი, ხმაურიანი და მოუწყობელი, პირველ სართულს შესასვლელი ეზოდან, მეორესა და მესამეს კი ქუჩიდან ჰქონდა. სამივე სართული ერთიმეორისაგან სრულიად გაემიჯნათ და ყოველ მათგანზე მოხვედრილი მომსვლელი, შეუძლებელი იყო, რომელიმე მობინადრეს არ შეენიშნა, რაც ერთი მხრივ მათივე უსაფრთხოებისთვის ჩანდა ხელსაყრელი, ხოლო მეორე მხრივ, უხერხული, რადგან თავიანთ კარებამდე ათობით ცნობისმოყვარე მზერა მიაცილებდათ.

ირაკლის სხვა გზა არ ჰქონდა, უნდოდა თუ არა, თავისი ოჯახით სწორედ აივნის ბოლოს, შუშაბანდიან ბინაში უნდა დამდგარიყო. ნათელი, მაღალჭერიანი, ფართო და დიდი ოთახი იმდენად მოეწონა, სველი წერტილი რომ არ ჰქონია და ჭიქა წყლის გამო ღია აივანზე, საკმაოდ მოშორებით მდებარე ონკანამდე წარამარა სირბილი დასჭირდებოდათ, მხედველობიდან სრულიად გამორჩა. სამაგიეროდ, მისმა მეუღლემ შუშაბანდში ფეხის შედგმისთანავე შეიცხადა, მაგრამ ქალი იმდენად მშვიდი ბუნებისა იყო, ქმართან უთანხმოებას მოერიდა და ბინის ეს ნაკლი შემდგომში არც უხსენებია.

სახლის მეორე სართული, დანარჩენი ორისგან განსხვავებით, მყუდრო ჩანდა. აქ უმთავრესად მოხუცები სახლობდნენ, ზოგი მარტოხელა, ზოგიც შვილების მიერ ბი-

ნის დარაჯად დატოვებული. მათ უმრავლესობას წლების განმავლობაში კარის მეზობლების წინააღმდეგ იმდენად უშეღავათო და დამქანცველი ბრძოლები გადაეხადათ, შეუძლებელი იყო, მახსოვრობაში ერთმანეთის მიმართ ღრმა სიძულვილი თუ არა, უნდობლობა მაინც არ ჩალექოდათ.

ერთადერთი, აივანი აერთიანებდათ, რომელიც თვითნაკეთი, უზარმაზარი სკივრებითა და ძველი კარადებით ჰქონდათ დაყოფილი. ყოველი მათგანი სხვათაგან ხელშეუხებელი გახლდათ და ზაფხულის თაკარა დღეებში აივნებზე რომ გამოეფინებონენ, თავიანთ „მონაკვეთებზე“ უსხდნენ მაგიდებს, საქმიანობდნენ, ისვენებდნენ, საუბრობნენ და ისე ირჯებოდნენ, თითქოს ირგვლივ მათივე ხელით მოწყობილი ხელოვნური მიჯნები კი არა, ბეტონის სქელი კედლები ჰქონოდათ შემოვლებული.

ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ხალისით სავსე წყვილისთვის მეზობლებს შორის ჩვევად ქცეული ეს ურთიერთობა გაუგებარი და მიუღებელი იყო. თანაცხოვრების მოკლე ხანში, რამდენიმე ბინის გამოცვლა უკვე მოესწროთ, მაგრამ ასეთ უცნაურ ხალხს მანამდე არც გადაჰყროდნენ. მათი ომახიანი საუბრები და მხიარული სიცილი მოხუცთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა. აივანზე გამოსულებს რომ შენიშნავდნენ, თავიანთ ოთახებში ფართაფურთით თავს შერგავდნენ და თვალ-ყურს იქიდან ადევნებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრში დაბერებულიყვნენ, საუბრის კილოთი და ცხოვრების ნირით სოფლური ყოფის ერთგულები დარჩენილიყვნენ. ამ მანქანებით გაჭედილ ეზოში სახნავ-სათესი არ ჰქონდათ, თორემ ყოველი მათი დღე სოფლური იდილიის ნატვრითა და ყმაწვილობის დროინდელი ფერადოვანი სურათების აღწერით იწყებოდა. საკმარისი იყო, იქიდან ვინმე სწვეოდათ, რომ მოგესმინათ გაუთავებელი სჯა-ბაასი ხვნა-თესვაზე, მოსავლიანობაზე, ამინდზე და ა.შ. სათითაოდ რომ გეკითხათ, თბილისელად არც ერთს არ მიაჩნდა თავი, სიამაყით წარმოთქვამდნენ, ხაშმელი, შილდელი ან სავანელი ვარო...

ერთხელ, ღამენათევმა ირაკლიმ დილის ძილს თავი ვერა და ვერ გაართვა. კოშმარული სიზმრებიდან უეცრად უცხო ხმამ გამოარკვია. თვალი რომ გაახილა, თმაგაწეწილი, მახინჯი დედაბერი შემოეფეთა და სინამდვილე სიზმრის გაგრძელებად მიიჩნია. თავზარდაცემული წამოვარდა, ავი სულის განსადევნად დაიძრა, მაგრამ მისი გაოცება უნდა გენახათ, როცა ხელში სომხის ქალი, ვართუშა შერჩა, რომელიც კარისკენ უთითებდა და რაღაცას დუდღუნებდა. ირაკლიმ დედაბერი წინ გაიგდო, ქალი დუდღუნ-დუდღუნით უკან იხევდა, მაგრამ ზედ კართან შედგა და გარკვევით, სადაური ხარო, ჰკითხა. ირაკლიმ გაოცების მიუხედავად, უპასუხა, დასავლეთიდანო, რაზეც დედაბერმა, ჩემი პაპისპაპა აქაა დაბადებული, ეს ქალაქი ჩვენი აშენებულიაო, მიაყარა და ნიშნისმოგებით მიაჩერდა. ირაკლი ამ ნახევრადყრუ და შერეკილი დედაბრისაგან ამას ნამდვილად არ მოელოდა და თავს იმაზე იმტვრევდა, მასთან მისვლა და ამ ასბურდის მტკიცება რაში დასჭირდა, თუმცა, გონება მალე გაუნათდა: ეს საპყარი დედაბერი (შეპირებული ოთახის ფასად მეზობლის ოჯახი წლობით რომ უვლიდა), მეზობლებისგან განსხვავებით, რომლებიც ქალაქელობას ვერა და ვერ შეჰგუებოდნენ, თავს ამ ქალაქის ბატონ-პატრონად აცხადებდა: „ვი ვსე სელსკი, ია ნასტაიაშჩი ტიფლისეც!..“ — გაიძახოდა და ფეხის მოცვლას არც აპირებდა.

— რა უნდა მაგ გასაქრობსა, მაგასა, ჰა? — გამოეხმაურა ირაკლის ცინდალივით ერთი ლუკმა დედაბერი, ალექსას ცოლი.

ამ კაცს ეს დედაბერი და ერთიც შვილიშვილი, გარდაცვლილი ქალიშვილის უიღბლო სიყვარულის ნაყოფიღა ებადა.

ირაკლიმ ვართუშას სიტყვები გაუმეორა.

— უი, მაგის სინსილაც კი არ გაწყდეს, მაგისი! ეგ სადაური თბილისელია ქა! ორმოცდაჩვიდმეტში ვიღაცამ ჩამოათესლა აქა, მერმე დაც ჩამოიყოლა, დისშვილიცა, აგე, ის ბინა ჩაიგდო (განაპირა ოთახზე მიუთითა) და მას შემდეგ სულსა გვხდიდა. მაგან ის კი არა, ღერი ქართულიც კი ვერ დაისწავლა, სულ გვეინჩი-ბინჩება... ამას დამიხედე, ძველი თბილისელობა არ მამინდომა?!

— აბა, თქვენ არ გინდათ და ვიღაცამ მაინც ხომ უნდა დაიჩემოს?!

— მე ამაში რაღა ფიცი-მტკიცი მჭირდება, თორმეტი წლიდან აქა ვსახლობ, მა სადაური ვიქნები... აგე, ალექსასა ჰკითხე თუ გინდა, — თქვა და ქმრისკენ გაახედა.

ერთიანად გაჭაღარავებულ, ახოვან, მხედრულად მხრებში გამართულ ალექსას ხელჯოხი მოემარჯვებინა და მათკენ ნელა მოაბიჯებდა.

— რაო, მიწაც სასომხეთიდან ხომ არ ჩამოუზიდნია?! — ნიშნის მოგებით იკითხა, ეზოს გახედა და გაირინდა.

ალექსა პენსიონერის ჩვეულ ცხოვრებას ეწეოდა. ზაფხულის ცხელ დღეებს აივანის განაპირას, ტახტზე წამოწოლილი ატარებდა, მზეს იყო მიფიცხებული და თვლემდა, მზის მოძრაობისდა მიხედვით ადგილს ინაცვლებდა ხოლმე, საღამოობით კი თვლემას უკვე ოთახში განაგრძობდა.

ზამთრობით იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. ერთთავად ფანჯარასთან იჯდა და აივანს გაჰყურებდა.

მის მახვილ მზერას ვერავინ დაუძვრებოდა. მეზობლებს გულზე არ ეხატებოდათ ეს თვალყურად ქცეული მოხუცი. ერთმანეთში ქილიკობდნენ ხოლმე, რაღა ეგ და რაღა ხელფასიანი ყარაულიო. მის წარსულზე რაღაც ბუნდოვან, მათივე აზრით უსაფუძვლო, მითქმა-მოთქმას გაიხსენებდნენ და მის გაკიცხვას ამით ამოწურავდნენ.

მოხუცი ფეხმოუცვლელად იჯდა ფანჯარასთან და, თბილი ქვეყნებიდან მოფრენილი მერცხლების კვალობაზე, გაზაფხულის დადგომისთანავე აივანზე ისე იბუდრებდა, აინუნშიაც არ მოსდიოდა მეზობელთა ქილიკი და მითქმა-მოთქმა, ან თუ ესმოდა, ყურადღების ღირსადაც არ აგდებდა. იქ ჯდომას ერთადერთი შვილიშვილის გამოჩენა თუ ამართლებდა, თორემ თავისი კვასკვასა, სიფრიფანა დედაბერი თითქოს მოძულებულიც კი ჰყავდა და მის მიმოსვლას არც კი იმჩნევდა.

სახლიდან გასვლას რომ დააპირებდა, საგარეო სამხედრო კიტელსა და შარვალში გამოწყობილი, ხელჯოხის კაკუნით გამოჩნდებოდა აივანზე, თვალს მოავლებდა ეზოს და გაირინდებოდა, მერე კი ნელი-ნელ სადარბაზოსკენ აიღებდა გეზს.

— ალექსა, გეყურება? არ დაიგვიანო ძალიანა! — მისძახოდა დედაბერი თავისი აგებულებისათვის არაბუნებრივად ომახიანი ხმით.

— ჰიჰ! — თავისთვის იტყოდა ალექსა, ხელს ჩაიქნევდა და უკანმოუხედავად აგრძელებდა გზას.

დაგვიანებით არასოდეს აგვიანებდა. ან სად უნდა შეყოვნებულიყო, როცა მისი გზა საფუნთუშედან სახლამდე იყო თითქოს მოზომილი.

სწორედ საფუნთუშესთან გადაეყარა ერთხელ ირაკლის. ყურადღებით ახედ-დახედა, მიესალმა და სადაურობა გამოჰკითხა. პასუხით უკმაყოფილო დარჩა. წვრილი, უფერული თვალები მოჭუტა და მზერა სადღაც შორს მიმართა.

— ერთმა თქვენმა კუთხის კაცმა ცხოვრება ჩაგვამწარა! — საოცარი პირდაპირობით შენიშნა მცირე ხნის შემდეგ, — თუმცა, შენ რა შუაში ხარ, იმას, მგონი, არც კი იცნობ, — დაამატა და გეზი სახლისკენ აიღო.

მოულონელობისაგან გამშრალი ირაკლი იდგა და ბორძიკით მიმავალ მოხუცს კვალზე გაჰყურებდა.

— რას უდგახარ, ფეხი გამოადგი! — ლამის წყრომით შეუძახა.

ირაკლი შეცბა, მიუახლოვდა და ჩანთა ჩამოართვა, კიბეზე ასვლისას ხელიც შეაშველა. მოხუცს ირაკლის თავაზიანობა ეამა. ბინის კარს რომ მიუახლოვდნენ, ჩანთა ჩამოართვა.

— შემოდი, ჩემი შვილიშვილი უნდა გაგაცნო, — თითქოს სხვათა შორის ჩაილაპარაკა და კარზე დააკაკუნა.

კარი უმალვე ჭრიალით გაიღო და თავზე შავთავსაფარ წაკრული დედაბერი გამოჩნდა.

— რას აბრახუნებ კაცო, ბიჭი ძლივას წამოწვა და... — დაიწყო, მაგრამ მოხუცის უკან მდგომ ირაკლის თვალი რომ ჰკიდა, ხმა გაკმინდა, ასაკთან შედარებით ცოცხალ სახეზე უეცრად თავაზიანმა ღიმილმა იელვა, — ახალი მეზობელი?! — გაიკვირვა, — მობრძანდით, თავდადრეკით შეიპატიჟა, — კაცო, რას გაიხირე კარში, სტუმარი შემოიყვა! — შეუძახა მოხუცს, წამით სადღაც გაუჩინარდა და ჩაბნელებული მომცრო ოთახი გაანათა.

— აი, ასე ვართ, შვილო, შუქი თუ არ ავანთეთ, აქა დღის სინათლე არც იჭყიტება. ამიტომაცაა, ბერიკაცი მთელი დღე აივანზე რომ აღამებს...

— ახლა შენებურად ნუ გაუტიე! — დაუცაცხანა ბერიკაცმა.

— მონაჭორს კი არ ვყბედობ, რაც არი, ისა ვთქვი, — არ შეეპუა დედაბერი.

ბათქაშჩამოფხეკილ ჭერს, დაბზარულ კედლებს, ერთმანეთზე შეწყობილ, ოთახში მიმოფანტულ ავეჯს, კედლებთან აკეცილ ლოგინებს, კუთხეში მილაგებულ ჭურჭლეულობასა და წიგნებს თვალი მოავლო ირაკლიმ.

— არ შეგეშინდეთ, შვილო, რემონტი გვაქვს, — თქვა დედაბერმა, სკამს წინსაფარი გადაუსვა, დაუდგა და მზერა მეორე ოთახში გამავალი კარისკენ გააპარა.

მოხუცმა მის მზერას თვალი გააყოლა, მუჭში მოგუდულად ჩაახველა და იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

— მაგ ერთ ოთახში ორ-ორი ბავშვით ვიწროდ არა ხართ? — ჰკითხა ირაკლის.

— უფრო ვიწროდაც ვყოფილვართ, მაგრამ, რა საშველია, უნდა მოვითმინოთ, — უპასუხა სკამზე მოხერხებულად მოწყობილმა ირაკლიმ.

— ჰოო?.. მეტი რა დაგრჩენიათ! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა მოხუცმა, — ჩვენც მთელი ცხოვრება ასე ვითმინეთ, ბოლოს კი მაინც ამ ორ ოთახში აღმოვჩნდით გამომწყვდეული. ასე ყოფილა, ზოგს გამჩენი ყველაფერს უხვად დააბერტყავს, ზოგსაც დედიშობილას დატოვებს...

— კარგი ერთი, ამ ბედის მდურაობაში ნუ ამოიხდი სულსა! — სიტყვა გააწყვეტინა დედაბერმა.

— რატო, შენ რა, ყველაფრით კმაყოფილი ხარ?

— ისემც არ გაიხაროს ჩემმა დამაწყევარმა, მაგრამ ამ ყმაწვილს თავს ხომ არ მოვაბეზრებთ, ჰა?!

— რა ვიცი... რაც მაწუხებს, ის წამომცდა...

— ჰოდა, ბედის ჩხრეკას თავი ანებე, აგე, ბიჭი წამოგვესწრო. ნახავ, იმან საქმე შნოიანად თუ არ წაიგდო.

შვილიშვილის ხსენებაზე მოხუცს სახე გაუნათდა, თვალებში სინაზე და სითბო ჩაუდგა. ორივემ თავი მიაბრუნა და მიხურულ კარს გახედა.

— ერთი ეს ჭიანი ბალღიღა შემოგვრჩა იმედად, ეს ჩემი დამაქცევრები ამასაც არ გვიყენებენ! — ყრუდ ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— ამას ვერ ეღირსებიან, ურჩევნიათ თავი საწყევლად არ გაიხადონ! — მუქარით წამოიძახა დედაბერმა და ირაკლის მიუბრუნდა, — შვილო, არ გვიცნობ და ისეთი წარმოდგენა არ შეგექმნას, თითქოს შურიანი და დაუნდობელი ხალხი ვიყვეთ. ჩემი მერის პატრონს, — ქალი წამით გახევდა და კედელზე დაკიდებულ ახალგაზრდა, საკმაოდ მომხიბლველი ქალის გადიდებულ სურათს თვალი შეავლო, — სხვისი შესაშური რა გვჭირდა. დედა მოუკვდეს!.. ეს რომ აივანზე გაივლიდა, აგრე გეგონებოდა, ქარი დაჰქრისო, ყველას პატრონი ეგ იყო, ყველას თავს ევლებოდა, მაგრამ ბედმა გასწირა, აგრემც გაქრეს და დამიწდეს მისი დედა, ეგ მიწაში უნდა იწვეს და მე აგერ უნდა დავბოგინობდე?!..

დედაბერს თვალებში ცრემლი ჩაუგუბდა, თავი დახარა, კაბის ჯიბეში ხელი მოაფათურა, შავი ნაჭერი ამოიღო და ცრემლი შეიმშრალა.

— მაგას მოუკვდეს დედა! ამ ნამუსგარეცხილებმა დერეფანში გამავალი კარი ჩაგვირაზეს, მისი კუბო კაცებმა აივანზე ძლივ-ძლივობით ჩაატარეს. ღმერთო, არ ვიცი ვისთვის რა დამიშავებია, ჩემი დღე და მოსწრება სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია...

— გეყოფა, გული ნუ გავუწყალეთ ამ კაცს, დედაკაცო! — უსაყვედურა ბერიკაცმა.

დედაბერი გახევდა. სტუმარს რიდით შეხედა, მერე მოხუცს დააკვირდა და კუშტი სახით დაჯდა.

— ეს კაცი რომ შემოვიყვანე, ასე ხომ არ იქნება?! — ჰკითხა მოხუცმა დედაბერს.

— ამდენ ვაი-ვიშში, აბა რა ტვინი შემრჩებოდა მე ადრე და მალე გასაქრობს, ახლავე! — წამოიძახა დედაბერმა და დაფაცურდა, მაგრამ ირაკლიმ მოუცლელობა მოიმიზეზა, წამოდგა და კარისკენ გაემართა.

— თქვენს ქალს გადაეცით, შემოვიდეს ხოლმე ჩვენსა, ბალღებიც მოიყვანოს. სწორედაც რო ვარსკვლავებივით დაბრწყინავენ აივანზე, მაგათ რო შევყურებ, თვალწინ ჩემი ბიჭის ბალღობა მიდგება... კაცი კაცისთვის წამალია,

შვილო!.. — დაადევნა დედაბერმა უკვე აივანზე მიმავალ ირაკლის, რომელიც მათ მიმართ სიბრალულით განეწყო.

მომდევნო დღეებში მოხუცებს მართლაც დაუახლოვდნენ. დედაბერი ერთთავად მათ შორიახლოს ტრიალებდა. ასაკისა და ვარამის მიუხედავად, გულუბრყვილო, ხალისით სავსე ქალად დარჩენილის, აღტაცების თუ გაკვირვების წამოძახილები ისმოდა წამდაუწუმ აივანზე და ეს აღტაცებები, ქება და მოფერების სიტყვები, მისი დაუდუმებელი პირიდან ირაკლის შვილების მისამართით იფრქვეოდა.

— უი, ქა, ე რა ბალღები არიან!.. — წამოიძახებდა, კოცნიდა ხან ერთს და ხან მეორეს, წაღმა-უკუღმა დააპროწიალებდა, ირაკლის ცოლს თავზე დაჰფოფინებდა, რაღაც შინაგანი დედობრივი ალერსით ესიყვარულებოდა და მასთან ურთიერთობას ეშურებოდა. მოგვიანებით გამოტყდა, რომ თავის გარდაცვლილ ქალიშვილს ამსგავსებდა რაღაცით, თუმცა, გარდა სახის სუფთა ქართული ოვალისა, მათ გარეგნობაში მსგავსება არც შეინიშნებოდა, მაგრამ ჯიუტად იჩემებდა, ჩემს შვილს მაგონებსო.

ალექსას ამ ამბებისაგან თავი შორს ეჭირა. უცხოსავით ადევნებდა თვალს დედაბრისა და ირაკლის ოჯახის ურთიერთობას, აივნის კუთხეში მიდგმულ ხის ტახტზე წამოწოლილი, მთელი დღეები თაკარა სიცხეში ისე იხუხებოდა, თითქოს ძვლების გამოწრთობას ეშურებოდა. გასაოცარი ისაა, როცა მისი დედაბერი სადილზე ან საქმის გამო ხმის ჩახლეჩამდე უხმობდა, სანამ არ შეაჯანჯღარებდა, ვერ აგებინებდა, თუმცა, საკმარისი იყო, შვილიშვილს აივანზე ფეხი შემოედგა, ცქვიტად წამოიმართებოდა, დაფაცურდებოდა და მის შესაგებებლად მიემართებოდა. შვილიშვილი კი ბაბუასთან შესახვედრად სახეზე ღიმილდაფენილი, თითქოს ცეკვა-ცეკვით მოჰქროდა და დიდი ხნის უნახავივით მიეახლებოდა.

— ქალო, გურამიც მოვიდა, აი, ჩვენი გურამიცა! — სახემომღიმარი გასძახებდა დედაბერს და ამით ნათქვამი იყო: მთელი დღე მის მოსვლას დარაჯობდა, მასზე დარდობდა და ახლა ქუჩის გნიასსა და ფათერაკებს უვნებლად თავდაღწეულს რომ ხედავდა, უსაზღვრო ბედნიერებას

განიცდიდა, ეს ვიწრო შარვალსა და ხალათში კოხტად გამოკვალთული, თვალტანადი ბიჭი მათი ერთადერთი იმედი და ზრუნვის საგანი გახლდათ, გაფრთხილება, მოფერება და მყუდრო გარემოს შექმნა სჭირდებოდა...

მოხუცები ხაზგასმული სიყვარულით, რიდით, პატივისცემით, თუ ძნელი სათქმელია, კიდევ რა გრძნობით შეუძღვებოდნენ შვილიშვილს თავიანთ მინგრეულ-მონგრეულ, მოუწყობელ ბინაში, კარს მიხურავდნენ და სანამ იგი შინ ეგულებოდათ, მათ აივანზე თვალს ვერ მოჰკრავდი.

გურამი თვრამეტი წლის, საკმაოდ ნიჭიერი ბალერონი გახლდათ. მოხუცები ცდილოდნენ, მისთვის ხელი როგორმე შეეწყოთ, მაგრამ ხშირად გადაჭარბებული ზრუნვითა და ყურადღებით აღიზიანებდნენ. დედაბერს გამუდმებით სარეცხში ჰქონდა ხელები ჩაყოფილი. აივანზე გაბმულ თოკზე დღე და ღამე შრებოდა ბიჭის პერანგები, რეიტუზები და საცვლები. იგი მთელი დღე კერავდა, კემსავდა, გაზქურასთან ტრიალებდა, სახლი ძილს რომ მიეცემოდა, საუთოებელს მიუჯდებოდა.

ბიჭი გემოვნებით იცვამდა. მისი პროფესიის კაცისთვის ამას მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთთავად ხალხის თვალწინ ტრიალებდა და ფორმა და პეწი წუთითაც არ უნდა დაეკარგა.

— ასეთი იყო ჩემი მერიც, — იტყოდა ხოლმე დედაბერი, თეატრში მიმავალ შვილიშვილს რომ აცილებდა. ასეთი პეწენიკა, ასეთი შნოიანი იყო, დედა მოუკვდეს, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ესათუთებოდა და ელოლიავებოდა. ნეტა ახლა შეახედა...

ყვებოდნენ: გურამის დედას, საუხოო გარეგნობის, სიცოცხლით სავსე ქალიშვილს, რაიონიდან ჩამოსული სტუდენტი დაახლოებია. ყველაფერი გადაწვეტილი ყოფილა თითქოს, მაგრამ ბოლო მომენტში ვაჟმა ქალიშვილს თავი მიანებაო. შვილის დაორსულება რომ შეიტყვეს, მოხუცებმა ქალაქის სხვა უბანში ბინა დაიქირავეს, შვილი ჭორსა და ბალღამს მოარიდეს. ბიჭი სამ წლამდე იქ იზრდებოდა.

ქალი თავს დაჰკანკალებდა თავისი უიმედო სიყვარულის ნაყოფს. მამას შვილი ერთხელაც არ მოუკითხავს, მაგრამ ქალი მის შეცდომებს თავისებურად ამართლებდა.

მე მიყვარდა და ესაა მთავარი, ასეთ დროს თავისუფლად შეიძლება მამაკაცი შეცდესო. მას ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ განელებია. შვილსაც შეაყვარა უცნობი მამა.

მიუხედავად ქალის ასეთი მხურვალე გრძნობისა და შვილის მიმართ თავგანწირვისა (სწორედ რომ თავგანწირვას უდრიდა ხელმოკლე ქალისთვის შვილის საუკეთესო, ძვირადანაზღაურებად რეპეტიტორებთან ტარება, კოხტად ჩაცმა-დახურვა, განსაკუთრებული პირობების შექმნა), არამკითხე ავმა მოენეებმა „კანონგარეშე“ მემკვიდრე არ აპატიეს, გაუმწარეს სიცოცხლე. ამ შემთხვევაში შორებელი ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ რა გაეწყო იმათთან, ვისგანაც ერთი კედელიღა ყოფდა.

იყო შეხლა-შემოხლა, ცილსწამება, დავა, ცრემლები. წლების მანძილზე განცდილი და ნაგროვები ტკივილი მოურჩენელი სენის ხელშემწყობად იქცა, რომელმაც თვალსა და ხელს შუა დაშრიტა...

— ღმერთო, რა შეგცოდე, ასე რატომ დაგვსაჯე?! — ხელს გაასავსავებდა ხოლმე დედაბერი, როგორც კი ქალიშვილს ახსენებდა. ისე, ვინ იცის, რამდენჯერ მოიგონებდა, როგორ გაჭირვებაში გაზარდა შვილი, თვითონ მისი შვილიც რა სიმწრით ზრდიდა თავის ბიჭს და იმ აზრს ვერ ეგუებოდა, მის დავაჟკაცებას რომ ვერ მოესწრო...

ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ გურამის მამა მოსდგომიათ. შვილის წაყვანა მოუნდომებია. სახლში არ შემოუშვიათ, მაგრამ გურამთან ურთიერთობა ვერ აუკრძალეს.

და დედის მიერ მამის სიყვარულით ნასაზრდოები ბიჭი მამას მაშინვე ჩაებღაუჭა. ვერც ამაზე აღუდგნენ ბებია და ბაბუა... რამდენიმე ხნით გაჰყვა კიდეც. მამამისს იქ სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა. მისი მდიდარი, დოვლათით სავსე ოჯახის შემდეგ თავიანთ ჩაბნელებულ ბინაში უჭირდა ბიჭს გაჩერება, მაგრამ მოხუცების სიყვარული აკავებდა. დროდადრო ფეხს დაჰკრავდა და მიემგზავრებოდა მამასთან. ისინიც დატვირთავდნენ ხალისითა და საჩუქრებით და გამოისტუმრებდნენ. სტუდიის დამთავრების წინ მამის გვარზე გადავიდა (ვერც ამას აღუდგნენ წინ მოხუცები.

ალექსამ თვითონვე დაიმშვიდა თავი, ჩემი ნათესაობა არ გვეკარება, ძმებს ხომ არ დავაცილებთ, ცხოვრებაში ერთმანეთს შეეხიდებიანო).

კვირაში ორ-სამჯერ ხან აქეთ ურეკავდნენ მამა და ძმები, ხან თვითონ რეკავდა გურამი. რამდენჯერ მის გასტროლებზე ყოფნისას დაურეკავს და დედაბერი იძულებული გამხდარა დალაპარაკეოდა „შვილის გამამწარებელ იმ უჟმურსა...“ ასე, ნელ-ნელა შემოაღწია კიდეც იმ კაცმა მათსას, სალამი დააგდო, მერე ჩემს შვილს თვითონ უნდა მივხედო, ნუ შემიშლით ხელსო, ითხოვა.

როგორ შეუშლიდნენ. პირიქით, ოღონდაც მათი ობოლი ბიჭისთვის ვისმე რამე ერგო და მოსამსახურედ დაუდგებოდნენ.

— მა რა ვქნათ, ჩვენი გროშებით როგორ გინდა ე ბალღი ხალხში რო გამაიყვანო... იმ დღეს ტელევიზორში ი ტუჩებდაბრეცილი დედაკაცის გონჯ გოგოს რო ეცეკვებოდა, ნახე? (ამას საკმაოდ პოპულარული მომღერლის არანაკლებ სახელგანთქმულ ქალიშვილზე ამბობდა), ჰოდა, იმ მათხოჯსა, ხო დაინახე რა კაბა ეცვა? აბა, ამ ჩემს მარგალიტის კენჭსა ჯვალოში ხო არ გამოვხანხლავდით, ჰა? თუმცა ეგეც მოუხდებოდა, მაგრამა, არტისტებსა, შვილო, ხელშეწყობა სჭირიათ...

ალექსას და დედაბერს მცირე პენსია ჰქონდათ. დედაბერი ორ თუ სამ დაწესებულებაში დამლაგებლად მუშაობდა, გურამსაც ჰქონდა ხელფასი, მაგრამ მის მოთხოვნებს ეს მცირე თანხები ვერაფრით წვდებოდა.

მამა, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა, რემონტსაც უკეთებდა. ერთი წლის წინ შვილისთვის უსაყვედურია, შენი სახელის მქონე კაცის ბებია დაწესებულებების ფეხისადგილებს როდემდე უნდა რეცხავდესო.

გურამმა ბებია მაშინვე დაითანხმა, აღარ ემუშავა, მაგრამ დედაბერმა ცოტა ხანში შვილიშვილის ნამალევად სამუშაო სხვაგან მოძებნა, დილის ექვსიდან ცხრის ნახევრამდე. ძილის მოყვარული შვილიშვილი დილაობით ბებიას გაუჩინარებას ვერც ამჩნევდა, სამაგიეროდ, დედაბერს ადრინდელ ჯამაგირზე მეტს უხდიდნენ და შვილიშვილს ხან ტკბილეულს და ხან რას ისე შეაპარებდა, საიდან მოჰქონდა, ამისი ახსნა არც სჭირდებოდა...

ირაკლის ოჯახისა და მოხუცების კეთილი დამოკიდებულება სახლის მეორე სართულის ბინადრებმა ბჭობის საგნად აქციეს. მათი ურთიერთობით განსაკუთრებულად დაინტერესდა ოჯახი, რომელთანაც მოხუცებს კედელი ჰყოფდა. ჯერ შორიდან დაუწყეს გამოკითხვა, საიდან იყვნენ, რა საქმიანობას ეწეოდნენ. ირაკლი ცდილობდა მათგან თავი შორს დაეჭირა, მაგრამ ყოველ დილით სამსახურში მიმავალს აივანზე დაუხვდებოდნენ და არაფრისმთქმელი კითხვა-მოკითხვებით თავს აბეზრებდნენ. ერთხელ შინაც შეიპატიჟეს. თავის თავზე მაღალი წარმოდგენის, გაზულუქებული ხალხი აღმოჩნდა. ავეჯითა და ძვირფასი ნივთებით გამოჭედილ ოთახებში სუნთქვა ჭირდა. კაცს ქალაქის მმართველობაში უმუშავია, ქალი სადღაც მთავარ ბუღალტრად მსახურობდა, შვილი და რძალი ინჟინრები იყვნენ, ორი შვილიშვილი ჰყავდათ, შვიდი-რვა წლის ქალ-ვაჟი.

— რა უნდათ, ბაბუ, მაგ ხრონწებს თქვენგან? — წამოსცდა ოჯახის უფროსს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მეორე ჭიქა არაყის გადაკვრის შემდეგ და ჭროღა, ქუთუთოებდასიებული თვალებით მეზობლის კედელს მიაჩერდა.

ოჯახის ყველა წევრმა მზერა ირაკლის გაოცებულ სახეს მიაპყრო.

— არც არაფერი, უბრალოდ, ვმეზობლობთ, და...

— ჩვენგან არ გესწავლებათ, მაგრამ სამეზობლოდ ყველა ოჯახი როდი ვარგა, — ჩაურთო ქალმა.

— რატომ, სრულიად უწყინარი მოხუცები ჩანან.

— უწყინარი?! — ხმას აუწია ქალმა, წამოჭარხლებული, გაოფლილი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა და ირაკლის ნიშნისმოგებით გადახედა.

— იცით, ეს ალექსა ვინ არის?

— მოხუცი პენსიონერი, დანარჩენი არც მაინტერესებს...

— მაგ ასაკამდე თუ მიატანა, ყველა პენსიონერი ხდება... ახალგაზრდობაში სტრაჟნიკი ყოფილა, მერე ამ შენობაში განლაგებული ყაზარმის მცველი, დამსმენი, შინსახკომის ყურმოჭრილი მონა!..

— მერედა, ყოველივე ამას ჩემთან რა კავშირი აქვს?.. შესაძლოა, წარსულში რაღაც იყო, მაგრამ, ახლა ერთი უძლური მოხუცია, — იხტიბარს არ იტეხდა ირაკლი.

— კი, კი, უძლური, კეთილი და სათნო! — დაცინვით წამოიძახა ქალმა.

— ჩვენ მაგან სიცოცხლე გაგვიმწარა. მთელი ცხოვრება გვიჩიოდა. ერთი ოთახი წაგვართვა, მაგათ გამო ჩემს შვილიშვილებს მშობლების ფეხთით სძინავთ. კაი, ჯერ პატარები არიან, როცა წამოიზრდებიან?.. ჩვენი დერეფნით სარგებლობაც უნდოდათ, აი, მათი კარი აქ გამოდიოდა, ასე იყო ეს სახლი თავიდან დაგეგმილი... მაგრამ უფლება ავიღეთ და ამოვაშენეთ. ამის გამო შავი დღე დაგვაწია, საჩივრებით აგვიკლო. როგორია, შენი ბინა პრახადნოი რომ იყოს?.. აი, ეს ვერ შევაგნებინეთ. ეს ოთახები დამითმეთ და სხვა უბანში კეთილმოწყობილ ბინას გიშოვითმეთქი, შევთავაზე. არაფრით არ ქნეს. ეს ბებერი ნამეტანი კერპია. ჩემი შვილი აქედან გაასვენეს და მეც აქედან უნდა გამასვენონო, დაიჩემა. მაგას რომ დავინახავ, ის დღე ჩამწარებული მაქვს...

— ახლა ამ დედაბერს არ იკითხავთ?.. — ჩაერთო ქალი.

ირაკლი წამოდგა და მასპინძლობისთვის მადლობა გადაიხადა. მთელი ოჯახი გაშეშდა. კარებთან რომ მივიდა, მოტრიალდა. ისინი მონუსხულებივით მისჩერებოდნენ.

— არ გეწყინოთ... თუმცა ამას ჩემთვის მნიშვნელობა არცა აქვს, თუ გნებავთ, გეწყინოთ კიდეც... რასაც თქვენ სჩადიხართ, უკეთურობაა. იმათ ჩემს თვალში რომ ამცირებთ, როგორ გგონიათ, თვითონ რამე შეგემატებათ? ვითომ თქვენ სრულიად უნაკლოები ხართ, ისინი კი ქვეყნის დამაქცევრები? არ მჯერა. და იცით, რატომ? თქვენი თქმით, ის ხალხი თურმე იმ ორი პაწაწინა, ბნელი სოროს ღირსიც არაა. კარგით, იმათ ვერ იტანთ, მაგრამ გურამმა რა დაგიშავათ, მისით ხომ მთელი ქალაქი ამაყობს?

— ხოხ, არ გადამრიოთ ახლა, ამაყობს! ერთი სირისტიანი ნაბიჭვარია და მეტი არაფერი! — წამოიძახა კაცმა.

— არც ასეა საქმე, ბატონო, მაგრამ რახან ასე ფიქრობთ, რა გაეწყობა.

— ჩვენ კი არ ვფიქრობთ, ეს ფაქტია! — მუქარანარევი ხმით თქვა კაცმა.

— რა, ნაბიჭვრობაც ჩვენ მოვუგონეთ?! — წამოიძახა ცოლმა.

— გურამს მამა ჰყავს...

— წელიწადში ერთხელ ძლივს რომ აკითხავს?! — ირონიულად იკითხა კაცმა.

— სამწუხაროა, რომ თქვენ, მამაკაცი ასე ცალმხრივად მსჯელობთ.

— რაო, რაო?! ლანძღვაზეც გადავედით?! — წამოიძახა კაცმა და წამოიჭრა.

— ბიქტორ, დამშვიდდი, მაგ დამთხვეულებს რომ იცავს, ალბათ, თვითონაც მაგათი მსგავსია, ასეთი ხალხი რყვნის და ღუპავს ქვეყანას! — წიწმატობდა ქალი.

— საზოგადოებას ვინ და რა რყვნის, თქვენი დასადგენი არაა. ჯობს, ყველამ თავის თავს მიხედოს! — მიახალა ირაკლიმ, კარი გააღო და აივანზე გავარდა.

ამ მეზობლებთან ურთიერთობა თითქოს ამით დასრულდა. აივანზე მათი კარის წინ რომ ჩაივლიდა, მთელი ოჯახი თვალს არიდებდა. ცოტაც და, მის ზურგს უკან ზუზუნი ატყდებოდა. რამდენიმეჯერ დიასახლისმა გააფრთხილა, სახლმმართველობაში დამიბარეს, თქვენით დაინტერესდნენ, რის საფუძველზე მიაგირავეთ ოთახი, რა საქმიანობას ეწევიანო. გასაგები იყო, მათით დაინტერესება საიდან მოდიოდა, მაგრამ ირაკლი ამ ავანტიურას არ აჰყოლია. თეორიულად იცოდა, ინციდენტის აღმოფხვრის საუკეთესო საშუალება დაპირისპირებულ მხარესთან ურთიერთობის გაწყვეტა რომ არის, მაგრამ პრაქტიკულად ამისი განხორციელება უჭირდა, რადგან ასაკი და აღზრდა თავის ნაჭუჭში ჩაკეტვის საშუალებას არ აძლევდა. იმედს მაინც არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან, მეზობლები გონს მოეგებოდნენ და ავსა და კარგს გაარჩევდნენ...

მოხუცების ცხოვრება ძველებურად მიედინებოდა. მათი შვილიშვილი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. ამ ამბებით თავბრუდახვეული დედაბერი გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებსა და სურათებს შემოურბენინებდა ირაკლის, ხმამაღლა წააკითხებდა, თვალზე ცრემლმომდ-

გარი უგდებდა ყურს და თუმცა პირუეტების და საბალეტო ტერმინოლოგიისა არაფერი გაეგებოდა, „ეგრე, ბაბო გენაცვალოს, ეგრე, ჩემო მარგალიტის კენჭო!“ — ხმამაღლა გაიძახოდა. მის ამ ძახილში ქადილი ან ვინმეს რამით გაკვირვება კი არ იგრძნობოდა, უბრალოდ, უხაროდა თავისი ერთადერთი იმედის გამო სრულიად უცხო ადამიანები ქებას რომ არ იშურებდნენ, აფასებდნენ მის ნიჭიერებას და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, და ისიც, რომ იქვე, ირაკლისა და მისი ცოლის სახით გურამის ტალანტის დამფასებლები და მათი გულშემატკივრები აღმოაჩინა, ვისთანაც თავის გრძნობებზე რიდის გარეშე შეეძლო საუბარი, ვინაც მისი ოჯახის სიხარულსა და ტკივილს საკუთარივით იზიარებდა...

დედაბერი, მიუხედავად იმისა, რომ შვილიშვილის წარმატებების შემდგომ საქმე უორკეცდებოდა, ქარივით დაჰქროდა. აივანი მისი ერთადერთი იმედის ქათქათა პერანგებით და რეიტუზებით იყო მოფენილი, მთელი დღეები ალაგებდა, გაზქურასთან ტრიალებდა და შვილიშვილის მეგობრების მიღება-გასტუმრებას ვერ აუდიოდა.

ალექსა კი, ჩვეულებისამებრ, დილიდან-საღამომდე აივნის მყუდრო კუთხეში თვლემდა. როგორც კი შვილიშვილი აივანზე ფეხს დაადგამდა, ხელჯოხს მოიმარჯვებდა და მის შესახვედრად მიეშურებოდა. შვილიშვილი ხელგაშლილი მიეგებებოდა, მოხუცი სახეს დაუკოცნიდა, ბინისკენ წაუძღვებოდა, კარს ჩაკეტავდნენ და ერთხანად მათსას სამარისებური სიჩუმე ისადგურებდა...

იმ დროს მათ სართულზე უშვილძიროდ გადაგებული უმწეო დედაბერი გარდაიცვალა. ალექსას თქმით, ეს ქალი და მისი ქმარი მთელი ცხოვრება მათთვის არაფერს იშურებდნენ, მეზობლებში ისინი ყოფილან მათი ერთადერთი ქომაგები, გულშემატკივრები და ხელის გამმართავები. ალექსა მწუხარე სახით იდგა გარდაცვლილის ბინის წინკარში და მიმსვლელნი ჭირისუფლებთან ერთად მასაც უსამძიმრებდნენ. მისი დედაბერი შუბლზე შავთავსაფარ წაკრული იჯდა ქალებს შორის და ამ ოჯახის სიკეთესა და უბედობაზე ხმადაბლა, გაბმით მოთქვამდა.

მიცვალებულის ნათესავებმა, ვისაც გარადცვლილის

ქონება და ბინა ანდერძით ერგო, ხალხმრავალი ქელეხი გადაიხადეს. ალექსას, როგორც ეტყობა, თავისი დედაბრის მოუცლელობითა და უყრადღებობით ესარგებლა, ან ვერ მოეზომა და საკმაოდ შემთვრალი, ირაკლიმ და ერთმა ახალგაზრდამ ტახტამდე ძლივს მიიყვანეს, სამხედრო კიტელი გააძვრეს და წამოაწვინეს. მოხუცს მაშინვე ძილი მოეკიდა. ნახევარ საათს არ გაევლო, რომ თავის დედაბერს უხმო. ირაკლი ამ დროს შემთხვევით აივანზე აღმოჩნდა.

— რამე ხომ არ გაწუხებთ? — ჰკითხა.

— ფინთადა ვაარ, ისე ფინთად, ლამის სული გამძვრეს! — უპასუხა გაფითრებულმა მოხუცმა და ოდნავ წამოიწია.

— მაინც რას უჩივით? — ჰკითხა მისი გამომეტყველებით შეშფოთებულმა ირაკლიმ.

— ჰაერი არ მყოფნის, მგონი ვიხრჩობი! — ხელი უმწეოდ გაასავსავა.

ირაკლი დედაბრის საძებრად გაეშურა. მალე მეზობლის სამზარეულოში ჯამ-ჭურჭლის გროვასთან მკლავდაკარწახებული იპოვა.

— უი, ეგ კი არ მამიკვდეს, ეგა, აი, თავის მოჭრაც ამასა ჰქვიან! ეგ კი არ გაქრეს ადრე და მალე. რომელი ჯეელი ეგა მყავდა, რო ტოლჩებითა ღვინოს ყლურწავდა! ტახტზე მიწოლილს ერთი კი დავხედე, არ მამეწონა. ახლა, ალბათ, იხრჩობა. მაგისთვის დალევა რომ არ შეიძლბა, ვერ შეიგნო! — შეიცხადა დედაბერმა და ხელების ქნევითა და ქოთქოთით აივნისკენ გაიქცა.

ირაკლის ეგონა, რომ იგი მოხუცს საყვედურებით აიკლებდა, მაგრამ ტახტზე მწოლარეს მზრუნველი სახით დააჩერდა და მუდარით სავსე ხმით ჰკითხა:

— რას უჩივი, შენი ჭირიმე!?

— ვიხრჩობი!.. მთელი შიგნეულობა დამდუღრულივითა მაქვს, ვაი, შენს მტერს, ისე ფინთადა ვაარ! — ამოიკვნესა მოხუცმა.

— უი, ქა, რა ქვა ვიხალო ახლა ამ ტიელ თავში?! — შესძახა დედაბერმა და ლოყაზე ხელი ჩამოისვა.

— კოლია ექიმს დაუძახე, უთხარი, გულ-ღვიძლი ეწვისთქოო!..

რამდენიმე მეზობელმა მოხუცის ირგვლივ მოიყარა

თავი. დედაბერი ბინაში ვიშვიშით შევარდა. მეზობლებიც უკან გაეკიდნენ. ირაკლის ესმოდა, დედაბერი ვიღაცას ურეკავდა, ჩქარა, ჩქარაო, ემუდარებოდა.

ალექსას თვალები ისე მიელულა, თითქოს მშვიდ ძილს თავს ვერ ართმევდა. ეტყობოდა, ტკივილებს უმკლავდებოდა, რომ მასთან მყოფნი მეტად არ შეეწუხებინა, მაგრამ უეცრად ხმამაღალი გმინვა აღმოხდა და თავთით მდგომ ირაკლის შეშფოთებული გამომეტყველებით მიაჩერდა.

— ეეჰ, მგონი, ჩემი აღსასრულიც დადგა, — თქვა ხმადაბლა, — ყოველთვის მეგონა, ამ წუთისოფელს ადვილად შეველეოდი, მაგრამ დახე, თურმე, სული როგორი ტკბილი ყოფილა.. მინდოდა გურამის შვილებს მოვსწრებოდი, მათი ცქერით გამეხარა. არ მაცლის გამჩენი, ჩემთვის ყველა სიკეთე მაინცდამაინც ხელმომჭირნედ უნდა გამოიმეტოს.. თუმცა, ამ ღვთის არსებობისაც რომ არ მჯერა?! — მოღრეცილ ტუჩზე უმწეო ღიმილი გამოესახა. — უღმერთოდ გაგვზარდეს, თუმცა, იქ, სადღაც, გადასაკარგავში, ვიღაცა აქაურობის გამრიგე როგორ იქნება, ჰა?.. ძაან მინდა, რომ იყოს ის ცხოვრება. მაშ ყველაფერი ამით უნდა დამთავრდეს?.. ისღა მადარდებს, ჩემი გურამი ქვეყანას შეყრის, გამზრდელი პაპა დამეღუპაო, ენაცვალოს იმას ჩემი თავი!.. ასი სიცოცხლე რომ მოეცათ, ასივეს დაუფიქრებლად მივცემდი!.. როგორ მინდოდა, მისთვის ცოტაც კიდევ მეცქირა, მაგრამ არ უნდა იმ ვიღაცას ეს სიამოვნება გამიხანგრძლივოს... ახლა შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, — თქვა და შეყოვნდა. ვიცი, ეს უცნაურადაც მოგეჩვენება, მაგრამ ისიც ვიცი, რიგიანი კაცი ხარ და ზოგიერთებივით არ დამძრახავ... თუ ჩემმა ბიჭმა ვერ მომისწრო, გადაეცი, ზედმეტი ალიაქოთი არ უნდა, არც დიდი ქელეხია საჭირო: მაინც არ მომივა... ყველა, რასაც იმსახურებს, იმას იმკის... ისიც ვიცი, მეზობლები ჩემზე რასაც ყბედობენ... შინსახკომის აგენტი, დამსმენი იყოოო... ეგ ყველაფერი მონაჩმახია... თუმცა, ერთ რამეში ვერ გაამტყუნებ, დიდი ცოდვა მაწევს... ჯეელობიდან ვიტანჯები. რა არ ვიღონე, მაგრამ ეს დანაშაული ვერაფრით გამოვისყიდე, ყმაწვილი ვიყავი და შევცდი. უფრო სწორად, მომატყუეს... ეს გრძელი ამბავია. ამისი მოყოლის

არც დრო დამრჩა და არც ძალა. მოკლედ გეტყვი და თვითონ განსაჯე, ვინ ვარ მე, დამნაშავე თუ მსხვერპლი... თუმცა, ჩემი აზრით, უფრო დამნაშავე ვარ, რადგან კაცს გამჩენმა ჭკუა იმიტომ მისცა, სანამ რამეს მოიმოქმედებს, დაფიქრდეს და ნაბიჯი შემდეგ გადადგას... — მოხუცი შეტევას როგორღაც გაუმკლავდა, ერთი პირობა ხმა გაკმინდა, მაგრამ ცოტაც და, ისევ გააგრძელა: — თვრამეტი წლისა, პრაპორშჩიკის ჩინით სახალხო მილიციაში ვმსახურობდი. ერთ დღეს უფროსმა მე და კიდევ რამდენიმე რაზმელი გამოგვიძახა. საჩივარია შემოსული, შენს სოფელში უნდა წახვიდეთ და ხუთი კაცი მოწმის სახით დასაკითხად ჩამოიყვანოთო... ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინე, ეს ხუთი კაცი ჩემი ორი ძმა, ბიძა და ბიძაშვილები აღმოჩნდა. ჩემი ღვიძლი ხალხის ასაყვანად ვერაფრით ვერ წავალ-თქო, შევბედე უფროსს. ჯერ ერთი, რა აყვანა, რის აყვანა, მოწმეებად არიან დაბარებული, მეორედ კი, შენ რა, ხალხის მტრების დაცვას აპირებო? ეგენი უბრალო გლეხები არიან, ხალხის მტრები არაფრით არ იქნებიან-მეთქი. დამნაშავეებს ხელს აფარებენ და ძალაუნებურად მტრობა გამოსდით. ჩამოიყვან, სიმართლეს იტყვიან, საქმეს ნათელი მოეფინება და ისინიც იმავე დღეს თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდებიანო. როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ, ეს ამბავი როგორმე ამაცდინეთ-მეთქი, შეევევედრე უფროსს. შენს მაგივრად სხვა ვინმე რომ გავგზავნო და შეცდომით სახლი აგიწიოკონ, ამას არ გირჩევნია, რაზმს თვითონ წაჰყვე, შენს ღვიძლ ხალხს ყველაფერი გააგებინო, თავმდებად დაუდგე, ისინი ხომ შენ უფრო მოგენდობიანო... მისმა სიტყვამ გაჭრა. მართლა, თუ საშველი არაა, ჯობია თვითონ წავყვე, ჩემი თანდასწრებით ვერ დაამცირებენ, როგორც უფროსი მარწმუნებს, დაკითხვის შემდეგ შინ თვითონ გავაცილებ-მეთქი...

ჩვენი სოფელი გორიდან ერთი საათის სავალზეა. მეორე საღამოსვე ჩავედით. დედაჩემი, ძმები და დები კარგა ხნის უნახავები მყავდნენ და ჩემი ჩასვლით გაიხარეს. ერთი ჩემს გულში ჩაეხედათ, რა ბოღმა ტრიალებდა!.. ვახშმობამდე ძმებმა გამომკითხეს, ამ შენი ამხ-

ანაგებით რა საქმეზე ჩამოსულხარო. მიმძიმდა, მაგრამ ყველაფერი მიუკიბ-მოუკიბავად მოვუყევი, ჩემი ბედი თქვენზეა დამოკიდებული-მეთქი. პურობა ჩამწარდათ, მაგრამ არაფრით მაგრძნობინეს. რა გაეწყობა, თბილისში ჩასვლას როგორ დაგამადლით, შენ რომ ამბობ, ისეთი უბრალო საქმე თუაო, აქეთ გამამხნევეს. ერთი შეხედვით საგანგაშო თითქოს არც არაფერი იყო. მეორე დილით მხიარული მასლაათით გამოვყევით გზას. ერთადერთი, დედაჩემი იყო დადარდიანებული, წამოსვლის წინ ცრემლები გადმოყარა, ეგ თქვენი ჩამოსვლა და ამათი ასე წაყვანა, მომკალი და კარგს არაფერს მანიშნებს, იქნებ ჯობდეს, დროებით თავი მოარიდონ, მგლებს ხახაში თვითონ არ ჩაუცვივდნენო... რაო, საკუთარ სისხლსა და ხორცს ვერ უნდა ვენდოთო, უსაყვედურა ბიძაჩემმა და გააჩუმა...

მერე წლების მანძილზე თვალწინ მედგა ჩვენს კვალს ვედრებით მოჩერებული დედა. ჩვენს არხეინობაში იმან რაღაც დიდი განსაცდელი იგუმანა, მაგრამ ვინ დაუჯერა!.. და ეს გუმანი აუხდა კიდეც...

ჩემმა უფროსმა უცხვირპიროდ მომატყუა... ხუთივე იქავ დაატუსაღებინა. მე სამსახურიდან დამითხოვა. სიმართლის დადგენა ვერაფრით მოვახერხე. იმათ გადასახლება მიუსაჯეს. ჩემი ორივე ძმა, ბიძა და ბიძაშვილები უგზოუკვლოდ გააქრეს. მე კი იმ დროიდან დავკარგე არა მარტო ისინი, მთელი ოჯახი და ჩემი კუთხე. დედაჩემის და არც ერთი ახლობლის საფლავი არ ვიცი... ჩემმა უფროსმა დამ შემომითვალა, არ დაგწყევლი, თუ გვარს გამოიცვლიო. თუ დასაწყევლი ვარ, დამწყევლოს-მეთქი და გვარი მაინც დავიტოვე... ისე, დამნაშავე როგორ არა ვარ, ჩემი ხელით რას ჩამოვიყვანე ეს ყოვლად უცოდველი ადამიანები და მაგათ ხელში როგორ ჩავუგდე! რა ხალხის მტრები ეგენი იყვნენ, მანამდე სოფლის ორღობეს არ გასცილებოდნენ, წერა-კითხვაც არ იცოდნენ, მათ ვინმესთვის რა უნდა ევნოთ?.. რომ დამალულიყვნენ, გადარჩებოდნენ, მაგრამ უფროსმა ისე დამარწმუნა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, აგრერიგად დამაღალატებდა... შურისძიებაც ვცადე, თუმცა უფროსი მალე დაიჭირეს, გადაასახლეს და ისიც ჩემი

ახლობლებივით უგზო-უკვლოდ დაიკარგა... თითქოს სამაგიერო მიეზღო, სამართალი აღსრულდა, მაგრამ მე, ამ დანაშაულის ერთ-ერთი ხელშემწყობი დღემდე დავბოგინობ. რა ვქნა, იმდენად წუწკი აღმოვჩნდი, ამ წუთისოფელს ვერ შეველიე. ის კი არა, კიდევ მინდა სიცოცხლე, ამ ბიჭს ვარ ჩაჭიდებული და მისი კარგად ყოფნა მასულდგმულებს. ოღონდაც მას არაფერი დაუშავდეს, ოღონდაც, და მზად ვარ ამ წუთში გავქვავდე...

ჩემი მერი რომ გარდაიცვალა, ხელმოუწერელი ბარათი მივიღე. ნათესაობას იმდროიდან ჩვენთან არავითარი ურთიერთობა არა ჰქონია და გავოცდი, ბარათში ყველაფერი ზუსტად იყო აღწერილი. ბოლოს კი, სამაგიერო მოგეზღოო, იყო მიწერილი. გავვმწარდი-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტაა!.. ჩემი გულუბრყვილობა ჩემმა უფროსმა ავად გამოიყენა. ნუთუ ჩვენ ორივეს დანაშაული ერთნაირად უნდა გვეზღო. გეკითხებით: ნუთუ ეს ასეა? თუ ასეა, რაღა სრულიად უდანაშაულოებს, პასუხი მე მაგებინონ. ჩემს შვილს ვიღაცამ ჯერ შეურაცხყოფა, მერე კი ის საშინელი ტკივილები არ აკმარა, მთელი მისი ტანჯვა-წამება უნებლიე თუ მონური მორჩილების საზღაურად ჩამითვალა... თუ ბედისწერა მართლა არსებობს, მინდა იმავე ბედისწერით ეს ხანგრძლივი ტანჯვა დასრულდეს და ამიტომ, ჩემი თხოვნაა... გურამს გადაეცით, თუ ამაღამ სიკვდილი მიწერია, არც მღვდელია საჭირო და არც რამე... რადგან მე თვითმკვლელი ვარ. ასგზის უფრო მტანჯველი ყოფილა სიკვდილი გენატრებოდეს და მაინც ცოცხლობდე, შენი ლეში გემძიმებოდეს და სიცოცხლეს მაინც ებღაუჭებოდე...

— ალექსა, რასა იქმ, ჰა?! — კარებიდან შეშფოთებული დედაბრის ხმა მოისმა.

მოხუცი დუმდა.

— ხმა გამე, კაცო, ლამისაა შევირყე! — არ ცხრებოდა ქალების ამალასთან ერთად აივანზე გამოსული დედაბერი.

— უარესადა ვარ, ახლა ყველა ნაკვთი მეწვის...

— ნეტაი, შენ იმ ღვინოს არ მისძალებოდი და!..

— სასმელი არაფერ შუაშია, დედაკაცო!.. დავიქანცე, თავი მომძულდა და ეგაა!.. — მკვახედ დააგდო კაცმა და ზურგი აქცია.

მისი სიტყვებითა და საქციელით ენაჩავარდნილი დედაბერი ადგილზე გაქვავდა.

— აგერ, გურამი მოდის! — უხერხული დუმილი დაარღვია მეზობლის ქალმა.

ყველა აივნის შემოსასვლელისკენ მიტრიალდა. გურამი მათკენ მორბოდა. ფეხდაფეხ ექიმი მოსდევდა.

— ხომ არ დაგვაგვიანდა?! — მოაძახა აქოშინებულმა ბიჭმა ტახტთან თავმოყრილ მეზობლებს.

— არ ვიცი, რა ვიფიქრო, ჩემო თვალის ჩინო... ჯერ მთელი გულ-მუცელი მეწვის, ვიხრჩობიო, ახლა უარესად ვარ, მთელი ნაკვთები მივალალებსო! — შესტირა დედაბერმა.

— პაპა, მომხედე, თუ შეგიძლია, გამაგრდი! — მუდარით მიმართა გურამმა ალექსას, აგერ, ექიმიც მოგიყვანე, უნდა გაგსინჯოს, — დაუყვავა.

მოხუცი ისევ დუმდა. ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— კაცო, მართლა სული გაგძვრა? — ფრთხილად ჰკითხა დედაბერმა.

— ნეტაი მართლა გამძრომოდა, ხომ დავისვენებდით ორივე! — მისუსტებული ხმით წამოიძახა მოხუცმა, ოდნავ შეირხა, კიდევ რაღაცის დამატება დააპირა, მაგრამ გონება დაკარგა.

ექიმი ტახტზე დაიხარა. ირაკლი შორიდან ადევნებდა თვალს მისი ხელის სწრაფ მოძრაობას, მოხუცი მალე მოასულიერა, მთელი მონდომებით დასტრიალებდა თავს, ბოლოს, საშიში არაფერიაო, დაასკვნა და მეზობლების დახმარებით ოთახში გადაიყვანა.

იმ ღამეს მოხუცს თვალი არ მოუხუჭავს, მოუსვენრობდა, გამუდმებით ბორგავდა. გამთენიისას თანდათან დამშვიდდა, ეტყობა, დაღლილობამ თავისი გაიტანა, შუადღემდე იძინა, ხოლო გამოღვიძებულს, წინა დღის დავიდარაბა თითქოს არც კი ახსოვდა. ეს იყო, საღამოს მისმა დედაბერმა აივანზე რომ გამოიყვანა, ირაკლის მოკითხვაზე დაიბნა, ზურგი შეაქცია და ბარბაცით ოთახში შე-

ბრუნდა, მაგრამ ეს უხერხულობის გრძნობა მომდევნო დღეებში თანდათან გადალახა.

სამ წელიწადზე მეტი იცხოვრა იმ სახლში ირაკლიმ. მოხუცს მის იქ ყოფნისას არაფერი დაშავებია. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე აივანზე, თავის განუყრელ ტახტზე იწვა-ხოლმე, ერთთავად თვლემდა, მზის მოძრაობისდა მიხედვით, გვერდს იცვლიდა და ჩვეულ რიტმს არაფრით არღვევდა. მისი დედაბერი და ირაკლის ცოლშვილი კი ჩვეულებრივ ურთიერთობას განაგრძობდნენ.

მათ მოხუცის აღსარების შესახებ არაფერი იცოდნენ.

ლარიანი მასესხეთ, სერ!

გაზაფხულის მიწურულს, ვარაზისხევში, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელთან, ათლეტური აღნაგობის, ტანმაღალი, უდაბნოს მწველი მზისგან შეტრუსულივით დაბალხუჭუჭთმიანი, სწორნაკვთება, თუმცა ცხვირგატეხილი და სევდიანი გამომეტყველების ფერადკანიანი ახალგაზრდა მათხოვარი გამოჩნდა, რომელსაც როკის ეძახდნენ.

მათხოვრებით თბილისელებს ვერ გააკვირვებ, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მის მიმართ უდიდესი ცნობისმოყვარეობა და თანაგრძნობა აღეძრა, როცა შეიტყო, რომ იგი ამერიკის მოქალაქე ყოფილა და დილიდან საღამომდე შუქნიშანთან ერთსა და იმავე ადგილას ატუზული, მწვანე შუქის მომლოდინე მძღოლებისგან არც მეტი, არც ნაკლები, ლარს ითხოვდა, თუმცა სიტყვა — თხოვნა მის ლექსიკონში არც მოიაზრებოდა. „ლარიანი მასესხეთ, სერ!“ — საგანგებოდ დაყენებული ხმით ამცნობდა ძვირადღირებულ, კომფორტული მანქანების საჭესთან მსხდომ, მისი, ასე თუ ისე, ასატანი ქართულით თვალებდაჭყეტილ, თავქეიფა, უმეტესად აღმა-დაღმა უმიზნოდ მოყიალე მძღოლებს ეს ეგზოტიკური გარეგნობის მათხოვარი, ანუ მსესხებელი და არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ამ მიმართვაში ვალის დაბრუნებაზე სიტყვა საერთოდ რომ არ იყო ნახსენები.

თავისდა გასაოცრად, როკის იმთავითვე უამრავი ქომაგი გამოუჩნდა. მაშინ, როცა გზებზე, მეტროს სადგურებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ქართველ თუ სხვადასხვა ჯურის მცირეწლოვან მათხოვრებს არ აჭაჭანებდნენ, მას თვით საგზაო პატრულის თანამშრომლები ქომაგობდნენ და ვინმეს მისი მისამართით საყვედური რომ დასცდენოდა, მყის ამგვარ პასუხს იღებდა, — „შე კაი კაცო, ამერიკის მთავრობა მილიარდებს გვირიცხავს და დიდი ამბავი, მათ ერთ გაჭირვებულ მოქალაქეს თითო ლარით რომ შევეწიოთო!..“ ამ ფრაზას ვარაზისხევში მიმომქროლი მძღოლები ერთმანეთს პაროლივით გადასცემდნენ და მალე მხარდაჭერით განებივრებული

ფერადკანიანი თავს ვალდებულად სულაც არ მიიჩნევდა, ყოველი გამვლელისთვის სამათხოვროდ გაზეპირებული ფრაზა შეეხსენებინა.

ცოტა ხანში როკის იმდენად შესაშური მდგომარეობა შეექმნა, მთაწმინდის უბანში, მერიის უკან, გზაჯვარედინზე მდგომი (უფრო სწორად, ხეიბრის ეტლში მჯდომი), ახალგაზრდობაში ღვინის სავსე ჭიქების ვირტუოზული ტრიალითა და სხვადასხვა პიკანტური გამოხდომებით სახელგანთქმული, ლამის ქალაქის კოლორიტად შერაცხილი ქალიც კი შემოსავლის სიუხვით უკან ჩამოიტოვა. შუქნიშანთან წუთით შეჩერებული მანქანის მძღოლები თავს ვალდებულად მიიჩნევდნენ, საკუთარი წვლილი შეეტანათ ამერიკელი მოქალაქის ქისის შევსებაში და, საკმარისი იყო, ამ საეჭვო ქველმოქმედების მიმართ ვინმეს უმნიშვნელო ჟესტითაც კი პროტესტი გამოეხატა, რომ მათ ჯინაზე მსესხებლისთვის ლარიანზე მეტიც ეჩუქებინათ.

მთელ ქალაქში მიმოფანტული მათხოვრები რომც გაერთიანებულიყვნენ, ამგვარი შემოსავლით ვერ დაიკვეხნიდნენ. ჩანდა, ფორტუნა როკის მხარეზე იყო და ისიც იმშვენებდა ბედის ნებიერობას. საღამოობით, როცა ნაგვის ბუნკერებში ნარჩენების ჩხრეკითა და მაღაზიებში ჩასაბარებელი პლასტმასისა თუ მინის ბოთლების შეგროვებით გასავათებული ქართველი უპოვრები „წესრიგის დამცველებს“ თვალში რომ არ შესჩხეროდნენ, შინისკენ ლანდებივით მიილალებოდნენ, იგი ქალაქის ცენტრში, კეთილმოწყობილი უბნისკენ ამაყად თავაღერილი მიემართებოდა, კომფორტული, ნათელი ბინის კარს შეაღებდა, ჯიბეებს დაიცარიელებდა, ლარიანებს, ლითონის თეთრებსა და მსხვილ კუპიურებს მაგიდაზე დაახვავებდა, მსხვილ კუპიურებს სწრაფად გადაითვლიდა, სამზარეულოს ქვედა უჯრის სამალავში საგულდაგულოდ ჩაკეცავდა, დაძენძილ ჯინსის შარვალს, დაგლეჯილ ბოტასებსა და ლაქებიან, შელახულ მაისურს საჩქაროდ გაიძრობდა, მაგნიტოფონს ჩართავდა, აფროამერიკული ჰანგების ღიღინითა და რიტმული რხევით შხაპს გადაივლებდა, ტანს შეიმშრალებდა, ზეზეურად წაიხემსებდა, ახ-

ალთახალ ჯინსის შარვალსა და ჭყეტელა მაისურს მოირგებდა, სურნელოვან დეზოდორს ისხურებდა, მაჯებსა და კისერზე უცნაურად დაგრეხილ რგოლებსა და ჯაჭვებს აისხამდა, სარკეში თავის იერშეცვლილ ორეულს კმაყოფილებით თვალს შეავლებდა, მაგიდაზე დახვავებულ თეთრებსა და ლარიანებს დაუთვლელად ჯიბეში იკრავდა, ბინის კარს გაიხურავდა და კევის ღეჭვა-ღეჭვით ქუჩის ხალხმრავალ ნაკადს შეუერთდებოდა.

რამდენიმე ხანში სიგარეტის ბოლით დანისლულ, სანახევროდ ჩაბნელებულ ღამის ბარის დახლთან იჯდა და ნელი ბლუზის ზემოქმედებით თვალმიბნედილი, ლერწმის ღერით კოქტეილს წრუპავდა. მის გარშემო ნებიერად ირხეოდნენ წყვილები. მაგიდებთან მსხდომი, სპირტიანი სასმელებით გაბრუებული ახალგაზრდები ხმის ჩახლეჩამდე ამაოდ უმტკიცებდნენ ერთმანეთს ათასჯერ გადაღეჭილსა და ყურით მოთრეულ ვითომ პრობლემებს და არც კი უფიქრდებოდნენ, რომ ეს სუფთა წყლის ნაყვა მათი უნებლიე მსმენელისთვის წამების ტოლფასი იყო.

ამ შემთხვევაში, უნებლიე მსმენელად შესაძლოა, შავკანიანი მსესხებელი მოაზრებულიყო, მაგრამ მთელი დღე მანქანების დაუსრულებელი გნიასისა და ერთთავად გაფაციცებული წრიალის შემდეგ, იგი სრულ ბედნიერებას თუ არ განიცდიდა, სადღაც სიამოვნებდა, კეთილმოწყობილსა და შედარებით მშვიდ გარემოში რომ უწევდა ყოფნა და ყოყლოჩინა ბიჭების ბრექიაობის მიუხედავად, დარბაზის ანტურაჟს ოცნებებში წარმოდგენილის რეალურ ხორცშესხმად აღიქვამდა.

მოცეკვავეები და, საერთოდ, მაგიდებთან მსხდომნიც, დროდადრო ცნობისწადილით შეავლებდნენ-ხოლმე თვალს დახლთან განმარტოებულს, თუმცა მასთან გამოლაპარაკებას ან ურთიერთობას არავინ ეშურებოდა. ისიც მათ მყისიერ თვალის შევლებას, შემდეგ კი სრულ უყურადღებობას შეგუებული იყო.

აქ ჩამოსვლის პირველ ხანებში მონდომებით ცდილობდა თანატოლებთან ნაცნობობის გაბმას, მაგრამ მათთან ურთიერთობა მისალმებასა და ორიოდ ფრაზას არ გასცილებია. თავიდან ეგონა, ამის მიზეზი მხოლოდ ენის

უცოდინარობა იყო და ამ ხარვეზის შესავსებად სერგის, მასავით ქუჩის დინებას მინდობილ ხეიბარს მიეკედლა, რომელმაც ქალაქის გარეუბანში, მინგრეულ-მონგრეულ შენობაში, ფარღალალა ოთახის კუთხე უწილადა. მის ჭერქვეშ ცხოვრების პირველ წელს ენა გაიტეხა და ქართული წერა-კითხვა ისწავლა, ოღონდ ეს იყო, სერგის პოლიტიკური განწყობის მიმართ სრული ინდიფერენტიზმი გამოავლინა და უაღრესად გაანაწყენა. ამ კაცის აკვიატებული სიტყვებიდან ცალკეული ფრაზებიღა დაამახსოვრდა: „იმისტები“ და „ამისტები“, „მეხუთე კოლონის აგენტები...“ „ხუნტის რეჟიმის დამქაშები“, „რუსეთის ძირმომპალი იმპერია“ და ა. შ.

ეს „ძირმომპალი იმპერია“ რაღა უბედურებაა, იმპერიასაც ძირი რომ ჰქონია, პირველად გავიგეო, ფიქრობდა ამ გაუგებრობის გამო სერგის მიერ ფარღალალა ბინიდან კინწისკვრითა და რომელიღაც კინოფილმიდან დამახსოვრებული „შენს იუმბა-მუმბაში წამსევრდი!“-ს მოწოდებით გამოგდებული, ფანჯრიდან გადაყრილი საცვლებისა და საგარეოდ განკუთვნილი სამოსის აბოჭვისას, რომელთაც გამუდმებული წოწიალისაგან გაქექილ ჩანთაში ყრიდა ნაჩქარევად.

სერგიმ მთელი წელიწად-ნახევარი შეიკედლა. ამ ალალმა და თვითონაც გაჭირვებულმა კაცმა მისთვის არაფერი დაიშურა, თავისი ბედკრული ქვეყნის წარსულს და მისი დიდი შვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობასაც აზიარა, მაგრამ მთელი მონდომება რაღაც ლოზუნგების გამო ერთბაშად წყალში რომ ჩაყარა და მისგან მადლობის სიტყვის გაგონებაც არ ისურვა, როკი ძლიერ გააოცა.

მხარზე მოგდებული ძველი ჩანთით ქალაქის ხალხმრავალ, გაზაფხულის ყვავილებით აფერადებულსა და მზედაღვრილ ქუჩებში ორი დღე იხეტიალა. პოლიციელთა ყურადღება რომ არ მიეპყრო, ღამეს ჩუღურეთში, ერთი ჩაჟამებული სახლის სარდაფში ათევდა. შიმშილმა კუჭი რომ აუწრიალა, ჩანთა ვერის პარკთან მჯდარ ნაცნობ მათხოვარს მიაჩეჩა, შორიახლოს განლაგებული სუპერმარკეტები დაიარა, მათ მეპატრონეებს სამსახური შესთავაზა, მაგრამ იმათ უნდობლად აათვალ-ჩაათვალიერეს

და ახლოს არ გაიკარეს. აშკარა იყო, დროულად რამე სამუშაოს თუ არ იშოვიდა, უპატრონო კატის კნუტივით შიმშილისგან სადმე ფეხს გაჭიმავდა, და ქალაქის ქუჩებში წანწალს მოჰყვა, ვინიცობაა, ვინმეს რამეში გამოსდგომოდა და არსებობის გასახანგრძლივებლად გროშები ეშოვა. თითქოს პირი შეეკრათ, მისი სამსახური არავის სჭირდებოდა.

მესამე დღეს, ვარაზისხევის შუქნიშანთან, ცალკე შიმშილისაგან და ცალკე დაუსრულებელი ხეტიალისაგან თვალისჩინ დაკარგული ასაკოვანმა ქალმა შეაჩერა და რაღაცა ჰკითხა. მარცხენა ხელი უღონოდ ასწია და ის იყო, ვერ გავიგეო, უნდა ეპასუხა, რომ მის გვერდით მანქანამ დაამუხრუჭა, მძღოლმა სარკმლიდან მკლავი გადმოჰყო, მუჭში რაღაც ჩაუდო, გამხნევების ნიშნად ხელი მოუჭირა, მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და თვალს მიეფარა. როკიმ მუჭა რომ გაშალა, მიმოქცევისაგან გაცვეთილი და ფერდაკარგული ლარიანი დაინახა. გაოცების გამოხატვა ვერც კი მოასწრო, რომ ახლა სხვა მანქანამ დაამუხრუჭა, მისმა მძღოლმაც თავი გადმოჰყო, გაამხნევა და ამჯერად დაჭმუჭნილი ორლარიანი მიაჩეჩა. გახევებული იდგა ერთხანად. მძღოლები თითქოს წინასწარ დათქმულ რიტუალს ასრულებდნენ, გაწვდილ ხელში ზოგი ლარიანს, ზოგი ორლარიანს, ზოგიც ხუთლარიანს და ლითონის თეთრებს უყრიდა. რამდენიმეჯერ მძღოლებმა ყურადღება რომ არ მიაქციეს, საიდანღაც ფრაზა — „ერთი „ფიროსმანიანი“ მასესხეთ, სერ!“ — ამოუტივტივდა, მაგრამ ამის გამო პირველივე მძღოლი მანქანიდან გადმოუხტა და ვაი-უშველებელი აუტეხა, ფიროსმანს ახლა ზანგების გაშაყირებაღა აკლდა, შე ძაღლის გაგდებულო, ისეთ ჭიტლაყს ამოგცხებ, საიდანაც ჩამოხეტებულხარ, იმაზე შორს ამოგაყოფინებ თავსო... როკი დაიბნა, მაგრამ აყალ-მაყალის ამტეხს დუდღუნ-დუდღუნით ძლივს აუხსნა, რომ პირიქით, დიდი მხატვრის პატივისცემის გამო იქცეოდა ამგვარად, რაზეც იმ მძღოლმა, ლარიანზე ფიროსმანი რომაა გამოსახული, სულაც არ მახსოვდა და არა მგონია, შენს კეთილ ჩანაფიქრს ვინმე მიგიხვდეს, გიჯობს, უფრო მარტივად თქვა, ლარიანი, ორლარიანი ან ხუთლარიანი

მასესხეთო. შემდეგ კი, ამ ხელის ჭუჭყზე რაღა წამებული და უანგარო ხალხის სურათები აღბეჭდეს, ეტყობა, ამაში ვიღაც ოღრაშის ბინძური ზრახვა ურევია, ამის მომფიქრებლის დედაცო, შეიკურთხა, ათლარიანი დააძრო, შუბლზე მიატყეპა, და ამ გადარეულ ქალაქში კაცის ყური რას არ გაიგონებსო! — სიცილ-ხარხარით მანქანა ადგილიდან დაძრა.

მისი რჩევა ჭკუაში დაუჯდა, „ლარიანი მასესხეთ, სერ!“ — მიაგება პირველივე მანქანის მძღოლს და თითქოს ჯადოსნური ჯოხი მოექნიოს, იმ კაცმა ხელები მაღლა შემართა, გაუცინა და „ვახ, შენ კი გენაცვალე!.. უყურე, ეს ზანგი ქართულად ბაზრობს, ახლა იმ შენს დაქალ, რუსა-პეტა ნინოჩკას შუბლზე ტყვია არ უნდა დააჭედო, მთელი ცხოვრება თბილისში რომ აგდია და ღერი ქართული ვერ დავაცდენინეთო?!“ — ეცა გვერდით მჯდომ, როკის მიშტერებულ, გაოცებისგან მეტყველება დაკარგულ, საავარაუდოდ თავის მეუღლეს, მერე ჯიბეზე ხელი გაიკრა და სანამ გზას გააგრძელებდა, ქართულის ცოდნის გამო აქო და ადიდა...

აი, ამგვარად აღმოჩნდა იგი ვარაზისხევში ქვეითად მოსიარულეთა შუქნიშანთან. ქანცის გაწყვეტამდე იმეორებდა ბედად მოფიქრებულ და ვიღაც მძღოლის მიერ გამართულ ფრაზას და უკვე შეღამებულზე, როცა მანქანების ნაკადმა იკლო და გაუსაძლისმა შიმშილმა ფულის შოვნის ჟინი გაუნელა, თონის პური, ძეხვი და კოკა-კოლა იყიდა, მყუდრო კუთხე მოძებნა, დანაყრდა, სული მოითქვა და შემოსავალი დაითვალა. ერთ დღეში ამდენი ფული ერთად არასოდეს ღირსებია! სევდიან თვალებში შუქი ჩაუდგა. წვრილი ფული შარვლის მარჯვენა ჯიბეში ჩაიყარა, ლარიანები მარცხენაში ჩაიდო, ხოლო უფრო მსხვილი კუპიურები გაქექილი შარვლის შიგნიდან ჩაკერებულ საიდუმლო ჯიბეში საბუთებს შორის ჩაკეცა. შემდეგ წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა და ლამის რეტი დაესხა. აი, სეირიც! პოლიციის შენობიდან ხელის გაწვდენაზე, სკვერში მჯდარა. მის შორიახლოს რამდენიმე პოლიციელს თავი მოეყარა, ხმამაღლა ბაასობდა და რატომღაც მის მხარეს იყურებოდა. როკი ერთხანად გატრუნული იჯდა, როგორც

კი მათ ზურგი შეაქციეს, დრო იხელთა, ფეხაკრეფით დაიძრა, რომელიღაც ქუჩაზე შეუხვია და სამშვიდობოს გასულმა შვებით ამოისუნთქა.

მომდევნო დღეებში პოლიციელების მიმართ შიში საერთოდ გაუქრა, რადგან ისინი ვიღაცის ჩაგონებით ამხნევებდნენ, მხარზე ხელს მეგობრულად უტყაპუნებდნენ და მათ კეთილ დამოკიდებულებას სასწაულს მიაწერდა. სხვა მხრივ ვერაფრით აეხსნა ამ უხეში და საერთოდ, თავაზიანობასთან მწყრალად მყოფი ახალგაზრდების გარდასახვა. უნდოდა, რომელიმე მათგანისთვის ეკითხა, რა მოხდა, რატომ ექცეოდნენ ასე ლმობიერად, მაგრამ შეკითხვას მათი მხრიდან რამე გაუთვალისწინებელი ქმედება არ მოჰყვესო, და გადაიფიქრა. მან ისიც იცოდა, რომ მუდმივი არაფერია, ვინ იცის, ამ წესრიგის დამცველებს რა წუთში რა წამოუქროლებთ, სანამ ჩემით ვინმე საქმიანად არ დაინტერესებულა, ჯობია, ყოველგვარ ყოყმანსა და უაზრო კითხვებს თავი ვანებო, რაც შეიძლება მეტი თანხა დავაგროვო და იქნება ბედსაც ვეწიოო, — გაიფიქრა ერთხელ.

შუქნიშანთან მთელი დღის განცგამწყვეტი წრიალის შემდეგ, საღამოობით ამოჩემებული ღამის ბარის დახლს უჯდა, სადაც უკვე შინაურულად გრძნობდა თავს. ბარმენი, როგორც კი თვალს მოჰკრავდა, მისი საყვარელი მსუბუქი კოქტეილის, „მარტინის“ მომზადებას შეუდგებოდა. ეს მთელი რიტუალი იყო. ამ ნეტარი წუთებისთვის როკის დილიდან საღამომდე ყირაზე დგომაც კი არ დაენანებოდა. სხეულში გამჯდარ მომთენთავ დაღლილობას სასმელზე ფიქრითა და მუსიკის ჟრუანტელის მომგვრელი ჰანგებით დევნიდა, ხოლო როცა ბარმენი სინით ყინულის ნატეხებსა და კოქტეილით სავსე ფუჟერს წინ დაუდგამდა, უსასრულობაში იძირებოდა...

მსუბუქი კოქტეილი ერქვა, მაგრამ რომ შეჰყვებოდა, მეორე დილით, ნაბახუსევზე „სისხლიან მერის“ თუ არ იგემებდა, ვარაზისხევამდე მისვლით კი მიაღწევდა, ოღონდ მთელი დღე იქ წრიალს ვერაფრით გაუძლებდა...

ერთხელ, ბარის მეპატრონემ დაიბარა და საქმიანი ხალხისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, გარკვეუ-

ლი გასამრჯელოს ფასად, ჩვენი კლიენტებისთვის ხომ არ იცეკვებდი ან იმღერებდიო, ჰკითხა. ამაზე არასოდეს მიოცნებიაო, ალალ-მართლად უპასუხა როკიმ. თუკი შევთანხმდებით, არ წააგებო, დაამატა ბარის მეპატრონემ. როკი ამ შემოთავაზებამ ერთგვარ შოკში ჩააგდო, მაგრამ გონზე მოსვლა ვინ აცალა, ხელში მიკროფონი მიაჩეჩეს, რატომღაც ფრენკ სინატრას ალბომიდან სიმღერა მოასმენინეს და გამეორება მოსთხოვეს. რამდენჯერაც სცადა, არაფერი გამოუვიდა. როცა არ შეეშვნენ, თავის ტომში გავრცელებული სიმღერა წამოიწყო, რომელიც იმდენად მარტივი და სასიამოვნო ჟღერადობისა იყო, ბენდის წევრები დასარტყმელი ინსტრუმენტებითა და ბანჯოთი აჰყვნენ, გაამხნევეს და ორი კვირის რეპეტიციების შემდეგ მსმენელთა წინაშე წარადგინეს.

როკის ძალდაუტანებელმა ხმამ, ლაღმა მოძრაობამ და ჰანგის სისადავემ, მსმენელები მიიზიდა. არ ეგონა, თუ ეს განუწყვეტლად მოკამათე და სასმელს მიძალებული ახალგაზრდები მის მიმართ ასეთ ყურადღებას გამოიჩენდნენ და ზედმიწევნით ჩასწვდებოდნენ აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი სამუმის ქროლვის სიმძაფრეს, თაკარა მზის სიმხურვალით სასაგამომშრალი და არაქათგამოცლილი მოგზაურის ოაზისამდე მიღწევის დაუოკებელ სურვილს, რომ საოცნებო მდედრის ხელიდან მაცოცხლებელ, გრილ წყალს დასწაფებოდა...

ტაშითა და „ბრავოს“ ძახილით გაამეორებინეს სიმღერა, შემოეხვივნენ და წარმატება მიულოცეს. შემდეგ კი გამოუტყდნენ, სცენაზე მისი გამოყვანა მათი იდეა რომ იყო. პირველივე საღამოდან ჩუმ-ჩუმად თვალს ადევნებდნენ მუსიკის რიტმს აყოლილ მის ტანის რხევას და აი, ნახავ, ხმაც კარგი ექნებაო, ბარის მეპატრონეს არწმუნებდნენ თურმე.

ამ საღამოდან საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა. მაგიდებთან ახალგაზრდების მიპატიჟებას ვერ აუდიოდა, ხოლო, როცა საღამოობით თავისუფალი იყო, სხვადასხვა „ტუსოვკებზე“ დაატარებდნენ, როგორც მათ მიერ აღმოჩენილ ეგზოტიკურ იშვიათობას და შემთხვევას არ უშვებდნენ, მისი ნიჭიერება არ აღენიშნათ.

სწორედ ასეთ „ტუსოვკაზე“ გაეცნო ერთთავად ნაზი

ღიმილით სახედამშვენებულ, უსაშველოდ გამხდარ, მაგრამ მისი აგებულებისთვის შეუსაბამო ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა, ქერათმიან ქალს (მის მსგავსებზე მიანიშნა ერთხელ სერგიმ, ბუზის ენერგია აქვთო. როკის გაუკვირდა, ბუზის შედარება ადამიანთან რა მოსატანია, იგი ხომ მეტად სუსტიაო, რაზეც სერგიმ იქვე დასძინა: ცალკე აღებული ერთი მართლაც სუსტია, მაგრამ კოლექტიური ენერგია და მახსოვრობა აქვთ და იმდენად აბეზრები არიან, მკვდრეთით აღდგომაც კი შეუძლიათო), უფრო სწორად, თვითონ მან ისურვა როკის გაცნობა, თეა მქვიაო და ხელის ჩამორთმევისთანავე ინგლისურად ისე აჟღურტულდა, სალაპარაკო არც დაუტოვა. როკის მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია, რომ იგი ყოველ მეორე სიტყვაზე ამერიკელებს და ამერიკას აქებდა, რადგან ქალის ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ ზესახელმწიფოზე დიდ იმედებს ამყარებდა. ამერიკელი მომღერლებისა და მწერლების გრძელი ნუსხა რომ ჩამოურაკრაკა, მისი პირადი ცხოვრებით, საქმიანობითა და მომავლის გეგმებით დაინტერესდა. როკის არც ქალის მრავალსიტყვაობა მოეწონა და არც ის, სულში დაურიდებლად რომ დაუწყო ხელის ფათური.

გაახსენდა, ჯერ კიდევ ზამთარში, უთავბოლო ხეტიალისას, ქალაქის ცენტრში ორ თანამემამულე ქალს გადაეყარა. ერთმანეთი იერით შორიდანვე იცნეს, მაგრამ იმათ თვალი აარიდეს. არადა, ერთი სული ჰქონდა, ვინმე თანატომელს შეხვედროდა. თუ ახალი წამოსულები იყვნენ, იქაურობის შესახებ რაღაცას ეტყოდნენ, თუ არა, თავიანთ ენაზე დაილაპარაკებდნენ და გულში ღრმად ჩაგუბებულ მონატრებას მაინც გაიქარვებდნენ.

მაღალი და ტანკენარი ქალი ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული, მასზე ოდნავ დაბალი და გამხდარი კი, თექვსმეტისაც არ ჩანდა. ჩაცმულობასა და თამამ მოძრაობაზე ეტყობოდათ, საქმე არცთუ ისე ურიგოდ უნდა ჰქონოდათ, და ისიც იფიქრა, იქნებ ხელის გამართვაზე უარი არ მითხრანო.

დრო თავზე საყრელად ჰქონდა და კვალზე გაჰყვა. როგორც კი ხალხმრავალი ქუჩიდან გადაუხვიეს, როკიმ ფეხს აუჩქარა. ის იყო, ჩიხში შეუხვია, რომ უეცრად

გადაუდგნენ, ხელი ჩაავლეს და კედელზე ააკრეს. მშიშარა არ ეთქმოდა, მაგრამ მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა. თავის დახსნა ამაოდ სცადა. მძიმე შრომისგან დაკუნთული, ღონიერი მკლავები შემოაჭდეს და დახრჩობას უპირებდნენ. სიცოცხლე არაფრად უღირდა, თუმცა ამ უცხო ცის ქვეშ თანატომელთაგან გასაწირად თავი მაინც არ ემეტებოდა. რისთვის, ისეთი რა დავაშავეო, გაიფიქრა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, თავგანწირვით გაიბრძოლა და მაღალსა და ტანკენარს ქალურ სუსტ მონაკვეთზე ძლიერი მუჯლუგუნი უთავაზა. მან ტკივილისგან გამწარებულმა შეჰკივლა, ხელი უშვა და მოჰკურცხლა, ახალგაზრდა კი დაბნეულობისგან გაშეშდა. როკი უმალ თმაში სწვდა და ახლა კედელზე ის ააკრა. ტანკენარი შედგა, მოტრიალდა, ნელ-ნელა მოუახლოვდა და შეეშვი, თორემ ახლავე პოლიციელებს მოგისევო, დაემუქრა. როკიმ, მიდი, მთელ ჯარს უხმე, თუ ვინაობას, ან ასე დაუნდობლად რატომ მომეპყარით, არ მეტყვი, ამას აქვე მივასიკვდილებო, გამოსცრა. მისმა კატეგორიულმა ტონმა ტანკენარი მორჩილი გახადა. გოგონას თუ თავს დაანებებ, მოგიყვებიო, დაჰპირდა. როკიმ გოგონას ხელი უშვა და უახლოესი პარკისკენ დაიძრნენ.

მათმა მონათხრობმა როკი უკიდურესად დათრგუნა. მთელი კვირა თვალს მოხუჭავდა თუ არა, გაპარტახებული სოფლები, დაწიოკებული ქალები და ბავშვები ედგა თვალწინ. მერე ხიფათით სავსე გზებზე მათი წანწალი, ლტოლვილთა ბანაკები, გაქცევა და უცხო ქვეყნებში უნებართვოდ შეღწევა. იქაც დევნა და აკრძალვები... და მაშინ, როცა თავს დაიიმედებდნენ, საშიშროება ზურგს უკან მოვიტოვეთო, საიდანღაც სოციალური აგენტები გამოტყვრებოდნენ და ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

მათი სევდიანი, მთრთოლვარე ხმები დიდხანს ედგა ყურში, სიტყვები კი გულს სალბუნივით ედებოდა. ისინი ისე წავიდნენ, ამ სიტყვებისა და ხმების ტყვეობაში მყოფს, არც თავისი უიმედო მდგომარეობა და არც რამე დახმარების თხოვნა გახსენებია. ამ ხმების მოსმენაზე დიდ ბედნიერებას, ვერც ერთი აღთქმული საუნჯე ვერ გადაწონიდა.

როცა სერგის ფარღალალა სადგომში დაბრუნდა, გულის ამოგლეჯამდე, კვნესით ისაუბრა იმ ორ ქალზე, რომლებიც დედა-შვილი აღმოჩნდნენ. მეხთატეხას გამორიდებულთ, თითქოს ეპოვათ თავის მისაყრდნობი მყუდრო სავანე, მაგრამ, თურმე, ერთთავად მდევარი და დამსმენი ელანდებოდათ.

წასვლის წინ გააფრთხილეს, ჟურნალისტებს ერიდეო. არ დაუკონკრეტებიათ, ამ მშვიდობიანი პროფესიის ხალხს რატომ უნდა მორიდებოდა, თუმცა მათი გაფრთხილება მახსოვრობაში იმდენად მწარედ ჩარჩა, მუდმივად დადარაჯებული იყო...

შეშფოთება გარეგნულად არ გამოუხატავს. ეს იყო, თეას ფრთხილად ჰკითხა, ჩემი პირადი ცხოვრება რაში გაინტერესებს, იგი მრავალი გასაცოდავებული ლტოლვილის ყოფისაგან არაფრით განსხვავდება, მოსაყოლი თითქმის არაფერი მაქვსო. მაგრამ სასმელთან შეზავებულმა ქალის მაცდურმა ღიმილმა და საამო სიტყვებმა, ბოლოს და ბოლოს, სიფრთხილე მოუდუნა და გულის კარი გააღებინა.

— შენი სიმღერა ტრადიციული აფროამერიკულისგან ძალიან განსხვავდება, უამრავი შემსრულებლისთვის მომისმენია, მაგრამ ვერც ერთს ვერ მივამსგავსე. ტექსტი და ჰანგი იმდენად თავისებური მეჩვენა, აშკარაა, მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნიდან ხარ. საინტერესოა, რა ენაზე მღერი, იქნებ ამ ტექსტსა და მელოდიაზე უფრო დაწვრილებით მომიყვე, — შეაპარა თეამ.

მისმა სიტყვებმა როკის სურვილი გაუღვიძა, თავის ქვეყანაზე ესაუბრა.

— ეს სიმღერა ჩემმა წინაპარმა უხსოვარ დროში შეთხზა. იგი ჩვეულებრივი სიმღერა როდია, უფრო რიტუალურს უახლოვდება, ჩვენი ტომის თავდაპირველ დასახლებაზე, აფრიკის მწველ უდაბნოსა და მის წიაღში მცხოვრებ ხალხზე მიანიშნებს. ამჟამად ჩემი ხალხი ქვეყნის ისეთ მხარეში სახლობს, რომლისთვისაც მუსონური წვიმებია დამახასიათებელი და წლის ყველაზე ცხელ სეზონშიც კი ოაზისივით გამოიყურება, მაგრამ ძველი სიმღერები მაინც არ დავიწყებიათ... ჩემი ქვეყანა უმდიდრესია ძვირფასი

ქვებით, ნავთობით, ტროპიკული მცენარეებით. ხალხიც მშრომელი და თავისი ქვეყნის ტრადიციების ერთგულია, თუმცა ხელისუფლების წარამარა ცვლამ და ერთეულ ადამიანთა სხვის ხარჯზე გამდიდრებისკენ სწრაფვამ, გაჩანაგების პირამდე მიიყვანა. იქ რიგით ადამიანებს არაფრად აგდებენ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს გამოქცევამდე ასე იყო. ამბობენ, ახლა ვითარება სასიკეთოდ შეიცვალაო, მაგრამ დაბრუნება არ შემიძლია, რადგან ახლანდელ ხელისუფალთან დაპირისპირებული ტომის შვილი ვარ. როგორც შევიტყვე, გარეშე ძალების ჩარევით, ჩემს ქვეყანაში დღეს მშვიდობაა, ქვეყანა თითქოს სასიკეთო გზასაც დაადგა, თუმცა მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითია და ახლო მომავალში რა იქნება, არავინ იცის...

თეა გაფართოებული თვალებით შესცქეროდა როკის, რომელიც საუბრობდა თავის სოფელზე, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებზე, ქალებზე, რომლებიც ყოველდღიურ, ქედდადრეკილ შრომასთან ერთად, თავიანთ ქმრებსა და შვილებს სიცოცხლის ხალისს ჰმატებდნენ, საუკუნეობით შესისხლხორცებულ, ბალახებით მკურნალობისა და შელოცვების საიდუმლოებებს ფლობდნენ და მისი სიტყვებით, ზოგიერთ საქვეყნოდ განთქმულ ევროპელ მკურნალს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ; კაცებზე, რომლებიც უხსოვარი დროიდან ტომის ვაჟკაცობის მაგალითად ითვლებოდნენ; ბუნებაზე, რომლის ბადალი დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება...

და თეამ, როკის მონაყოლიდან გამომდინარე, ბუნებრივად იკითხა:

— შენი ნაამბობიდან გამოდის, რომ ამერიკელი არა ხარ.

— მერედა, ვინ გითხრათ?..

— რა ვიცი, ყველას ასე ჰგონია.

— ვისაც რა უნდა, ის ეგონოს. მე უგანდიდან ვარ და ამით ვამაყობ.

მისმა სიტყვებმა თეა ლამის დაამუნჯა.

— არავისგან რომ არ მსმენია? — წამოიწყო მოგვიანებით.

— სანამ რამეს ვიტყოდი, ამერიკელობას თვითონ მომაკერებდნენ და დაე, ეგრე ეგონოთ-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობდი.

— და შენ ეს არ გწყინდა?

— გამოგიტყდები, არა, რადგან ევროპაში წოწიალისას ეროვნების დამალვა ბევრჯერ დამჭირვებია.

— რა, ეროვნების გამო გდევნიდნენ?!

— მთლად ასეც არაა. ვიცოდი, აღმომაჩენდნენ თუ არა, მაშინვე უკან დამაბრუნებდნენ. ეს კი ჩემთვის ხელსაყრელი არ იყო.

— გასაგებია... — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა თეამ, ერთი წუთით შეყოვნდა და ისევ მიუბრუნდა, — რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნები?

— ჩემი ახლობლებივით კათოლიკე ვარ, ჩვენთან მოსახლეობის საკმაო ნაწილი ისევ ტრადიციულ რელიგიას მისდევს.

— რა ენაზე ლაპარაკობთ?

— სუაჰილზე, სხვებთან საურთიერთობოდ კი ინგლისურს ვიყენებთ, ჩემი ტომი სუაჰილის ერთ-ერთ დიალექტზე მეტყველებს. დევნილობისას ბელგიური, დანიური, ჰოლანდიური და გერმანული ასე თუ ისე, შევითვისე, ახლა ქართულის სწავლას ვცდილობ.

— თუ იცი, რომ პოლიგლოტი ყოფილხარ?

როკის ხმამაღლა გაეცინა, მერე უეცრად მოიწყინა.

— ჩემი უფლება რომ ყოფილიყო, სუაჰილს დავჯერდებოდი...

— რატომ, ნათქვამია, კაცმა რაც უფრო მეტი ენა იცის, უფრო მდიდარიაო.

როკის თვალები ოინბაზურად აუციმციმდა.

— კახელი მიხოს ანეკდოტი გეცოდინება..

— რომელი?.. რაო?.. ამ ჩვენს კუთხურობებშიც გაგარკვიეს?! — სიცილი აუტყდა გაოცებულ თეას.

— კახელების გვერდითაც ვიცხოვრე, ქართლელებისაც და გურულებისაც. ყველა არაჩვეულებრივი ხალხია, მაგრამ ყველაზე მაგრები მაინც კახელები მგონია...

— რაო, იმ მიხომ?

როკის თვალები ისევ აუციმციმდა.

— რაო და... მიხო და მარო გზაზე მიდიან. ტურისტებმა გააჩერეს და მიხოს სხვადასხვა ენაზე ეკითხებიან, ესა და ეს ადგილი თუ იციო, მაგრამ ვერაფერი გააგებინეს...

მიუხედავად იმისა, რომ თეას ეს ანეგდოტი ვინ იცის, მერამდენედ ჰქონდა მოსმენილი, გულიანად იცინა, რადგან ყველაფერს, მაგრამ ამ ინგლისურად მოლუღლუღე ფერადკანიანისაგან ქართული იუმორის ასე ზედმიწევნით აღქმას მაინც არ ელოდა.

— შენ სხვა ანეკდოტიც გეცოდინება.

— როგორ არა, თუმცა... ისევ მიხოს მინდა მივუბრუნდე... უფლება რომ მქონოდა, ჩემი მიწის იქით ფეხს არ გავადგამდი. ყველას, ვისაც ჩემთან დალაპარაკება მოესურვებოდა, პასუხს სუაჰილურად გავცემდი. გაიგებდნენ თუ არა, ეს მათი პრობლემა იქნებოდა... ყველამ კეთილი ინებოს და, სადაც მიდის, იმ ქვეყნის ენას პატივი სცეს... მაგრამ აი, თქვენმა პოეტმა გურამიშვილმა...

— ოჰო, შენ გურამიშვილიც იცი?! — ბუნებრივად გაიოცა თეამ.

— რატომაც არა? ამ ქვეყანაში თითქმის ორი წელია ვცხოვრობ და მაინტერესებდა... სერგიმ სხვა მწერლებიც გამაცნო...

— ის შენი სერგი მაგარი მასტი ყოფილა.

— კი, ძალიან მაგარი მასტია. — დაუდასტურა როკიმ

თეას მის პასუხზე, კერძოდ კი „პასივით“ მოწოდებულ „მასტზე“ ისევ სიცილი აუტყდა.

— რაო, ჩვენმა დიდმა პოეტმა?

— ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, მან ხომ ცხოვრების უდიდესი ნაწილი, იძულებით უცხო მიწაზე გაატარა. ალბათ, ისიც იცით, სალაპარაკო რუსული კი სცოდნია, მაგრამ მოხუცებულობის ასაკში, თურმე, მეფის სახელზე პენსიის დასანიშნი თხოვნა რუსულად ვერ დაუწერია.

თეა გაშრა, თავი დახარა. მისდა სამარცხვინოდ, ეგონა, რომ გურამიშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებას ძირისძირობამდე იცნობდა, მაგრამ ამ დეტალზე, დეტალზე კი არა, მისი ცხოვრების უმთავრეს კრედოზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

თავი რომ ასწია, დარბაზში მიიხედ-მოიხედა და მაგ-

იდების ირგვლივ არხეინად მოკალათებულ, შეზარხოშებულ ახალგაზრდებს თვალი მოავლო. „ნაძლევს დავდებ, ეს ამბავი არც ამათ ეცოდინებათ!“ — სინანულით გაიფიქრა და წუთით წამოუარა, ამდგარიყო და, სათითაოდ, ყოველი მათგანისთვის ეკითხა, ასე იყო თუ არა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, რადგან ამ გამოხდომით როკის დააფრთხობდა. „საინტერესო კია, — ფიქრობდა თეა თავისთვის, — ორი საუკუნის შემდეგ მისი შთამომავლობა როგორ აფასებს იმას, რომ მიუხედავად უცხო მიწაზე ცხოვრებისა, საკუთარ ნიადაგზე დარჩა და, პროტესტის ნიშნად, დამპყრობლის ენა არ გაითავისა“.

— ალბათ, ქართულის სწავლა გაგიჭირდებოდა. — გურამიშვილზე ფიქრს ძლივს დააღწია თეამ თავი.

— როცა სხვა ენაზე არ გეკონტაქტებიან, იძულებული ხდები, მოინდომო. თქვენი ენა ჩემისგან თვისობრივად განსხვავდება. თავიდან მეძნელებოდა. უმთავრესად ხელს ის მიშლის, როცა ქართულად სწრაფად ლაპარაკობენ, თარგმნას ვერ ვასწრებ, მე კიდევ მეშინია, არ დამცინონ და თავს ვიკავებ...

— ამას წინათ შემთხვევით მოგისმინე. ვფიქრობ, ზოგიერთ ბგერას უფრო დახვეწ, მახვილებსაც სწორად დასვამ, ლექსიკურ მარაგს თანდათან შეავსებ, დროსა და რიცხვში რაღაცებს ურევ, მაგრამ, მგონია, თანდათან ამასაც დაძლევ და საკმაოდ გამართულად იმეტყველებ, — დააიმედა თეამ.

იგი ქალს დაეჭვებით მიაჩერდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ სიმართლეს ეუბნებოდა, გულკეთილად გაუღიმა.

— საქართველოსა და ქართულის შესახებ რამე თუ ვიცი, სერგის დამსახურებაა.

— იმ შენს სერგის, როგორც ჩანს, კარგი მეთოდი ჰქონია.

— კი, თანაც ძალიან მკაცრია.

— მასწავლებელია?

— იყო, ახლა პენსიონერია და უჭირს.

— ხომ არ გამაცნობდი.

— მებუტება.

— თუ საიდუმლო არაა, რატომ?

— სულ პოლიტიკაზე საუბრობდა. მე კიდევ ამას განზრახ ვერიდებოდი. კარგად ვიცი, უცხო ქვეყანაში პოლიტიკით დაინტერესება კარგს არაფერს მომიტანს. ეს არ მაპატია და სახლიდან დამითხოვა.

— შერიგება თუ გიცდია.

— როგორ არა, მაგრამ ჩემი დანახვა არ უნდა.

თეამ იგრძნო, როკის ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება არ სიამოვნებდა და თემა შეცვალა.

— ჩვენი სიმღერები თუ მოგწონს.

— ძალიან... განსაკუთრებით ხალხური. ალბათ, იმიტომ, რომ ზანგურივით მრავალხმიანია. თანამედროვე სიმღერებიც მომწონს. ქართული ფილმიდან ერთი სიმღერა განსაკუთრებით დამამახსოვრდა: „რა ვუკო რომ შავი ვარ, დამცვარი ვარ მზისაგან, მეც ჰომ ადამიანი ვარ, გაჩენილი გვთისაგან...“ — წაიღიღინა.

თეას მის ღიღინზე შემწყნარებლურად გაეცინა. როკი მომღიმარი სახით მიაჩერდა.

— მელოდია ზუსტად დაგიჭერია, აი, ზოგიერთი ბგერა, როგორც გითხარი, სუსტად ისმის, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება, რაც შეეხება სიმღერას, ჩემთვის გასაგებია, რატომაც დაგამახსოვრდა... ალბათ, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელები ზედმეტ ყურადღებას გაქცევენ და გეუხერხულება.

— ევროპაში ეს საგრძნობი არ იყო, ჩვენს იქ ყოფნას დიდი ხანია, შეეჩვივნენ. თქვენთან ეს უფრო ცნობისმოყვარეობას უკავშირდება. ქუჩაში ცნობისმოყვარე მზერას მუდმივად ვაწყდები, მაგრამ ევროპელებისგან, კერძოდ კი გერმანელებისგან განსხვავებით, აგრესია არასოდეს მიგრძვნია. კარგია, როცა უამრავ ადამიანს რაღაცა აინტერესებს. ეს მათ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს...

— სამუდამოდ აქ დარჩენას ხომ არ აპირებ.

— ძალიან მომწონს და შემიყვარდა აქაურობა. თუ სადმე ცხოვრებას ვინატრებდი, მხოლოდ აქ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, როგორც კი ჩემს ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნება, უეჭველად წავალ. აქ სამუშაოს პოვნა ძნელია. რამდენჯერ გამიგია, ჩვენ თვითონ გვი-

ჭირს და ამ ზანგებსა და ჩინელებს აქ რა უნდათ, ვერ გაგვიგიაო... თავისებურად მართალია. აქაურები გაჭირვების გამო სამუშაოს საძებნელად სად არ მიდიან, ჩვენ კიდევ ამ ხალხს ზედმეტ ბარგად ავეკიდეთ.... თუმცა მე აქ ჩემი ნებით არ ჩამოვსულვარ.

— არ მითხრა, ძალა დამატანესო!

— არა, მომატყუეს... საქართველოს არსებობის შესახებ მანამდე არც მსმენია. ამერიკაში შეღწევას წლობით ვცდილობდი, მაგრამ, თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, არაფერი გამომდიოდა. დანიაში ნახევარი წლის დანაზოგის ფასად, ერთმა გაქნილმა ტიპმა, ვითომ ამერიკის ჯორჯიის შტატში გამგზავრება მომიხერხა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავი საქართველოში ამომაყოფინა.

თეას სიცილი წასკდა. სიცილი როკისაც გადაედო.

— ახლა მეცინება, თორემ მაშინ ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, სიკვდილს ვნატრობდი... თბილისის აეროპორტშივე ამიყვანეს. თავიდან ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა დამკითხა, მერე ადგილობრივმა უშიშროებამ. ამერიკის წარმომადგენლობა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობდა, საქართველოს მთავრობის სახელით ვიღაც ჩინოვნიკი, ჩემთვის უცნობ მთავრობებთან კონსულტაციებს მართავდა. მთელი თვე საკანში მაყურყუტეს, მახვედრებდნენ ადვოკატებს, იწერდნენ ჩემს ჩვენებებს, ხელს მაწერინებდნენ განცხადებებსა და მიმართვებზე და, როცა მეგონა, რომ საკანიდან გასვლას ვეღარასოდეს ვეღირსებოდი, ერთ დილას მოულოდნელად წამომაგდეს, ქალაქის ცენტრში, ჩუქურთმებიან, ძველ შენობაში მიმიყვანეს და გამომიცხადეს: იმის გამო, რომ უგანდასთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატები ჩემს უფლებებს არ ცნობდა, ხოლო უგანდაში ჩემი დაბრუნება პოლიტიკური მოსაზრებით ჯერ-ჯერობით ჩემთვის ხელსაყრელი არ იყო, საქართველოს მხარე დევნილის სტატუსს მანიჭებდა სამი თვით, ხოლო შემდეგ ჩემი ან უგანდაში დაბრუნების, ან ევროპაში გადაგზავნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. და აი, მეორე წელი იწურება, რაც ჩემი არსებობა არავის გახსენებია, მე კიდევ იქ მისვლას

ვერიდები, რადგან მეშინია, ხელი არ დამავლონ და თავი უგანდაში არ მიკრან და ვარ ასე, გაურკვეველ მდგომარეობაში.

— ამის გამო ჩემი ქვეყანა ხომ არ შეგძულებია.

— რას ამბობთ, ხომ გითხარით, ბევრგან ვარ ნამყოფი, მაგრამ ასეთი ქვეყანა არსად შემხვედრია. მარტო ბუნებაზე როდი ვამბობ, ამჯერად მხედველობაში ხალხი მყავს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში უცხოები კი არა, თავიანთი ახლობლები არ უნდათ. აქ კიდევ, სრულიად უცნობი ადამიანები ერთმანეთს უანგაროდ ეხმარებიან.

— ასე ხაზგასმით ევროპას რომ გამოყოფ, არ იცი, რომ საქართველოც ევროპის ნაწილია?

— სერგი მარწმუნებდა, რომ საქართველო პირველ რიგში კავკასიის გულია, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და ერთ დროს მთლიან კავკასიასთან ერთად, მსოფლიო ცალკე ერთეულად აღიარებსო...

— ეგ შენი სერგი, როგორც ჩანს, არ ხუმრობს, — გაეცინა თეას.

— რა გამოვა, არ ვიცი, მაგრამ ამ იდეას სერიოზულად ამტკიცებს, — ღიმილით დაუდასტურა როკიმ

— საინტერესოა!.. კიდევ ერთი რაღაც უნდა გკითხო... — თეა უეცრად გაჩუმდა და როკის თვალი რაღაც სხვანაირად შეავლო, — ოღონდ არ გაგიკვირდეს, ეს უბრალოდ, ქალური ცნობისმოყვარეობა როდია, მე ამას სუფთა პროფესიული თვალსაზრისით...

— რა პროფესიულით!.. — აფორიაქდა როკი.

— ხომ გითხარი, სოციოლოგი ვარ და, აქედან გამომდინარე, — დაამშვიდა თეამ.

— აჰა, გასაგებია! — გამხნევდა როკი.

— ჩვენი ქალები თუ მოგწონს?

მან თავი დახარა. ჩანდა, კითხვა მისთვის საკმაოდ საჩოთირო იყო.

— არ ვიცი, ქალებისადმი ჩემი დამოკიდებულება რაში გამოგადგებათ, მაგრამ... თეთრ ზეწარზე მოსხმარტალე შავკანიანი, შიშველი ქალი თუ წარმოგიდგენიათ?.. — იკითხა მორიდებით.

— არა, მაგრამ ნამდვილად ეფექტური სანახავი კი იქნება! — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უპასუხა თეამ.

— გეწყინათ?

— სულაც არა... ამავე წარმატებით შეიძლება შავ ზეწარზე მოსხმარტალე თეთრი ქალის წარმოდგენაც...

— ნათქვამია, გემოვნებაზე არ დაობენო.

ორივეს მხიარულად გაეცინა.

— კიდევ რა გაინტერესებთ? — ისევ ოინბაზურად აუციმციმდა ზანგს თვალები.

— ბევრი რამ, მაგრამ კიდევ ერთს გკითხავ და ამით მოვრჩეთ, ცხოვრება ამ საღამოს ხომ არ მთავრდება?.. მიპასუხე, როკი შენი ნამდვილი სახელია?

როკი ოდნავ შეყოვნდა, თავი დახარა და ჩაფიქრდა.

— არა, იოვერი მქვია. ევროპაში ყოფნისას რისი გაკეთება არ ვცადე... ბელგიაში ერთმა მენეჯერმა შემნიშნა, მთელი წელიწადი მწვრთნიდა და რინგზე ამიყვანა. რამდენიმე შეხვედრა მოვიგე. გულშემატკივრები ტექნიკით ვიღაც როკის მამსგავსებდნენ, მენეჯერმაც აიღო და როკი შემარქვა. იგი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას სასტიკად დავმარცხდი, მისმა ელვისებურმა აპერკოტმა ლამის საიქიოში გამისტუმრა. ეს გატეხილი ცხვირიც იქიდან შემომრჩა, — ცხვირზე დანანებით ჩამოისვა ხელისგული.

— წარსულის გახსენებით, ალბათ, გული გატკინე! — შეწუხდა თეა.

— პირიქით. ეს ყველაფერი უეჭველად ვინმესთვის უნდა მომეყოლა. მიხარია, შენისთანა ყურადღებიანი მსმენელი რომ შემხვდა.

— როგორ გირჩევნია, შენი ნამდვილი სახელი დაგიძახო?

— აქ ამ სახელით მიცნობენ და არ მინდა მეგობრები და ნაცნობები დავაბნიო. როცა უგანდაში დავბრუნდები, ჩემს სახელს უეჭველად დავიბრუნებ და მოდი, ისევ როკი დამიძახე.

— როგორც გენებოს... — წამით ჩაფიქრდა თეა, მერე უეცრად სახე ღიმილმა დაუფარა, — ისე კი, თუ იცი, რომ შენს სახელს ქართული ჟღერადობა აქვს?.. ი-ო-ვე-რი, — დამარცვლა თეამ, — ბგერა — ო რომ ამოვიღოთ, დარჩება ივერი ანუ ივერია.

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. ისე, დაკვირვებული ვარ, ქართველებს ყველაფრის საქართველოსთან დაკავშირება გახასიათებთ...

— შენი აზრით, ეს ცუდია?

— პირიქით, მე მგონი, ამით თქვენ ამტკიცებთ, რომ ვინც კი ირგვლივ გახვევიათ, ყველა თქვენი კეთილმოსურნე და მონათესავეა... ანუ, მე იმისი თქმა მინდოდა...

— კარგი, დღეისთვის ეს ვიკმაროთ, ახლა კი ცოტა გავერთოთ, — გააწყვეტინა თეამ, წამოდგა და როკის ხელი გაუწოდა.

* * *

ისე წაეწყო, მთელი მომდევნო კვირა როკი ღამის ბარში არ გამოჩენილა. თავიდან კლიენტებმა მოისაკლისეს, შემდეგ კი მისი გაუჩინარებით ბარის მეპატრონეც დაინტერესდა. როგორც გაირკვა, ზანგის ასავალ-დასავალი იქ მყოფთაგან არავის სცოდნია, ყველა ურთიერთგამომრიცხავ ვარაუდს გამოთქვამდა. ეს იწილ-ბიწილო, ალბათ, დიდხანს გასტანდა, ერთ საღამოს ბარში უცნობი ხეიბარი რომ არ გამოცხადებოდათ, რომელიც მაგიდებთან მსხდომ, როკის გამო აყაყანებულ კლიენტებს შეწუხებული სახით მისჩერებოდა, შემდეგ, მათდა გასაოცრად, საერთო სალამი თქვა, გახუნებული ქურთუკის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა, მეოთხე გვერდი გულდასმით გაასწორა და მის შორიახლო მაგიდასთან მჯდომ ახალგაზრდას გაუწოდა, რომელმაც როგორც კი გაზეთს დახედა, თვალები ჭერს ააპყრო და „ღმერთო ჩემო, აგერ, ჩვენი როკიც!“ — წამოიძახა.

ბარში სკამების ხრიგინი, ფეხების ტყაპუნი და გაკვირვების შეძახილები გაისმა, შემდეგ რამდენიმე ხნით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

გაზეთის მთელი გვერდი როკის ეძღვნებოდა. წერილს სათაურად ჰქონდა „ლარიანი მასესხეთ, სერ!“ მის ქვემოთ კი, მანქანისკენ ხელგაწვდილი ზანგი მთელი ტანით იყო აღბეჭდილი.

გაზეთი ხელიდან-ხელში გადადიოდა. დარბაზში ისეთი სიჩუმე იდგა, გეგონებოდა, რაღაც რიტუალს ასრულებდნენ.

— მაინტერესებს, ამ ინტრიგანი ჟურნალისტის — „ქორჭილას“ სახელს ვინაა ამოფარებული... წარმოგიდგენიათ? არც კი მალავს, ვიღაც გულუბრყვილო გოგონა თავისი მიზნისთვის როგორ გამოუყენებია... როკის მიუტევებელი დანაშაული ისაა, თავს ამერიკელად რომ ასაღებს და ეს შემოსავლის წყაროდ გაიხადაო... ამ დროს, ამერიკელი ვარო, არასოდეს უთქვამს, და, საერთოდ, უქონელი ადამიანი საიდანაც არ იყოს, თანაგრძნობას უნდა იწვევდეს და არა ამგვარ ცინიზმს... ამ ეგრთ წოდებული სტატიის ჩიტირეკია ავტორმა მიაღწია იმას, რომ როკი ვარაზისხევში აიყვანეს და პოლიციაში გააქანეს. ამ დილით ხმა ძლივს მომაწვდინა. ახლა იქიდან მოვდივარ. ვიღაც ციცქნა, ქერათმიანი ქალი ეფიცებოდა, შენი ამბავი ერთ ჩემს დაქალს მოვუყევი, იმან კი თავისი გულუბრყვილობით ჟურნალისტთან ისაუბრა და ჩემი ბრალი არ არისო, მაგრამ მის ფიცილს დამაჯერებლობა აკლდა... როკიმ მთხოვა, თქვენთან მოვსულიყავი და მისი მოკითხვა და კეთილი სურვილები გადმომეცა.

— ხომ არ უთქვამს, რას უპირებენ? — ჰკითხა ბარის მფლობელმა უცნობ ხეიბარს.

— რამდენიმე ხანში, ალბათ, ევროპის რომელიღაც ქვეყნის ლტოლვილთა ბანაკში ან სამშობლოში დააბრუნებენ... იქნება ეს უკეთესიც იყოს, იქნებ როკი საკუთარ მიწას დაუბრუნდეს... ჩემი აზრით, თავისი ქვეყნის ჭირვარამს არავინ არ უნდა გაექცეს. თუ სამშობლო ყველამ მივატოვეთ და სხვაგან გადავსახლდით, ჩვენი მიწიდან ძირფესვიანად ამოგლეჯილ უსიყვარულო, ნაცრისფერ მასად ვიქცევით... მე ის თავიდანვე გავაფრთხილე, პრობლემებს ნუ გაექცევი, მაინც ვერსად დაემალები-მეთქი...

— ნეტა, რა პრობლემებზე საუბრობთ, ამერიკის მოქალაქეს ევროპის ლტოლვილთა ბანაკებში რა დარჩენია, შინ დაბრუნება ხომ მისთვის იმდენად იოლი იქნება, რომ! — გაოცებით წამოიძახა ბარში შეუმჩნევლად შემომატებულმა კლიენტმა.

— რა ამერიკა, რის ამერიკა... აგე, გაზეთი, როკი უგანდიდან ყოფილა! — შეეპასუხა ვიღაცა და გაზეთი გაუწოდა.

— გვატყუებდა?! — გაზეთისთვის არცკი შეუხედავს, ისე გაიოცა ახალმა შემომატებულმა.

— როგორ გეკადრებათ, თავისი სადაურობა არასოდეს დაუმალავს! — შეეპასუხა უცნობი ხეიბარი.

— მე კი მაინც მეგონა, რომ ამერიკელი...

მისი ხმა უეცრად ქარიშხალივით მოხეთქილმა გნიასმა ჩანთქა.

ბარის კლიენტებმა იქაქანეს, იყაყანეს და, როცა როკის განკითხვით გული იჯერეს, გაზეთის მომწოდებელი ხეიბარი გაახსენდათ, მაგრამ აღმოაჩინეს, რომ იგი გაუჩინარებულიყო.

— იმ კაცის სახელი ხომ არ იცით... ნეტა, ვინ იყო?! — სინანულით იკითხა ბარის მეპატრონემ.

კლიენტებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს, მერე ამ კითხვას ბარის მეპატრონის მხრიდან როკისთან დაკავშირებით რამე დავალება არ მოჰყვესო, გაუელვათ და დარბაზიდან ერთმანეთის მიყოლებით, დაუბრებულებივით გაილალნენ.

იატაკზე კი იმ საღამოს მოვლენათა უტყუარი მოწმე, გაშლილი გაზეთი ეგდო.

დარბაზის მოღიავებული კარიდან ნაგვიანევი შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა და გაზეთის ფურცელზე აღბეჭდილი, მომღიმარე როკის სახიდან ბარის კლიენტთა ნაფეხურების წაშლას ამაოდ ცდილობდა.

ცოცხალი მოწმე

მარეხი ჩემი ხანდაზმული ახლობლის, ლიზიკოს მეგობარია. ეს, ცოტა არ იყოს, ახირებული ქალი ქუჩიდან რომ დაიძახებდა, ლიზიკო უცნაური ფორიაქით შესძახებდა: „უი, მარეხი?!“ — და კარისკენ, ასაკისა და სუსტი აგებულების მიუხედავად, უჩვეულო სისხარტით მიეშურებოდა, მაღალ, ოდნავ ტანთხელ, ორმოცდაათ-ორმოცდათხუთმეტ წელთან შედარებით ჯერ კიდევ თვალად ქალს წინკარში შემოუძღვებოდა, რატომღაც იქვე შეაყოვნებდა და, სიფრთხილის მიუხედავად, მათი ჩურჩული გარკვევით მესმოდა, მაგრამ ხმისთვის რომც აეწიათ, ამ მინიშნებებისგან შემდგარი ბუნდოვანი დიალოგებიდან რამის გარკვევას ამაოდ ვეცდებოდი.

ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ხშირად დაუბოლოებელი საუბრის შემდეგ ლიზიკო თავის თანამოსაუბრეს ოთახში წუთით შემოაჭყიტებდა და ქაქან-ქაქანით გააცილებდა. შემობრუნებულის სახეს ერთხანად იდუმალი გამომეტყველება არ სცილდებოდა.

„არა, მაინც რა ეშველება ამ საცოდავ მარეხს!“ — დაასკვნიდა მოგვიანებით და შეუძლებელი იყო, მის ხმაში ღრმა გულისწუხილი არ ამოგეკითხა.

ერთხელ მის ამ ფრაზას ჩავეჭიდე და შევეცადე, მარეხის შესახებ რამე შემეტყო.

— რაში გაინტერესებს, მაინც ვერაფერს უშველი, — მიპასუხა და საუბრის გაგრძელება არ ისურვა.

რამდენიმე დღის შემდეგ მარეხი განგებ ვუხსენე. ამჯერად დუმილი დაარღვია.

— ფეხებზე მდუღარე გადაუსხია. გუშინწინ შევუარე და, იქიდან მოყოლებული, ჭკუაზე არა ვარ. საერთოდ მასთან ბოლოს როდის ვიყავი, არც მახსოვს... ეს რა ვნახე, რა უბედურება დატრიალებულა მის თავს... შეძლებული ოჯახი ჰქონდათ, მშობლებმა რამდენი ძვირფასი რამ დაუტოვეს, ყველაფერი მიუყიდ-მოუყიდია... საწყალი, როგორღაც ახერხებს და საქმეებზე მაინც დადის თურმე. ექიმს უთქვამს, თავს თუ არ მიხედე, ორივე ფეხი მოსაკვეთი გაგიხდებაო... ღმერთო, რა ეშველება!.. იმისი ღონე მაინც მქონდეს, ხელი შევუწყო. ცხელ კერძებს როგორ-

ღაც მოვახლაფორთებ, მაგრამ შენ ეგა თქვი, ვინ აუტანს?!

— წინააღმდეგი თუ არ იქნები, შეგეშველები, — შევთავაზე და ამით მარეხის მიმართ ჩემი თანაგრძნობა გამოვხატე.

წუთით დაიბნა.

— შეენ?! — ყოყმანით შემომხედა და უმალვე დაამატა, — შენ რა შუაში ხარ, არ მესმის! — სახეზე შეეტყო, ამ თემაზე საუბრის წამოწყების გამო ნანობდა, თუმცა მოგვიანებით მარეხი ისევ ახსენა: მაგ უბედურს სიკეთის მეტი რა უკეთებია. აი, ახლაც კი თურმე, ვიღაცებს ხელს უმართავს... ისე, დაუჯერებელიცაა, ასე უშვილძიროდ და გაღლეტილი როგორ დარჩა, წყლის მიმწოდებელი ვინმე მაინც რომ ჰყოლოდა, რაღა უჭირდა.

წუთით გაჩუმდა.

— მართლა დამეხმარები? — მკითხა მოულოდნელად და ყურადღებით მომაჩერდა.

— მააშ!

თვალს არ მაცილებდა. ერთი პირობა, ყოყმანი შევატყვე, მაგრამ თავს მალე მოერია.

— რამე უბედურებაში რომ გაეხვიო, რაღა ვქნა?!

— ჩემზე ნუ იდარდებ.

— ოღონდ გაფრთხილებ: ზედმეტ ცნობისმოყვარეობას თუ გამოიჩენ, ისეთი ეჭვიანია, ახლოს არ გაგიკარებს. ვერც გაამტყუნებ. ბევრი რამ გადაჭარბებული ნდობის გამო მოუვიდა და... სიკვდილს ძლივს გადაურჩა... უფრო სწორად, გაქრა!

— ხუმრობ?!

— ზუსტად მაგ ჭკუაზე ვარ, ოცდაექვსი წელი ხდება, რაც მკვდრად ითვლება, — ჩემი განცვიფრებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — იმდენად ჩახლართული ამბავია, სიმართლე წესიერად არც მე ვიცი. დიდხანს იმალებოდა, ერთმა ნათესავმა გარდაცვალების ცნობაც გაუკეთა, ვითომ დაკრძალეს კიდეც... ვერ გეტყვი, დაინტერესებული მხარე ამაში როგორ დაარწმუნეს, მაგრამ ამ ხერხმა მაშინ გაჭრა. ახლა გაუთავებლად ამტკიცებს, რამის შეცვლა რომ მოვინდომო, მომკლავენო, — უცებ დადუმდა და მომაჩერდა — ისე უგზო-უკვლოდ ვყვები, გატყობ, არ გჯერა! — გულდაწყვეტით დააყოლა.

— არა, რატომ? — იხტიბარს არ ვიტეხდი, მაგრამ იმაზე ვფიქრობდი, ქალაქში, სადაც ყოველი მეორე ერთმანეთის ნაცნობია და ვინმემ ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერავის დაემალება, წარმოუდგენელია, ოცდაექვსი წლის წინ მკვდრად გამოცხადებული ადამიანის ბედით არავინ დაინტერესებულიყო. ეს მისტიფიკაციის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რეალობას, ზღაპრისთვის საუკუთესო სიუჟეტია-მეთქი, — ენის წვერზე მიტრიალებდა.

— სხვათა შორის, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ეს ყველაფერი არ სჯერა, — დაასკვნა ლიზიკომ თავისთვის.

მის ხმაში სინანული თუ საკუთარი თავით უკმაყოფილება იგრძნობოდა, მაგრამ განმარტებას თავს არიდებდა. ადგა და სამზარეულოში გავიდა. ერთხანს იქიდან ქვაბებისა და ჯამ-ჭურჭლის რიხინი ისმოდა. ბოლოს დატვირული ჩანთა გამოიტანა, სკამზე დადო, საკიდრიდან პალტო ჩამოხსნა და ჩაიცვა.

— ისე, იქნება ჯობია კიდეც, რომ არ გჯერა. მე ხომ ამ ამბის სხვისთვის მოყოლის უფლება არც მქონდა. ამდენი წელი მის თხოვნას კეთილსინდისიერად ვასრულებდი... მაგრამ ის საცოდავი ისეთ სავალალო დღეშია, მეტის ატანა არ შემიძლია. აუცილებლად რაღაცა უნდა ვიღონო, თორემ მალე ქუჩაში აღმოჩნდება... ნუ მკითხავ, ამას ვინ და რატომ უპირებს. საჭიროდ თუ მიიჩნევს, თვითონ მოგიყვება... ვიცი, ძალიან რთულ საქმეს შევები, მისი მხრიდანაც დიდ წინააღმდეგობას წავაწყდები. ისიც ვიცი, ამის გამო თავზე ხელს არავინ გადამისვამს, მაგრამ რა გაეწყობა! — ამბობს და გასასვლელისკენ მიემართება.

მარეხის სახლთან ოც წუთში მივედით.

გასული საუკუნის დასაწყისის ღია აივნებიანი სამსართულიანი შენობა ოდნავ შელახული ფასადის მიუხედავად, საკმაოდ მკვიდრად გამოიყურებოდა. დარაბებიანი, მაღალი კარ-ფანჯრები აღმოსავლეთ მხარეს გადიოდა, სადარბაზო გალავნით შემოზღუდული ეზოსკენ ჰქონდა. აივნების მოაჯირზე გასამზეურებლად ჭრელა-ჭრულა საბნები და ლეიბები გადმოეფინათ, ბოძებზე გარდიგარდმოდ გაბმულ თოკებზე ნაირფერი სარეცხი შრებოდა.

სანახავი მეტი არც არაფერი იყო.

ლოდინი საკმაოდ გამიგრძელდა. ერთ ადგილზე ყურყუტმა დამქანცა და ლიზიკომ კიბიდან რომ გადმოიხედა და ასვლა მანიშნა, შვებით ამოვისუნთქე.

ხის დამრეცი კიბის საფეხურები არცთუ საიმედო იყო, კარიც გამოუცდელი ხელით ნაჩორკნს და ჩასმულს ჰგავდა, ხოლო შუშაბანდმა, უფანჯრებო, ნახევრად ბნელ, მოზრდილ ოთახს რომ ემიჯნებოდა, უწესრიგობით ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მარეხი ოთახის შესასვლელთან, რუხი ფერის ნაჭერგადაფარებულ ტახტზე მიწოლილიყო.

ჩემი დანახვისთანავე მის ტკივილებისაგან გატანჯულ სახეზე თავაზიანმა ღიმილმა იელვა.

— ორ კვირაზე მეტია, ასე ვარ. ისეთიც არავინა მყავს, აქაურობა რომ მიალაგოს. მაპატიეთ ამ უხერხულობის გამო, — თითქოსდა თავი იმართლა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქაურობა როგორც არ უნდა ელაგებინათ, ვერც ვერაფერს გააწყობდნენ, რადგან გეგონებოდა, იმ ოთახსა და შუშაბანდში გრიგალს თუ არა, რომელიმე ურდოს მაინც გაეჯირითა და, იმ უბედურების ნიშნად, ენით აუწერელი ქაოსი და სიღატაკე დაეტოვებინა.

ეს ქალი საუცხოო, მოყავისფრო ბეწვის ქურქსა და ძვირფას მოსასხამებში გამოწყობილი არაერთხელ შემხვედრია ქუჩაში და ხაზგასმული გრაციოზულობითა და სახეზე აღბეჭდილი მშვიდი გამომეტყველებით მიუპყრია ჩემი ყურადღება და ამ არეულობასა და სიღატაკეში ასე „სალონის დამასავით“ ჩაცმა-დახურვასა და სახეზე უზრუნველი გამომეტყველების მორგებას როგორ ახერხებდა-მეთქი, გავიფიქრე ძალაუნებურად.

თითქოს იქაურობის შესაგუებლად დროს მაძლევდა, ერთხანს დუმდა.

— ლიზიკო თქვენზე მესაუბრა, — როგორც იქნა, წამოიწყო, — ჩემი თავგადასავლიდან მისთვის ბევრი რამ უცნობია. ვისაც კი ამ ისტორიასთან რაიმე აკავშირებდა, თითქმის ყველას ანგარიში გაუსწორეს, — ტკივილებს ძლივს უმკლავდებოდა და გამეორება რომ არ დასჭირვებოდა, სიტყვებს მკაფიოდ მარცვლავდა, — მისი დაჟინებული თხოვნა რომ არა, იმ საშინელ საქმეში კიდევ ვინმეს გარევა ძალიან მიმძიმს. ისიც ვიცი, რამის შეცვლაც შეუ-

ძლებელია და ტყუილად ვინმეს შეწუხებად არც ღირს...

ბოლო ფრაზის გამო ლიზიკომ პროტესტის ნიშნად რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მარეხმა იგი ხელის მკვეთრი მოძრაობით გააჩუმა.

— ახლა სადღაც რომ მივიდე და, იცით, ის ოცდაექვსი წლის წინ მკვდარი მარეხი ვარ-თქო, უმალ გიჟად გამომაცხადებენ, ან მომკლავენ და ეს ამბავიც ასე უაზროდ დასრულდება...

— რატომ ფიქრობ ამგვარად?! — შეეპასუხა ლიზიკო.

— ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე, ისინი ჩემს ხელახლა გამოჩენას, შენ რომ გგონია, ისე მარტივად ვერ შეეგუებიან.

ლიზიკო გაინაბა.

— ისეთი რა დააშავეთ, რომ აქამდე ვერ დაივიწყეს! — გავიოცე.

— წარმოიდგინეთ, მათ შორის ამ კითხვის დასმის სურვილი არავის აღმოაჩნდა... ჩემ უახლოეს მეგობარს მთელი თავიანთი ცოდვები აჰკიდეს... ამ ამბის ირგვლივ თითქმის ყველაფერი ვიცოდი, სხვა დანაშაული არაფერი მქონია.

— იმ კაცს, ალბათ, დიდი თანამდებობა ეჭირა, — ვცადე საქმეში გარკვევა.

— საკმაოდ, და სწორედ ამის გამო ის პროცესი ძალზე გახმაურდა. ამ ტრაგედიის მთავარმა სულის ჩამდგმელმა, ცნობილმა ავანტიურისტმა ჩემი მეგობარი განგებ გაწირა...

— რა ბრალი ედებოდა მაინც?

— თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა და ასევე სხვა არარსებული დანაშაულები. ბრალდებათა დიდი სია ცრუ ჩვენებების საფუძველზე შეაკონწიწეს... წესრიგის დამყარება თითქოს ამ კაცით დაიწყეს... რა თქმა უნდა, აბსურდია იმის მტკიცება, რომ ჩემი მეგობარი მამა აბრაამის ბატკანი იყო, მაგრამ მასზე ასგზის დამნაშავეებს ბეწვიც არ ჩამოვარდნიათ.

— შემთხვევით მისი ხელქვეითი ხომ არ ყოფილხართ?

— ასე ვთქვათ, საკვანძო თანამდებობა მეკავა. გამოძიებაში ჩემი ჩართვით ბევრ საიდუმლოს ნათელი მოეფინებოდა, მაგრამ გაირკვა, რომ სიმართლის დადგენა არავის აწყობდა, პირველივე ჩვენების მიცემისთანავე, ჯოჯოხ-

ეთური წნეხი აამუშავეს. ჩვენს ჩაშვებას შეეშვი, თორემ მოგსპობთ ან შენი მეგობრის თანამონაწილედ გაგიყვანთო, დამემუქრნენ. სახლი დამირბიეს, კინაღამ გადამიწვეს. მოკლედ, პირში ბურთი რომ ჩაეჩარათ, არაფერს ერიდებოდნენ. თითქმის ყველა ჩემი ახლობელი დააშინეს და შემომიჩინეს, გამოძიების დამთავრებამდე ხმა არ დაძრაო... თუმცა, ისედაც ვინ მაღებინებდა... პროცესზე ჩემი სახელი არც უხსენებიათ. და, თითქოს ყველაფერი დასრულდა... ამის შემდეგ, წესით, ჩემთვის თავი უნდა დაენებებინათ, მაგრამ უცნაური ის იყო, მუქარა სწორედ სასამართლოს დამთავრების შემდეგ გაძლიერდა, — მარეხს დაძაბულობისაგან უეცრად ხმა ჩაუწყდა. ლიზიკომ წყალი მიაწოდა. მან ყლუპი მოსვა, ჭიქა იქვე დადგა და იკითხა: — რაზე შევჩერდი? — ლიზიკომ შეახსენა, — ჰო, ახლა ბევრი მარწმუნებს, ბოლომდე უნდა გებრძოლაო (სარკასტულად იცინის), ეს ხომ სუფთა წყლის გულუბრყვილობაა!.. თითქმის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე მათი წრის ხალხი იჯდა და ყოველ ჩემს ნაბიჯს აკონტროლებდნენ, აუტანელ პირობებს მიქმნიდნენ, მაგრამ ჩემ მხარეზე სიმართლე იყო და, იმის იმედით, რომ გარკვეული ვადის შემდეგ თავის მართლების შესაძლებლობა მომეცემოდა, მათი თვალთახედვის არედან გაქრობა გადავწყვიტე...

შვიდი წელი ვიმალებოდი. ამ წლებში ჩემი არსებობით ისინი თითქოს არც დაინტერესებულან. ერთმა კეთილისმყოფელმა იზრუნა და ცოცხლების სიიდან ამომშალა... გაუთავებელი მალვით, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ჯახირითა და გაურკვევლობით განაწამები, წლების შემდეგ, როგორც იქნა, დავბრუნდი. მოვადექი ჩემს სახლს. თავის დროზე ასეთი შენობა უბანში მეორე არ იდგა. გასაბჭოების შემდეგ ჩვენებს ოცდასამი ოთახი ჩამოართვეს, ხუთიღა დაუტოვეს. მათგან ორი გავყიდე, ორიც დავაგირავე. ის ოთახები მოგვიანებით დამგირავებლებმა დაისაკუთრეს. დამრჩა შუშაბანდი, ეს ოთახი და ერთიც საკუჭნაო... მეზობლებს ჩემს არყოფნაში ეს ყველაფერი ერთმანეთში დაუნაწილებიათ და, აი, ამ ფართობის დაბრუნება ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯინეს. სადარბაზოდან შემოსვლა რომ ამიკრძალეს, შუშაბანდს ის ხის კიბე მოვადგი, კარიც

გავაჭრევინე. ცხოვრების თავიდან დაწყება მოვინდომე... მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ორი თვის დაბრუნებულიც არ ვიქნებოდი, რომ იმათ თავი ისევ შემახსენეს... იმ გახმაურებული პროცესის მთავარი სულისჩამდგმელის დაწინაურების შემდეგ მისი თანამზრახველები ფაქტობრივად ქვეყნის სათავეში მოქცეულიყვნენ, ჩემი გამოჩენა კი, როგორც ეტყობა, მათ კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა...

— და თქვენ გულხელდაკრეფილი იჯექით?

— რას ამბობთ, ვის არ მივმართე. ის კი არა, თავის მოკვლაც კი ვცადე... როცა მივხვდი, რომ ამ ნაბიჯით მათ ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებდი, ტაქტიკა შევცვალე და ჯიბრით მათ თვალწინ ტრიალი დავიწყე. ჩემი გამბედაობით გაოგნებულები ერთხანს გაყუჩდნენ. გონს რომ მოეგნენ, უფრო დახვეწილი ხერხებით შემომიტიეს და აქ, სრულიად მოულოდნელად, ისეთი რამ შევიტყვე, დღემდე გაოცებას ვერ ვფარავ, და მაინტერესებს, ადამიანებთან აგარიშსწორების ეს ფორმა ვინ მოიფიქრა... იმ წლებში, როცა გულუბრყვილოდ მეგონა, რომ საიმედოდ ვიმალებოდი, იმათ ყოველი ჩემი ნაბიჯი სცოდნიათ. ის კი არა, რამდენიმეჯერ განსაცდელისგან დავუხსნივარ და ხელიც გაუმართავთ... სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩემს გადარჩენას ღვთიურ ძალებს მივაწერდი... და დავიწყე ფიქრი, ბოლოს და ბოლოს, რას მემართლებიან, თავს რად არ მანებებენ-მეთქი...

— ბოლო ხანებში ხომ ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა...

— კარგით, რა, ნუ მაცინებთ!.. ძალაუფლება ისევ იმავე ტიპის ჩინოვნიკების ხელთაა და თავიანთ საქმიანობას ჩვეული წარმატებით აგრძელებენ...

— დავუშვათ, ასეა... მაგრამ მაპატიეთ და, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რაღაცას აზვიადებთ. გაუგებარია, თუ ნამდვილად უდანაშაულო ხართ, ამდენი წლის შემდეგ მაინც რატომ გდევნიან? — ჩემი ეჭვები ვერ დავფარე.

ლიზიკო გაჩუმებას მანიშნებდა, მაგრამ მარეხი ჩემს სიტყვებს აუღელვებლად შეხვდა და საოცარი სიმშვიდით მიპასუხა:

— თქვენ, ეტყობა, ვერ გაიგეთ, მე უდანაშაულო მსხვერპლი კი არა, ცოცხალი მოწმე ვარ და ამ ორ კატეგორიას შორის დიდი სხვაობაა, — სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა, წამით შეყოვნდა, — მოწმე, როგორც ჩანს, მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოველი გაუთვალისწინებელი ნაბიჯის გამო საკუთარი თავით აგებს პასუხს, გასაგებია?!. — ხაზგასმით თქვა, გაჩუმდა, გამომცდელად მომაჩერდა და რაკი დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვებმა ჩემზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დააყოლა: სტალინის დროს მკვლელებისა და რეციდივისტების უმაღლესი სასჯელი ოცდახუთი წელი იყო, მერე — დახვრეტა. ახლა ეს ვადა თხუთმეტი წლითაა შეცვლილი, დახვრეტა გაუქმებულია, ჩემი დასჯა კი უსასრულოდ გრძელდება... სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტა მაშინ, თუ რამეს ვიმსახურებდი, ბარემ მოესაჯათ-მეთქი. ახლა ან დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი, ან სასჯელმოხდილი, თავისუფალი მოქალაქე... არა, მაინც ვერ გავიგე, რა უნდათ, თუ მოსაკლავად არ ვემეტები, ცხოვრების უფლებას რატომ მიზღუდავენ?! — წამოიძახა და მომაჩერდა. — გიკვირთ?.. ეს ყველაფერი ჩემ თავზე რომ არ გამომეცადა, ამისი დაჯერება, ალბათ, მეც გამიჭირდებოდა... როგორც კი ჩემი ცოცხლადცნობის საკითხს მივადგები, ეს სატანური მანქანა ვიღაცის ნიშანზე ამოქმედდება და ყველა გზას მიჭრის. ელემენტარული რამ ავიღოთ: როცა არსებობის გასახანგრძლივებლად რომელიმე ჩემი ნივთის გაყიდვა მინდა, ძვირფასობის მიუხედავად, ჩალის ფასადაც ვერ ვასაღებ. ყველა გზას მიკეტავენ, ხოლო როცა სიკვდილი მინდა, ხელს მიშლიან... ვერ გავიგე, რა უნდათ, თითქოს კიდეც მიფრთხილდებიან და კიდევაც მსპობენ... ასე მგონია, მოჯადოებულ წრეში ვტრიალებ და ამ წრის გარღვევას ვერასოდეს ვეღირსები... თუ ეს ასე არაა, აი, ამას რას დაარქმევდით?! — წამოიძახა და ორად გაკეცილი ქაღალდის ფურცელი გამომიწოდა, რომელზეც გამგეობის დადგენილებით მისგან ბინის სასწრაფოდ დაცლას მოითხოვდნენ. არეულ-დარეულ ოთახს და შუშაბანდს თვალი მოავლო, — ოცდაექვსი წლის გარდაცვლილად ითვლები, კანონით არ შეიძლება, მკვდარი ბინის მფლობელი იყოსო... არამარტო გამგეობის მესვეურებს, კარის მეზო-

ბლებსაც ასე დაუჟინიათ, — კედელს საჩვენებელი თითი მიაშვირა, — ამათ ვიღაცამ ტვინი გადაუტრიალა და ჩემს გასახლებას ითხოვენ... წარმოგიდგენიათ?!

— ცოცხალი რომ ხართ, ამას რას უშვრებიან?

— მათთვის მთავარი თურმე საბუთია. სულ მალე გამასახლებენ. მკვდარს ბინა რაში ჭირდებაო, მომაძახა იმ დღეს კარის მეზობელმა...

— სასწრაფოდ პასპორტი უნდა აღიდგინოთ და მორჩა, ხელს ვერ დაგაკარებენ.

— სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული... პასპორტის აღებამდე ჩემი ცოცხლად ცნობაა საჭირო. ისინი ამას ყოველნაირად ხელს შეუშლიან.

— ხომ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, საღად მოაზროვნე...

— თუ რამე გწამთ, გაჩუმდით და მაგ სისულელეებს თავი დაანებეთ! — მკაცრად შემაწყვეტინა.

— კარგი, დავუშვათ და ეგ სისულელეა, მაშ გამოსავალს რაში ხედავთ? — ვკითხე ჩიხში მოქცეულმა.

— სამწუხაროდ, ეგ არც მე ვიცი! — დაბნეულად დაიწყო, — ამ მდგომარეობიდან თავის დაძვრენას როგორ არ ვეცადე, მაგრამ ყველგან იმ ხალხს ვაწყდები. როგორც ჩანს, ისინი დღითიდღე ძალებს იკრებენ და ისეთსაც ვერავის ვხედავ, მათ რომ დაუპირისპირდება, რაღაც გარანტიას მომცემს და ამ ყოვლის დამთრგუნველი, აკრძალული მეთოდებით ჩემთან ანგარიშსწორებას შეაჩერებს...

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რაღაცას აზვიადებდეთ.

— აჰა, ამდენი იწილო-ბიწილოს შემდეგ, ისევ! — იფეთქა ქალმა და კიდევ რაღაცის დამატება დააპირა, მაგრამ შემთხვევით ლიზიკოს გახედა, ერთბაშად დაცხრა და ხმას დაუწია, — მე მაშინ გიჟი ვყოფილვარ... თუმცა, გიჟებს რითი ვჯობივარ, არ ვიცი? იმათ სადღაც თავიანთი კუთხე მაინცა აქვთ, მათზე, ასე თუ ისე, ვიღაცა ზრუნავს... იცით? ყველაფერს ავიტანდი, ყველაფერს მოვითმენდი, მაგრამ საკუთარი სახლიდან გაძევებას — ვერასდიდებით. გეგონება, ჩემი წინაპრები სახლს ამ ჩემი მეზობლებისთვის აშენებდნენ... ესენიც ისე მექცევიან, თითქოს მათი ვალი მემართოს... ვიცოდე მაინც, სად წავიდე, ვის მი-

ვადგე, ნამუსი თუ აქვთ, ეს სადგომი მაინც შემარჩინონ... და, საერთოდ, თავი დამანებონ. მე ხომ დიდი ხანია, არავისთვის საშიში არა ვარ...

— და ეს იმათ იციან?

— როგორ არა... თუმცა, მაინც არ მენდობიან, — უცებ გაჩუმდა, ოდნავ შეყოვნდა, — რომ ვიცოდე, რა გზას დავადგე, რა მიჭირს... ბოლოს და ბოლოს, თუ რამე სწამთ, ჩემს სიცოცხლეს წერტილი მაინც დაუსვან.

...უკან რომ ვბრუნდებოდით, მისი მთრთოლვარე, სასოწარკვეთილი ხმა ყურში ისევ მედგა და იმ ხალხზე ვფიქრობდი, ვინაც იგი ამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. სამოქმედო გეგმებს ვადგენდი. ჩემი მოსაზრებები ლიზიკოს გავუზიარე. იგი გულისყურით მისმენდა, მაგრამ შეთავაზებულ ვარიანტებს უნდობლად ეკიდებოდა და ვგრძნობდი, ამ ბუნდოვან, ხიფათით სავსე ისტორიაში რომ გამხვია, მწარედ ნანობდა.

მომდევნო დღეებში თავს ძლივს ვიკავებდი, განგაშის ზარი არ შემომეკრა. როგორც კი მოქმედებას დავაპირებდი, იმ ქალბატონის სიტყვები მაკავებდა. მისი თქმით, ის ძალები არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდნენ, ამ ამბის გახმაურების შემთხვევაში კი იგი სრულიად დაუცველი რჩებოდა და უფლება არ მქონდა რისკი გამეწია.

არც მისი მკურნალობის დაყოვნება შეიძლებოდა. გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოხერხდა წამლების შოვნა, მომვლელიც დღეგამოშვებით აკითხავდა და, როცა საკმაოდ მოიკეთა, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, ვინაიდან ამჯერად მისი დაცვის სხვა გზას ვერ ვხედავდით, გადავწყვიტეთ მისი ბინა ერთი გავლენიანი, სანდო პიროვნებისთვის გადაგვეფორმებინა, ფაქტობრივ მფლობელად კი მარეხი დარჩენილიყო.

როცა მისთვის ბინის ამ გზით შენარჩუნების, ალბათ, ერთადერთ შესაძლო შანსზე ვაცნობეთ, ქალი სიხარულით ცას ეწია.

რამდენიმე დღეში ყველა წესის დაცვით შედგენილი ხელშეკრულებები გასაცნობად მივართვით. მან საბუთების ამ გროვას რაღაცნაირად, უხალისოდ გადაავლო თვალი, შემდეგ კითხვები დაგვაყარა, ხოლო, როცა ჯერი საბუთების ხელმოწერაზე მიდგა, წამოიჭრა.

— არა, არა, ისინი ამას სხვანაირად გაიგებენ! — შესძახა და გასასვლელს მიაშურა. კართან დავეწიეთ, შიშისაგან გონგადასულს დავუყვავეთ, მოვეფერეთ, ოდნავ დავამშვიდეთ. მაგიდას რომ დაუბრუნდა, საბუთებს დაბნეული სახით დააჩერდა, — ბინას მეზობლებს თუ დავუმტკიცებ, საჩივრის გამოტანასაც და პატრონობასაც დამპირდნენ! — საოცრად დაქანცული ხმით დაარღვია სიჩუმე.

საკუთარი პიროვნების ცოცხლად ცნობის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. მოვყევით იმის მტკიცებას, რომ თუ ჩვენს რჩევებს დაუჯერებდა, ყველაფერი გამოსწორდებოდა, ის კი არა, მისი ცხოვრება საერთოდ შეიცვლებოდა... მოკლედ, ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ, ხოლო მისი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედების უფლება არ გვქონდა და მიუხედავად კეთილი სურვილისა, იძულებული გავხდით, საქმე შეგვეწყვიტა, თუმცა, კარგა ხანს იმედს არ ვკარგავდით, ერთ დროს გონს მოეგებოდა და ამ მეტად ხელსაყრელ წინადადებაზე დათანხმდებოდა.

დროდადრო ქუჩაში თუ სხვადასხვა დაწესებულებებში ისევ ვხვდებოდი. ახლახან ერთ-ერთი უწყების ფოიეში საკმაოდ სახელგატეხილ ადვოკატთან საუბარში გართული შევნიშნე. უფრო ზუსტად, ის კაცი გულდასმით რაღაცას ჩასჩიჩინებდა.

მარეხმა დამინახა. თვალი შემავლო და მზერა მომარიდა. ისევ „სალონის დამასავით“ კოხტად ეცვა, ოღონდ ეს იყო, სახეზე დაბნეული გამომეტყველება შეჰყინვოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ფიზიკურად იქ არც კი ყოფილიყო. ცოტაც და, თანამოსაუბრეს ხელკავი გამოსდო და გასასვლელისკენ გაემართა.

გვერდით რომ ჩამიარა, თვალი ერთხელ კიდევ შევავლე. მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას და, ასე მეგონა, ოცდაექვსი წლის წინ გარდაცვლილის აჩრდილი შენობიდან გასვლას ეშურებოდა.

გზა სოფლისაკენ

საშუალო ტანის ხანდაზმულ ქალს მრგვალსაყელოიანი შავი პალტო ეცვა. შინნაქსოვი რუხი ფერის ქუდიდან ჭაღარა მოუჩანდა. სანდომიანი სახე და დინჯი მიმოხვრა ჰქონდა. კიბეს ნელ-ნელა ამოივლიდა, ქერათმიან, ათიოდე წლის გოგონას ჩანთას ჩამოართმევდა, პალტოს გახდიდა და ხმადაბლა საუბარს გაუბამდა. გოგონა გულისყურით მიაჩერდებოდა, თავს დაუქნევდა, ნოტების რვეულს ჩამოართმევდა და საკლასო ოთახის კარისკენ სხარტი ნაბიჯით გაეშურებოდა. ხანდაზმული ქალი ფანჯარასთან ჩამწკრივებულ სკამებთან მივიდოდა, ჩანთასა და ბავშვის ქურთუკს ფანჯრის რაფაზე დააწყობდა, შავ პალტოს გულდასმით ამოიკეცავდა, განაპირა სკამზე ჩამოჯდებოდა და გოგონას ზურგსუკან მიხურულ კარს თვინიერი გამომეტყველებით მიაჩერდებოდა.

საათი, ზოგჯერ საათნახევარი გაუნძრევლად იჯდა. ზარის ხმაზე საკლასო ოთახებიდან ბავშვები გნიასით გამოცვივდებოდნენ, მოედებოდნენ დერეფნებს, ხმაურით შეწუხებული მორიგე მასწავლებლები მათ ხმამაღლა ტუქსავდნენ. როდის-როდის, გოგონაც გამოჩნდებოდა და მოხუცისკენ მხიარული ტიტინით გამოემართებოდა. ქალი წამოდგებოდა, მომღიმარე სახით მიეგებებოდა, მიუალერსებდა, პალტოს ჩააცმევდა, ჩანთასაც მიაწვდიდა, მერე ხელს ჩაჰკიდებდა, ხალხით გაჭედილ დერეფანს თვალს მშვიდად მოავლებდა და კიბისკენ ნელი ნაბიჯით აიღებდა გეზს.

ასე იყო კვირაში ორჯერ, სამშაბათსა და პარასკევს. იგი ყურადღებას არავის აქცევდა, თუმცა კიბეზე მისი უჩუმარი ამოსვლა, გაუნძრევლად ჯდომა და ლოდინი მოპირდაპირე კედელთან მჯდომ ახალგაზრდა კაცს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომელიც მასავით მუსიკის გაკვეთილის დამთავრებას ელოდა.

მოხუცის შორიახლოს ხშირად ორი ახალგაზრდა ქალი იჯდა. ერთი ქსოვდა, მეორე მისი ხელების სხარტ მოძრაობას თვალს ადევნებდა და გაუჩერებლად რაღაცას უყვებოდა, საქსოვმომარჯვებული კიდევ, საქმისაგან

თავაუღებლად ხან გაკვირვების, ხან სიხარულის ფრაზებს წამოიძახებდა, მოხუცს მზერას შეავლებდა, რატომღაც თავს გაიქნევდა, მერე კი თვალით საქსოვს დააკვდებოდა.

ერთხელ, საქსოვმომარჯვებულმა მოხუცს რაღაცა ჰკითხა. ხანდაზმულს მისკენ არც გაუხედავს, ისე გასცა პასუხი. საქსოვმომარჯვებულმა თავით ფეხამდე გამომცდელად შეათვალიერა. ისევ რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ მისი სახის მკაცრმა გამომეტყველებამ გადააფიქრებინა. წამოდგა, გვერდით მჯდომს მეორე მხრიდან მიუჯდა და მოხუცს იქიდან დაუწყო თვალთვალი, მერე მოსაუბრეს თავი მიატყუპა და რაღაც უჩურჩულა. მოსაუბრემაც გაჰხედა მოხუცს, გაოცების თუ შეცხადების ნიშნად თავი მაღლა ააღერა, თვალები გადაკარკლა, მძიმედ ამოიქშინა, საქსოვმომარჯვებულს რაღაც ჰკითხა და პასუხის დაულოდინებლად გაწყვეტილი საუბარი გააგრძელა.

ხანდაზმულს მათთვის ყურადღება არც მიუქცევია. კლასიდან გამომავალი გოგონა შენიშნა. სახე გაუნათდა. წამოდგა, მიეგება, მიუალერსა, ქურთუკი ჩააცვა, ფუნთუშა მიაწოდა, კიბისკენ გეზი აიღო, მაგრამ წუთით შეჩერდა, მოპირდაპირე მხარეზე განმარტოებით მჯდომ ახალგაზრდა კაცს გაუღიმა, თავი დაუკრა და გზა გააგრძელა. საქსოვმომარჯვებულმა და მისმა მხლებელმა ხანდაზმულს თვალი გაოცებით გააყოლეს, მერე განმარტოებით მჯდომ ახალგაზრდა კაცს დააკვირდნენ, თავები მიატყუპეს და ჩურჩული გააბეს.

მომდევნო კვირას მოხუცი არ გამოჩენილა. გოგონა ახალგაზრდა, უშნოდ აწოწილმა ქალმა ქაქან-ქაქანით კიბეზე ამოარბენინა, შეტრიალდა და სირბილით დაეშვა. გაკვეთილის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე დაბრუნდა, დერეფანში მოუთმენლად წრიალებდა, კარებში გამოჩენილ გოგონას ხმის ამოღება არ აცალა, პალტო ჩააცვა, ხელი ჩაავლო და კიბისკენ გააქანა.

საქსოვმომარჯვებულმა და მის გვერდით მჯდომმა ქალმა აწოწილის მოვარდნა და საჩქაროდ წასვლა საგანგებო მსჯელობის საგნად აქციეს, მათ ირგვლივ ატეხილი აურზაური არც კი ესმოდათ.

მომდევნო კვირას ახალგაზრდა კაცმა სკოლის კიბე

რომ აათავა, ხანდაზმული ქალი ჩვეულ ადგილზე დახვდა. თავი ფანჯრისთვის მიეყრდნო და თვალი მიელულა. შორიახლოს ქალების განუყრელი წყვილი არ ჩანდა. ახალგაზრდა კაცი ხანდაზმულის პირდაპირ ჩამოჯდა.

მოხუცი რამდენიმე ხანს არ განძრეულა. შემდეგ თვალი ნელ-ნელა გაახილა და დერეფანში მზერა მიმოატარა. წინ მჯდომი ახალგაზრდა კაცი რომ შენიშნა, მის შეჭირვებულ სახეზე იმედის შუქმა იელვა.

ახალგაზრდა კაცი წამოდგა და მიუახლოვდა.

— ცუდად ვარ! — დაიჩურჩულა ხანდაზმულმა უღონოდ და თვალი ისევ მილულა.

— რა გაწუხებთ? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— გული.

— „სასწრაფოს“ გამოვიძახებ.

— არა, იქნება გამიაროს. წამალი უკვე დავლიე, ნუ შეწუხდებით! — უპასუხა ხანდაზმულმა და თავი ფანჯარას მიაყრდნო.

ახალგაზრდა თავის ადგილს დაუბრუნდა.

მოხუცს თანდათან მიტკლისფერი დაედო, თავი გვერდზე გადაუქანდა.

ახალგაზრდა მიუახლოვდა და მკლავზე ხელი შეახო. მოხუცმა აზრსმოკლებული მზერით ამოჰხედა და რაღაც დაიჩურჩულა. დერეფანში მყოფი ქალები შეჩოჩქოლდნენ. მოხუცს ყურადღება მიაქციეთო, დაუბარა ქალებს ახალგაზრდა კაცმა, თვითონ კი სამასწავლებლოსკენ გაეშურა. ვრცელი ოთახის ბოლოში, როიალს მსუქანი ქალი და გოგონა უსხდნენ. მსუქანი ქალი გარეგნობასთან შეუფერებელი წიკვინა ხმით გოგონას რაღაცას ჩასჩიჩინებდა და როიალის კლავიშზე ცალი თითით უმოწყალოდ აკაკუნებდა. კარში მდგომი ახალგაზრდა კაცი რომ შენიშნა, მთელი ტანით მისკენ შემოტრიალდა და კითხვის ნიშნად მიაჩერდა.

— თუ შეიძლება, დამარეკინეთ, ან აქ ვინმეს ავადმყოფისთვის დახმარების გაწევა ხომ არ შეუძლია? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— ტელეფონი გათიშულია. ეგერ, მეორე კორპუსში მედპუნქტია, — მიუთითა, წამოდგა და მისი აგებულების

ქალისთვის უჩვეულოდ მსუბუქი მოძრაობით კარისკენ გამოემართა, — ვის სჭირდება დახმარება?

— მოხუცი ქალბატონია, — უპასუხა ახალგაზრდამ, მიტრიალდა და კარი გაიხურა.

ქალებს მოხუცი სკამებზე წამოეწვინათ და თავს დასტრიალებდნენ. ახალგაზრდა კაცმა მათ თვალი შეავლო, კიბეზე დაეშვა, ეზო გადაჭრა და სკოლის მეორე კორპუსისკენ გაიქცა.

მედპუნქტად წოდებულ ციდა ოთახში, საწერ მაგიდას კაფანდარა, გალეულსახიანი ქალი უჯდა, ზედ გაშლილ ფურცლებს დასჩერებოდა და ღიღინებდა. ღია კარში ახალგაზრდა კაცი რომ შენიშნა, შეკრთა, ფურცლები შეაგროვა და, თითქოს წართმევას უპირებდნენ, ხელი გადააფარა.

— ზევით ერთი ქალბატონი ცუდადაა.

— ახლავე! — წამოიძახა ქალმა, სხარტად წამოიმართა, უჯრიდან რაღაც ხელსაწყო და კოლოფი ამოიღო, კარი გაიხურა და ახალგაზრდას აედევნა.

— აი, ექთანიც მოვიდა! — სიხარულით წამოიძახეს დამხვდურებმა კიბეზე ამომავალი თეთრხალათიანი კაფანდარა ქალი რომ დაინახეს.

დერეფანი მოსწავლეებით, მშობლებითა და მასწავლებლებით იყო გადაჭედილი.

— ბავშვებო, აბა, კლასებში, თქვენ კიდევ მიიწ-მოიწიეთ, ამ უჰაერობაში ადამიანი უარესად არ გახდეს! — დაუცაცხანა ექთანმა იქ მყოფთ, სკამზე წამოწვენილ მოხუცს მიუახლოვდა, მის უსიცოცხლოდ გადმოკიდებულ მარჯვენას დასწვდა, მაჯისცემა გაუსინჯა და წნევის აპარატი მოიმარჯვა.

— აბა, დეიდა, მიპასუხეთ, რასა გრძნობთ?

მოხუცს სახეზე ძარღვი არ შესტოკებია.

დიდი და პატარა ექთნის მარჯვედ მოძრავ ხელებს სულგანაბული ადევნებდა თვალს. მოხუცის გადარჩენის ერთადერთი იმედი თითქოს ამ ხელებს ებარა.

ნემსის ჩხვლეტაზე მოხუცმა ყრუდ დაიკვნესა. ცოტა ხანში თვალი გაახილა და მზერა ირგვლივ შემოკრებილი ხალხის სახეებზე მიმოატარა. კაფანდარა ექთანს მისი მაჯა ეჭირა და საათის წამმზომს დასჩერებოდა.

— ისევ ცუდად ხართ? — ჰკითხა დაყვავებით ექთანმა,

— რაღაც მიწეწავს, თითქოს მიფლეთავს ამ ადგილს, — უპასუხა მოხუცმა მოგუდული ხმით და ხელი მკერდზე მიიდო.

— ნუ გეშინიათ, მალე უკეთ გახდებით, — დააიმედა ექთანმა.

— არაფრისაც არ მეშინია, ესაა გულის კოვზი მწარედ მეწვის...

— ასე იცის.

— პირველად კი არა ვარ ამგვარად.

— სად ცხოვრობთ?

— აქვე, ახლოს.

— შინ არავინაა?

— არა. შვილიშვილი მომყავს-ხოლმე. გზაში გავხდი ცუდად, აქამდე ძლივას მოვაღწიე...

— აწი არაფერს გაგიჭირვებთ! — გაამხნევა მოხუცი ექთანმა.

როგორც კი მოხუცს გამოკეთება შეატყვეს, ირგვლივ მყოფი ქალები წავიდ-წამოვიდნენ. ბავშვები ფეხს არ იცვლიდნენ, მაგრამ მასწავლებლებმა წინ გაირეკეს და რამდენიმე წუთში დერეფანში სამი ქალი, ექთანი და ახალგაზრდა კაციღა დარჩა.

ექთანი მოხუცის გვერდით იყო ჩაცუცქული და მის მაჯას ხელს არ უშვებდა. დრო გადიოდა, მოხუცს კი უკეთესობა არ ეტყობოდა. ექთანმა მას რაღაც აბი გადააყლაპა, ცოტა ხანში წნევა ისევ გაუზომა, წამოდგა და ახალგაზრდა კაცი გვერდზე გაიხმო.

— ასეთი მძიმე შემთხვევა ჯერ არ შემხვედრია. აუცილებლად სტაციონარშია გადასაყვანი. იქნებ ჩვენს გვერდით, საბავშვო ბაღიდან „სასწრაფოში“ დარეკოთ?

ახალგაზრდა კაცი კიბეზე დაეშვა.

ტელეფონი არც საბავშვო ბაღში მუშაობდა. ვიღაცამ ურჩია, ტაქსი დაიჭირე, მეტრომდე მიდი და იქიდან დარეკეო. ბაღის შენობიდან ქუჩაში გამოიჭრა. რამდენიმე ხანს ამაოდ დასდევდა მანქანებს. როგორც იქნა, სატვირთო მანქანა გააჩერა.

უკან მობრუნებული სასწრაფოს მთელი საათი ელოდა. სწორი მისამართი არ მოგიციათ და ამის გამო დაგვაგვიან-

დაო, თავი იმართლა ექიმმა და მისი აღშფოთება არაფრად ჩააგდო.

მოხუცი უწინდებურად იყო გაყუჩებული. გაფითრებულ სახეზე სიცოცხლის ნიშან-წყალი ძლივს ეტყობოდა. შვილიშვილი გაკვეთილიდან გამოსულიყო, წინ დასჯდომოდა, მისი ხელი სახეზე მიეხუტებინა და თვალცრემლიანი შეჰყურებდა.

უეცრად გოგონა შეირხა, ავადმყოფის ხელი სკამზე ფრთხილად დაუშვა, წამოიმართა და კიბეზე ამომავალი აწოწილი ქალისკენ გაიქცა.

— ბაბო ცუდადაა, დედი, ბაბო ცუდაა! — ტირილნარევი ხმით შესჩივლა ბავშვმა.

ქალმა ბავშვს თვალი კუშტად შეავლო, ხელი ჩაჰკიდა და ავადმყოფის ირგვლივ თავმშეყრილ ხალხს მიუახლოვდა.

— აგრე ცუდადაა? — უნდობლად იკითხა აწოწილმა.

— იყო, მალე გამოკეთდება! — გაამხნევა ექიმმა.

მოხუცმა თავი წამოსწია.

— რაო, ბაბო, რა დაგეტაკა შე ქალო, სამსახურში რომ დამირეკეს, აქამდის სული ძლივს მომყვა! — რძლის ხმაში საყვედური გაისმა.

— ვიცი, რო? აეს ბედნიერი ჯეელი რომ არა, კინაღამ წერილი წავიღე! — უპასუხა შეწუხებულმა მოხუცმა და ხელით ახალგაზრდა კაცისკენ მიუთითა.

რძალმა ახალგაზრდა კაცს დაბნეული მზერა შეავლო, მერე მოხუცს ისე უნდოდ დააცქერდა, ჩანდა, მისი სიტყვების არ სჯეროდა.

ბავშვი სლუკუნებდა. ქალმა კუშტად გადახედა. იმან ცრემლი უხმოდ გადაყლაპა და გაიტრუნა.

მოხუცს სასიცოცხლო ძალები ნელ-ნელა უბრუნდებოდა. ექიმმა და სანიტარმა ფრთხილად წამოსვეს.

— ახლა ამისთვის პირველი წამალი მოსვენებაა. ექთანს უჩვენოდაც დიდი ჯაფა გაუწევია. ესაა, ცოტა გადაუჭარბებია. ნემსის შემდეგ ასე უცებ დამატებით წნევის წამალი არ უნდა მიეცა. მაღალი წნევის უცებ დავარდნამ, ეტყობა, ძალა გამოაცალა და საავადმყოფოში რომ...

— აჰ, საავადმყოფო არ მიხსენოთ! — უკმეხად შეა-

წყვეტინა ექიმს აწონილმა ქალმა, — აი, სახლამდე თუ მიგვაყვანინებთ...

— როგორ არა, ოღონდ ცოტა კიდევ უნდა ვაცადოთ, — თქვა ქალის კატეგორიული ტონით შემცბარმა ექიმმა.

აწონილი დუმდა. უცხოსავით შეჰყურებდა მოხუცს. გოგონა დედას ხელიდან დაუძვრა, ბებიასთან მივიდა და მიეკრა. მოხუცმა ხელი უღონოდ ასწია, თავზე ნაზად გადაუსვა, მიიზიდა და თვალები დაუკოცნა.

ექთანმა და ექიმმა მოხუცი ფრთხილად წამოაყენეს. მან ქალების უკან მორიდებით მდგომი ახალგაზრდა კაცი თვალით მოძებნა, ერთხანს დაკვირვებით მიაჩერდა, დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია და ნაბიჯი გადადგა. რძალი მოშორებით მიჰყვებოდა. გოგონა მოხუცს არ მოსცილებია, მანქანაშიც მის გვერდით დაჯდა.

შემდგომ სამშაბათს ახალგაზრდა კაცმა შვილი სკოლაში რომ მიიყვანა, ჩვეულ ადგილზე თავჩახრილად მჯდომი მოხუცი შორიდანვე შენიშნა, ბიჭს პალტო გახადა, კლასის კარი შეუღო, მოტრიალდა და მოხუცისკენ გაემართა. მის ფეხის ხმაზე მოხუცმა თავი ასწია და აჰხედა. ახალგაზრდა კაცს ქალი მეტად მოტეხილი ეჩვენა. სახე ერთიანად ჩაშავებოდა, თვალისჩინი თითქოს ჩაჰქრობოდა და ელამივით იყურებოდა. ახალგაზრდამ ხმა ვერ დასძრა, იდგა და მდუმარედ შეჰყურებდა.

მოხუცმა ხელი გამოუწოდა, მერე ჩანთა აიღო და გვერდით ადგილი გაათავისუფლა. ახალგაზრდა მიუჯდა.

— ჩემს გამო მეტად შეწუხდით, — მოუბოდიშა მოხუცმა.

— რას ბრძანებთ, საკუთარი მოვალეობა შევასრულე, მეტი არაფერი, — გულწრფელად უპასუხა ახალგაზრდამ.

მოხუცს მწარედ გაეღიმა.

— ღირდა კი?.. ნეტამც ფეხი მაშინვე გამეფშიკა! — ახალგაზრდა მისმა გულგატეხილობამ შეაკრთო, — რა უმადური დედაკაცი ყოფილაო, ფიქრობთ, ალბათ, ჩემზე. გადავარჩინე, ეს კიდევა სიკვდილს ნატრობსო, არა? — უმწეო ღიმილით დაამატა მოხუცმა.

ახალგაზრდამ პასუხი ვერ გასცა.

— ჩემი შვილის პატრონს სული მართლაც უნდა გამძ-

რომოდა! — თქვა და დერეფანში ფრთხილად მიმოიხედა, — თქვენ, სრულიად უცხო ადამიანი როგორ თანამიგრძნობდით, იმან კი, იმ არაკაცმა კინაღამ მომკლა.

ახალგაზრდა გაოგნებული სახით მიაჩერდა.

— შენაო, თავსლაფს მასხამ, ქვეყანა შეგვიყარე, ვითომ ასეთ გულსუსტს ბალღების მოვლას რო გავალებთო... შენაო, მატყუარა დედაკაცი ხაარო, არ გინდა ხელი შეგვაშველო და ასე ამად ირჯებიო.

მოხუცი გაჩუმდა. უცნობს თავისი შვილის ავკაცობა რომ გაუმხილა სირცხვილისგან იწვოდა, რამდენიმე ხანს იატაკს დაჰყურებდა.

— არ გაგიკვირდეთ, ამას რომ გიყვებით, რატომღაც მგონია, არ დამძრახავთ... მთვრალი იყო ის ჩემი ცოდვით სავსე. ჩემმა კაპუეტმა რძალმა კიდევ, თითქოს მისი უხიაგობა არ სცოდნოდა, როცა საყვედურებით ამიკლო, ეს რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, რა დაგემართაო. იქნებ არ აწყენინოსო და, რაც გადამხდა, მოუყვა. თქვენს მტერს, ის რომ გამხეცდა. ეს უცხო ხალხი თავს როგორ დამტრიალებდა, როგორ მესათუთებოდა, იმან კი, ჩემმა სისხლმა და ხორცმა, სისხლიმც კი იმას არ გაუშრეს, იმან კიდევა, კედელზე ისე მახლევინა თავი, გეგონებოდა, ავი სული ჩაუძვრაო... ამას რძლის ძმა და ცოლი შეესწრო. შუაში ჩაგვიდგნენ. ჩემი მოსახვედრი მუშტი რამდენი იმათ მოხვდა. ვერაფრით შეაჩერეს. შენაო, კაცი არ ყოფილხარო, უყვიროდა რძლის ძმა. მის დედაკაცს ტირილი აუვარდა. შავღონდი, შვილო, წავიქეცი. ის კიდევ არ მეშვებოდა და წიხლებს გულგვამში მაზელდა... იმდენი მირტყა, იმდენი, რო ყოველი ნაკვთი ისევე მტკივა...

კრიჭაშეკრული ახალგაზრდა სახეათრთოლებულ მოხუცს თვალს ვერ უსწორებდა.

— სახლს მომწყვიტეს, გვიჭირს, ხელი შეგვაშველეო, ძალაობით წამომიყვანეს ქალაქში და მეცხრე სართულზედ მხდიან სულსა. რა ვიღონო, არ ვიცი. დილაუთენიაზე ავშავდები, სახლს მივალაგებ, ამ ბალღებსა, გოგო-ბიჭი ჰყავთ, ამათ ენაცვალოთ ბაბო, გოგოს წავიყვან სკოლაში, ბიჭსა კიდევა ბაღში. შუადღისას ამ გოგოს წამოვიყვან სკოლიდან, მოვიყვან მუსიკაზე, ვზივარ აქა, მერე შინ

მივალთ, ბავშვს ვასადილებ, რაღაცას კიდევ გავაკეთებ. საღამოს ბიჭს წამოვიყვან ბაღიდან... ბავშვებს საღ-სალ-ამათებს ვახვედრებ, სახლსაც დაწკრიალებულს, მეტი რა შემიძლია?.. მაინც არ მაყენებს ის ჩემი ცოდვით სავსე... გატიალებული მთვრალი მოშავდება, სმით ხშირად სვამს, მივარდება ცოლს, ატეხს აყალ-მაყალს, ცოლი ემალება, მომდგება მე, მაგინებს... კი არ ვიცი, რა დავუშავე...

— სიფხიზლეშიც ასე იქცევა?

— მეორე დღეს ცოლი საყვედურებს რომ დაუწ-ყებს, ბოდიშს იხდის, არაფერი მახსოვსო, თავს იმართ-ლებს... ხან რას მიყიდის, ხან რას მომიტანს, მაგრამ გულს არაფერი ეკარება. რა თავში ვიხლი ჭინჭებს, მომსპო და დამანელა ქალი... მთელ ღამეებს თეთრად ვათენებ. ვზი-ვარ გაუშლელ ლოგინზედ და რაზე არ ვფიქრობ... თავი როგორ მოვიკლა, თორემ სიცოცხლე არაფრად მიღირს, ხშირად დღე ისე გავა, ლუკმა რა არის, ლუკმა არ გადამ-დის, დარდისაგან მეტი აღარ შემიძლია.

— შვილი სხვა არა გყავთ?

— როგორ არა, უფროსი ვაჟი სოფელში, ჩემგან მო-შორებით სახლობს, ქალიშვილი კიდევ მეზობელ სოფელ-შია გათხოვილი. უფროსმა ვაჟმა არაფერი იცის. რომ გავამხილო, დახოცავენ ერთმანეთს... შვილების ცოდ-ვაში ფეხი როგორ ჩავდგა-მეთქი და, ვითმენ... ეს კიდევ არაფრის წინაშე არ დაიხევს. მოკლავს იმას და ჩემს თავს მაინც არ დაუთმობს... ამას წინათ უფროსი ბიჭის ვაჟიშ-ვილი იყო აქა. უკვე დიდია, შეესწრო აყალ-მაყალს. ბაბო, შენაო, ეტყობა, ამათსას ძალიან გაგჭირვებია, წაგიყვანო. ეს ამბავი მამაშენს არ გააგებინო და არ დამღუპო-მეთქი, ვეხვეწე, იმანაც მგონი დამიჯერა... არა, ასე მხეცივით მა-ნამდე არასოდეს მომქცევია... გაპარვა მინდა, წავშავდები ჩემსას, შეშაც მომარაგებული მაქვს და სარჩოც, საა-ვადმყოფოში სანიტრად ვმუშაობდი, პენსია მეძლევა, დაუმადლებელ ლუკმას შევჭამ, არც ვინმეს შევაწუხებ, ის კი არა, იქიდან მათ ხელსაც გავუმართავ. ოღონდაც გამიშ-ვან, ოღონდაც შემეშვან, და... უშობელი მეზობლებში მყავს გაბარებული... თვალს მოვხუჭავ თუ არა, ბალახმოვლილი, უპატრონოდ დაგდებული ეზო-ყურე და ცურგამშრალი

უშობელი დამიდგება თვალწინ. ნეტაი იქ ვიყო, არაფერი მინდა, წყლითა და ხმელა პურითაც იოლად გავალ. გამიშვან, ამ ბალღებს უჩემოდაც ხომ უვლიდნენ...

— მერე, ადექით და წადით.

— როგორ წავიდე, გზა მე არ ვიცი და რამე. ერთი ისეთი ვინმე მანახა, ვინც სადგურამდე მიმიყვანდა, სოფლისკენ მიმავალ ავტობუსში ჩამსვამდა, მერე კი ვიცი, რასაც ვიზამდი... ჩემს გოგოსთან დავიმალები, ერთი იქ ამოვიდეს და უბატონოდ ხმა გამცეს!

— ხუთი ლარი არა გაქვთ?

ქალმა ახალგაზრდას დაეჭვებით გადახედა.

— რატომ მეკითხებით?

— ტაქსი დაიჭირეთ, უთხარით, ავტოსადგურამდე მიმიყვანეთ-თქო.

— ის რომ გამომეკიდოს?

— ხომ მუშაობს?

— იჰ, მაგის სახსენებელიც კი არ გაქრეს, სალდათია...

— ჯარში მსახურობს?

— აფიცერია.

— სახლიდან დილით არ გადის?

— უთენიაზე, მისი სახსენებელიც კი არ მოისპოს.

— როგორც კი სახლიდან გავა, თქვენც გამოდით, დაიჭირეთ ტაქსი, და...

— ბალღები?

— რა, ბალღები?

— მაგათ სკოლაში და ბაღში ვინ მიიყვანს?

— თქვენი რძალი.

— ისიც რომ მუშაობს?

— ბავშვები, სადაც მისაყვანია, მიიყვანეთ და მერე...

— მებრალებიან. ესეცაა, ზოგჯერ შუადღეზე მოშავდება ხოლმე ის დედაკაცი, წასულს რომ დამინახავს, ქმარს შეატყობინებს, ის კიდევა, გამომიდგება და ავტობუსს თუ დაეწია?!

— ხალხთან ვერაფერს გაკადრებთ.

— ეგ ისეთი დოღრიალაა, რო...

— აკი სიფხიზლეში თვინიერიაო?

— ასეა, მაგრამ ზოგჯერ სიფხიზლეშიც ურევს, —

თქვა მორიდებით, — ჯარში წასვლამდე სიმთვრალეშიც ოქრო ხასიათი ჰქონდა. წაიყვანეს სადღაც გადასაკარგავში. დიდი ყინვები სცოდნია თურმე, ნახევარი წელი ღამე დგასო, ნახევარიც დღე... რა ისეთი დაწყევლილი ადგილია, ნეტა?.. მოწრიპული ტანისა იყო, გალახულსა ჰგავდა. ჩამოვიდა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ახლაც ისეთი თვალადია, ისეთი, ნეტა ჩემიანი იყოსო, ინატრებ, მაგრამ, რად გინდა, ერთი ბეწო რამ ჭკუაზე შლიდა... დაერეოდა ბიჭებს, სულ თავებს დაუხეთქავდა. ვერავინ სჯაბნიდა. მერე ძმასაც მოსდგა, მეზობლები ერთიანად გადაიმტერა. ამგვარი ახირებული ზნე ჩამოიყოლა. ბოლოს, სოფლიდან წამოვიდა და ჯარის სამსახურში ჩადგა. თითქოს დაშოშმინდა. რახან მისი აყალ-მაყალის ხმა სოფლამდე არ აღწევდა ჩვენ შორიდან ასე გვეგონა. რომ დაგანახათ, ვერც წარმოიდგენთ, რომ დედაზე ხელს ასწევს... სულ ვფიქრობ, სხვანაირად არ ჩამომართვათ და, ნეტა ჯარიდან არ მობრუნებულიყო, იქ დაეჩენილიყო-მეთქი. თავი შემაძულა შვილო, ყველაფერი შავად და ძაძად მეჩვენება...

— უნდა წახვიდეთ, როგორმე გაერიდოთ.

— ისე დავიბენი, როგორ აჯობებს არც ვიცი, იმისიც მეშინია, ჩემ გამო ის ქალი რომ მოკლას, სად ჭირში წავშავდე-მეთქი... ეგ დედაკაცი ფინთი ზნის როდია, მაგრამ ამდენმა დავიდარაბამ უჯიათი გახადა. ალბათ, არ უნდა, რომ შვილებს მამა დაუკარგოს, ითმენს და არის...

— მაშინ, გამოდის, უნდა შეეწიროთ.

— არ ვიცი, შვილო. ეგება რამე საშველი არსებობს და ამ საშველს დაველოდო ან სულაც სადმე გადავიკარგოთქო.

ქალი დადუმდა. ახალგაზრდა კაცი მის დაქანცულსა და დაბნეულ სახეს გახევებული შეჰყურებდა.

საქსოვმომარჯვებული ქალი და მისი მხლებელი გამოჩნდნენ, დერეფანი მოათვალიერეს. მოხუცი და ახალგაზრდა გვერდი-გვერდ მსხდომნი რომ შენიშნეს, ოდნავ მოშორებით მოეწყვნენ, საუბარი გააბეს, მაგრამ მთელი ყურადღება მათკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

— მაპატიეთ... თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს შვილო, — მიმართა მოხუცმა ახალგაზრდა კაცს, — საქსოვი

რომ უჭირავს, ეგა, ჩემი ვაჟიშვილის კარის მეზობელია... და თუ თქვენ ჩემი მონაყოლი აქ ვინმესთან წამოგცდათ...

— მშვიდად იყავით.

— მაპატიეთ! — პატარა გოგოსავით წამოწითლდა მოხუცი.

ახალგაზრდამ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. მის წინ მომღიმარე შავტუხა ბიჭი იდგა. კაცი წამოდგა, ბავშვს პალტო ჩააცვა და ქუდი დაახურა. მოხუცი მათ თვალს ყურადღებით ადევნებდა.

— თქვენი ქალი, ალბათ, მსახურობს, არა? — ჰკითხა ახალგაზრდას.

— სამშაბათობით და პარასკეობით დაკავებულია.

— და ასე ეხმარებით... ნეტაი თქვენ! — თქვა და ბიჭს მიუალერსა.

ახალგაზრდა კაცი მოხუცს დაემშვიდობა, ბავშვს ხელი ჩაჰკიდა და კიბისკენ გაემართა.

ამის შემდეგ მოხუცი შვილიშვილთან ერთად არ გამოჩენილა. გოგონას დედა ახლდა-ხოლმე. ქალი ბავშვს კიბეზე გულისხეთქვით ამოარბენინებდა, ნაცნობ ქალებს ჩააბარებდა, თვითონ კი გარბოდა. გაკვეთილის დამთავრების წინ კიბეს ისევ გულისხეთქვით ამოათავებდა, რამდენიმე წუთს მოსაცდელში მოუსვენრად იწრიალებდა, როგორც კი გოგონა გამოჩნდებოდა, მიეგებებოდა, ჩანთას ჩამოართმევდა, ხელს ჩაავლებდა და ქაქან-ქაქანით კიბისკენ გააქანებდა.

ვალეგის სისტემა

იგი ოცდახუთი თუ ოცდაექვსი წლის წინ ერთმა მეგობარმა კაფეში გამაცნო. მაღალი იყო, ტანწვრილი, ქერა თმა შუბლზე შესთხელებოდა. ასაკთან შედარებით ნატანჯი სახე ჰქონდა, მხრებში ოდნავ მოხრილს ღია ფერის პიჯაკი ეცვა.

დარბაზის ბოლოში განცალკევებულ მაგიდას ორნი უსხდნენ, თითო ბოთლი „საფერავი“ ედგათ, ცოტა წიწაკის მწნილი, ყველი და პური შემორჩენოდათ, მაგრამ ისეთ ხასიათზე იყვნენ, თითქოს მეფური პურ-მარილი ჰქონოდათ გაშლილი.

მიუხედავად იმისა, რომ მყუდროება დავურღვიეთ, ისე შეგვხვდა, გეგონებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის შევიყრებოდით.

ღვინოს დაგემოვნებით, ნელ-ნელა სვამდა. ნიკოტინისგან გაყვითლებულ თხელ საჩვენებელსა და შუათითს შორის „პრიმა“ მოემწყვდია და თავგამეტებით ექაჩებოდა, საუბრისას კი ამ თითებით რაღაც ფორმები და საგნები გამოჰყავდა.

— ბრატ!.. — დაბალი ხმით მომმართა, თვალები მოჭუტა და ისე გაირინდა, თითქოს უცხო ჩქამს უგდებდა ყურს.

ამ „ბრატ!“-მა, ცოტა რა იყოს, გამაღიზიანა, მაგრამ მისი სახის გაცრეცილ ნაკვთებს თვალი რომ შევავლე, მივხვდი, ამ მიმართვით ჩემდამი ახლობლური დამოკიდებულების გამოხატვა სურდა და, სულ ერთი იყო, ამას რა ენაზე იტყოდა.

ზუსტად არ მახსოვს, იმ საღამოს რაზე ვსაუბრობდით. ჩვენ მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და სალაპარაკოს რა გამოგვილევდა. ის ჩუმად იჯდა და გვისმენდა.

მისდამი ნდობით განვეწყვე და ეს დამოკიდებულება ძალიან დიდხანს გამომყვა.

სამწუხაროდ, ცხოვრება ჩვენს პროგნოზებსა და პირად სურვილებს იშვიათად ემთხვევა.

მისი მონაცემების მქონე ნებისმიერი კაცი საუკეთესო ყოფით პირობებს შეიქმნიდა, მაგრამ პრაქტიკულობა აკლდა. ნიჭიერი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დაუდევარი ეთქმოდა.

ირგვლივ უამრავი ხალხი ეხვია: ზოგი სახელმოხვეჭილი, ზოგიც სახელგატეხილი, რასაც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონია, რადგან ყველა ვითარებაში საკუთარი პრინციპების ერთგული რჩებოდა.

ეს ხალხი ხშირად თავისით მოდიოდა, უძმაკაცდებოდა და მერე საერთოდ რომ არ შეხვედროდნენ, თავს მაინც მის ძმაკაცებად მიიჩნევდნენ და ეს გრძნობა იშვიათად თუ ტოვებდათ, რადგან დაბალი ხმით მორიდებულად ნათქვამი — „ბრატ!“ — ჯადოსავით მოქმედებდა, თითქმის ყველას მისი საძმოს წევრად მიაჩნდა თავი.

იგი ლიტერატორი გახლდათ. სიტყვის გასაოცარი ალღო ჰქონდა. თავის მოთხრობებს ჰემინგუეის წაბაძვით ნაწვალებს უწოდებდა და მაინცდაიმაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

სინამდვილეში, არც ასე იყო საქმე. მისი მოთხრობები ძალიან ჰგავდა მას, განსაკუთრებით კი ერთი. ეს უბრალოდ მოთხრობა კი არა, მისი სულის სიღრმისეული ანარეკლი იყო, რომელმაც თავის დროზე თავბრუდამხვევი წარმატება მოუტანა და თითქოს სულ ახლოს იყო პოპულარობა და სახელი, მაგრამ ყალბ ილუზიებს არ აჰყოლია.

პროზას, როგორც თვითონ ამბობდა, ადრევე დაანება თავი. ძალა არ მეყო და ამის გამო თარგმანზე გადავედიო, გაიხუმრებდა. დაუჯერებელი იყო, თუმცა სიმართლესთან ახლოს იდგა, რადგან ბოლო წლებში საკუთარი მართლაც არაფერი გამოუქვეყნებია.

ხშირად ვხვდებოდი რედაქციებში, ქალაქის ქუჩებსა და პარკებში. ზამთარ-ზაფხულ ერთი და იმავე, განუყრელი კეპით და ღია ფერის ფარატინა ქურთუკით. ზოგჯერ ანკესით ხელში მტკვრის პირას განმარტოებულიც მინახავს, ოცნებებსა და ჭვრეტაში გართული.

რაც დრო გადიოდა, მარტოობა იზიდავდა. ერთ უჟმურსა და ნავს დღეს კი თავზარდამცემი ტკივილებით ნაგვემ-ნატანჯი ამ სიმარტოვის მარადიულ ბილიკს დაადგა...

ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც მას ამ ცხოვრებაში განუყრელად ახლდა, წიგნი იყო, ხოლო მერე — წვრილ-წვრილი, წელში გამწყვეტი ვალები. როგორც კი ცოტა-

ოდენი თანხა გაუჩნდებოდა, ძმაკაცებისთვის პატარ-პატარა დღესასწაულებს აწყობდა. ფული რომ შემოელეოდა, ახლობელთაგან ვალს იღებდა და მისი სასიცოცხლო ენერგიის დიდი ნაწილი მათ გასტუმრებას ხმარდებოდა.

ერთი შეხვედრა განსაკუთრებულად დამამახსოვრდა.

უხვსიტყვაობა არ უყვარდა. სათქმელს ორიოდ ფრაზაში ტევდა, მაგრამ მაშინ სიტყვაძუნწობა არ გამოუჩენია.

— ბრატ! — წამოიწყო და თვალმოჭუტული ისე მიაჩერდა სივრცეს, გეგონებოდა, უნდა იგალობოსო. — ფულის სესხების მთელი სისტემა არსებობს. მე და ჯგუბუმ ეს ვარიანტები გულდასმით დავამუშავეთ და, რომ იცოდე, თავისებურ შედეგსაც მივაღწიეთ, — თქვა და ყურადღებით მომაჩერდა, — მთავარია, პარტნიორი, ესე იგი, ვისთანაც სასესხებლად მიდიხარ, არ მოატყუო. აი, ამ სისტემის ურყევი პრინციპი! — საჩვენებელი თითი მაღლა შემართა და თითქოს ძახილის ნიშანი დასვა, — დარწმუნებული უნდა იყო, რომ ვალის გასტუმრებას უსიკვდილოდ შესძლებ. ისიც უნდა გაითვალისწინო: ფულის მშოვნელი ხალხი გამჭრიახი და უაღრესად ანგარიშიანი, პრიმიტიული გაგებით, ხელმოჭერილია. მათ ფული ზოგჯერ საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უღირთ და უფრთხილდებიან კიდეც. ვერ იტანენ იმათ, ფულს რომ ხელის ჭუჭყად მიიჩნევენ და სასესხებლად მაინც მათთან მიდიან. დარწმუნებული იყავი, ასეთებს კილომეტრიდან უცდომლად გრძნობენ და ცივი უარით ისტუმრებენ. ვისაც ვალის გადახდის ნაღდი შანსი აქვს, თამამია, რასაც ისინი უტყუარი ალღოთი გრძნობენ და ამ შინაგანი სიმტკიცით აღჭურვილთ ნდობით ეკიდებიან.

გაჩუმდა. ისე ღრმად ამოიხვნეშა, ლამის გული ამოაყოლა, ოთახში დაბნეულად მიმოიხედა და მორიდებით თქვა:

— ახლა კარგა გვარიანი თანხა მჭირდება. ვიცი, ერთ ჩემ ნაცნობს შეუძლია მიხსნას, მაგრამ ახლო ხანებში არსაიდან არაფერს ველი. ისიც კარგად ვიცი, ის კაცი ფულს დიდი ვადით არ მომცემს და, წარმოიდგინე, ამ შეჭირვების მიუხედავად, ვერაფრით ვერ შევაწუხებ, რადგან უნდა ვიცრუო, ვალს ამა და ამ დროს დაგიბრუნებ-მეთქი. ჩემს სი-

ტყვას დამაჯერებლობა დააკლდება, ის კი იმდენად ჭკვიანია, ამას არ ჭამს. ჩემი მხრიდან კი არ მსურს ვინმესი და, მით უმეტეს, მისი დაღალატება.

დადუმდა. კარგა ხანს სივრცეს მოჭუტული თვალით გასცქეროდა. სახე რომ მოაბრუნა, ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობისგან დაღლილს ჰგავდა.

მართლაც, იგი მუდმივ, ყოველდღიურ საზრუნავს დაექანცა, მაგრამ ამის შესახებ იშვიათად თუ დასცდენია, მით უფრო, ჩემთან. მე ხომ მისი მეგობარი არ ვყოფილვარ. როგორც ვიცი, აღსარებებით არც ამ უკანასკნელთ უწვრილებდა გულს. იყო თავისთვის და საკუთარ ჭირვარამს როგორღაც უმკლავდებოდა.

— ასე და ამგვარად, ბრატ! როცა ვალის გასტუმრების რეალური შანსი გაქვს, ნურასოდეს დაიხევ, ფული ხომ საშუალებაა და არა მიზანი.

— ზოგიერთს, როგორი შეძლებულიც უნდა იყოს, სხვისთვის ხელის გამართვა მაინც უჭირს. პირადად მე ერთი ჩვენი საერთო ნაცნობივით შეძლებული რომ ვიყო, უშურველად გავცემდი...

— ბრატ!.. ამიტომაც მაგ საქმეში სწორედ შენისთანებს ბედი არცთუ ისე სწყალობთ! — თქვა, მერე ყურადღებით დამაცქერდა და მხარზე შემეხო, — ხომ არ გეწყინა, ბრატ! — მკითხა ფრთხილად.

— არა, რა უნდა მწყენოდა?! — გულწრფელად გავიკვირვე.

სახე კეთილმა ღიმილმა დაუფარა.

თავისებურად მართალი იყო. ფული ჩემთვის საკმაოდ რთული ფენომენი აღმოჩნდა. მუდამ ან ისაა ჩემთან მწყრალად, ან მე მასთან. როგორც კი ხელში ჩამივარდება, დახარჯვამდე მოსვენებას ვკარგავ. ბოლო გროშები რომ შემრჩება, მაშინღა ვბრძენდები, ვითომ ხელმომჭირნეობას ვიწყებ, თუმცა საქმეს ეს ვეღარ შველის.

რაც შეეხება ვალებთან დაკავშირებულ მისგან განდობილ სისტემას, შეძლებისდაგვარად, ვიყენებ (თითქმის ყოველთვის ამართლებს). წარმოიდგინეთ, ამ გამოცდილებას სხვებსაც ვუზიარებ და ასე გადის ჩემი ცხოვრება... მაგრამ ეს საუბრის სულ სხვა თემაა.

მე იმ კაცის გახსენება მინდოდა. ბოლომდე რომ ჩავედი, საკუთარი თავით უკმაყოფილო დავრჩი. მას ხომ იმდენი კარგი თვისება ჰქონდა, რაღა ამ ვალების სისტემასთან დაკავშირებით გავიხსენე, არ ვიცი... ალბათ, ასეა ადამიანი მოწყობილი, ცხოვრების მანძილზე დაგროვილი უამრავი სატკივარი სულში ღრმად ილექება და, ხშირად, უაღრესად საინტერესო პიროვნება მახსოვრობაში იმ ამბებითა და მოვლენებით აღიბეჭდება, რითაც ჩვენს პირად ტკივილსა და საწუხარს ასე თუ ისე შეეხო...

რა ვიცი... იქნებ სულაც არ არის ასე...

მონანიების საზღაური

ქალაქის გარეუბნის სიმყუდროვე საღამო ჟამს ცეცხლსასროლი იარაღის ხუთჯერ გასროლამ დაარღვია. ქალის სულისშემძვრელ კივილს მოგვიანებით გაბმული გოდება მოჰყვა. ეს ვალალი თანდათან მიწყდა და გარეუბნის განაპირა სახლ-კარი გარინდებამ მოიცვა. ისე დაღამდა, წინა ეზოში სულიერი არ გაჭაჭანებულა. გასროლიდან დაახლოებით ორ საათში, სახლის ფანჯრებში სინათლემ იელვა, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაქრა და იქაურობა წყვდიადში ჩაინთქა.

რომ არა ქალის კივილი და გაბმული გოდება, ეს გასროლა, ალბათ, ყურადღებას არც არაფრით მიიპყრობდა, რადგან, როგორც კი ამინდები აირეოდა და გარეუბნის მომიჯნავე უსიერ ტყეს ზამთრის კვნესა შემოუტევდა, განაპირა ეზოებს დროდადრო ნადირი შემოესეოდა და მათ დასაფრთხობად არამცთუ კაცები, უწვერული ბიჭებიც კი სანადირო თოფებს წარამარა აქუხებდნენ.

მეორე დილით ამ ეზო-კარს საშუალო ასაკს მიტანებული სამძებრო განყოფილების უფროსი და ახალგაზრდა სტაჟიორი „ნივით“ მიადგნენ, მანქანიდან გადმოვიდნენ, კარგა ხანს იდგნენ ჭიშკართან და ყურადღებით ათვალიერებდნენ გარემოს. შემდეგ გამომძიებელმა რამდენიმეჯერ ხმამაღლა უხმო მასპინძელს. როცა სახლიდან არავინ გამოიხედა და ის იყო, წასვლა დააპირეს, პალატის კარი ჭრიალით გაიღო და მათკენ ქუდის სწორებითა და ხველებ-ხველებით ასე, ოცდაათ წელს გადაცილებული მაღალი, ნაცრისფერ თბილ ქურთუკსა და რეზინის მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი, ოდნავ ჩაფსკვნილი კაცი გამოემართა, რამდენიმე ნაბიჯში შედგა, ჭიშკართან მყოფნი გულდასმით შეათვალიერა, დაიძრა, ჭიშკარს მიეახლა, შეაღო, დაუპატიჟებელ სტუმრებს თავი დაუქნია და კითხვის ნიშნად მიაჩერდა.

— წუხელ თქვენს ეზოში ხუთჯერ გაისროლეს, — არ დააყოვნა გამომძიებელმა და მასპინძელს ყურადღებით დააკვირდა.

მის ოდნავ ფერმკრთალ სახეს აღელვების ან დაძაბულობის რამე ნიშან-წყალი არ დასტყობია. ცივი, გამჭოლი მზერა გამომძიებლის მჭლე, ჩამოგრძელებული სახიდან და ცნობისმოყვარედ მიჩერებული მარჩხი თვალებიდან, სტაჟიორის სიყმაწვილის ასაკიდან ჯერ კიდევ გამოუსვლელ, პუტკუნა სახეზე გადაიტანა, რომელსაც, ოდნავ გამხდარი რომ ყოფილიყო, ღია წაბლისფერი, კოხტად შეკრეჭილი წვერ-ულვაში მეტ მოხდენილობასა და ვაჟკაცურ იერს მიანიჭებდა.

მასპინძელმა ქუდი მოიშვლიპა, გზაზე დინჯად მიმავალ ვიღაც მოხუცს თვალი გააყოლა და ჭიშკართან გავლა ადროვა.

— აქ დგომას შინ შემოსვლა და ბუხართან საქმის დამშვიდებით გარკვევა არ გაწყენდათ, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, ხელით, ვითომ, ნახეთ რა სუსხიაო, მიდამო შემოხაზა, მაგრამ გამომძიებელი მის სახეს თვალს არ აცილებდა და არც ადგილიდან იძვროდა.

— თქვენსას შემოსვლა, როგორც ჩანს, უეჭველად მოგვიწევს, მაგრამ ბუხართან საყურყუტოდ არა... სროლის მიზეზის დადგენას ვეშურებით, — დააზუსტა მოგვიანებით გამომძიებელმა.

— ნუგზარ, ამგვარი ტონი რაში გჭირდება, არ ვიცი? გეგონება, ქვეყნის დამქცევი ვიყო...

— განგიმარტავ, ამჯერად უბრალოდ ნუგზარი კი არა, მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსი, მაიორი ნუგზარ უგრეხელიძე გახლავარ, ეს ახალგაზრდა კი, სტაჟიორ-კრიმინალისტი რამაზ ნემსაძეა! — მკაცრად მიმართა გამომძიებელმა მასპინძელს.

— მოვარდნილი ნადირისთვის თოფის სროლა როის შემდეგ აკრძალეს?..

— რამდენჯერ?

— რა რამდენჯერ?! — გაკვირვებით ჩაეკითხა მასპინძელი.

— რამდენჯერ ესროლე-მეთქი.

— ხუთჯერ.

— სანადირო თოფიდან?

— აბა, მე სხვა იარაღი არ მაქ და...

— ალბათ, გაქვს, ასე მიჯრით მხოლოდ საბრძოლო იარაღით ან რევოლვერით ისვრიან. „კალაშნიკოვი“რომ არ გექნება, დარწმუნებული ვარ, ხოლო, რევოლვერით მგლებზე რომ არ ნადირობენ, ყველამ კარგად იცის...

— ვინ ნადირობდა, რო? ყმუილით აიკლეს აქაურობა და დავაფრთხე.

— ტყუილია, მგლის ყმუილში ქალის კივილი და მოთქმა-გოდება არავის აერეოდა...

— ეგ კიდე საიდან მოიტანეს?! — გაიკვირვა შემცბარმა დამხვდურმა.

— ამ სახლში რა უბედურება დატრიალდა, არ ვიცი, მაგრამ იმედია, ყველაფერს ნათელი მოეფინება.

— რა უბედურება, რის უბედურება!..

— რაღაცის მიჩქმალვას ცდილობ და არ გეკადრება.

— ღმერთი, რჯული, არაფრის მიჩქმალვას არ ვცდილობ, პირიქით, შინ შევიდეთ-მეთქი, მაგრამ თვითონ არ ისურვე, იქ უფრო დალაგებულად ვისაუბრებდით...

— მგონი გასაგებად ვთქვი, ჩვენ აქ ბუხართან საყურყუტოდ არ მოვსულვართ. აი, ჩხრეკის ორდერი, მაგრამ ჩხრეკამდე შენგან პირნათელ აღიარებას ველოდი. — გამომძიებლის ხმაში უკმაყოფილება გაჟღერდა, ჩხრეკის ორდერი გაუწოდა დამხვდურს, მაგრამ მან ქაღალდის ფურცელს თვალი აარიდა.

— რაც არ ყოფილა, რანაირად ვაღიარო, არ ვიცი!

— კარგი... მაშინ მოვალეობას შევუდგებით. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები.

— რაზეა საუბარი! — გაიოცა დამხვდურმა და მათ გზა დაუთმო.

* * *

„ბატონო პროფესორო, მოგესალმებით. იმედია, ჯანმრთელობას არ უჩივით და მხნედ ბრძანდებით.

სატელეფონო საუბრებისას და იმ ხანმოკლე ურთიერთობებისას, როცა თქვენს სანახავად დედაქალაქში ორჯერ ვიმყოფებოდი, ვერ მოვახერხე სრულად გადმომეცა

ის შთაბეჭდილებები და მოსაზრებები, რაც აქ ყოფნის განმავლობაში დამიგროვდა. ამჯერად მსურს ეს ხარვეზი გამოვასწორო და ნაწილობრივ მაინც საქმის კურსში ჩაგაყენოთ.

თქვენი რჩევისამებრ, მთელი ამ ხნის განმავლობაში მოკლედ ვინიშნავდი ყოველდღიურ მოვლენებსა და ფაქტებს, განწყობას საერთოდ და ყოველ საყურადღებო დეტალს, რაც ჩემს საქმიანობასთანაა დაკავშირებული და გადავწყვიტე, ეს ჩანაწერები დათარიღების გარეშე გაგაცნოთ. მაპატიეთ, თუ ჩემს დაკვირვებებში ლირიულობისკენ გადახრას აღმოაჩენთ, მაგრამ როგორც ამ ჩანაწერიდან შეიტყობთ, ფაქტების მშრალი ანალიზი არ მეხერხება და ჩემს გადახვევებს იმედია, მომიტევებთ...

შვიდი თვე ხდება, რაც ამ პატარა ქალაქში ვიმყოფები. თითქოს ქვეყნიერებასაა მოწყვეტილი. გეგონებათ, დრო ერთ ადგილას ისეა გაყინული, არაფერი მნიშვნელოვანი აქ არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს. არ მიწყინოთ და, თავიდან თქვენზე ვბრაზობდი კიდეც, რაღა ამ მიყრუებულ მხარეში გადმომხვეწა, სადაც თანამედროვე კრიმინალისტიკის მიღწევების სრულყოფაზე ფიქრი კი არა, რაც შემითვისებია, იმის დავიწყებაც ადვილადაა შესაძლებელი-მეთქი, მაგრამ ვითვალისწინებდი რა თქვენს გამოცდილებას და კეთილგონივრულ რჩევებს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები მაინცდამაინც დიდი ხალისით არ დამხვედრიან და თავიდან ისე მიყურებდნენ, როგორც მათ ქალაქში ჩამოხეტებულ მორიგ მაძიებელს, რომელიც გარკვეული ვადით აქ ყოფნას უეჭველად დასაწინაურებლად გამოიყენებდა და, ბუნებრივია, ახლო მომავალში თავის გზას გაუდგებოდა, შევეცადე, მთელ რიგ საკითხებს სიღრმისეულად მივდგომოდი. უფროსი კოლეგების მუშაობის სტილი თავიდან მოძველებულად მომეჩვენა, მაგრამ თანდათანობით გავარკვიე, რომ ისინი მოვლენებს საკმაოდ კვალიფიციურად უდგებიან და, რამდენიმე გაუხსნელ საქმეს თუ არ ჩავთვლით, სათანადო სიმაღლეზეც დგანან.

მოგეხსენებათ, დედაქალაქის მკვიდრი გახლავართ და ჩვეული იმ რიტმს, რაც დიდი ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი. თავიდან ჩემში გაღიზიანებას იწვევდა აქ გაბატონებული პასტორალური სიმყუდროვე და გარინდულობა. თუმცა, ადგილობრივებთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ეს პატარა ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში არ არის, მაინც სისხლსავსე ყოფით ცხოვრობს.

ეს, რაც შეეხება ჩემს განწყობას და დამოკიდებულებას აქაურობასთან.

თქვენ ყოველთვის გვინერგავდით, სადაც გაგვანაწილებდნენ, უნივერსიტეტისა და თქვენი სახელი არ შეგვებღალა, მიუხედავად სიძნელეებისა, შევთვისებოდით, გაგვეთავისებინა იქ არსებული პრობლემები და, რაც მთავარია, ღირსეულად მოვქცეულიყავით.

ყოველნაირად ვცდილობდი, ერთგული ვყოფილიყავი ამ პრინციპებისა, თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ, შემდგომში აქ ამ მხრივ მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ შემხვედრია. არ ვიცი, ეს ჩემმა მონდომებამ განაპირობა თუ ჩემდამი ადგილობრივთა საოცრად თბილმა დამოკიდებულებამ, მაგრამ, ფაქტია, კოლეგებთან და სხვებთანაც საუკეთესო ურთიერთობები ავაწყვე...

ახლა კი, როგორც თქვენ ბრძანებდით-ხოლმე, „პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ“:

ორი თვის წინათ, ქალაქის განაპირას, საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე, ხუთი გასროლა გაისმა. არე-მიდამო, საიდანაც გაისროლეს, ზედ ტყის პირას მდებარეობს და, იმის გამო, რომ დამშეული ნადირი სწორედ ტყის შორიახლო მდებარე ეზოებს ხშირად ეტანება-ხოლმე და სახლ-კარის მეპატრონენი იძულებულნი ხდებიან, მტაცებლები ცეცხლსასროლი იარაღით მოიგერიონ, თითქოს ეს გასროლები ყურადღების ღირსი არც ჩანდა, მაგრამ მეორე დილითვე ამ მოსახლის მეზობლისგან შემოვიდა ცნობა, რომ რაღაც კრიმინალს ჰქონია ადგილი, უფრო ზუსტად, სროლებს, თურმე ქალის შემზარავი კივილი და მოთქმა-გოდება ახლდა.

სამძებრო განყოფილების უფროსმა უგრეხელიძემ, საკმაოდ გამოცდილმა შუა ხნის კაცმა, ამ სიგნალზე დროული რეაგირება მოახდინა და მითითებული ადგილისკენ გავემართეთ.

საქმის გარშემო სრული წარმოდგენა რომ შეგექმნათ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეჭვმიტანილის კარ-მიდამო ტყეს ისეა მიკრული, გამოცდილი კაციც კი ერთმანეთზე გადახლართულ ბროწეულის ნარგავებს ტყისა და ეზოს მიჯნად ძლივს თუ გაარჩევს.

თვით წლების წინ აგურით ნაგები ორსართულიანი შენობა მეზობელთა სახლებისგან თითქოს არაფრით გამოირჩევა, მაგრამ ერთადერთი მასიური კარი და ვიწრო ფანჯრები მიუდგომელ სიმაგრეს უფრო ამსგავსებს, ვიდრე საცხოვრებლად განკუთვნილს.

სხვაფრივ, ამ კარ-მიდამოს გამრჯე ხელი ატყვია: კოხტად შეკრეჭილი, ტრიფოლიატით შემოკავებულ წინა ეზოში ყურადღებას რამდენიმე ძირი შეფუთული პალმა, უცხო ჯიშის ყვავილები და სხვადასხვა დეკორატიული ნარგავი იქცევს. ეტყობა, ამ ოჯახში ვიღაცას სილამაზისკენ განსაკუთრებული სწრაფვა ჰქონია. გაზაფხულობითა და ზაფხულობით ამ ეზოს ნახვას არაფერი ემჯობინება...

ეზო-გარემოს დათვალიერების შემდეგ, გამომძიებელმა მასპინძელს რამდენიმეჯერ დაუძახა. კარგა ხანს არავინ გამოეხმაურა და ის იყო, მეზობლებთან გადასვლა დავაპირეთ, რომ ქვედა სართულის მასიური კარი ჭრიალით გაიღო, ტანბრგე, ნაცრისფერ ქურთუკში გამოწყობილმა კაცმა გამოგვხედა, დაიძრა, გზად შეყოვნდა, ორჭოფულად აგვათვალ-ჩაგვათვალიერა, შემდეგ დაიძრა, მოგვიახლოვდა, თავი უხმოდ დაგვიქნია, ჭიშკარი შეაღო და კითხვის ნიშნად მოგვაჩერდა. სახეზე სიმშვიდე აღბეჭდვოდა, მაგრამ იგრძნობოდა, შინაგან დაძაბულობას ძლივს უმკლავდებოდა, ხოლო როცა გამომძიებელმა გასროლების შესახებ კითხვა მიუკიბ-მოუკიბავად დაუსვა, ჩვენზე დაკვირვებას თავი ანება, ქუდი მოიხადა, გზაზე მიმავალ მოხუცს გავლა აცალა, შემდეგ მოგვიბრუნდა და გამომძიებელს სახლში შესვლა და ბუხრის პირას საქმის

მშვიდ გარემოში გარკვევა შესთავაზა. გამომძიებელმა, თქვენთან შემოსვლა აუცილებლად მოგვიწევს, მაგრამ არა მხოლოდ თბილ ბუხართან საყურყუტოდო. მასპინძელმა გამომძიებელს სახელით მიმართა, ამგვარი ტონი რაში გჭირდება, გეგონება ქვეყნის დამქცევი ვიყოო. ამ ფამილარობაზე გამომძიებელმა მასპინძელს უმალვე ადგილი მიუჩინა, მე ახლა ჩვეულებრივი ნაცნობი კი არა, რაიონის სამძებრო განყოფილების უფროსი ვარ, ხოლო ჩემზე — სტაჟიორ-კრიმინალისტიაო, მიუთითა. ეჭვმიტანილი მაინც შეეცადა თავისი გაეტანა და ნადირზე სროლა როდის აქეთ აკრძალესო, გაიოცა. რაზეც, გამომძიებელმა, რამდენჯერ გაისროლეო, მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა. დამხვდურმა — ხუთჯერო. სანადირო თოფიდანო? — ჩაეძია გამომძიებელი. იმან, აბა, მე სხვა იარაღი არა მაქვსო. გეტყობა, გაქვს, რადგან ასე მიჯრით მხოლოდ საბრძოლო იარაღიდან ან რევოლვერიდან ისვრიან, „კალშნიკოვი“ დარწმუნებული ვარ, არ გექნება, ხოლო რევოლვერით, როგორც ცნობილია, მგლებზე არ ნადირობენო, — გამომძიებელმა. ვინ ნადირობდა, ყმუილით აიკლეს აქაურობა და დავაფრთხეო, — თავის მართლება სცადა ეჭვმიტანილმა. სიცრუეა, ნადირის ყმუილისთვის ყური არავის მოუკრავს, სამაგიეროდ, ქალის კივილი და ვაიუშველებელი გარკვევით გაიგონესო, — მიიღო პასუხად.

მოკლედ, გამომძიებელმა არ დააყოვნა, ელვისებურად შეუტია, მაგრამ ეჭმიტანილი თავს ოსტატურად იცავდა. გამომძიებელმა ჩხრეკის ორდერი რომ ახსენა და გაუწოდა, ეჭვმიტანილმა მზერა მოარიდა. ამ წუთიდან თითქოს სრული სიმშვიდით აღიჭურვა და გადაჭარბებულად თავაზიანი გახდა, რითაც შენიღბვას და ჩვენი ყურადღების მოდუნებას ცდილობდა (ჩემი აზრით, თავიდანვე ჩვენი შინ შეპატიჟება, სწორედ ამისთვის იყო გამიზნული).

აქ ერთი წუთით უნდა გადავუხვიო და ჭიშკართან სახელდახელო დაკითხვის შესახებ საკუთარი აზრი უნდა მოგახსენოთ: ჩემი შეხედულებით, ამგვარი დაკითხვა უმართებულოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასე,

უცხო თვალისა და მსმენელთა გარემოცვაში (მეზობლები გვითვალთვალებდნენ და გვისმენდნენ), ირღვეოდა მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ გამომძიებელი ინფორმატორისგან იმდენად გახლდათ შეგულიანებული, პირველივე მცდელობაზე ცრუ ალიბს ჩაავლო. ამას ეჭვმიტანილიც მიხვდა. უჭკუო კაცის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა, მაგრამ ეტყობა, რაღაც მიზეზით შეუფერებელი რამ ჩაედინა და ამის მიჩქმალვას მონდომებით ცდილობდა.

სანადირო თოფის დათვალიერებამ შედეგი ვერ მოგვცა. როგორც გამომძიებელი ვარაუდობდა, ამ იარაღით არამცთუ წინა საღამოს, ალბათ, ახლო ხანებში არც ყოფილა ნასროლი, მაგრამ ეჭვმიტანილი ჯიუტად იმეორებდა, ამ თოფიდან მგლების დასაფრთხობად გავისროლე, რევოლვერი არასოდეს მქონია და არც გამომიყენებიაო.

ის იყო, ეჭვმიტანილის დაკითხვას ვამთავრებდით, რომ პალატში საუცხოო გარეგნობის ქერათმიანმა ახალგაზრდა ქალმა ჩვილით ხელში შემოაბიჯა, მოგვესალმა და რიდით მოგვაჩერდა. მის დანახვაზე ეჭვმიტანილი აიმღვრა, სახის ნაკვთები გაუმკაცრდა, ქალს პალატიდან გასვლა უბრძანა. ქალმაც მისი ბრძანების უსიტყვოდ შესრულება განიზრახა, მორჩილად მიტრიალდა, მაგრამ იგი გამომძიებელმა შეაჩერა.

— მაგას თავი გაანებეთ, არც არაფერი უნახია და არც არაფერი გაუგია... ერთი ზედმეტი დაძაბულობა და ძუძუ დაუშრება! — შესძახა ეჭვმიტანილმა და მისკენ გაიწია, მაგრამ გამომძიებელმა მკვეთრი ჟესტით სკამს მიაჯაჭვა.

— შესაძლოა, არ გინახავთ, მაგრამ სროლის ხმას მაინც გაიგონებდით, — დაუყვავა ქალს გამომძიებელმა.

იგი გაიტრუნა, საქციელწამხდარ ქმარს მიაჩერდა. კარგა ხანს მერყეობდა, მაგრამ ბოლოს, ჩანდა, თავს მაინც მოერია და გადაწყვეტილება მიიღო.

— ეს ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, თავი სიზმარში მეგონა, — გულისმიერი ხმით წარმოთქვა, მერე კი ეჭვმიტანილს მიუბრუნდა, — სიმართლეს რატომ არ ამბობ... აკი აცდაო?!.

ეჭვმიტანილისკენ რომ გავიხედე, თვალზე ხელები აეფარებინა, თავი ჩაეხარა და ისე ირწეოდა, სკამს მისი სხეულის სიმძიმისგან ჭრიალი გაჰქონდა.

— მგელს? — ჰკითხა გამომძიებელმა.

ქალი ისევ ებრძოდა თავს, მაგრამ ამჯერად გადაწყვეტილების მიღება სახეზე უფრო მალე შეეტყო.

— არა, ბებოს, — ძლივს ამოთქვა და თავი ჩაჰკიდა.

— თეო! — დაიღრიალა ეჭვმიტანილმა, წამოიჭრა და ქალისკენ გეზის აღებას აპირებდა, მაგრამ გამომძიებელმა მკლავზე ხელი ჩაავლო და სკამს დაუბრუნა.

გამომძიებელს თავაზიანობისთვის არ უღალატია, ქალს დაჯდომა შესთავაზა, თუმცა იმან იუარა და ფეხზე დარჩა.

— იქნება უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ.

— მათ, როგორც ჩანს, იკამათეს... ბებომ ეზოდან დამიძახა. ფანჯარა შევაღე და რა იყო-მეთქი, კითხვა დავაპირე, რომ თვალი მისკენ სირბილით მიმავალ გუჯის მოვკარი. ბებოსგან შორიახლოს შედგა, ჩახლეჩილი ხმით რაღაც მიაძახა, უეცრად ქურთუკის უბიდან რევოლვერი ამოიღო და ბებოს მიმართულებით რამდენიმეჯერ გაისროლა. ეზოში რომ გამოვიჭერი, ბებო იმავე ადგილზე უვნებლად იდგა. გუჯი შემეგება, ვიხუმრეო, მომაძახა, ამიტაცა და სახლში ძალით შემომიყვანა...

— თუ იცით, დაზარალებული ახლა სად იმყოფება ან რა მდგომარეობაშია.

— პატარას რომ ვაჭამე და დავაძინე, მის კვალს გავყევი. ქოხში, სადაც ის ხშირად საქმიანობს-ხოლმე, არ დამხვდა. საქონლის სადგომი მოვჩხრიკე, ეზოს გარეთ ახლო შემოგარენიც. უფრო იქით ხშირი ტყეა, შემეშინდა და შინ დავბრუნდი.

— თქვენი მეუღლე მისი ბედით თუ დაინტერესდა?

ქალმა ქმარს გახედა, მაგრამ იგი იატაკს იყო დაჩერებული და დუმდა.

— მისთვის არც კი გამიმხელია, მარტოკა ვეძებდი.

აშკარად ჩანდა, ქალი სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა. გამომძიებელი ელოდა, რომ კიდევ რაღაცას დაამატებდა, მაგრამ იგი ჯიუტად დუმდა.

— ეს მაინც მითხარით, ამ სახლში თქვენს გარდა კიდევ ვინ ცხოვრობს? — გამომძიებელს ხმაზე იმედგაცრუება შეეტყო.

— მამაჩემი და ჩემი შვილები...

— ფაქტის გარშემო ისინიც უნდა დავკითხოთ.

— ბავშვებს ნამდვილად არაფერი დაუნახავთ, მამა კი მეტყევეა და შინ მოსვლას კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ძლივსღა ახერხებს.

— კეთილი... მაშინ ბებიათქვენის გარეგნობა ამიწერეთ. რა ასაკისაა, რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

— როგორ გითხრათ, ოთხმოც წელს მიტანებული, გამხდარი, საშუალო ტანის შავგვრემანი მოხუცია... რამე ისეთი განსაკუთრებული ნიშანი არცა აქვს... — უცებ შეყოვნდა და გამომძიებელს გაუბედავი მზერა მიაპყრო, — თქვენ გგონიათ, გუჯიმ ბებოს მართლა მოსაკლავად ესროლა?.. დარწმუნებული ვარ, უბრალოდ, დასაშინებლად. — თქვა ქალმა, ქმარს გახედა და შემკრთალი ხმით ჰკითხა, — ხომ ასეა გუჯი?

ეჭვმიტანილი უსიცოცხლო სახით ისევ იატაკს დასჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

— ამიხსენით, რას ნიშნავს ეს „დასაშინებლად?“ — ჰკითხა გამომძიებელმა.

ქალი შეწრიალდა, ქმარს გახედა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ იგი სიტყვის ამომღები არ იყო, თითქმის ამოიკვნესა:

— ხშირად კიკნკლაობდნენ, მაგრამ ასეთი რამ პირველად მოხდა.

— რევოლვერი რა უყავი? — გამომძიებელი ეჭვმიტანილს მიუბრუნდა.

იგი დუმდა.

— ალბათ, ზევითაა, ახლავე ავალ და ვნახავ, — უპასუხა ქალმა, პალატიდან გავიდა, რამდენიმე ხანში შემობრუნდა და „ტტ“-ს ტიპის უბუდო რევოლვერი გამომძიებელს გაუწოდა.

იარაღი ყურადღებით დავათვალიერეთ.

— ტარების უფლება თუ გაქვთ? — ჰკითხა გამომძიებელმა ეჭვმიტანილს.

მას თავი არ აუწევია.

— რევოლვერი მამაჩემისაა, საბუთი შენახული ექნება, — უპასუხა ქალმა.

გამომძიებელმა ეზოს მოკვლევა რომ განიზრახა და ახალგაზრდა დიასახლისს გაყოლა სთხოვა, ეჭვმიტანილი აიმრიზა, ბავშვი გაციებულია, ამ სისხამ დილით მისი ეზოში ტარება არაფრით შეიძლება, დედა-შვილი სახლში დარჩნენო, მაგრამ ქალმა თითქოს მის ჯინაზე ჩვილი მკერდზე მიიკრა და ეზოსკენ წაგვიძღვა.

სახლის მხარმარჯვნივ, დანაშაულის ადგილზე გავედით. ეჭმიტანილმა სროლის ფაქტი დაადასტურა. იმ ადგილას, სადაც მოხუცი მდგარა, სისხლის კვალი შეინიშნებოდა. კვალმა ქოხამდე მიგვიყვანა, სადაც ყველაფერი დალეწილი და ერთმანეთში იყო ალუფხული. ქოხიდან ბროწეულების ცოცხალ ღობეებამდე ჩავედით და ტყეში გასასვლელ, შენიღბულ კუტიკარს მივადექით. ჩანდა, ამ უცხო თვალისთვის შეუმჩნეველ კარს ოჯახის წევრები ან ის მოხუცი გზის შესამოკლებლად იყენებდა. შემდეგ ეზოდან გავედით, მთელი შემოგარენი ყურადღებით დავათვალიერეთ. როცა საგულისხმოს ვერაფერს წავაწყდით, დავბრუნდით ეზოში და, ის იყო, ჭიშკრისკენ უნდა წავსულიყავით, რომ გამომძიებელმა უეცრად ეზოს მარცხენა ნაწილისკენ აიღო გეზი. ეჭვმიტანილს გამოცოცხლება შეეტყო, ხოლო ჩვილატატებულ ქალს ჩანდა, ეზოს ამ ნაწილისკენ გადახვევა რატომღაც არ სურდა. მოუსვენრად აწრიალდა, სახეზე ფერ-ფურმა გადაჰკრა და დაძაბუნდა.

სახლისგან მოშორებით, ბაღჩის ბოლოში, გამოცალკევებულ ხელოვნურ ტერასას მაღალი რცხილა გადმოჰყურებდა. ამ რცხილის ქვეშ, ორი მომცრო და ერთიც დიდი, შეყვითლებული ხვიარა ბალახით დაფარული ბორცვაკი მოჩანდა. გამომძიებელი იქითკენ გაემართა, შედგა და რატომღაც მათ მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა, რაც პირადად სრულიად ზედმეტად მომეჩვენა.

— ეს საფლავები ნეტა ვისებია?! — გამომძიებლის ცნობისწადილით აღსავსე ხმა მომესმა.

მისი ხმის ინტონაციამ ძალაუნებურად ბორცვაკებით მეც დამაინტერესა. მართლაც უცნაურად გამოიყურებოდა ერთმანეთთან ახლო-მახლო განლაგებული, აქეთ-იქით თითო მომცრო და შუაში მოზრდილი საფლავი. შუა საფლავზე ხის სადა ჯვარი იყო აღმართული.

— დედაჩემის და ჩემი მცირეწლოვანი და-ძმის, — გაისმა ქალის დათრგუნული ხმა.

გავხედე. თავი დაეხარა და რცხილის ძირას განმარტოებულ ბორცვაკებს მწუხარე გამომეტყველებით დაჰყურებდა.

მის მკერდზე აკრულმა ჩვილმა თითქოს დედის გულის კვნესა იგრძნო, წამოიტირა. ქალი შუბლზე ტუჩით შეეხო და ნაზი ხმით დაუყვავა, მაგრამ ჩვილმა ტირილს უმატა.

— თეო, ბავშვი მოაცილე აქედან! — დაუღრინა ქალს ეჭვმიტანილმა.

— კიდევ ერთი კითხვა და თავისუფალი ბრძანდებით, — მიმართა გამომძიებელმა ქალს.

— მაგას თავი დაანებე, ყველაფერზე თვითონ გიპასუხებ, — მიუბრუნდა ეჭვმიტანილი გამომძიებელს.

— ეგრე იყოს, — დაეთანხმა გამომძიებელი.

ქალმა რამდენიმე ხნის უძრავად დგომის შემდეგ თავი ასწია, მრავლისმეტყველი მზერა ჯერ ეჭვმიტანილს დაადგა, მერე გამომძიებელს გამოხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ეტყობა, ბოლო წუთს გადაიფიქრა, უღონო ნაბიჯით დაიძრა, რცხილის ძირას მდგარ ძელსკამზე დაჯდა და ჩვილის დაშოშმინებას შეუდგა.

— ახლა რაც გინდა, მკითხე! — ხმამაღლა თქვა აფორიაქებულმა ეჭვმიტანილმა.

— გადავიფიქრე, სხვა დროისთვის იყოს, — ხაზგასმული სიმშვიდით უპასუხა გამომძიებელმა, ერთხელ კიდევ ყურადღებით თვალი მოავლო საფლავებს, ეჭვმიტანილს წაუძღვა და სახლის შემოსავლელ ბილიკს დავადექით.

სახლს რომ შემოვუარეთ, გეზი ჭიშკრისკენ ავიღეთ. ეჭვმიტანილი უეცრად შედგა და სახლისკენ გაიხედა. კარის წინ დედის მგვანი სამი ბიჭი ატუზულიყო. უფროსი, ალბათ, შვიდი-რვა წლის იქნებოდა, მომდევნოები კი ხუთის და ოთხის.

— ერთ რამესღა გთხოვთ, ბალღები არ დამიშინოთ!.. — მუდარით წამოიწყო ეჭვმიტანილმა, მაგრამ უეცრად, უფროსმა ბიჭმა გააწყვეტინა.

— მამი, დედიკო სადღაა?!

— დიდ რცხილასთან ვიყავით, მერე ჩვენს უკან მოაბიჯებდა, და!..

— შენ საით, მამი?! —გააწყვეტინა ისევ უფროსმა.

— აგერ, ამ ბიძიებს მივყვები და როცა იქნება, დავბრუნდები.

— ძალიან ნუ დააგვიანებ! — მოაძახა ბიჭმა და სამივენი უკანა ეზოსკენ გაეშურნენ.

ჭიშკარში რომ გავდიოდით, ბავშვების ხმები მოგვწვდა. მივიხედეთ. დედა და შვილები მორბოდნენ. შევყოვნდით. ქალმა ბავშვებს გამოუსწრო და მოგვეჭრა.

— სად მიგყავთ, სად, მაგას ხომ ბებოს დაშინებაღა უნდოდა! — მოგვაძახა და ეჭვმიტანილს მივარდა, — უთხარი, რომ ასე იყო, რას გაჩუმებულხარ, შენ ხომ ბებო სასიკვდილოდ არ გაგიმეტებია! — უყვირა ეჭმიტანილს.

კაცი ერთხანს გაქვავებულივით შესცქეროდა ქალს.

— კი გავიმეტე, მაგრამ ხო დაინახე, ის ჯოჯოხეთის მაშხალა მაინც გადარჩა! — ღვარძლი ამოანთხია.

ქალი შებარბაცდა, ლამის ჩვილი გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ბავშვებმა იმარჯვეს, მკლავები შემოხვიეს და ძირს დასვეს. უფროსმა ატირებული ჩვილი ხელში აიყვანა და დაწყნარება დაუწყო, უმცროსები კი მთელი ტანით მიეკრნენ დედას.

— რატომ... ასე სასტიკად რატომ გაიმეტე! — განწირულივით დაიკვნესა ქალმა.

— უარესიც ეკუთვნოდა... მაგრამ დახე, ბედი ჰქონია... თუმცა, რა დიდი დღე მაგას დარჩენია, რომ!.. — ისევ ღვარძლიანად დაამატა ეჭვმიტანილმა.

ქალს გული შეუღონდა. ამასობაში, შორიდან მოთვალთვალე მეზობლებმაც იკადრეს გამოჩენა, ქალის გონზე მოყვანას და დამშვიდებას მოჰყვნენ. ვინც საქმის ვითარებაში ვერ ერკვეოდა, ჩვენგან ახსნა-განმარტებას ითხოვდა. გამომძიებელი მათ ორაზროვანი ფრაზებით პასუხობდა. ყველაფერს გავარკვევთ და ეჭვმიტანილს შინ დავაბრუნებთო, დააიმედა ბოლოს.

ქალი გამომძიებლის სიტყვებმა ოდნავ დააშოშმინა. ეჭვმიტანილი მანქანაში ჩავსვით და კომენდატურისკენ გავემართეთ.

* * *

მომდევნო დღეებში ეჭვმიტანილს ჩვენებისთვის არაფერი დაუმატებია. ჩანდა, რაღაცის მოლოდინში იყო, თუმცა ვერც იმას დავიჩემებ, რომ მის ზრახვებს ბოლომდე ჩავწვდი. მოწმეები კი დაიკითხნენ, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, გამომძიებელს თავი მაინცდამაინც არ გამოუდია, რადგან ორი კვირა ისე გავიდა, მოხუცის კვალს ვერაფრით მიაგნეს, ხოლო მის გარეშე საქმე წინ ვერც წაიწევდა. რაც შეეხება ეჭვმიტანილის სიმამრს (მაპატიეთ ჩემი არათანმიმდევრულობა, მგონი დაგაბნიეთ... ეჭვმიტანილი იმ ოჯახში ჩასიძებულია და ჩანს, აქედან გამომდინარე, თავისებურად დაკომპლექსებულიც), ერთი მსმელი, გამოფიტული და უხიაგი კაცი გამოდგა. ჩემი აზრით, საქმის გარშემო განზრახ არაფერი საგულისხმო არ თქვა. ეს იყო, ეგ ნაძირალა, ამ ნატანჯ, ღვთისნიერ ქალს რას ერჩოდა, სიკეთის წილ სასიკვდილოდ როგორ გაიმეტაო! — დაიღრინა, სიძეს ბილწად აგინა და გაჩუმდა. ისე, იარაღი ნამდვილად მისი ყოფილა, დიდი ხნის წინათ, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაუციათ, მერე, როგორც ჩანს, მიზეზთა გამო, მივიწყებიათ და ამგვარად შერჩენია. შენახვისა და გამოყენების წესი აქამდე რომ დაერღვია, ვინ დაუტოვებდა...

ეჭვმიტანილს ერთადერთხელ, დედაბერი კუდიანი და ოჯახის ამრევიაო, წამოსცდა. გამომძიებელმა როგორც კი დეტალების დაკონკრეტება მოსთხოვა, ხმა გაკმინდა და კითხვებს შეგნებულად თავი აარიდა. ეტყობა, ადვოკატის რჩევით დუმილის უფლებას იყენებდა.

მეორე კვირის თავზე, დილის საათებში, „დედაბერი“ მოულოდნელად გამოგვეცხადა. საშუალო ტანის, ცოცხალთვალება, ოდნავ სრულ, გახუნებულ შავ კაბაში გამოწყობილი და მხარზე თბილთავშალმოხვეული, ასაკოვანი,

მაგრამ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მოხუცი აღმოჩნდა. ოთახში რიდით შემოაბიჯა, მითითებულ ადგილზე, გამომძიებლის პირდაპირ სკამზე დაჯდა, შრომისგან გახეშეშებული ხელები გულ-მკერდზე დაიკრიბა და კითხვების მოლოდინში იატაკს დააჩერდა.

— თქვენი სახელი და გვარი, ქალბატონო? — ჰკითხა გამომძიებელმა.

მოხუცმა თავი ასწია და კითხვის დამსმელს გაოცებით მიაჩერდა. მოგვიანებით მის სახეზე სათნო ღიმილმა იელვა, გულ-მკერდზე დაკრებილი ხელები ჩამოუშვა, ვითომ, ეს რა საკითხავიაო, ხელი ჩაიქნია და ისევ გაიტრუნა.

— წესია ასეთი, თუ თქვენს ვინაობას არ დაასახელებთ...

— ვიცი, მაგრამ... ჩემი ვინაობა რა სახსენებელია, ან ვის რაში ენაღვლება, ჩემო ბატონო... მე აქ ერთი რამისთვის მოვედი... თუ შეიძლება, კალამი და ქაღალდი მომეცით, სათქმელს დავწერ და მერე, თქვენ როგორც გენებოთ, იმგვარად განსაჯეთ! — ისეთი ხმით თქვა, გამომძიებელმა ქაღალდის რამდენიმე ფურცელი და კალამი თავაზიანად გაუწოდა და, მოხუცს უხერხულობა რომ არ ეგრძნო, მის შემოსვლამდე დაწყებული რაღაც საქმის ფურცვლას მოჰყვა.

მოხუცი ერთხანს გაშეშებული იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერც თვალწინ გადაშლილ საუცხოო ხედს ამჩნევდა და არც ქუჩაში ხალისიანად მოჟღურტულე მოზარდთა ხმები ესმოდა. ის აქედან სადღაც შორს იყო და, ალბათ, წარმოსახვაში რაღაც მოვლენებსა და ფაქტებს აცოცხლებდა.

შემდეგ ქაღალდზე დაიხარა და წერას შეუდგა.

რამდენიმე ხანში სამი ფურცელი გაავსო, წერტილი დაუსვა, ხელი მოაწერა და გამომძიებელს გაუწოდა.

გამომძიებელმა ნაწერი ზანტი მოძრაობით გამოართვა და თვალი უხალისოდ გადაავლო, მაგრამ უეცრად სახე გამოუცოცხლდა, მოხუცს გაოცებანარევი, პატივისცემით აღსავსე მზერა შეავლო და კითხვას შეუდგა.

— ამ ჩვენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრ საკითხში საკმაოდ გათვითცნობიერებული ბრძანებულხართ ქალბატონო ნატო. ზუსტად ამის გამო არაფრით არ

შეგვიძლია თქვენი მტკიცებულებები მართლჩვენებად მივიღოთ და პოტენციური დამნაშავე უდანაშაულოდ ვცნოთ... ნუთუ არ გრძნობთ, რომ სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული, რაც კანონით მკაცრად ისჯება... ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს შვილიშვილის მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით ხუთჯერ გესროლათ. შემთხვევის ადგილის მოკვლევამ დაადასტურა, რომ დაგჭრათ. ქოხისკენ მიმავალ ბილიკს, სავარაუდოდ, თქვენი სისხლის კვალი აჩნდა...

— მას ჩემთვის დამიზნებით არ უსროლია და რანაირად დამჭრიდა, ამის მოფიქრება თავში ნეტა ვის მოუვიდა!.. რაც მოხდა, ნამდვილად ჩემი ბრალი იყო, თორემ ეგ კაცი აგრერიგად არ გამწარდებოდა... ასე რომ, სასჯელს მე ვიმსახურებ და არა ის...

— სიძემ ნამდვილად დაგჭრათ თუ არა, ამის დამტკიცებაზე ადვილი არაფერია, ახლავე ჭრილობას შეგიმოწმებთ და... ჩემი მოვალეობა დასჯა როდი გახლავთ, ქალბატონო... თქვენმა შვილიშვილმა პირველსავე ჩვენებაზე დაადასტურა, რომ მისმა მეუღლემ დამიზნებით გესროლათ, საქმეში ნივთიერი მტკიცებულებებიცაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავდასხმის ფაქტი თვით თქვენმა სიძემაც აღიარა და თვითმხილველებმაც დაადასტურეს...

მანდილოსანმა გამომძიებელს მუდარით სავსე მზერა მიაპყრო.

— მაპატიეთ, შვილები თუ გყავთ? — ჰკითხა უეცრად.

გამომძიებელი წუთით დაიბნა.

— რატომ?.. თუმცა... ბიჭისა და გოგონას მამა გახლავართ.

— ჰოდა, თქვენი ნაფერები ქალიშვილი რომ გაგიბედნიერდებათ, ღმერთმა არ ქნას და, ერთ უკუღმართ დღეს თქვენსა და სიძეს შორის გაუგებრობის გამო მსგავსი რამ დატრიალდეს, ოჯახს დასანგრევად თუ გაიმეტებდით?..

გამომძიებელი ერთხანად დუმდა და ფანჯარაში იცქირებოდა.

— თქვენ აქ წერთ, რომ მორწმუნე ბრძანდებით და მონასტერში ყოფნისას სულიერ მამას აღსარება ჩააბარეთ, — წამოიწყო მოგვიანებით, მანდილოსანს მიუბრუნდა,

თვალი გაუსწორა, ოდნავ შეყოვნდა და გააგრძელა, — დარწმუნებული ვარ, მოძღვართან სიცრუის თქმას არ იკადრებდით. მაპატიეთ და, რატომ გგონიათ, რომ იგივე სიმართლის გამხელა ჩვენთან არ შეიძლება?.. თქვენ დამნაშავეზე ხელის დაფარებას ცდილობთ. სიმართლე ადრე თუ გვიან, მაინც გაირკვევა და მას სასჯელი არ ასცდება... მიპასუხეთ, რა იცით, რომ ღვთიური სამართალი სახელმწიფოს სახელით გამოტანილ განაჩენზე უფრო მკაცრი არ იქნება?.. როგორც ჩანს, თქვენ ამ საკითხს ჭეშმარიტი მორწმუნის პოზიციიდან არ უდგებით, თორემ მსგავსი რამ არც კი გაგიელვებდათ... ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ ამ ოჯახის შესაკოწიწებლად ამხელა თავგამოდება იქნებ არცაა საჭირო. პირიქით, თქვენი სიძე რომ გადარჩეს, იქნებ მისი იზოლირებაა უფრო საშური?.. როგორც მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, ჩვიდმეტი ნოემბრის შემთხვევა ოჯახში ერთადერთი როდი ყოფილა, თქვენ იგი მანამდეც დაგმუქრებიათ... ხომ შეიძლება, სხვა დროს ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდეს, ოჯახის სხვა, სრულიად უდანაშაულო წევრი თქვენი სიძის გამოხდომებს ემსხვერპლოს.

მოხუცი დაიბნა. თავი დახარა. რამდენიმე ხანს გაშეშებული დაჰყურებდა იატაკს.

— მე კიდევ იმედი მქონდა, რომ ჯერ კიდევ რაღაცის გამოსწორება შეიძლებოდა! — თითქოს თავისთვის დაიჩურჩულა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჭირის ოფლით შეცვარულ სახეზე მოისვა.

— ქალბატონო, დანაშაული სახეზეა. მთავარია, ეს ყველაფერი არ უნდა მომხდარიყო. თუმცა... თქვენ ეჭვმიტანილისთვის სასჯელის შემსუბუქება ჯერ კიდევ შეგიძლიათ...

— მართლა? რაა ამისთვის საჭირო, ჩქარა მითხარით! — მოუთმენლად წამოიძახა სახეგაცისკროვნებულმა მოხუცმა.

— გიმეორებთ: სრული სიმართლის აღიარება, ანუ რა იყო გასროლის მიზეზი.

მოხუცს უმალ სახე ჩაუქრა, თავი დახარა და გაიტრუნა.

— რა გაეწყობა... მაგრამ სანამ ამას გადავწყვეტდე, იქნებ სიძესთან შემახვედროთ, — ითხოვა მოგვიანებით.

— ვეცდები, — უპასუხა გამომძიებელმა და ოთახი რამდენიმე წუთით დატოვა.

დაახლოებით ნახევარ საათში ეჭვმიტანილი შემოიყვანეს. გამომძიებელმა კართან გახირულს მაგიდასთან მისვლა და დაჯდომა შესთავაზა, მაგრამ იგი ფეხს არ იცვლიდა. გამომძიებელმა მაგიდასთან მისვლა მეორეჯერ მკაცრად უბრძანა. ფერდაკარგულმა და შესამჩნევად შეფერთხილმა ეჭვმიტანილმა რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით, თავაუწევლად გაიარა, გამომძიებლის წინ სკამზე მოწყვეტით დაეხეთქა, ერთხანად გაშეშებული იჯდა, ნელ-ნელა თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა და მზერა მოხუცზე შეაჩერა. მის სახეზე ჯერ გაოცებამ, მერე სევდიანმა ღიმილმა იელვა, თავი უხმოდ დაიქნია და მოხუცს თვალი მოარიდა.

— მოქალაქე ნატო მუსერიაძე თავისი ნებით გამოცხადდა და ახსნა-განმარტებაში უარყო თქვენს მიმართ წაყენებული ბრალდება. იგი ამტკიცებს, რომ ამა წლის ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე „ტტ“-ს ტიპის 7,62 კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ნომრით: 701081, მისი მიმართულებით ხუთჯერ არ გისროლიათ და არ დაგიჭრიათ. ამგვარად, მოქალაქე მუსერიაძე თქვენი მხრიდან თავდასხმის ფაქტს უარყოფს. ასევე ირწმუნება, რომ იმ ორი კვირის განმავლობაში, რომელშიაც მას სამართალდამცველები ეძებდნენ, ერთ-ერთ მონასტერში სალოცავად იმყოფებოდა და, აქედან გამომდინარე, იმ პასუხისმგებლობისათვის, რასაც გამოძიებასთან თანამშრომლობა ავალდებულებს, თავი არ აურიდებია. მან ნებაყოფლობით შემოგვთავაზა აღიარებითი ჩვენება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თქვენი მხრიდან მოქალაქე მუსერიაძეზე განხორციელებული თავდასხმა დადასტურებულია ფაქტებით, სახეზეა ნივთმტკიცება „ტტ“-ს ტიპის 7,62 კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი ნომრით, 701081, სისხლის სამართლის ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თქვენ ამა წლის ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე აღელვების ნიადაგზე მოქალაქე ნატო მუსერიაძის მიმართულებით ნამდვილად ხუთჯერ გაისროლეთ დასახ-

ელებული ცეცხლსასროლი იარაღიდან და დაჭერით, რაც კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით „სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“ და რასაც შეეფარდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამოსასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის დამამძიმებელი მტკიცებულებები დამატებით გამოვლინდა, გარემოებებიდან გამომდინარე, სასჯელის ზომაც ასევე სათანადო მუხლით იქნება კვალიფიცირებული.

გამომძიებელი უეცრად დადუმდა, იქვე მჯდომ თავჩაქინდრულ ორ ადამიანს თვალი მოავლო და მოსმენილის გააზრების დრო მისცა.

— თქვენ კი, მოქალაქე მუსერიაძე, ვითვალისწინებთ რა თქვენს ასაკს და იმ არატიპიურ სიტუაციას, რომელშიაც აღმოჩნდით, ამჯერად ყურადღებას არ ვამახვილებთ თქვენ მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებაზე, თუ როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ, რომელიც არაფრით შეიძლება მართლჩვენებად ჩაითვალოს, რადგან თქვენი მტკიცებულებით მოწმეთა ჩვენებებს უპირისპირდებით და საქმის მართებულად წარმართვისთვის გირჩევთ, მოგვცეთ სწორი აღიარებითი ჩვენება. უკიდურეს შემთხვევაში, გამოძიების შეცდომაში შეყვანისთვის პასუხისმგებლობას ვერც თქვენ ასცდებით, — დაასრულა გამომძიებელმა.

რამდენიმე ხნით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ეჭვმიტანილმა, როგორც იქნა, თავი ასწია და ცოცხალ-მკვდარ მოხუცს თვალი გაუსწორა.

— ნათქვამია, კაცმა მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო... ხომ გეუბნებოდით, ადრე თუ გვიან, ოჯახის ძველი და ახალი ცოდვები მაინც გამჟღავნდებოდა. დარწმუნებული ვარ, იმ თქვენი შერეკილი რძლის წამქეზებელი იყავით და წლების განმავლობაში მონდომებით ინიღბებოდით, ხოლო მერე...

— ჩემი და, მით უმეტეს, გარდაცვლილის უდიერად ხსენების უფლება ნეტა ვინ მოგცა, იმან თავის ცოდვებზე უფლის წინაშე, ალბათ, პასუხი თვითონვე აგო!.. — გააწყვეტინა მოხუცმა, თავი დახარა და ერთხანს გატრუნული იჯდა, ხოლო, როცა თავი ასწია, დაამატა, —

ნეტა, ის ტყვიები უკლებლივ შიგ გულში მომხვედროდა და სირცხვილს, შენი აღიარების შემდეგ ჩემ ოჯახს რომ მოელის, ხომ გადავურჩებოდი!.. სწორედ ამიტომაც არ გაგექეცი მაშინ... თუმცა, შენ ხომ ტყვია შეგნებულად ამაცდინე... კი დამემუქრე, ეგეც, თქვენი მონანიების საზღაურიო, მაგრამ ჩანს, ბოლომდე მაინც ვერ გამიმეტე, ხელი აგიკანკალდა და ტყვიამ მარჯვენა მკლავზე შემთხვევით გამკრა.

— ასე გგონიათ?! — ნიშნისმოგებით ჩაეკითხა ეჭვმიტანილი.

— ვცდები?! — დაიკვნესა მოხუცმა.

— კი გაგიმეტეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთის გარდა, ყველა ტყვია აგცდათ.

მოხუცისთვის თითქოს თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჩაეცხოთ, შექანდა. რამდენიმე ხანს გახევებული იჯდა, როგორღაც ძალა მოიკრიბა და ამოთქვა:

— რატომ, ასეთი რა დაგიშავე!

— თავს ნუ ისულელებთ. გაიხსენეთ, თქვენთვის ყველაფერი პირში მაქვს ნათქვამი.

— იცოდე, არ ხარ მართალი. არ შეიძლება ჩემი ხნის ადამიანს ისეთი რამ დააბრალო, რაც არასოდეს თავში არ მოსვლია, პირიქით...

— რა არ მოგსვლიათ, რა პირიქით!.. თქვენი კუდიანობის საბუთი ეგერ, თქვენი ეზოს სასაფლაოზე მოიკითხეთ... დარწმუნებული ვარ, ხელი რომ არ შემეშალა, ჩემს ცოლსაც უბედურებას შეამთხვევდით!

— ცილისწამება უდიდესი ცოდვაა შვილო, და არ მესმის, ამ ცოდვის კერძი შენი ნებით რატომ ხდები!

— რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა და ყველა ცოდვის სამაგიერო უნდა მოგეზღოთ!..

— ამ კაცთან უკვე სალაპარაკო აღარაფერი მაქვს! — შეიცხადა მოხუცმა და გამომძიებელს მიუბრუნდა, — ეს ისეთ რაღაცაში მადანაშაულებს, რის გამოც, ვინ იცის, რამდენი ვაება გადამიტანია... ჩემი დანაშაული ისაა, ცოცხალი თავით ისეთი რამის სააშკარაოზე გამოტანა არ მინდოდა, რაც ჩემს ოჯახს ჩირქს მოსცხებდა და, ძა-

ლაუნებურად, თავი სამუდამო გეენისთვის გავწირე... მაგრამ სხვისი ახირებული საქციელის დაბრალება ჩემთვის რომ უნდათ, ამას მეტად ვერ მოვითმენ!

აღშფოთებულმა მოხუცმა გამომძიებელს ბოდიში მოუხადა, წამოდგა, ოთახში მიიხედ-მოიხედა და, თითქოს რამე გადამდებ სენს გარიდებოდა, ეჭვმიტანილისგან მოშორებით, კუთხეში მდგარი სკამისკენ გაემართა, დაჯდა და გაკერპებული სახით იატაკს დააჩერდა.

მოხუცის სიტყვებმა და საქციელმა ეჭვმიტანილი გააშეშა. არამცთუ შეპასუხება, ხმის გაღებაც ვერ მოახერხა.

გამომძიებელმა მორიგე გამოიძახა და მისი გაყვანა უბრძანა.

ეჭვმიტანილი გამომძიებლის ოთახიდან ისე გავიდა, მოხუცისკენ არც გაუხედავს.

სასაფლაოს ხსენებაზე ყური ვცქვიტე. თვალწინ რცხილის ძირას ორი მცირე და ერთიც სრული, ხვიარა ბალახებით დაფარული ბორცვაკები და მის დანახვაზე გამომძიებლის გაფაციცებული სახე წარმომიდგა. ამ საფლავებით მისმა დაინტერესებამ, სიმართლე რომ გითხრათ, მაშინ გამაღიზიანა და გავიფიქრე კიდეც, ეს კაცი რას მიედმოედება-მეთქი, მაგრამ ერთი შეხედვით სრულიად დაშორებული მოვლენები ისე დააკავშირა, პირადად ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო. ჩემგან განსხვავებით, იგი ადგილობრივთა ცხოვრების წესს კარგად იცნობდა და, როგორც შემდეგ დღეებში მისგან შევიტყვე, მთელი რიგი მოკვლევები ჩაუტარებია, რაც ფაქტის ირგვლივ ლოგიკური დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევდა. მას იმთავითვე ყურადღება იმისთვის მიუქცევია, რომ, როცა ეზოს მარცხენა მხარეზე შევუხვიეთ, ეჭვმიტანილის ცოლს მღელვარება აშკარად შეეტყო და, როგორც კი ბორცვაკები გამოჩნდა, ერთიანად მოეშვა. გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ ვისი იყო ეს საფლავები, შემკრთალმა კი უპასუხა, დედაჩემის და და-ძმისო, მაგრამ დაბნეულობის დაფარვას მონდომებით ცდილობდა.

შემდგომ დღეებში გამომძიებელს გადაუმოწმებია დაბადებისა და გარდაცვალების აქტები. გაურკვევია,

რომ მმაჩის ბიუროში გარდაცვლილ მცირეწლოვანთა დაბადება და გარდაცვალება არც ყოფილა გატარებული, რაც საფუძვლიან ეჭვებს ბადებდა და ამ ეჭვებს ისიც ამყარებდა, რომ სოფლელთა უმრავლესობას და ამ ოჯახსაც საგვარეულო სასაფლაო სულ სხვა ადგილას ჰქონდა და, იმის მაგივრად, რომ ეჭვმიტანილის სიდედრი და მისი მცირეწლოვანი შვილები იქ დაეკრძალათ, რაღაც მიზეზით, შერისხულებივით, თვალსმოფარებულ ადგილას დაუსაფლავებიათ...

ეს ყველაფერი გასროლასთან რა კავშირშია-მეთქი, დავინტერესდი, ეჭვმიტანილისა და მიმალული მოხუცი ქალის დაპირისპირებისას უსათუოდ გაირკვევაო, დამაიმედა. და აი, ეჭვმიტანილმა სასაფლაო, სიდედრი და მათთან კავშირში თავისი ცოლიც ახსენა, თუმცა მხედველობაში რა ჰქონდა, ბოლომდე არ გაამხილა. გამომძიებელმა, დროის ამბავია, მალე ეს კვანძიც გაიხსნებაო.

ამის საფუძველს რა აძლევდა, ვერ დაგიზუსტებთ, მაგრამ მისი ენთუზიაზმი და გამოცდილება მაიმედებდა.

და აი, მივადექი მთავარს:

შემეძლო თქვენთვის ამ შესავლის გარეშეც გამომეგზავნა ორი ჩვენება, რომლებიც იმ ოჯახის სიძემ (აწ უკვე ბრალდებულმა) და მოწმემ — ბებიამ დროგამოშვებით წარუდგინეს გამოძიებას. დარწმუნებული ვარ, ამ ჩვენებებზე დაყრდნობით, სათანადო დასკვნებს გამოიტანთ, მაგრამ მინდა ხსენებული საქმის მიმართ ჩემი მყარი პოზიცია მოგახსენოთ: ამ საქმეში მთავარი დამნაშავე არ მონაწილეობდა, რადგან იგი იმ დროისათვის, როცა ის ხუთი გასროლა განხორციელდა, უკვე ოცდაოთხი წლის გარდაცვლილი ყოფილა. თუმცა, აქვე იმასაც დავამატებდი, რომ საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, მთავარი დამნაშავე არც ის გახლდათ. როგორც ირკვევა, მანიაკური გადახრებით შეპყრობილი სნეული ყოფილა და თავის ქმედებებზე პასუხს ვერ აგებდა, რადგან მხოლოდ საკუთარ ინსტინქტებსა და ვნებებზე იყო დამოკიდებული და ეს ამბავი მისმა გარემოცვამ გულთან არ მიიტანა, განკითხვასღა დასჯერდა და ვერ გააცნობიერა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალის და იმ ოჯახის პირადი საქმე როდი ყოფილა, რის

შესაჩერებლადაც ვიღაცას დაუყოვნებლივ უსათუოდ რაღაც უნდა ეღონა, მაგრამ უსულგულობის გამო ახლობლებმა ეს ადამიანები ამ ტრაგედიას პირისპირ შეატოვეს. როგორც მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა, ამ ამბების პირველი მსხვერპლი ოჯახის უფროსი ანუ იმ ქალის ქმარი აღმოჩნდა და იგი ერთ-ერთი მთავარი მოწმის სახით დაიკითხა, მაგრამ, ალკოჰოლით გამოთაყვანებულისგან, გამოძიება დამაკმაყოფილებელ ჩვენებას ვერაფრით ეღირსა.

ჩემ ჩანაწერებთან ერთად გიგზავნით ორ ჩვენებას, რომლებიც ცალ-ცალკე მეტად საყურადღებოა და უფრო აღსარებებს ჰგავს (განსაკუთრებით ბებიის, ნატო მუსერიაძის. ის მთელი კვირა ებრძოდა თავს, ეღიარებინა თუ არა სიმართლე. ბოლოს, როცა გამომძიებელი დაჰპირდა, რომ სასამართლო დახურული წესით გაიმართებოდა, ძლივს დაყაბულდა), და რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა დანაშაულის კვალიფიცირება, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები.

ჩემი მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ თქვენს წინაშე მომგებიანი პოზიცია დავიკავო ან საზრიანობით თავი მოგაწონოთ, არამედ ვისაუბრო იმ ძირითად პოსტულატებზე (რაზეც მყარად უნდა იდგეს კანონი), რომელთა შორის უმთავრესი სამართლიანობა და მიუკერძოებლობაა, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი სასამართლო სისტემა, აშკარაა, დღესდღეობით ამ პრინციპებისგან შორს დგას და, საქმის გაიოლების მიზნით, ძირითადად სუბიექტურ მოსაზრებათა აპელირებითაა დაკავებული, რის გამოც იგი უსულგულო პროკრუსტეს უფრო ჰგავს, ვიდრე თემიდას და სანამ მოსამართლეები ამ უპრინციპობით იხელმძღვანელებენ, სამართლიანობა ვერ იზეიმებს.

როცა ამ ორ ჩვენებას გაეცნობით, ალბათ, კიდევ ერთხელ საცნაური გახდება, რომ ცხოვრება ისეთი მარტივი როდია, როგორც სინამდვილეში ჩანს და მავანთ ჰგონიათ. მათი მიდგომით, ყველა მოვლენასა და ფაქტს, შესაძლოა, თურმე ლოგიკური დასაწყისი, განვითარება და დასასრული მოეძებნოს, ხოლო ამავე ლოგიკით, განსასჯელის ბედი საერთოდ არ იქნეს გათვალისწინებული და დავიწყებას

მიეცეს, რომ ჭეშმარიტება ერთადერთია.

მაპატიეთ, თქვენი ყურადღება ასე რომ გადავტვირთე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. იმედია, ჩემს მოსაზრებებს კადნიერებად არ ჩამითვლით. აქვე ერთ რამეს გთხოვდით: იქნებ ამ საქმეს უზენაეს სასამართლოში თვალი მიადევნოთ და როგორმე მართებული გადაწყვეტილების გამოტანას ხელი შევუწყოთ. ეს ხომ თქვენი თქმისამებრ, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

ნახვამდის. ჩემი დიდი მოკითხვა ქალბატონ მარის და თქვენს უმშვენიერეს ქალიშვილს — ლანას“.

ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო
სურვილებით — რამაზ ნემსაძე

ჩვენება პირველი

მე, გუჯა ქაიხოსროს ძე ძაგანიძე, დაბადებული 1970 წელს, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, დროებით მცხოვრები გარეუბნის 13-ში, საქმის გარშემო შემდეგს მოგახსენებთ:

ცხრა წლის წინათ დიპლომის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ამ რაიონში ჩამოვედი და ადგილობრივ ღვინის ქარხანაში ინჟინერ-ტექნოლოგად დავიწყე მუშაობა. როგორც გაირკვა, ქარხანას საცხოვრებელი ფართობი არ გააჩნდა და ადმინისტრაციამ მირჩია, ბინა დამექირავებინა. ქირის გადახდას კი ქარხნის ანგარიშიდან შემპირდნენ. თანამშრომელმა რამდენიმე ბინა შემომთავაზა, მაგრამ თვალში არც ერთი არ მომივიდა. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი ქალაქის გარეუბნის განაპირა სახლზე შევაჩერე. პირველივე დათვალიერებისთანავე მომეწონა სახლის მდებარეობა, სიმყუდროვე, მეორე სართულზე წინა ეზოში გამავალფანჯრებიანი, გამოცალკევებული მზიანი ოთახი და მომაჯადოებელი სილამაზის გოგონა, რომლის კარში გამოჩენისთანავე ამ ოჯახის დიასახლისი, ამ გოგონას ბებია გაწიწმატდა და, ახლავე შინ შედიო, დაუტატანა. შემ-

კრთალი გოგონა დიდი, ცისფერი თვალებით მომაჩერდა, მერე მოხუცს მიმტევებლურად გაუღიმა, ტანის გრაციოზული რხევით ჩაგვიარა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— გადამრევ, სად მიდიხარ ახლა! — ისევ დაუტატანა გოგონას მოხუცმა.

— არსად, ქუჩას მინდა გავხედო, — თამამად მიუგო გოგონამ, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, ჩემი ყურადღების მიპყრობა უფრო უნდოდა, ვიდრე ქუჩაში გახედვა.

— ახლავე შედი შინ! — მოხუცმა ხმაში სიმკაცრე გაურია, რაზეც გოგონა უსიტყვოდ დაემორჩილა, სახლის ქვედა სართულის მძიმე კარი შეაღო და შევიდა, მაგრამ მისმა მომნუსხველმა სახემ მალე ღია ფანჯარაში იელვა.

მოხუცს გოგონათი ჩემი დაინტერესებისთვის მგონი ყურადღება არც მიუქცევია, ოთახის საფასურის მაზანდის აწევით უფრო იყო გართული. მეც ამით ვისარგებლე და ფანჯარასთან მდგომის სილამაზით ვტკბებოდი. მოხუცი არა და არ ცხრებოდა, ბინას ქება-დიდებას ასხამდა და როცა მისთვის სასურველ ფასზე შევუთანხმდი, ოთახს მივალაგებთ და გადმოსვლა ხვალვე შეგიძლიაო. ამაზე ადვილი არაფერია, საბან-გობანი მე არ გამაჩნია და ავეჯი, ჩემი მწირი ავლა-დიდებით საღამოსვე გეახლებით-მეთქი, რაზეც ორივეს გაგვეცინა. ამით ჩვენს შორის სათქმელი თითქოს ამოიწურა, მაგრამ ეზოში ვიდექი და წასვლაზე არც ვფიქრობდი. მოხუცმა ზრდილობის გამო სახლში შემიწვია. მისდა გასაოცრად, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და რამდენიმე წუთში, მძიმე კარს მიღმა, ვრცელ პალატში აღმოვჩნდი.

— თეო, სადა ხარ, მოდი აქ, ჩვენი მდგმური უნდა გაგაცნო! — დაიძახა დედაბერმა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გოგონა ჩვენს წინ გაჩნდა. თავით ფეხებამდე თამამად შემათვალიერა, მერე თავი დახარა და მორჩილად გაილურსა.

თავბრუდამხვევი თვალ-ტანადობის იყო. ცისფრად დაჩითული ფრიალა კაბითა და მხრებზე ჩამოშლილი ქერა თმით რომელიღაც ველურ ყვავილს უფრო მაგონებდა, ვიდრე ხორცშესხმულ არსებას.

— ჩემი დედით ობოლი, ჩემი მარგალიტის თვალი, ამას ენაცვალოს ბებო, ჯერ თექვსმეტისაც არაა და დახე, როგორ ზრდასრული ქალივით გამოიყურება, — მიესიყვარულა შვილიშვილს მოხუცი, მერე მომიბრუნდა და მკითხა, — დაოჯახებული თუ ხართ?.. თუმცა, ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს! — მკაცრად დაამატა მოგვიანებით. უმალვე ვუპასუხე, რომ უცოლო ვიყავი, ახლახან ოცდასამის გავხდი და ქარხნის მთავარი ტექნოლოგობა ჩემთვის მაინცდამაინც დიდს არაფერს ნიშნავდა. მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ამ მოხუცს ეს თანამდებობა ჩემდამი კრძალვით განაწყობდა და, საერთოდ, ჩემ შესახებ ყველაფერი აინტერესებდა.

თეო წარამარა ცმუკავდა. ბებია მისი მისამართით შენიშვნებს არ იშურებდა, თუმცა, როცა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიმიწვიეს, გოგონა ჩემს პირდაპირ დაჯდა, სიდინჯით შეიმოსა და ღირსეული მასპინძლობა გამიწია.

საუბარში გაირკვა, რომ ამ უზარმაზარ სახლში სამად სამ სულს უცხოვრია. მესამე პირი, თეოს მამა, კვირიდან კვირამდე თუ გამოჩნდებოდა, მეტყევე ყოფილა და, მათი თქმით, საქმეს იყო გადაგებული. მეზობელ ქალაქში გათხოვილი, ოჯახის საქმეებით დატვირთული თეოს უფროსი და მშობლიურ სახლს იშვიათად სტუმრობდა, ხოლო ტყუპ ძმებს, რაც რუსეთში გადახვეწილან, ერთხელაც პირი არ უქნიათ აქეთკენ. მდგმურად ჩემი აყვანა მათთვის ახლობელს ურჩევია, შემოსავალიც გაგიჩნდებათ და ცოტათიც გახალისდებით, აბა, ასე გამოყრუებულებივით როდემდე იქნებითო...

იმ სახლში მდგმურის უფლებით თითქმის მთელი წელი ვიცხოვრე. სამსახურის გადამკიდე, იმდენად მოუცლელი ვიყავი, შინ მხოლოდ გვიან ღამით ვბრუნდებოდი. თეო თურმე, მთელი დღეები ფანჯარასთან წრიალებდა და ქუჩას გაჰყურებდა. რანაირი დარიც უნდა ყოფილიყო, გამომეგებებოდა, პალატში შემიძღვებოდა და გულუხვად მმასპინძლობდა. დედაბერს თავი განზე ეჭირა და თითქოს ჩვენს ურთიერთობაში არ ერეოდა, მაგრამ ვგრძნობდი, თეოზე დიდ ზეგავლენას ახდენდა და შესაძლებლობის-

დაგვარად, თვალსაც არ გვაცილებდა. მიუხედავად იმისა, რომ თეოს სიახლოვით თავბრუდახვეული ვიყავი, უდიდესი ძალისხმევის ფასად, თავშეკავებას ვიჩენდი. ჩემგან განსხვავებით, თეო თამამად ირჯებოდა, ბებიის შენიშვნებს არაფრად აგდებდა, ერთთავად კუდში დამდევდა, დაუსრულებლად რაღაცას მეტიტინებოდა და საალერსოდ მიწვევდა. ამან თავისი შედეგი გამოიღო და ჩემი თავშეკავება მისდამი დაუცხრომელ ლტოლვაში გადაიზარდა.

ჩვენი ურთიერთობა საბოლოოდ ქორწინებით დასრულდა. წლების შემდეგ რომ ვაანალიზებ, ვხვდები, ჩვენს შეუღლებაში მოხუცმა უდიდესი როლი ითამაშა, თუმცა, როგორც კი ვიწრო წრეში ქორწილი გადავიხადეთ, მან შვილისა და შვილიშვილის უჩუმრად სხვაგან გადასვლა მირჩია. ამ საკითხში ჩვენი აზრები დაემთხვა, მაგრამ თეო წინ აღგვიდგა და სანამ თავისას არ მიაღწია, არ დაისვენა.

საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ასე დავრჩი ზედსიძედ ამ სახლში. ქორწინების პირველ თვეებში თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა. თუმცა ამ ნეტარ მდგომარეობას დროგამოშვებით დედაბრის გაფრთხილება არღვევდა, თეოს ხელი ჩაჰკიდე და წადით, წადით აქედანო. ეს გაფრთხილებები მის აკვიატებად მიმაჩნდა და ძირისძირობამდე არასოდეს ჩავძიებივარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა თანდათან ჩუმ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აქ უსათუოდ ოჯახის სხვა წევრებს, თეოს მამას, უფროს დას და შუათანა ტყუპ ძმებს უნდა მივუბრუნდე: მამა ერთი წყალწაღებული, მოთავებული ლოთია. ეს კაცი საკუთარი სახლიდან გამუდმებით გარბის. დროდადრო გამოჩნდება, მაგრამ ორ-სამ დღეზე მეტად ვეღარ ძლებს (ღამის კოშმარებს ებრძვის, მისი ოთახიდან ხშირად რაღაცის უარყოფა და მუქარა ისმის), უეცრად თავის ნივთებს ხელს დაავლებს და ტყეში გადაიკარგება. რაც შეეხება დასა და ძმებს: უფროს დას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოჯახთან ურთიერთობა თითქმის გაწყვეტილი აქვს, ბებია და თეო მასთან სტუმრად მიდიოდნენ-ხოლმე, იტყოდნენ, ერთი კვირა მაინც დავრჩებითო, მაგრამ მეორე დღესვე ბრუნდებოდნენ და გამოგონილ მიზეზთა ჩამოთვლას ვერ აუდიოდნენ. საქმე ტყუპებზე რომ მიდგებოდა, არც აქ იბ-

ნეოდნენ. თუმცა, ცხადი იყო, ბიჭები ამ სახლიდან რაღაცას გაქცეოდნენ და, მიუხედავად შენიღბვისა და გასაიდუმლოებისა, ჩემში გარკვეულ ეჭვებს აღძრავდნენ.

ეს ეჭვები მას შემდეგ უფრო განმიმტკიცდა, რაც თეოს ყოველდღიურ საქმიანობას დავაკვირდი. იგი ყვავილებზე ირეოდა. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეზოს დასტრიალებდა. სადღაც შოულობდა ნაირ-ნაირი ყვავილების ნერგებს, მათ გადარგვა-გადმორგვასა და მორწყვას არავის ანებებდა. სხვები მხოლოდ ამ სილამაზით უნდა დამტკბარიყვნენ. სილამაზისადმი მისი სწრაფვა მაოცებდა, მაგრამ თანდათან შევნიშნე, რომ მთელი ეს რუდუნება რაღაცისგან გაქცევას უფრო ჰგავდა და ამაში მით უფრო დავრწმუნდი, როცა ხშირად სახლიდან მოშორებით მდგომი რცხილის ქვეშ მიყუჟულს, დედამისისა და პატარა და-ძმის საფლავებთან განმარტოებულს ვაწყდებოდი. ერთხელ მათი გარდაცვალების მიზეზთა გარკვევა ვცადე. თვალი ცას შეავლო, უფალმა წაიყვანაო, მოკლედ მომიგო და თავის თავში ჩაიკეტა. ამის შემდეგ ამ თემაზე მასთან არ მისაუბრია. ვატყობდი, ამ საფლავებთან ყოფნისას ხელს ვუშლიდი და, ვცდილობდი, მისთვის სულის სიმყუდროვე იმ იმედით არ დამერღვია, რომ მშობიარობის შემდეგ განმარტოების სურვილი გაუვლიდა და ქორწინებამდელივით ალერსიანი და მოსიყვარულე გახდებოდა.

დედაბერთან ამ საფლავების უცხო თვალისგან გადამალვის მიზეზის გარკვევა რამდენიმეჯერ ვცადე (ბაღჩის ბოლოში ყვავილებით მორთული ბორცვაკების არსებობას სხვანაირად ვერც ახსნიდი). იგი ბუნდოვან ფრაზას დამაჯერებდა და ისევ მირჩევდა, თეოსთვის ხელი ჩამევლო და ამ სახლს მოვშორებოდი. საბაბს რომ ვკითხავდი, თქვენთვის ასე სჯობსო, მომიჭრიდა, მაგრამ იმასაც ვხედავდი, ბებია-შვილიშვილი ერთმანეთს ვერ ელეოდნენ და ეს მოხუცი სახლიდან რომ გვითხოვდა, მით უფრო მაკვირვებდა

პირველ ვაჟიშვილზე თეომ მშვიდობიანად მოილოგინა. როგორც ველოდი, პატარაზე ზრუნვამ მის ხასიათსა და ქცევაში ბევრი რამ შეცვალა. რცხილის ძირას საფლა-

ვებთან ჯდომას თავი ანება და ერთთავად ჩვილის ყოველ ჩქამს იყო მიყურადებული. ერთი ხანობა ყვავილნარიც კი გადაავიწყდა, მაგრამ დროებით აქ მე შევენაცვლე.

ცხოვრება სასურველ კვალში ჩადგა. პატარა იზრდებოდა. საზრუნავიც გვემატებოდა. ქორწინებიდან მესამე წელს მეორე ვაჟიშვილი შეგვეძინა. თეო, რაც დრო გადიოდა, უფრო მშვენდებოდა და თითქოს მისი უცნაურობები დავიწყებას მიეცა და გული საგულეში ჩამიდგა, თუმცა, ერთი რამ მუდმივად მაშფოთებდა: მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახი ხელმოკლეობას არ უჩიოდა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. მეზობელი იქნებოდა თუ ნათესავი, ამ სახლში სტუმრობას გაურბოდა. თავიდან ამას ოჯახის უფროსის უკმეხ ხასიათს მივაწერდი. მეგონა, გამუდმებით ტყეში ყოფნისა და ნადირის დევნისგან თითქმის გაველურებულს, ახლობლების მისამართით გადმონთხეული უადგილო სარკაზმის გამო ერიდებოდნენ, მაგრამ ერთხელ ნასვამ მეზობელს წამოსცდა, თეოს დასა და ძმებს შინიდან ფეხი რომ აქვთ ამოკვეთილი, ნუთუ არაფერზე მიგანიშნებსო. რომ ჩავეძიე, რაღა ჩემგან, მიზეზი თითქმის ყველა მეზობელმა იცის, ჰკითხე და რომელიმე უსათუოდ გიპასუხებსო.

ამ დროიდან მეზობლებში გამოკითხვა დავიწყე. პასუხი თავშეკავებული, მაგრამ შემზარავი იყო: მათ თითო, მრავლისმთქმელი ფრაზით რცხილის ძირას შეფარებულ საფლავებზე მიმანიშნეს...

თეოს დედას ოთხი შვილის გაჩენის შემდეგ კიდევ ორჯერ უმშობიარია. ორივე დაბადებიდან ერთ თვეში ან თვენახევარში დაღუპულა და რცხილის ძირას დაუკრძალიათ. ამბობდნენ, ჩვილები საღ-სალამათები იბადებოდნენ, მაგრამ უეცრად ცივდებოდნენ და კვდებოდნენ, დედა ნაბოლარას დარდს გადაჰყვაო... ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ისინი სათქმელს ბოლომდე არ ამბობდნენ, თუმცა იქვე მიმანიშნებდნენ, ჩვილების უეცარ სიკვდილში თეოს ბებიას უდავოდ რაღაც ბრალი მიუძღვისო. ისინი ამ ფაქტს ვერ ამტკიცებდნენ, მაგრამ ის, რომ ქალაქში არსებობდა სამშობიარო სახლი საკმაოდ გამოცდილი მეან-გინეკოლოგებით, ხოლო ამ დროს რძალს შინაურ

პირობებში დედამთილი ამშობიარებდა, გარკვეული ხნის შემდეგ კი სრულიად ჯანმრთელი ახალშობილები უეცრად კვდებოდნენ, დაეჭვების საბაბს ნამდვილად იძლეოდა.

რამდენიმეჯერ სიმართლის გარკვევა მოხუცთანაც ვცადე. უნდა გენახათ, საიდუმლოს რა გააფთრებით იცავდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, იმ ბნელით მოცულ ამბებში ნამდვილად რაღაც წილი ედო.

ამ დროიდან ავითვალწუნე. მგონია, იმანაც შემიძულა. კუდიანსა და როკაპს ვეძახდი და ამის საფუძველს თვით მისი საქმიანობა და სათაკილო ურთიერთობები მაძლევდა: ნაირ-ნაირ ბალახ-ბულახს აგროვებდა, ნაყავდა, ხარშავდა, ვიღაცებს ატანდა და გამუდმებით ერთ ფაციფუცში იყო.

თეო სამი თუ ოთხი წლის შერთული მყავდა. ერთხელ, ნამთვრალევს, პალატის ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩამძინებოდა. შუა ღამე გადასული იქნებოდა, როცა რაღაცის ჭრიალმა და ქალის ვედრებამ ძილი დამიფრთხო. ვხედავ, დედაბერს მკრთალი სანთლის შუქზე სამფეხა, მომცრო მრგვალი მაგიდის თავზე მარჯვენა ხელი აღუმართავს და წრიულად ამოძრავებს, მაგიდა მისი ხელის მოძრაობისდა მიმართულებით ტრიალებს და უცნაური ჭრიალის თანხლებით თანდათან ძალას იკრებს, რასაც დედაბრის მიმართვა ერთვის: დიადო სულო, შენი სახელის ჭირიმე, მაპატიე, რომ მყუდროება დაგირღვიე და ჩემი გასაჭირის გამო გაწუხებ, მაგრამ სხვა ჩარა არ მაქ... ოჯახის მარჩენალი მეწველი ფური უგზო-უკვლოდ დამეკარგა და გემუდარები, თუ თეოფილეს ღრანტეშია გადაჩეხილი, ორი დაკაკუნებით მიმანიშნე, თუ ვერანას ჩირგვნარშია გახერილი, სამით, და თუ ტყე-ღრეში ნადირის დაგლეჯილი გდია, ოთხით...

მაგიდა გასაოცარი სისწრაფით დაბზრიალდა, მერე უეცრად, თითქოს ვიღაცამ ხელით უბიძგაო, გვერდზე გადაიზნიქა, ცალი ფეხით იატაკზე ორჯერ, მკაფიო ხმით დააკაკუნა, ბზრიალს თანდათან უკლო და გაჩერდა.

მანამდე ამგვარ რამეებზე რომ ყვებოდნენ, სასაცილოდ არ მყოფნიდა, მაგრამ დედაბერმა თითქოს ჯადოქრობის გაკვეთილი ჩამიტარა და ამ საკითხში ჩემს ურწ-

მუნობას საფუძველი გამოაცალა.

— ყველაფერთან ერთად თურმე, მჩხიბავიც ყოფილ-ხართ! — აღშფოთებული დავატყდი თავს.

— უი, შენა ხარ?!. — გაიკვირვა შემკრთალმა, — მე კიდე მეგონა, მარტო ვიყავი! — დაამატა, შემდეგ მიმოიხე-და, უცნაურად გაიღიმა და ვითომც არაფერი, — მჩხიბავი არა, კიდევ რაღაც მოიგონე. რას მომჩერებიხარ, თქვენი უნდილობა ადამიანს რას არ ჩაადენინებს... საქონელს მთელი კვირა უგზო-უკვლოდ რომ დაეძებთ, თურმე, ეგერ, თეოფილეს ღრანტეშია გადაჩეხილი და შველა ჭირდება! — გასაოცარი თავდაჯერებით მიპასუხა, ჩემი აღშფოთება არაფრად ჩააგდო, „დიად სულს“ მადლობა გადაუხადა, თავის დაკვრითა და უცნაური ჟესტებით დაემშვიდობა, სანთელს სული შეუბერა და ჩაწკვარამებულ პალატში მარტო დამტოვა.

მისმა საქციელმა მეტად შემაცბუნა, მაგრამ ცნობის-მოყვარეობამ მაინც მძლია. უთენიაზე ორ მეზობელთ-ან ერთად ეგრეთ წოდებული თეოფილეს ღრანტესკენ გავეშურე. მართლაც, საქონელი დედაბრის მითითებულ ღრანტეში პირქვე იყო ჩამხობილი და სულს ღაფავდა. ფეხზე თოკი ჩავაბით და დიდი ვაი-ვაგლახით ამოვათრი-ეთ.

დედაბერმა იმდენი უაქიმა და უარა, გადაარჩინა კიდე-ვაც.

ამით იმისი თქმა მინდა, რომ იგი ერთი შეხედვით უბრალო ვიღაცა ჩანს, მაგრამ სინამდვილეში საშიში დე-დაკაცია, სულ რაღაც გახუნებულ, ყდაშემოგლეჯილ, მი-თაჟამინდელ წიგნებში იქექება, ხელს გამუდმებით სხვის სულში აფათურებს. დარწმუნებული ვარ, გასაოცარ მაგ-იურ ძალას ფლობს და თუ დასჭირდა, ვიღაცის დასათრგუ-ნად აუცილებლად გამოიყენებს.

გარდაცვლილ რძალს თავის ნებაზე დაატარებდა და რაღაც საძაგლობებისკენ უბიძგებდაო, რომ ამბობდნენ, ეტყობა, სიმართლეა.

როგორც კი ვიგრძენი, რომ თეოზეც რაღაც ზემოქ-მედებას ახდენდა, ავიწყვიტე, ცოლ-შვილს ხელი დავავლე და სახლიდან გავიქეცი. რამდენიმე ხნის შემდეგ, უკან

თეოს მუდარამ დამაბრუნა. იგი სხვაგან ვერ ძლებდა, მე კი, როგორც აღმოჩნდა, უიმისობა არ შემეძლო. თვითონ მოხუცს თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ სახლში არაფერი უცნაურობა არ მომხდარიყო და ჩემ ეჭვებსაც საფუძველი არ ჰქონოდა. ამ ეჭვების გასაბათილებლად გამუდმებით შრომობდა. როდის იძინებდა ან როდის იღვიძებდა, ვერ გაიგებდი. მშრომელ ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ და ეს მაკავებდა, თორემ დასანახად ვერ ვიტანდი. თეოსთან ოთახში შესვლა და ბავშვებთან მიკარება ავუკრძალე. დუმდა, უკმაყოფილება ერთხელაც არ გამოუხატავს. როცა ვსაყვედურობდი, თავს ჩახრიდა და მისმენდა, არც თავის მართლებას ცდილობდა და არც რამე. მერე გამეცლებოდა და ჩვეულ საქმიანობას აგრძელებდა.

ხშირად მიფიქრია, იქნება ვცოდავ და ამ უდანაშაულო ადამიანს არარსებულ რაღაცებს ვაბრალებ-მეთქი. თვალს ვადევნებდი, რა გულმოდგინედ და, ალბათ, დიდი სიყვარულით აკეთებდა სრულიად მოსაწყენ საქმეს, რომელსაც მის გარდა გულს სხვა ვერავინ დაუდებდა. თუ არა სიყვარული, რა რჯიდა ამ ხანდაზმულ ადამიანს, მთელი ოჯახის ტვირთი თითქმის მარტოს ისე ეზიდა, ერთხელ საყვედურიც არ დასცდენოდა. მაგრამ იქვე ერთი აზრი მიყალიბდებოდა: ყველაფერს ღონობდა, რომ საკუთარი უნიათობა თვალნათლივ დაენახვებინა შვილისთვის, ახლობლების თქმით ცხოვრებას მცონარობაში რომ ატარებდა და ვალდებულებების ასაცდენად სადღაც ტყე-ღრეში იყო ერთთავად გადაკარგული, და ასევე ჩემთვისაც, ვინც, მისი ფიქრით, ფეხი ვერსად მოიკიდა, სხვის ნაშრომზე მოხერხებულად იყო მოკალათებული, და მეორეც: ამით იგი მიგვანიშნებდა, რომ ამ სახლ-კარის ერთადერთი, კანონიერი პატრონი თვითონ იყო, მუდამ იქნება და მხოლოდ იმის ჯიბრი ამოძრავებდა, ეს ჩვენთვის ყოველ ნაბიჯზე ემტკიცებინა, და ამ ყველაფერს ისე შეფარულად ახერხებდა, მის ზრახვებს მავანი ვერც ჩაწვდებოდა.

აშკარად ვგრძნობდი, ამ სახლში ზედმეტი ვიყავი და საუკუნეც რომ დამეყო, მხოლოდ და მხოლოდ ზედსიძედ ან მდგმურად დავრჩებოდი, რაც სრულიად უბრალო რამეში ვლინდებოდა: მოხუცი ჩემ მიერ გულმოდგინედ მომ-

თავრებულ ყოველ საქმეს მიადგებოდა, თავის ჭკუაზე გადააკეთებდა და, ვფიქრობ, ამით სურდა ხაზი გაესვა უმთავრესისთვის: ამ სახლში, ვინც უნდა ყოფილიყო, ყოველდღიურ ჭაპანს მთელი პასუხისმგებლობით, ყოველგვარი ძალდატანებისა და მადლიერების მიგების გარეშე, მის გარდა ვერავინ ზიდავდა. მიკვირდა-ხოლმე, საიდან ჰქონდა იმდენი ძალა და მოთმინება, მუდმივად ჯარასავით მოტრიალეს, ქანცგაწყვეტილს, უბრალოდ, არც კი დაეჩივლა. ხშირად ვფიქრობდი, ეს ქალი უცვეთი რკინისგან არის გამოჭედილი, ყველას მოგვინელებს და, ალბათ, ათასი წლის შემდეგ საფლავში ისე ჩავა, პირიდან ერთი კვნესაც არ დასცდება-მეთქი...

მესამე ბიჭი რომ გვეყოლა, დედაბერი ჩემთან ურთიერთობაში უფრო ფრთხილი გახდა. ჩემს არყოფნისას რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ საღამოობით სადღაც ისე გაიძურწებოდა, ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარებოდა, რომ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, თუმცა, როცა მეოთხე შვილი, გოგონა გვეყოლა, შესამჩნევად გააქტიურდა და სწორედ ამ დროიდან ჩვენს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო.

საქმე ისაა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება სულაც არ იყო, თეო ამჯერად დედაბერმა შინ მოალოგინა. თეო მიხსნიდა, ტკივილები ისე უეცრად დამეწყო, ბებია იძულებული გახდა, ხელი გამოეღოო. მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა, მაგრამ აყალ-მაყალის ატეხვას მოვერიდე. სამი ვაჟიშვილის შემდეგ გოგონას შეძენამ უდიდესი სიხარული განმაცდევინა და დედაბერთან დაპირისპირება დროებით მეორეხარისხოვანი შეიქნა, თუმცა, მალე მოხუცმა აფრები იმდენად აუშვა, ლამის თეოსა და ბავშვების ოთახში დაიბუდა (თეო მშობიარობის შემდეგ ბავშვებთან განმარტოვდებოდა ხოლმე და ეს ჩემში გაღიზიანებას არც იწვევდა, პირიქით, მათ გარემოცვაში უფრო მშვიდი, მოსიყვარულე და გაწონასწორებული ხდებოდა და მალე ჩვენს ურთიერთობაში სიამტკბილობის ახალი ეტაპი დგებოდა). ბებია და შვილიშვილი ისე ირჯებოდნენ, თითქოს ჩემს იქ ყოფნას ვერც ამჩნევდნენ. ახსნა-განმარტება რომ მოვითხოვე, არარსებულის მტკიცებას ცალ-ცალკე, მიკიბულ-მოკიბულად მოჰყვნენ.

გაგრძელება მიმძიმს, მაგრამ სხვა გზა არა ჩანს...

იმ საღამოს, როცა დედაბერს ვესროლე, სამსახურიდან დაბრუნებულმა, პალატში ძმებთან თამაშში გართულ უფროს ბიჭს ვუთხარი, ერთი წუთით დედას დაუძახე-მეთქი. პაწია გოგო აბანავა და ახლა, ალბათ, ძუძუს აწოვებსო, მიპასუხა. შენ იქ რატომ არა ხარ, იქნება, წყლის მიწოდება ან რამე ჭირდებოდა-მეთქი. ბებო იყო იქ და, ახლახან საქონლის მისახედად გავიდაო. მისმა არხეინმა კილომ და უმცროსების მხიარულმა სახეებმა მათ მიმართ განსაკუთრებული სითბოთი განმაწყო. უმცროსები ჰაერში ვაბურთავე, ჩავკოცნე, ხოლო უფროსი უცხოსავით განზე იდგა და რიდით მიყურებდა. მოვიხმე და ჩავიხუტე. ერთხანს ასე ვიდექით. უეცრად გამიელვა, ამათ მაღლა ავიყვან და ყველანი ერთად გავიხარებთ-მეთქი. მერე ბავშვებს დავუბარე, დედათქვენთან ავალ და ცოტა ხანში დაგიძახებთ-მეთქი. მომღიმარენი და ოდნავ გაოცებულები დავტოვე, რადგან ბოლო დროს ცალკე სამსახურში აწეწილი საქმეების და ცალკე დედაბერთან გამუდმებულ უთანხმოებათა გამო, მათთვის ვერ ვიცლიდი და ამ მხრივ რაღაცის შეცვლის სურვილით ანთებული, მეორე სართულისკენ ამავალ შიდა კიბის საფეხურებს ავუყევი.

ბავშვების ოთახი დერეფნის ბოლოსაა. კარი შიგნიდან ჩაკეტილი დამხვდა. ფრთხილად დავაკაკუნე. ოთახიდან ჩვილის სუსტი ჭუჭყუნი შემომესმა. მეორედ ხმამაღლა დავაკაკუნე და თეოს ვუხმე. პასუხი არ გამცა. მივაყურადე. შიგნიდან სულიერის ხმა არ ისმოდა. გულგახეთქილი კარს მთელი ძალით მივაწექი. ძვრა ვერ ვუყავი. ისღა დამრჩენოდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დამეხია, კარს მთელი ძალით დავტაკებოდი და ოთახში შევჭრილიყავი.

თეო ფეხზე მდგომი რომ დავინახე, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ პირველი არასასიამოვნო შეგრძნება ის იყო, ოთახში სუსხი იდგა, მეორე კი — თეო ღია ფანჯრის რაფაზე დაგორებული შიშველი ჩვილის საფენებში გახვევას ცდილობდა. როგორც იქნა, საშველი დააყენა, ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა და ზანტად შემოტრიალდა. მთვარეულივით მიბნედილი გამომეტყველება ჰქონდა. მივუახლოვდი და ჩვილს დავხედე. სახეზე მკვდრის ფერი ედო.

— ხომ არ გადაირიე, ასეთ ავდარში ახლახან ნაბანავებ ბავშვს ღია ფანჯარაში როგორ აჩერებ! — ვუყვირე თეოს და ბავშვი ხელიდან ავართვი.

სახეზე ნაკვთიც არ შერხევია, ტიკინასავით ხელებგაშლილი იდგა და უაზროდ მომშტერებოდა. ფანჯარა უმალ მივხურე და ჩვილს სახვევი ოდნავ შევუხსენი. ბავშვი გათოშილი იყო, სიცივისგან კანკალებდა და უღონოდ კრუსუნებდა.

— გოგო, ეს რა გიქნია, ხომ შეიძლება ბავშვს რაღაც საშინელება მოუვიდეს! — ისევ ვუყვირე.

— არც არაფერი, დედაჩემიც ასე აკეთებდა, — გულგრილად მიპასუხა.

— რას მიედ-მოედები!

— ფანჯარას გააღებდა და შიშველს რაფაზე აწვენდა, მერე კი... — უეცრად, სიტყვა გაუწყდა.

დედის ხსენებამ, მისი სახის გამომეტყველებამ და ხმამ მეზობლის მინიშნება, თეოს დედას შვილები ჯანსაღები უჩნდებოდნენ, მაგრამ ჩვილობისას რაღაც მოსდიოდათ და მალე იხოცებოდნენო, გამახსენა და იმდენად შევძრწუნდი, სილა გავაწანი. თითქოს საღათას ძილიდან გამოერკვა, მიიხედ-მოიხედა, გაოგნებული გამომეტყველებით ფანჯრისკენ მიტრიალდა, რაღაცას მიაჩერდა, მერე ჩემკენ მობრუნდა და, როგორც კი ჩვილი ჩემს მკლავებში შენიშნა, მზერა აზრიანი გაუხდა.

— თეკლა ასე გაღეღილი რატომ გიჭირავს?! — მკითხა შეშფოთებულმა.

— ხომ არ გაითოშა-მეთქი და დავხედე, — იყო ჩემი პასუხი.

თვალი დახუჭა. რამდენიმე ხანს გარინდული იდგა. თვალი რომ გაახილა, მათში ჩემდამი უნდობლობა ედგა. ჩვილი მომაწოდეო, ჟესტით მანიშნა. მორჩილად გავუწოდე. დაიხარა და ჩვილს შუბლზე ტუჩით შეეხო.

— უი, შენს დედიკოს, ჩემო სიხარულო, როგორ გაყინულხარ! — შეიცხადა, ჩაიხუტა, სახე დაუკოცნა, ლოგინის თბილ გადასაფარებელს ხელი დაავლო, შემოახვია და ოთახში წინ და უკან წრიალს მოჰყვა. მერე უცებ გაჩერდა.

— რას უდგახარ, მიდი, ღუმელი გაახურე, ვერ ხედავ,

ბავშვი ლამის გაყინულა! — დამნაშავესავით დამტუქსა და ისევ გააგრძელა წრიალი.

დავტრიალდი, ღუმელში ნაკვერჩხალი გავაღვივე და შეშა შევუკეთე. ოთახში მალე დათბა. თეომ წრიალს თავი ანება, საწოლზე ჩამოჯდა და ჩვილს ძუძუ მისცა. თავიდან ძუძუს კერტი პირიდან უცურდებოდა პატარას. თეო უწრუპუნებდა, საჩვენებელ თითს უმარჯვებდა, უყვავებდა, საალერსო სიტყვებს არ იშურებდა. მისმა ალერსმა და სითბომ პატარას თითქოს ძალა შეჰმატა, კერტი ტუჩებს შორის მოიქცია და ღონივრად ჩაბღუჯა.

გაოგნებული დავყურებდი დედა-შვილს და ამ სცენას რამდენიმე წუთის წინ მომხდართან და განცდილთან ვერაფრით ვაკავშირებდი.

„რა იყო ეს?“ — გამიელვა და ამ ორ უსაყვარლეს არსებაზე ფიქრს შევყევი, რომელთაგან ერთი მაცოცხლებელ რძეს ხარბად ეწაფებოდა, მეორე კი ამ წყაროს უშურველად აწვდიდა და თითოეულის სწრაფვა იმდენად ბუნებრივი იყო, ეს წონასწორობა რომ დარღვეულიყო, ჩემთვის, ალბათ, ცის ჩამოქცევის ტოლფასი იქნებოდა...

„რა იყო ეს... ამ ნაბიჯისკენ ვინ ან რამ უბიძგა. აშკარაა, რაღაც გარეშე ძალის ზემოქმედებით, თორემ დედა თავისით ასეთ რამეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა....“ — ვფიქრობდი და თეოს სახეს ვაკვირდებოდი, რომელზეც ხან შეშფოთება, ხან კიდევ ძუძუზე ჩვილის ბაგის შეხებით მინიჭებული ნეტარება მონაცვლეობდა.

ჩვილი დანაყრდა და თვალი მილულა. ხანდახან უეცრად გააჟრჟოლებდა, თვალს ოდნავ გაახელდა, ვიღაც უჩინარს გაუღიმებდა, თვალს ისევ მინაბავდა და რიტმულ სუნთქვას აგრძელებდა.

— ნეტა, ეს ბებო სად დაიკარგა, როცა საჭირო არაა, სულ აქ ტრიალებს, ამოსულიყო და თეკლასთვის შეელოცა! — საყვედური დასცდა თეოს.

ამ სიტყვებმა თითქოს გონება გამინათა. „აი, ბოროტების სათავე, რომელსაც ამ ოჯახისთვის უბედურებაზე-უბედურება მოაქვს!“ — გამიელვა, წამოვიჭერი და არ მახსოვს, გადაწყვეტილება როდის მივიღე, ან სიმამრის რევოლვერი ჩემს ხელში რანაირად აღმოჩნდა.

სანამ ვესროდი, დედაბერი ფეხებში მივარდებოდა და უდანაშაულო ვარო, მარწმუნებდა, მაგრამ მისი ხვეწნა-მუდარა არაფრად ჩავაგდე, რადგან მჯეროდა, ოჯახში დატრიალებული ყველა უბედურება მის კისერზეა. ესაა, ჩემი თავისთვის ერთი რამ ვერ მიპატიებია: გამომრჩა, რომ ჩვეულებრივი, რიგითი მოკვდავი ვარ და დედაბრის გასამართლებისა და დასჯის უფლება ჩემთვის არავის მოუცია.

ჩვენება მეორე

მე, ნატო ვასილის ასული მუსერიაძე, დაბადებული 1922 წელს, უმაღლესი განათლებით, ბიბლიოთეკათმ-ცოდნე, ასევე ერთწლიანი სამეანო კურსდამთავრებული. სამი წელი ქალაქის ბიბლიოთეკაში, ხოლო ოცდაორი წელი ქალაქის სამშობიაროში ბებიაქალად ნამუშევარი. ამჟამად პენსიონერი, მცხოვრები გარეუბნის ქუჩის 13 ნომერში.

საქმის ირგვლივ შემდეგს მოგახსენებთ:

ოცი წლის ასაკში გოჩა მუსერიაძეზე გავთხოვდი, ჩემი ქალიშვილობის გვარი მარაგველაძეა. გოჩა გამრჯე და ზნეკეთილი კაცი გამოდგა. მრავალ ჭირსა და ავბედობას ერთად ვუმკლავდებოდით. ქალაქის გარეუბანში, ტყის პირას, ჩვენი ხელითა და წვალებით წლების მანძილზე ვაშენებდით სახლს და, როგორც იქნა, მის მოწყობას საშველი დავაყენეთ. გვეყოლა ერთადერთი ვაჟიშვილი ლეო, ცოცხალი ბუნების, შრომისმოყვარე, ჩვენი და ახ-ლობლების მოყვარული ბიჭი. ლეო სწავლისადმი დიდი მისწრაფებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სატყეო ტექნი-კუმის დამთავრება მაინც მოახერხა, მოიხადა სამხედრო სამსახური და ოცდასამი წლის ასაკში სამუშაოდ სატყეო მეურნეობაში მოეწყო. სწორედ ამ დროიდან შევუდექით სარძლოს ძებნას, მაგრამ ლეომ დაგვასწრო, მოულოდნე-ლად კარზე არნახული სილამაზის გოგონა მოგვაყენა და გამოგვიცხადა, მიიღეთ და შეიყვარეთო. ეს გოგონა უდედ-მამოთა სახლში გაზრდილი, აშკარად, უთვისტომო ვინმე ჩანდა, ნაკვთებიც უცხო ჰქონდა და, სიმართლე გითხრათ,

არ გვეჭაშნიკა. ჩვენ ოჯახის ქალზე განსხვავებული წარ-მოდგენა გვქონდა, არც ასეთი ნაჩქარევი ქორწინების მომხრე ვიყავით, მაგრამ შვილმა არჩევანის გზა რომ არ დაგვიტოვა, რა გვექნა, თავს მოვერიეთ, მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არ გავამჟღავნეთ, გულში ჩავიკარით, დავლოცეთ, გავამხნევეთ, შევმოსეთ, ქორწილი გადა-ვუხადეთ და ცხოვრებას შევუდექით.

თეო კეთილი ბუნების გოგო აღმოჩნდა. ჩემი ლეო იმ-დენად აღმერთებდა, ერთ-ერთ ქალიშვილს მისი სახელი დაარქვა. თავიდან გოგონა ეყოლათ, მერე ტყუპი ბიჭები, მერე თეო. ლეომ რამდენიმე წელიწადში სახლი ხვავით აავსო. რძალიც გამრჯე და სიცოცხლისუნარიანი გამოდ-გა. ჯერ იყო და, სახლის წინ ისეთი ყვავილნარი გააშენა, ამვლელ-ჩამვლელი ჩვენს ეზოს შენატროდა, შემდეგ კი, მთელი უბნის ქალები მისი შეკერილი სამოსით იწონებდნენ თავს და მალე სახელი ისე გაითქვა, შემკვეთები ქალაქის მეორე ბოლოდანაც კი აკითხავდნენ.

ოჯახური ბედნიერებისთვის თითქოს არაფერი გვაკ-ლდა, სტუმარიც გამოულევლად გვყავდა და კეთილის მსურველიც, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი აღ-მოჩნდა...

ეს ისეთი ამბავია, მიჭირს ამაზე საუბარი, თანაც ვშიშობ, ჩვენს ოჯახს სრულიად უცხო ადამიანთა რისხვა არ დაა-ტყდეს. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი მაიმედებს, არ გავახმაურებთო, არა მგონია, ამ ამბებმა შეუმჩნევლად ჩაიაროს, რადგან დღეს საიდუმლოს შენახვა ისე ჭირს, რო-გორც არასდროს, ადამიანთა უმრავლესობა დაუნდობელი გახდა და იმის გარკვევას არავინ შეეცდება, ამ ამბავში უდანაშაულო ვიყავი თუ არა. ბოლო ხანებში ყველაფერი ისე აირ-დაირია, ასე მგონია, საზოგადოებას მსხვერპლი უფრო ჭირდება, ვიდრე მტყუან-მართლის გარჩევა.

მთავარ სათქმელს ავცდი, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების დეტალებია, ხოლო ამ დეტალების გარეშე, ასე მგონია, მთლიანი სურათი ვერ დაიხატება...

მეხუთე ბავშვზე რომ დაფეხმძიმდა, რძალი უეცრად შეიცვალა. ამ ბავშვის გაჩენა არ შემიძლია, ვგრძნობ, უეჭველად რაღაც საშინელება დამატყდებაო, დაიჩემა.

მუცლის მოშლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის, მაგრამ რახან ასეა, იქნება, ექიმს მიმართომეთქი. კონსულტაციაზე მეც ვახლდი. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ნერვიულობის არავითარი საბაბი არა გაქვთო, შეეცადა გინეკოლოგი მის დამშვიდებას, მაგრამ რძალმა, ვგრძნობ, ამ მშობიარობას გადავყვები და ბავშვი უნდა მოვიცილოო. ექიმმა ორი დღის შემდეგ ისევ დაიბარა, ანალიზის პასუხებს გაეცნო, თვითონაც და განყოფილების გამგემაც ყურადღებით გასინჯეს და შეეცადნენ მისთვის დამაჯერებლად აეხსნათ, რომ ორსულობა ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, იგი ვერაფრით დააშოშმინეს და დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, ნერვიული აშლილობის გათვალისწინებით, საოპერაციოში დაიტოვეს.

ეზოში ველოდებოდი. ძველი თანამშრომელი მამხნევებდა, მშვიდად იყავი, არაფერს გაუჭირვებენო. თვითონაც ვიცოდი, რომ ექიმების მხრიდან მღელვარების საფუძველი არ მქონდა, მაგრამ ეს ოხერი გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ შენობიდან ნახევრადშიშველი თეო სისხლის გამყინავი კივილით გამოვარდა, უკან ექთანი და გინეკოლოგი მოსდევდნენ. როგორც კი თვალი მომკრა, ჩემკენ გამოეშურა, ამ საყასბოდან წამიყვანე, ამათ ჩემი მოკვლა უნდათო, აიკლო იქაურობა, სახტად დარჩენილი ექიმი და ექთანი ახლოს არ გაიკარა. დავამშვიდე, დავუყვავე, არ გინდა და ნუ გინდა-მეთქი და წამოვიყვანე.

ეგ იყო და ეგ. სამშობიაროსა და აბორტის მიმართ იმდენად ავადმყოფური შიში დასჩემდა, ვერც უხსენებდი.

ეს ამბავი იმთავითვე ქმარ-შვილისთვის უნდა გამემხილა, მაგრამ რძალი შემეცოდა და, ძალაუნებურად, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე.

ამ ხნიდან რძალი ჩამემკვლელა, წუთითაც არ მცილდებოდა. ქმარზე გული აიცრუაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მათ შორის უწინდებური თბილი დამოკიდებულება თანდათან მინელდა. ლეომ სმას მოუხშირა, რამდენიმეჯერ აყალმაყალიც აუტეხა. ეს ჩემი თბილი, სიკეთით სავსე ბიჭი თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა. ნირი იცვალა რძალმაც.

პრეტენზიული გახდა, დამკვეთები შემოეფანტა, შვილებს უგულისყუროდ ეპყრობოდა, ზაფხულში მთელი დღეები ღია ფანჯარასთან იჯდა და უაზრო გამომეტყველებით ხან გზას, ხან კი ტყის შემოგარენს გაჰყურებდა. შემოდგომის დადგომისთანავე კი, ბუხართან მოიკალათა და ნაცრის ჩხრეკას მოჰყვა.

მეხუთე ბავშვზე ზამთარში, ყოველგვარი გართულების გარეშე მოვალოგინე. ჩემს ქმარ-შვილს უკვირდა, რძალი სამშობიაროში წაყვანაზე ვერაფრით რომ ვერ დაითანხმეს, მაგრამ ასე ჯობია-მეთქი, როგორღაც დავარწმუნე ისინი და ეს საკითხი მეტად არც უხსენებიათ.

მთვარესავით სახენათელი, ჯანმრთელი გოგონა შეგვემატა. რძალმა თითქოს გული საგულეში ჩაიბრუნა, ჩემი ბიჭიც სიმშვიდით აივსო და ამას რომ ვხედავდი, იმედი მესახებოდა, თუმცა, მალე რაღაც აუხსნელის შიშმა მოსვენება დამიკარგა და დღეში, ვინ იცის, რამდენჯერ, საქმეს შუა გზაზე მივატოვებდი და რძლისა და ახალშობილის დასახედად მივეშურებოდი. როგორც კი მათ საღსალამათებს დავინახავდი, დროებით ვმშვიდდებოდი.

ავი წინათგრძნობა ორ თვეში ამიხდა: სრულიად ჯანმრთელ ჩვილს მოწმენდილ ცაზე მეხი რომ გავარდნილიყო, იმგვარად, ფილტვების ანთება დაემართა, თვალდათვალ დაილია და აღესრულა კიდეც.

თითქოს ჩაქრა და დაიშრიტა ჩვენი ოჯახი. ჩემმა ბიჭმა ჩვილის დაღუპვა მძიმედ განიცადა. პირველი საფლავი რცხილის ძირას იმ ანგელოზს თვითონ გაუთხარა და დაკრძალა. ციდა საფლავთან საათობით იყო ჩამუხლული და ქალივით ხმამაღლა დაჰქვითინებდა. ამ დროს რძალი ოთახის ფანჯარასთან იჯდა და ტყის შემოგარენს უაზრო გამომეტყველებით გასცქეროდა. თვალსა და ხელს შუა დადნა, სილამაზის ნასახი არ შერჩა. ბავშვები უყურადღებოდ მიუშვა და შედეგმაც არ დააყოვნა. სკოლიდან წარამარა გვითვლიდნენ, სწავლაზე გული აიცრუეს და როგორმე მიხედეთო. უფროს გოგონას რაღაც მოვუხერხე, მაგრამ ტყუპები ოჩანებივით ირჯებოდნენ: არც ჩვენი და არც მასწავლებლების შეგონებები არ ეყურებოდათ. ასე, სკოლასა და ყანას, კერასა და ბაღჩას შორის ვიყავი გაბ-

მული და არ ვიცოდი, რამდენი რამისთვის მომევლო. ჩემი ბერიკაცი ამას რომ ხედავდა, მთლად წახდა და ისიც მოსავლელი გამიხდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რძლის საქციელის გამო მეზობლების ნართაულმა შენიშვნებმა დამზაფრეს. რომც არ მდომოდა, ძალაუნებურად დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდა იმ დღეებში, როდის მოასწრო ახალშობილმა ისე გაცივება, რომ ფილტვების ანთება დამართნოდა, ან როგორ გამომეპარა ის მომენტი. მე ხომ დღეში, ვინ იცის, რამდენჯერ ავდიოდი რძლის ოთახში და ავი წინათგრძნობით შეძრული, მის ყოველ მოძრაობას თვალ-ყურს ვადევნებდი. დროზე რომ შემეტყო, ჩვილს გვერდებს ჩემი მალამოებით დავუზელდი, ვუწამლებდი და მოვაშუშებდი. ესაა საქმე? რამდენი ვინმე გადამირჩენია, რამდენი ვინმესთვის სული ჩამიდგამს, საკუთარ ჯილაგს კი ვერაფერი ვარგე-მეთქი, ჩემ თავს წარამარა ვსაყვედურობდი.

ერთხელ, ამგვარი რამ პირდაპირობით ცნობილ მეზობლის ქალთან წამომცდა. იმან არ დააყოვნა და მიუკიბ-მოუკიბავად მომიგო, ქუჩიდან შეუნიშნავთ, შენი რძალი ოთახის ფანჯრებს დააღებდა, იმ სიცივეში შიშველ ჩვილს რაფაზე დააწვენდა, ბავშვი ტირილით რომ ჩაბჟირდებოდა, ფანჯრების დახურვას ძლივს ინებებდაო...

მისმა სიტყვებმა თავზარი დამცა, მაგრამ მაინც ჩემი იყო და რძლის გამართლება ვცადე. იმან დაეჭვებით შემომხედა და, უი, რაღა ვქნა, ეგეთი რამ შენ ხომ არ გისწავლებიაო, გამკენწლა. გაკენწვლა ეგრე არ უნდა-მეთქი და კუდით ქვა ვასროლინე, მაგრამ ამით რა გამოვიდა, მეზობელი მოვიმდურე. მე ის ქალი არა ვარ, რომ ჩემი ოჯახის წევრზე მტერ-მოყვარესთან უთავბოლოდ ვიყბედო, არც სხვების გამო დამიღლია ოდესმე ყბა და სწორედ ამან გამამწარა, ეგეთი რამ ჩემს უმწიკვლო ოჯახს როგორ აკადრა-მეთქი.

გვიან მივხვდი, ყველაფრის თავი და ბოლო საკუთარ ღირსებაზე ცრუ წარმოდგენა და ამპარტავნობა რომაა. მაშინ იმ მეზობლისთვის გულისყურით რომ მომესმინა, იქნება, ჩემი ოჯახის საქმე ასე უკუღმართად არ წასულიყო. ხომ ვახსენე, რძლის უცნაური საქციელის გამო რა

ეჭვებიც მქონდა და ავი წინათგრძნობით ატანილი, როგორ ვაკითხავდი დღეში, ვინ იცის, რამდენჯერ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მეზობლის ნათქვამი მაინც მოშურნეთა ნაჭარტალევად მივიღე და რძალს მთელი ძალით გადავეფოფრე, რადგან სიკვდილს ვიფიქრებდი და მსგავს რამეს ჩემს ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანისგან არაფრით ველოდი. ან მეზობლის ქალმა რაც გამიმხილა, როგორი დასაჯერებელი იყო?

ამ ეჭვს არაფრით ახლოს არ ვიკარებდი და იმ დღიდან რაღაც არნახულ ჭიდილში გადავეშვი. თავიდან ეს გამოწვევას ჰგავდა, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ყველაფერი საკუთარ თავზე უარის თქმის, საკუთარი თავის დათრგუნვის ხარჯზე მოვიმოქმედე. ამ წლების მანძილზე ვიყავი დიასახლისიც, მიწის მუშაც, მწყემსიც, მეწამლეც და, რა ვიცი, კიდევ რა არა.

მეზობლები, ვითომ სხვათა შორის, მაგონებდნენ, კუდიანიაო. თავიდან მწყინდა, მაგრამ მერე ყურადღებას არც ვაქცევდი. რას იზამ, ყველას მოსაწონი ქვეყნად არავინ გაჩენილა და ასეთი რაღა მე ვიქნებოდი-მეთქი, თავს ვიმშვიდებდი. მხარ-თეძოზე წამოწოლის დრო არასოდეს მქონდა და, ასე მგონია, ამგვარი ფიქრის უფლება ჩემ თავს თვითონვე აღვუკვეთე, რადგან ერთხელ მაინც რომ შევფერხებულიყავი, ერთხელ მაინც გამეფიქრებინა, რაღა ვქნა, დავიქანცე, იქნება ეს ტვირთი ვინმემ გადაინაწილოს და ერთობლივად ვზიდოთ-მეთქი, შესაძლოა, ძალა დამშრეტოდა და საბოლოოდ ყველაფერზე ხელი ჩამექნია. ალბათ, ამის გამოც, არაფერს ვეპუებოდი. ისე, ხვეწნაც რომ დამეწყო, ჩემი ქმარ-შვილი კაცების საქმეს შეებან და ამ მოვალეობებისგან გამომათავისუფლონ-მეთქი, ამაოდ დავშვრებოდი...

ჩემი ქმარი და ვაჟიშვილი ურწმუნოები იყვნენ. არც მე გახლდით დიდად მორწმუნე, უფრო ღვთის მოშიში მეთქმოდა. ამ მოშიშეობამ ტაძარში მიმიყვანა და მოძღვრის ჩაგონებით ლოცვები დავიწყე. უფალმა ჩემი ვედრება შეისმინა. თვეების შემდეგ რძალმა ცოტათი მოიკეთა, თანდათან ისევ გაიფურჩქნა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. საოჯახო საქმეებში მეხიდებოდა, ბავშვებს

თავს ევლებოდა. ჩემმა ვაჟიშვილმა სახლში დაიბუდა, ქალს ნაბიჯითაც არ სცილდებოდა და ერთთავად თვალებში შესციცინებდა. უფალს მადლობას ვწირავდი, რომ ოჯახის დანგრევა აგვაცდინა და საბოლოოდ მტერ-მოყვარის დასაცინი არ გავხდით. მეზობლებმა ირწმუნეს, რძლის გარშემო დარხეული ხმები მონაჭორიაო და, როგორც გვიან შევიტყვე, იმ ამბის გამავრცელებლისთვის თურმე, შავი დღე უყრიათ.

ისევ აყვავდა ჩვენი ეზო-ყურე. რძალმა სახლის წინა ეზო ნაირფერი ვარდებითა და უცხო მცენარეთა ნარგავებით წალკოტს დაამსგავსა. პატარა თეო ერთთავად კუდში დასდევდა და, თავის ჭკუაში, ვითომ ყვავილების გადარგვა-გადმორგვასა და მორწყვაში ეხმარებოდა. ხშირად ვფიქრობდი-ხოლმე, ის ყველაფერი ავი სიზმარი ხომ არ იყო-მეთქი. რძლისთვის განცდილის შეხსენება არც მიცდია. ვერ გეტყვით, ჩემმა ლეომ და მან მომხდარის გარკვევა საერთოდ სცადეს თუ არა. ამ საკითხზე მათთან საუბარს სიკვდილივით ვერიდებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, იგი შეუხორცებელ, ღია ჭრილობასავით დარჩა და აზრი გამკრავდა-ხოლმე, შეუძლებელია ჭრილობა დიდხანს დარჩეს მოუშუშებელი და თავისი უარყოფითი შედეგები არ გამოავლინოს-მეთქი.

წელიწადზე მეტ ხანს სრულ სიამტკბილობაში ვცხოვრობდით. მთელი დღეების განმავლობაში შინ ბავშვებისა და რძლის მხიარული ხმები გაისმოდა. ხშირად მეჩვენებოდა, ბავშვების არა, მაგრამ მისი მხიარულება თითქოს გადაჭარბებული იყო და ამით რაღაცის მიჩქმალვას ცდილობდა, თუმცა ისე ჩანდა, რომ იგი ამას ვერ ამჩნევდა, ან ვინ იცის, საგანგებოდ არ იმჩნევდა. ჩემი ლეოც მხარს უბამდა, ერთი ხანობა სამსახურიდან კინაღამ ფეხი ამოიკვეთა. წარამარა უთვლიდნენ, დაბრუნდეს, კეთილი ინებოს და თავისი მოვალეობა შეასრულოს, თორემ გავათავისუფლებთო. ლეო ცოლ-შვილს ძლივს ელეოდა, მის დაბრუნებას კი უნდა გენახათ, რძალი რა ალერსითა და დაუფარავი აღტაცებით ხვდებოდა. ზოგჯერ უხერხულობისგან სად წავსულიყავი, არც ვიცოდი. ერთხელაც, ამ სცენის შემსწრე მეზობლის ქალმა გაოცებით შენიშნა, ბეჩა, ცოლ-ქმრის შეხვედრის

მეტი რა მინახავს, მაგრამ ეს არც ერთს არა ჰგავს, აშკარად ეტყობათ, ერთმანეთის დაკარგვის შიში ზაფრავთო...

იმ მეზობლის ქალს მაშინ რაებს მიედ-მოედები-მეთქი, ეშმაკები დავუფეთე, მაგრამ რამდენიმე ხანში მისი სიტყვები მწარედ გამახსენდა და გავოცდი, იმ უბრალო ქალს როგორი ალღო ჰქონია-მეთქი. თუმცა ამის შემჩნევას რა ისეთი განსაკუთრებული უნარი სჭირდებოდა. ყველაფერი თვალნათელი იყო. ოღონდ ჩვენი ოჯახისთვის ასე ახლოდან ან შიგნიდან კი არა, ცოტა შორიდან უნდა შემეხედა. გამიგია, დიდი საგნები და ამბები შორიდან უფრო გამოკვეთილად ჩანსო და ამ შორიდან სხვებმა, როგორც გაირკვა, აშკარად იგრძნეს ან შენიშნეს, ჩვენს თავს მორიგი უბედურება რომ მწიფდებოდა.

ერთ საღამოს იგივე მეზობლის ქალი გვესტუმრა. ხილი ვიხილეთ, საუბარში ამ მთისას და იმ ბარისას გადავწვდით და ის იყო, სტუმარმა წასვლა დააპირა, რომ ჩემი რძალი სახლიდან წყლით სავსე მომცრო სათლითურთ გამოვიდა და გეზი ყვავილნარისკენ აიღო, მაგრამ, როგორც კი მეზობელი შენიშნა, შედგა, გულთბილად მიესალმა, მოიკითხა და ნარგავების მორწყვას შეუდგა. მეზობლის ქალი მის ვარდივით გაფურჩქნილ, მშვენიერ სახეს ერთხანად თვალს ვერ წყვეტდა, მერე მომიბრუნდა და ყოველგვარი პირფერობის გარეშე მეუბნება, როგორ მიხარია, რომ თეო გამოკეთდა და ისევ დამშვენდა, ალბათ, ამაში მისმა ორსულობამ განსაკუთრებული როლი ითამაშაო.

მოულოდნელობისგან გავშრი. მოგვიანებით თეოს ტანს და მოძრაობას ყურადღებით დავაკვირდი. მაინცდამაინც ისეთი ვერაფერი შევატყვე. ცდები-მეთქი, ვუპასუხე მეზობელს. ის კიდევ, უეშმაკო ღიმილით მეუბნება, მიკვირს, ასეთმა გამოცდილმა ქალმა ეს როგორ ვერ შეამჩნიე, აი, ახლა გახედეო, და სარეველას მოსათხრელად დახრილ რძალზე მიმითითა. იგი სუნთქვას ძლივს იბრუნებდა. როცა წელში გაიმართა, შვებით ამოისუნთქა, მუცელზე დაიხედა და თითქოს თავის წიაღში მყოფ უჩინარ მოკავშირეს ნაზად გაუღიმა.

ყველაფერი ნათელი იყო, მხოლოდ იმან ჩამაფიქრა, ეს მომენტი როდის გამომეპარა და თუ თვითონ იცოდა, რატომ არ გამიმხილა-მეთქი.

მეზობელი გავისტუმრე თუ არა, ყვავილნარში შევაბიჯე, რძალს სათლი გამოვართვი, წყლით გავავსე და როცა ხელი გამომიწოდა, მომეციო, არა, შენთვის სიმძიმის აწევა არ შეიძლება-მეთქი და მორწყვას თვითონ შევუდექი. სახეშეფაკლული იდგა და ერთხანს ჩემი ხელის მოძრაობას თვალს ადევნებდა, მერე მკითხა, — „როდის გაიგე?“, „იმან მიმახვედრა“ — ახლახანს მყოფ მეზობლის ქალზე მივანიშნე. „გასაოცარია, შენ ხომ ასეთი რამ არ გამოგეპარებოდა!“ — გაიკვირვა. „მართლაც, მაგრამ ამდენ საზრუნავში გახვეულს, ეტყობა, ყურადღება მომიდუნდა“, — მივუგე. „გიხარია?“ — მკითხა იმან და ისე მომაჩერდა, ვიგრძენი, ჩემს პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. არ დავაყოვნე: „ძალიან!“ „შარშანდელი ამბების მიუხედავად?!“— ეჭვი გაჟღერდა მის ხმაში. „ყველაფერი უფლის ნებაა“, — იყო ჩემი პასუხი. ჩაფიქრდა და დამარცვლა: „უფლის ნება?!..“ მერე ცას ახედა და ისე მიაჩერდა, თითქოს დასტურს იქიდან ელოდა.

რა დასტურს ელოდა არ ვიცი, მაგრამ მე რომ თავგზა ამებნა, ცხადია. თუმცა ისიც საკითხავია, რატომ უნდა ვყოფილიყავი იმაში დარწმუნებული, რომ ეს ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, მშვენიერი ქალი უქმად გაჩერდებოდა, ისევ არ მიიზიდავდა ქმარს და არ დაფეხმძიმდებოდა. ჩემი შვილი ვაჟკაცობაზე დებდა თავს და შვილიერებაც ხომ მავანთა თვალში ვაჟკაცობის გამოხატულებაა. ბავშვებით სავსე ოჯახს რა ჯობია. თვითონ დედისერთას ამარა რომ დავრჩი, მწარედ განვიცდიდი და ძალიან მინდოდა, ჩემს ლეოს ბევრი შვილი ჰყოლოდა, მაგრამ წინა წლის ზაფრა რომ გამახსენდებოდა, აფორიაქებული, ამ მდგომარეობიდან უვნებლად გამოსვლის გზებს ვეძებდი.

მაშინ იყო, მოძღვრის ქადაგებები და შეგონებები ლიტონ სიტყვად მივიჩნიე და თეოს სახელზე სარკეში ჩავიხედე (ანუ ვამკითხვინე). შეიძლება ვიღაცამ გამამტყუნოს, სად ეკლესია და სად სარკეში ჩახედვა ან ქაღალდის გაშლაო, მაგრამ გზადაგზა უამრავი კითხვა მიჩნდებოდა და პასუხის მისაღებად ათას რამეს მივედ-მოვედებოდი. როგორც გვიან შევიტყვე, ჭეშმარიტ მორწმუნეობამდე ჯერ კიდევ ბევრი მაკლდა და სანამ ამას საფუძვლიანად გავარკვევდი, ვინ იცის, რამდენჯერ შევცოდე.

...სარკე რამდენჯერმე ბურუსით დაიფარა. ის იყო, უნდა შევშვებოდი, რომ ბურუსი გაიფანტა და გარკვევით, მაღალი, გაფოთლილი ხე და მის ძირას ორი პატარა და ერთიც დიდი საფლავი გამოიკვეთა. ეს რა დოზანაა-მეთქი, გული გადამიქანდა, მაგრამ, გარეგნულად არ შევიმჩნიე. ამ თქვენს სარკეს არაფერი სცოდნია-მეთქი, ვითომ ხუმრობით ვუსაყვედურე მასპინძელს და მოძღვართან გავეშურე. მან ჩემი საქციელი დაგმო, მერე სხვების გარდატეხასა თუ რაღაც ოპტიკურ ცთომილებებზე მესაუბრა და დარიგებებით ამავსო, მაგრამ, არ ვიცი, რატომ, მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა. ჩემი აზრით, ამ მოვლენას სულ სხვა ახსნა აქვს. თუმცა მისმა დალოცვამ და მგალობლების ანგელოზებრივმა ხმებმა ჩემზე გასაოცარი ზემოქმედება მოახდინეს, აფორიაქებამ ნელ-ნელა გამიარა და ბედს მივენდე.

რძლის მშობიარობა ისე მოახლოვდა, ოჯახში სიმყუდროვე და ურთიერთთანხმობა არაფრით დარღვეულა. ეს იყო, როცა ტკივილები დაეწყო, მისი გადაწყვეტილება, ისევ მე მომელოგინებინა, არ მეჭაშნიკა. მუდარა დავუწყე, ბედს ნუ ცდი, მეშინია, ჩემი მიზეზით გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს-მეთქი. თავის სიტყვაზე ჯიუტად იდგა, აუტანელ ტკივილებს უხმოდ იტანდა და ბოლო წუთებში ხელის გამოღების გარდა, სხვა გზა არ დამიტოვა.

ოქროსთმიანი, საღი აგებულებისა და ძლიერი ფილტვების მქონე ბიჭი შეგვეძინა. მისმა ომახიანმა ხმამ ყოველგვარი განსაცდელი და მიეთ-მოეთები დამავიწყა. ჩემი ლეო სიხარულისგან მეცხრე ცას ეწია. აივანზე გავარდა და იარაღით ქვეყანას პატარა ვაჟკაცის დაბადება ახარა.

მთელი კვირა მოსალოცად მოსულებს ვერ ავუდიოდით. ეს იყო, თვით თეოს ვერ შეატყობდი, შვილის შეძენა უხაროდა თუ სწყინდა და იმედი დავკარგე, რომ ჩვენს ჭერქვეშ სიმშვიდე მომავალში მაინც დაიბუდებდა.

თეო თავდაპირველად გატრუნული იჯდა აკვანთან და გამუდმებით რაღაცას იყო მიყურადებული. ორი კვირის შემდეგ შევატყვე, რომ ჩემი ზრუნვა და მასთან წარამარა სიარული აღიზიანებდა. ერთ დილას კი კარი შიგნიდან ჩაკეტილი დამხვდა. დიდი ხნის კაკუნისა და მუდარის შემდეგ

ძლივს გამიღო. არაფერი უკითხავს. გულგრილი გამომეტყველებით თვალი შემავლო და ლანდივით აკვნისკენ წაფარფატდა. დაეჭვებულს თვალი ფანჯრისკენ გამექცა. საიმედოდ კი ჩანდა ჩაკეტილი, მაგრამ გამჭვირვალე ფარდა შუამდე გადაწეული და ცალ მხარეზე იყო ჩამოკონწიალებული. მივედი, ფარდა გავასწორე, მერე აკვანს მივუახლოვდი და ჩვილს დავხედე. მას მშვიდად ეძინა. თეომ ამომხედა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეეფეთა. მის თვალებში შიში და დაუძლეველი განგაში ამოვიკითხე.

— მითხარი, რა გაშფოთებს, როგორც საკუთარ დედას, ისე გამენდე. ხომ იცი, ჩემი ერთადერთი რძალიც და საყვარელი ქალიშვილიც შენა ხარ! — მივმართე აღელვებულმა.

ხმა არ გამცა. თავი დახარა.

— გიფრთხილდებოდი, შენთან ჩემს ეჭვებზე არასოდეს მისაუბრია, მაგრამ ახლა უნდა გაგიმხილო: ისე იქცევი, არ ვიცი, რა გზას ვეწიო... იქნება, დახმარება გჭირდება, იქნება, ექიმს გამოვუძახოთ...

— ექიმი არ მიხსენო!.. და საერთოდ, რას ნიშნავს ამდენი თვალთვალი და, ვითომ ჩემზე ზრუნვის მომიზეზებით, ამ ოთახში ტრიალი, ბარემ აქ დასახლდი, შენს ხელში სიმშვიდეს ვერაფრით ვეღირსე და ვხედავ, ვერც ვერასოდეს ვეღირსები! — უეცრად შემომიტია.

წამის წინ საბრალოდ მოღვენთილს და დათრგუნულს, სახე უჩვეულოდ გამოუცოცხლდა, თვალებში ისეთი ცეცხლი ჩაუდგა, იფიქრებდი, საცაა ყველაფერს გადაბუგავსო.

— სიტყვას რომ გავყვეთ, შორს წავალთ... მე მარტო ის მაშფოთებს, ამდენი მღელვარებისგან ძუძუ არ დაგიშრეს... კი ბატონო, ნება შენია, აწი აქ ფეხს არ შემოვადგამ, კეთილი ინებე და თავს თვითონ მიხედე! — მივუგე და მისი საქციელითა და სიტყვებით შეურაცხყოფილმა კარისკენ გავიწიე.

— მაპატიე!.. — შესძახა, უეცრად მომეჭრა, ჩემი მარჯვენა ჩაბღუჯა და კოცნა დაუწყო.

რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფერი ვაპატიე. ჩავიხუტე, დავუყვავე, მაგრამ მისი საეჭვო დუმილი, შემდეგ უეცარი კატეგორიული ტონი, ხასიათის თუ გამომეტყველების ელვისებური მონაცვლეობა, რაღაც უფრო ღრმაზე მე-

ტყველებდა, ვიდრე გარეგნულად გამოვლენილზე, რასაც აუცილებლად შველა სჭირდებოდა. ამას ჩემი გამოცდილებით ვგრძნობდი, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, დავიბენი. თუ არა დაბნეულობა, მაშ რამ დამავიწყა შიშის, ავი ზნისა თუ სხვა სნეულებათა განმკურნებელი უებარი შელოცვები. ვინ იცის, რამდენი ვინმესთვის შემილოცია, მიწამლია და განსაცდელი ამიცდენია, აქ კი, ჩემს სახლში მოვლენათა უცნაური თანხვედრისა თუ დაბნეულობის გამო სასიკეთოდ ვერც ერთი საშუალება ვერ გამოვიყენე.

ოჯახის საქმეებს წერაატანილივით ვიყავი შებმული, დროდადრო ვაკითხავდი რძალს, ჩვილს დავხედავდი და საქმის გასაგრძელებლად გავრბოდი. ყველაზე აუტანელი ის იყო, ჩემს ეჭვებსა და შიშს ვერავის ვუზიარებდი. ქმარი წლებმა იმდენად არა, როგორც სნეულებებმა დააუძლურეს და ჯანშერყეული მესაიდუმლედ და გამამხნევებლად ვერ გამოდგებოდა; ჩემს ლეოს ხასიათი იმდენად გაუფუჭდა, ცნობა მიჭირდა, ერთთავად თავის მონადირე ძაღლებსა და ტყეს ისე იყო გადაგებული, თითქოს ოჯახში საზრუნავის ნაკლებობას განიცდიდა. სმას შეეჩვია, სახეგამოლენჩებულს როყიო მიეთ-მოეთი და ბაქი-ბუქი დასჩემდა და ის იქით იყო მისახედი; უყურადღებოდ მიშვებული ბავშვები კი თავის ნებაზე ირჯებოდნენ, წარამარა მატყობინებდნენ, ტყუპებმა სკოლა აიკლეს და თუ ოჯახი დროზე არ მიხედავს, გამოგდება არ ასცდებათო...

ამ გაწამაწიაში, ერთ საღამოს რძლისა და ჩვილის დასახედად ავედი. შიგნიდან ჩაკეტილ კარს რამდენიმეჯერ დაკაკუნების მერე ოდნავ რომ მივაწექი, საკეტმა გაიჩხაკუნა, კარი ჭრიალით გაიღო და შემდეგ სურათს გადავაწყდი: თეო ფანჯარასთან მიმდგარიყო და გამჭვირვალე ფარდებს ჩქარი მოძრაობით ასწორებდა, ხოლო ცივ ოთახში ლოგინზე მიგდებული, სახვევშემოღეღილი პატარა ხელ-ფეხს ასხმარტალებდა და უძლურად ჭყლოპინებდა, უფრო სწორად, ძლივს ქოშინებდა.

ლამის შევიშალე, მაგრამ როგორღაც თავს მოვერიე, ბავშვთან გავჩნდი, თბილ საფენებში გავახვიე და ჩავიხუტე. თებერვლის სუსხით ერთიანად გაყინული, შოშიასავით პირდაფჩენილი ჩვილი კანკალს აეტანა.

თეო ფანჯარასთან გაშეშდა, უაზრო სახით მოგვაჩერდა, მერე დაიძრა და მოგვიახლოვდა.

— გოგო, ამ ყინვაში ჩვილის გაშიშვლება ვის გაუგია! — აღშფოთება ვერ დავფარე.

პასუხად უაზროდ გაიღიმა და ბავშვის გამოსართმევად ხელი გამომიწოდა. ზურგი შევაქციე და გასასვლელისკენ გავემართე. მან გზა მომიჭრა.

— სად მიგყავს?

— პალატში, ბუხართან უნდა გავათბო და მოვასულიერო.

— ტყუილად შფოთავ, არაფერი მოუვა.

— რა იცი?

— სუფთა ჰაერზე პირველად კი არ ვამყოფებ.

— ამ ყინვაში, თანაც შიშველს?! ასეთი რამ ნეტა სად დაინახე! — უფრო აღვშფოთდი.

— ბავშვთა სახლში...

ამ სახლის ხსენებაზე ვიგრძენი, ფეხი მეკვეთებოდა. ჩვილი ხელიდან რომ არ გამვარდნოდა, ძალა მოვიკრიბე, თეო გზიდან ჩამოვიცილე და კიბეზე დავეშვი. იქით უკვე არ გამომყვა, რადგან ჩემი დაუძლურებული ქმარი, ვაჟიშვილი და შვილიშვილები ბუხართან თავშეყრილები ეგულებოდა და, ეტყობა, მათი მოერიდა ან შეეშინდა.

ბუხრის პირას მსხდომნი ჩვენს გამოჩენას მხიარული შეძახილებით შეხვდნენ, მაგრამ როგორც კი დამაკვირდნენ და აკანკალებულ ჩვილს თვალი შეავლეს, შეშფოთებულები წამოცვივდნენ, ადგილი გაგვითავისუფლეს და შეკითხვები დამაყარეს. ხმა ვერ დამაცდენინეს. სამაგიეროდ, ხელები პატარას სხეულზე თითქოს ჩემგან დამოუკიდებლად მოძრაობდნენ, მერე როგორღაც გონება გამინათდა და შინაური წამლები მოვიძიე, გვერდები დავუზილე, ჩავათბუნე და რამდენიმე ხანში ჩაეძინა კიდევაც.

ლეო ჩამეძია, რა იყო, ადამიანის ფერი რომ არ გადევს, რა მოხდა იქ, თვითონ თეო სად არის, ბავშვს რატომ არ ჩამოჰყვაო. ერთი პირობა სიმართლის გამხელა გადავწყვიტე, მაგრამ გამახსენდა, რომ სიმართლე ყოველთვის როდია თვალის სინათლე და ცუდად შეიქნა-მეთქი, ვუპასუხე.

ბავშვებმა არ დააყოვნეს, მამას დაასწრეს და აცვივდნენ დედასთან. ცოტა ხანში გულდაარხეინებულები ჩამოვიდნენ. უფროსმა შვილიშვილმა — მეგიმ მისაყვედურა კიდეც, ყველაფრის გაზვიადება როგორ გეხერხება, დედა მშვენივრად გამოიყურებაო..

„გამოიყურება და გამოიყურებოდეს, მაგრამ ამ ბავშვს აწი არ ვანდობ, ყველაფერს მივატოვებ, სულაც თხის რძეზე და სიმინდის მოხალულ ფქვილზე გადავიყვან და თვითონ გავზრდი-მეთქი“, — შიშნაჭამი ვბჭობდი ჩემთვის.

ღამით პატარას მთელ სხეულზე თაკარა მოედო. რაც კი რამ ვიცოდი და შემეძლო, არაფერი დამიკლია, მაგრამ მდგომარეობა თვალდათვალ უარესდებოდა. მეორე დღეს ექიმი რომ მოიყვანეს, უკვე უიმედოდ იყო.

პატარა ისე დავკრძალეთ, რძალს მისთვის არც დაუხედავს.

ჩემი ქმარ-შვილი გაოგნებას თავს ვერ აღწევდა. ლეომ რამდენჯერმე მუდარით მკითხა, მითხარი, ეს საღ-სალამათი ბავშვი ასე უეცრად რის გამო გამოგვეცალა, მაშინ იმ ოთახში ისეთი რა ნახე, რომ სახე შეშლილს გიგავდაო. მაინც ვერ გავუმხილე სიმართლე.

რძალი ბავშვის დაკრძალვის მერე ჩაიკეტა. ლეო მიდიოდა, კარზე აბრახუნებდა, ემუდარებოდა, ხან ემუქრებოდა, შემომიშვი ან თვითონ გამოდი, თორემ ამას ვიზამ და იმასო, მაგრამ ქალი ხმას არ სცემდა, საკვების მიღება ხომ საერთოდ აღიკვეთა.

მთელი თვე ჩვენს სახლს ძილი და მოსვენება არ მიჰკარებია.

ბოლოს, როცა კარი შეამტვრიეს, დალეული, სიფრიფანა, ჯერ კიდევ მფეთქავი თეო ცარიელ აკვანზე გადამხობილი ნახეს.

რამდენიმეჯერ უღონო, სუსტი ხმით დედა ახსენა და სული განუტევა.

იგი სახლის უკან, თავის შვილებს შორის, რცხილის ძირას დავკრძალეთ.

სანამ მის ცხედარს სამარეში ჩაუშვებდნენ, წესისამებრ, ქალები გამოგვარიდეს. ცოცხალ-მკვდარი, საფლავები-

სგან ზურგშექცევით ვიდექი და, მეზობლების მუდარის მიუხედავად, რატომღაც ფეხს ვერ ვიცვლიდი. როგორც კი საფლავზე მიწა აამაღლეს, დავიძარი. უეცრად, თითქოს რაღაც ძალამ ხელი მკრა და უკან მიმახედა. ჩემ თვალწინ რამდენიმე ხნის წინათ სარკეში არეკლილი გამოსახულება, მაღალი ხის ძირას ერთი დიდი და ორი პატარა საფლავი გაცოცხლდა. ამ სურათმა ეტყობა იმდენად შემზარა, ადგილს მოვწყდი. ჩემი საქციელით გაკვირვებული მეზობლის ქალები ვიშვიშით გამომეკიდნენ.

კარგა ხანს საფლავებთან მიახლოება მიჭირდა.

ჩვენს სახლში ისევ დუმილმა და მგლოვიარებამ დაისადგურა...

დრო გადიოდა, ცხოვრება თავისი გზით მიჯახირობდა. განსაცდელს ნელ-ნელა, როგორღაც მოვერიეთ, თითქოს ჭრილობაც გვიშუშდებოდა, მაგრამ ოჯახზე დამტყდარმა უბედურებებმა ჩემი ქმარი საბოლოოდ გატეხა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

თითქოსდა ჩვენს თავზე დატეხილი ეს უბედურებები არ იკმარა გამჩენმა. ამ გაწამაწიაში მყოფს შვილიშვილები საერთოდ უყურადღებოდ მყავდა მიტოვებული და შედეგმაც არ დააყოვნა: ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ თოთხეტი წლის ტყუპებს ოჯახის დანაზოგი და რაც კი ძვირფასი რამ გაგვაჩნდა, მამისეულ ზურგჩანთაში გამოუკრავთ და უგზო-უკვლოდ გამქრალან. ლეოს ძალა არ დაუშურებია, მაგრამ მათ კვალს ვერაფრით მიაგნო. რამდენიმე თვის შემდეგ თვითონვე შეგვატყობინეს, ცოცხლები და საღ-სალამათები ვართ, ჩვენი ძებნით ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ, შინ დაბრუნებას აღარ ვაპირებთო. ამ თვეების მანძილზე თითქოსდა ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვოდი და, როცა შევიტყვე, რომ სადღაც არსებობდნენ, ოდნავი შვება ვიგრძენი.

გულდათუთქულმა ლეომ მაშინ წამოიძახა, ნეტა ვიცოდე, ასე მწარედ ვინ დაგვწყევლაო და ამის შემდეგ ჩემთან მშობლიურ კერამოძულებულ შვილებს იშვიათად ახსენებდა. იქნებ სხვებთან საუბრობდა მათზე, თუმცა, ტყეში გადაკარგულს, არა მგონია, თავისი მონადირე ძაღლების გარდა, ვინმესთან გულის გადაშლის სურვილი გასჩენოდა.

ასე, ვაინაჩრობით ვიყავით. ამასობაში, უფროსი შვილიშვილი, მეგი, უკვე საკმაოდ მოწიფული გოგო გახდა. ერთ დღეს მეუბნება, ოღონდ ხელს ნუ შემიშლით, არც თქვენი მზითევი მინდა და არც ქორწილი, მეზობელი ქალაქიდან კარგ ოჯახიშვილსა და ტოლებში გამორჩეულ ბიჭს მოვწონვარ და ამ პარასკევის სწორს გაყოლას ვაპირებო.

მიუხედავად იმისა, რომ მისი საუბრის კილომ და სახის გამომეტყველებამ სიმწრის მეტი არაფერი დამიტოვა (ცხადი იყო, ისიც სახლიდან, როგორც ნაძრახიდან, უკანმოუხედავად გარბოდა), ამ სიტყვებს სიხარულით შევხვდი, გულში ჩავიკარი, დავლოცე, ფრთა შევასხი და თავიც გავიმხნევე, იქნება მას მაინც ეღირსოს ის სულის სიმშვიდე და ყურადღება, რაც გაუთავებელ გაწამაწიაში გაზრდილსა და დამშვენებულს ჩვენი მხრიდან აკლდა-მეთქი.

მთელი კვირა მუხლი არ ჩამიხრია, ზოგი დანაზოგით, ზოგიც ნასესხებით განვუახლე ტანსაცმელი და თეთრეული, ვუყიდე სამკაულები, ჩავულაგე ჩანთაში და დანიშნულ დღეს სამუშაოდან მის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდი (საექთნო დაამთავრა და პოლიკლინიკაში მუშაობდა), მაგრამ არაფრის წაღება არ ისურვა. რაც ზედ ეცვა, იმით გაჰყვა თავის რჩეულს და ჩემი შეძენილი ნივთების ასავალ-დასავალით არც მერე დაინტერესებულა. ერთი წლის შემდეგ, პირველი ბიჭი რომ შეეძინა, დაგვპატიჟა. მე, ლეო და თეო ვესტუმრეთ.

უმშვენიერესი ქალი დამდგარიყო. გარეგნობით ქმარიც შესაფერისი ჰყავს. ოჯახი და მდგომარეობაც ხელს უწყობს. ბედნიერი ჩანდა და ეს იყო ჩემთვის მთავარი. ის რომ, ჩვენი სტუმრობა მეზობლებსაც კი დაუმალეს და სახლში ჭირიანებივით ლამის უკანა კარიდან შეგვაპარეს, მოვითმინე. ამის გამო ლეომ ერთი-ორჯერ მსუბუქად გაკენწლა სიძე, მაგრამ იმან პასუხის გასაცემად თავიც კი არ შეიწუხა და ეს ისე ოსტატურად მოიმოქმედა, აშკარა იყო, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ეშმაკობაში გამობრძმედაც მოესწრო. ესეც არაფრად ჩავაგდე, რადგან ჩემთვის მთავარი იყო, ჩემს შვილიშვილს ამ ოჯახში პატივს სცემდნენ და უყვარდათ. დანარჩენს კიდევ მოევლებოდა.

საჩუქრებით აგვავსეს. განსაკუთრებით გაახარეს თეო, თორემ რაღაც ჭინჭებს ჩემთვის რა ხანია, ჩალის ფასი აქვს. მერე მსუბუქ მანქანაში ჩაგვსხეს და სიძის მძღოლმა შინ მიგვაბრძანა.

წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ვსტუმრობდით. ისინი აქეთ არასოდეს გვწვევიან და არც ჩვენ დაგვიჟინია, გინდათ თუ არა, გვინახულეთო. არ მოგვილაპარაკია, მაგრამ ორივე მხარე შეთანხმებულებივით ვირჯებოდით.

ამასობაში ამხელა სახლ-კარს მე და პატარა თეოღა შემოვრჩით. თუმცა, რაღა პატარა, როგორც ზღაპრებში ხდება, ტანი თვალდათვალ აიყარა და ისე დამშვენდა და სილამაზით, მიმოხვრით, სახის უცხო ნაკვთებით და ხმითაც კი დედამისს ისე დაემსგავსა, ხშირად მეგონა, გარდაცვლილ რძალს ვეხმიანებოდი. უნარ-თვისებებიც მისი გამოჰყვა და როცა ლეო შინ იყო-ხოლმე, შვილს მონუსხულივით ადევნებდა თვალს.

თეომ დედამისის გაშენებული და მისი გარდაცვალების შემდეგ გაჩანაგებული ყვავილნარი განაახლა. ისევ წალკოტს დაამსგავსა ჩვენი ეზო და, უკვე მერამდენედ, იმედებით აღვივსე.

ეს დაუდეგარი, ვერცხლისწყალივით მოძრავი გოგო გამვლელ-გამომვლელთ თვალს სტაცებდა, თუმცა იმასაც ვამჩნევდი, ტოლები ერიდებოდნენ. ამას თეო თავიდან ვერ ხვდებოდა, მაგრამ თანდათან, ალბათ, თავისით ჩასწვდა და სანამ რამეს ავუხსნიდი, ერთ საღამოს, კარგა ხნის ძებნის შემდეგ, დედამისისა და პატარა და-ძმის საფლავებთან ნამტირალევი და დათრგუნილი რომ ვიპოვე, გული გადამიქანდა.

მოვეფერე, დავუყვავე, კითხვებს, რომლებიც, როგორც ჩანდა, დიდხანს აწვალებდა, ასე თუ ისე, ვუპასუხე. თვალს არ მაცილებდა. სიმართლეს ხომ მეუბნებიო, ჩამეძია. მერე უეცრად მკითხა, თუ იცი, დედაჩემის დედა ვინ იყოო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვას შიშით ყოველთვის ველოდი, საგონებელში ჩავვარდი. გამახსენდა მომაკვდავი რძლის უღონო, სუსტი ხმით დედის რამდენიმეჯერ ხსენება და შემდგომ დღეებში მეზობლების დაინტერესება რძლის მშობლებითა და ახლობლებით. მაშინ ამაზე

დაფიქრების დრო არც მქონია. შემზარავი უბედურების გამო გაოგნებას თავს ვერ ვაღწევდი. იმხანად თითქოს სიტყვებმა ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგეს და გამოსავალს მხოლოდ მოქმედებასა და მოძრაობაში ვპოულობდი. დავწრიალებდი, წუთით მუხლი არ ჩამიხრია და, მგონი, ამან უფრო გადამარჩინა, ვიდრე მტერ-მოყვარის შეგონებებებმა და გნიასმა.

ვხედავდი, შვილიშვილი პასუხს მოუთმენლად ელოდა. ლეოს ფრთხილად გამოვკითხე, სად გაიცნო საცოლე, იცოდა თუ არა, ვინ იყვნენ რძლის მშობლები. მისმა აბდაუბდამ უფრო მეტად დამაბნია. გაუკვირდა, ამდენი ხნის შემდეგ რძლის წარსულითა და მშობლებით რატომ დავინტერესდი, მაგრამ იმდენად იყო გამოფიტული, მაინცდამაინც არ ჩამძიებია.

უდედმამოთა სახლს კითხვა-კითხვით მივაგენი. ძველ თანამშრომელთაგან უკვე იქ აღარავის უმუშავია, ან არ იყო ცოცხალი. საბუთები მოიძიეს. ჩემი ეჭვი თეოს უთვისტომობის შესახებ, სამწუხაროდ, დადასტურდა. ექვსიოდე თვის ჩვილი ქუჩაში ყოფილა ნაპოვნი, მის პირად საქმეში ეროვნების გრაფა ცარიელი აღმოჩნდა. გვარი და სახელი, როგორც გაირკვა, აღმზრდელებს მიუციათ.

ამ ცნობამ ერთხელ კიდევ ამაფორიაქა. ლეოს ქალი ისე შეურთავს, მის წარმოშობასა და ვინაობაზე წარმოდგენა არც ჰქონია. არადა, ამას ჩვენს ოჯახებში ყოველთვის ითვალისწინებდნენ. ჩვენმა ახლობლებმა თავიანთ შორეულ წინაპართა სახელები იცოდნენ, მათ ზნეზე, ჩვევებსა თუ ტრადიციებზე ნათელი თუ არა, მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდათ, ამაყობდნენ მათით და გათხოვებისა თუ ცოლის შერთვისას ნათესაურ კავშირებსა და წარმოშობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ვინ იყო ის ქალი, ვისაც სულის ამოსვლამდე მოუწოდებდა რძალი. რა აკავშირებდა იმ უცნობ ადამიანთან, რომელმაც ჩვილობისას, იმ დროს, როცა მშობელი ყველაზე მეტად სჭირდებოდა, გულიდან მოიწყვიტა, მისი ნახვა ერთხელაც არ ისურვა და მისთვის დედობრივი ალერსი არ გაიმეტა... მაგრამ მიუხედავად ამისა, რძალს მაინც ახსოვდა, თურმე, თავისი უარმყოფელი დედა.

ეტყობა, უხილავი ჭიპლარით ან რაღაც ძაფით მასთან იყო დაკავშირებული და იმ რამდენიმე თვეში, როცა მის ძუძუს წოვდა, ვინ იცის, რა თვისებები გადაეცა: იქნებ, სიძულვილი მისთვის არასასურველი ნაშობისა, იქნებ, საერთოდ უარყოფა შვილიერებისა... და, ვინ იცის, ეს უარყოფა ან სიძულვილი საიდან მოდიოდა...

შინ ამგვარი დამთრგუნველი ფიქრებით შეძრული მივბრუნდი. ჭიშკართან მჯდომ, ლოდინით თვალებამოღამებულ თეოს ხელი ჩავკიდე, სახლში შევედით და რაოდენი სამძიმოც უნდა ყოფილიყო, სიმართლე მოვუყევი. ჩემი მონათხრობი გასაოცარი სიმშვიდით მოისმინა. ეს ანცი და სიცოცხლით სავსე გოგონა თითქოს ჩემს თვალწინ, რამდენიმე წუთში დაბრძენდა. ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასწვდა მთავარს და ეს მთავარი, ალბათ, დედამისის უთვისტომობისა და მშობლის მხრიდან მისი უარყოფის მწარე განცდა იყო.

ტირილი და ვიშვიში არ დაუწყია. მდუმარედ შემომყურებდა. მერე უეცრად, ჩემს ხელებს დასწვდა, დამიკოცნა, ჩაიხუტა და გასაოცარი რამ მითხრა:

— თუ ეგრეა, შენ იყავი მისი დედა.

თეოს სიტყვებმა ისე იმოქმედა, ვიწამე კიდეც, რომ თვითონ ვიყავი ჩემი რძლის მშობელი დედა და მისი ახლობლების ძებნა მეტად აღარც იყო საჭირო.

ამიერიდან თეო და მე განუყოფელნი გავხდით. ოჯახის საქმეებიც განაწილებული გვქონდა და ლეოს იშვიათ შემოხეტებასა და უთავბოლო ღრიანცელს თუ არ ჩათვლიდი, ცხოვრება თითქოს მშვიდად მიედინებოდა.

ალბათ, მანამ ვიქნებოდით ჩვენს ეზო-კარში ჩაკეტილი იმის ქადილით, თუ სხვებს არ ვჭირდებით, ჩვენც ვეყოფით ერთმანეთსო, სანამ მეზობლის ქალი არ შემოგვიჩნდა, ასეთ უღიმღამო ყოფას მდგმურის აყვანა გერჩიოთ, თქვენს კარ-მიდამოს გამოაცოცხლებს და მცირე შემოსავალსაც გაგიჩენთო.

ეს მდგმური თვალ-ტანადი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მისი სახლში შემოშვების მომხრე პირადად არ ვიყავი, მაგრამ როგორც კი თეომ თვალი მოჰკრა, უარით არ გაისტუმრო, თორემ აქედან გადავიკარგებიო, ვითომ

იხუმრა, თუმცა აშკარად მაგრძნობინა, მის ნათქვამში სიმართლე მუქარის სახით რომ თვლემდა. შვილიშვილების მაგალითით დაშინებულმა, შევეცადე, ამ ახალგაზრდა კაცისთვის ოთახის ქირა ერთიორად გამეზარდა, რომ სიძვირის გამო თვითონ ეთქვა უარი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც თეო დაინახა, დიდი ყურადღება არც ჩემი სიტყვაუხვობისა და მიეთ-მოეთისთვის, და არც ოთახის სიძვირისთვის მიუქცევია, მაშინვე დამყაბულდა, თავაზიანობის გამო რომ დავპატიჟე, სიხარულით დამთანხმდა და პალატში ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით.

მაშინ აშკარად დავინახე, რომ თეო მართლაც თვალსა და ხელს შუა დაქალებულიყო, როგორც იტყვიან, კანში არ ეტეოდა. ბუნების წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობდი, მაგრამ არ მინდოდა ეს გამოუცდელი გოგო შემთხვევით შემოხეტებულ უცნობს ხელის დაქნევისთანავე ჩავარდნოდა. ჩვენს ოჯახზე თავს დატეხილი უბედურებები რომ არა, მას უსათუოდ მიეცემოდა არჩევანის შესაძლებლობა. დაე, ყოფილიყო გარეგნობით გუჯაზე ნაკლები, თუნდაც უბირი ვინმე, მაგრამ ახლოს გაეცნო, ნამდვილი გრძნობით შეჰყვარებოდა და არა კაცის უნახაობით ჩინდაკარგული, პირველსავე შემხვედრს მკლავებგაშლილი ჩაბარებოდა.

მდგმურს ჩემი დასაწუნი არც არაფერი სჭირდა. პირიქით, მის სიძეობას ბევრი ინატრებდა, სამსახურშიც, თურმე, ქებით იხსენიებდნენ, სულ მოკლე ხანში თანამშრომლების სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, მაგრამ თვალწინ რძლის მაგალითი მედგა და შევეცადე, მისი მშობლების ვინაობა და წარმომავლობა საფუძვლიანად გამომერკვია; მათ გრძნობათა ჭეშმარიტებაში რომ დავრწმუნებულიყავი, სხვადასხვა მიზეზითა და ხრიკით ქორწინება მთელი წლით გადავავადე. ეს ჩემი მხრიდან ცეცხლთან თამაშს უფრო ჰგავდა, რადგან თეო ვაჟისადმი სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე დაუფარავად ავლენდა და ათასი თვალი და ყური უნდა გამომება, რომ წმინდა ურთიერთობის ზღვარისთვის არ გადაებიჯებინათ. და როცა შევატყვე, რომ უკვე მეტის გადადება შეუძლებელი იყო, ქორწილზე დავთანხმდი. თუმცა, რა ქორწილი იყო, სამმა მეზობელმა, ოთხმა ნათესავმა, ნეფე-პატარძალმა ხე-

ლისმომკიდეებით, მე და ლეომ მაგიდა ძლივს შევავსეთ. ლეო სუფრის წევრად არც ჩაითვლებოდა, რადგან ორ ჭიქაში გამოტყვრა, აყალ-მაყალი ატეხა, მეზობლებმა თავის ოთახში ძლივს აიყვანეს და რამდენიმე წუთში ყინწიც მოწყდა.

ისე, ლეო არ ტყუოდა. სტუმრების თანდასწრებით უხერხული იყო, თორემ მის ადგილას, ალბათ, ნებისმიერი მამა ყვირილით აიკლებდა იქაურობას, რადგან მეგიმ და მისმა ქმარმა ქორწილში მობრძანება არ ისურვეს; ტყუპების ასავალ-დასავალი კი არც ვიცოდით და აბა, რანაირად შევატყობინებდით. პალატიდან მეზობლებმა რომ გაიყვანეს, გასაცოდავებულ ჩემ შვილს თურმე, უმწეოდ დაუჩივლია, ნეტა, ისე ვინ დამთარსა, ორი მემკვიდრის პატრონს ოჯახში ზედსიძე რომ შემომდისო...

ეს სიტყვები მაშინ სუფრაზე არ გაუგიათ, მაგრამ ძალზე მემწარა და თეოსთან განშორება რაოდენი მტკივნეულიც უნდა ყოფილოყო, სიძეს ცოტა ვადროვე და დაველაპარაკე, კი ბატონო, შეგიძლიათ ერთხანად აქ იცხოვროთ, მაგრამ ისევ თქვენი კეთილდღეობისათვის, გირჩევნიათ, საკუთარი კუთხე მოიწყოთ და გადახვიდეთ-მეთქი. თქვენ რომ არ გეთქვათ, ამ მდგომარეობას დიდხანს ვერც მე შევეგუები და უახლოეს ხანებში უეჭველად რაღაცას მოვიფიქრებო, დამაიმედა, მაგრამ თეოსთან ვერაფერი გავაწყვე. ერთთავად თვალცრემლიანი დაიარებოდა. თავი ისე მომაბეზრა, ძმები როცა არ უნდა მოგადგეთ, სახლის დატოვებას უსათუოდ მოგთხოვენ, ამ უხერხულობის აცდენა მინდოდა, მაგრამ შენსას თუ არ იშლი, რა გაეწყობა, დარჩით-მეთქი.

ტყუპებს ვასახელებდი, თორემ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამისი არავითარი საბაბი არ მქონდა, რაღაც გაურკვევლის შიში გამუდმებით მიფორიაქებდა სულს. გვიან მივხვდი, ამ შიშს ჩემში თეოსა და დედამისის გასაოცარი მსგავსება აღძრავდა, რასაც იგი ქმრის გადაჭარბებულ მოფერებასა და ზრუნვაშიც ავლენდა. დროდადრო საფრთხე მავიწყდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, მათი მოურიდებელი ალერსისთვის თვალი ისევ მომეკრა, რომ

დედამისისა და ლეოს ურთიერთობა თვალწინ დამდგომოდა და გულის გაბმულ კვნესას შემოეტია.

თეომ სამი ბიჭი ისე გააჩინა, შიშის გრძნობა არ მტოვებდა.

ამ შინაგანმა კვნესამ მაიძულა, სიძისთვის სხვაგან გადასვლა ისევ მომეთხოვა. ჩემი დაჟინება აკვირვებდა, თუმცა არ უკითხავს, მის გადასვლას რა მიზეზით ვითხოვდი. კი, აუცილებლად გადავალთო, დამაიმედა, მაგრამ ხელი არც ახლა გაუტოკებია. მის უმოქმედობას შემდეგ ახსნას ვუძებნიდი: მიუხედავად იმისა, რომ კეთილი ბუნების ახალგაზრდა ჩანდა, თანდათან გაზარმაცდა და შეეჩვია უზრუნველ ცხოვრებას; მას აქ არც საქონლის საბალახოდ გარეკვა ევალებოდა და არც მიწის დამუშავება, დილაუთენია კოხტად გამოწკეპილი ჭიშკარს რომ გაიკეტავდა, სახლის საზრუნავს იქვე ტოვებდა, საღამოობით კი უმშვენიერესი ცოლის ყურადღებითა და ზრუნვით გარემოსილს, მზამზარეული ლუკმა დამსახურებულ მონაპოვრად ესახებოდა, ახალ ადგილზე გადასულს კი, ვინ იცის, რამდენ რამეზე მკლავის დაკაპიწება და ოფლის ღვრა მოუწევდა...

იგი, პირველ ორ შემთხვევაში, ჩემს მოთხოვნას თითქოს გაგებით მოეკიდა, მაგრამ, როგორც კი გადასვლა მესამეჯერ შევახსენე, სიტყვა გამაწყვეტინა და გაღიზიანებულმა, ასე რატომ გძულვართო, შემომიტია. საიდან მოიტანე-მეთქი. ამას ყოველი თქვენი მოქმედება მოწმობს, არც ის გამომპარვია, თეოს ნაბიჯზე რომ არ სცილდებით და გამუდმებით ჩემთან გაყრაზე ეჩიჩინებითო. ჩემთვის ამისი დაბრალება მართლაც რომ მეტისმეტი იყო. ნეტა, საიდან მოიტანა, ან ვინ დაარწმუნა ამაში. მე ხომ მათთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდოდა. მოგვიანებით მივხვდი, ეს უფრო თავდაცვას ჰგავდა და, როგორც კი ეს ვიგრძენი, შევეშვი და გადავწყვიტე, რაც უნდა მომხდარიყო, ამის შესახებ ხმა არ დამეძრა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამეკიდა. სახლში თუ იმყოფებოდა, თეოს ჩემს სიახლოვეს არ აჭაჭანებდა. კუდიანო და თარსოო, ვითომ სხვათა შორის, მაგონებდა და ისე გათავხედდა, ლამის სახლიდან გავექციე. თეო ყველაფერ ამას მძიმედ განიცდიდა, ჩემ გამო რამდენიმეჯერ ცხარე შეხ-

ლა-შემოხლაც ჰქონდათ. თეო თავგამოდებით მიცავდა. შენ ნუ ჩაგვერევი, ყველაფერზე პასუხს თავად გავცემო, მაიმედებდა. კიდევ კარგი, თორემ სიძეს რომ ავყოლოდი, თავს მომაკვლევინებდა.

მაინც რა უნდოდა, არ ვიცი. ჩვენგან არცთუ ისე შორეულ ქალაქში აქვს სახლ-კარი, ჰყავს დედ-მამა, ერთი ძმაც. მაგათთან ნამყოფი არა ვარ, მაგრამ ამბობენ, წელ-მაგარი ოჯახი აქვთო. ვერც იმას ვხვდები, იქაურობა ისე რამ შეაძულა (აბა სხვა რა დავარქვა, როცა კაცს თავისი მშობლიური სახლი, მშობლები და ერთადერთი ძმა ჩვენ-თან არასოდეს უხსენებია), რომ ჩვენს ოჯახს ასე წყალ-წაღებულივით შემოეკედლა. მისი ჯან-ღონის კაცი ამდენ ხანში სრასახლს დაიდგამდა. თუ მაინცდამაინც არაფრის ამგები არ იყო, თავისას დასჯერდებოდა და ასეთ დამამცი-რებელ მდგომარეობაში თავს არ ჩაიყენებდა. ვერ გავიგე, ჩემი და ჩემი ქმრის ხელით აშენებულ, ჩემივე ხელით მოვ-ლილსა და დამშვენებულ სახლში რატომ არ მაყენებდა, რას მედიდგულებოდა. ისე იქცეოდა, თითქოს მისი ვალი მქონოდა. გახვრეტილი გროში რაა, არ მახსოვს მისგან. ასეთ რამეზე რომ ვსაუბრობ, სირცხვილით ვიწვი, მაგრამ უადგილო მეტიჩრობითა და ბღენძიობით გამამწარა. ექ-იმბაში და მჩხიბავი ხარო, დამიჩემა. შენ კიდევ, დოყლაპია და სხვისი ხელის შემყურე-მეთქი, გამწარებულს დამცდა ერთხელ. მაშინ იყო, ცოლ-შვილს ხელი დაავლო და რამ-დენიმე თვე ახლოს არ მაკარებდა. მიუხედავად იმისა, რომ თეოსა და შვილიშვილების შორს ყოფნას მტკივნეუ-ლად განვიცდიდი, თავს მოვერიე და მათ სანახავად სირ-ბილი არ დამიწყია. მადლობა ღმერთს, საქმე მუდამ თავზე საყრელად მაქვს და მიეთ-მოეთისთვის დრო არ მრჩებო-და. ეს იყო, ხმის გამცემი იშვიათად თუ მყავდა ვინმე და თეო და ბავშვები მენატრებოდა. შვიდი თვის შემდეგ სი-ძემ უფროსი შვილიშვილი დატვირთული ჩანთებითურთ ჭიშკარზე მომაყენა, თვითონ შემოსვლა არ ისურვა. ცოტა ხნის გამოშვებით, მეორე დატოვა, ბოლოს, თეოს და მესა-მე ბიჭს თვითონაც ისე მოჰყვა და ისე დარჩა, თითქოს ჩემ-

თვის არც არაფერი დაეშავებინოს და ერთთავად სიამტკ-ბილობაში ვყოფილიყავით.

ბავშვები, მადლობა უფალს, ჯანსაღები, ზრდილები და გარეგნობით ერთიმეორეზე უკეთესები არიან. მათ-ში უფროსი იმდენად მგრძნობიარეა და მოსიყვარულე, უფლის საჩუქარს ვეძახდი. ნაბიჯზე არ მცილდებოდა. როგორც კი დაღონებულს დამინახავდა, კითხვებით ამა-ვსებდა და თვითონაც მოიწყენდა.

ერთხელ ყური მოვკარი, მაგ გადაღძუებულ კუდიანს პირდაფჩენილები რომ შეჰყურებთ, ყველაფერი როდი დაეჯერებაო, ჩასჩიჩინებოდა სიძე ბიჭებს. უფროსმა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ექვსისაც არ იყო, კუ-დიანი კი არა, ჩემი საყვარელი ბებუკააო, შეუსწორა. სიძე ჯერ გაშრა, მერე მაგიდაზე მუშტების ბრახუნი ატეხა და, იმ არგასახარელმა ბავშვებიც გადამიგვარაო, აძრახდა.

ბავშვების გადაგვარებას რას ეძახდა, არ ვიცი. პირიქ-ით, ყურადღებასა და ზრუნვას არ ვაკლებდი და ასეთი რა-მის ჩემთვის დაბრალება ნამდვილად ცოდვაა, მაგრამ რო-გორ შევწინააღმდეგებოდი, არ ვიცოდი. ამიერიდან მათ ჩემთან მოკარება აუკრძალა და სრულიად უმნიშვნელო რამეზე აყალ-მაყალს ტეხდა.

ამასობაში თეო მეოთხეჯერ დაფეხმძიმდა. ჩემში მიჩუ-მათებულმა შიშმა თავი ისევ შემახსენა. ეჭვებს შვილიშ-ვილის უეცარი გარინდებები და გულჩათხრობილობა მიძლიერებდა. ხშირად დედის და და-ძმის საფლავებთან დამწუხრებული გამომეტყველებით განმარტოებულს ვაწყდებოდი. მისი წუხილის მიზეზთა გარკვევას შევე-ცადე, მაგრამ ახლოს ვერ ვეკარებოდი, რადგან სიძე გა-ფაციცებით გვადევნებდა თვალს და ჩემი გაკილვის შემ-თხვევას ხელიდან არ უშვებდა.

თეო მეცხრე თვეში ისე გადადგა, სიძემ ექიმთან წაყვა-ნაზე ვერაფრით დაიყოლია. ალბათ, ბებიაშენმა წაგაქეზა, თავისი კუდიანობით კიდევ რაღაც უნდა დაატრიალოს და დედაშენივით გაგაუბედუროსო, მიაძახა ერთხელ, კა-მათისას. პირველად მაშინ შევიტყვე, სიდედრის ამბავი გაგებული ჰქონია და ისიც, რომ ვინაც ის ამბავი მოუყვა, დამნაშავედ მე გამოვუყვანივარ და მაშინ გასაგები გახდა,

ჩემდამი სიძის უნდობლობა და სიძულვილი საიდან მოდიოდა.

შესაძლოა, ადამიანს რაღაცა დააბრალონ, დროთა განმავლობაში ეს ეჭვი გაიფანტოს და დადანაშაულებულმა რაღაც შვება იგრძნოს, მაგრამ ამჯერად აუტანელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან დროს ჩემთვის არამკითხე მოამბეთა მიერ მოკერებული დანაშაული არამცთუ ჩამოუწერია, პირიქით, იმდენად დაუმძიმებია, ზვავივით ჩამოშვავებასა და მის ქვეშ გასრესას მიქადდა.

იმ დღიდან გამოსავლის ძებნა დავიწყე. საკუთარი შიშისა და განცდების შესახებ, ჩემი აზრით, სანდო და გამოცდილ, ახლობელ ქალს გავენდე და, როცა მეგონა, რომ საგულისხმო რამეს მირჩევდა და გვერდით დამიდგებოდა, აშკარაა, თავიდანვე ყველაფერი შენი ბრალია, შენი სიკერპის გამო სახლიდან ყველა უკანმოუხედავად გარბის და მათ დასაბრუნებლად არაფერი გიღონიაო, — აქეთ დამადანაშაულა.

ასე რომ, გაურკვევლობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოვჩნდი, ჩინდაკარგულივით ვაწყდებოდი ყრუ კედელს და, ისე ჩანდა, ამ მდგომარეობას თავს ვერაფრით დავაღწევდი.

ბოლოს მაინც თვითონ თეოს მივადექი. ფრთხილად გამოვკითხე, რა ხდება შენს თავს, სამშობიაროში დაწოლა რატომ არ გინდა-მეთქი. თავიდან დუმდა. ქმრისგან თავგაბეზრებულს ამ საკითხზე საუბარი საერთოდ არ სურდა, მაგრამ ჯიუტად არ ვეშვებოდი და როცა შემატყო, რომ ჩემი თვალის ახვევა არც ისე იოლი იყო, სიტყვა საავადმყოფოსთან დაკავშირებულ უცნაურ სიზმრებზე ჩამომიგდო. ამ სიზმრების გამო შინ თავს უშიშრად ვგრძნობ და საავადმყოფოს მეორეჯერ ნუ მიხსენებო, შემეხვეწა. მოგვიანებით მოტირალი ქალისა და ბავშვების ხმები ახსენა, რომლებიც თურმე, ძილად ყოფნისას, სახლის უკან მდებარე სასაფლაოდან უხმობდნენ...

შევშფოთდი, მაგრამ არაფერი ვაგრძნობინე. შინაური მიქსტურები ვასვი, შიშისა შევულოცე, მერე ბავშვებს დედათქვენთან ამოდით-მეთქი. ბიჭები შემოეხვივნენ დედას, უმცროსები საყვარლად ეტიკტიკებოდნენ, უფროსი

ერთხანად დადარდიანებული გამომეტყველებით შეჰყურებდა, ცოტაც და, დარდი გადაიყარა და ისიც მხიარულ ბაასში ჩაება.

მომდევნო დღეებში თეოს ისევ შევულოცე, ნაყენებიც საკმაოდ ვასვი. ნელ-ნელა სასაფლაოზე სიარულს უკლო, დრო ბიჭებთან საუბრებსა და მათზე ზრუნვაში გაჰყავდა. სიძე არაფერში ერეოდა. ვატყობდი, როგორ სიამოვნებდა მათი მხიარული საუბრები და სიცილი. როგორღაც დატკბა და თითქოს ჩემდამიც ლმობიერი გახდა.

როცა თეოს მოლოგინების დრო მოახლოვდა, გაიტრუნა, გვერდზე გადგა და როგორც კი მთელი დღის მანძილზე მშობიარობის აუტანელი ტკივილებით გასავათებულ შვილიშვილს ახალშობილი გოგონა გვერდით მივუწვინე და ორივემ ის ის იყო, ჩათვლიმა, ფეხაკრეფით ოთახიდან გასულს, კიბის თავზე დამხვდა, თავი დახარა და სამადლობელი სიტყვების დუდღუნი არ დაასრულა. მისი გადაჭარბებული თავაზიანობა არ მეჭაშნიკა, უცხო რომ ყოფილიყო, კიდევ გასაგებია, მაგრამ ჩემი სისხლ-ხორცის გამო ამდენი სიტყვაუხვობა ზედმეტად მივიჩნიე. ცხადია, ამით დადგენილ ზღვარს არ გადახვიდეო, ადგილი შემომიხაზა და მეც ამ ზღვარის დარღვევას არ ვცდილობდი. სამწუხაროდ, დრომ დაამტკიცა, მართალი ვიყავი. ისე კი, ძალიან მინდოდა, შევმცდარიყავი და ჩვენს სახლში საბოლოოდ თანხმობას დაესადგურებინა, მაგრამ ჩანდა, ასეთი რამ არ გვეწერა.

გოგონას შეძენა სიძეს, ვაჟების დაბადებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულად არ აღუნიშნავს, თეოსაც მაინცდამაინც თავი არ გამოუდია, მაგრამ მათი ოთახიდან ხშირად ბავშვების ჟივილ-ხივილი და თეოს ალერსიანი ხმები რომ მესმოდა, გულზე სალბუნად მედებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სიძემ თეო ისევ გაინაპირა. პალატში რომ ჩამოვიდოდა ან ეზოში გაივლიდა, მასთან მიახლოების საშუალებას არ მაძლევდა და იძულებულს მხდიდა, ჩემი გაზრდილისთვის შორიდან მეცქირა.

მოგვიანებით ვიგრძენი, სიძის მონდომებამ თეოს და ბავშვებს ჩემს მიმართ გული გაუცივა. მათ ეს არჩევანი როდის გააკეთეს, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ როგორც

კი შევნიშნე, თავშეკავებული გავხდი და ჩემს მიხვედრას არაფრით ვამჟღავნებდი. ოღონდ თვითონ კარგად იყვნენ და ამასაც როგორმე ავიტან-მეთქი, ვფიქრობდი და ვცდილობდი ისინი არაფრით გამეღიზიანებინა. ის კი არა, ჩვენს კარგად ყოფნას შენი გაქრობა უშველისო, რომ ებრძანებინათ, ეგრევე გადავიკარგებოდი და მაინც მათი ბედნიერებისთვის ვილოცებდი...

გოგონა თვენახევრის იქნებოდა, როცა ერთ საღამოს, ბუხრის პირას წუთით ჩამუხლულს, ზემო სართულზე კარის ბრახა-ბრუხი, შემდეგ კი სიძის პირით ვიღაცის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები შემომესმა. უფროს შვილიშვილს ვკითხე, ხომ არ იცი, რა ხდება-მეთქი. იმან უარის ნიშნად თავი გააქნია და გაიტრუნა. ერთი პირობა გავიფიქრე, ავალ და გავიგებ-მეთქი, მაგრამ გულმა მიგრძნო, ეტყობა, ჩემ წინააღმდეგ ისევ რაღაცას ხლართავს და ჯობს მოვერიდო-მეთქი. უმალ წამოვდექი, კარი გავიხურე და ქოხისკენ გავემართე, სადაც შუა ცეცხლს ვაჩაღებდი, ვქსოვდი, ბავშვებისთვის მურაბებსა და წვენებს ვხარშავდი, ბალახებისაგან შინაურ წამლებს ვამზადებდი და, საერთოდ, მყუდროდ ვგრძნობდი თავს.

ის იყო, კერიაზე ნაღვერდალი გავაღვივე და ხმელი ფიჩხი აბრიალდა, რომ გარეთ, ჭირხლზე, ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯი შემომესმა. ცოტაც და, იმ ვიღაცამ ქოხის კარი ფეხით შემოგლიჯა და სანამ ადგომას მოვისაზრებდი, თავზე სიძე დამადგა სიკვდილის მაცნესავით.

ერთხანს გახევებული იდგა. მერე შეიშმუშნა და ავი მზერა კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ თაროებს მოავლო, რომლებზეც სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის ქილები და წამლის ბოთლები მქონდა შემოწყობილი. სიძის იერსა და გამოხედვაზე მივხვდი, რისხვის მარტოოდენ სიტყვიერად გადმოფრქვევას როდი დასჯერდებოდა. თუმცა მან არ იცოდა, რომ ყოველგვარი განსაცდელისთვის მზად ვიყავი. თითქმის ყველასგან განაპირებულს, გარდაცვალება ნანატრ ბედნიერებად მიმაჩნდა... მიუხედავად ამისა, მაინტერესებდა, რაში მადანაშაულებდა და თუ მართლაც ღირსი ვიყავი, მისი ხელიდან სიკვდილს ნანატრივით მივიღებდი.

— გგონიათ, რომ კუდიანობით თქვენსას მიაღწევთ?.. მაგრამ გაფრთხილებთ, არაფერი გამოგივათ! — წამოიწყო მუქარით.

— შენი ფიქრით, რის მიღწევას ვცდილობ? — ვკითხე.

სიძულვილით სავსე მზერა მომაპყრო.

— ვითომ არ იცით... ადამიანებს თქვენს ნებაზე დაატარებთ და, ალბათ, ეს უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ!

მის სიტყვებზე გამეღიმა.

— იღიმით?..

— სხვა რაღა დამრჩენია, როცა ისეთ რამეს მაბრალებ, რაზეც არასდროს მიფიქრია...

— ჯერ რძალი შეშალეთ, ახლა კი თეოს მიადექით...

— ამისთანა სისულელე ვინ მოიგონა, არ ვიცი! — გავიოცე.

— არავისაც არ მოუგონია... პაწია გოგო ხომ აბანავეთ ერთად?

— ვაბანავეთ. შემდეგ ტანი შინაურული მალამოებით დავუზილე, თეომ სახვევებში გაახვია, მე კი საქონლის დასაბინავებლად გავეშურე.

— კი მაგრამ, ვინ გთხოვათ, რომ თქვენი მავნებელი წამლებით დაგეზილათ. რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ბავშვს არ მიეკაროთ და თეოს რაღაც ბალახ-ბულახების ნაყენებით ნუ ჭყიპავთ-მეთქი...

— მაგ შინაურულ მიქსტურებს თეოს მშობიარობამდეც ვასმევდი, მაგრამ მაშინ რატომღაც წინააღმდეგი არ ყოფილხარ... ეს ხომ ნაწყენისა და საყმაწვილოს უებარი საშუალებებია და სხვა არაფერი.

— კი, როგორ არა, სხვა არაფერი! — ნიშნისმოგებით წამოიძახა და ხელი ხიშტივით მომაშვირა, — მაგ თქვენი ეგრეთ წოდებული მიქსტურებით გადარიეთ თეოს დედა, ახლა თეოს უტრიალებთ და ჩემს სიმართლეს ახლავე დაგიმტკიცებთ...

თქვენი წასვლის შემდეგ თეოსთან ავედი, მაგრამ ოთახის კარი შიგნიდან დამხვდა ჩაკეტილი. ჯერ ვაკაკუნე, მერე ხმამაღლა ვუძახე. პასუხი არ მაღირსა. კარგა ხნის ჯაჯგურის შემდეგ, კარი ძლივს შევგლიჯე, და იცით, რას

გადავაწყდი?!. თეო სიჩქარეში ფანჯრის რაფაზე დაგორებული შიშველი ბავშვის საფენებში გახვევას ცდილობდა. ეს რა გიქნია, ახალი ნაბანავები ბავშვი ამ სუსხში როგორ გაგიშიშვლებია-მეთქი, — ვუყვირე. მონუსხულივით მომაჩერდა. ლოყაზე სილა რომ შემოვარტყი, ოდნავ გამოცოცხლდა და გამეორებით კითხვაზე იცით, რა მიპასუხა?.. დედაჩემი ასე იქცეოდაო!..

მისმა სიტყვებმა ლამის გული გამიჩერა.

სიძე მემუქრებოდა, რაღაცას მიყვიროდა, მაგრამ არაფერი მეყურებოდა. თვალწინ წლების წინ ფანჯარასთან უაზრო სახით გაშეშებული თეოს დედა და ერთიანად გათოშილი ჩვილი დამიდგა. როგორც ჩანდა, თეო თითქმის მსგავს მდგომარეობაში უნახავს თავის ქმარს. ბოლომდე ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, თორემ სწორედ ამისი მეშინოდა, წლების მანძილზე ეს სურათი თან მდევდა ხოლმე გამუდმებით და ამაზე ფიქრი მტანჯავდა.

საიდან მოიტანა, ან იმ ქალს თავისი ნაშობის სუსხიან ამინდში აგრერიგად გაშიშვლებისკენ რა უბიძგებდა... ვინ ან რა ძალა ჩააგონებდა, ან ამდენი წლის შემდეგ მსგავსმა სწრაფვამ მის ქალიშვილში თავი რა გზით იჩინა!..

რძალი რომ გარდაიცვალა, თეო ჯერ კიდევ იმდენად მცირეწლოვანი იყო, შეუძლებელია, ეს ამბავი დამახსოვრებოდა, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, მას ამ სურათისთვის თვალი არასოდეს მოუკრავს და, არა მგონია, ვინმეს მისთვის მოეთხრო.

„საიდან?!.. საიდან?!“ — სასოწარკვეთილი ვფიქრობდი ჩემთვის.

— მეზობლებმა მიმანიშნეს, შენს სიდედრს ამას დედამთილი ჩააგონებდაო! — ჩამესმა სიძის ხმა.

— სიცრუეა. მის მიმართ, ერთადერთი, სიკეთე მამოძრავებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ტყუილად ვირჯებოდი.

— კუდიანები და ჯადოქრები უმიზეზოდ არასოდეს ირჯებიან, ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად გამოვიძიე და...

— ერთი ისეთი შემთხვევა მაინც დამისახელონ, ჩემს მალამოებსა და მიქსტურებს ვინმესთვის ევნო. სხვაფრივ

ოცდაორი წელი საავადმყოფოში ვინ გამაჩერებდა....

— მაგიდის ტრიალსა და სულების გამოძახებაზე რას იტყვით?

— ეგ ხომ უმეცრებით მომდიოდა, ყველაფერი მოძღვართან მოვინანიე და კარგა ხანია, მსგავს რაღაცებს არ ვეკარები.

— მოინანიეთ?! — სიცილი დამაყარა, — მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მონანიება! — დამემუქრა და ქურთუკის უბეზე ხელი მოისვა, მაგრამ მზერა კარის გვერდით მიყუდებული ბარისკენ გაექცა, უეცრად ხელი დაავლო და თაროებზე შემოწყობილ ქოთნებს, ბოთლებსა და წამლის შუშებს ღრიალითა და მხეცური გახელებით ეკვეთა.

მის მძვინვარებას ერთხანს ენაჩავარდნილი ვადევნებდი თვალს, მაგრამ რაღაც მომენტში გამოვფხიზლდი, უდანაშაულობის გრძნობა ცეცხლივით მომედო და ლამის დამფერფლა. „რას მემართლება?.. დახე, მას ჩემი სიმართლე არც აინტერესებს.... ან ასეთი უმძიმესი დანაშაული რა უფლებით ამკიდა!“ — სიმწრით გამიელვა. დრო ვიხელთე, ქოხიდან გამოვაღწიე და სახლის იმ ფანჯრისკენ დავიძარი, სადაც თეო იმყოფებოდა. რამდენიმეჯერ დავუძახე. ვერ გავაგონე. ქოხიდან ლაწა-ლუწისა და ნგრევის ხმა ისევ ისმოდა. კენჭს დავწვდი და ფანჯარას ვესროლე. თეომ არ დააყოვნა, ფარდა გადაწია, გადმომხედა, ფანჯარა შეაღო და, ის იყო, ჩემი გასაჭირის შეჩივლება დავაპირე, რომ სიძე ქოხიდან გარეთ გამოიჭრა და ეზოს თვალიერებას მოჰყვა. ბავშვების ოთახის ფანჯრის ქვეშ მდგომს თვალი რომ მკიდა, ფეთიანივით გამოქანდა, ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე შედგა, ქურთუკის უბეში ხელი ჩაიყო, იარაღი ამოიღო, „ესეც, შენი მონანიების საზღაურიო!“ — მომაძახა და ერთმანეთის მიყოლებით მესროლა.

თეომ სისხლის გამყინავი ხმით ცა ჩამოიღო.

იარაღის ბათქით გაყრუებულს, აზრის მოკრება გამიჭირდა. სიძე ერთხანად უძრავად იდგა და განბილებული გამომეტყველებით შემომყურებდა, მაგრამ როგორც კი ხმამაღალი მოთქმითა და ტირილით მომავალ თეოს თვალი ჰკიდა, შეირხა.

— ასეც ვიცოდი, კუდიანებს ტყვიაც არ ეკარება! — გამოსცრა, ზურგი შემაქცია და თეოს შესახვედრად გაეშურა.

ისინი შუა გზაზე შეეჩეხნენ ერთიმეორეს. თეო მიეჭრა, მკერდსა და სახეზე მუშტები დაუშინა, შემდეგ ჩემკენ გამოიწია, მაგრამ სიძე ძერასავით დააცხრა, მკლავებში მოიქცია, მხარზე შეიგდო და სახლისკენ გააქანა. შინ შეყვანამდე თეოს მწარე მოთქმა გარკვევით ისმოდა, ხოლო როცა კარი ჩაკეტეს, მისი მწუხარე ხმა მიწყდა.

ეს ყველაფერი იმდენად უეცრად მოხდა, მეგონა, რომ სხვას გადახდა და ყველაფერს შორიდან ვუყურებდი. არ მახსოვს, გაშეშებული ერთ ადგილას რამდენ ხანს ვიდექი. ველოდი, იქნება თეოს ან ვინმე სულიერს გამოეხედა. მაგრამ, როცა დაღამდა და ყველა იმედი გადამეწურა, მთელ ტანში სისუსტემ, ხოლო მარჯვენა მკლავზე აუტანელმა ტკივილმა შემომიტია, ძალა მოვიკრიბე და ქოხისკენ დავიძარი. კერიაზე დახვავებული თიხისა და შუშის ნამსხვრევები რაღაც ბრტყელი საგნით მივწი-მოვწიე, მხრჩოლავ ნაკვერჩხლებს ფიჩხი დავაყარე და ჯორკოზე მივჯექი. ცეცხლის ალმა ქოხი რომ გაანათა, სიძის ნამოქმედარი მთელი სიცხადით გამოჩნდა: წლების განმავლობაში ნაგროვები წამლის შუშები, ქოთნები და ჭურჭელი მთელი არც ერთი არ დაეტოვებინა და ეს ყველაფერი ერთმანეთში ისე იყო არეული, მათ პირვანდელ დანიშნულებას ვერც მიხვდებოდით.

მკლავზე ღია ჭრილობა აღმომაჩნდა. დიდი ვაი-ვაგლახით მოვიბანე. გადაყირავებული და დაჩეხილი განჯინის უჯრის ნამტვრევებში ბედად გადარჩენილ მალამოს მივაკვლიე, ჭრილობა დავიმუშავე, სისხლდენა შევიჩერე, ზედ ბალახები დავიფინე, ხალათის ჩამონახევით შევიხვიე, კერიას წყალი მოვასხურე, ქოხის კარი გამოვიხურე და ბილიკ-ბილიკ ეზოს უკანა გასასვლელისკენ გავემართე.

ის ღამე მეზობლის ქოხში გავატარე, მეორე დილით კი უთენიაზე, მონასტრის გზას დავადექი.

აი, ეს არის სულ.

შესაძლოა, რაღაც გამომრჩა, მაგრამ არაფერი დამიმატებია...

ახლა ჩემი ფიქრები გამუდმებით თეოს და მის შვილებს დასტრიალებს: რა ეშველებათ მათ, ამ ამბების შემდეგ რანაირად უნდა იარსებონ. ძალიან მეშინია, თეომ თავს რამე უბედურება არ აუტეხოს. ის ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდაა და უმწეო, მეეჭვება, ცხოვრებას მარტოკა გაუძღვეს... ყველაფრის მიუხედავად, მერჩივნა, სიძე და ის ერთად ყოფილიყვნენ, რადგან ახლა ისინი, როგორც არასდროს, სჭირდებიან ერთმანეთს.

სიძე ასე რომ მომექცა, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ დაღუპული ადამიანია. ახლაღა ვხვდები, მის წინაშე მთლად პირნათელი არც მე ვიყავი, ერთთავად კრიჭაში ვედექი და ჩემი კაპუეტობით, ჩანს, მოთმინებიდან გამოვიყვანე.

ნეტა, იმ ტყვიებიდან ერთი მაინც შიგ გულში მომხვედროდა და გავეთავებინე!..

იმ საღამოს სურათს რომ აღვიდგენ (რაც დაუსრულებლად თვალწინ მიტრიალებს), ვხვდები, მაინც ვერ გამიმეტა, უკანასკნელ წუთში დამინდო, თორემ კარგად ვიცი, ორმოცდაათ ნაბიჯზე ტყვიას ტყვიაში აჯენს.

რაც კი რამ დაუშავებია, ყველაფერი მიპატიებია. მოსამართლეს კი უმორჩილესად ვთხოვ, მის მიმართ ლმობიერება გამოიჩინოს და სასჯელი შეუმსუბუქოს, რადგან იგი თავის ცოლ-შვილს ძალიან სჭირდება. რაც შემეხება მე, უკვე წამავალი ვარ და არ ღირს ჩემ გამო ვინმე მკაცრად დაისაჯოს.

* * *

P.S.

ბატონო პროფესორო,

ჩვენებებში ამ მეტად სამწუხარო ფაქტების ირგვლივ თითქოს ყველაფერია ნათქვამი და, მეგონა, რომ ვინმეს კომენტარი ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ, როცა თქვენთვის გადმოსაგზავნ მასალას ვარჩევდი, ამ ჩვენებების უკანა გვერდებზე გამომძიებლის გაკრული ხელით თეიმუ-

რაზ პირველის ლექსის ერთი და იგივე ნაწყვეტის ცხრა მინაწერი შემხვდა. ყურადღებას პუნქტუაციათა გადანაცვლება იპყრობდა, რაც, როგორც ჩანს, გამომძიებელს აზრის გამოსაკვეთად დასჭირდა, პუნქტუაციის ყოველი გადანაცვლებისას კი ლექსი განსხვავებულ აზრობრივ დატვირთვას იძენდა.

აი, ამ ლექსის ნაწყვეტი:

„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი,
ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე
ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული,
ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა
რა აშენე და სად აგე?..“

გამომძიებელი ამ ოჯახის ტრაგედიას, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ჩახლართული საქმის გახსნა უხდება, ადამიანურად შეუშფოთებია და მასში ღრმა თანაგრძნობა აღუძრავს. მოგეხსენებათ, გამომძიებლების უმრავლესობას ამგვარი რამ იშვიათად მოსდით, რადგან, დროთა განმავლობაში, ყოველდღიური რუტინა ფიტავთ და გულგრილობის დაღს ასვამთ. საინტერესოა, მაინცდამაინც თეიმურაზ პირველის ამ ლექსს რატომ მიმართა. თქვენ მეტყვით, იქნებ თვითონ მისთვის გეკითხათო, მაგრამ ამ უკადრის საქციელს ვერ ჩავიდენ, რადგან ეს საკუთარ თავთან განმარტოებული ადამიანის მიყურადების ტოლფასია. იქნებ ჩასწვდეთ, რატომ უტრიალებდა იგი ამ სტრიქონებს? თქვენ ხომ ურთულესი ქარაგმები, ვინ იცის, რამდენჯერ ამოგიხსნიათ.

ამონარიდები წიგნიდან
„მიმწუხრის ჟამის მონოლოგები“

ოთარი

ნეტა იმ წრის არც ერთი წევრი არ გამეცნო. გურანდა და ნუკრი მათგან სრულიად განსხვავებული ტიპები იყვნენ, მაგრამ მათი გაცნობაც სანანებელი გამიხდა, რადგან წლების განმავლობაში ამ ორის ტანჯვა-წამების უნებლიე მოწმე ვხდებოდი.

ამ მაზოხისტურ წამებათა ავან-ჩავანი მალხაზი იყო, მერე კოკა. ნოე კი, ვის სახელსაც კრძალვით ახსენებდნენ, ბოლოს გავიცანი, თუმცა, როგორც გაირკვა, უფრო თვითონ გამეცნო, ისიც საგანგებოდ, გამოსაცდელად.

მაგათთან კოკას მეშვეობით მოვხვდი. თვით კოკა ერთმა საკმაოდ ცნობილმა ლამაზმანმა გამაცნო. დიდი ხნის შემდეგ გაირკვა, რომ მალხაზთან ჩემი მიყვანა წინასწარ იყო შეთანხმებული. იმ ლამაზმანს უმნიშვნელო დავალებებს აძლევდნენ, თვით მას ძნელად ხელმისაწვდომი ლიტერატურით ამარაგებდნენ და ისიც ამით კმაყოფილდებოდა (ნამდვილად ასე იყო თუ არა, ესეც საკითხავია).

გონებამახვილურად მოფიქრებული, გასაიდუმლოებული წრე ჰქონდათ.

მანამ ამ წრეში მიმიღებდნენ, გამოცდა მომიწყეს. ჯერ იყო და, კოკამ პირველივე შეხვედრისთანავე ლიტერატურისგან შორს მდგომ თემებზე, კერძოდ საიდუმლო სამსახურზე და მის აგენტთა ვერაგულ ფანდებზე გამიბა რატომღაც საუბარი. იმ ხანებში პატარა მოთხრობებს ვწერდი, რამდენიმე მათგანის გამოქვეყნებაც მოვასწარი; გარემომცველ სამყაროზე და, საერთოდ, ყველაფერზე ისეთი გულუბრყვილო წარმოდგენა მქონდა, კოკას სიტყვებმა დამაფეთა. იგი მთელი სიცხადით მიხატავდა მონსტრს, რვაფეხას, უხილავი საცეცებით რომ მოსდებოდა ქვეყანას და ყველაფერს, რაც კი სახელმწიფო სისტემას საფრთხეს უქადდა, მოშთობას უპირებდა. კოკას სიტყვებით — ეს

მონსტრი პირველ რიგში მოაზროვნე და ხელოვან ხალხს უსაფრდებოდა და ფხიზლად ყოფნა იყო საჭირო, რომ მის ბრჭყალებში არ მოხვედრილიყავი, რომლის მსხვერპლთა გვარები რომ ჩამომითვალა, საერთოდ კალამი ხელში რამ ამაღებინა-მეთქი, ვინანე.

მალხაზმა სახელმწიფო საიდუმლო სისტემა უფრო საფუძვლიანად გამაცნო, რასაც საფრთხის წინაშე მზადყოფნის საჭიროებით ამართლებდა.

გამუდმებით ვფიქრობდი, რომელი რკინისმკვნეტელი რაინდი მე ვარ, რომ ამ ურჩხულს შევეჭიდო, ჩემი საქმე ლიტერატურაა, ერთ პაწია მოთხრობას რომ ჩავამთავრებ, სიხარულით ცას ვეწევი, ქვეყნიერების ზურგზე თავი უბედნიერესი კაცი მგონია, ამ წრეში სიარული, როგორც ჩანს, საჩემო საქმე არაა, მათი აყოლა არას მარგებს-მეთქი, მაგრამ ინტუიციას არ ვენდე. მათმა ოჯახიშვილობამ, პოპულარობამ და რაღაც ახლის გაცნობის სურვილმა თავისებურად იმოქმედა.

როგორც აღვნიშნე, იმ ხანებში რამდენიმე მოთხრობა მქონდა დაბეჭდილი, მაგრამ წრის წევრებთან ურთიერთობისას გაირკვა, რომ განათლებაც მაკლდა და ცხოვრება-ზეც მცდარი წარმოდგენები მქონდა. მათ ყურადღება სწორედ ჩემს ზერელე განათლებაზე გაამახვილეს. დამაყარეს წიგნები. მალხაზი ყველაფრის ამოსავალ წერტილად ბიბლიას მიიჩნევდა. ის და ნუკრი წმინდა წიგნის ტექსტებს გვიმარტავდნენ. მაშინ ჩავწვდი ქრისტეს მცნებებს, ნათლობისა და სხვა საიდუმლოებებს, სულის გასხივოსნებას... და ჩემ წინაშე დედამიწასავით ძველი, მაგრამ სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა, რომლის ზიარებისთვისაც მათი უზომოდ მადლიერი ვარ. თუმცა ამ ცოდნის გამომზეურების საჭიროება დრომაც მოიტანა და, მათთან თუ არა, სხვებთან მაინც გავეცნობოდი... ამას რომ ვამბობ, მათ დამსახურებას როდი ვაკნინებ. ხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ ეს სწავლებანი, როგორც თანდათან ირკვეოდა, გარკვეულ მიზანს ისახავდა. მათი განმარტებით, ეს შტუდიები თანამედროვე სამყაროს აზროვნების მონაპოვართა სრულფასოვნად გაცნობას ითვალისწინებდა, თუმცა აშკარად ჩანდა, ჩიხში შევყავდით. შეიძლება ამას

თავადაც გრძნობდნენ, მაგრამ ამ იდეას ჯიუტად იყვნენ ჩაჭიდებული და ცდილობდნენ, ჩვენც ამ დოქტრინის თანაზიარნი გავეხადეთ. არ მინდა ამ დოქტრინას ბოლშევიკურად „ცრუ“ ან „ჭეშმარიტი“ ვუწოდო. შესაძლოა, იგი ვილაცისთვის ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავდეს, მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა ვერ მიიღო და რეაქციაც შესაბამისი მოჰყვა. ზოგიერთი თვითონ წავიდა, ხოლო ვინც მათთან დარჩა, ამ სწავლების საბოლოო მიზანს ვერ აცნობიერებდა, ან აწყობდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღებდა.

ამ სწავლებაში ჩემთვის მიუღებელი იყო მონური მორჩილება, უმაღლესი ადეპტის ნების უაპელაციოდ აღსრულება და არა ღვთისმოშიშობა (სულთა გადასახლებისა და განსხეულების ანუ რეინკარნაციის იმ დოქტრინისეული ვერსიები, ასევე ყველაზე მთავარი და პირადად ჩემთვის მიუღებელი, სასურველი პირის დისტანციური მართვა იყო).

როცა ამ პუნქტამდე მივედით, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს ამ მექანიზმის გაცნობისა და დაუფლების დიდი სურვილი შევატყვე (ეს ცნობისწადილი, ჩანს, ამ სწავლებაში ერთგვარად გათვალისწინებულიცაა), თითქოს სილა შემომარტყესო, ერთბაშად გამოვფხიზლდი და ამ მომენტიდან ვინიღბებოდი. ეტყობა, მათ ეს შენიშნეს და ჩემდამი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. როგორც კი რომელიმე ჩვენგანს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ან მოუთმენლობას შეატყობდნენ, ხანგრძლივად გვესაუბრებოდნენ (ამ „შტუდიებში“ ნუკრი არ იღებდა მონაწილეობას. როგორც ჩანდა, სწავლების ამ მიმართულებით წარმართვის წინააღმდეგი იყო და საგანგებოდ ჰყავდათ ჩამოცილებული), რაც უფრო დაკითხვას მაგონებდა და სიამაყის მქონე კაცისათვის თავ-მოყვარეობის შემლახველიც გახლდათ. თუმცა, გააჩნია, ამას ვინ, როგორ აღიქვამდა. ზოგს ამ გზის გავლა მიზნის მისაღწევ აუცილებელ პირობად მიაჩნდა და მალხაზისა და მისი დოსტების მოულოდნელობებით აღსავსე, ზოგჯერ სწავლებისაგან რადიკალურად დაცილებულ, აბსურდულ კითხვებს მოთმინებით იტანდა.

ამ კითხვა-პასუხებში ყველაზე დამთრგუნველი მაინც მალხაზის როლი იყო. თემიდან ოდნავ გადახვევას არაფრით გაპატიებდა. სიტყვიერ შეურაცხყოფას არ გაყენებდა, მაგრამ სახე ყიდდა: ზედ ეწერა, რა აზრისაც იყო შენზე. აღსარების მეთოდით დაგცლიდა, გამოწვლილვით ამოკრებდა თავისთვის საჭირო ან საგულისხმო ინფორმაციას, შესაჯამებლად, თამადასავით საბოლოო სიტყვის უფლებას თვითონ დაიტოვებდა, შენგან მოსმენილსა და გულში ჩამარხულსაც კი თავისებურად (ზოგჯერ მიფიქრია კიდეც), მწვალებლურად გააანალიზებდა.

აი, ამას ვერ ვეგუებოდი. რა თქმა უნდა, ეს მეთოდი ვითომ ჩვენზე ზრუნვით, ცოდვების შემსუბუქებითა და ჩვენი სულის გადარჩენის სურვილით იყო ნაკარნახევი (რომელი სულიერი მამები ეგენი იყვნენ!). ხანდახან ვფიქრობდი, იქნებ ყოველივე ამას თვითონ ვერ გრძნობენ, ძალაუნებურად მოსდით, დროთა ვითარებაში გააცნობიერებენ და ამ მეთოდზე ხელს აიღებენ-მეთქი, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ეს „შტუდიები“ ცეცხლთან თამაშს, ანუ ადამიანთა სულების შტურმით აღებას ემსგავსებოდა და გადავწყვიტე, სანამ ეს სენი თავადაც ხელს არ დამრევდა, წრეს დროზე გავცლოდი.

ვინც ვერ მოახერხა და საკუთარ გზას არ გაჰყვა, საბოლოოდ მათი გავლენის ქვეშ მოექცა, ზოგმა გაუთვითცნობიერებლად ან თვით მალხაზის უხასიათობის გამო გაწყვიტა მათთან კავშირი. მაგალითად, გურანდამ შეგნებულად გაასწრო და კიდევაც გადარჩა. ამ წრიდან კოკაც წავიდა, მაგრამ იძულებით. ისე, მისი წყობის კაცისთვის მალხაზთან ურთიერთობის გაწყვეტა ძნელი აღმოჩნდა. ისინი ბევრი რამით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მათი დაშორების ნიზეზად ჩვენს წრეში მრავალ ვარიანტს ასახელებდნენ. ყურადსაღები უფრო, მგონი, ვენერასა და მისი რძლის გათამაშებული ინტრიგა უნდა იყოს, რადგან, როცა ვენერა მალხაზის მამასთან მუქარით ვერაფერს გახდა, დარწმუნდა, რომ ისინი თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ და ამ კავშირის დარღვევა თვითონ რომ ეგონა, იმაზე მეტად რთული აღმოჩნდა, ამ ნაბიჯზე შეგნებულად წავიდა და თავისას მიაღწია.

კოკას სიმართლე რომ შეეტყო, დედამისი ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა. ვენერამ ერთ ჩვენ მეგობარს გაუმხილა, მალხაზის მამასთან დარეკვამ გაჭრაო. ვერ გეტყვით, უფრო რამ გაჭრა, მაგრამ მალხაზი და კოკა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. კოკამ ზუსტად მსგასი წრე ჩამოაყალიბა და მალხაზის მიბაძვით „მასტერკლასებს“ ატარებდა. ისიც მალხაზივით იღებდა ხალხს, მისი წაბაძვით თავის ირგვლივ იკრებდა, მერე მასავით დაუნდობლად ეპყრობოდა, ოღონდ ეს უფრო ასლი ან ფილიალი იყო. ვინც მალხაზს არ იცნობდა, მისთვის კოკა აღმოჩენად გადაიქცეოდა ხოლმე. რამდენიმე ხანი სულმოუთქმელად ნთქავდა მისგან მიწოდებულ ინფორმაციებს, თითქოსდა ორიგინალურ მსჯელობებს. მაგრამ მისი მეცადინეობების უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ ყოველ საქმეს მალხაზის განქიქებით იწყებდა. მომსვლელნი თავიდან ოდნავ შეცბუნებულები უსმენდნენ, თანდათან თავშეკავება ღალატობდათ. კოკა მის ყველა ნაკლსა და შეცდომას საგანგებოდ აზვიადებდა და, ვერ ამჩნევდა, რომ ამით საკუთარ თავს უპირისპირდებოდა. ვისაც კი ოდნავი დაკვირვების უნარი ჰქონდა, მალე აღმოაჩენდა, ეს იყო დაბოღმილი ადამიანის ანგარიშსწორების ცდები, მაგრამ გამოდიოდა, რომ მალხაზზე შურისძიების მაგივრად, ჯავრს თავისი წრის წევრებზე იყრიდა და ისინიც ხელიდან ეცლებოდნენ. ზოგმა კოკას მიერ აღძრული ცნობისმოყვარეობის გამო მალხაზს მიაკითხა და მასთან დარჩა (ვინ იცის, კოკაზე დაბოღმილნი, როგორ შეეკრნენ ერთმანეთს). ზოგიც, რაღაც ჩვევის თუ ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლის სურვილის უქონლობის გამო დარჩა კოკასთან და ორი დაპირისპირებული ბანაკის წევრთა ბედი გაიზიარა.

წლების განმავლობაში ერთმანეთს ფარულად თუ აშკარად ებრძოდნენ. მალხაზი ამ ბრძოლას იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, როგორც კოკა. იგი მალხაზის ყოველ ნაბიჯს თავისი ინფორმატორებისაგან იგებდა, მსჯელობის საგნად აქცევდა და წინასწარმეტყველებდა, აი, ნახავთ, ამა და ამ საქმეს ასე და ასე ჩააფლავებსო. ხშირ შემთხვევაში მისი პროგნოზი მართლდებოდა და რამდენ-

იმეჯერ მალხაზისთვის ლამის საბედისწეროც აღმოჩნდა. კოკა ზეიმობდა. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი პროგ-ნოზის გამართლება იყო და არა ვისიმე ბედი და უბედობა.

და ყოველთვის თავს მახსენებდა იმ სწავლებით არასა-სურველი აზრებისა და იდეების თავსმოხვევის მცდელო-ბები. ეტყობა, კოკასაც ჰქონდა ეს უნარი. მალხაზი ამ საიდუმლოს რომ ფლობდა და თავისი მიზნის მისაღწევად იყენებდა, ამაში თვითონ დავრწმუნდი. ორჯერ, სრულიად შემთხვევით, მაგიური საქმიანობით გართულს შევუსწარი. ისიც მჯერა, ამ უნარს მალხაზი არაფრით აზიარებდა კო-კას, რადგან იგი ყველაზე ეგოცენტრული იყო მათ შორის, ვინც ოდესმე მცნობია და ამ უძლიერეს იარაღს კოკას ხელში არაფრით ჩაუგდებდა. უფრო ნოეზე მაქვს ეჭვი. ეს ის ნოეა, რომელზეც წლების განმავლობაში გასაოცარი ამბები მესმოდა. თვით მალხაზი მას იშვიათად ახსენებდა. ნოე თითქოს სადღაც, მღვიმეში იყო განმარტოებული და თვალს იქიდან გვადევნებდა. სიმართლე გითხრათ, მალხა-ზზე აღმატებულ მწვალებელთან საქმის დაჭერას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ კოკა მის არსებობას საგანგებოდ, ჟამიდან-ჟამ შემახსენებდა და მასთან შესახვედრად მამზადებდა. რამდენიმეჯერ გამაფრთხილა, აჰა, სულ ცო-ტაღა დაგრჩა, თქვენი შეხვედრა შეიძლება მალე შედგესო და ეს შეხსენებები ჩემში ამ პიროვნების მიმართ ინტერესს უფრო მეტად აძლიერებდა.

მასთან შეხვედრა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, უცნაურ ვითარებაში შედგა.

იმ დღეს დილიდანვე საქმეზე ვიარეთ, სასაუზმეში წავიხემსეთ და სიარულით დაოსებულს, გულმა სასაუზ-მის სიახლოვეს განლაგებული პარკისკენ გამიწია. კოკა ადვილად დამყვა. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ დაღ-ლილობას ან მოუცლელობას მოიმიზეზებდა-ხოლმე და სახლისკენ გაქუსლავდა. ამან ცოტათი დამაეჭვა, მაგრამ დასვენების სურვილმა ყურადღება ოდნავ მომიდუნა.

ზაფხულის თბილი საღამო იდგა. პარკი ხალხით იყო სავსე. თავისუფალი ძელსკამის ძებნაში ხეივანი თითქმის ბოლომდე გადავჭერით, როგორც იქნა, ადგილი ვიპოვეთ და ჩამოვსხედით.

იქიდან ქალაქის ძველი უბანი, შორს, ჩამავალ მზეზე მოკიანთე, დათოვლილი კავკასიონის ქედები ხელისგულივით ჩანდა. ერთხანს მდუმარედ გავყურებდით ჩვენს წინ გადაშლილ ქალაქის ნაწილს და თოვლიან მთაგრეხილებზე ჩამავალი მზის სხივების იალკიალს.

პარკს თანდათან ღამის ჩრდილები მოეძალა.

ჩვენკენ ნელი ნაბიჯით მომავალი ორი შუახნის კაცი შევნიშნე. ერთი მაღალი, ჩასუქებული ტიპი იყო, მეორე, საშუალო ტანის, გამხდარი. მაღალსა და ჩასუქებულს ჩალისფერი, დაჭმუჭნუილი პიჯაკი მხარზე დაუდევრად მოეგდო, თავზე ღია ფერის ბერეტი ეხურა. მეორე ჭრელი ქურთუკით, წითელი პერანგითა და ჭყეტელა ფეხსაცმლით ცირკის მასხარას ჩამოჰგავდა.

არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად ასე იყო, კოკამ ისინი მაშინღა შენიშნა, როცა ზედ ძელსკამთან შედგნენ. კოკას სახეზე მოწიწება და ჩემთვის მანამდე უცნობი შტრიხი, საოცარი მორჩილება აღებეჭდა. წამოიჭრა, მარჯვენა ხელის მტევანი გულზე მიიდო და იმ ჩასუქებული კაცის წინაშე თავი მორჩილად დახარა.

ამ ჟესტმა და კოკას სახის გამომეტყველებამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია, მაგრამ გონზე მოსვლა ვინ გაცალა.

— აჰა, ეს ის ოთარია, ხომ? — მიმართა კოკას ჩასუქებულმა, მისი აგებულებისთვის შეუფერებელი წივანა ხმით და თავით ფეხამდე გამომცდელად შემათვალიერა.

ყურადღება დავძაბე. მივხვდი, ვინც იყო და გულმა რეჩხი მიყო. ნუთუ, ეს შეხვედრა წინდაწინ იყო დაგეგმილი-მეთქი, გამიელვა და აღვშფოთდი. კოკამ თვალი შემავლო და იგრძნო, რომ მისი საქციელის გამო გავმწარდი. შეცბა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— ბატონი ნოე, ბატონი გოგი! — ნაჩქარევად მიმითითა მათზე და ჩვენი ადგილი შესთავაზა.

ნოეს ღაჟღაჟა სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. კოკა მოიკითხა. იმან დაბნეულად რაღაც წაიბუტბუტა. ნოე დაჯდა, თანმხლები კაცი გვერდით მოისვა, ჩვენ კი ფეხზე დავრჩით.

— იქნება აქეთ მოაჩოჩოთ! — მიგვითითა ნოედ წოდებულმა მოშორებით მდგარ ძელსკამზე.

კოკამ მუდარით გადმომხედა და ძელსკამისკენ გაემართა. მეც გავყევი.

ძელსკამი ადგილიდან ძლივს დავძარით. ნოე და მისი მხლებელი მშვიდი სახით ისხდნენ და ხმადაბლა მასლაათობდნენ. ოდნავი ყურადღებაც კი არ მოუქცევიათ, როგორი ტანჯვა-წამებით მივათრევდით ამ მძიმე ტვირთს მათკენ.

ნოეს ჩაცმულობამ, სახეზე აღბეჭდილმა თვითკმაყოფილმა გამომეტყველებამ, არავაჟკაცურმა ხმამ და გულგრილობაში გადასულმა სიმშვიდემ, რაც ჩვენი წვალებისას მოემარჯვებინა, მის მიმართ უნდობლად განმაწყო. მათ საუბარს ყასიდად ვუსმენდი. ვგრძნობდი, ეს საუბარი ჩვენი გაცნობის შესავალი იყო და მტკიცედ გადავწყვიტე, ამ კაცთან თავი ისე მომესულელებინა, ჩემთან მეორედ შეხვედრის სურვილი დაჰკარგოდა.

ძელსკამის ერთ ბოლოში მე დავჯექი, კოკა ნოეს სიახლოვეს, მეორე ბოლოში. მათ თავი მიატყუპეს და მინიშნებებით გააბეს საუბარი. ნოეს მხლებელიც ერთი ხანობა ჩუმად იჯდა, მაგრამ მოთმინებამ უღალატა და მათ საუბარს გეზი უცვალა. არც მას ჰქონდა მაინცდამაინც დიდად ვაჟკაცური ხმა. ყურადღებით ვაკვირდებოდი ნოეს სახის ნაკვთებს, მაგრამ მასში განსაკუთრებული ვერაფერი აღმოვაჩინე, რაც მის მაღალ ინტელექტზე მიმანიშნებდა. პირიქით, გაფუყული, ხელმოცარული კაცის შთაბეჭდილება დატოვა.

— ახლახან თომასის „იოსებ და ძმანი მისნის“ თარგმანი გამოვიდა, ნახე? — ჰკითხა კოკას. მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. — ჰო, ჩემო ბატონო და, თარგმანი სუსტია, მაგრამ არც ტექსტი ჩანს დიდი ხვითო. ისე, რამდენს აქებდნენ, ესაო და ისაო... თუმცა იქნებ თქვენ განსხვავებული აზრისა ხართ? — მომიბრუნდა უეცრად.

— მაგ წიგნის არსებობა პირველად მესმის! — თავი მოვიქაჩლე.

რაღაცნაირად, უნდოდ დამაცქერდა, ჩაახველა, მიტრიალდა და საუბარი განაგრძო.

— თომასს მგონი კალამმა უმტყუნა. ეს დღესავით ნათელია, და იცით რატომ?..

საფუძვლიანად შეუდგა მისი აზრით, ნაწარმოების უარყოფითი მხარეების ჩამოთვლას. ხარობდა, რომ ისეთი რაღაცებისთვის მიეგნო, რაც თომას მანის წიგნს ჩრდილს აყენებდა. მისმა ნიღნიღა ხმამ და საუბრის მონოტონურობამ გამასავათა. მასხარასავით ჩაცმულმა შეპასუხება სცადა. ნოე გაცხარდა, დაღმავალი ევროპული აზროვნების ტრფიალი უწოდა. მასხარასავით ჩაცმულს ისტერიულად, ძარღვების გამყინავად გაეცინა, შემდეგ საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, ამ წიგნის შესახებ ამერიკელ მოაზროვნეთა გამონათქვამები მოიშველია, მაგრამ ნოესთან ვერაფერი გააწყო.

მათმა კინკლაობამ ჩემზე დამთრგუნველად იმოქმედა.

თავზე სავსე, კაშკაშა მთვარე წამოგვადგა. ჩემი ყურადღება მთვარის ციალმა და ხეთა ტოტებქვეშ მთრთოლვარე ღამის ჩრდილებმა მიიპყრო. წუთით დაღლილობა და გვერდით მყოფნიც გადამავიწყდა და ფიქრებმა იმ ადგილიდან სადღაც, შორს გადამტყორცნეს.

უეცრად, რაღაც არაბუნებრივმა, გამჭოლმა ძალამ თავით ფეხამდე ელვასავით დამიარა და მთელი სხეული ისე გამითანგა, სუნთქვა შემეკრა. რომ არ მეყვირა, თავს ძლივს მოვერიე. ერთხანად გაუნძრევლად ვიჯექი, ძლივ-ძლივობით ძალა მოვიკრიბე, ის მხუთავი სხეულიდან თანდათან განვდევნე და მეორე ძელსკამისკენ თავი მივატრიალე.

კოკას და მასხარასავით ჩაცმულს თავები მიეტყუპებინათ და ჩურჩულებდნენ, ხოლო ნოე ჩემს შორიახლოს, შემაღლებულზე იდგა და უცნაურ პოზაში გარინდული, მომნუსხველი მზერით დამჩერებოდა.

ჩემმა რეაქციამ, ეტყობა, შეაცბუნა. შეიშმუშნა. კოკას რაღაც ჰკითხა, მაგრამ ვერ გააგონა და მისი უყურადღებობით გაღიზიანებული, ძელსკამისკენ ბუზღუნ-ბუზღუნით გაემართა.

„რა იყო ეს?!.“ — გამიელვა ერთიანად შეძრულს.

ჩემი ყურადღება მალე მისმა სიტყვებმა მიიპყრო.

— გუშინწინ ლევანს ვეახლე. კარგად იცით, ნათიას და მე მის ოჯახთან რა ახლობლური ურთიერთობებიც გვქონდა... ჩემი უფროსი ბიჭი საცოლოა, იქნება რო-

გორმე ბინა მომიხერხო-მეთქი. რა დასამალია და, ბოლო ხანებში ნათია და მე ვერ ვეწყობით ერთმანეთს. ცალკე ბინა რომ იყოს, გადავიდოდი, ისიც სულს მოითქვამდა და მეც... გაგიგია? ყურიც არ შეიბერტყა, ანეკდოტებს დამაჯერა და სიცილ-ღლიცინით გამომისტუმრა, ვითომ ხალხი სარდაფებიდან ვერ ამოგვიყვანია, შენ კიდევ მეორე ბინას რა პირით ითხოვო... თუ იმ ბინაში ცხოვრებისა და მუშაობის პირობები არა მაქვს? — მოულოდნელად იკითხა მან და სათითაოდ დაგვაკვირდა, — მოკლედ, ფეხზე დამიკიდა, მაგრაამ!.. — აქ მან უეცრად ხმას აუწია, მარჯვენა მუშტი მუქარით შემართა, ხანჯალივით მოიქნია და, — როგორც კი მისი კაბინეტიდან გამოვედი, დავარტყი!.. — გამყინავად დაიწივლა გვერდზე ყბამოქცეულმა და კოკასა და თავის მხლებელს გამომცდელად გადახედა. ისინი მაამებლური აღტაცებით მისჩერებოდნენ, — წარმოდგენილი გაქვთ, რა მოუვა იმ უბედურ დღეს გაჩენილს?! — დაამატა გამარჯვების აზარტში შესულმა ნოემ და დიქტატორის გამომეტყველებით ქალაქის განათებულ ნაწილს გახედა.

მოგვიანებით ჩემკენ მობრუნდა და ყინულჩამდგარი მზერა დამასო.

თავზარდაცემულმა თვალი მოვარიდე.

თავს მალე მოერია. მის სახეს ისევ დაუბრუნდა უწყინარი, თვითკმაყოფილი კაცის იერი, რაღაცა ჰკითხა კოკას და მშვიდი საუბარი გააგრძელა, მაგრამ ეს ნიღაბი რამდენიმე წუთის წინ კონვულსიურად დამანჭულ სახეს ვერაფრით მოვარგე, მისთვის სახის ის გამომეტყველება უფრო ბუნებრივი იყო, ვიდრე ახლანდელი. თითქოს იმ ცივ მზერას აფათურებდა ჩემს გულ-გვამში, ხმაც იმგვარად გამყინავი და ამაზრზენი მეჩვენებოდა.

კოკა და მასხარასავით ჩაცმული, ალბათ, ნანობდნენ, რომ ნოეს უცხოსთან აკრძალული რაღაც დასცდა და მთელი თავიანთი მონდომება იქითკენ მიმართეს, ჩემთვის ეჭვები როგორმე გაექარწყლებინათ. მე კიდევ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვერაფერს მივხვდი, მაგრამ ნოე, ის გველის მჩხიბავი, რისი ნოე იყო, ეს ეჭამა. იმან კი არა, კოკამაც არ თოხლა და, როცა დარწმუნდნენ, რომ ჩემი გაცურება არც ისე იოლი იყო, თავი დამანებეს. შეიძლება იფიქრეს

კიდეც, დიდი ამბავი, ვინღა დაუჯერებს, ერთი ამისიცო.

მოკლედ, ნოემ ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ გაირკვა, რომ ჩემით არც ის გადარეულა. როგორც კოკამ ორი კვირის შემდეგ გადმომცა, ჯერ-ჯერობით იმ საიდუმლოს გასაცნობად მზად არ არისო, უბრძანებია. კოკას საკუთარი აზრი დაუფარავად მოვახსენე იმ გაფუყულ „გენიოსზე“ და ისიც, რომ მაგ „საიდუმლოებებისთვის“ მზად ვერასოდეს ვიქნებოდი. რა გაქვს მხედველობაშიო, მკითხა ვითომცდა გაოცებულმა. არაფერი დამიმალავს. ახტა და დახტა, იდიოტი ხარო, მიძახა. არც კი ავღელვებულვარ, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ვიყავი. იმ ლევანთან დაკავშირებული ფაქტიც უკვე შემოწმებული მქონდა. ეს იყო, იმ კაცს ცოცხლებში ვერაფრით მოაბრუნებდი...

იცი, ნოე რა ქრისტიანიაო, თავგამოდებით მიმტკიცებდა კოკა, რომ როგორმე დავებნიე და ჩემი ეჭვები გაეფანტა. აი, მაშინ კი ავიწყვიტე: ქრისტიანობის სახელით მაგიურ მანიპულაციებს თავი ანებეთ, თორემ იცოდეთ, სასტიკად დაისჯებით-მეთქი. დაიბნა. პასუხის გაცემა არ ვაცალე, ზურგი შევაქციე და ჩემს გზაზე წავედი. ეტყობა, არ ეგონა მთლად ამდენს თუ ჩავწვდებოდი. ის და მალხაზი ხომ, საგანგებოდ, შეზღუდული შესაძლებლობების ხალხს უძმაკაცდებოდნენ, რათა მორჩილებაში ჰყოლოდათ და ეს ვარიანტი ჩემთან რომ არ გაუვიდა, მგონი ამან უფრო გააოგნა.

ასე გაიყარა კოკას და ჩემი გზა. კარგად ვიცი, ვერ მიტანს. ვერაფრით ვიხსენებ, ვინ მითხრა, სძულხარო. სრულიად დასაშვებია. ან მაგისთანა ამპარტავანს რანაირად ვეყვარები.

დარწმუნებული ვარ, მას და მალხაზს დედამიწის ზურგზე საკუთარი თავის გარდა არავინ უყვართ და არც ჰყვარებიათ. მერწმუნეთ, ეს ასეა, რაც მერმინდელმა მოვლენებმა კიდევაც დაადასტურა.

ჩემი თავისთვის ერთი რამ ვერ მიპატიებია. მაშინათვე განგაში უნდა ამეტეხა. ნუკრიმ, რაღაცები გეჩვენებაო, მიჩიჩინა. როცა შეგონებებით ვერ გადამარწმუნა, ასე რომ მოიქცე, გიჟად გამოგაცხადებენო, დააზუსტა. გვიან

ჩავწვდი, მიუხედავად ყოველივესი, მაინც არ უნდა გავჩუმებულიყავი. ვიღაცა ხომ გაფრთხილდებოდა და მათ სატანურ ზემოქმედებებს გადაურჩებოდა.

რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას: ამდენი ურთიერთ გამომრიცხავი ინფორმაციის ტყვეობაში ყოფნამ, დაძაბულმა ატმოსფერომ და საკუთარ თავზე წარმოდგენის დაკარგვამ (რასაც ისინი მიზანმიმართულად მიმართავდნენ), ლიტერატურას საერთოდ მომწყვიტა. როგორც კი მაგიდას მივუჯდებოდი, კალამს მოვიმარჯვებდი და ქაღალდზე აზრის გადატანას შევუდგებოდი, ნაფიქრალის მიმართ კრიტიკულად განვეწყობოდი და ამეკვიატებოდა კითხვა: ვის სჭირდება ეს?..

წლები დამჭირდა, რომ წონასწორობა აღმედგინა და დავბრუნებოდი ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ნუგზარი

ვენერამ ვინმე რომ არ გააცუროს, ვერ მოისვენებს, რომც დააბა, აიწყვეტს. კოკა მას რომ არ დაემსგავსა, ეს აგიჟებს-ხოლმე. კოკას მისგან სრულიად გასხვავებული უნარები აქვს. ჩემი აზრით, ეგ უფრო ვიღაცის დაკვეთით ადამიანთა გადაბირებას ცდილობს და საგულისხმო ისაა, ისე საგულდაგულოდ ინიღბება, მისი გამოვლენა თითზე ჩამოსათვლელმა ძმაკაცმა თუ მოახერხა. სიმართლე რომ ითქვას, დედამისის ღირსეული შვილია. არა, იმისი თქმა როდი მინდა, ვენერასავით თავზეხელაღებულია-მეთქი, რომც გაეჯიბროს, კოჭებამდე ვერ მისწვდება. ეს ქალი მეტად რისკიანია, ასე მგონია, ყოველგვარი კომპლექსი მოხსნილი აქვს და მიზნად რასაც დაისახავს, ისე აღწევს, ოსტაპ ბენდერსაც კი შეშურდებოდა. სულაც არ ადარდებს, ვინ რას იტყვის, კოკა კი სხვების აზრს დიდ ანგარიშს უწევს, ფრთხილია. მის არსენალში უმთავრესი მაინც ლაქუცი, თავის მომკვდარუნება, გარკვეულ ან ბოლო მომენტამდე ამა თუ იმ პიროვნებასთან კავშირის დამყარების მიზნით გაუმხელელობაა. ისე, მე რომ კაცმა მკითხოს, არც ერთ მათგანთან ურთიერთობა ხელ-

საყრელი არაა. ზუსტად მაგათზეა ნათქვამი, აქე და ერიდეო. თუმცა, ვენერასთან საქმის დაჭერა უფრო მარტივი გეჩვენება, ვიდრე კოკასთან. მეძავებისა და ლოთებისა არ იყოს, ეს ქალი თავის ჯილას თითქოს ყნოსვით პოულობს. ერთი თვალის შევლება და გამოცნაურებაღაა საკმარისი, რომ მავანის ხასიათსა და შესაძლებლობებში ისე საფუძვლიანად გაერკვეს, შესაძლოა, თავად მავანს წარმოდგენაც არ ჰქონდეს. გაცნობისთანავე შანსს არ გაუშვებს, რომ შენს გამოყენებას არ ეცადოს. მაშინვე გარიგებაზე მოდის. პირობები გაწყობს? ესე იგი, თამაშში ერთვები და პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებთ, თანაც ყველას თვალწინ, ღიად მოქმედებს. ჩავარდნებიც იშვიათად ჰქონია, ყოველ დეტალს წინასწარ გულმოდგინედ ამუშავებს და შემთხვევითობას გამორიცხავს, რაც, ეტყობა, ბინასთან დაკავშირებით ვირის აბანოში რომ ჩასვეს, იმის შემდეგ გამოიმუშავა.

კიდევ კარგი, კაცი არაა, თორემ ქვეყანას გაღლეტდა!

რამდენიმე თვის წინ მირეკავს და მეკითხება, გინდა ფული გაგაკეთებინოო? გამოგიტყდებით, იმხანად ქესატად ვიყავი, მაგრამ მაინც ვკითხე, გააჩნია, რა გზითმეთქი. ერთ ადგილას გამომყვები, მანქანიდან გადმოსვლა არც კი დაგჭირდება, უბრალოდ, ეფექტისათვის მჭირდება კაცი მახლდეს, თორემ იმდენად უმნიშვნელო საქმეა, შეწუხებად არც ღირსო, — მოინდომა ჩემი გაცურება. ეგ კიჭები კარგა ხნის წინ მოვიცვალე-მეთქი, გავიფიქრე. გაჭირვებას რა ვუთხარი და, რამეს თუ გავაგდებინებ, რას ვკარგავ-მეთქი, და დავთანხმდი.

საღამოს გამომიარა. ყურადღებით ამათვალ-ჩამათვალიერა, ქურთუკის საყელო აიწია, ქუდი ჩამოიფხატე და უკან დაჯექიო. ეს მასკარადი რაღა საჭიროა-მეთქი, — ვკითხე ღიმილით. თუ არ გაწყობს, შეგიძლია დარჩეო, მომიგო ოდნავ გაღიზიანებით, წინ დაჯდა და მძღოლს ანიშნა, ავლაბრისკენ წადიო.

მანქანამ ავლაბრის ბაზარი უკან მოიტოვა და ჩაბნელებული, მიხვეულ-მოხვეული გზებით იმდენხანს გვატარა, ისევ ქალაქში თუ ვიყავით, არ მეგონა. ბოლოს, როგორც იქნა, დაბალ, ერთიმეორეზე მიკრულ, ჩაწკვარამებულ ქოხებთან შეჩერდა და წყვეტილი სიგნალი მისცა. სიბ-

ნელეს ორი შავი ფიგურა გამოეყო და მოგვიახლოვდა. ვენერამ მინა ჩასწია.

— შეპირებისამებრ, ყველაფერი რიგზეა და... — წამოიწყო ერთ-ერთმა ჩახლეჩილი ხმით.

— მაგასაც ვნახავ! — უცნაური პრეტენზიულობით გააწყვეტინა სიტყვა ვენერამ და უეცრად მომიბრუნდა, — ამ საქმეში თქვენი გარევა ნაღდად არ მინდოდა, მაგრამ ამათ ავტორიტეტი თუ არ დაუპირისპირე და ყელში არ წვდი, როგორც ჩანს, არაფერი გამოვა. ვწუხვარ, ერთ ხანს უნდა გალოდინოთ... თუ რამე ისე არ იქნება, იმასაც განიშნებთ! — მეტად გაპრანჭულად მომმართა, კარი გააღო და გადავიდა.

აი, სეირიც! მშიშარა არა ვარ, მაგრამ მისმა სიტყვებმა ერთგვარ შოკში ჩამაგდო. იგი ხომ მსგავს რამეზე არც შემთანხმებია, თუმცა უკანდახევაზე საუბარი უკვე ზედმეტი იყო და ავი წინათგრძნობით შეძრული სიბნელეს მივაჩერდი.

გუმანმა არ მიმტყუნა. მათი წასვლიდან ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ განაპირა ქოხიდან კაცის ყვირილი გაისმა, ცოტაც და, ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. გეგონებოდა, ქოხს დედაბუდიანად მოთხრას უპირებდნენ.

მძღოლმა ცმუკვა დაიწყო. მეკითხება:

— რა ხდება იქ?!

— არ ვიცი და არც მაინტერესებს! — ვუპასუხე, მაგრამ ეს სიტყვები იმდენად გულწრფელად როდი იყო ნათქვამი, ვიდრე გულგრილი ტონის შესანარჩუნებლად. კიდევ კარგი, სიბნელეში მძღოლი ვერ მხედავდა, თორემ ჩემი სიფათისთვის თვალი რომ შეევლო, ნაღდად მოკურცხლავდა.

ამ გნიასში უეცრად ვენერას ხმა გაისმა, სხვები დადუმდნენ. სიტყვები გარკვევით არ ისმოდა. გამიკვირდა, ისეთი რა ჯადო სიტყვა თქვა, იმ ხალხისთვის თითქოს კაი აღვირი ამოედოო, ერთბაშად რომ მიყუჩდნენ-მეთქი. რამდენიმე ხანს ვენერას ხმა ისევ ისმოდა. შემდეგ ქოხში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

მძღოლი რამდენიმეჯერ მომიტრიალდა და რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ ეტყობა, ჩემი პირველი კატეგო-

რიული პასუხი და ჯიუტი დუმილი აკავებდა. თვითონ რა მაჩერებდა, არ ვიცი, მოუთმენლობისაგან წკიპზე ვიყავი. დაძაბულობას ის მიორკეცებდა, რომ სიგარეტსაც ვერ ვუკიდებდი. სანთებელას შუქზე მძღოლს ჩემი სახტად დარჩენილი გამომეტყველებისთვის თვალი რომ შეევლო, ხელში ჩამაკვდებოდა. ზუსტად მაგის ხასიათზე ვიყავი!

წუთები, რომ იტყვიან, საუკუნეებად მექცა. ორივენი სიბნელეს შევყურებთ. გულს ისეთი ბაგა-ბუგი გაუდის, ასე მგონია, იმ ქოხშიც ესმით...

როგორც იქნა, ქოხის კარის ჭრიალი გაისმა. ლანდები მანქანისკენ გამოემართნენ. ვიღაცამ ხელის ფარანი აანთო. ვენერა და ერთი თხელი ტიპი მოგვიახლოვდნენ. იმ ტიპმა მანქანის კარი შეაღო. სალონი შიგნიდან განათდა. ვენერა დაიხარა.

— ძაან ხომ არ დამაგვიანდა?! — თითქოს უზრუნველი ხმით იკითხა.

— არც ისე! — დაიკნავლა მძღოლმა, მაგრამ ვენერას მისი პასუხისთვის ყური არც უთხოვებია. იმ ტიპს მიუბრუნდა.

— სიტყვის გამტეხი ხალხის გამო ასეთი ფიგურის შეწუხება რომ მომიხდა, ესღა მადარდებს, თორემ! — თქვა და ჩემზე მიუთითა.

ის ტიპი დაიხარა, თავი დამიქნია და მსუსხავი მზერა შემავლო. მის შემოხედვაზე ტანში გამცრა. ვენერა იმ ტიპს დაემშვიდობა და მძღოლის გვერდით დაჯდა, მძღოლმა კიდევ მანქანა დაქოქა და ადგილიდან ასით მოწყვიტა.

— ახლა მთლად ნუ გადაირევი, ეგღა მაკლია, შეშინებულმა მოკურცხლაო, იფიქრონ! — უსაყვადურა მძღოლს ვენერამ, მაგრამ იმან იქით შეუღრინა:

— ერთი ჩემს ადგილზე ყოფილიყავი და, რასაც იზამდი, იმასაც ვნახავდი!

— შე უბედურ დღეს გაჩენილო, შენს ადგილზე ყოფნას არასოდეს ვინატრებდი. აი, იმ ხატაში ჩემს მაგივრად რომ ყოფილიყავი, ეგ მესმის!

— ღმერთმა დამიფაროს! — სიკვდილმისჯილივით წამოიკნავლა მძღოლმა.

ვენერას და მე ერთდროულად სიცილი წაგვსკდა.

მოგვიანებით მძღოლიც ცალყბად შემოგვიერთდა. ოდნავ დავმშვიდდით. განათებულ ქუჩაზე რომ გამოვაღწიეთ, მძღოლი ვენერას ეკითხება:

— ამიხსენი, რა მოხდა იქ, ვინ იყო, დაკოდილივით რომ ბღაოდა, ან ეს ხალხი ვინაა და რა დაგკარგვია მაგათთან?!

— ამისი ახსნა რომ დავიწყო, ვიცი, მაინც ვერაფერს გაგაგებინებ. აი, ნუგზართან კი ღირს, მაგრამ მისი ღრჯუ ხასიათი რომ ვიცი, ამიხირდება და ერთ ღამეს ამდენ დაძაბულობას ერთად ვერ გავუძლებ.

— რატომ, იქნებ არც აგიხირდე და არც არაფერი... ისე, მართლა მაინტერესებს ვინ იყვნენ და რა უთხარი ისეთი, რომ ასე მოაკეტინე.

— მანქანაში ერთი ისეთი ტიპი მიზის, ახლავე ხმას თუ არ ჩაიწყვეტთ, ამ ქოხმახს ცაში ასწევს-მეთქი.

— და ეგ ტიპი ნეტა ვინ იყო?! — ვიკითხე გულუბრყვილოდ.

— რა თქმა უნდა, შენ! — მომიგო და მოწყალე ღიმილით გადმომხედა.

— რაო?! — გაოცება და სიბრაზე ერთბაშად მომაწვა.

— აბა, მანქანაში მევიოლინე მიზის-თქვა, ხომ იქვე ამქნიდნენ?! — წამოიძახა და თავის ენამოსწრებულობაზე თვითონვე აუტყდა სიცილი.

— იქნებ ამოშაქრო, ამ რისკზე რის ფასად წაგვიმძღვარე?! — გავცეცხლდი.

ჩანთა გახსნა. შიგ მსხვილი კუპიურების დასტები ეწყო. ერთ-ერთი შუაზე გაყო, მისი ერთი ნაწილი მე გამომიწოდა, მეორე კი მძღოლს, ჩანთა დახურა და იღლიაში ამოიჩარა.

— ასეთ რისკზე მაინც არ უნდა მიდიოდე! — ოდნავ მოვლბი.

— სხვისი კი არ წამირთმევია. ეგონათ, ქალია და გადავაგდებთო, მაგრამ ვერ მივართვი! — დააყოლა მუქარით.

— დავიჯერო, სულ არ გეშინოდა? — ცნობისმოყვარეობა ვერ დავფარე.

— როგორ არა!.. — თქვა და გაყუჩდა, — ერთ მომენტში ლამის ნერვებმა მიმტყუნა, მაგრამ როცა დავრწმუნ-

დი, რომ შეიძლებოდა, იქიდან ცოცხალს ვერ გამომესწრო, შენ გახსენე... და ეს ისე ბუნებრივად გამომივიდა, მიზანს მოვარტყი!..

— არადა?!

— ჩემს შემდეგ თქვენ მოგწვდებოდნენ, და...

მძღოლმა მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, ვენერამ შუბლი საქარე მინას გლიჯა და უკან გადმოემხო.

— ნელა, შე ბოთე, შენა, შიშისაგან ჭკუა მთლად კი არ უნდა დაკარგო! — მკვახედ ესროლა მძღოლს ტკივილისაგან გამწარებულმა და შუბლზე ცხვირსახოცი მიიფარა.

მძღოლი დუმდა. გარინდული იჯდა და უაზრო სახით ცარიელ გზას გაჰყურებდა.

სახლამდე რომ მივედით, ჯერ ისევ გაოგნებული ვიყავი.

— მეორეჯერ ასეთ რაზბორკაზე წასვლას რომ დაა-პირებ, გირჩევ, უჩემოდ წახვიდე, — ვუთხარი ვენერას დამშვიდობების წინ.

სიტყვა არ დაუძრავს, სევდიანად გამიღიმა და თავი ჩაჰკიდა.

* * *

ორი თვის შემდეგ ძმაკაცებთან ერთად ვზივარ და ვქეიფობ რესტორანში.

მაგიდას შავი, ზორბა ტიპი მოუახლოვდა, თავაზიანად მომიბოდიშა და წუთით გვერდზე გაყოლა მთხოვა. თამამად გავყევი. მომცრო კაბინეტში შემიძღვა. მაგიდას ოთხნი უსხდნენ, რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. ჩემს დანახვაზე გაყუჩდნენ და საეჭვოდ მომაჩერდნენ. არც გაცნობას მთავაზობენ, არც რამეს. უხერხულობისაგან შევიშმუშნე. უკან მივიხედე. ჩემს შემომყვანს ხელში გაშლილი დანა არ უჭირავს და აძაგრული არ მიბღვერს?!. თითქოს ცივი შხაპი გადაევლოთ, გამოვფხიზლდი ერთბაშად.

— ვენერა როგორა გყავს, ჯიგარო?! — გოროზი გამომეტყველებით მეკითხება მაგიდის თავში მჯდომი ჩასხმული ტიპი და თვალებით მბურღავს.

ვიყიდე, საქმე მურტლად იყო და თავი ავამუშავე.

— შენზე თქვა, მანქანაში დაქირავებული მკვლელი მიზისო, — წამოიწყო ჩემკენ მჯდომმა ტანთხელმა ტიპმა.

მისი ჩახლეჩილი ხმა მეცნო.

— კარგად დააკვირდი, ეგ გასაცოდავებულ ინტილიგენტს უფრო ჰგავს! — შეეპასუხა მაგიდის თავში მჯდომი.

— იმან თქვა, — გააგრძელა ტანთხელმა ისე, თითქოს მისი სიტყვებისთვის ყური არც მოეკრა.

— ეგ იმან თქვა, მე ხომ არა! — ხმამაღლა დავუმოწმე.

ჩასხმული ტიპი თვალს არ მაცილებდა. მერე ღვინით სავსე ჭიქა ჩემკენ გამოაჩოჩა და სკამზე მიმითითა. უკან მივიხედე. შავ ტიპს დანა დაეშვა და მაგიდის ირგვლივ მსხდომთ მორჩილი გამომეტყველებით მისჩერებოდა.

ჩამოვჯექი, ჭიქაც ავიღე.

— რაო, ვენერამ გვათოხლავა?! — მკითხა ჩასხმულმა კაცმა.

არ ვიცოდი, ამ კითხვას როგორ დავძვრომოდი.

— როგორც გეტყობა, ამ საქმეში არიფი ხარ, ნურაფრის გეშინია, პირდაპირ მიპასუხე, — დამიყვავა იმ ტიპმა.

— ასე გამოდის! — დიდი ყოყმანის შემდეგ ძლივს ამოვღერღე.

დამუნჯებულებივით მომჩერებოდნენ.

უეცრად ისეთმა სიცილმა იფეთქა, ადგილიდან რომ არ წამოვჭრილიყავი, თავს ძლივს მოვერიე.

— ასეთი რამ ჩემთვის არავის გაუბედია!.. აფსუსი არაა, მაგას ქალი ერქვას, ამას კიდევ კაცი?! — კბილებში გამოსცრა ჩასხმულმა ტიპმა, როცა დაწყნარდნენ და გამხდარს ათვალწუნებით დახედა.

— მე რა შუაში ვარ, იუზგარ, არ ვიცი?! — აწკმუტუნდა ტანთხელი.

— მოკეტე! — მკაცრად შეუძახა ჩასხმულმა და ხმა ჩააწყვეტინა, — მაგის დუხი რომ გქონდეს, ნებისმიერს თაგვივით აწრუწუნებდი! — დაამატა, სუფრას დახედა და დაბალი ხმით დააგდო:

— დაასხით!

ჭიქები უხმოდ შეავსეს.

— ადექით! — ისევ გაისმა მისი ბრძანება.

მორჩილად წამოდგნენ.

— მე იმ ქალის ატჩაიანობა უნდა ვადღეგრძელო. მასთან ანგარიშის გასწორებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ამ წუთიდან ყველაფერს ვპატიობ, რადგან ჩვენთან მისი მოსვლა თავგანწირვას უდრიდა. გესმით?!.. კამიკაძეს კი ფეხზე უნდა დაუდგე! ახლა დალიეთ და მაგ ქალზე რამე ისეთი არ გამაგონოთ, თორემ სათითაოდ დაგბრიდავთ! — დაიქადნა და სასმისი დაცალა.

მერე იმათ ჩემი ძმაკაცებიც გადმოიპატიჟეს, მთელი ღამე ვიქეიფეთ, დილით კი, როცა ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ჩასხმულმა ტიპმა გამიხმო და ვენერასთან დამაბარა:

— ცეცხლთან თამაშს შეეშვას, თორემ ერთხელაც იქნება, დაერხევა!..

მეორე თუ მესამე დღეს ვენერას სახლში მივაკითხე და იმ ტიპის დანაბარები გადავეცი, მაგრამ საქმე არა გაქვთ?..

— ერთი მაგათიც! — ისე შეიკურთხა, ტელევიზორისთვის თვალი არ მოუცილებია. მერე ადგა და მხიარული ბაასით სუფრა გააწყო.

მეტი რა გითხრათ, ასეთი უბედურისერთია.

რეზი

როგორც მოსალოდნელი იყო, მალხაზის გარემოცვაში ბევრმა საეჭვო პირმა მოიყარა თავი. ახლა ამტკიცებენ, მალხაზმა არ იცოდა, ისინი საგანგებოდ აჰკიდესო. შეიძლება ასეც ყოფილიყო, მაგრამ გასაოცარი ერთი რამ გახლდათ: მაშინ, როცა მალხაზი ზოგიერთი კრისტალური პიროვნების მიმართ მეტისმეტად შეუწყნარებელი იყო და ლამის მოღალატედ ჰყავდა შერაცხილი, მის გვერდით ისეთი უცნაური ტიპები აღმოჩნდნენ, როგორიც მაგალითად სანდროა და მათთან ისე შეთანხმებულად თანამშრომლობდა, პირდაპირ გაგაოცებდათ.

სანდროს პირველად წლების წინ რედაქციაში შევხვდი. ერთი ყინტორა, გაბღენძილი ტიპი იყო. არც მისი გალეული სახე მოგეწონებოდათ და არც საგნიდან საგანზე წარამარა

მოფათურე წვრილი, ჭროღა თვალები. გაცხარებით ტატყანებდა. ახალგაზრდობის ნაწილი ყურადღებით უსმენდა, ნაწილი ბაგეებზე მომდგარი უნდო ღიმილით, რადგან ორ, ძალიან სახელმოხვეჭილ პიროვნებას განაქიქებდა, ერთს, ხანდაზმულ დიდ მხატვარს და მეორეს, მალხაზის ახლო ხანებში გარდაცვლილ მამას. ორივენი საზოგადოებაში მეტად პოპულარულები იყვნენ. იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ ცალ-ცალკე ორივეს შემოქმედება, მათ გარეშე, ასე მგონია, ჩვენი კულტურა შესამჩნევად გაღარიბდებოდა. ის კიდევ კერპებად მოიხსენიებდა და პიედესტალიდან საზოგადოების მიერ ვითომ დაუმსახურებლად აყვანილების ჩამოგდებისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდებს. მხატვრის შემოქმედების მთავარ ნაკლად პერსონაჟთა უყურო პორტრეტები მიაჩნდა და თავგამოდებით ამტკიცებდა, ყურის ხატვა არ ეხერხება, განგებ ერიდება და თავი რომ იმართლოს, ვითომ სხეულის ამ ნაწილს ზედმეტად მიიჩნევსო... ამ მხატვრის შემოქმედებაზე საპირისპირო აზრისა ვარ. ერთხელ მისმა ყოფილმა მოწაფემ მომიყვა, ერთი ჩემი კურსელი ყურს ვერაფრით ხატავდა, პედაგოგისადმი მიმბაძველობა რომ არ დაეწამებინათ, ძალას არ იშურებდა, მაგრამ რაც უფრო მეტად მუყაითობდა, უკუშედეგს იღებდა. სტუდენტის ამაო რუდუნი ოსტატს არ გამოპარვია. ერთხანს თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ, როცა სასოწარკვეთილება შეატყო, მივიდა, ფანქარი გამოართვა და ერთი მონასმით სახეს ყური ისე ოსტატურად მიახატა, მისი ხელის მოძრაობას თვალი ვერ მოვწყვიტეთო... და, როცა ამ მხატვრის ტილოებს აკვირდები, ყურის არარსებობას არა თუ ვერ ამჩნევ, მისი ოსტატობის მომხრე და თაყვანისმცემელი ხდები. ამ დიდებულმა ფერმწერმა ჩვენს ხელოვნებას შორს გაუთქვა სახელი. რაც დრო გადის, მასთან მეტ სულიერ ნათესაობასა და ახლობლობას ვგრძნობ...

რაც შეხეება მალხაზის მამას, არც ეს პიროვნებაა ასე ადვილად ხელწამოსაკრავი. სანდროს, თურმე, მისი ფრაზების ყვავილოვნება და პოეტურობა აღიზიანებდა, ასეთი ტიპის ლიტერატორები ისტორიას ჩაბარდნენ და დროა, მოვიკვეთოთო...

შევეკამათე. ათვალწუნებით ამხედ-დამხედა, ვითომ ვისი ტიკი-ტომარა ხარო და შემომიტია. სანდრო მაშინ დიდ ავტორიტეტად მიმაჩნდა და ჩემი გაბრძოლება ამით დასრულდა. უცნაური ის იყო, ჩემს მხარდასაჭერად ხმას არავინ იღებდა.

მოულოდნელად ოთახში საკმაოდ მნიშვნელოვანმა ლიტერატორმა შემოაბიჯა. ახალგაზრდები წამოიშალნენ და უფროს თანამოკალმეს მოწიწებით მიესალმნენ. ყველა მიხვდა, რომ იგი სანდროს ქადაგებამ შემოიყვანა. ჰო, ქადაგებამ, რადგან სხვაგანაც დაიარებოდა და ამ ორ დიდებულ პიროვნებას ლაფში სვრიდა თურმე.

ახალშემოსული მოგვესალმა, მერე სანდროს მიუბრუნდა.

— რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს უამრავ რამეზე საკუთარი აზრი უნდა გააჩნდეს, თუმცა, არა მგონია, ეს პოზიცია პირადად შენი იყოს... ზუსტად ვერ დაგისახელებ, საიდან მოდის, მაგრამ აშკარად მომწამვლელი სუნი უდის... ამჯერად ის უფრო მაინტერესებს, ვინ იყო, ამდენ ხალხში შენს ტირადებს წინ რომ აღუდგა... ეს ხმა აქამდე აქ არ მსმენია, — თქვა და ყველას სათითაოდ მოავლო თვალი.

— თქვენ იყავით? — მკითხა, როცა დამაკვირდა. თავი დავუქნიე, — ჩემთან შემოდით, — მომმართა, იქ მყოფთ დაემშვიდობა და გასასვლელისკენ ნაბიჯი წადგა, მაგრამ უეცრად სანდროს მიუბრუნდა, — ისე, ჩვენში დარჩეს და, ამ ორი პიროვნების შემოქმედებას რომ ვერ გაიგებს, იმ კაცს, არა მგონია, ქართველი მწერალი ერქვას, რადგან მათზე უფრო ეროვნული შემოქმედი ჩვენს შორის იშვიათად მეგულება, — ვითომ სხვათა შორის დააგდო, მხარზე ხელი შემახო და თავისი ოთახისკენ უნდა გამძღოლოდა, რომ ვიღაცას რაღაც ნივთი გაუვარდა და იქითკენ მივტრიალდი. წამის შემდეგ იმ კუთხეს გავხედე, სადაც სანდრო იდგა. მას ამ მომენტით ესარგებლა და ოთახიდან გამქრალიყო.

იმ ლიტერატორთან დიდხანს კეთილი ურთიერთობა მაკავშირებდა. რაც შეეხება სანდროს, მას შემდეგ სადმე რომ გადავეყრებოდი, თვალს მარიდებდა. ვგრძნობდი,

ჩემი დანახვა აღიზიანებდა, მაგრამ ეს ხმამაღლა არასოდეს გამოუხატავს და, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ერთ დღეს მალხაზის გვერდით დავინახე. მით უმეტეს, რომ იგი მალხაზის მამას მაშინ აკრიტიკებდა, როცა თვითონ მალხაზი გადასახლებული იყო და მისი განქიქება ოფიციოზის მხარდაჭერად აღიქმებოდა.

არა მგონია, მალხაზს ამ ისტორიისთვის ყური მაინც არ მოეკრა და, აქედან გამომდინარე, მათი მეგობრობა მით უფრო შეუსაბამოდ მიმაჩნდა. მალხაზი მამამისის მიმართ ასეთ უგვან გამოხდომებს იშვიათად თუ ვინმეს პატიობდა და რაღა ახლა მოადუნა ყურადღება, თუ მისი პრინციპი „საქმეს ასე სჭირდება!“ არის ამოსავალი-მეთქი, ვფიქრობდი. თვით სანდროს რადიკალურად გარდასახვამაც ისე გამაოცა, მალხაზისთვის მამამისთან დაკავშირებული ეპიზოდის შეხსენება საჭიროდ არ მივიჩნიე, თუმცა, რომც შემეხსენებინა, დარწმუნებულიც არა ვარ, მალხაზს ეს ჩემი მხრიდან დადებითად შეეფასებინა, რადგან იგი დასახულ მიზანს არასოდეს გადაუხვევდა და თუ რამე მის გეგმაში არ შედიოდა და ხელისშემშლელად მიიჩნევდა, ადვილად ელეოდა. ალბათ, ამის გამოც გავჩუმდი, მაგრამ, როცა სანდრო მეტად გალაღდა, მალხაზის გულის მოსაგებად ყველაფერზე მიდიოდა და ადგილი რომ არავინ მიუჩინა, ვინანე. ეს მომენტი ჩემზე დღესაც დამთრგუნველად მოქმედებს. იმ დროს მაინც რომ მეცადა და მალხაზისთვის სიმართლე გამემხილა, იქნება განსაცდელი, რასაც სანდროს დოსტები უმზადებდნენ, ამეცდინა-მეთქი, მაგრამ ამაზე ფიქრი რომ დავიწყე, უკვე გვიან იყო.

მათ მალხაზს საგანგებოდ ჩამოგვაცილეს, გაგვინაპირეს და ისეთ გარემოცვაში მოაქციეს, რისი გარღვევაც წარმოუდგენელი ჩანდა და, ალბათ, სხვა მიზეზებთან ერთად, ჩემი და ჩემისთანების ინერტულობამაც, მალხაზი უკიდურესობამდე მიიყვანა. ზუსტად ვერ გეტყვით, ჩვენი ჩარევის შედეგად გამოსწორდებოდა თუ არა რამე, მაგრამ, რაც დრო გადის, მეტად ვრწმუნდები, რომ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაგვეშვა...

სანდრო კაცთმოძულე აღმოჩნდა და თავის სიძულვილს ფართო გასაქანი მისცა. ყველას, ვინაც თავის მომხრეებად

არ მიაჩნდა, მოურიდებლად კიცხავდა. განსაკუთრებით, საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტებს უტევდა. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს რამე ისეთი წამოსცდენოდა, ან რამე ნაკლი შეენიშნა და, მათ სახალხოდ, სხვადასხვა კონტექსტში ატრიზავებდა. მისმა თავშეუკავებლობამ, განუკითხავმა ბრალდებებმა და ცინიზმმა, მალხაზს და მის წრეს უამრავი ადამიანი გადაამტერა. სანდროს არც არავინ ჰყავდა დამშლელი. ეტყობა, ვიღაცას აწყობდა, ეს დაბოღმილი კაცი არ გაჩერებულიყო და შხამი და ბალღამი ენთხია. იგი ხშირად სხვას იმაში ადანაშაულებდა, რაც თვითონ სჭირდა და, საერთოდ, ზომიერების გრძნობას იყო მოკლებული.

წლების განმავლობაში იგი სხვა ქვეყანაში იყო გადახვეწილი. ახლახან დაბრუნდა. ერთ-ერთ საღამოზე გვერდით მომიჯდა და ისე გადამკოცნა, თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყო. არადა, სანამ ქვეყნიდან გადაიხვეწებოდა, ყოველ შეხვედრაზე თვალს მარიდებდა და იმისი შესაძლებლობაც არ დამიტოვა, გამეგო, რა სწყინდა.

ჩემმა მეგობარმა, უნიჭიერესმა პოეტმა, რომელსაც პოლიტიკურ ბატალიებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მასზე მომიყვა: ახლახან დამირეკა და გულთბილად მომიკითხა, გაოცებისგან კრიჭა შემეკრა, მაგრამ თავს მოვერიე და პირუთვნელად მოვახსენე, იმის შემდეგ, რაც თქვენი საჯარო გამოსვლებით ოჯახი ლამის დამინგრიეთ და მთელ რიგ უბედურებებს გადამყარეთ, ჩემთან დარეკვა როგორ გაბედეთ-მეთქი.

თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი მახსოვსო, იყო თურმე მისი პასუხი. კი მაგრამ, ჩემს მახსოვრობას რას უშვრებით, ყოველი თქვენი ცრუ ბრალდება მწარე ჭრილობასავით შეუხორცებელი რომ დამრჩაო, მიუგია პოეტს.

ერთ-ერთ უნიჭიერეს პოეტად მიმაჩნიხარ, და ეს არაერთგზის განმიცხადებია, მაპატიე, რაც კი რამ დამიშავებიაო.

როგორც გენებოთ, ისე მიიღეთ, მაგრამ ჩემი უდანაშაულო ახლობლების დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას, თქვენი და ერთი გაწიწმატებული ქალბატონის მიერ წასისინებული დედაკაცების მხრიდან აღვირახსნილ დევნას

ვერაფრისდიდებით ვერ გაპატიებთო, უპასუხია და ყურმილი დაუკიდია.

კარგი რამ კია, აკვიატების გამო ადამიანები ათასობით მსმენელის თანდასწრებით ყველა ბრუნვაში ლანძღო და ათრიო, რაღაც დროის შემდეგ ამნეზია დაგემართოს და რაც კი სიავე ჩაგიდენია, არ გახსოვდეს, ქალაქში კეთილი ბაბუის სახით დადიოდე და გულმავიწყობის მომიზეზებით, არავისი და არაფრის გამო არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობდე...

მიხო

ელიზბარს იცნობდით?.. რომელს?.. აი, შინსახკომში რომ მსახურობდა. არა?.. როგორ მოხდა?.. ერთ დროს მთელ ქალაქს აზანზარებდა. ალბათ, ვერ იხსენებთ, თორემ... აგერ, ზემოუბნის ქუჩის კუთხეში, მესამე სართული ეკავა... აჰა, გაიხსენეთ?.. ვერა?.. ძალიან კი ნუ იდარდებთ, სიმართლე გითხრათ, ბედნიერი ყოფილხართ რომ არ იცნობდით...

ვიმეორებ, მთელ ქალაქს აზანზარებდა. თუმცა მარტო აქ კი არა, ხალხს რაიონებშიც თავზარს სცემდა. დიდი შებერტყილი ვინმე იყო, ნამეტანი გავლენიანი. მაგის შიშით უბანი ლამის დამუნჯდა. იმ წამპალმა, იმან, ყველაფერი იცოდა, ვინ რითი სუნთქავდა, ვერ გამოაპარებდი.

ორმოცდათერთმეტში მოუტრიალდნენ და თვითონაც ჩააყუდეს. ცოლი ადრევე მოუკვდა, ორივე ვაჟიშვილი და რძლები გადაუსახლეს. რძლები როგორღაც დაბრუნდნენ. შვილები უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. ერთი რძალი ქმრის დარდს გადაჰყვა, მეორემ თავი ჩამოიხრჩო.

მოკლედ, მაგ დამპალმა, მაგან, მთელი ოჯახი თან გადაიყოლა. ერთადერთი შვილიშვილიღა დარჩა. ეგ ბიჭი, დედამისმა თავი რომ ჩამოიხრჩო, თორმეტი წლის იყო. შორეულმა ნათესავმა უპატრონა, გზაზე დააყენა და შესანიშნავი კაციც დადგა.ახლა აკადემიაში მუშაობს, კარგი პიროვნებაა, აქებენ. მეც მანდა ვარ, ბაბუამისი სატანის მსახური რომ იყო, რა მისი ბრალია.

ისე, მაგისთანებს ღვთის ან სხვა რამის შიში თუ არა

აქვთ, შთამომავლობაზე მაინც ხომ უნდა იფიქრონ; როცა დანაშაულს სჩადიან, რატომ ერთხელ მაინც არ გაახსენდებათ ისინი, შურისძიების რად არ ეშინიათ ან სხვის საჯიჯგნად და საპამპულაოდ შვილებს რად აჩენენ, ჰა? თუმცა, ეტყობა, ეგენი დანაშაულს ისე ეჩვევიან და მის შრეებში ისე შეტოპავენ, ყველაფერთან ერთად, შვილებისა და შთამომავლების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობასაც კარგავენ.

შესაძლოა, ამ ბიჭს იცნობთ კიდეც, თუმცა რომელი ბიჭი ეგაა, უკვე ორმოცს გადასცილდა. ბაბუამისის გამო დედის გვარზე გადავიდა. ეტყობა, ვიღაცამ ურჩია, თორემ იმ ოხერძაღლ ბაბუამისს იმდენი მოძულე ჰყავდა, ამ ბიჭს უკვალოდ გააქრობდნენ...

შარშან ელიზბარს ვერის ბაღში თვალი მოვკარი. ისე შეცვლილა, ძლივს ვიცანი. მოფამფალებულსა და ხელჯოხზე დაყრდნობილს, ყოველი ნაკვთი უკანკალებდა. ერთადერთი წვრილი, ცივად მზირალი ისრიმისფერი თვალები დაგაეჭვებდა, თორემ შრომაში დამაშვრალ პენსიონერს ჰგავდა. პარკში რომ ჩამოივლიდა, ახალგაზრდები ფეხზე უდგებოდნენ და ადგილს მოწიწებით უთმობდნენ. ეგეც ამ პატივს ისე შეიფერებდა, გეგონებოდა, თმა მათზე ფიქრში ჰქონოდა გათეთრებული.

გამოვეცნაურე. მეგონა, ვინაობას დამალავდა. სიამაყით მომიგო, ელიზბარი ვარო. წარმოიდგინეთ, არავითარი დანაშაულის გრძნობა არ აწუხებდა. მავალებდნენო, იმ დროს ასე იყო საჭიროო. ნუთუ არავისი არ გეშინიათ-მეთქი. ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს, ისინი ხომ სახელმწიფოს დაუძინებელი მტრები იყვნენ და სასჯელიც დამსახურებისამებრ მიიღესო. თვითონ ხომ იგივე გულაგებში იჯექით, სადაც თქვენ მიერ გადასახლებული ხალხი ეწამა, რა აზრისა ხართ იმ ხალხზე-მეთქი. რა აზრის უნდა ვიყო მასაზე, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება სხვა შემადგენლობით ისე შეიცვალოს, ეს დანაკარგი ბუნებასაც არ შეეტყოსო...

ლამის გადამრია. ისეთი მავნებლურად ჩამოყალიბებული, გათვლილი და ირგვლივ მყოფთათვის საშიში ზრახვები ჰქონდა, უფალო შემიწყალე და, ბაღლინჯოსავით თუ

არ გასრესდი, არაფერი ეშველებოდა!

გადასახლებაშიც ასე თუ ლაპარაკობდა, აქამდე როგორ ჩამოაღწია-მეთქი, გამიკვირდა, მაგრამ ადამიანის ბუნებას, ალბათ, იმდენად კარგად იცნობდა, არც ის შეეშლებოდა, ვისთან როგორ მოქცეულიყო, ვის ფიანდაზად გაგებოდა, ვისთვის კიდევ, თავზარი დაეცა. მოკლედ, მეტად საშიში ტიპი ჩანდა.

სხვებმაც იცნეს. მასზე გაცილებით ახალგაზრდა, თუმცა მრავალჭირგამოვლილი ხალხი თვალს შორიდან ადევნებდა. ახლოს არ ეკარებოდნენ, მაგრამ თითქოს რაღაც ჯადო ჰქონოდა, რაზეც არ უნდა ესაუბრათ, საბოლოოდ მაინც მას მიუბრუნდებოდნენ. გაიხსენებდნენ ვიღაცას, გახსოვს, რა ენაკვიმატი, რა ჩაუქი, რა პურმარილიანი ბიჭი იყო, ამან მასხრად როგორ აიგდო, ჩვენს თვალწინ ასფალტზე ვითომ წელამდე წყალში აცურავაო. გახსოვთ, ის დახვეწილი ინტელიგენტი, ულამაზესი ცოლი რომ ჰყავდა, როგორ დაიბარა, ქალის წინ როგორ გაწკეპლა, დააპატიმრა, მერე ქალი შინ რაღაც საბუთის მოსატანად გაგზავნა, იმან კიდევ კარის ჩარჩოზე თავი ჩამოიხრჩოო... და ამ საზარელ ამბებს ისე იხსენებდნენ, როგორც ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. საოცარია, მაგრამ, მათი მონაყოლი თავისუფალი იყო ზიზღისა და ბოღმისგან და იმ კაცს ისე უცქერდნენ, როგორც წარსულში სრულიად უვნებელი რაღაცების ჩამდენს და არა ქვეყნის ამომგდებს, ადამიანთა მასობრივი დასჯისა და წამების ერთ-ერთ ავან-ჩავანს. დროს თითქოს საშინელი მოგონებებიც წარეხოცა და შურისძიების გრძნობაც, დროს ესენი თვითონაც დაეჩაჩანაკებინა. მისთვის თითქოს ყველაფერი მიეტევებინათ, მაგრამ მათგან განსხვავებით, თვით ელიზბარს ამათთვის ერთი მისხალიც არ ეპატიებინა და არც რამის დათმობას აპირებდა, რადგან თავი ცამდე მართალი და უსამართლობის მსხვერპლი ეგონა.

როგორ ცდებიან გულუბრყვილონი, როცა ფიქრობენ, რომ დანაშაულის გრძნობა მონანიების შედეგად ადამიანებს პატიოსნების გზაზე აყენებს. ასე რომ იყოს, მაშინ რაღა გვიჭირდა. დარწმუნებული ვარ, ამ კატეგორიის ხალხი სინდისის ქენჯნას არც კი განიცდის.

რა საჭიროა დარდი იმაზე, რაც უწინ მომხდარა, იგი ხომ წარსულს ეკუთვნისო... მათი აზრით, უფლება არა აქვს, ადამიანი განსაჯოს ისევ მასავით პირველყოფილი ცოდვით წაბილწულმა, მასავით ზნედაცემულმა ვიღაცამ, სახელმწიფოს მიერ მინიჭებული კანონის ძალით მორალი უკითხოს და მისი ყოფნა-არყოფნა გადაწყვიტოს ერთ-პიროვნულად...

მასთან ყველა არსებულ კანონს უნდა ეკანონა, რადგან, როცა თვითონ სხვებისთვის მისხალის პატიებას არ აპირებდა, დამსახურებისამებრ მისთვისაც უნდა მიეზღოთ...

ეს მოარული ბოღმა რამდენიმე თვე პარკში დაბოგინობდა. ვხედავდი, მის მიმართ თანდათან ყველამ ყოველ-გვარი ინტერესი როგორ დაკარგა. უცნაურია, მაგრამ სიძულვილის გრძნობაც კი არ ამოძრავებდათ...

ზამთრის მოახლოებასთან ერთად მოხუცები პარკიდან გაიკრიბნენ, თავი თავიანთ თბილ ბუდეებს შეაფარეს.

ახლახან, როცა პარკი ისევ სითბომ და სიმწვანემ აავსო, ზოგიერთთა გამოკლებით, ისევ ჩვეულ ადგილს მივაშურეთ. ორმა კვირამ ისე გაიარა, ელიზბარი არ გამოჩენილა. ძალაუნებურად, მისი ბედით ვიღაც დაინტერესდა.

იცით, რა მომხდარა?.. ადრე გაზაფხულზე ეზოში მკვდარი უპოვიათ. მიცვალებულს ტანისამოსს რომ ხდიდნენ, პალტოს გულისჯიბიდან კონვერტი გადმოვარდნილა. საჩივრები აღმოჩნდა. ყოველ ჩვენგანს ასმენდა თურმე! ეს ხალხი დასაჭერია, სახელმწიფოს მეთაურს აუგად მოიხსენიებენ, არ მოსწონთ სახელმწიფო სისტემა, და საერთოდ, საშიშ პროპაგანდას ეწევიანო...

მოკლედ, მაგ ქოფაკმა არავინ დაინდო.

ღმერთო, მაპატიე და, ასე მგონია, ამ ჩეკისტების ძველი თაობა განსაკუთრებული ეგზემპლარები არიან. თავიანთ მავნებლურ საქმიანობას, ალბათ, საიქიოშიც წარმატებით განაგრძობენ, სპეციალური გადამცემებითა და ანტენებით აღჭურვილები, წუთითაც არ წყვეტენ „წესრიგის დამრღვევთა და სახელმწიფოსთვის საშიშ ელემენტთა“ დასმენას, და თავიანთ ბოსებს იქიდანაც მონური ერთ-გულებით ემსახურებიან...

რად გამახსენდა ახლა ყოველივე ეს?.. ჰო, კოკასთან

დაკავშირებით. ის ერთ ჩემ ახლობელს, უშანგის გადაეკიდა. ეს კაცი წლების განმავლობაში გაურბოდა, ემალებოდა. კოკა კიდევ, სადაც არ უნდა წასულიყო, მოძებნიდა და სულს უფორიაქებდა.

მალხაზისა არ იყოს, ზუსტად არ ვიცი, ეს კოკა მაგაზე მიჩენილი იყო თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ კაცს ისედაც აწეწილი ცხოვრება საბოლოოდ დაუნგრია.

უშანგი

ჩემი ცხოვრება თავიდანვე ვერა და ვერ აეწყო. ბავშვობაში ომმა მომისწრო. მამით ადრე დავობლდი. ცამეტი წლის ბიჭს ოჯახის მთელი ტვირთი მხრებზე დამაწვა. ერთი ძმა და ერთი და მყავდა. და ადრევე მეზობელ სოფელში გათხოვდა, ძმა ყალთაბანდი და დოღრიალა ვინმე გამოვიდა. ცხონებული დედაჩემი, ცალკე გაუსაძლისმა შრომამ და ცალკე ჩვენზე დარდმა, სანთელივით ჩამოადნო. საღამოობით, ვახშმად რომ დავსხდებოდით, ჯაფისაგან წელში გაწყვეტილს მაგიდასთან ისე ჩამოეძინებოდა, ორი ლუკმის გაღეჭვას ძლივს ასწრებდა.

რა სიკეთე ნახა იმან ცხოვრებაში, მის ამქვეყნად მოსვლას ან წასვლას რა ერქვა, სწორედ რომ არც ვიცი.

კითხვა მიყვარდა, ჩუმ-ჩუმად მოთხრობებს ვწერდი, მაგრამ ისეთი არავინ მეგულებოდა, ვინაც გეზს მომცემდა, მხარს დამიჭერდა და გამამხნევებდა.

დედაჩემი უსწავლელი ქალი იყო, მაგრამ ხვდებოდა, რომ ვიჩაგრებოდი და ასეთ სავალალო ყოფას დიდხანს ვერ ავიტანდი. რამდენჯერ უთქვამს, წადი შვილო, შენ მაინც უშველე შენს თავს, ამ სიბნელესა და სიდუხჭირეს იქნება როგორმე დაუძვრეო.

სანახევროდ დანგრეულ ქოხში დედა რანაირად მიმეტოვებინა?

ცხრამეტი წლის ვიყავი, სახლის შენება რომ წამოვიწყე. ჩემი ძმა მეზობელი რაიონის ტექნიკუმში სწავლობდა, თუმცა ღვინის სმასა და მცონარობას უფრო იყო გადაგებული და ოჯახის გაჭირვება სულაც არ ადარდებდა. სოფელში რომ ჩამოვიდოდა, თავის დოსტებს ჩამოივლიდა,

გამოიბრუჟებოდა და ბოლოს სახლს მოადგებოდა. „მოხვედი შვილოო?“ — გაეგებებოდა დედა. პასუხად შეუღრენდა, სადაც მოხვდებოდა, იქ მიწვებოდა, მეორე დილით კი დედას ფულს დაცინცლავდა და გაქრებოდა.

მისთვის რომ მეცქირა, ცარიელ-ტარიელი დავრჩებოდით. ჩემს სიცოცხლეში ფოტოგრაფობაზე არ მიოცნებია, მაგრამ, როცა დამჭირდა, ვისწავლე. სოფელ-სოფელ დავდიოდი და ოჯახში ორი კაპიკი შემქონდა.

სახლის მშენებლობაც ნელ-ნელა წინ მიიწევდა. ბავშვობიდანვე ათას ვიღაცას მივხმარებივარ, რასაც კი ხელს მოვკიდებდი, ასე თუ ისე, გამომდიოდა და ეს გამოცდილება მეტად წამადგა.

ძმა თვეში ერთხელ ან ორჯერ ლოთობით გამოლენჩებული მოადგებოდა სახლს და სასაცილოდ მიგდებდა: აშენებ, არა? შენ რა გითხარი, რომელი არსაკიძე შენ მყავხარო, იხუნტრუცებდა, ილაყბებდა, ჩემზე სიცილითა და ქირქილით გულს იჯერებდა, დედაჩემს ორ კაპიკს დასცინცლავდა და ისევ გაქრებოდა.

ჩემზე დამთრგუნველად ისე არაფერი მოქმედებდა, როგორც ძმის ამგვარი ცინიზმი. ახლაც ვერ ამიხსნია, რა იყო ეს. მოწამლული ხომ არაა-მეთქი, ვფიქრობდი ხოლმე. ჯიბრითა და უტიფრობით აღსავსე მისი სიტყვები მაშ, რას ნიშნავდა?

ერთხელ, მოუცლელობის გამო ფიცრების ფული გავატანე. უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. დედა მემუდარებოდა, შეეშალა, ძმაზე გული არ აიყარო და საფლავში დროზე ადრე ნუ ჩამიყვანო. ფულის გამო ძმას როგორ დავკარგავდი. რაც მოხდა, მოხდა, ალბათ, ნანობს კიდეც-მეთქი და შინ ძლივს შემოვიტყუე.

ფული მეორეჯერ რომ გავატანე, ექვსი თვით გადაიკარგა. ძებნა დავუწყე. კვირის თავზე ძლივს მივაგენი. თეთრ ციებ-ცხელება შეყრილი ვიღაც მეძავ ქალს შეჰკედლებოდა, სააქაო პირი არ უჩანდა. ქუთაისში ჩავიყვანე და დისპანსერში დავაწვინე. სამი თვე არ მოვცილებივარ. მკურნალობამ გაჭრა, ნელ-ნელა გამოკეთდა, სწავლა დაასრულა და მუშაობაც დაიწყო.

სახლის მშენებლობა გაჯანჯლდა. ყველაფერს ფული

სჭირდებოდა, ფული კი ციდან თავისით როდი ცვიოდა. ფოტოაპარატ მომარჯვებული მეზობელ რაიონებში დავდიოდი და რასაც ვშოულობდი, მშენებლობას ვახმარდი.

სახლის გადახურვაში მეზობლები დამეხმარნენ. მაშინ დავრწმუნდი, რა ძალა აქვს თანადგომას. სამწუხაროა, წლების განმავლობაში საკუთარმა ძმამ ეს სიკეთე ჩემთვის რომ ვერ გამოიმეტა.

ვოცნებობდი, სახლის მშენებლობა მალე დამესრულებინა და სწავლა გამეგრძელებინა. ის იყო, პირველი სართული მოვაწყე, მეორე სართულისთვის ფიცრებს ვაშრობდი და მალე იმასაც მოვამთავრებდი.

ერთ საღამოს დედაჩემი მეუბნება, მეზობლად მშვენიერი გოგონა სტუმრობს, გადადი, გაიცანი, სახლზე ზრუნვით დაქანცულმა იქნება გული გადააყოლოო.

გადავედი, ვნახე ის გოგო და ორი კვირის თავზე სახლშიც მივიყვანე. მამით ობოლი ყოფილა, დედამისმა კი საერთოდ არ მოიკითხა. მორჩილი, ზედმეტად მორცხვი ქალი გამოდგა. რამეს რომ ვეტყოდი, სახეზე ალმური გადაჰკრავდა. ყველას თავი შეაყვარა. დედაჩემს კვალში დასდევდა და შრომას უმსუბუქებდა. ასე მეგონა, ავშენდი, რაც მიწვალია, კეთილ მოსაგონრად დამრჩება-მეთქი.

ქორწინებიდან სამი თვის თავზე, ქუჩის ბოლოში ისეთი წივილ-კივილი შეიქნა, ვიფიქრეთ, ვიღაცა მოკლესო და სახლიდან გამოვცვივდით. კივილი თანდათან ახლოვდებოდა. ცოტაც და, ჩვენს ჭიშკარს თმაგაშლილი და სახედახოკილი უცხო ქალი მოადგა. უკან გაკვირვების შეძახილებით, რა მოხდა, რაშია საქმეო, ზღვა ხალხი მოსდევდა.

სიდედრი აღმოჩნდა. ყველაფერს ვიფიქრებდი და ასეთ რამეს გონებაში ვერც გავივლებდი. ეს სახედახოკილი და გაალქაჯებული დედაკაცი თავის ერთადერთ ქალიშვილს მიცვალებულად მოიხსენიებდა.

კაცებმა მკაცრად შეუძახეს. ერთმა, როცა ვერაფერი შეასმინა, მასზე მუშტით გაიწია. ქალს შეეშინდა და ხმა გაკმინდა.

ჰკითხეს, რა ხდება, ამ პატიოსან ოჯახს რა წივილ-კივილით მოადექი, რაშია საქმეო.

რაო და, ეგაო, — ჩემზე უთითებდა, ჩემს შვილს აწამებს, ჩემი მზეთუნახავი გოგოს რა ღირსია, მთელი ცხოვრება მაგ უშნოსა და უნდილს როგორ უნდა უცქიროსო...

მეზობლებს სიცილი აუტყდათ. გაიწიე, ერთი კარგად შემახედე, მთლად დაწყობილი ვერ ყოფილაო, იცინეს, იანგლეს და დაიშალნენ. ეს სახედახოკილი და ნახევრად-შეშლილი დედაკაცი შინ შევიპატიჟეთ. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ჭიშკართან ჩამოჯდა, ჩემი შვილი აქ მომიყვანეთ და მალაპარაკეთ, თორემ აქვე ყელს გამოვიღადრავო, დაიჩემა. მეზობლები, ვისთანაც ცოლი გავიცანი, სირცხვილისაგან თვალს ვერ გვისწორებდნენ. რა არ ურჩიეს, როგორ არ ეხვეწნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ იმ დედაკაცთან.

შვილი გამოვუყვანეთ და მარტო დავტოვეთ. მისდგა, წყევლა და ლანძღა, რაღა ამ უშნოსა და ბოგანოზე გათხოვდი, ცხოვრებას როგორ აპირებო. ჩემი ქალი მაქებდა, ნახე, რამხელა სახლი ააშენა, სწავლასაც აპირებსო.

იმ დედაკაცს არაფრის გაგონება არ სურდა.

კარგა ხანს გარეთ არ გამოგვიხედავს. ჭიშკართან გულის შემაღონებელი წუწუნი თანდათან ჩაცხრა. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ჩემმა ქალმა დედამისი დააშოშმინა და იმედმოცემულები ეზოში გამოვეფინეთ, მაგრამ სადღა იყვნენ! თითქოს მიწამ პირი უყოთ.

კვირის თავზე მეზობლების თავდებით ქალი შინ დავაბრუნე. ოთხი თვე შეურაცხყოფის დავიწყებას ვცდილობდი. ქალი საეჭვოდ დუმდა. ვგრძნობდი, ის გულითადობა და მონდომება, რასაც იგი ქორწინების პირველ ხანებში ავლენდა, გულგრილობით შეცვლოდა. საგნები ხელიდან უცვივდებოდა, ერთთავად თვალი გზისკენ ეჭირა, რაღაცას ელოდა. ფიქრებში ისე გაერთობოდა, შეკითხვის რამდენიმეჯერ გამეორება მიხდებოდა.

ოთხი თვის თავზე, სულისშემძვრელი კივილი ისევ გაისმა.

ამჯერად სიდედრი უფრო შორიდან მოჰკიოდა, უკან სამი ქალი მოსდევდა და მის დაშოშმინებას ამაოდ ცდილობდა. ჩვენს ჭიშკართან ისევ შეიყარა სოფელი. იცინეს, იყაყანეს და დაიშალნენ.

ამ გონსგადასულ დედაკაცთან არაფერი გაგვივიდა. დაჭერითა და გაციმბირებით დაგვემუქრა. მერე შვილს ხელი ჩაავლო და წაიყვანა. სოფელში იმ დედაკაცის ქცევა უკვირდათ, მაგრამ უფრო, ცალკე ჩემი ცოლის და ცალკე ჩემი უსუსურობა აოცებდათ. ჩემი ცოლი დედამისს მორჩილად გაეკიდა, ხოლო მე მისი საქციელით გაოგნებული ვიდექი და უაზრო სახით გავცქეროდი ქაქანით მიმავალ, ზურგზე ტვირთწამოკიდებულ ქალებს.

დედაჩემმა ცალკე მე არ დამაყენა, ცალკე მეზობლებს მუდარით გული შეუღონა და ერთხელ კიდევ, იმ პირობით, რომ ეს იქნებოდა ბოლო დაბრუნება, გავემართეთ სიდედრთან.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, იგი კიდევ ოთხჯერ დავაბრუნე. ამასობაში ქალი დაორსულდა. ბოლოს იგი დედამისმა მშობიარობის წინ წაიყვანა, ბავშვი ისე დაიბადა და შვიდი თვის ისე გახდა, ახლოს არ მიგვაკარა. ერთ მოჟამულ დღეს კი, რაღაც ჭინჭებში გახვეული, ნაცნობების ხელით გამოგვიგზავნა.

რამდენიმე ხანში შევიტყვე, რომ ქალი დედამისს გაუთხოვებია.

ცოლყოფილთან ჩემი ურთიერთობა თითქოს ამით დასრულდა.

წლების შემდეგ შემთხვევით შევიტყვე, მეორე ქმარსაც გასცილებია, მესამეჯერ კი, არ ვიცი, გათხოვება ვისი ხელშეწყობით მოახერხა. ორივე ქმრისგან თითო შვილი გაუჩენია, არც ერთი თვითონ არ გაუზრდია.

ჩემი გოგონა დედაჩემს ჩაემკვლელა. იმას ეძახდა დედას. მშვიდი, ზრდილი ბავშვი იყო. გარეგნობითაც არა უშავდა. წლებთან ერთად მის გონიერ თვალებში სევდამ იძალა. ჩემთვის დაუდგენელი საიდუმლო არხებით იგებდა დედის ასავალ-დასავალს და უკვე სკოლის დამთავრების წინ, დედასთან წასვლის სურვილმა მასში ისე ძალუმად იფეთქა, გაგვეპარა. ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. არც ავი უხსენებია და არც კარგი. ერთ დღეს კი არც აცია, არც აცხელა და, გინდა თუ არა, ბედნიერი ვიყოო? — მეკითხება. როგორ არა, შვილო-მეთქი. მაშინ, დედას შეურიგდიო. აქამდე ამ საკითხზე ხმა არასოდეს გაუღია. ჩვენ ამ თემას

თითქოს საგანგებოდ გავურბოდით. ყოველთვის ველოდი, რომ ეს დღე როდისმე დადგებოდა და პასუხიც თითქოს მზად მქონდა, მაგრამ დაბნეულობისაგან მეტყველების უნარი დავკარგე. მეორე დღეს ვკითხე, გუშინდელი ნათქვამი ნამდვილად შენი აზრია, თუ იმისი-მეთქი. ჩემიო. უკვე საკმაოდ მოზრდილი ხარ და იმაზე თუ გიფიქრია, ჩემს შემდეგ ორჯერ განათხოვარი ქალი რომ დავიბრუნო, რანაირ სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდები-მეთქი. მხოლოდ ხალხის აზრს ითვალისწინებ, თუ ამ საკითხს თვითონ ვერ ურიგდებიო. რა თქმა უნდა, ხალხის აზრსაც ვითვალისწინებდი, მაგრამ ქალი, რომელიც ასე დაუფიქრებლად მისდევდა დედამისს და ვისზედაც მოისურვებდნენ, იმას მიაჩეჩებდნენ, ჩემთვის მკვდარი გახლდათ.

მარინე გონიერი გოგონა იყო, მაგრამ ამისი გაგება არ სურდა. თუ ჩემთვის სიკეთე გინდა, შერიგდითო, დამიჩემა. მაშინ ვურჩიე, თუ ასე ძალიან ენატრებოდა, თვითონ წასულიყო მასთან. ასეც მოიქცა. თავისი ნივთები მოკრიბა, ჩანთაში ჩააწყო და წავიდა.

დედაჩემი ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდა. ეს რა ჩაიდინე, შენი დამყოლი ხასიათის გამო შვილიც ხელიდან გაუშვიო, მსაყვედურობდა. მიპასუხეთ, რა მექნა? შვილს ჩემთან ყოფნას ვერ ვაიძულებდი. ან თავი სანამდე მეტყუებინა.

სოფლიდან წასვლა გადავწყვიტე. დედაჩემმა იტირა, ივიშვიშა, მერე ისიც თქვა, იქნებ შენთვის ასე ჯობდეს, ქალაქში ბედს ეწიოო. რა ბედსაც ვეწეოდი და რა დოვლათსაც მოვიწევდი, თითქოს წინასწარ ვიცოდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

ჩემი ძმა და რძალი (იმან ამასობაში ცოლის შერთვა და სამი შვილის გაჩენაც მოასწრო) უცნაურად შემავლებდნენ ხოლმე თვალს და საეჭვოდ დუმდნენ. ძმა ლოთობას შეეშვა, სახლში ტრიალებდა. რძალი მშრომელი ქალი გამოდგა. სახლ-კარის მათთვის ჩაბარება მშვიდად შემეძლო.

ქალაქში ოვაციებით არავინ დამხვედრია, მაგრამ პირველი ნაბიჯები იმედის მომცემი გამოდგა. გარეუბანში ეზოიანი მომცრო ქოხი ვიქირავე. ერთ-ერთ გამომცემლობაში ფოტოგრაფად მოვეწყე. მთელ დღეს იქ ვტრიალებდი, საღამოობით კი, მაგიდას რომ მივუჯდებოდი, ყველაფერი

მავიწყდებოდა. სოფელში დაწერილ მოთხრობებს ვათეთ-რებდი, ვაშალაშინებდი, ვწერდი ახალს და რედაქციებში ვარიგებდი. პირველი სამი მოთხრობის გამოქვეყნებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. სხვა მოთხრობების დაბეჭდვასაც მპირდებოდნენ და თითქოს ერთი ხელის მოსმით გადავლახე ის წინააღმდეგობები, რაც წლების მანძილზე მაბრკოლებდა. შვილზე დარდი რომ არა, თავს, ალბათ, ბედნიერ კაცად მივიჩნევდი.

მისგან ორი ბარათი მივიღე. სტრიქონებს შორის აშკარად იგრძნობოდა, რომ არ ულხინდა. ერთი-ორჯერ მცირე დანაზოგი გავუგზავნე. ჩანდა, ვენატრებოდი, ოღონდ საკუთარი გადაწყვეტილების გამო ერიდებოდა და ამის შესახებ ხმას არ იღებდა. მთელი წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ვიტანჯებოდით. იგი ჩემთან არ მოდიოდა, თვითონ კი იმ ქალთან, ქალთან კი არა, გუგულთან (ასე შევარქვი ცოლყოფილს) მისვლა არ ძალმიძდა. შვილი მაი-ძულებდა, ჩემ პრინციპებზე უარი მეთქვა, დამეთმო.

წლისა და ორი თვის თავზე, ერთ საღამოს, სამსახ-ურის საქმეს შერჩენილი, ქოხს გვიან მივადექი. კარის წინ ჩანთაზე მჯდომი მარინე შევნიშნე. ცალი მუხლისთვის მკლავები შემოეჭდო, თავი დაეხარა და მიწას ჩასჩერე-ბოდა. ფეხის ხმაზე შეირხა, ამომხედა, რაღაც შესძახა და წამოიჭრა. მომცრო ტანის გაწლიკული გოგონა სიმაღ-ლეში წასულიყო, დასრულებულიყო, ქალური კდემითა და სილამაზით ავსებულიყო.

უხმოდ ატირდა. ოთახში რომ შევედით, დიდხანს ხმას ვერ იღებდა. დამშვიდება ვადროვე. ჩაი დავადგი, მაგიდა გავაწყე, ისიც მომეხმარა, ორი ლუკმა მოციცქნა და ცალკე მგზავრობით, ცალკე მღელვარებით თუ ლოდინით დაქან-ცულს ზეზეურად ჩაეძინა.

გუგულმა, თურმე, შვილი ვერ იგუა. შუა ღამით ქუჩაში გაუგდია. იქით ველოლიავებოდი, რას არ ვიგონებდი, რომ მისი გული მომეგო, მაგრამ ვერაფერს გავხდიო. ბოლო ქმრისაგან დანატოვარი სახლი გაუყიდია და ერთ მივარდ-ნილ ადგილას, მოუწყობელ, სანახევროდ გადახურულ ქოხმახში მდგარა. მთელი ზამთარი გამჭოლ ქარსა და ჭყაპში ვითოშებოდითო.

იმ ღამეს მეზობლებს შეუფარებიათ. მეორე დილით სახლის გამოკეტილ კარს მისდგომია, ეზოში მიმოყრილი საკუთარი ნივთები მოუკრებია და სოფელში ჩასულა. ბებია თავს შემომევლო, დამიყვავა, გული გამითბოო. ბიძა და ბიცოლა ვერ დახვედრიან გულღიად. ჩვენი ოთახი დაკავებული აღმოჩნდა და, საერთოდ, ყველაფერი გადასხვაფერებული ჩანს, ბიცოლას სახლი საკუთარ გემოზე მოუწყვია და თავი ისე უცხოდ ვიგრძენი, ბებიას მუდარის მიუხედავად, გულმა შენკენ გამომიწიაო. ისიც დაამატა, ნეტა ბებიას ჩამოყვანაც შეიძლებოდეს, ეტყობა, ბიცოლა ავიწროებსო.

მისი ნაამბობი ავად მენიშნა. მალე დედაჩემის ავადმყოფობის დეპეშაც მივიღე. ძლივს ჩავუსწარით. სულთმობრძავი მოხუცი ბნელსა და მორიალებულ სამზადში იწვა და ჩემს კითხვაზე, თავის ოთახში რატომ არაა-მეთქი, მოხუცს ასე ურჩევნიაო, გაბზარული ხმით მომიგო რძალმა.

დედაჩემის დაკრძალვის შემდეგ რამდენიმე ხნით ვაპირებდი სახლში დარჩენას, ჩემს შვილსაც ძალიან უნდოდა იქ ყოფნა. ბიძაშვილებს კოცნიდა, გულში იკრავდა, აიტაცებდა და ჰაერში აბურთავებდა. ბავშვები ჟივილ-ხივილით დასდევდნენ, მასთან ერთად დაძინებაზე ყოველ საღამოს ერთმანეთს ეცილებოდნენ და ერთი დავიდარაბა იდგა. ვფიქრობდი, მარინე ზაფხულის ცხელ დღეებს აქ გაატარებს, სექტემბრიდან ქალაქში წავიყვან და უკვე საქმესაც შევუდგებით-მეთქი, მაგრამ ჩვენთვის იმხელა სახლში არც ოთახი, არც საწოლი, სკამიც კი არ აღმოჩნდა თავისუფალი. აშკარად ვხედავდი, რძალს ლუკმა არ ემეტებოდა, თუმცა ისე ინიღბებოდა, კამათისა და მსჯელობის საგნად არ ქცეულიყო და საქმე-საქმეზე რომ მიმდგარიყო, შარი თვითონ მოგვედო.

როგორც კი ამას მივხვდი, მარინე გავაფრთხილე და გამოსამგზავრებლად გავემზადეთ.

წამოსვლის წინ რძალმა ჩანთაში რაღაც-რაღაცები ჩაგვიწყო. ეზოში ვისხედით და მანქანის მოსვლას ველოდით. რძალმა ჯიბიდან ქაღალდში გახვეული რაღაც ამოიღო, მაგიდაზე დადო და მეუბნება, გახსენი და ნახეო. გავხსენი. მცირეოდენი თანხა აღმოჩნდა. რას ნიშნავს ესმეთქი. თქვენი წილია, ამ სახლში მეტი არაფერი გეკუთ-

ვნით, დროა, თავს თვითონ მიხედოთ და კარგს იზამთ, აქ სიარულს თუ მოუკლებთო.

ძმა დუმდა. ჩვენს შორიახლოს მოთამაშე ბავშვებმაც იგრძნეს, რაღაც უჩვეულო ხდებოდა, მარინეს ირგვლივ სირბილსა და ჟივილ-ხივილს თავი ანებეს და პირდაფჩენილები მოგვაჩერდნენ.

მიწა გამსკდომოდა, მერჩივნა. იქიდან ისედაც არაფრის წამოღებას არ ვაპირებდი, მაგრამ ძნელი შესაგუებელი იყო, სახლიდან, რომელსაც წლების განმავლობაში წვალებით ვაშენებდი და ჩემს სისხლსა და ხორცს მასხრად აგდებისა და ქილიკის გარდა კეთილი სიტყვა არ გამოუმეტებია, უბოდიშოდ მისტუმრებდნენ.

ფული ქაღალდში ისევე გავახვიე, რძალს წინ დავუდე, მარინეს წამოდგომა ვანიშნე, ჩანთა ავიღე და ჭიშკრისკენ დავიძარით. ბიძია, აწი როდის ჩამოხვალთო, მომაძახა უფროსმა ძმისშვილმა. შენი მშობლები გონს რომ მოეგებიან, მაშინ-მეთქი, დამცდა უნებურად. ეს იყო და, წამოვარდა ჩემი ძმა. შე თახსირო, შე ისეთო და ასეთო, მე ყოველთვის სრულ ჭკუაზე ვიყავი და ვარ, აი შენ რა გეშველება, ისა თქვი, გირჩევნია, ამწუთას დამეკარგო აქედანო...

პასუხის გაცემა არც ღირდა.

ალბათ, უკანასკნელად შევავლე ჩემი ხელით ნაშენებ სახლსა და ნაფერებ ეზოს თვალი და მანქანის შესახვედრად გავემართეთ.

მარინე ტიროდა. ქალაქში ისე ჩამოვედით, ცრემლი არ შეშრობია.

ბედნიერი იყო, ტირილი რომ შეეძლო...

წლების განმავლობაში ხელოვნურად აღმართულ წინააღმდეგობათა გარღვევას ვცდილობდი. სიზიფესავით აღმართზე ჯიუტად მივათრევდი ვიღაცის მიერ სასჯელად დაკისრებულ ტვირთს...

აჰა, თითქოს გამოჩნდა საშველი. ქალაქში ყოველგვარ საარსებო სახსარს მოკლებულმა, ფეხი მოვიკიდე. მარინე სასწავლებელში მოეწყო, თავდაუზოგავად ვშრომობდი, ვბეჭდავდი მოთხრობებს, წერილებს, სამსახურიდან სახლში დამატებითი სამუშაო მიმქონდა და საარსებო წყაროს ამ გზით ვიჩენდი, მაგრამ ამ ჩემ სატანჯველად ქცეულ

აღმართზე კოკას გადავეყარე და იმასთან შედარებით, რაც ამ მცონარამ და არაკაცმა შემამთხვია, ადრინდელი წინააღმდეგობები კაცს ბალღურ ხუმრობად მოეჩვენებოდა.

სუფთა მწვალებელია. რა უნდა, მგონი, თვითონაც არ იცის. თუმცა, იქნება იცის, ჰა?

თავიდან ყველას ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს კეთილი, დაბნეული და არაპრაქტიკული კაცი იყოს. ეგ მე მკითხეთ, ვინცაა. მართალია, დიდხანს მატყუებდა, მაგრამ ზრახვებს ბოლოს მაინც მივუხვდი.

ერთ უცნაურ ქალთან გავიცანი. ეგ ქალი, ყველაფერთან ერთად, წიგნებითაც ვაჭრობდა. გაჭირვებული ხალხისგან საქონელს ჩალის ფასად იძენდა და ნაცნობ-მეგობრებში სარფიანად ასაღებდა. იატაკქვეშა ბუკინისტი იყო, რაღა. ერთი-ორჯერ მისგან ლექსიკონები შევიძინე. რამდენჯერაც მივედი, ქერათმიანი, ინტელიგენტური გარეგნობის თავაზიანი ახალგაზრდა უჯდა მაგიდას და წიგნებს ფურცლავდა.

ჩემი გულუბრყვილობით იყო, თუ იმას ჰქონდა ასეთი მეთოდი გამომუშავებული, არ ვიცი, ადვილად გამეცნო, მაშინვე გამიშინაურდა. მეც ვწერო, რა ბედნიერებაა, თანამოკალმეს ასეთ ადგილას რომ გადაეყრებიო, დაიშაქრა და დადნა.

კვირის თავზე შინ მიმიპატიჟა, მომავლის გეგმები გამანდო, თავისი ოჯახის ისტორია დაწვრილებით მიამბო. ჩემთან დაახლოებას ეშურებოდა. ერთი მხრივ, ასეთ განათლებულ კაცთან ურთიერთობის გამო მოხარული კი ვიყავი, მაგრამ სად მქონდა მასთან საათობით ჯდომისა და ამაღლებულ თემებზე საუბრის დრო? დღისით სამსახურში საქმეს ვერ ავუდიოდი. საღამოობით უსათუოდ სახლში უნდა ვყოფილიყავი. საწყალმა დედაჩემმა მარინე იმდენად აზიზად გაზარდა, უბრალო კერძის დამზადებაც არ ეხერხებოდა. რა თქმა უნდა, ეს ჩემი ნაკლიც იყო და ამისი საზღაური მწარედ ვიწვნიე. შიმშილით რომ დაოსებულიყო, პურს არ მოიტეხდა და არ შეჭამდა, თავს არც რეცხვასა და ბინის მოვლას აკლავდა. მეცადინეობდა, თავისუფალ დროს ტელევიზორს იყო მიჩერებული ან ვინმეს

ესაუბრებოდა, მე კი ელექტროქურასთან ვტრიალებდი ან სარეცხს ვრეცხდი. დამქანცველი საქმიანობის შემდეგ მაგიდას მივუჯდებოდი, ვწერდი ან ვკითხულობდი, მაგრამ ჩემს ნამუშევარს გადაღლილობისა და ზერელეობის კვალი აშკარად ეტყობოდა. სად დამშვიდებული, გაწონასწორებული ადამიანის ნაშრომ-ნაღვაწი და სად ათასგზის გასახლეჩად განწირული კაცისა.

კოკას ჩემი დარდი სულაც არ ჰქონდა. იმდენი ვინმე ჰყავდა შემოკრებილი, მიკვირდა-ხოლმე. ხშირად საინტერესო დისკუსიებსაც მართავდნენ. მათ მსჯელობებში ბევრი რამ მოსაწონი იყო, ბევრიც მიუღებელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ახალგაზრდები ეძებდნენ ახალ გზებს, მსჯელობდნენ, დაუსრულებლად კამათობდნენ. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულები, ჭაბუკური გზნებით ზოგჯერ ერთმანეთზეც გაიწევდნენ. ვიღაცა შუაში ჩაუდგებოდათ და ურთიერთობას ჭიქა ღვინით, კოცნითა და ფიცილით-მტკიცილით გაამყარებდნენ.

კოკა ამ ხალხს თითქოს საგანგებოდ კრებდა. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც დიდ დროს ართმევდნენ და ერთთავად წუწუნებდა, ხელს მიშლიანო, მასთან მიმსვლელთა რიცხვი დროთა განმავლობაში კი არ კლებულობდა, არამედ მატულობდა და შემადგენლობაც მუდმივად იცვლებოდა. რა იყო ეს? ხომ შეეძლო მათი რიცხვი შეემცირებინა ან საერთოდ დაენებებინა თავი და საკუთარი ცხოვრებისთვის მიეხედა, მაგრამ „მისიონერული“ ღვაწლით ატანილს, ვითომ საკუთარი თავი არც ახსოვდა.

მთელი ეს მისვლა-მოსვლები ერთი შეხედვით წყლის ნაყვას მოგაგონებდა, თუმცა ყურადღებით რომ დაჰკვირვებოდი, მიხვდებოდი, რომ მკაცრად ორგანიზებული ბირთვი ჰყავდა შეკრული, რომელიც ფუტკრის სკასავით მუდმივ ფუსფუსში იყო: რაღაც ცნობებს აგროვებდა, შემდეგ ავრცელებდა, ვიღაცას რაღაცა უკეთდებოდა, ვიღაცას რაღაცა უფუჭდებოდა, რაც ჭიქა ჩაიზე ან ყავასა და ხილზე დაპატიჟებულთაგან ყოველგვარი დაძალებისა და წამების გარეშე მიერთმეოდა, და ეს ცნობათა შესაკრებელი და ასევე გამავრცელებელი წრე ისეთი წარმატებით მოქმედებდა, ვინმე იშვიათად თუ ეჭვდებოდა, რომ ამ

გზით მოპოვებული ინფორმაციები კოკას დოსტებისთვის მეტად საშური და ძვირად ღირებული იყო.

სანამ ამას მივხვდებოდი, იმ მაგიდას მეც ვუჯექი და რაღაც-რაღაცებს ვყვებოდი, თუმცა უფრო ის აქტიურობდა და ამით საქმეს მიიოლებდა. ისიც ბუნებრივია: როცა ვინმე გულს გადაგიშლის, საპასუხო რეაქცია შენშიაც აღიძვრება, მაგრამ როგორაც არ ეცადა, რატომღაც, გინდათ ინტუიცია დაარქვით და გინდათ გულის კარნახი, ბოლომდე ვერაფრით ვენდე. როგორც კი პირადულსა და ჩემთვის სანუკვარს მივადგებოდი, მახსოვრობის კარს მჭიდროდ ვგმანავდი და საუბარს მესამეხარისხოვან თემაზე გადავიტანდი. თუმცა, მაგ გველთამჩხიბავს რას გამოაპარებდი! ყველაფერს განდობ, თვითონ კი რამდენ რამეს მიმალავო, წამოსცდა ერთხელ. გამეცინა. ჩემი დაცარიელება რაში გაწყობს, რასაც იგებ, ისიც იკმარე-მეთქი, გავკენწლე. ვითომ ეს რა შუაშიაო, თავი მოიკატუნა. რა ოინბაზი იყო?!. როგორც კი მის ზრახვებზე ვინმე გეშს აიღებდა, გზა-კვალის ასარევად ისეთ ბუქს დააყენებდა, თავბრუს დაახვევდა და თუ ვინმე ოდნავ სისუსტეს გამოიჩენდა, დარწმუნებული იყავით, ყოფას უტირებდა.

ჩემს გამოსატეხად სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. მაოცებდა, როგორი გულუბრყვილო გამომეტყველებით, შერჩეული ტაქტითა და თითქოს ჩემზე ზრუნვით იყო ეს ფანდები შემოთავაზებული. ის სიცბიერე, რაც ამ მიზანს ედო საფუძვლად, აისბერგის წყალქვეშა ნაწილივით ძნელად შესამჩნევი იყო.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რაც უნდა დაჯდომოდა, უნდა გამოვეტეხე. რატომ? არ ვიცი. ცხოვრებაში ისეთი არაფერი ჩამიდენია, რისი გამხელისაც უნდა მშინებოდა, მაგრამ ჩემდაუნებურად, თავს ვიკავებდი.

ერთხელ, იწილ-ბიწილოს თავი ვანებე და პირდაპირ ვკითხე, ჩემი ცხოვრების კერძოდ რომელი მონაკვეთი უფრო გაინტერესებს და რა მიზნით-მეთქი. შეცბა. გონი რომ მოიკრიბა, შენგან ასეთ უნდობლობას არ უნდა ვიმსახურებდე, მე ხომ ყველაფერს გიყვები, და რაღაც-რაღაცებს რატომ მიმალავო. ალბათ, ასეა საჭირო, შენ თუ

ენაზე არაფერი გადგება, რა ჩემი ბრალია-მეთქი. აიმრიზა, მერე სხვა თემაზე გადაერთო და სანამ მასთან დავდიოდი, ვგრძნობდი, ჩემთან ურთიერთობისას, ეს ეპიზოდი ხელს მეტისმეტად უშლიდა.

როგორც თანდათან ვიგებდი, იგი თავის თავგადასავალს ყოველ მიმსვლელს სხვადასხვა ვარიანტში უყვებოდა. მალხაზთან ურთიერთობის თემა მისთვის თავისებურად ამოუწურავი საბადო გახლდათ, საიდანაც ყოველდღიურად იღებდა ხოლმე ახალ-ახალ ცნობებსა და ინფორმაციებს, ზოგს თვითონ თხზავდა, ზოგი სიმართლესთან ახლოს იდგა, ზოგიც სხვების ნატყუარი გახლდათ. მთელი მისი ყურადღება და ძალისხმევა მიმართული იყო მალხაზის პიროვნების გაბიაბრუებისკენ. სიხარულნარევი ზიზღითა და ათვალწუნებით საუბრობდა მის საქმიანობაზე, ადამიანებთან ურთიერთობის მისეულ მეთოდზე, და, საერთოდ, უარყოფით თვისებებზე. ყურადღებით რომ მოგესმინა, შეუძლებელი იყო, მალხაზი არ შეგძულებოდა. ყველაზე ტანჯულად ნუკრი გამოჰყავდა, მერე საკუთარი თავი. რიგითობა მკაცრად ჰქონდა დადგენილი. ყოველ მიმსვლელთან ურთიერთობა მალხაზის პიროვნების უარყოფით მხარეთა ჩამოთვლით იწყებოდა, ურჩხულად წარმოადგენდა, მასთან სიარულსა და ნაცნობობას კრძალავდა და მის ირგვლივ ზიზღსა და უნდობლობას თესდა.

განსაკუთრებით ნუკრისთან დაკავშირებით ასწორებდა მიწასთან. იმ დროს ნუკრი გადასახლებაში იმყოფებოდა. მალხაზი და ის ერთი საქმის გამო ჩავარდნენ. მალხაზი ციხეში ჩაჯენას გავლენიანი მამის წყალობით გადაურჩა და მიმაგრება აკმარეს, ნუკრის კი ნასამართლობა რამდენჯერმე გადაუვადეს. თავიდან სამი წლის პატიმრობამისჯილი მეცხრე წელს იხდიდა. ეგაო, სულ მალხაზის დამსახურებააო. მაგან არა მარტი ნუკრი, მთელი მეგობრები ჩაუშვაო, ლანძღავდა და თათხავდა. არ ვიცი, მისდიოდა თუ არა მალხაზს კოკასგან მისი განქიქების ამბები, მაგრამ მალხაზს კოკაზე აუგი რომ ერთხელაც არ დასცდენია, ამისი მოწმე მრავალჯერ ვყოფილვარ.

ამ თვისებებმა კოკას ბევრი ვინმე ჩამოაცილა. ყველაზე

დიდხანს, ალბათ, მე და რამდენიმე კაციღა შევრჩით. მისგან მალხაზის ლანძღვას თავიდანვე ეჭვით ვხვდებოდი. რამდენჯერ ვურჩიე, ვინმეს ასე დაუზოგავად განქიქება შენს პიროვნებას არაფერს ჰმატებს, ჯობს შენს საქმეს მიხედო, თუ მალხაზი ამგვარი მტარვალია, ადრე თუ გვიან, უფალი თავისას მიუზღავს-მეთქი. უფლის განაჩენს როდემდე უნდა ველოდოო, გამიპროტესტა. მოკლედ, ზიზღმა დამნაშავედ აქცია. კანონის შიში რომ არ ჰქონოდა, ალბათ, სასიკვდილოდაც გაიმეტებდა. ახლა შესაძლოა, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლიაო, უარყოს, მაგრამ ყოველ მის ფრაზაში ეს ფარული სურვილი იგრძნობოდა.

ჯანდაბას, მაგის თავი. მაგან მალხაზს, ძაღლისა და ქარავნისა არ იყოს, ვერაფერი დააკლო, მაგრამ რა უნდოდა ჩემგან, უფრო სწორად მარინესთან. რატომ გადაეკიდა, რატომ დამიღუპა შვილი? მეგობრები მეუბნებიან, მალხაზივით შენც ეჭვიანი გახდი, თქვენს წინაშე კოკას არავითარი ბრალი არ მიუძღვისო. ამისი დამტკიცება მართლაც მეტად რთულია, რადგან აქ უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორია მთავარი და არა რაღაც თვალსაჩინო მაგალითები. ჩემი ეჭვები თავიდან იდეის ხასიათს ატარებდა, მაგრამ როცა მარინემ, ამ ბავშვობაგამოუვლელმა, ადრე დაობლებულმა ჩემმა შვილმა, რომელსაც შეეძლო მიყოლებით მთელი კვირა ღამე ეთია, ეწერა, ეკითხა, ჩემ თვალწინ, თანდათან ყოველგვარი უნარი და ყველაფრის სურვილი დაკარგა. ერთ დღეს სასწავლებლიდან თავგადახოტრილი, უცნაურად ჩამოძონძილი მოლასლასდა შინ, ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, საწოლზე პირაღმა დაეცა, გაგუდვამდე ექაჩებოდა და ჩემს კითხვაზე, რას ნიშნავდა ყოველივე, მრავალმნიშვნელოვნად, ყველაფერი დამთავრდაო, ამოიოხრა, მერე იტირა, იღრიალა, წამოვარდა და სახლიდან გაიჭრა.

ქუჩა-ქუჩა დავდევდი. სასტიკი, სუსხიანი ღამე იდგა. ქარბორიასგან ხეებს ლიწინ-ლიწინი გაუდიოდა. დილამ ამ დევნაში მომისწრო. ვიღაცები აეკიდნენ. მოშორებით მივყვებოდი და ვხედავდი, სადარბაზოსკენ როგორ უბიძგეს. იგი წინააღმდეგობას ვერ უწევდა. სისხლმა თავში ამასხა. მივეჭერი, დავჭყივლე და მოძალადეთ ხელიდან

გამოვგლიჯე. თვალებჩამქრალი, სიცივისაგან მობუზული და მუშტისხელად ქცეული, აქ საიდან გაჩნდიო, გაოცებით შემომაცქერდა. შორიდან თვალს გადევნებდი-მეთქი, ავუხსენი. ისევ გამექცა. გამოვუდექი. მილიციის შენობაში, თავს დამესხაო, კივილით შევარდა. დამაკავეს. პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიტანა და მოწმეების მიყვანა დამჭირდა.

შინ რომ დავაბრუნე, ოდნავ დამშვიდდა. მთელი დღე და ღამე იძინა. გამოღვიძებულს წინა ღამის ფათერაკებიდან თითქმის არაფერი ახსოვდა. ძალიან ფრთხილად, ისე რომ, არ გამეღიზიანებინა, გამოვკითხე, რა შეგემთხვა, რა გაწუხებს, რით შემიძლია გიშველო-მეთქი. დუმდა. ნურაფრის გეშინია, ნურც ნურაფრის გერიდება, ოღონდ სიმართლე გამიმხილე-მეთქი. კარგი, გეტყვი, მაგრამ ვშიშობ, ამ სიმართლემ თვითონ არ გაგანადგუროსო, მრავალმნიშვნელოვნად მომიგო. მაინც-მეთქი? გახსოვს, შარშანდელი გიორგობის კვირაძალს კოკასთან ფოტოფირები რომ გამატანეო? გავიხსენე. ჰოდა, მე იქ იმან და მისმა ძმაკაცებმა დამღუპესო. განრისხებული წამოვიჭერი. შენ ახლა რომ გაიფიქრე, იმას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ რაღაც სეანსში ჩამრთეს... და იმის შემდეგ გონებაარეული და დათრგუნული დავდივარ, ზოგჯერ თავს ვერ ვერევი, არ ვიცი, რა მომდისო.

თავზარი დამეცა-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტა იქნება. თითქოს მთელი დედამიწა ზედ ჩამომემხო, გამსრისა და მიწის წიაღში ჩამლექა.

ამასთან რა უნდოდათ, რატომ, რატომ?!. ეს ქაოსიდან გამოხმობილი, ერთადერთი ხორცშესხმული არსება, რომელმაც ჩემს სიცოცხლეს განუმეორებელი აზრი შესძინა, რატომ გაწირეს, მაინცდამაინც მას რად დაადგეს თვალი-მეთქი, ეს ფიქრები მტანჯავდა.

„ზოგჯერ სიცოცხლე უსაშველოდ მწყურია, მაგრამ როგორც კი ჩემს სხეულს რაღაც ეშმაკეული შემოუჩნდება და წეწვა-გლეჯას დაუწყებს, ყველაფერი საშინლად მძულდება...“

„ვაი, შენს მამას!.. — სიმწრით ვფიქრობდი. — ნუთუ, ის მზაკვრული, გამთანგველი ზემოქმედება მაინცდამაინც ამ ჩემს ბავშვობაწართმეულ და გატანჯულ, ერთადერთ

შვილზე მოახდინეს. რატომ, ან იმას, ან მე ვისთვის რა დაგვიშავებია. რაო, კოკას წინაშე სრული მორჩილება რომ არ გამოვიჩინე, იმის გამო?.. თუ ასე იყო, სულაც ჩემთვის წაერთმიათ გონი ან მოვეკალი და ჩემი დედის ალერსს მოკლებული გოგონასთვის ხელი არ ეხლოთ...“

„ცის თაღქვეშ უზარმაზარი, გამჭვირვალე არსებები დაჰქრიან, ელვისებურად დაეშვებიან, თმაში ჩამაფრინდებიან, ამიტაცებენ და, როცა აგერ-აგერ ცის გუმბათს უნდა შეეხონ, ხელს მიშვებენ, თვითონ კი ჭილყვავების შემზარავი ჭყივილით ჰორიზონტს მიეფარებიან და თვალს იქიდან მადევნებენ. ფრენა თითქოს საუკუნე გრძელდება, დაშვება უმტკივნეულო და მსუბუქია, მაგრამ როგორც კი მიწას ფეხს შევახებ, გულ-ღვიძლის ადგილზე რაღაც ჩამწყდება, განათდება, თვალებიდან ბრჭყვიალა ბურთულები დამცვივა, შემდეგ კი თითქოს ღრუბელთა ქულები შემომეგებნენო, მათ ფუმფულა ფთილებში ჩავეფლობი და მერე არაფერი მახსოვს...“ — ყვებოდა იგი.

ამის მოსმენას ძალა ხომ უნდოდა?!.

წონასწორობას ვკარგავდი, შინიდან გავიჭრებოდი, რომ კოკას და მის ძმაკაცებს მივვარდნოდი, მაგრამ ქალაქში ვიბორიალებდი, გულისწყრომა თანდათან გამინელდებოდა და შინ ქანცგაწყვეტილი ვბრუნდებოდი.

მარინე საათობით გაუნძრევლად იჯდა, მუდმივად რაღაცას იყო მიყურადებული. ჭამა არ ახსოვდა, წყურვილს ხომ საერთოდ ვერ გრძნობდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, დღეში სამი კოლოფი არ ჰყოფნიდა. რაც უნდა გეთქვა, ვერ შეასმენდი. თავიდან მაინც მეგონა, ჯიუტობს, ასე განგებ იქცევა-მეთქი, მაგრამ, როცა ამგვარი მოქმედება ჩვევად ექცა, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ილუზიებს კიდევ ვებღაუჭებოდი, მივხვდი, საქმე ძალიან ცუდად იყო. გავიკითხ-გამოვიკითხე და საუკეთესო მკურნალთან მივიყვანე. საქმე უფრო უარესად ყოფილა, ვიდრე მეგონა.

შინიდან გასვლის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა. ექიმმა მირჩია, სადმე გაიყვანე, სოფლის ჰაერი და მყუდროება მოუხდებაო. როგორც კი ეს შეიტყო, დაიჩემა, გინდა თუ არა, დედასთან მინდაო. წავიყვანე. დედამისს

თითქოს შვილის ნახვა გაუხარდა. მარინეს ხასიათი გამოუკეთდა, თვეების მანძილზე პირველად გაიღიმა. შემოდგომა იდგა და დედამისს ხილის კრეფაში ხალისით ეხმარებოდა. გულდამშვიდებით დავტოვე და ჩამოვედი, რომ მის დევნასა და მღელვარებაში გატარებული დრო როგორმე ამენაზღაურებინა.

ჩავუჯექი ნაწერებს, სამსახურშიც უფრო მობილიზებული გავხდი და ყველაფერი ეს იქითკენ იყო მიმართული, ორი კაპიკი მეშოვა და მარინესთვის მემკურნალა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. რამდენიმე დღეში მარინე გაიქცაო, დედამისისგან დეპეშა მივიღე. რაიონში ჩავედი, იქიდან ჩემს სოფელში. შინ არ მივსულვარ. მარინეს ამბავი ნათესავებთან გავიკითხე. მეზობლებს დედაჩემის საფლავზე უპოვიათ. ორი დღე და ღამე მჯდარა იქ. დიდი ხვეწნა-მუდარით გადაუყვანიათ დედაჩემის ძმისშვილებს, მოფერებიან, დაუყვავებიათ.

ჩემს დანახვაზე აიმრიზა. რა გინდოდა, რას მორბოდიო, მისაყვედურა. ავადმყოფობა მკვეთრად ეტყობოდა. ნათესავებმა რა არ მირჩიეს, ხელი მომიმართეს და მარინე ერთ კვირაში წამოვიყვანე. ძმა და რძალი ჩვენი ბედით არც დაინტერესებულან, მარინეს ბავშვებიც არ გააკარეს.

ჩამოვედით. იგი მთელი დღეების განმავლობაში მარტოდმარტო, გარინდული იჯდა ოთახში. წამალს არ იკარებდა, უზომოდ ეწეოდა, თითქმის არაფერს ჭამდა. ზოგჯერ წამოუვლიდა, აგრესიულად მეპყრობოდა. ბინის პატრონი კარგა ხანს გვერიდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაინტერესდა და ჩვენს ცხოვრებაში საბედისწეროდ ჩაერია.

მარინე ფსიქიატრიულში ზედიზედ სამჯერ მოხვდა. იქაც და ყველგან კოკას ხელს ვგრძნობდი. არ ვიცი, ასე რატომ გადამეკიდა. ბინა გამოვიცვალე. მომაგნო. ვითომ ჩვენი ბედით იყო შეშფოთებული. ორჯერ ფულიც მომიტანა. ხელი არ მიხლია. თავი დაგვანებე, არც შენი დახმარება გვჭირდება და არც არაფერი, როგორც კი რამე საშუალება გამიჩნდება, რაც კი მანამადე მოგიცია, კაპიკ-კაპიკობით დაგიბრუნებ-მეთქი. ხმა არ გაუღია. მაშინ აშკარად ვიგრძენი, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებდა.

ომარი

უშანგი კოკამ გამაცნო. ჩუმი, უპრეტენზიო კაცია. როგორც იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს. კარგ ლიტერატორად მიიჩნევა. მისი მოთხრობები ძალიან მომწონს. ამ კაცზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. ესაა, ბოლო ხანებში მეტად გაუჭირდა. ამ გაჭირვების თავი და ბოლო კი, სამწუხაროდ, შვილია.

სულ მაინტერესებს, რა ავადმყოფობაა ისეთი, ეს შვილივით გოგო ასე ულმობლად რომ გაანადგურა. ადრე თუ გყავთ ნანახი, მერწმუნეთ, ვერ იცნობთ. მეტისმეტად შეიცვალა, ერთიანად დასივდა, სახე არანორმალურად აქვს დეფორმირებული, თვალები უზომოდ გადიდებული და... უაზრო.

ცნობილ ფსიქონევროპათოლოგთან ერთად მივიყვანეთ.

იმან გულდასმით გასინჯა, დიდხანს ესაუბრა, ანალიზების გაკეთება მოსთხოვა. ორი კვირის შემდეგ დამირეკა, შიზოფრენიის აშკარა გამოვლინებები აქვს, ამასთან, მოწამლულიცაა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებსო და ამ გოგოს ავადმყოფობა გულთან ისე ახლოს მიიტანა, თითქმის არაფერი დაუკლია: შინ აკითხავდა, ხანგრძლივად ესაუბრებოდა, უფასოდ ძვირადღირებულ წამლებს აძლევდა, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღო.ეს ავადმყოფობა ხშირად გენეტიკურია, ადვილად შესაძლებელია, მის ჩამოყალიბებაში დიდი ზეგავლენა გარემო პირობებსაც მოეხდინაო, ამიხსნა.

მარინე ავად ჩემ თვალწინ გახდა. მთლად ჯანმრთელი, ვფიქრობ, არც მანამადე ყოფილა. გატრუნული იჯდა ხოლმე სადმე კუთხეში და საათობით იატაკს იყო დაჩერებული.

წარმოიდგინეთ, ნესტიანსა და ჩაბნელებულ მომცრო ოთახში მამასთან ერთად შეხიზნული თვრამეტ-ცხრამეტი წლის სიცოცხლის წყურვილით აღსავსე გოგონა.

ორი ნასხვისარი რკინის საწოლი, მრგვალი, მუშამბაგადაფარებული დანჯღრეული მაგიდა, ძველი ტელევიზორი, დაჩრჩილული განჯინა, წიგნებითა და ხელნაწერე-

ბით გამოტენილი წალო, ოთხი ფეხებმოღრეცილი სკამი და მომცრო მაგიდაზე დადგმული მოშლილი საბეჭდი მანქანა.

ეს იყო მთელი მათი ავლადიდება.

დაწოლის წინ მამა წინკარში გადის. გოგონა კედელზე დამაგრებულ, კიდეჩამომტვრეულ სარკესთან ჯდება, ქერა, ნაზ თმას ჩამოიშლის, გულდასმით ივარცხნის, თავზე თავსაფარს გადაიკრავს, სახეზე მოვარდისფრო კრემს წაიცხებს, შუქს აქრობს, სამოსს სწრაფი მოძრაობით იხდის და წვება. მოგვიანებით მამა კარებს უხმოდ შემოაღებს, ოთახის მეორე კუთხისკენ ფეხაკრეფით მიიწევს, გზად რაღაცას წამოედება. ბრახუნი, გოგონას უკმაყოფილო ბუზღუნი და შეცბუნებული კაცის ბურდღუნი ერთმანეთში ირევა.

მთელი ღამე საწოლში მოუსვენრად წრიალი, დილაბინდზე ოთახში ბოლთის ცემა. ჩივილი უძილობაზე, უსახსრობაზე, უამურ ცხოვრებაზე, მოწამლულ ახალგაზრდობაზე... ონკანთან დიდხანს წყლის დგაფუნი, სარკის წინ ჩალისფერი, ერთადერთი გამოსასვლელი კაბით ტრიალი, დაბალქუსლებიანი, გამძლე ფეხსაცმლის ძირების კაკუნი წინკარში და, სრული სიჩუმე.

კაცი თვალს ახელს. ერთხანს გარინდული შეჰყურებს ბათქაშჩამოცვენილსა და აქერცლილ ჭერს, ნელა წამოიმართება, ძარღვებდაბერილ, შესიებულ ფეხებს საწოლზე ფრთხილად გადმოაწყობს, ზურგსუკან ბალიშს ამოიჩრის და ღამის ნათურას ანთებს. ოთახში ნახევრადწყვდიადი იფანტება. სკამზე დახვავებულ ხელნაწერებს დასწვდება, ფურცლავს, უკმაყოფილო სახით არშიებზე გაკრული ხელით შენიშვნებს წერს, მერე ხელნაწერებს უეცრად სკამზე მიყრის, დგება, მაგიდისკენ მიემართება და თეფშებზე გადაფარებულ გაზეთს გადაწევს.

პურის ნატეხებს, ნახევარ ქილა ჯემს, ცარიელ საშაქრეს, გაურეცხავ ჩაის ფინჯნებს, კოვზებსა და ჩაიდანს, თითქოს მათ იქ დანახვას არ ელოდა, ამრეზით დახედავს, ისევ გადააფარებს გაზეთს, სკამზე გადაკიდებულ, მუხლისთავებზე გაცრეცილ შარვალს დასწვდება, ზლაზვნით ჩაიცვამს და ქსუტუნ-ქსუტუნით ონკანისკენ მიემართება, წყალს მოუშვებს, სახეზე პეშვით რამდენიმეჯერ ნაჩქარევად შეისხურებს, თითქოს ცოცხლდება, ჩაიდანს

გაზქურაზე შემოდგამს, მაგიდას მიუჯდება, გაზეთს დასწვდება და გადაშლის...

გოგონას ხშირად ლუკმაპური ენატრებოდა. მისი ტოლები ყირაზე გადადიოდნენ, ეცვათ, ეხურათ, ქეიფობდნენ, დროს უქმად არ კარგავდნენ. მისი გზა კი, სასწავლებელი — ბინა, ბინა — სასწავლებელი, ათასში ერთხელ კინო, იაფფასიან სასადილოში წყალწყალა კერძი. ერთსა და იმავე კაბას იმდენჯერ გადააკეთებ-გადმოაკეთებდა, საბოლოოდ, ფორმას კარგავდა. დარდი დედაზე. შელაპარაკებები მამასთან. გაქცევა. რაღაც შემოსავლიანი საქმის მოძებნის სურვილი. ხელმოცარვა. დამსხვრეული სიყვარული. აუხდენელი ოცნებები. შიმშილი. სიცივე. უიმედობა. ყოველ ნაბიჯზე თავშეკავება. ირგვლივ კმაყოფილი, ბედნიერი ღიმილით გაცისკროვნებული სახეები...

ჩემი აზრით, უშანგი ცდება, როცა შვილის ავადმყოფობას კოკასა და მის გარემოცვას აბრალებს. რა ვიცი, იქნება მაგათ ამ ამბებში მართლაც რაღაც წილი უდევთ, მაგრამ, ასე მგონია, მარინე უფრო პირადმა მოუწყობლობამ და უპერსპექტივობამ დააავადა.

ესეცაა, მუდმივმა ხელმოცარვამ თვით უშანგიც ეჭვიანი გახადა. მგონია, ეჩვენება, რომ ვიღაცა დევნის, თითქოს ვიღაცა მის წინააღმდეგ მზაკვრულ გეგმებს ხლართავს. რა ვიცი, რაღა მას და მის შვილს გადაეკიდნენ. თუ ეს ნამდვილად ასეა, რაში დასჭირდათ? უშანგი ხომ ისეთი ვინმე არ ყოფილა, რომ საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი სჭეროდა და მისი დათრგუნვით სხვებისთვის დაენახვებინათ, რომ ვინც ამ სისტემას არ ემსახურება, ყველას ამგვარად გაუსწორდებიან. დაუჯერებელია. ასეთი რამ ხომ დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. იმისი თქმა როდი მინდა, თითქოს ყველაფერი ისეა აწყობილი, მგელი და კრავი ერთმანეთს ფიცულობდნენ, მაგრამ მიპასუხეთ, უშანგის აგრერიგად დაჩაგვრა ვის რაში დასჭირდა?

ლერი

უშანგი კი არა, თვითონ ომარი ცდება, თუმცა, მგონი, უფრო თავს იკატუნებს და აი, რატომ:

იმ უმსგავსობებზე სიტყვა არ დასცდენია, რაც კოკამ წლების წინ შეგვამთხვია. თუ არ ახსოვს, შევახსენებ. თუ ახსოვს და მაინც დუმს, ეტყობა, რაღაცაშია საქმე.

ჯერ კიდევ ახალი გაცნობილები ვიყავით, კოკამ ერთ კინომსახიობ ქალბატონთან რომ გვასტუმრა, რომლის პირადი ცხოვრება ისე მურტლად აეწყო, აგერ, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, კინოში გადასაღებად არ იწვევენ. ათასში ერთხელ, ქუჩაში წიწკვივით ჩაცმული გამოჩნდებოდა. გადატკეცილი, უცნაურად დახატული სახე და კეკლუცი მიმოხვრა მის ასაკს უფრო თვალშისაცემს ხდიდა და ბუნებრივი სილამაზის თაყვანისმცემელთ ამ ქალის მიმართ ანტიპათიურად განაწყობდა. შორიდან სანდომიანადაც კი გამოიყურებოდა და ხალხი თვალს რომ მოჰკრავდა, ჩერდებოდა, მაგრამ მათ მზერაში სიბრალული უფრო იგრძნობოდა, ვიდრე მისი გარეგნობით აღტაცება ან მოწონება, სიბრალული თვრამეტ-ცხრამეტი წლის გოგონას როლში ჩარჩენილი, ასაკოვანი ქალის მიმართ.

დროდადრო იგი ტელეეკრანიდან რეჟისორებს მიმართავდა, რომელიმე ფილმში გადამიღეთ, მე ხომ პროფესიონალი კინომსახიობი ვარ, ხალხს ჯერ კიდევ ვახსოვარ და ვუყვარვარო...

ეს ამ ქალის ტრაგედიაა. ისევ თავისი პირველი რომანტიული როლით სულდგმულობს და, ვერ გაუგია, კინო დღევანდელობას სულ სხვა მოთხოვნებს რომ უყენებს, გადაპრანჭული ლამაზმანების ადგილი ღრმა ინდივიდუალიზმით გამორჩეულმა მსახიობებმა დაიკავეს...

ქუჩაში რომ ვხვდებოდი, თვალს ვარიდებდი. ჩემი შესაცოდებელი რა სჭირდა, მაგრამ მეცოდებოდა, რადგან ბედისწერა ულმობლად მოექცა, თუმცა რაღაც-რაღაცები მისი ბრალიც იყო: ჩანს, ცხოვრებას ალღო ვერ აუღო ან სუსტი ინტუიცია ჰქონდა, თორემ, როცა მისი „აფსაიტში“ ყოფნა ასე დიდხანს გაგრძელდა, რამე უნდა ეღონა.

წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე დავდგებოდი, როცა ვიღაცის მიმართ ასე უარყოფითად ვიყავი განწყობილი, მსურდა მოვრიდებოდი, მაგრამ იძულებული გამხადეს, ვხლებოდი.

...კარი შეუხედავმა იმდენად არა, უფრო, უჟმურმა

ახალგაზრდა კაცმა გაგვიღო. კოკას ავად შეუბღვირა. ლამარა ავად არის, მაგრამ არა უშავს, მაინც მიგიღებთო, იქედნურად გამოსცრა, მერე, ლამარა, შენთან არიანო! — დაიძახა და უეცრად, რაღაც ყუთებითა და ნახატებით გადატვირთულსა და ნაირ-ნაირი ბრებით გაბრდღვიალებულ საძინებელში გვიკრა თავი.

უზარმაზარ, ოქროსფრად მოვარაყებულ თეთრ საწოლში მწოლმა, ჟაბოებიან, ფაფუკ საბანში ნებიერად გახვეულმა ქალბატონმა უკმაყოფილო მზერა მოგვავლო.

— ეჰ, გურამ, გურამ, ხომ გითხარი, ხვალისთვის დაიბარე-მეთქი, მაგრამ ახლა რა გაეწყობა! — კეკლუცად გასძახა კარს მიღმა გაუჩინარებულ უჟმურს (თურმე შვილი არ ყოფილა!), უმალვე სახეზე მომხიბლველი ღიმილი მოირგო, მოგვესალმა, რა სამწუხაროა, რომ ფორმაში არა ვარ და ამ მდგომარეობაში მყოფს მხედავთო, — აშკარა სინანულით დააყოლა, შემდეგ ქალური კეკლუცობები უხვად მოგვაფრქვია, ბოდიშები გვიხადა, გაგვეცნო, იქვე მჯდომ ორ კაცთან წარგვადგინა და მათ გვერდით, თითქოსდა საგანგებოდ ჩვენთვის ჩამწკრივებულ სკამებზე მიგვითითა.

როგორც გაირკვა, კოკა აქ შინაურ კაცად ითვლებოდა. მე და ომარი უხერხულად ვიშმუშნებოდით. უხერხულობას კი ის აძლიერებდა, რომ დამხვდურები, ესე იგი, ავადმყოფი კინომსახიობიცა და მოხუცებიც ბოდიშის მოხდით ჩვენს მისვლამდე წამოწყებულ საუბარს მიუბრუნდნენ და თითქოს შესაგუებელ დროს გვაძლევდნენ, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ გაინელა. ომარმა ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მოუთმენლობა გამოამჟღავნა, წამოიჭრა და გასასვლელს ეცა, მაგრამ იქვე ჩასაფრებული მასპინძლის უჟმური ვაჟიშვილი მედგრად დახვდა. შედეგად, რამდენიმე წუთში ომარი თავის ადგილს დაუბრუნდა და საოცრად მორჩილი გამომეტყველებით, თითქმის მოწიწებით შესციცინებდა მასპინძელს, რომელიც ფერუმარილისა და ზიზილ-პიპილების გარეშეც, მართლაც რომ მომხიბლავად გამოიყურებოდა.

„შეგუების“ პროცესი რომ ჩამთავრდა, საუბარი თავიდან კოკასა და მასპინძელს შორის გაიმართა. ამ ქალ-

ბატონს ყველაფერი აინტერესებდა: რას ვფიქრობდით კულტურაზე და საერთაშორისო ვითარებაზე; მერე უეცრად, რატომღაც რწმენაზე, აკრძალულ მწერლებსა და მოაზროვნეებზე გაგვიბა საუბარი. ჩვენც ავყევით და კარგა ხანს არ დავდუმებულვართ. ქალბატონი საკმაოდ გათვითცნობიერებული და გონიერი ვინმე აღმოჩნდა და მის თვალში ბრიყვებად რომ არ გამოვჩენილიყავით, რაც კი ვიცოდით, ყველაფერი დავფქვით: აკრძალულიც, ასაკრძალიც და ა.შ. ყურადღება ერთხელღა მივაპყარი, რომ, რაც სიტყვა ავიღეთ, დამხვდურ მოხუცებს ხმა არ გაუღიათ და თვალებდაცეცებულები შემოგვცქეროდნენ.

მიუხედავად ჩვენი მხურვალე მრავალსიტყვაობისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მახვილგონივრულ საუბარსა და იუმორს მასპინძლის აღტაცების შეძახილები, მხიარული სიცილი და საქებარი სიტყვები თანსდევდა და ამით ფრთაშესხმულები პირის გაჩერებას არ ვაპირებდით, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს რაღაც ფარსში ვმონაწილეობდით. არ ვიცი, რამ შეუწყო ამას ხელი, იმან, რომ ნაირფერი ბრებით განათებული კინომსახიობი ნებიერად იწვა თავის მდიდრულ საწოლში, რომლის ირგვლივ დახვავებული ყუთები და კედლებზე დაკიდებული ტილოები თეატრის ბუტაფორიის შთაბეჭდილებას ახდენდა და ამ ანტურაჟის შემქმნელი თითქოს რომელიღაც საპნის ოპერის პერსონაჟს განასახიერებდა, თუ ოთახს მიღმა დრო და დრო ყურთასმენისთვის ძნელად მოსაწვდენმა ზარის წკრიალმა, რაც რომელიღაც აპარატის გაჩხაკუნებისთანავე ახმიანდებოდა და გეგონებოდა, კულისებში მიმოფანტულ მსახიობებს სცენაზე უხმობდა.

იმ სახლიდან ისე წამოვედით, მაინც ვერ გავიგე, რისთვის მიგვიყვანა კოკამ. გასაგებია, რომ მასპინძელი „ერთობ მოხარული“ იყო ჩვენი გაცნობით, რაც მან უამრავჯერ დაადასტურა. მგონი, ის ორი მოხუცი უფრო მოხარული იყო, არა ჩვენი გაცნობით, არამედ მოსმენით, თუმცა მათ ეს არც ჟესტითა და არც სიტყვიერად გამოუხატავთ (რომ იტყვიან, პირდაპირ თვალებით გვჭამდნენ)), მაგრამ ამას წლების შემდეგ მივხვდი, როცა ერთ-ერთ მათგანთან უშიშროების იზოლატორში ფრიად მოულოდ-

ნელი შეხვედრა მომიწყვეს და იმ საღამოს ჩემ მიერ ნაქებ აკრძალულ მწერალთა და მოაზროვნეთა ვრცელი სია დამიდეს. მაშინღა მომაგონდა რაღაც ხელსაწყოს ჩხაკუნი, ზარის სუსტი ხმა და ეჭვები, რაც იმ კინომსახიობი ქალის მიმართ მქონდა...

ამგვარად, კოკამ ლამაზმან მსახიობთან „ცოცხლად“ ჩაგვწერა. როგორც ეტყობა, ავადმყოფობა, საწოლი, დაუსრულებელი საუბარი ხელოვნებასა და მწერლობაზე, ყველაფერი წინდაწინ იყო დაგეგმილი და მან ამ „სამუშაოს“თავი ოსტატურად გაართვა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ეს ქალბატონი თურმე ხალხს „ცოცხლად“ ხშირად იწერდა. კინოში იმას არ იღებდნენ, თეატრისთვის მეტად უნიჭო აღმოჩნდა, მას და მის უსაქმურ, ღრჯუ ვაჟიშვილს კი არსებობა ხომ სჭირდებოდათ.

სხვათა შორის, უშანგიც რამდენჯერმეა მასთან „ჩაწერაზე“ ნამყოფი და აქედან განსაჯეთ, უშიშროებაში მისით როგორ დაინტერესდებოდნენ.

ისიც იცოდნენ, რომ მალხაზიც და კოკაც უშანგთან ფოტოფირებს გასამჟღავნებლად წარამარა დაარბენინებდნენ. როგორ გგონიათ, უშანგი ამას იმ კინომსახიობ ქალთან თავისი გულუბრყვილობით არ დაამღერებდა? ვერ გეტყვით, კოკამ ვისი დავალებით მიგვიყვანა იქ, მაგრამ ფაქტია, მოგვიანებით ეს „ჩანაწერები“ სახეზე აგვაფარეს. ზოგისთვის ხელი არ უხლიათ, შორიდან ადევნებდნენ თვალს, უჩინარი საცეცებით ერეოდნენ მათ ცხოვრებაში და გზა-კვალს ურევდნენ.

ამისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი უშანგი და მისი გოგონაა.

ერთხელ კოკას წამოსცდა, უშანგი სოფლიდან რომ არ წამოსულიყო, იქნება ეს ყველაფერი, რაც თავს გადახდა, ასცდენოდა და მარინეც ნორმალური დარჩენილიყოო.

არ ვიცი, რატომ მითხრა ეს. ნუთუ სინდისის ქენჯნამ შეაწუხა?..

ანდრო და მე ადრე ვმეგობრობდით. შეიძლება ითქვას, უფრო ის მეტმასნებოდა. საერთოდ, მისთვის დამახასიათებელი იყო ამგვარი რამ და თუ რამეს წარმოადგენდი, საგანგებოდ გაგეცნობოდა, ქება-დიდებით აგავსებდა და სულაც არ დაგიდევდა, რა აზრის იყავი მასზე.

მეტისმეტად პრაქტიკული ტიპია. მისი ხასიათის წარმოსაჩენად ორი ეპიზოდის მოყვანა იკმარებს: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოლდავეთსა თუ ბელორუსში სამხედროში მსახურობისას დაცოლშვილდა და გარკვეული დროით ჩარჩა კიდეც იქ. ენას როგორღაც დაეუფლა, ლექსებს თარგმნიდა, საქართველოში გზავნიდა და პრესაში აქვეყნებდა. მის თარგმანთა ავკარგიანობაზე მაინცდამაინც ვერაფერს გეტყვით. უნიჭო კაცი როდი იყო, თუმცა მის ხასიათში თავის გამოჩენის დაუძლეველი სწრაფვა უფრო მძლავრობდა. არც მანამდე და არც მას შემდეგ მისდარი მოძრავი და პრაქტიციზმით აღსავსე ადამიანი აღარ შემხვედრია. ჩვენმა საერთო მეგობარმა მომიყვა: მოლდავეთში თუ ბელორუსში ცხოვრებისას გაზეთში ამოუკითხავს, ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი უმძლავრესი წისქვილ-კომბინატის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი ყოფილა გამოცხადებული. მას, პროფესიით ფილოლოგს, ხორბალთან და სოფლის მეურნეობასთან საერთო არაფერი ჰქონია, გარდა იმისა, რომ წარმოშობით დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტული სოფლიდან იყო და ამოზელილ ლობიოსა და იმერულ ყველთან ერთად ცხელ მჭადზე გიჟდებოდა, მაგრამ მის უტიფრობას საზღვარი არ ჰქონდა, ჭკუას არ დაუშლია, დირექტორთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დანიშნულ დღესა და საათზე საგანგებოდ გამოპრანჭული გამოცხადებულიყო და პროფესიონალი სპეციალისტების კითხვაზე, თუ რა საკითხზე იყო მისული, გაუგონარი სითამამით ეპასუხა: „მე თანახმა ვარ!“ მისი გამომწვევი ჩაცმულობითა და სითამამით გაოცებული ხალხიდან ერთ-ერთმა, თურმე, ძლივს მოისაზრა და ჰკითხა: „მაინც რისთვის?!“ „რომ დავიკავო ეს თანამდებობა!“ პროფესია უკითხავთ. მას ხატოვნად აუხსნია,

ბაბუა მყავდა მეწისქვილე და ბავშვობაში ხშირად ვეხმარებოდიო. დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებს სასაცილოდ არ ჰყოფნიათ მისი მონაყოლი და უარის თქმა დაუპირებიათ, მაგრამ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც მთელი იმ ხნის განმავლობაში ხმაგაკმენდილი მჯდარა და ამ უცნაურ ტიპს თვალს არ აცილებდა, კოლეგებისთვის წუთით ყურადღების დათმობა უთხოვია. როცა სრული სიჩუმე ჩამოვარდნილა, ანდროსთვის უკითხავს, წარმოდგენა აქვს თუ არა, რა მასშტაბისაა მათი კომბინატი და სოფლის მომცრო წისქვილის შემდეგ როგორ მოაბამდა თავს ამხელა წარმოების მართვა-გამგეობას. ჩვეულებრივადო, უპასუხია ანდროს. მაინცო? — უკითხავს ისევ იმ კაცს. მოგეხსენებათ: ზომით მცირე სახლსაც სჭირდება საძირკვლის ჩაყრა, კედლის ამოყვანა, გადახურვა, გალესვა და ასე შემდეგ. ზუსტად იგივე ჭირდება დიდ შენობასაც, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით და თუ ამ პრინციპს პატარა წისქვილიდან კომბინატზე გადავიტანთ, მართვის პრობლემაც მარტივად მოგვარდებაო... და ისე გაუტევია, ძლივს შეუჩერებიათ. საბოლოო სიტყვა საბჭოს თავმჯდომარეს აუღია. საფუძვლიანად უსაუბრია ანდროს არაორდინალურ სითამამესა და მიზანდასახულობაზე, მის პრაქტიკულ გამოცდილებაზე (რუზე გამართულ წისქვილში!) და იმდენი დადებითი თვისება მიუწერია, რომ დირექტორთა საბჭოს ანდრო გიგანტი კომბინატის აღმასრულებელ დირექტორად აურჩევია.

ანდრომ ეს წარმოება ააყვავა თუ არა, არავინ იცის, მაგრამ ის კია ცნობილი, რომ კომბინატს რამდენიმე ხანს მართავდა, ბინა მიიღო, მატერიალური პირობები გაიუმჯობესა, ხოლო, როცა გულმა სამშობლოსკენ გამოუწია, ამ დაბრუნებას მორიგი აფიორა წაუმძღვარა: იმ პერიოდში ჩვენთან ბინის მიღება მთელ რიგ გადაულახავ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: ჯერ ჩასაწერი ფართობის მოპოვება, ჩაწერა, წლობით ბინის რიგში დგომა, ნაცნობ-მეგობრობა... მან კი ეს პრობლემა ერთი ხელის დაკვრით გადაწყვიტა. თბილისში, როგორღაც, წარმოშობით მოლდაველი თუ ბელორუსი, მარტოხელა მოხუცი ქალი გამონახა, რომელსაც თავის სამშობლოსთან ბავშ-

ვობის წლების გარდა არაფერი აკავშირებდა და შეუჩნდა, გინდა თუარა, იქაურ სამოთახიანში შენი ოთახნახევრიანი ბინა გამიცვალეო. მიუხედავად დიდი ყოყმანისა, ამ წინადადებამ ის ქალი საბოლოოდ აცდუნა და ბინა ისე გაუცვალა, თავისი ქვეყნის კანონმდებლობაზე წარმოდგენაც არ ჰქონია, რომლის მიხედვითაც მარტოხელა ადამიანს ერთოთახიანზე მეტს არაფრით მიაკუთვნებდნენ. ანდრომ მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ უკან არ დაუხევია, ქალბატონის ბინა გაიფორმა, მაგრამ თვით იმ ქალბატონმა რამდენიმე წელიწადი თბილისს, მოლდავეთსა თუ ბელორუსს შორის მგზავრობასა და სასამართლოებში წანწალს შეალია, საბოლოოდ კი მისთვის სრულიად უცხო ქალაქის ჩვეულებრივ ამორტიზებულ „კომუნალკაში“ პაწაწკინტელა, საერთოსამზარეულოიანი და კეთილმოუწყობელი ბინის მოპოვება ძლივს მოახერხა. უნდა გენახათ, რამდენს წყევლიდა, თურმე, ის ქალბატონი, როგორ აყრიდა ქოქოლას. ანდროს ყოველივე ეს აინუნშიაც არ ჩაუგდია, არხეინად განაგრძობდა საცდურებზე გამავალ გზებზე თოხარიკს. მისი შეჩერება ან დაყოვნება შეუძლებელი იყო. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ეს არც არავის უცდია...

მალხაზს რომ დაუკავშირდა, მთლად აიწყვიტა. ჩვენ ადრე ასე თუ ისე, კეთილი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ჩემს თვალწინ ისეთი რაღაცები დაატრიალა, მის გამოხდომებს ვერაფრით შევეგუე და ჩამოვცილდი. უფრო ის ჩამომცილდა. სიმართლე რომ ვუთხარი, არ ეჭაშნიკა. საქმე კი ჩვენს საერთო მეგობრებს ეხებოდა.

მას მიზნად ჰქონია, ერთ საკმაოდ ავტორიტეტულ შემოქმედებით ორგანიზაციას ჩადგომოდა სათავეში. თავიდან მალხაზს ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი გააგდებინა, მისი ადგილი დაიკავა, შემდეგ კი არასასურველი ხალხი ერთმანეთის მიყოლებით გაყარა. არაფერს მორიდებია: არც მათ გამოცდილებას, არც საპატიო ასაკს, დამსახურებას, არც იმას, რომ ყოველი მათგანის უკან ოჯახი იდგა, არც იმისი შერცხვენია, რომ იმ სფეროში მეტისმეტად გაუთვითცნობიერებელი იყო, კოლეგების უმრავლესობას ცოდნითა და ნიჭიერებით კოჭებამდე ვერ წვდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ იგი ჩვენს თვალწინ პირწმინდა დემა-

გოგად და ინტრიგანად ჩამოყალიბდა. ისე, მალხაზს მხარი ნამეტანი კი დაუმშვენა.

თვალწინ მიდგას თავმოტვლეპილი და ამაყად ყელმოღერებული, რუსთაველის გამზირზე როგორ მიიჩქარის.

„არა, არა, დღეს შენ არ მყავხარ სიაში!“ — შესძახებდა ნაცნობ-მეგობრებს, რის დასამტკიცებლადაც დააძრობდა სიას, გაოცებულ შემხვედრთ თვალწინ აუფრიალებდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

რამდენჯერ მინახავს ეს გრძელი ნუსხა, სადაც გულდასმით იყო ჩაწიკწიკებული, ვის უნდა შეხვედროდა, დალაპარაკებოდა ან არ დალაპარაკებოდა, ვისთვის დაერეკა, რა საკითხზე ესაუბრა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, რა პასუხი გაეცა... და ა.შ.

ნაცნობ-მეგობრებმა მალე აუღეს ალღო და ბევრი არც ეკარებოდა.

როცა ასე ირჯებოდა, მის სახეს კომიკური იერი დაჰკრავდა და მართლაც სასაცილო იყო, მაგრამ ათასგზის გატრიზავებისა და გაქილიკების მიუხედავად, ცხოვრების ამ წესს (თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია!) არ ღალატობდა.

რამდენი ვინმე თავისი გულუბრყვილობით მასზე იმედებს ამყარებდა, ალბათ, მხარდაჭერასა და გულისხმიერებას ელოდა, მაგრამ ანდროს სხვისთვის არც დრო და არც სურვილი ეყოფოდა, თუმცა, თუ სიაში ჰყავდა ჩანიშნული, შესაძლოა, მათთვის მოწყალების თვალით გადმოეხედა და მეტად ძვირფასი რამდენიმე წუთი დაეთმო...

ნიკო

დალი ვინ გამაცნო, ზუსტად ვერ ვიხსენებ. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. სასურველ პიროვნებასთან დასაახლოებლად, რას არ მოიმოქმედებდა. მის მიმართ სიმპათიით თავიდანვე ვერ განვეწყვე. მუგუზალივით შავი სახე, მამაკაცური მიმოხვრა, ერთთავად პირში გაჩრილი სიგარეტი და როხროხა ხმა ქალზე ჩემს წარმოდგენას სცილდებოდა. არც ის მევასებოდა, რომ ერთ წუთში გაგიშინაურდებოდა, ხოლო მეორე წუთში რაღაც საქმეში გაგიყვანდა.

მოკლედ, დიდი ახირებული ვინმე ჩანდა. მიკვირდა ხოლმე, რა დაკარგვია ჩვენთან, დილიდან საღამომდე რედაქციაში რას ჩამოგვიჯდა, როგორც თვითონ წარამარა გაიძახის, საქმეები თავზე საყრელადა აქვს და ასე რატომ ცდება-მეთქი, მაგრამ თქმას ვერიდებოდი, რადგან ვისთანაც ეგ მოდიოდა, ამისდამაგვარს არაფერს ეკითხებოდა, პირიქით, როგორც კი დილით შეაგვიანდებოდა, აქამდე სად იყავიო, საყვედურებით იკლებდა, ლამის იყო, ჩვენს შტატში ჩაერიცხა.

როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ჩვენთან ერთი ახალგაზრდა ავტორის გაცნობის სურვილმა მოიყვანა და ზოგზოგმა დაიჯერა კიდეც, რადგან იმ ახალგაზრდის გაცნობა იმხანად ბევრს ეწადა და ეს სურვილი არავისთვის ისეთი უჩვეულო არც ყოფილა. თუმცა გაიცნო ის მწერალი, ქებადიდებით აავსო, საკუთარი ნოველების მთელი რიგი პასაჟები ზეპირად ჩაურაკრაკა, ყურადღება ისეთ დეტალებზე გაამახვილებინა, გაოცებისაგან პირდაღებულ ავტორს რამდენიმეჯერ წამოსცდა კიდეც, ასეთ რამეებზე არც მიფიქრიაო, და დალიმ ისეთი ცეცხლი შეუნთო, ეს ბოჩოლასავით უტყვი კაცი ლამის მანიაკად აქცია, თავისი ნოველების ციტირებით შეპყრობილს, რედაქციის თანამშრომლები სად დამალვოდნენ, არ იცოდნენ.

ვიღაცებმა ჩუმ-ჩუმად დალის ასავალ-დასავალის დადგენა სცადეს, თუმცა ტელევიზიაში გამომშვებად თუ რომელიღაც გადაცემის რეჟისორის თანაშემწედ რომ ირიცხებოდა, იმის მეტი ვერაფერი დაადგინეს. თუ იქ დაკავებულია, კვირეები ჩვენთან რომ ათენ-აღამებს, როგორ არ აგდებენო, ახლა ამაზე გამახვილდა ყურადღება. თქვენ ვინ გეკითხებათ, ქალი თავის საქმეს ორივეგან მშვენივრად უძღვება, რას გადაეკიდეთო, მკაცრად დაუცაცხანა მათ ვიღაცამ და ამ თემაზე საუბარი იმხანად დროებით მიწყნარდა, მაგრამ, როცა „მივლინება“ რედაქციაში თვეობით გაუგრძელდა, მოულოდნელად, მისი პერსონით თვით რედაქტორი დაინტერესდა და საოცარი ის იყო, მასთან გასასაუბრებლად შესული დალი ამ ცივსისხლიანმა სნობმა ისეთი რევერანსებითა და საჰაერო კოცნებით გამოაცილა, მრავლისმნახველი კაპუეტი მდი-

ვან-მემანქანე ამ იშვიათ შემთხვევას წლების მერეც გაოცებით იხსენებდა.

ამგვარად, ჩაჯდა ჩვენთან. მისი ზღვარგადაცილებული ცნობისმოყვარეობა იმდენად გამაღიზიანებელი და შემაწუხებელი იყო, არამცთუ რედაქციის თანამშრომლები, ავტორებიც კი უფრთხოდნენ. თუმცა რამდენიმე ხანში ყოველ მათგანთან დაახლოება და რაღაცის შეთავაზება მაინც მოახერხა, რასაც მისი გულკეთილობით ხსნიდნენ და ხელმოკლე თანამშრომლებისთვის კაპიკების სესხებასა და ფინჯანი ყავის შეთავაზებას არ გასცილებია, მაგრამ ჩემი აზრით ამ „ქველმოქმედების“ ფასად იქიდან რა ძვირფასი ინფორმაციაც მიჰქონდა, ზუსტად ვერავინ გეტყოდათ.

ვერ დავიჩემებ, რომ დალი ჩვენზე ვინმეს საგანგებოდ ჰყავდა მოჩენილი, მაგრამ მისი საქციელი გარკვეულ ეჭვებს ბადებდა და სანამ იქით ეტყოდნენ, წინასწარ თავს იზღვევდა, ვიღაც-ვიღაცებს მოგზავნილი ვგონივარ, მაგრამ თქვენთან ლიტერატურის უსაზღვრო სიყვარულმა მომიყვანაო. ასეთ იაფფასიან ტყუილს არავინ ჭამდა და მასთან საუბრებს მეორეხარისხოვანი თემებით უძვრებოდა. თვითონ თავი ისე ეჭირა, თითქოს ამის გარდა, არც არაფერი აინტერესებდა.

ამასობაში, მალხაზის გაცნობაც მოახერხა და ეს შეხვედრა ისე ბუნებრივად მოაწყო, ჩვენ შორის ცოტამ თუ იფიქრა, რომ თვეების მანძილზე რედაქციაში სწორედ ამის გამო გახლდათ ჩამომჯდარი.

მალხაზმა მაშინვე თავისებური დიაგნოზი დაუსვა. ნაღდად მოგზავნილია და მასთან ფრთხილად იყავითო. ჩვენ კიდევ, ჭკუით რანაირად ვყოფილიყავით არც ვიცოდით, არაფერს ვმალავდით, ჩვენს აზრს დაუფარავად გამოვხატავდით და, საერთოდ, ყოველგვარი სიფრთხილე სასაცილოდაც არ გვყოფნიდა.

ამ დროს ყველამ იცოდა, რომ რედაქციაზე უშიშროების ერთი მაღალჩინოსანი იყო მომაგრებული. ეს ტიპი ბევრ ლიტერატორთან ვითომ მეგობრობდა, აქებდნენ კიდეც, უშიშროებაში ჩვენს ინტერესებს იცავსო, რაზეც, პირდაპირ უნდა ვთქვა, ან თავს იტყუებდნენ, ან ამას ჩვენი ყურ-

ადღების მოსადუნებლად ავრცელებდნენ, რათა იმ მაღალ-ჩინოსანს თავის ნებაზე ეპარპაშა. იქნებ, ორიგინალური არც ვიყო, მაგრამ აუცილებლად ერთი რამ უნდა ითქვას: ხსენებულ მაღალჩინოსანს ლიტერატორები მართლა რომ დაეცვა, თავის უწყებაში წუთით არავინ გააჩერებდა, არც მაღალ წოდებებს მიანიჭებდნენ და ასევე დიდ ჯამაგირსაც არ დაუნიშნავდნენ. დარწმუნებული ვარ, მისი მაქებრები უშიშროებასთან თვითონაც თანამშრომლობდნენ და აგენტისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ჰქონდათ დავალებული...

მოკლედ, ამ სიტუაციაში რთული იყო დაგედგინა, ვინ ვინ იყო. ბევრი ვინმე ოსტატურად ინიღბებოდა, საკუთარ სახელს უფრთხილდებოდა, მაგრამ დალის შემთხვევაში სრულიად ახალ, არაორდინალურ ტიპთან გვქონდა საქმე: იგი თავს გულუბრყვილო, უინტელექტო ქალად წარმოაჩენდა. ჯერ დასვამდა კითხვას, მერე იქვე მოაყოლებდა, ამ საკითხის არაფერი მესმის, მე ხომ ერთი უბირი დედაკაცი ვაარო, და ამ ფანდით არიფებში დიდ შედეგს აღწევდა: წამების გზით რომ არ გატყდებოდნენ, ისეთ საიდუმლოებებს ფქვავდნენ და იშვიათად უფიქრდებოდნენ, ამ ქალს რაში ჭირდებოდა ამ საიდუმლოთა ცოდნა. მომენტს არ გაუშვებდა, არ აღენიშნა, რომ მას ვიღაც-ვიღაცები საიდუმლო აგენტად მიიჩნევდნენ. იქვე აუცილებლად რიტორიკულ კითხვას მოაყოლებდა, ერთი შემომხედეთ, ვგავარ თუ არა აგენტს, ამ გულში სამშობლოს სიყვარული დუღს და გადმოდუღს, სწორედ ამის გამო აწყობთ ჩემთვის სახელის გატეხაო... და ვერცხლის ბეჭდებითა და სამაჯურებით დახუნძლულ, მამაკაცურად ჩამოქნილ ხელის მტევნებს, ყუბაჩელ ხელოსანთა ნახელავითა და ნაირგვარი მძივებით დახუნძლულ თიმთიმა მკერდზე გაშმაგებით დაიბრაგუნებდა...

ერთმა ჩემმა მეგობარმა მის შესახებ საკმაოდ ენამოსწრებულად შენიშნა, ვერცხლეულით დარახტულ იორღას მაგონებს, ოღონდ ესაა, იმ ცხოველის სიწმინდითა და სუფთა ბუნებით ვერ დაიკვეხნისო...

მალხაზი რომ გაიცნო, ერთი ხანობა გვეშველა, მაშინვე მის წრეში გადაერთო და, ჩანს, ჩვენთვის დრო არ რჩებო-

და, მაგრამ ხანდახან დაგვხედავდა, ემანდ უჩემოდ რამე არ მოიწიონო...

ამ ქალმა მალხაზს უამრავი დრო და ენერგია წაართვა, თავისი ლოშლოშითა და ექსტრავაგანტური გამოხდომებით თავ-ბედიც აწყევლინა: რამდენჯერ ეცადა ჩამოეცილებინა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, დალის რეზერვში იმდენი ხრიკი და ოინი ჰქონდა შემონახული, ვერც ვერაფერს გახდა.

მალხაზმა მისთვის ნიღბის ჩამოხსნა რამდენიმეჯერ მოინდომა. ვფიქრობდით, აგერ-აგერ, წრიდან გუდანაბადს აუკრავსო, მაგრამ დალიმ თვითონ დაასწრო, მალხაზის მოწინააღმდეგის კეთილგანწყობა მოიპოვა, ელვისუსწრაფესად მის ბანაკში გადაბარგდა და მალხაზი ხახამშრალი დატოვა. ამის შემდეგ, ვინ იცის, რამდენი წრის, მეგობრისა და კეთილისმყოფელის გამოცვლა მოახერხა. პოზიციის წარამარა ცვლილების გამო თავს ასე იმართლებდა: მერე რა, რომ ერთი წრიდან მეორეში გადავდივარ (დაკარგულ მეგობრებზე არაფერს ამბობდა), ეს ჩემს დაუდგრომელ ბუნებაზე მეტყველებს, ესე იგი, ვცოცხლობ, ვაზროვნებ, ვიზრდები და ზოგ-ზოგებივით ერთ ადგილზე როდი ვიტკეპნებიო...

დახურა, რა!.

მან ამ ყველაფრის შემდეგ, მალხაზის მომხრეებთან ურთიერთობის აღდგენაც მოახერხა. როგორ, რა გზით, ეს მხოლოდ ერთმა მან იცის. ჭკვიანი ხალხი მას ახლოს არ იკარებს, მაგრამ ზერელე ტიპებთან საერთოს ადვილად პოულობს. როგორც კი თვალს მიეფარება, ეძებენ, ნეტა სად გადაიკარგაო, განიცდიან, მისი ექსტრავაგანტური კუნტრუშისთვის თვალის შევლებას და ლოშლოშის მოსმენას ნატრობენ. ის კი არ იციან, რომ ყოველი ხუმრობა, ვითომ მოქაჯო, უბრალო დედაკაცად თავის მოჩვენება, მსახიობური პროფესიის წყალობაა და არა თვისება.

ოსტატურად თამაშობს. ზოგჯერ გამოსდის და სასურველ ეფექტსაც აღწევს, მაგრამ ხანდახან ზომიერების გრძნობა ღალატობს, სად შეჩერდეს, რით დაამთავროს, არ იცის, რადგან როლის შესრულება ხშირად ექსპრომტად უხდება...

ბუნებრივია, მისი ხუნტრუცი ბევრში ღიმილს იწვევს. თუმცა, ამ პირგამეხებულსა და ცხვირ-პირ ჩამომტირალ საზოგადოებაში ვიღაცა მასხარის როლზე ნებაყოფლობით რომ თანხმდება და ირგვლივ მყოფთა გუნება-განწყობის გამოსაკეთებლად, ცირკის გამოცდილი ტრიუკების ოსტატივით ხანჯლის ორლესულ პირზე უვნებლად მოძრაობს, არცთუ ისე იოლი საქმეა და მას თავისი დამფასებელიც ჰყავს, მაგრამ აქ მე უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორი მაინტერესებს: სცენაზე იგივე წარმატებით შეასრულებდა თუ არა სახიფათო როლს, რომლის ნიღაბიც მან ასე ოსტატურად მოირგო და თუ ეს ასეა, სამწუხაროა, რადგან მისი სახით თეატრმა ბრწყინვალე იმიტატორი დაკარგა...

თუმცა, ერთმა ჩემმა ახლობელმა, უნიჭიერესმა არტისტმა, დალის ფენომენზე საპირისპირო მოსაზრება გამოთქვა და, ვგონებ, იგი, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი, მართალი უნდა იყოს: სცენა სულ სხვაა. ვისაც ყოფით თემებზე იმპროვიზაციის დიდი უნარი აქვს, სცენაზე ხშირად არაფერი გამოსდის, რადგან, სცენას თავისი დადგენილი კანონები გააჩნია. რამდენჯერ ვყოფილვარ მოწმე, ჭეშმარიტი ტალანტით დაჯილდოებული მსახიობები იმიტატორობას და სახელდახელო სიტუაციებს შეგნებულად თავს როგორ არიდებენო...

სარჩევი

მახარებელი.....5
მრავალთაგან ერთი.....20
ცის გახსნასავით.....39
ამსოფლის მგზავრი.....60
სასახლე კლეოპატრასთვის.....81
ანგელოზები.....98
ლავრენტის და.....107
Высадить в Гали.....133
არა შურისძიებისათვის ჩემდა.....152
ქალაქს ეძინა.....162
კლასიკური გაკვეთილი.....177
კოლოკვიუმი.....189
ისევ ძნელია გზა სოხუმამდე.....198
სალომე.....213
დაუდეგარი.....227
ნულოვანი აუქციონი.....244
მდუმარე სახლთან.....258
ინტერნეტრაინდები.....282
თვითმკვლელი.....294
ლარიანი მასესხეთ, სერ!.....316
ცოცხალი მოწმე.....338
გზა სოფლისაკენ.....349
ვალების სისტემა.....361
მონანიების საზღაური.....366

ამონარიდები წიგნიდან
„მიმწუხრის ჟამის მონოლოგები“
ოთარი.....435
ნუგზარი.....446
რეზი.....453
მიხო.....458
უშანგი.....462
ომარი.....479
ლერი.....481
გიო.....486
ნიკო.....489

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com